ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

# მნათობი

10

1989

# მნათობი

წელიწადი 65-ე | № 10 | ოქტომბერი, 1989წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

### პროზა, პოეზია


გრიგოლ რობაქიძე — ჩაკლული სული. რომანი. დასასრული. გერმანულიდან თარგმნა ალექსანდრე კარტოზიამ . . . 3
ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები . . . 33
ელგუჯა მერაბიშვილი — ზედაზენი. მოთხრობა . . . 42
ელდარ კერძევაძე — ლექსები . . . 58
რენე კალანდია — ლექსები . . . 61
ლადო სულაბერიძე — ბუდუ ბედია. რომანი. . . . 65
დარეჯან ბატიაშვილი — ლექსები . . . 103
ბელა კიკოლაშვილი — ლექსები . . . 105


### ლიტერატურული მემკვიდრეობა


სეით დევდარიანი — ანტონ კათალიკოსი . . . 108
პეტრე ჩაადაევი — ნაწყვეტები და აფორიზმები. წინასიტყვა და თარგმანი ავთანდილ ჯოხაძის . . . 116


### კრიტიკა, პუბლიცისტიკა


აკაკი მინდიაშვილი — გმირი, ხალხი და სარწმუნოება . . . 125
იაკობ ახუაშვილი — ქვემო ქართლის ეთნოსი ისტორიულ ასპექტში . . . 133
ქეთევან ტომარაძე — აღმოსავლური პოეზიის ლაბირინთებში . . . 145
ზურაბ ბათიაშვილი — მზე ღრუბლებში. გაგრძელება . . . 152


### მეცნიერება


გიორგი ნადირაძე — პირველი მეცნიერული წიგნი დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ . . . 166
გოჩა. ჯაფარიძე — საქართველოსა და არზრუმის ურთიერთობის ისტორიიდან 173
გამოსათხოვარი . . . 175


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მალრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძე

# ჩაკლული სული

რომანი

## XIII

### სიკვდილის ხახა

გპუ-ს ზედა სართულებზე საოპერაციო დარბაზის სიჩუმე და სისუფთავე სუფევდა. აქ ჩურჩული ცვლიდა სიტყვას, მოძრაობას — პაუზა. თვალი სხვა თვალს გაურბოდა, განზე ან დაბლა იყურებოდა. ჰაერში დანის და სისხლის სუნი ტრიალებდა. ბედი ქროლვით იჭრებოდა მანქანურ სივრცეში. ტელეფონით ყველაზე საშინელს ელოდნენ, ყურმილის აღება სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას ჰგავდა. შეგუბებული იდუმალება ამძიმებდა ატმოსფეროს.

გპუ-ს შიში თამაზს მაშინ უფრო ჰქონდა, როცა თავისუფალი იყო, ვიდრე ახლა, როცა დაიჭირეს. ბევრი არაფერი დაუშავებია, გრძნობდა. შესაძლოა, ეს ამშვიდებდა. დროდადრო ხანმოკლე სიხარულიც კი ეუფლებოდა: თეატრში წარმოთქმულმა მისმა სიტყვამ ბევრს ატკინა გული, მათ შორის პატარა ბიძინასაც. ამ დანაშაულის საზღაურად მიაჩნდა პატიმრობა. მაგრამ მთავარი: სურდა გათავისუფლებულიყო ეჭვისგან, რომელიც სიტყვით „ჯულა“ გამხრწნელად მოქმედებდა მასზე.

სარდაფში ჩაიყვანეს, პატარა საკანში. აქ კიდევ ორი ტუსაღი დახვდა. ერთ-ერთი, უკვე ხანში შესული, აქეთ-იქით აწყდებოდა, გაუგებარ სიტყვებს ისროდა. თამაზს შეშლილად მოეჩვენა. მეორე ახალგაზრდა იყო, ასე თვრამეტიოდე წლისა. აღნაგობით ინგლისურ მწევარს ჰგავდა, ნუშის თვალებით—მეოცნებე ნიამორს. ნათელ სახეზე ხანდახან სევდა გადაუვლიდა. ათასობით წელიწადს უნდა ემუშავა სისხლს, ასეთი ჯიშიანი არსება რომ წარმოეშვა. მის სიტყვას ჰქონდა სითბო, თითქოს თვით გული ლაპარაკობდა, ყოველი მოძრაობა თანდაყოლილ კეთილშობილებას აჩენდა. თამაზს დანახვისთანავე მოეწონა, თუმცა მასთან დალაპარაკებისა მოერიდა. ბიჭი სულ სარკმელში იცქირებოდა. სარკმელი ნაწილობრივ ქუჩის ქვეშ იყო მოქცეული, ზედ ბადე აეკრათ. მოპირდაპირე დაბალი სახლის თავზე ცის ერთი ნაგლეჯი მოჩანდა. ბიჭი ამ ცას მისჩერებოდა, მუქი თვალები ლურჯად უელავდა. ერთხელ უეცრად წამოიყვირა: „ქორი, ქორი!“ თამაზმა მიიხედა, მაგრამ ქორი უკვე შორს იყო. „რა უცებ გაქრა“, ნაღვლიანად

(დასასრული. იხ. „მნათობი“, №№ 8, 9.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოთქვა ბიჭმა. თამაზმა გულით თანაუგრძნო. მეორე დღეს ბიჭი გამვლელებს ადევნებდა თვალს. მხოლოდ ფეხებს ხედავდა. ასე როგორ უნდა გაერჩია ნაცნობი? უეცრად ძაღლმა გაირბინა. „მურა, მურა!“ დაიყვირა ერთბაშად გამორკვეულმა. ძაღლს, ჩანს, ეცნო ხმა, აყეფდა: გაჩერდა და დაბნეულმა სარდაფში ჩამოიხედა. „მურა!“ კვლავ შესძახა გახარებულმა, მაგრამ ყეფა ანაზდათ შეწყდა — ალბათ ვიღაცამ გაიტყუა ძაღლი. თამაზმა ბიჭს შეხედა: წამწამებზე ცრემლი ეკიდა. თამაზსაც ცრემლი მოერია. ბიჭის შეძახილზე კარში დატანებული საჭვრეტი განათდა: დარაჯს ლითონის ხუფი გადაეწია, ნახვრეტში იმზირებოდა ცალი თვალით. ბიჭმა თავი დახარა. თამაზი პირველად შეშინდა. დარაჯს სახე არ უჩანდა, მით უფრო საშინელი იყო თვალი.

თამაზს უკვირდა: დაპატიმრებიდან ხუთი დღე გავიდა, დაკითხვაზე კი არავინ იძახებდა. მოუსვენრობა შეეპარა თანდათან, ძილი გაუტყდა, ღამღამობით ხშირად იღვიძებდა. ერთხელ საზარელი ხმა მოესმა მეზობელი საკნიდან. ქალის კივილი უნდა ყოფილიყო. ასეთი ხმა ერთხელ გაიგონა გემზე: ერთ ქალს ზღვის ავადმყოფობა შეჰყროდა და კივილით გამოეღვიძა. ახლა ყური მიუგდო კივილს. საკუთარი გულის აჩქარებული ძგერა ესმოდა. კივილი ერთბაშად მიწყდა. თამაზს ლევანი გაახსენდა: ისიც სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო მოთავსებული. კედლებში უჩინრად გაძრომა რომ შეეძლოს! როგორ ჩაიკრავდა გულში ძვირფას მეგობარს! გული აუჩვილდა. იქნებ ველარასოდეს შეხვდნენ ერთმანეთს. ო, ღმერთო, ამოიკვნესა მწარედ.

იმ ღამეს აღარ დაუძინია. ბიჭს ადრიანად გამოეღვიძა. ჯერ ხეირიანად არც კი გამოფხიზლებულიყო, ისე წაილუღლუღა ლექსის სიტყვები. თამაზმა საკუთარი ლექსი იცნო. უფრო მეტად აუჩუყდა გული: ნაღვლიანი ლექსი იყო. ნუთუ არ იცის, რომ ავტორი მის გვერდითაა? გაიფიქრა თამაზმა. ბიჭმა იცოდა, მაგრამ ეკრძალებოდა გამომჟღავნებას. ლექსის უნებლიეთ წარმოთქმული სიტყვები გაცნობის საბაბი შეიქნა. ბიჭს გივი ერქვა. ამ წუთიდან სითბო და ნდობა დამყარდა მათ შორის. მესამე ტუსაღი კვლავ თავისთვის ბუტბუტებდა. თამაზს იგი საეჭვოდ მოეჩვენა ახლა: იცოდა, გპუ-ში პატიმარს ჯაშუშს მიუჩენდნენ ხოლმე.

მეექვსე დღეს თამაზი დაკითხვაზე გამოიძახეს. შეიარაღებულ გუშაგს მშვიდად მიჰყვებოდა, არაფერი აღელვებდა. გამომძიებლის კაბინეტში შევიდა. მასპინძელმა თავაზიანად ანიშნა სკამზე; თამაზი მოწყალედ ჩამოჯდა. უცებ დოსტოევსკის „ეშმაკთ“ მოჰკრა თვალი მაგიდაზე, სიხარულმა მოიცვა: თუ მხოლოდ ესაა მისი დანაშაული, არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, გაიფიქრა. პაუზა — საკმარისი სიგარეტის მოსაკიდებლად. შემდეგ შეკითხვა გამომძიებლის:

„ამ წიგნს თუ იცნობთ?“

„შეიძლება ვნახო?“ თავის მხრივ კითხულობს თამაზ, თითქოს წამის წინ არ შეენიშნოს უკვე.

„ინებეთ“, აწვდის წიგნს გამომძიებელი.

თამაზი მშვიდად ართმევს, ფურცლავს.

„ჩემი წიგნია“, პასუხობს.

„ახლა რას იტყვით?“ ორაზროვნად ეკითხება გამომძიებელი.

„რა უნდა ვთქვა?“ უბრალოდ მიუგებს თამაზ.

„შენიშვნები თქვენია?“

„დიახ“.

„მერე?“

„ეს შენიშვნები უკვე 1920 წელს მქონდა გაკეთებული“.

„ამით რისი თქმა გსურთ? იქნებ იმისა, რომ ახლა შეიცვალეთ შეხედულება?“

„არა“.

გამომძიებელს გაკვირვება აღბეჭდვია სახეზე.

„მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ 1920 წელს საქართველო ჯერ კიდევ

არ იყო საბჭოეთის ნაწილი“, განმარტავს თამაზ.

„ჰა, მაშ, როგორც გარეშე პირს, ისე დაგიწერიათ. ასე უნდა გავიგოთ?“

„დიახ“.

„ნუთუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?“

„ეს თქვენ უნდა იცოდეთ უკეთ“.

„მმმ... ახლაც იზიარებთ ამ შეხედულებას?“

„დიახ“.

გამომძიებელს კვლავ გაკვირვება ეხატება სახეზე. გაკვირვებაში რისხვის ნაპერწკალიც ურევია.

„მაშინ რაღაა მითითება 1920 წელზე? მაშინაც და დღესაც ხომ ერთსა და იმავე თვალსაზრისზე მდგარხართ?“

„1920 წელს ჯერ კიდევ არ ვიყავი საბჭოთა მოქალაქე და შემეძლო თავისუფლად გამომეთქვა ჩემი თვალსაზრისი საბჭოთა რუსეთის შესახებ“.

„დღეს აღარ შეგიძლიათ?“

„დღეს აღარ მსურს... ამასთან, მე ხომ საბჭოთა მოქალაქე ვარ“.

„და თქვენს მოქალაქეობრივ ვალს დუმილით იხდით?“

„თუ გნებავთ, ასეც“.

„მმმ...“ და თითქოს რაღაც ხელმოსაჭიდი ეპოვოს, გამომძიებელი იღებს წიგნს, შლის და გამარჯვებულის იერით უთითებს: „ამაზე რას იტყვით? აქ კოლმეურნეობებსაც დასხმიხართ თავს. 1920 წელს კი, რამდენადაც მახსოვს, კოლმეურნეობები ჯერ არ იყო!“

თამაზს ფერი მისდის. ეს შენიშვნა მთლად დაავიწყდა. გამოდის, რომ ტყუილზე დაიჭირეს. აკვირდება ამ ადგილს, უეცრად ახსენდება: შენიშვნა ლოგინში ჩაწოლილმა გააკეთა — ხელწერა განსხვავებული ჩანს.

„ეს მე არ დამიწერია“, დარწმუნებით ამბობს.

„მაშ ვინ დაწერა?“

„არ ვიცი... წიგნი ბევრმა წაიკითხა...“

„მმმ... ამას გავარკვევთ“, მუქარა მოისმის გამომძიებლის ნათქვამში, კილო გამკაცრებია.

თამაზი გრძნობს, საფრთხეს [illegible]რა.

„ეს შენიშვნა კოლმეურნეობების შესახებ ორგანულად გამომდინარეობს სხვებიდან“, ცოტა ხნის შემდეგ კვლავ იწყებს გამომძიებელი, „და თუ დანარჩენი შენიშვნები თქვენია...“

„მაშინ ამ შენიშვნებში გამოთქმულ შეხედულებებსაც უნდა ვიზიარებდე?“

„უთუოდ“.

„ვიზიარებ კიდეც“.

გამომძიებელი გაოცებულია. ასეთი მამაცი და პირდაპირი პატიმარი ჯერ არ შეხვედრია. მოეწონა თამაზი, მით უმეტეს, რომ დიდად აფასებს მას, როგორც პოეტს. ეს რომ არ შეეტყოს, ცივად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობს განგებ.

„ამ შეხედულებას ვიზიარებ, მაგრამ შენიშვნა მაინც მე არ მეკუთვნის“, იმეორებს თამაზ.

„თქვენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ იმას, რომ ანტისაბჭოთა აზრებს არ გამოთქვამთ. თუმცაღა აშკარა მტერი უმჯობესია, ხომ მართალია?“

„რასაც საჭიროდ ვთვლი, იმას გამოვთქვამ... როგორც ახლა თქვენ წინაშე...“

სიჩუმე ჩამოწვა. გამომძიებელი შეაცბუნა თამაზის გულწრფელობამ. ვერ ამჩნევს, რომ დაკითხვამ ჩვეულ გეზს გადაუხვია, თანასწორთა საუბარს ემსგავსება თანდათან.

„ნუთუ უკვალოდ ჩაგიარათ რევოლუციამ? ნუთუ ვერ გასცდით დოსტოევსკის, რომლისთვისაც რევოლუცია საფრთხობელაა?“ თითქმის გულგრილად ეკითხება გამომძიებელი.

„ჯერ ერთი, დოსტოევსკისთვის რევოლუცია საფრთხობელა კი არ იყო, არამედ საფრთხე...“

„ეს განსხვავება უმნიშვნელოა“.

„სწორედ ეს განსხვავებაა მთელი დოსტოევსკი... მეორეც: ამ შენიშვნის შემდეგ ჩემი შეხედულება რევოლუციაზე ოდნავ შეიცვალა“.

გამომძიებელმა ყურები ცქვიტა: იფიქრა, ახლა კი მოვიდა ნანატრი სი-

ნანულიო. მოულოდნელად ეკითხება გახარებული:

„როგორ, მართლა?"

„რევოლუცია ჩემთვისაც საფრთხეა, ოღონდ კაცობრიობამ უნდა გაიაროს ეს საფრთხე... დოსტოევსკი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ზუსტად ამასვე იტყოდა".

გამომძიებელს ვერ გაუგია თამაზის სიტყვები. თამაზი განაგრძობს:

„უღმერთო კულტურა რევოლუციით თავდება".

ღმერთის ხსენება მთლად თავგზას უბნევს გამომძიებელს. თამაზი განმარტავს:

„რაც უფრო მაღლა გაივლის ეს კულტურა რევოლუციას, მით უკეთესი".

„ხოლო თვით რევოლუცია უღმერთობაა?" გაკვირვებით კითხულობს გამომძიებელი.

„სწორედ ეგაა მთავარი: რევოლუცია არნახულად წააქეზებს უღმერთობას, ხოლო შიშველი, უღმერთო ადამიანი ერთბაშად იგრძნობს სიცარიელეს და აღმაფრენით მოინატრებს დაკარგულს..."

„ღმერთს?".

„უთუოდ".

გამომძიებელს ეცინება. ვერ წარმოუდგენია, რომ განათლებულ ადამიანს ღმერთი სწამს. ბევრი კონტრრევოლუციონერი უნახავს, მაგრამ ასეთი — ჯერ არა. დაკითხვა ჩვეულებრივ საუბარში გადავიდა. თავისთვის ჩაილაპარაკებს:

„განათლებული კაცი და ღმერთი — ვერ წარმომიდგენია".

„ვერც წარმოიდგენთ, ამისთვის ორგანოა საჭირო".

„მაშ მარქსს, ლენინს ეს ორგანო არა ჰქონიათ? არც სტალინს?"

„მე მგონი, არა".

სტალინის ხსენებაზე გამომძიებელი გონს მოეგო. გაფითრდა და იგრძნო, დაკითხვა სწორი გზით არ მიდიოდა. თამაზმაც შენიშნა, რომ სტალინის სახელმა გამომძიებელი შეაკრთო: ეს ჩუმი და მშვიდი კაცი უეცრად აღელდა და მოიქუფრა, თითქოს [illegible] დარტყმა მიიღოო. თამაზმა [illegible], მოეჩვენა, რომ გპუ-ს მთელი შენობა სტალინის სუნთქვით იყო გაჟღენთილი, თვითონაც გაფითრდა. სიჩუმე ჩამოწვა. საუბრის ხალისი ორივეს დაეკარგოდა. გამომძიებელი ნერვიულად ეწეოდა სიგარეტს. თამაზმა სტალინის სურათს ახედა კედელზე. ხვლიკისთავა მათ შორის იყო და ურცხვად იღიმებოდა. გამომძიებელმა კვლავ დოსტოევსკის რომანი აიღო და ფურცვლას შეუდგა. უეცრად თვალში მოხვდა სიტყვა „ჯულა". თითქოს ყველაზე არსებითი დაავიწყდა და ახლაღა გაახსენდაო, თამაზს მიუბრუნდა:

„თქვენ ერთობ ხშირად ხმარობთ სიტყვას „ჯულა". რას ნიშნავს იგი?"

„ჩანს, ყველა ქართველს დავიწყნია ამ სიტყვის მნიშვნელობა. ჯულა რკინის წიდას ჰქვია — რასაც სხვები შლაკებს უწოდებენ".

„რკინის წიდა", შიშნარევი ჩურჩულით გაიმეორა გამომძიებელმა, შემდეგ თამაზს მიმართა: „თქვენ ისე ხმარობთ ამ სიტყვას, თითქოს ადამიანის გვარი ყოფილიყოს".

„არის კიდეც".

„ვისი გვარია?" გამომძიებელს საკუთარი შეკითხვისა შეეშინდა. ბუნდოვნად გრძნობდა, ვინ იგულისხმებოდა, მაგრამ რატომღაც მის ხსენებას უფრთხოდა. თამაზმა შეამჩნია ეს, განგებ გაუგრძელა შიში.

„თავად უნდა იცოდეთ, ვისი გვარია", გამომწვევად უპასუხა.

„ვისი?" კვლავ ჰკითხა გამომძიებელმა.

„თქვენი ბელადისა", მიუგო თამაზმა.

„ჩვენი ბელადისა?" გამომძიებელს გვარის წარმოთქმა არ სურდა.

„დიახ, თქვენი ბელადისა... მისი ქართული გვარი...?" ახლა თამაზი ეკითხებოდა გამომწვევად, დაცინვით.

„ჯუღაშვილი", ძლივს ამოღერღა გამომძიებელმა და შერცხვა, რომ ასე იოლად უპასუხა თამაზის შეკითხვას.

„დიახ, ჯუღაშვილი. შემოკლებით — „ჯუღა“.

თამაზის მხრით ეს მხოლოდ გულწრფელობა როდი იყო, არამედ სიმამაცე, რომელიც გპუ-ში ძვირად უჯდებოდა მამაცს. ამ სიმამაცემ რეტისაგან გამოარკვია გამომძიებელი. მტკიცე სახე მიიღო.

„თქვენ მისი ვერხოვენსკისთან შედარება გაბედეთ?“ რისხვით დაიღრიალა.

თამაზი ხედავდა: გამომძიებელმა წონასწორობა დაკარგა, მაგრამ არ შეიმჩნია, თითქოს ვერ ატყობდა გაბრაზებას. წიგნი გადაშალა, გადაფურცლა და ერთ ადგილზე მიუთითა:

„ხედავთ, რა წერია აქ?“

გამომძიებელმა წაიკითხა შენიშვნა: „ჯუღა 95 ქულას მისცემდა წინასწარ“. დოსტოევსკის მცოდნე სულ სხვანაირად გაიგებდა შენიშვნას, გამომძიებელი კი ერთობ სუსტად იცნობდა ამ მწერალს. 95 ქულის მიცემა ქებადაც კი მოეჩვენა, თუმცა ბრაზი მთლად ჯერ მაინც არ გაჰფანტოდა სახიდან.

„და კიდევ: ეს შენიშვნა 1920 წელს გავაკეთე; მაშინ, როგორც ალბათ მოგეხსენებათ, სტალინი ჯერ კიდევ არ იყო ბელადი“, დაუმატა თამაზმა.

დაბნეული გამომძიებელი ამ სიტყვებმა გამოარკვია. იგრძნო, ახლა კი მოიმწყვდია თამაზი, და სასწრაფოდ შეუტია:

„სწორედ ეგ ხდის საეჭვოდ თქვენს განცხადებას, თითქოს შენიშვნები 1920 წელს გაგეკეთებინოთ — მაშინ იყო ლენინი, იყო ტროცკი...“ ტროცკის ხსენებაზე ტუჩზე იკბინა, თითქოს რაღაც უსიამოვნოს ყლაპავსო. თამაზმა მეორედ იგრძნო შეცდომა, მაგრამ თავი შეიკავა; უეცრად იპოვა პასუხი:

„ეს ალბათ იმიტომ მოხდა, რომ მაშინ არც ლენინს ვიცნობდი, არც ტროცკის... ამ შენიშვნებში ხასიათზეა ლაპარაკი...“ და მოჰყვა, რა ხშირად შესწრებია სხდომებზე სტალინს ჯერ კიდევ რევოლუციამდე.

აქ შეწყდა დაკითხვა.

თამაზი კმაყოფილი იყო: გამომძიებელთან კარგად დაიჭირა თავ[illegible] -ში დააბრუნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გპუ-ს ხელმძღვანელობაში ამ დაკითხვისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ. ვილაცას მიერ დოსტოევსკის რომანის აშიებზე მიწერილი შენიშვნები — თუნდაც კონტრრევოლუციური — დაპატიმრების საფუძველს არ იძლეოდა. ამ შენიშვნებს შესაბამისი პიროვნების საიდუმლო curriculum vitae-ს დაურთავდნენ და მოგვიანებით, თუ მართლა რაიმე ცოდვას აღმოუჩენდნენ, დამატებით საბუთად გამოიყენებდნენ. მაგრამ ამ შენიშვნებში სიტყვა „ჯუღა“ ერია და ეს უფრო დიდი ცოდვა იყო, ვიდრე ყველა შენიშვნა ერთად. გპუ გრძნობდა, სტალინი იგულისხმებოდა. ოღონდ ამის გამო განგაშის ატეხა შეიძლებოდა ბრალმდებლისთვისაც სახიფათო გამომდგარიყო: სტალინი საშინლად იყო დახასიათებული, ხოლო მტკიცება თუ უეჭველი არ იქნებოდა, ე. ი. თუ „ჯუღა“ სტალინი არ აღმოჩნდებოდა, მაშინ თვით იმ თავგამოდებულს გაასამართლებდნენ, რადგან საერთოდ დასაშვებად ჩათვალა ამგვარი გაიგივება. უმჯობესი იყო საქმე ჩაეფარცხათ. მაგრამ კიდევ იყო ერთი გარემოება. მოსკოვში „ეშმაკთა“ ერთი ეგზემპლარი ეპოვნათ, რომელშიც ლამის სიტყვასიტყვით მეორდებოდა იგივე შენიშვნები. მოსკოვურ ეგზემპლარში მხოლოდ სიტყვა „ჯუღა“ არ ჩანდა, სხვაფრივ იგივე იყო. გპუ ეჭვობდა, რომ ამ ორ მკითხველს შორის მიმართება არსებობდა. და კიდევ: მოსკოველ კომენტატორს საეჭვო კავშირი აღმოუჩინეს საიდუმლო ორგანიზაციასთან, რომელსაც მიზნად სტალინის მოშორება ჰქონდა დასახული. თავისთავად ცხადია, თამაზი დააპატიმრეს. იგი, შესაძლოა, თეატრში წარმოთქმულ სიტყვასაც ველარ ეხსნა ახლა. ეს ყოველივე არ იცოდა თამაზმა, არც გამომძიებელმა.

საკანში დაბრუნებულ თამაზს სცენა შეცვლილი დახვდა. ხანში შესული კა-

ცი ბოლთას აღარ სცემდა, აღარც გამოუცნობ სიტყვებს ისროდა. ამის მაგიერ ქვითინებდა და ყვიროდა: „ველარასოდეს ვნახავ მას, ველარასოდეს ვნახავ მას!“ გივი გვერდით ეჯდა და ანუგეშებდა. თამაზს საკუთარი ეჭვისა შერცხვა: ასე მტირალი კაცი ჯაშუში ვერ იქნებოდა. ჩანდა, ბიჭის ნუგეში ჭრიდა კაცზე: მალე დამშვიდდა, თავი ბალიშზე მიდო და წყნარად ჩაიძინა. მას კულაკებთან კავშირი ბრალდებოდა. 60 წლისა იყო, მაგრამ არ ეტყობოდა, მკვრივი აგებულებისას მხრები ჯერ კიდევ გამართული ჰქონდა. დიდი ხნის ქვრივს ხუთი წლის წინ მეორე ცოლი შეერთო — თვრამეტი წლის გოგო, პირველ ცოლთან შვილები არ ჰყოლოდა, ამ ცოლთან კი ვაჟიშვილი გასჩენოდა. ეს ყოველივე გივიმ ჩურჩულით გაანდო თამაზს.

„რად ტირის?“ ჩურჩულითვე ჰკითხა თამაზმა.

„უცბად წამოუვლის ხოლმე“, მიუგო გივიმ, „ცოლ-შვილი გაახსენდება და, თითქოს ყელზე სამართებელს უსვამენო, ბღავილს იწყებს“.

თამაზი ჩაფიქრდა, მიხვდა: ეს თესლის ტკივილი იყო, სიცოცხლის ინსტინქტი; მისი სიშმაგე უმძაფრესია. მეტიც: თავად გრძნობდა ამ ტკივილს; ღრმად შეჭრილიყო მის არსებაში ნატას სიყვარული — ქალისა, რომელიც მის ნაყოფს ატარებდა. გამწარებული თამაზი ჯოხს დასწვდა და გადატეხა. გივიმ გაკვირვებით შეხედა.

ამ წუთიდან სულის სიმშვიდე დაკარგა თამაზმა. გივი იყო მისთვის ნათელი სიხარული, მაგრამ მისი უეცარი სევდა თამაზსაც ამძიმებდა და აბნევდა. ხანდახან გივი ხმადაბლა მღეროდა; ასეთ წუთებში ამომავალი მზის ნაწილი იყო. მაგრამ მზის ეს ნაწილი იფერფლებოდა, როცა ცის ნაგლეჯზე სარკმლიდან ფრინველს მოკრავდა თვალს. მაშინ თამაზი წიდას გრძნობდა გულში. გულს უგლეჯდა მოხუცის ბღავილი: „ველარასოდეს ვნახავ მას“.

თამაზს დახვრეტისა არ ეშინოდა — დიდი დანაშაული არ ჩა[illegible] მაგრამ სიკვდილის სუნთქვა [illegible] სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა. ძილში უცებ სული ეხუთებოდა, დაჭრილი მგელივით ხტებოდა ლოგინიდან, თითქოს ჰაერი უნდა ჩაესუნთქა ღია ცის ქვეშ. მაგრამ მისი ცა რვა კუბური მეტრით იყო შემოფარგლული ამჟამად. ამგვარი შეტევები გაუხშირდა. თამაზმა გაქცევით უშველა თავს; ზმანებებში ჩაიძირა და, თითქოს სხეულს გაშორდაო, უსაზღვრო სივრცეში გადასახლდა: მდინარეში ბანაობდა, მზის ამოსვლას უცქერდა, ცხენის ჭენებით უშორეს მანძილებს იტოვებდა უკან, მწიფე ნაყოფს წყვეტდა, ნატას მკერდს ეხვეოდა, სვანეთში ნებივრობდა. მისი სხეული ლოგინზე იდო, როგორც გველის მიტოვებული კანი. მაგრამ გველი აღარ უბრუნდება გაცლილ კანს. თამაზი კი უნდა დაბრუნებოდა. და სწორედ დაბრუნების წამს ტყვეობა მკვლელის დანასავით ესობოდა, თითქოს ძლევისათვის შურისძიება სურდა: იგი მის სხეულს აწამებდა, რათა აღარასოდეს ებანავა მდინარეში; თვალები ცრემლით ევსებოდა, რათა აღარასდროს ეცქირა მზის ამოსვლისთვის; მუხლები უთრთოდა, რათა ველარასოდეს შემოსალტოდა ცხენს; ხელი უხმებოდა, რათა ველარასდროს მისწვდომოდა მწიფე ნაყოფს; გული ეკუმშებოდა, რათა ნატას გულს ველარასოდეს შეჰხებოდა; მთელი არსება ეწამებოდა, რათა ველარასდროს შეედგა ფეხი მშობელ მიწაზე. მის ახლო უკვე სიკვდილი სუნთქავდა.

ეს სუნთქვა ბოლო ხანს უფრო გახშირდა „ბოროტი ტალღების“ გამო. ბოროტ ტალღებს საბჭოეთში კონტრრევოლუციური ძალების გამოღვიძებას უწოდებდნენ ქვეყნის შიგნით ან გარეთ. სახელმწიფო მართვა-გამგეობა მაშინ უფრო მკვეთრი ხდებოდა. ატმოსფერო სავსებით იცვლებოდა. მანქანები მიმოქროდნენ, საიდუმლო ტელეფონი მთელი დატვირთვით მუშაობდა. ყოველი კომუნისტი ახლა საუკე-

თესო ნაცნობსაც კი უნდო თვალით უყურებდა. გაზეთის კილოში რაღაც მუქარისებური კრთებოდა. სხდომებს სხდომებზე ატარებდნენ. რაღაც ხდებოდა, რაც ატმოსფერულად გადადიოდა საბჭოთა მოქალაქეზე. ეს ყოველივე ნაცნობი იყო თამაზისათვის. მაგრამ ახლაღა გაიგო, რას განიცდიდნენ ამ დროს გპუ-ს ტუსაღები. სადღაც გლეხები აჯანყდნენ და კოლმეურნეობები გაანადგურეს. მკაცრ ღონისძიებებს პირველად გპუ-ში იგრძნობდნენ. დღისით აქ სამარისებური სიმშვიდე სუფევდა, ღამით კი — ასე სამსა და ოთხ საათს შორის — შიშისმომგვრელი ხმები გაისმოდა: თითქოს ჩიტის გალიაში შემძვრალი გველი ხოხვით მიიკვლევდა გზას, ენას ასისინებდა, ნელ-ნელა აქანებდა თავს. ტუსაღები დამუნჯებულნი უგდებდნენ ყურს ამ ჩქამს. თითოეული ელოდა, რომ კარი გაიღებოდა და მას გამოიძახებდნენ. ყველამ იცოდა, რას ნიშნავდა ეს გამოძახება. გარეთ საბარგო მანქანა ღმუოდა. ვირთხები ცოცხლდებოდნენ, თითქოს მოახლოებული ლეშის სუნი წინასწარ იკრესო. ყველა იდუმალად გრძნობდა მოსახდენს. თვით ძილსაც კი ელვისებურად ხვრეტდა ინტუიცია, რომელიც ერთბაშად ანათებდა ყველაფერს. ტანი საშინელის სიახლოვეს უგრძნობდა. მომსპობი ხახა დაღებული იყო, ბნელი, გაუძღომელი. კიდევ ერთხელ ეწამებოდა დიონისე. ნაბიჯები დერეფანში ყრუ შიკრიკები იყვნენ სიკვდილის. ტუსაღები სულგანაბულნი აყურადებდნენ: მუდარის ხმები შემოდიოდა, ხანდახან მოკვეთილი გინება, ისტერიული ყვირილი, მოგუდული სლუკუნი, ფეხების ბაკუნი, ხანდახან ხრჩობის ხმა. მერე იყო პაუზები შემაძრწუნებელი: „გათავდა?“ საკუთარ თავს ეკითხებოდა გადარჩენილი და საბნის ქვეშ იგორგლებოდა. სხვა გამოიძახეს, მე გადავრჩი — ფიქრობდა ყველა გადარჩენილი და ცივ ოფლში ფარავდა სიხარულს. მაგრამ რამდენი ხნით? სიკვდილის ნადავლს რიგმა, შესაძლოა, ხვალვე მოუწიოს. გადარჩენილი საწოლს [illegible], — მაგრამ სიცოცხლე უკვე ჩამქრალიყო მასში.

ორჯერ გამოცადა თამაზმა ეს ცივი ოფლი. სიკვდილი სინჯავდა მას. გრძნობდა, შინაგანად დამახინჯდა. ერთხელ მისი საკნიდანაც გამოიძახეს ვიღაც. მოხუცს უხმობდნენ. გივი წამოხტა, მოეხვია მტირალს, მკლავები და მკერდი დაუკოცნა. „ველარასოდეს ვნახავ მას“, ბღაოდა მოხუცი. დარაჯმა გაჩუმება უბრძანა. თამაზი ემშვიდობებოდა სიკვდილმისჯილს, — მაგრამ ტანში თვითონ ეჯდა სიკვდილი. მოხუცმა თამაზის შეხებაში წუთით რაღაც უცხო იგრძნო; სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ არ დააცადეს. დერეფნიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმა: „მიხედე ჩემს ცოლ-შვილს“. ჩანს, გივის გასაგონად იყო ნათქვამი.

მეორე დღეს მრავალი ამანათი დააბრუნეს. ეს საშინელი ნიშანი იყო. ერთ მნახველს წვნიანით სავსე ჯამი გაუვარდა ხელიდან. ჯამი ქვის იატაკზე დაიმსხვრა, მისმა წკრიალმა მოწყვეტილი შეკივლება გააგრძელა. წვნიანი ფილებზე დაიღვარა. მომტანს ტუჩებზე ლანძღვაგარეული სიგიჟის დუჟი მოადგა. ახალგაზრდა ქალი იყო, ხელში ბავშვი ეჭირა; ბავშვიც ატირდა, არ იცოდა რატომ.

არა, ადამიანის შექმნილი არ უნდა ყოფილიყო გპუ, ფიქრობდა თამაზი.

## XIV

## იშთარის ვნებანი

ნატა ქობულეთში ისვენებდა.

მთვრალი ზღვა თვლემდა. ქალის ყურთასმენას ტალღების ხმაური კვეთდა — მშვიდი და მძლავრი. უტკბესი ვნებისგან გათავისუფლებული, მძიმედ და დუნედ გაშხლართულიყო უსხეულო ბრმა საფრთხობელა. ქალი დაიხარა, ფრთხილად აიღო თეთრი ნიჟარა, ნაზად მიიდო მარცხენა ყურზე: ნიჟარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში წარსული ტალღების ათასწლოვანი ხმაური ჩარჩენილიყო. მოჯადოებული ჩუმად იდგა ქალი, ნადირივით განაბული. თვალები ლურჯად ჩამუქებოდა. ჯერ გამოუცდელი კრძალვით მიუახლოვდა ზღვას, მიბნედილი მზერა რბილად მოავლო წყლის ზურმუხტისფერ შრეებს. უკვე რამდენჯერ გაუსინჯავს მის ტიტველ ტანს ლურჯი ჩქერები, ყოველ ჯერზე წყლის ათასობით ბრწყინავი თვალი ასხდებოდა კანზე, ყოველ თვალში ბნელი უძირო წიაღი ირეკლებოდა. ქალმა ბუნდოვნად იგრძნო სულიერი ნათესაობა ზღვასთან, თითქოს მარადიული ტალღის ნაწილი ყოფილიყოს, ოდესღაც მის წიაღს მოწყვეტილი. ქალს საკუთარი ნება დაჰკარგოდა: ყველა სურვილი, მასში ჩასახული, სხვისი ეგონა, მაგრამ უსასრულოდ ტკბილი იყო ეს სხვა. ნახევრად დახუჭულ თვალებზე მუხის მძიმე ფოთოლივით გამაბრუებლად ეფინა სიმშვიდე, ტკბილი ზმანებებიდან გამოერკვა და აუჩქარებლად ჩაუყვა ნაპირს. ტერფები ცხელ კენჭებს ეხებოდა, მოგორებული ტალღების ხარბი ბაგეები მის ნატიფ შიშველ წვივებს კოცნიდა. ქალმა თავი დახარა. მზე ვნებით იწვოდა. ქალი დარეტიანდა უცნაურად: თითქოს მარადიული ტალღის ღვთიური რიტმის გარდა სხვა არაფერი სცნობოდეს ამქვეყნად.

ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. ყველა ხარობდა. ქალიც. მასში ნაყოფივით ყვაოდა სიყვარული, ფეხმძიმედ იყო თამაზის სიყვარულისაგან. მზისგან დათვრალი ტროპიკული მუხის ფოთოლივით ნავარდობდა სასიყვარულო გრძნობებში. უსასრულოდ ენატრებოდა თამაზი, მაინც არ იტანჯებოდა: ყველგან თვალწინ ედგა მიჯნური.

საღამოს შეიტყო, თამაზი დაეპატიმრებინათ. უფსკრულის პირს ჯოგი მიუყვება, ერთი პირუტყვი ფრთხება და უფსკრულში გადაეშვება. შიში ერთბაშად მთელ ჯოგს ედება, ნამდვილ კატასტროფად იქცევა. ასე შეიჭრა ქალში თამაზის დაპატიმრების ცნობა. იგრძნო, რაღაც გაიპო მასში. მზით სავსე მარცვლის დამსხვრევას ჰგავდა. ქალს სხეული შეეხუთა. შემზარავი სიცარიელე იყო გარშემო. ტროპიკულმა მუხამ მზის სიკვდილი იგრძნო უეცრად. იმავე ღამეს ნატა სასწრაფოდ გამოემგზავრა თბილისს. ეს თავშეკავებული და ძლიერი ქალი ერთბაშად აღეგზნო და აფორიაქდა, თითქოს მზის ურგებს მთვარეც დაეკარგოს. მართლა რომ სწვეოდა სიკვდილი, ქალი მხოლოდ ერთხელ გამოცდიდა უფსკრულს, თუნდა გამანადგურებელს. აქ კი სხვაგვარად იყო: სიკვდილი უახლოვდებოდა, კვლავ შორდებოდა. ეს მოქცევა და მიქცევა ფლეთდა ქალს.

ნატა ყოველდღე გავლენიან ხალხთან დადიოდა, თამაზისათვის დახმარებას ითხოვდა. მშვენიერ ქალს ყველა შემწეობას ჰპირდებოდა, მაგრამ დანაპირები არ ჩანდა. ბოლოს გადაწყვიტა ბერზინისთვის ეთხოვა. ტელეფონით დაურეკა. მეორე დღეს 12 საათზე უკვე მის სამუშაო ოთახში იყო. ყველაფერი მოკლედ აცნობა ამ ცივსა და პირქუშ მამაკაცს. ბერზინმა თავაზიანად მოუსმინა, შეგიძლიათ მშვიდად იყოთო, უთხრა: „თუ, როგორც თქვენ ბრძანებთ, არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, მაშინ გაათავისუფლებენ“.

„მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის“, სასწრაფოდ ჩაურთო ნატამ.

„თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ“, გააგრძელა ბერზინმა, თითქოს ნატას ბოლო სიტყვები არც კი გაეგონოს, „რომ გპუ-ში გაუგებრობას ადგილი არა აქვს“.

„უთუოდ გაუგებრობაა“, თქვა ნატამ.

„შევეცდები ყველაფერი გავარკვიო“, მიუგო ბერზინმა.

ნატა ცოტა დამშვიდებული დაბრუნდა. ბერზინის სიტყვები გულწრფელი იყო და დამაჯერებელი. ნაშუადღევს ბერზინი იმ გპუ-ელს შეხვდა, რომელმაც დოსტოევსკის „ეშმაკნი“ გადასცა შენიშვნების შესამოწმებლად. ბრეგაძეც მათთან იყო. ბერზინს სურდა ირიბად შეხებოდა საკითხს. განგებ დიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანს ელაპარაკა ბრეგაძეს. საუბარი ისე მარჯვედ წაიყვანა, რომ თამაზის სახელი პირველად ბრეგაძემ ახსენა. თამაზის დაპატიმრების შესახებ რაიმეს გაგება ბერზინისათვის ახლა უფრო იოლი იყო. გპუ-ელი დუმდა.

„ალლო გქონია“, მიმართა ბრეგაძემ ბერზინს. „გახსოვს, რა თქვი კოჯორში იმ მწერალზე, ცხენის გატყავების ამბავს რომ ჰყვებოდა?“

„მახსოვს“, ჩაიცინა ბერზინმა.

„ძნელი გასაგები იყო, ხალხთან ერთად აგზნებული ისიც მხარს უჭერდა ცხენის გატყავებას თუ ცხოველად ქცეულს თვითონ ხალხის დახრჩობა სურდა“, ბრეგაძემ სიცილით დაიმოწმა მისი სიტყვები.

„ახლა აღარ უნდა იყოს ძნელი გასაგები“, ყალბი ღიმილით დაუმატა ბერზინმა.

ახლა კი გპუ-ელიც ჩაერთო საუბარში, ოღონდ ფრთხილად.

„ისე, რაზე დააპატიმრეთ?“ მიამიტად იკითხა ბრეგაძემ.

„ბერზინს ჰკითხე, მან უკეთ იცის“, უპასუხა გპუ-ელმა.

„როგორ?“ გაუკვირდა ბერზინს.

„გახსოვს დოსტოევსკის წიგნი შენიშვნებით?“ ღიმილით ჰკითხა გპუ-ელმა.

„მართლა?“ და ბერზინსაც გაეღიმა.

ამით დამთავრდა საუბარი თამაზზე. დაპატიმრების სხვა მიზეზები გპუ-ელს არ დაუსახელებია. ბერზინს გაუხარდა, რომ თამაზის ბრალი მხოლოდ შენიშვნებს უკავშირდებოდა. ეს რომ დიდი დანაშაული არ იყო, ბერზინმა, როგორც ძველმა გპუ-ელმა, კარგად იცოდა. თამაზს რამდენიმე თვე გააჩერებდნენ და გამოუშვებდნენ. შესაძლოა, გათავისუფლების დაჩქარებაც მოხერხდეს, გაიფიქრა ბერზინმა.

საღამოს ნატასთან მივიდა და ყველაფერი შეატყობინა. თან მიანიშნა, რომ ყოველივე მათ შორის უნდა დარჩენილიყო. ნატას ძლიერ გაუხარდა. სიხარულს ბერზინის ნდობა კიდევ უფრო აძლიერებდა. ქალი გალღვა, უსიამო თვისებები, სხვა დროს რომ მუდამ ახასიათებდა ბერზინს, ახლა გამქრალიყო. მეტიც: ამ ცივ, პირქუშ კაცს რაღაც სითბოც კი ჰქონდა. ბერზინმა შეამჩნია, რომ შთაბეჭდილება მოახდინა, ქალთან უფრო თავისუფლად დაიჭირა თავი. ეს ქალი წვავდა. იგი იყო ერთადერთი მოვლენა, რომელსაც სიცოცხლის მისეულ მკაცრად ნაგებ მატერიალისტურ გაგებაში არევ-დარევა შეჰქონდა. ნატას ვერც ერთ ჩვეულ ნორმაში ვერ ათავსებდა. ეს უფრო აღიზიანებდა. დამშვიდობებისას ხელზეც კი აკოცა. ისე მოქნილად გამოიჩინა თავაზიანობა, ნატას მისი უხერხულობა არც კი შეუმჩნევია. ბერზინმა იცოდა: ამ ოთახში არ იყო ის — ყველგან ჩასაფრებული თვალი.

ამ დღიდან მოყოლებული ხშირად ხედავდნენ ერთმანეთს. ნატას სჯეროდა: ბერზინი — თუკი მოინდომებდა — ყოველგვარ საფრთხეს ააცილებდა თამაზს. ნატას ამ რწმენას ბერზინი მუდამ სიცილს აგებებდა, ოღონდ ისე, რომ რწმენა ოდნავადაც არ შეერყია, პირიქით. მისი ქცევა სულ უფრო თამამი გახდა. ქალი ამჩნევდა, ბერზინს ძლიერ მოსწონდა. თამაზის სიყვარულზე ფიქრობდა და ამ სიმპათიას ჩხვლეტასავით განიცდიდა. მაგრამ რას არ გადაიტანდა თამაზის გულისთვის? საკუთარ ქალობასაც კი შესწირავდა მას. იქნებ სწორედ ამას ელის ბერზინი? უნდომლად ეკითხებოდა საკუთარ თავს. სირცხვილით გაურბოდა ამ კითხვის პასუხს. ბერზინს საზღვრისათვის არ გადაუბიჯებია, თუმცა ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო რაღაც არაჩვეულებრივი ჩაედინა. ქალი მტრულად არ ხვდებოდა მის გამოზომილ გამბედაობას, თავისთვის იყო, ადვილად ლბებოდა, ლამის ნებდებოდა. ასეთ წუთებში მამაკაცური და დედაკაცური ტალღები ერთმანეთს ეხებოდა, ქალს ეს არ სწყინდა. ბერზინმა შეამჩნია, მაგრამ გადამწყვეტ ნაბიჯს არ დგამდა.

თამაზის გათავისუფლება იგვიანებდა. ნატა დადარდიანდა, აირია. მწყურვალე ძუ მგელივით გაუშრა ყელი. ქალი მი-

წას ჰგავდა, გამომშრალს, გამხმარს, დამლბობ წვიმას მონატრებულს. ნატა იყო იშთარი, რომელმაც დაკარგა თამუზი. იშთარივით ქვესკნელში უნდა ჩასულიყო, რათა თამაზი გადაერჩინა. აქ პირველად შეამჩნია, რომ მისი მიჯნურის სახელი ბაბილონელი გმირის ქართული სახესხვაობა იყო, გაუხარდა. იშთარად უნდა ქცეულიყო, ყველა საბურველი ჩამოეხსნა, გაშიშვლებულიყო, დამდაბლებულიყო, მრავალი ავადმყოფობა აელო თავზე, რათა ბნელეთიდან გამოეხსნა მიჯნური. მაშინ მიიღებდა მიწა დამლბობ წვიმას, მაშინ აყვავდებოდა მისი მკერდი, მაშინ მოიწევდა მოსავალს, მაშინ აივსებოდა მტევნები. ხბო კვლავ მიიღებდა პირველყოფილ ძალას, ძროხის ჯიქანი კვლავ გაივსებოდა რძით. ჰო, ნატა იშთარი უნდა გამხდარიყო. ამასთანავე, რაღაც ბნელი და გაურკვეველი იზიდავდა ბერზინში.

ქალი სკამლოგინზე იწვა, მზისფერ ატლასში გამოწყობილი. ერთ კუთხეში დიდი თაიგული იდგა, ყვავილები ლამის გრძნობიერად ეკვროდნენ ერთმანეთს. განიერ ტახტზე მიმოფანტულ ბალიშებსა და მუთაქებს ცხელი სხეულის მიკარების კვალი აჩნდა. კედელზე დიდი ქაშანური ნოხი ეკიდა, ნოხზე — ირმის რქები, ხანჯლები და სატევრები. ტახტის წინ პატარა მრგვალი მაგიდა იდგა ხილით. მოპირდაპირე კედელზე დიდი სარკე, რომელშიც ნებიერად გაშხლართული ქალი ნახევრად მოჩანდა. ქუჩის მხარეს ორი ფანჯარა იყო, ორივე დაბალი და განიერი. მათ შორის კარი, პატარა აივანზე გამავალი. ფარდები ნარინჯისფერი. ფეხქვეშ სირბილე იგრძნობოდა, ჰაერში — სიმშვიდე. ქალი ტახტზე მოკალათდა, ბალიშებზე მიწვა ნაზად. ბერზინი რბილ დაბალ სავარძელში ჩაშვებულიყო, ქურდულ მზერას არ აშორებდა ნატას მოთენთილ ტანს. აკვირდებოდა ქალს — თითქოს სხეულიდან ბრდღვიალა მზე ამოდიოდა. ქალი უთვალო მცენარეს ჰგავდა, მთვლემარესა და მწყურვალს, ბრმადმხედველს. ბერზინი გაბრუვდა, ლითონივით მოელვარე თვალებ[illegible] ორიოდ სიტყვა გადაუკრეს ერთმანეთს, ორიოდ ქარაგმული წინადადება. კაცი წამოდგა, ქალის საბრძანებელს მიუახლოვდა, ბანგიანი მზერა შემპარავად გასრიალდა საამოდ მიბნედილ სხეულზე. ხელი ხელისკენ გაცურდა. თავი ნელ-ნელა დაიხარა და ტუჩები ქალის შიშველ მკლავს შეეხო. შემკრთალი მკლავი შეტოკდა, უკუიქცა, მაგრამ არც ისე ძლიერად. კაცის მოწიწება გატყდა. ქალი ტკბილ ნისლში გახვეულიყო... კაცის ტუჩები მისას მიეკრა. თითქოს მთვარე დასცემოდეს თავზე — ოჰ, ნეტავ მზე ყოფილიყო, ინატრა ქალმა. კიდევ ერთი წამი ყოყმანის — ბედის ბორბლის დატრიალება, ერთი წვეთი — სამყაროს ამოძრავება. ამ წამს იცნობს ტყის ნადირი ანდა რომელიმე ნაპოლეონი. წინდაუხედაობა აქ მარცხია იგივე. ბერზინი დაათრო ქალის სურნელებამ, მისი ნება აალდა. ქალმა იგრძნო კაცის სხეული — მზით გახურებულ მუხასავით ცხელი. თავი დაკარგა. ახლა მხოლოდ ქალი იყო, უპიროვნო, მიწიერი; ნელ-ნელა, ტალღისებურად აღეგზნო სხეული, უკანასკნელისთვის, უტკბესისათვის მოემზადა. პიროვნება ქრებოდა, ქალი გზნება იყო მთლად. კაცი ზედ დააწვა, მხურვალე ტუჩებით ავხორცული, ურცხვი სიტყვები ჩასჩურჩულა ყურში. ქალს გააყრუოლა, ერთიანად ცეცხლმოკიდებულს. რამდენიმე წუთმა გაიარა, კაცი შუბლზე ემთხვია ქალს და უჩუმრად გავიდა ოთახიდან.

ქალი იწვა აქოშინებული, შერცხვენილი, შეურაცხყოფილი. ალმური ედებოდა. უკანასკნელი რომ მომხდარიყო მათ შორის, დაცემად არ მიიჩნევდა მომხდარს. მაგრამ ასეთ საქციელს საყვარელსაც ვერ აპატიებს ვერც ერთი ქალი. ნატა განრისხდა. კიდევ რაღაცამ შეაკრთო: კაცს სისუსტე არ გამოუჩენია, პირიქით, სიძლიერეც კი გამოავლინა. ვარვარებამდე მიიყვანა ქალი და უცებ ცივად მიატოვა. აი, ამ უპირატესობამ დაჯაბნა ნატა, მართლაცდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააუპატიურა. ცოფმორეულ ძუ მგელს დაემსგავსა, მის თვალებში სატევარმა იელვა. რამდენიმე საათს იწვა ასე. ნელ-ნელა დაუბრუნდა თავს: უპიროვნო დედაკაცი სადღაც მასშივე გაუჩინარდა, კვლავ ნატა გამოჩნდა, მისი ნამდვილი მე. ახლა არია თამაზის სიყვარულმა. შინაგანად თუ აქვს უფლება, თამაზის გადარჩენას თავისი ქალობა ანაცვალოს? ჩაფიქრდა, სანუგეშოდ ეგვიპტელი ნეითის სიტყვა გაიხსენა: „ჩემი საბურველი არავის აუხდია“. არ აუხდია? — ესე იგი, სავსებით არ მისცემია კაცს, მხოლოდ ზედაპირს ეხებოდნენ მისას. ნატასაც შეეძლო მხოლოდ ასე, გარეგნულად მისცემოდა ბერზინს. ქალმა თავი დაიმშვიდა, თავისი საქციელი გაამართლა. თამაზის გადარჩენასთან ეს გარეგნული მსხვერპლი არც იყო სახსენებელი. იშთარმა თამუზის დასახსნელად სავსებით შეწირა თავი; გაშიშვლდა, დამდაბლდა, ყოველგვარი სატანჯველი იდვა თავს. თავის გამართლება საყრდენს პოულობდა აქ. მაცთუნებელი აზრი ეწვია უცებ: იშთარი მსხვერპლად ეწირებოდა თამუზს, მაგრამ ტანჯვის გარდა კი განიცდიდა სხვას რასმე? ნატა გაფითრდა: ბერზინთან განა აფროდიტული სურვილი არ იგრძნო? საკუთარი დედაკაცური ალტყინების შერცხვა. მართალია, სიყვარული არ იყო აქ, რადგან სიყვარული პიროვნებისკენ მიმართულ გრძნობას გულისხმობს უპირველესად, ბერზინი კი ამ აზრით პიროვნება არ იყო მისთვის. მაგრამ სწორედ უპიროვნობა ამ კაცისა ხომ სიამოვნებდა და იზიდავდა? ქალი თავის ბნელ დემონს ეომებოდა. ნატას არსებაში მისი მე დედაკაცურს — სტიქიურსა და უპიროვნოს — ებრძოდა. დროდადრო ამ ბრძოლაში დედაკაცი იმარჯვებდა, მაშინ ნატა ძველ კითხვას უბრუნდებოდა: რად მიატოვა კაცმა სწორედ იმ წამს? იქნებ ისეთი რამ იგრძნო ქალში, რამაც სურვილი დაუკარგა — უმცირესი, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ხშირად ყველაზე გადამწყვეტი: ხანდახან მხოლოდ სუნი, მოძრაობა. შეუძლებელია, ფიქრობდა ქალი; ნუთუ ისე მოუჩილუნგდა ინსტინქტი, კაცს უხალისობა ვერ შეატყო? არა, აქ სხვა რამ უნდა იყოს, ფიქრობდა ნატა.

ბერზინმა კი სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ ნატასთან სიარულს მოუხშირა. ქალს ვერაფერი გაეგო, სიარულს მაინც ვერ უშლიდა: სწამდა, რომ თამაზის ბედი ბერზინზე იყო დამოკიდებული. ბერზინი კვლავ მორიდებით და თავშეკავებით იქცეოდა, საზღვარს არ გადასცილებია, თითქოს არაფერი მომხდარიყოს მათ შორის. ნატა დიდად აფასებდა ამას. ერთი თვე გავიდა, ისევ განმეორდა იგივე სცენა: კაცმა ამჯერადაც სურვილის მოკვლის წინ დატოვა ქალი. ნატა ტახტზე იწვა, კვლავ შერცხვენილი და პატივაყრილი. როცა გონს მოეგო, განრისხებულმა იგრძნო: ველარ მიიღებდა ბერზინს. საქმის ვითარების გამორკვევას ხომ არ შეუდგებოდნენ ერთმანეთში. უეცრად მაგიდაზე ქაღალდის ნაგლეჯი შენიშნა. ბერზინის ხელი იყო. წერილი გრძელი არ იყო: „თქვენ მხოლოდ სხვის გამო მეძლევით. ეს არ არის სიყვარული. ამის მიღება არ შემიძლია. თამაზზე ნუ იდარდებთ“. ნატა ძლიერ გაოცდა, თავგზა აებნა, ვერც მას გაუგო რამე, ვერც საკუთარ თავს. ამ კაცის კეთილშობილება მის ძალას ორმაგად ზრდიდა. ქალის თვალში ბერზინი რაინდს გაუტოლდა — ცივი და პირქუში, მაგრამ მომაჯადოებელი.

სინამდვილეში ბერზინის ამგვარი ქცევის მიზეზი სხვა იყო. მას მხოლოდ რევოლუციისა და რევოლუციური ბრძოლებით მოგვრილი ნეტარებისა სწამდა. ქალსაც მოაქვს ნეტარება, მაგრამ რევოლუციას ვერ შეედრება, ფიქრობდა იგი. ვერც ერთი ქალი ვერ ჩააგდებდა ნაპოლეონს ისეთ თავბრუდამხვევ ექსტაზში, როგორც ეგვიპტის ექსპედიცია. მაგრამ ამ ექსტაზისათვის ძლიერი ნებისყოფაა საჭირო. მცხუნვარე რკინას ცივ წყალში უშვებენ, რათა ხმლის პირი უფრო გამაგრდეს. ნე-

ბაც ასევე უნდა გამოიწრთოს, ფიქრობდა ბერზინი. ამისთვის იყენებდა ქალს. სატანისებურ სიამოვნებას განიცდიდა, როცა მისგან ანთებული, ალმოდებული ქალი უკანასკნელი ექსტაზური წვეთის მისაღებად ყვავილივით იშლებოდა. საკუთარი სხეულის ცეცხლიც აბრუებდა. მაგრამ უკანასკნელ საზღვართან, მწველთან და ბასრთან, იქ, სადაც ორი ელემენტი ერთმანეთში გადადის, რათა სამყაროს ნაწილად იქცეს, იქ, სადაც მიჯნა და უფსკრულია და ორივე გბანგავს — ვინ შეძლებდა იქ შეჩერებას? რომელი კაცი ჩააგდებდა მცხუნვარე რკინას ცივ წყალში აქ? ვერც ერთი. და თუ რომელიმე შეძლებდა? მაშინ მძლეთა მძლეველი იქნებოდა, რადგან სქესს სძლია, უძლიერესს ამქვეყნად; სძლია არა ასკეტიზმით, არა სქესის მოკვდინებით, არამედ თვით მისი ამოქმედებით. აი, საით იყო მიმართული ბერზინის დემონური აზრი. მძლეველობა იყო მისი ერთადერთი მიზანი, სხვა არაფერი. ამისათვის ნატა აირჩია. შიშობდა, რომ ვერ გაუძლებდა ნატას, რადგან იგი შეუდარებელი იყო ქალთა შორის, მაგრამ სწორედ ეს ყველაზე მეტად აქეზებდა. შეუდარებელი იყო მისი ფარული გეგმაც რევოლუციურ ბრძოლაში — ამიტომ ნატასთან ამოწმებდა თავს. მან გაიმარჯვა. ერთი რამ იყო კიდევ: სადღაც გაეგონა, ამგვარი თანაცხოვრება ადამიანის ოკულტურ ძალებს ზრდისო. „თესლის გარდასახვა ათავისუფლებს, ალაღებს სხეულს“, ასე წერია ჩინელთა „ოქროს ყვავილში“. ლეგენდის მიხედვით, ოსტატმა პონგმა 880 წელი იცოცხლა, რადგან მოსამსახურე გოგონებს იყენებდა სიცოცხლის გამოსაკვებად. ბერზინს ეს ხშირად უცდია რუსეთში. ალმოდებული ქალი ტალღებად ასხივებდა ენერგიებს. თუ ჩვეულებრივი ამბავი მოხდებოდა, ქალის გამოსხივებულ ძალებს კი მიიღებდა, მაგრამ საკუთარს დაკარგავდა ხოლმე. მას სწამდა მისტიური ცოდნისა, რომლის მიხედვით, ეაკულაციის დროს პიროვნება იკლებს და ირღვევა. აქ კი ნატასთან, ამ თანამედროვე ამორძალთან, ბერზინი გამარჯვებას ზეიმობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მომავალი გამარჯვების გემოს სინჯავდა. ვის ან რას გულისხმობდა, ბერზინის გარდა არავინ იცოდა. ვერ შენიშნა მხოლოდ, რომ მიწიერ ძალებთან ერთად ნატასგან სულიერი არისტოკრატობის ტალღებსაც იღებდა — მისთვის ეს სილბოს ანუ სისუსტეს ნიშნავდა.

## XV

## მკრთალი ნაკვალევი

თამაზი კიდევ რამდენჯერმე დაკითხეს. ამასობაში გამომძიებელი შეუცვალეს, უფრო მტკიცე და გამოცდილი დაუნიშნეს. ვერც ამან იპოვა რაიმე კავშირი თამაზსა და მოსკოველ ავტორს შორის. ამ დროს მოსკოვის გპუ-ში იმ ავტორის დაკითხვა მიმდინარეობდა: აშკარა სამხილი იქაც არ ჩანდა. გპუ-ში უკვირდათ: როგორ მოხდა, რომ ორმა სხვადასხვა ავტორმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თითქმის ერთი და იგივე შენიშვნები დაურთო ერთსა და იმავე წიგნს? ეს განსაკუთრებით ტფილისელ გპუ-ელს უკვირდა. ხშირად ნახულობდა ბერზინს. ეგონა, რომ უკანასკნელს დოსტოევსკის ბუნდოვანი საკითხების სწორი ახსნა შეეძლო. ბერზინი თავადაც ესწრაფოდა მასთან შეხვედრებს. არც ერთს არ სურდა პირველი შეხებოდა მთავარ საკითხს, თუმცა დახელოვნებული გპუ-ელები იყვნენ და საიდუმლოს ორივე კარგად ხვდებოდა. ერთხელ ბერზინმა მალულად ჰკითხა, ქართულად ჯულა რას ნიშნავსო: იმ წიგნში ხშირად იხსენიებაო, ისე დაუმატა, თითქოს სულ შემთხვევით გახსენებოდეს. ამას ელოდა გპუ-ელი. სიტყვა სიტყვას მიება და მალე საუბარში თითქმის შეუმჩნევლად თამაზის საქმე ამოტივტივდა. გპუ-ელმა მხრების აჩეჩვით მოსკოვის საქმეც ახსენა: იქ იმავე რომანის ერთი ეგზემპლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპოვიათ თითქმის იმავე შენიშვნებით; მოსკოველი ავტორის კავშირზე საიდუმლო ორგანიზაციასთან კრინტი არ დაუძრავს. „არაფერია გასაკვირი“, უპასუხა ბერზინმა, „ორ ნამდვილ ლენინელს ხომ შეუძლია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთი და იგივე შენიშვნები დაურთოს ერთსა და იმავე წიგნს?“ გახარებული გპუ-ელი გაოცდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ყველაფერი ნათელი გახდა: თამაზს კავშირი არ ჰქონდა მოსკოველ ავტორთან.

ასე მოეხსნა თამაზს, ბერზინის წყალობით, მთავარი ბრალდება. მაგრამ ჯერ მაინც არ ათავისუფლებდნენ: ჩანს, ეჭვობდნენ, რომ კიდევ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო სამხილები მის წინააღმდეგ.

თამაზი კედლისკენ გადატრიალდა. უეცრად წარწერა შენიშნა. ფანქრით მიეწერათ: „სად ხარ, ღმერთო?“ თამაზმა წაიკითხა, მოიღუშა. ვინ უნდა იყოს ამ წარწერის ავტორი. ცოცხალია თუ... თამაზმა აღარ დაასრულა შეკითხვა. თვალწინ ადამიანი წარმოუდგა: ეული და უმწეო. მაგრამ ღმერთი? თამაზის ფიქრი შემაძრწუნებელ საიდუმლოებას სწვდებოდა: ვინ იცის, იქნებ ისიც ეულია? ისიც ხომ იტანჯება. თამაზმა ბალიშში ჩარგო თავი, ტკივილი იგრძნო. ეს არ ჰგავდა ხორციელ ტკივილს, არც სულიერს. გივი აღარ ღიღინებდა. სიჩუმე საკანში უფრო დამძიმდა.

თამაზმა გონებაში ჩამოთვალა ყველა თავისი სიტყვა და საქციელი, რომლებიც შეეძლოთ საბჭოეთის წინააღმდეგ მიმართულად შეერაცხათ. ყველაფერი თქვა დაკითხვაზე? ერთი რამ დამალა. რამდენიმე თვის წინ კინოექსპედიციაში იყო ბათუმში. იქ პარიზიდან ჩამოსულ ქართველ ემიგრანტს შეხვდა ფარულად, ყოფილ მეგობარს, რომელიც საიდუმლო პოლიტიკური მისიით მოევლინებინათ საქართველოში. ეს შეხვედრა არ უხსენებია, რადგან დარწმუნებული იყო, გპუ-მ მის შესახებ არაფერი იცოდა. ავდრიანი დღე იყო და ზოგს ყაბალახი ეხურა თავზე; მესაც ყაბალახი მოეხვია; ხაკის ძველი პალტო ეცვა; ასე ვერავინ იცნობდა. მეგობართან საუბარი სამ საათს გაგრძელდა. ამის შემდეგ დესპანი უკანა კარიდან წავიდა, თამაზი კი მთავარი შესასვლელიდან გამოვიდა. უკვე დაღამებულიყო, ფრთხილად მიმოიხედა, უეცრად კუთხეში მისკენ მომავალი საეჭვო ლანდი შენიშნა. საბედნიეროდ, ეტლი გამოჩნდა. სწრაფად მოიხმო და ჩაჯდა. სასტუმროში მიდიოდა, მაგრამ მეეტლის თვალის ასახვევად შორიახლოს ჩამოხდა ერთ ვიწრო ქუჩაბანდში. ამრიგად, თავი დააღწია მდევარს. თამაზს სჯეროდა, რომ გპუ-ს ქსელებს დაუძვრა. და კიდევ ერთი: იმ შეხვედრის შემდეგ რამდენიმე თვე ისე გავიდა, არაფერი მომხდარა. აქედან დაასკვნა, რომ ვერ იცნეს მაშინ, თორემ ვინ დააყენებდა ამდენ ხანს. ახლა უმჯობესი იყო, დაემალა ეს ამბავი. მით უმეტეს, რომ დესპანს ლევანის თანდასწრებით ესაუბრა. ახლა ლევანიც გპუ-ში იჯდა და ამ ამბის გახსენებას შეიძლება დიდად ევნო მისთვის.

მაგრამ იყო ერთი წვრილმანი, რომელიც არ იცოდა თამაზმა. საეჭვო ლანდმა მაშინ ეტლის დაწევა სცადა, მაგრამ ვერც ეტლი იშოვნა, ვერც ავტო. ოღონდ თამაზის ეტლის ნომერი კი დაიმახსოვრა: 27. მეორე დღეს მეეტლე გპუ-ში გამოიძახეს და დაკითხეს. მან განაცხადა, მგზავრის ვინაობა არ ვიცი და ვერც ხელმეორედ შეხვედრის შემთხვევაში ვიცნობ მას, რადგან იმ საღამოს სახეს ყაბალახი უფარავდაო. სასტუმრო „ფრანსის“ მახლობლად ჩამოხდაო, თქვა. მეტი არაფერი? ჰკითხეს მეეტლეს, რომელმაც ისღა დაუმატა, იმ ღამეს სხვა არავინ წამიყვანია, დილით კი ეტლში ლითონის სანთებელა ვიპოვეო. გპუ-ში ყურები ცქვიტეს. მეეტლისთვის ჩამორთმეული სანთებელა სასტუმროს შვეიცარს გადასცეს და დაავალეს ყველა სტუმრისათვის ეჩვენებინა. სანთებელა თამაზსაც აჩვენეს. მან იცნო საკუთარი ნივთი. ახლა უცნობი

უცნობი აღარ იყო გპუ-სთვის. მაგრამ მაშინვე რომ დაეპატიმრებინათ, საიდუმლო დესპანი უფრო გაფრთხილდებოდა. გპუ-ს კი სურდა, ერთ ხანს ხელის შეუშლელად დაჰკვირვებოდა, რათა ხელთ ეგდო ძაფები, რომლებსაც იგი აბამდა. რამდენიმე ასეთ ძაფს მიაგნეს კიდეც, მაგრამ დესპანი გაუსხლტათ.

თამაზი ერთხელ კიდევ გამოიძახეს დაკითხვაზე. მოსკოვის საქმე აღარ უხსენებიათ, აღარც დოსტოევსკის შეხებიან. გამომძიებელს სურდა არაპირდაპირი გზით ბათუმის ამბები შეეხსენებინა თამაზისათვის. მოელოდა, რომ თამაზი თვითონ წამოიწყებდა აღსარებას, არა იმიტომ, რომ აღიარება შეუმსუბუქებდა დასჯას. საქმე სხვა რამეში იყო. ვინც აღიარებით იწყებს, უთუოდ მონანიებით დაასრულებს და სწორედ ეს სურდა გამომძიებელს. ეს იცოდა თამაზმა და მარჯვედ აუარა გვერდი შეკითხვას.

„სადმე საიდუმლო შეხვედრა ხომ არ გქონიათ?“ ბოლოს გამგმირავი ღიმილით მიმართა გამომძიებელმა.

„ვისთან?“ გაკვირვებით ჰკითხა თამაზმა.

„ეს თქვენ იცით უკეთ...“ გამომძიებელს ღიმილი გაუქრა სახეზე.

„არაფერი მაგონდება...“ დაიჩურჩულა თამაზმა. ახლა კი იგრძნო ხაფანგი. გამომძიებელს არ გამოჰპარვია თამაზის გაფითრება. მშრალად, სვენებ-სვენებით, დამარცვლით გამოსცრა:

„მგონი, ბათუმში ერთხელ სანთებელა დაკარგეთ“.

თამაზი გახევდა.

გამომძიებელმა თვითონ უამბო სანთებელასთან დაკავშირებული მთელი ისტორია. კარტების გახსნა ხერხი იყო ერთგვარი: ჩვენთვის ყველაფერი ცნობილია, უმჯობესია, თუ თავად აღიარებთ ყოველივესო. სინამდვილეში გპუ-მ არაფერი იცოდა გარდა იმისა, რომ თამაზი დესპანს შეხვდა. ხერხმა გაჭრა, თამაზი წამოეგო.

„აჰ, გამახსენდა“, წარმოთქვა მან.

გამომძიებლის გამკილავმა მზერამ შენიშნა, როგორ ცდილობდა თამაზი ძალა მოეკრიბა. თამაზი მიხვდა, რომ უარყოფა იგვიანლა იყო, მოლბა. სრულიად შემთხვევით შევხვდი დესპანსო, გამოტყდა, მათხოვარივით ეცვა, ვიცანით ერთმანეთი, შეხვედრა მთხოვა და უარი როგორ მეთქვა ნაცნობისთვისო.

გამომძიებელი გატრუნულიყო. ისე უგდებდა ყურს, თითქოს თამაზის სიტყვების უკან იყურებოდა.

„სხვათა შორის, საბჭოების საწინააღმდეგო არაფერი მითქვამს მასთან საუბარში. ოღონდ შეხვედრა კი აუცილებელი იყო“, დაამატა მან.

„რატომ?“ გაკვირვებით იკითხა გამომძიებელმა.

თამაზმა თავიდან ბოლომდე ამცნო თავისი აზრი. საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლა საზიანოდაც კი მიაჩნია. ჯერ ერთი, რევოლუციამ აღმოფხვრა მდიდრების კლასი, აღარ მეფობს ძალმომრეობა უმცირესობის ხელში თავმოყრილი მატერიალური ქონებისა. ამ მხრივ ჰაერი გასუფთავებულია. მართალია, საბჭოეთში ყველა ღატაკია, მაგრამ ეს, როგორც ამბობენ, შეიცვლება. მერე ნაციონალური საკითხი. ყოფილი რუსეთის არც ერთ პარტიას არ შეეძლო საკითხის ასე რადიკალურად გადაწყვეტა. მართალია, აქ შინაარსზე მეტად ფორმალური მხარე იგრძნობა, მაგრამ დაპყრობილი ხალხისათვის ესეც მნიშვნელოვანია. საქართველო ავიღოთ — აშკარაა, რომ ეს ხალხი ფსიქოლოგიურად ვერ ეგუება შექმნილ სისტემას, მაგრამ ობიექტურად შეიძლება ვაღიაროთ, რომ ბევრი ძვირფასი რამ კეთდება. ასე, მაგალითად: ელექტრიფიკაცია, სარწყავი სისტემა, ჭაობების ამოშრობა, ტროპიკული კულტურების მოშენება.

„ყოველივე ამის თქმა მავნებლობად არ მიმაჩნია!“ დაასრულა თამაზმა.

თამაზი არ ტყუოდა, თუმცა მისი სიტყვების კილო სხვადასხვა იყო მაშინ და ახლა. გამომძიებელმა გამომცდელი მზერა მიაპყრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მე არ მსურს განმეორდეს 1924 წლის აჯანყება, რომელიც ახლაც, ისევე როგორც მაშინ, სიგიჟედ მიმაჩნია“, დაამატა თამაზმა.

„სადაც სიგიჟე არაა, იქ არაფერი იშვება დიდი — მგონი, თქვენი სიტყვებია“, გამომძიებელმა თამაზის თხზულებიდან მოიყვანა ციტატა.

„ეს სახიერად არის ნათქვამი“, მიუგო თამაზმა, ცოტა ნაწყენმა.

„ოჰ, როგორ გიყვართ პოეტებს სახეები“, კიდევ უფრო ღვარძლიანად თქვა გამომძიებელმა.

„უფრო მეტად არა, ვიდრე თქვენ — პოლიტიკოსებს — რეალობა“, თავის მხრივ შეუტია თამაზმა.

გამომძიებელმა თვალით გაზომა თამაზი.

„მაშ, სიგიჟედ მიგაჩნიათ 1924 წლის აჯანყება?“ წარმოთქვა უეცრად.

„უთუოდ“.

„მაგრამ სიგიჟედ აღარ ჩათვლიდით, გამარჯვებით რომ დამთავრებულიყო!“ მოჰრა გამომძიებელმა.

თამაზი შეკრთა. ახლა კი იგრძნო, რომ დამარცხდა. აღარ იცოდა, რა ეთქვა, ძლეულივითღა წაილუღლუღა:

„მე მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობ, რაც მოხდა“.

„და არა იმაზე, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, თუკი... მესმის...“ შეუფარავი დაცინვით წარმოთქვა გამომძიებელმა.

თამაზი მოიქუფრა. მისი მარცხი უდავო იყო.

ერთმა გარემოებამ გული მოულბო გამომძიებელს: გპუ-მ დესპანის ჩანაწერები იპოვა; ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება საბჭოებთან მათში ზუსტად ისე იყო აღწერილი, როგორც თამაზმა წარმოადგინა. ამ ჩანაწერების შესახებ თამაზმა არაფერი იცოდა. გამომძიებელმა შეამჩნია, თამაზი არ ტყუოდა. ცოტა სირბილე საჰიროც კი იყო მისთვის, რადგან სინამდვილეში სულ სხვა რამის შეტყობა სურდა თამაზისაგან. წუთის შემდეგ კვლავ მიუბრუნდა, თითქოსდა თაშორისოდ ჰკითხა:

„თქვენ გარდა არავინ იყო დესპანთან?“

„არავინ!“ მტკიცედ მიუგო თამაზმა.

გამომძიებელმა უნდობლად შეხედა.

„ნამდვილად?“

„ნამდვილად“, გაიმეორა თამაზმა.

დაკითხვა შეწყდა. თამაზს გული დამძიმებოდა.

სწორედ ბოლო შეკითხვა იყო დაკითხვის ნამდვილი მიზანი. აქ თავს იყრიდა ყველა ის შემთხვევა, რომელთა შესახებ არა იცოდა-რა თამაზმა. მაშინ ბათუმში დესპანთან ერთად ლევანიც უკანა კარიდან გაიპარა. ერთი საეჭვო ლანდი მათაც შეამჩნიეს. ლევანი სასწრაფოდ თავს წაადგა, ერთი დარტყმით ძირს დასცა. ის და დესპანი მიიმალნენ. ჯაშუში ძლივს წამოდგა ფეხზე, მაგრამ ქართველი იყო, ქართველი კი ასეთ რამეს არასოდეს ივიწყებს. სხვა ყველაფერი დაავიწყდა უცებ: აღარც დესპანის დევნა ახსოვდა, აღარც გპუ, აღარც საკუთარი მოვალეობა. ახლა შეურაცხყოფილი ქართველი იყო მხოლოდ, ნადირს გაელვიძა მასში. ვინ იყო მისი შეურაცხმყოფელი? ცხოველური გეშით იწყო კვალის ძიება. ჯერ მისი სიარული გაიხსენა — მოქნილი ნაბიჯები, თითქოს შენელებული ცეკვა. შემდეგ მისი შეძახილი მოაგონდა: „შენ კი გასწავლი ჭკუას!“ ხმიერება ბოხი, მოჰიმული, რიხიანი. მეხსიერებას შემორჩენოდა ახოვანი ტანიც. ჯაშუშმა შექმნა თავისი შეურაცხმყოფელის წარმოსახვითი სურათი. მაგრამ სად უნდა ეპოვა? ასეთი სიარული ბევრ ქართველს აქვს, ასეთი აღნაგობაც, და, შესაძლოა, ასეთი ხმაც. მიუხედავად ამისა, ჯიუტად ჩაიგონა თავს, რომ ვალდებული იყო მოეძებნა. შემთხვევით ნაპოვნმა სანთებელამ დააყენა კვალზე. მისი ანგარიშით, ის პიროვნება თამაზის მეგობარი უნდა ყოფილიყო. თუმცა თამაზს ბევრი მეგობარი ჰყავდა, მაინც გუმანი ეუბნებოდა, „ის“ კინოდან უნდა ყო-



საქ. სსრ კ. მარქსის

ფილიყო. მეძებარი ძაღლის თვალი სასწრაფოდ ლევანს დაადგა: იმგვარივე სიარული, იმგვარივე აღნაგობა, იმგვარივე ხმა. ჯაშუშს უხაროდა. ერთხელ ნახა, ხუმრობით როგორ შეუტია ლევანმა ვიღაცას — ჯაშუშის თვალწინ ნაცნობმა სცენამ გაიელვა. ლევანის მიხედვით ნამდვილი პოეტივით შეთხზა თავისი შეურაცხმყოფელი. ამ ძებნაში ესეც დაეხმარა: დესპანის ჩანაწერში ძალზე ხშირად იხსენიებოდა ვიღაც „უშიშარი", როგორც განსაკუთრებით სანდო პიროვნება. ერთხელ კინოსტუდიის თანამშრომლებმა გამბედაობაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ყველაზე გამბედავად ყველამ ლევანი დაასახელა. უეცრად თვითონ ლევანი გამოჩნდა, უნებლიეთ დაიძახა ერთმა: „აი, ისიც, უშიშარი". ჯაშუში მათ შორის იჯდა, ამ სიტყვებზე გაინაბა, „ის" უნდა იყოს, გაიფიქრა. ოღონდ ვერ გაეგო, ეს „უშიშარი" შემთხვევით წარმოითქვა თუ მეტსახელი იყო მოარული. ჯაშუშის ალღო თანდათან უახლოვდებოდა მიზანს. გპუ-ს ვარაუდით „უშიშარი" ლევანი იყო, მაინც აკლდათ საბოლოო უტყუარი საბუთი. თუ დამტკიცდებოდა, რომ დესპანთან თამაზის გარდა ლევანიც იყო, მაშინ ეს უკანასკნელი საბუთიც ხელთ ექნებოდათ. „უშიშარის" ხელში ჩაგდება დესპანის ზრახვებს გამოამჟღავნებს, ფიქრობდა გპუ. შეურისძიებას შევძლებ, სასოებდა ჯაშუში.

აქ იყო კვანძი. ლევანი მართლაც ის „უშიშარი" იყო. ეს არ იცოდა თამაზმა. ლევანს ძმაზე მეტად უყვარდა თამაზი, მაგრამ რაღაც აკავებდა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი საიდუმლო გაენდო მისთვის. უნდობლობა არა, რა თქმა უნდა: მისი დამძიმება არ სურდა მხოლოდ. დატყვევებული ლევანი ციხეში იჯდა, დარწმუნებული, რომ ამ საქმეში მის კვალს ვერვინ მიაგნებდა. არც ისე უგუნებოდ იყო. ის იყო ნაშიერი რაინდული საქართველოსი. საქართველოს დამონებისა და დაცემის დროსაც კი უცვლელი დარჩა ეს ზნე. ეს სიცოცხლის ლხენაა თვითონ. სად[illegible] მოჩნდება, იქ მზე გამოა[illegible] საც იგი შეხვდება, მას სიცოცხლე გაუადვილდება. მას უშუალო ხიბლი აქვს: ვერც კი ატყობ, რომ გხიბლავს. ის მუდამ ხარობს და მის გარეშე არ არის სიხარული — მიტომ არც მწუხარება. ასეთი ბუნება ჰქონდა ლევანს. ახლა გპუ-ში იჯდა და მისი ჯადოსნური ძალა აქაც მოქმედებდა. მან გამომძიებელი და ჯალათებიც მოხიბლა. ყოველგვარი დანაშაული უარყო. ვერვინ აიძულა, საიდუმლო გაეცა. განდობილი საიდუმლოს შენახვა უწმინდესი ვალი იყო მისთვის. მაგრამ არ გაუთავისუფლებიათ. სურდათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, რამე გაეგოთ მისგან. როგორც უნდა ჩასციებოდნენ, უბრალოდ პასუხობდა: „მე არაფერი ვიცი". ხოლო როცა მოსალოდნელი შედეგებით დაშინებას დაუპირებდნენ, სიცილით პასუხობდა: „თქვენ ხომ ისედაც მომკლავთ!"

თამაზი მოქუფრული დაბრუნდა საკანში. შეკითხვამ, თქვენ გარდა სხვაც ხომ არ იყო ვინმე დესპანთანო, მოსვენება დაუკარგა. მოულოდნელად შეეხო ბედისწერა, ბურღივით გაუარა.

გივი კვლავ სარკმელში იყურებოდა — გალიაში მომწყვდეული მიმინო. ბოლო დღეებში დაუახლოვდა ამ ბიჭს, რაღაცით ლევანს აგონებდა. ხშირად მღეროდა თამაზის ლექსებს. თამაზი ყურს უგდებდა, ხარობდა. გივი ახალგაზრდათა საიდუმლო ორგანიზაციის წევრობისათვის დააპატიმრეს. ფანტასტიკური მიზანი დაესახათ ჭაბუკებს: საბჭოები გპუ-ს გარეშე. თამაზი მასთან პოლიტიკურ თემებს არ ეხებოდა. ამჩნევდა, გივის სიცოცხლის დაკარგვისა ეშინოდა, ერთთავად ღმერთზე ელაპარაკებოდა. „როცა ღმერთით ცხოვრობ, ვერვინ წაგართმევს სიცოცხლეს", აწვეთებდა ბიჭის ყურთასმენას — ვინ იცის, თავსაც იმხნევებდა ამით. გივი სულგანაბული უსმენდა, მტკიცედ სჯეროდა მისი. დღესაც ასე იყო. თამაზი დიდ ხანს ესაუბრა. ბიჭის დიდი თვა-

ლები ისრუტავდნენ თამაზის სახეს, სევდა ირეკლებოდა მათში. დაღონებულმა ბიჭმა უნებლიეთ თავისთვის ჩაიბუტბუტა: „მძიმეა ხვედრი“.

თამაზს თვალთ დაუბნელდა. შემდეგ უამბო:

„არსებობს ერთი ზღაპარი. გაჭირვებულმა ადამიანებმა ღმერთს შესჩივლეს, მძიმე ხვედრი გვერგოო. ღმერთმა მოუსმინა და ბრძანა, თითოეულს ტომრით მოეტანა თავისი გასაჭირი. ასეც მოიქცნენ. ამის შემდეგ ყოვლისშემძლე ღმერთმა ბრძანა, ტომრები სიბნელეში დააწყვეთო. დააწყვეს. ბოლოს თითოეულს უმსუბუქესი ტომრის არჩევა უბრძანა. შეასრულეს ბრძანება და დახე: თითოეულს თავისი საკუთარი ტომარა ამოერჩია“.

თამაზი დადუმდა. გივიმ დაიჩურჩულა:

„მაშ, საკუთარი ხვედრი ყველაზე მსუბუქი ყოფილა?“

„უთუოდ!“ დაუდასტურა თამაზმა. გივი დამშვიდდა.

ღამე ჩუმად ჩამოწვა გპუ-ში. ჩქამი არ ისმოდა. ყველას ეძინა. თამაზსაც, გივისაც. უეცრად დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა — ო, ეს უპიროვნო ნაბიჯები! სამი საათი იქნებოდა. პატიმართაგან ზოგს გაეღვიძა, გაიტრუნენ და ხმას ყური მიუგდეს. ნაბიჯები თამაზის საკანთან შეწყდა. პირველი გივი წამოხტა, ყველაფერი გათავდაო, ამოიოხრა. თამაზი შეშინებული წამოიმართა. კარი გაიღო. შეყოვნება, რომელიც იყო სიკვდილი. გივი გამოიძახეს. „ვაი, დედა!“ მოგუდული ხმით დაიკვნესა. თამაზი წამოხტა, მოეხვია. ბიჭს დაჭრილი ნიამორივით უთრთოდა სხეული. თამაზის ხელი იყო სიყვარული. სული შეეხუთა. სიტყვა არ წარმოთქმულა, მხოლოდ გივის სახელი — ჩუმი ქვითინით. თამაზი და გივი ერთმანეთს დააშორეს ცივად, უხეშად. სიკვდილით სუნთქავდა განშორება, გივიმ ნივთიერად იგრძნო სიკვდილი. თამაზი გამოტრიალდა, საწოლზე დაემხო. დერეფნიდან ბიჭის ნაწყვეტი სიტყვები ისმოდა. „სად ხარ, ღმერთო?“ თამაზს მთელს ტანში ტკივილმა დაუარა, კედლისკენ გადაბრუნდა. უეცრად ასოებმა იელვა: „სად ხარ, ღმერთო?“ ხელი ლოყისკენ წაიღო — მყის შედგა: ლოყაზე ჯერ კიდევ გივის ცრემლი ეკიდა. გახევდა, თითქოს შეეშინდა, ცრემლი არ ჩამოვარდნოდა, შემდეგ იგრძნო, თვითონაც ცრემლი სდიოდა, გივის ცრემლს უერთდებოდა. კვლავ კედელს მიაჩერდა. ასოები აალდნენ, გაიზარდნენ, თითქოს ღრიალებდნენ: „სად ხარ, ღმერთო?“ თამაზმა წაიკითხა საშინელი სიტყვები, ახლა თვითონ იყვირა უხმოდ: „სად ხარ, ღმერთო“? ვინც ეს სიტყვები დაწერა, ის სადღა იყო ახლა? ის ათასობით გულში იყო გადასული. სად იყო ამ წუთს გივი? უეცრად სატვირთო მანქანა დაიძრა ღმუილით: ნუთუ შიგ მოათავსეს? გაუელვა ერთბაშად. სად იყო ღმერთი? ისიც ეწამებოდა — მერამდენედ? სად იყო თვითონ თამაზი? ბალიშებში თავჩარგული შემაძრწუნებელ სიბნელეში იძირებოდა. უცნაურია: თავი დაკარგა, დაიწრიტა, მაინც სურდა უფრო ღრმად ჩაძირულიყო საკუთარ თავში. გული კი სულ უფრო სწრაფად ძგერდა, თითქოს სიკვდილს ისუნთქავდა — მოხრჩობის მოლოდინში მოფართხალე პაწაწინა ჩიტი.

XVI

## ეშმაკეული

საბჭოეთის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. გლეხი ყურს აღარ უგდებდა კომუნისტურ პროგრამას. პარტიის დადგენილებები ვერ იმორჩილებდნენ მიწას. რევოლუცია საფრთხეში იყო. ათასობით გეგმას ადგენდნენ, არც ერთი არ ამართლებდა მოლოდინს, რადგან ირაციონალურს არ ითვალისწინებდა. ბერზინის მახვილ ანალიზს არ გამოჰპარვია: სასწორზე მხოლოდ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია კი არა, მთელი რევოლუციის ბედ-იღბალი

იყო შეგდებული. არსებობდა ერთი კაცი, სტალინი, რომელსაც შეეძლო საჭე შემოეტრიალებინა, ზუსტად ისევე, როგორც თავის დროზე მოიქცა ლენინი, როცა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა შემოიღო; მაგრამ სტალინი იშვიათი დაჟინებით მისდევდა ერთხელ დაწესებულ ხაზს, თითქოს უკან დახევის ან გადახვევისა ეშინიაო. ბერზინს არასოდეს ჰყვარებია ეს ჯიუტი ქართველი; შიშობდა, რომ ის რევოლუციის ბედისწერად ქცევას შეძლებდა. სტალინის გადაყენება, თუნდაც ძალით, უკანასკნელ აუცილებლობასავით დემონურად ჩაებეჭდა ტვინში. ძალით გადაყენება? მაგრამ თუ ამ გადაყენებით დაიღუპებოდა პარტია? ბერზინს ეს არ აშინებდა. პარტია ძლიერი ორგანიზმია, ფიქრობდა იგი; თუ თავს მოჰკვეთენ, ახალ ბელადს შობს. იქნებ სტალინის პიროვნებაში რევოლუციამ ერთადერთი განხორციელება პოვა? არა, ეს, მისი აზრით, საერთოდ რევოლუციის შეჩვენების ტოლფასი იქნებოდა. ამას კი ვერ დაეთანხმებოდა ბერზინი, რომელიც მხოლოდ რევოლუციით სუნთქავდა. სტალინის მოშორება, თუნდაც ძალით, ერთადერთი გამოსავალი იყო მისთვის. მაგრამ ვინ იყო ამის შემძლებელი? რომელიმე ჯგუფი ვერაფერს გახდებოდა. რამდენჯერ უცდიათ უკვე ეს გზა? ყოველი ცდა მარცხით თავდებოდა. ბერზინმა, როგორც გადამდგარმა გპუ-ელმა, კარგად იცოდა: შეთქმულება — ორ კაცსაც რომ მოემზადებინა მხოლოდ, — წინასწარ იყო განწირული; გპუ-ს თვალს ძილშიც ვერ დააღწევდი თავს. ეს განზრახვა რომელიმე დაწინაურებულ კომუნისტს მარტო უნდა განეხორციელებინა, ხელშემწყობი გადამწყვეტ წუთში გამოჩნდებოდა. ასეთი იყო ბერზინის ანგარიში. სტალინის მომხრე პარტიაში მეათედიც არ იყო. მაშასადამე, ამ მხრივ დიდი შანსები ექნებოდა გულადს. მაგრამ პარტიის აპარატი? ის, მართალია, სტალინის ხელში იყო, მაგრამ ერთი სისუსტე ჰქონდა: თუ შესაფერის მომენტში წაასცლიდნენ თავს, ერთიანად დაიმსხვრეოდა. მხოლოდ ერთი დარტყმა იყო საჭირო, გამოზომილი, მტკიცე. ამ დარტყმაში უზუსტესი გაანგარიშება ისტორიის შემოქმედს — ინსტუიციას — უნდა შერწყმოდა. წამიერი გამბედაობა იყო საჭირო, ისტორიის სუნთქვის ამლქმელი — მძლავრი სიტყვა, ჯადო-შეძახილი... და მმართველობის სადავეების ხელში აღება. მაგრამ სად და როდის უნდა მომხდარიყო ეს? რომელიმე კონფერენციაზე ან სხდომაზე. იქ სტალინი, მართალია, უმეტესად თავის მომხრეებს მოუყრიდა თავს, ბერზინი მაინც დარწმუნებული იყო: უმრავლესობას იგივე აწვალებდა, რაც მას. თავზე ხელაღებული აკლდათ მხოლოდ. ბერზინი ხედავდა: ნდობა ყველგან გამქრალიყო, მხოლოდ უნდობლობა აერთიანებდა ადამიანებს. ასეთ გარემოში საიდუმლო ჩანაფიქრის გამხელა არ შეიძლებოდა. ვინმეს რომ ვინმესთვის სტალინის მოშორების გეგმა გაეზიარებინა, უკანასკნელი პროვოკატორად მიიჩნევდა პირველს. ამას ნათელმხილველივით გრძნობდა ბერზინი — ეს ყოველივე ზურგსაც კი უმაგრებდა მის გეგმას. თუ ამ უნდობლობის ფესვების ამოგლეჯას ერთი ხელის მოსმით გაბედავდა ვინმე, მაშინ უნებლიეთ ყველა ერთი ამოსუნთქვით გააცხადებდა ხვაშიადს. ამ ამოსუნთქვით უნდა ესარგებლა გულადს. ბერზინი ყოველ წვრილმანს ანგარიშობდა: გადამწყვეტ წამს ყველა იფიქრებდა, შეთქმულებააო (განსჯის დრო არავის ექნებოდა), ალბათ ერთი კაცი კი არა, ბევრნი მოქმედებენო. წამით ყველა შეკრთებოდა, შემდეგ გაირინდებოდნენ იმის მოლოდინში, თუ ვისკენ გადაიხრებოდა ბედის სასწორი. და თუ შეატყობდნენ, რომ ერთი წამით — თუნდაც წამის მეასედით — ბედი ამბოხებულთა მხარეს გადაიხარა, თითოეული თავისთვის გაიფიქრებდა: გამარჯვება უეჭველია. მაშინ ასეულები მიემხრობოდნენ ამბოხებულთ. მასების ფსიქოლოგიას ბერზინი კარგად იცნობდა. მაგრამ როდის უნდა განხორციელებულიყო ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმა? ბერზინს მთლად ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი. ის თავს ამზადებდა მხოლოდ, შინაგანად ემზადებოდა როგორც წინასწარმეტყველი, რომელიც ღვთის გამოცხადებას მოელის. გრძნობდა: ერთი შეცდომა, სულ პაწაწინა, — და მარცხი გარდუვალი იქნებოდა. ემზადებოდა და გრძნობდა, დრო თავისით მოვიდოდა. ის მხოლოდ ცეცხლოვანი იარაღი უნდა ყოფილიყო ბედისწერის ჟამს. წინასწარ მოფიქრებული საქმე ხიდან მწიფე ნაყოფის ჩამოვარდნასავით უნდა მომხდარიყო.

ბერზინი ყველაფერს წონიდა, იმასაც, რაც ვერ აიწონება. ყოველდღე, ყოველღამ აწრთობდა ნებას. ცივ სისხლსა და ცეცხლს, ანგარიშსა და ინსტინქტს — ორივეს ერთდროულად უნდა ემოქმედა. თითქოს ჰაშიშის წევის მეტი არაფერი ექეთებინოს, ცივი სისხლის დენასა და ცეცხლის გიზგიზს ერთდროულად გრძნობდა. აი, ეს იყო მანია კაცისა, რომელსაც სხვაფრივ ყველა სიშლეგე ჩაეკლა თავში. ბოლოს მართლა მეოცნებეს დაემსგავსა, ოღონდ უცნაურია: მისი თვალებიდან ცივი ლითონი იყურებოდა.

მოსკოვში იმყოფებოდა პარტიულ კონფერენციაზე. ერთ-ერთ კომისიაში აირჩიეს და სცენაზე იჯდა. „დიდი თეატრი“ დელეგატებს გაევსოთ. მორფინისტივით დაბორიალებდა უსაზღვროებაში. დუმდა, არავის ელაპარაკებოდა, თავისთვის იყო. ნელ-ნელა ნისლში გაეხვია, გაბრუვდა, დათვრა. მაგრამ სიმთვრალე აზრმა გასერა — ცივმა, ფხიზელმა, გამოზომილმა. „მის“ ახლოს იჯდა (სწორედ იმ წუთს თამაზმა გპუში იყვირა: „სად ხარ, ღმერთო?!“). მთვლემარე ბერზინი ზმანებებში ჩაიძირა, თანდათან ტრანსში მოექცა. ნადირის გუმანი რაღაცის მოახლოებას კარნახობდა. უსასრულობას შეეზარდა: თავს კარგავდა, კვლავ პოულობდა. ნელ-ნელა იზრდებოდა, თითქოს ყოველივე არსებულს უერთდებოდა. უცხო ძალები მოაწყდა, ღონივრად, საამოდ. უსასრულოდ მცირე სიდიდეების [illegible] უფაქიზესი უნარი შეიძინა. მთვრალ სხეულში კი იდუმალი გამბედაობის უცთომელი რიტმი დაიძრა: არც დაყოვნება, არც აჩქარება. ტალღებმა გადაუარეს თავზე. თეთრფაფარიანი ცხენების რემასავით გაქროლდა, თითქოს უნდოდა გასცდენოდა უსასრულობას. სმენა გაუმახვილდა, მიწისქვეშა გუგუნს აყურადებდა. ნერვები ისე დაეძაბა და გამოეწრთო, მოვლენათა უხილავ მოლეკულებს აღნუსხავდა. ნათელმხილველივით აგზნებულიყო, უფრო მეტიც: მოახლოებული შეტევის მოლოდინში მყოფი ეპილეპტიკივით. ცხოველის ინსტინქტი და ეშმაკის ანგარიში — ორივე აქ იყო.

ბედის გამოწვევა იზრდებოდა. ბერზინმა უნებურად თეატრს გადახედა, შემდეგ მაღლა ასწია თავი — უზარმაზარი ჭაღი სხივებს აფრქვევდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ, ნათურების თვლა დაიწყო. სხეული თითქოს ალში გაეხვეოდა, უფსკრულის კიდეზე იდგა. თუმცა თეატრის სცენაზე იჯდა, თავს სხვაგან გრძნობდა, ძალიან შორს. შუა სცენაზე გრძელი მაგიდა დაედგათ. მას ბელადები უსხდნენ. „ისიც“ აქ იყო, ხვლიკისთავა. ცოტა განზე დამჯდარიყო, ჩიბუხს ეწეოდა, თავი ოდნავ დაბლა დაეხარა. გამომსვლელს თითქოს მეორე სმენით აღიქვამდა, შორეულით. სახე სრულიად გაჰქვავებოდა. ულვაშებში ხანდახან მომაკვდინებელი ირონია უთამაშებდა. სახეში არავის უყურებდა. გამომსვლელი ისევ ლაპარაკობდა. ბერზინი არ უსმენდა: მხოლოდ ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული გაცვეთილი პარტიული ფრაზები სწვდებოდა — შამანის შელოცვა. ბერზინი ტანით გრძნობდა, სად იჯდა „ის“, ხვლიკისთავა. მზერა მოარიდა. უეცრად ჩხვლეტა იგრძნო — მსმენელებმა ორატორს ტაში დაუკრეს. ბერზინი წამოდგა, ხვლიკისთავას თავი დაუკრა და ისევ დაჯდა. ტომის ბელადივით იჯდა „უდრეკი“, იშვიათი მანათი გატენილი: მისი შეხება სახიფათო უნდა ყოფილი-

ყო სხვებისთვის. „მაღალი ძაბვის გაყუანილობა“, გაუელვა ბერზინს, თვალწინ დაუდგა წარწერა: „სასიკვდილოა“. მაგრამ ზარდამცემი საფრთხე ახლა უსასრულო ნეტარებად გადაჰქცეოდა. მარჯვენა ხელი შარვლის ჯიბეს შეეხო, რომელიც ცოტათი გამოჰბერვოდა. უეცრად ხვლიკისთავამ გამოხედა ბერზინს. შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს შემთხვევით არ გამოეხედოს აქეთ, თითქოს სწორედ ბერზინს ეძებდა თვალით. ბერზინმა წამოდგომა მოინდომა, — მაგრამ ეს რა იყო: უდრეკის სახეზე ბერზინმა საკუთარი სახე დაინახა. რა მოხდა? გაგიჟდა? ასეთი რამ ხომ მხოლოდ სიზმარში ხდება! ბერზინმა თვალები მოიფშვნიტა და გონს მოეგო: ხვლიკისთავა ღიმილით, დაცინვით მისჩერებოდა. ბერზინმა გამბედაობა დაკარგა, აუტანლად დაეძაბა მთელი სხეული. წამოდგა, გაგულისებულმა რამდენიმე ნაბიჯი წადგა. განრისხებული შეჩერდა და გასისხლიანებული თვალები ხვლიკისთავას მიაშტერა. მტკიცე ბელადმა კვლავ ჩაიღიმა, ამ ჩაღიმებაში დაცინვა აღარ იყო, მხოლოდ საშინელება. ბერზინი კვლავ გასწორდა წელში. საზარელი გრძნობა ჰქონდა: თითქოს ორი გველი, შენიღბული, სხვა რეპტილიების გარემოცვაში ერთმანეთს შეხვდა. მათ ერთმანეთი სცნეს და დადუმდნენ, უსიტყვოდ შეთანხმდნენ, რომ უმჯობესია აქ არ ჩამოიხსნან ნიღბები. ბერზინი სხვა რამესაც გრძნობდა: ხვლიკისთავა მის იდუმალ ფიქრებს მისწვდა და ყველაფერი ამოიცნო. უეცრად ზოოპარკში ნანახი მაიმუნი გაახსენდა: გუნებაში მისი მოტყუება გადაწყვიტა, მაგრამ მაიმუნი მაშინვე მიხვდა. ხვლიკისთავამ კვლავ გაიღიმა: მოკვლის ჟინმა წამოუარა, კბილები დაკრიჭა. შემდეგ ბნელი, ძრწოლის აღმძვრელი მზერა მიაპყრო: ამ მზერას სიკვდილი მოჰქონდა. ბერზინმა წაიფორხილა, განზე გადაქანდა. ვიღაცას გაეცინა, ბერზინი გაწითლდა. შერცხვა. გამომსვლელი შამანურ გამოთქმებს არ ეშვებოდნენ. [illegible] რადიო კი მათ მთელს სამყაროზე [illegible]-ცელებდა, როგორც მსოფლიოს ყველა ბოროტების წამალს. დამსწრენი მას ახლა ნაკლებად უგდებდნენ ყურს, უფრო ბერზინს უყურებდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. ბერზინს მიწა ეცლებოდა ფეხქვეშ, ქვესკნელში მიექანებოდა. სირცხვილმა და შიშმა გონი დაუკარგა: თითქოს ტანსაცმელი გახადეს და ახლა დაცინვით ყველა მას, შიშველს, მისჩერებოდა. ყბა აუცახცახდა. ტუჩებზე დუჟი მოადგა, კბილები აუღრჭიალდა — რა ხდებოდა? — ხომ არ დაესიზმრა, რომ კბილები უღრჭიალებს? სირცხვილი და შიში შეერთებოდა... და ერთბაშად იგრძნო, როგორ ამოიფრქვა ნატას მიმართ ძალდატანებით დაგროვილი მთელი თავშეკავება და თითქმის მექანიკურად დაიცალა. ხვლიკისთავამ პირი მზაკვრულად მოპრუწა...

ბერზინს გამოეღვიძა. გაუხარდა, რომ მხოლოდ ჩვენება, სიზმარი იყო ყოველივე. მთელი ტანი უთრთოდა, ცივ ოფლში ცურავდა. ჯერ საკუთარი სხეული მოსინჯა ხელით, შემდეგ ბალიში, საბანი, მაგიდა, ნათურა — სურდა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო, რომ ყველაფერი, რასაც ეხებოდა, ნამდვილი იყო. კბილებს აღრჭიალებდა, უხაროდა, რომ არც ერთი არ აკლდა. წამოხტა, სკამს ხელი დასტაცა, ზედ მიეკრა და თითქოს სველ სარეცხს ჰეჭყავსო, მთელი ნეტარება გარეთ გამოანთხია. რაღაც ჰუჰყიანი იყო ამაში, სირცხვილი და უმწეობა. ბერზინი დაბარბაცდა, იატაკზე განერთხა. მიხოხავდა და თან წამოდგომას ცდილობდა ქშენით; ახლა მართლაც ქვემძრომი იყო. „მომეჩვენა, მესიზმრა“, გაჰყვიროდა თვალებამღვრეული. რა მშვენიერია სიცოცხლე, რა ტკბილია, მაშინაც კი, როცა დახოხავ. ბერზინი საწოლთან მიხოხდა, ხელები მოიფშვნიტა, დამბლადაცემულივით ლუღლუღებდა, ქვედა ტუჩი უთრთოდა. ცივი ოფლი ისევ თქრიალით მოსდიოდა

— ოფლთან ერთად ყოველი ძალა ნიაღვარივით გამოდიოდა მისი სხეულიდან. ბერზინი ბერზინი აღარ იყო. სხეულის ყოველი ასო შიშს გაევსო, სირცხვილით იწვოდა. ასანთი აილო სიგარეტის მოსაკიდებლად, ოთხჯერ გაუსვა; მხოლოდ მეხუთე ცდაზე მოახერხა ანთება. ხელსაც დაჰკარგოდა სიმტკიცე.

ბერზინი სამსახურში წავიდა — უკვე განათებულიყო, ამიერკავკასიის კომიტეტის შენობაში შევიდა. მეკარის მისალმებას ისეთი ღიმილით უპასუხა, იმან იფიქრა, ნასვამიაო; ასე თავაზიანი არასოდეს ენახა ეს პირქუში ადამიანი. საწერ მაგიდაზე ქაღალდები აღარ ემორჩილებოდნენ, ვერა და ვერ დაალაგა ისინი. ხშირად ხელს ავლებდა ტელეფონის ყურმილს. სურვილი ახრჩობდა, რაიმე სისულელეზე დალაპარაკებოდა ვისმე. შიში და სირცხვილი თანდათან ტოვებდა მის სხეულს, და უცნაურია: საოცარი სიმსუბუქე დაეუფლა, თითქოს დიდი ტვირთი მოეხსნაო. თანამშრომლებს უკვირდათ მისი გადასხვაფერება, უხაროდათ, რომ პირქუში და უკარება ბერზინის კვალიც აღარ ჩანდა. მეტიც: ზოგიერთი სიმპათიითაც კი განიმსჭვალა მის მიმართ. კომიტეტის პირველი მდივანი, რომელიც მთელი ამიერკავკასიის ბედ-იღბალს წყვეტდა, ბერზინის ხასიათს მოთმინებიდან გამოჰყავდა. ეს იმიტომ უფრო აწუხებდა, რომ მის ნებისყოფას და ჭკუას დიდად აფასებდა. ასე გალაღებული ბერზინის დანახვამ იგიც ძალიან გაახარა დღეს. პირველად მოისმინა ბერზინის გულღია საუბარი. მდივანს არ ახსოვდა, ოდესმე გაღიმებული ენახოს, ახლა ხმამაღლადაც კი იცინოდა. ერთი რამ აკვირვებდა მხოლოდ: ბერზინის შენიშვნები ისე მახვილი და ზუსტი აღარ იყო, როგორც საერთოდ. საუბარში თამაზის საქმეს შეეხო ბერზინი. მდივანმა აცნობა, როგორც შევიტყვე, ყველაფერი ნათელია და ამ დღეებში გაათავისუფლებენო.

საღამოს ბერზინი ნატასთან მივიდა. ქალს დანახვისთანავე რაღაც ეუცხოვა მასში, ასეთ მხიარულ ბერზინს პირველად ხედავდა. კაცი კუთხეში ჩამოჯდა. ქალმა შენიშნა: მისი მოძრაობები ისე მძიმე და გამოზომილი აღარ იყო, როგორც საერთოდ. ბერზინი იღიმებოდა. ქალმა თვალებში ჩახედა და გაოცდა: მკვლელის მზერა გამქრალიყო. უეცრად ბერზინმა ხალისიანად წარმოთქვა:

„თამაზს ამ დღეებში გაათავისუფლებენ“.

„მართლა?“ შესძახა ქალმა სიხარულით და წამოხტა. ერთ წამს მზად იყო ყელზე მოხვეოდა კაცს, მაგრამ ხარბმა, ავხორცულმა მზერამ შეაჩერა.

ბერზინმა სტვენა დაიწყო. „ეს რაღაა? ნუთუ ასე გაამხიარულა თამაზის მოახლოებულმა გათავისუფლებამ?“ გაიფიქრა ნატამ. ასე განსაკუთრებით მაინც რად უნდა გახარებოდა? არა, ნამდვილად რაღაც სხვა იყო აქ. ქალი დააკვირდა ბერზინს და შეამჩნია: კაცს სიტყვაშიც და საქციელშიც თავდაჯერება აკლდა. მის ძალას ველარ გრძნობდა, თითქოს აურა მოსცილებოდეს. გრძნობდა, აღარ აშინებდა კაცი: ბნელი და დამამონებელი ჯადო გამქრალიყო მასში. მისი იქ ყოფნა აღარ ზღუდავდა ქალს. „მართლა ბერზინია?“ ეკითხებოდა თავს. მის წინ ბერზინის ნიღაბი იყო მხოლოდ. აკვირდებოდა კაცს და უკვირდა: სად იყო ის ძრწოლა, ატმოსფერულად თან რომ მოჰქონდა უწინ? სადღაც უკვალოდ გამქრალიყო. ახლა ბერზინი პატარა კაცი იყო არცთუ შთაგონებული გამომეტყველებით და ჩვეულებრივი მოძრაობებით. აღარც მორიდება შერჩენოდა უწინდელი: წამოდგა, ცეტივით მიუახლოვდა ქალს და ხელი მკლავზე დაადო. ქალმა უკან დაიხია, თითქო ბაყაყი შეეხოო. ეს მოძრაობა ბერზინს არც კი შეუმჩნევია.

„რა, არ გიხარიათ?“ მლიქვნელური ღიმილით ჰკითხა გაგოროზებულ ქალს და კიდევ ერთხელ შეეხო მის მკლავებს.

ქალს არ უპასუხია; ადგა, საათს დახედა. კაცი ვერც ახლა მიხვდა ვერაფერს, შემოტრიალდა და უზრუნველად დაეშვა ტახტზე. ქალი არ დამჯდარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ მაჯის საათს დახედა. ბერზინი ნახევრად გაწვა ტახტზე და ისევ სტვენას მოჰყვა. ქალმა კარადიდან პალტო გამოიღო.

„უკვე მიდიხართ?“ დორბლიანი ტუჩების ცმაცუნით იკითხა ბერზინმა.

„დღეს საღამოს მეგობარ ქალთან ვარ დაპატიჟებული“, მიუგო ნატამ.

„მე გაგაცილებთ“, გაიცინა ბერზინმა.

„კი, ბატონო, მშრალად წარმოთქვა ქალმა.

ორი კვირის შემდეგ მთელი საბჭოეთის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა: „ბოლო წლებში პარტიის ზოგიერთმა წევრმა მტრული იდეების ზეგავლენით ჩამოაყალიბა ჯგუფი, რომლის საქმიანობა ლენინური პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. თავის მოხსენებით ბარათში ამ კონტრრევოლუციურმა ჯგუფმა კაპიტალიზმის რესტავრაციის ნამდვილი პროგრამა მოხაზა. ჯგუფი სადავოს ხდიდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების არსებობის აუცილებლობას და მიწის ნაკვეთების კულაკებისათვის დაბრუნებას აპირებდა. ჯგუფს განზრახული ჰქონდა კაპიტალისტი კონცესიონერებისათვის გადაეცა სოციალისტური მრეწველობა — ის მრეწველობა, რომელიც მუშათა კლასის გმირული შრომისა და ენთუზიაზმის ნაყოფია“, ამ ჯგუფის წევრები პარტიიდან გარიცხეს; მათ შორის იყო ბერზინიც. ფართო მასებმა არ იცოდნენ, რომ ჯგუფის ჩავარდნა ბერზინის მიერ მოსკოველი ამხანაგისათვის გაგზავნილმა ერთმა წინდაუხედავმა წერილმა გამოიწვია. წერილი ბრეგაძეს ჩავარდნოდა ხელში.

XVII

## ღმერთის ტკივილი

გივი წაიყვანეს...

თამაზი საწოლზე იწვა, სახე ბალიშში ჩაერგო. ყველა ორგანო დასდამბლავებოდა, მხოლოდ გული ცოცხლობდა კიდევ. სუნთქვა უჭირდა, მაჯა ძლიერად უცემდა. საკანში სიმშვიდე სუფევდა. საბრალო შესახედავი იყო ლურსმანზე ჩამოკიდებული ქურთუკი — ფრთებმოტეხილი ქორი. ის კიდევ უფრო ზრდიდა სიჩუმეს საკანში. გაჩერებული მუნჯი საათი გულისცემას აყურადებდა. თამაზი სიბნელეში ჩაიძირა. უეცრად გარეთ სატვირთო მანქანა ათუხთუხდა კვლავ. „კიდევ მიჰყავთ ვიღაც“, გამოფხიზლდა ერთბაშად. გულს რაღაც მოსწყდა, სისხლისაგან იწრიტებოდა. „სად ხარ, ღმერთო?“ აღმოხდა თამაზს. პასუხი არ იყო. ღმერთი ეწამებოდა, ალბათ ისიც ტანჯვით იფლითებოდა. თამაზი საწოლზე იწვა, სახე ბალიშში ჩაერგო. ინსტრუმენტის მკვდარ ხის სხეულს ჰგავდა, რომელშიც ჯერ კიდევ ცოცხლობენ მთვლემარე მუსიკალური ტალღები. ღვთის სუნთქვა ამ ტალღებივით გაჯერებულიყო მასში. დრო აღარ არსებობდა. თამაზი უკანასკნელ ძირებს ეხებოდა.

უეცრად კარი გაიღო, სიხარულისგან ათრთოლებულმა გაბზარულმა ხმამ დაიძახა: „გადავრჩი!“ დარაჯმა ღრენით მოაჯახუნა კარი. გივის ხმა იყო. თამაზი წამოხტა გაკვირვებული, ბიჭს მივარდა, გადაეხვია. სუნთქვა ეკვროდა.

„რა მოხდა, გივი?“

„მერე, მერე!“ ძლივძლივობით წარმოთქვამდა სიტყვებს.

ორივე თრთოდა. გივი ფეხზე ველარ იდგა, ბარბაცებდა, ქანაობდა. თამაზმა საწოლზე დააწვინა. ბიჭს მაშინვე ჩაეძინა. თამაზი კი ვერ იძინებდა. რამდენი რამ შეუძლია ერთ წამს? გული ხარობდა, ხოლო გულში ხარობდა ღმერთიც. ცოტა ხანი გავიდა. მზის სხივები შემოიჭრა ფანჯარაში. თამაზი თვალს ვერ აშორებდა ბიჭს. ბიჭს დაბანგულივით ღრმა ძილით ეძინა. ხანდახან კი, თითქოს რაღაცამ უკბინაო, მთელი სხეული კრუნჩხვისაგან ელრიცებოდა, — ასე ეკრუნჩხება ძილში ფეხები ძაღლს. სიცოცხლის იდუმალი ძალა — ბიბლიური ნეფეში — შერყეული იყო, ძლივს

დასხლტომოდა სიკვდილს. თამაზიც კანკალებდა.

უკვე გვიან იყო, როცა გაიღვიძა. მოკლედ უამბო თამაზს: მასთან ერთად ორი ტუსაღი წაიყვანეს, ისინი დახვრიტეს; მასაც ესროლეს, მაგრამ ტყვია არ უგრძნია, — მიუხედავად ამისა, მაინც გამოცადა სიკვდილი, როცა მიწაზე დაეცა. წინასწარვე ასე ჰქონდა განზრახული გპუ-ს? ბიჭმა არაფერი იცოდა. თამაზი ეჭვებმა აავსო: კიდევ რაიმეს შეტყობა სურდათ მისგან? ის, ვისაც სიკვდილი შეეხო, საიდუმლოს ველარ შეინახავს. თამაზი დაღონდა.

ბიჭმა ფანჯრიდან ცის ციცქნა ნაგლეჯს გახედა.

„გუშინ მთვარე ვნახე“, დაიჩურჩულა.

გივის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მეორედ აჩუქეს სიცოცხლე. ის ახლა რაღაც სხვა იყო მისთვის, ავადმყოფურად ტკბილი. სიკვდილამდე მიწაზე ხოხვა რომ ყოფილიყო მისი ხვედრი, მაშინაც კი სიცოცხლეზე ილოცებდა. სიცოცხლის ყოველ ლანდს ეჭიდებოდა, როგორც წყალწაღებული ხავსს.

„როგორ მინდა ახალგაზრდა მუხის ფოთლების სურნელი ჩავისუნთქო!“ ამოიოხრა მან.

„ჩაისუნთქავ, მალე გაგიშვებენ“, დაამშვიდა თამაზმა.

იმავე დღეს გივი დაკითხვაზე გამოიძახეს. თამაზის შიში ახლა თითქმის მტკიცე რწმენად იქცა. რამდენიმე საათმა გაიარა. უკან დაბრუნებული შეცვლილი იყო, გალახულს ჰგავდა. ჩუმად იყო, არაფერს ამბობდა და დროდადრო ოხრავდა მხოლოდ: „ახლა მირჩევნია აღარც ვიყო ცოცხალი“. თამაზი დააკვირდა ყმაწვილს, შიში გაუძლიერდა: „ვაითუ ვინმე გასცა“, გაიფიქრა, თუმცა იმავე წამს ამ აზრისა თვითონვე შერცხვა. სურდა გაეგო, რამ მოშალა ბიჭი ასე. შეკითხვებს აძლევდა, მაგრამ გივი არაფერს პასუხობდა. თამაზი არ მოეშვა. ბიჭმა მის მოწოლას ველარ გაუძლო, უეცრად აკანკალდა, გაფითრდა. სახე დაეღრიცა. დაკრუნჩხული ხელები ჰაერს წაეტანენ, თითქოს ჩავლება უნდოდათ. ფეხები ეფშიკებოდა, თითქოს გახევებას ლამობდნენ. ნიამორის თვალები გაუფართოვდა. ინგლისური მწევრის სხეული უძაგძაგებდა. ტუჩებზე მოთეთრო-მოყვითალო ნერწყვი მოადგა. ბიჭს ეპილეფსიური შეტევა ჰქონდა, თამაზი თავზე ადგა და სველი ნაჭრით სწმენდდა დუჟს. თან თავის თავს უჯავრდებოდა.

მეორე დღეს თამაზიც გამოიძახეს დაკითხვაზე. მრავალი შეკითხვა დაუსვა გამომძიებელმა; თამაზს უხაროდა: უმნიშვნელო შეკითხვები იყო. ბოლოს გამომძიებელმა ბათუმის ამბავი შეახსენა. აქ თამაზმა ჩხვლეტა იგრძნო. შიშით ელოდა იმ შეკითხვას — სხვა ვინმეც ხომ არ ესწრებოდა საუბარსო — და აიწეწა. რა მოხდებოდა, რომ ელიარებინა? გაიფიქრა თამაზმა. რას ავნებდა ეს ლევანს? თამაზი დარწმუნებული იყო, რომ ლევანიც ზუსტად იმასვე ფიქრობდა რევოლუციაზე, რასაც თვითონ. ბოლოს გამომძიებელმა ქურდულად, ლამის სასხვათაშორისოდ, დაუსვა ის შეკითხვა და თამაზმაც — ნება მოკვეთილი იყო ძირშივე — უბრალოდ და უგემურად, თითქმის აპათიურად დაასახელა ლევანი.

როცა საკანში დაბრუნდა, უეცრად იგრძნო, რაღაც საბედისწერო ჩაიდინა. დაბნეული მზერით შეეგება გივი.

„მეც!“ ჩაილუღლუღა თამაზმა, თითქოს ისიც ეპილეფსიას ელოდა.

„შენც?“ ჰკითხა ფერწასულმა ბიჭმა და გადაეხვია.

გამოიცნო, რისი თქმა სურდა თამაზს? ბიჭს უფრო გარკვევით არაფერი წარმოუთქვამს, თამაზმა მაინც იგრძნო, რომ ეს მოკლე სიტყვა „მეც“ დიდი შვება იყო მისთვის. რად უხარია ადამიანს, როცა გაიგებს, რომ მეორემაც შესცოდა? გაიფიქრა მწარედ. სევდიანი ღიმილით გადაუსვა ბიჭს ხელი გახურებულ შუბლზე.

თამაზი მთელი დღე დუმდა. სიცოცხლის გემო დაეკარგა, ახლა თითქმის

სულ ერთი იყო ყველაფერი. ძილ-ღვიძილში გავიდა ღამე, სიბნელეში რაღაც აჩრდილს მისჩერებოდა. დაღლილმა, დაქანცულმა მხოლოდ მეორე ღამეს ჩაიძინა. მაგრამ უცნაურია: მისი დაბინდული გონების უმთავრესი, ნაწილი ფხიზლობდა. თითქოს რაღაც უჩვეულოს უცდიდა. დაახლოებით ღამის სამ საათზე შორიდან ხმაური მოესმა. გაინაბა. ხმაური გაძლიერდა. თამაზი წამოიმართა და ყური მიუგდო. კიდევ მიჰყავთ ვინმე? კიდევ ერთხელ უნდა დაიფლითოს გული — მერამდენედ? ხმაურში არათანაბარი ნაბიჯები მოესმა — ძალით მიჰყავდათ ვინმე? წინააღმდეგობას სწევდა ვიღაც? ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებიც მოისმოდა. აკანკალდა. ნაბიჯები ახლოვდებოდა, უპიროვნო. თამაზის საკნის სიახლოვეს ვიღაცამ იყვირა: „აქედან ცოცხალს ვერ გამიყვანთ!“ და ზღართანი მოისმა, თითქოს გაკავებულმა ოთხი-ხუთი კაცი მიყარ-მოყარა. ლევანის ხმა იყო? თამაზი შეშინდა. გუგუნი არ წყდებოდა. წამოხტა. ახლა სვანი იყო მხოლოდ, ცოფიანი ნადირივით გახელდა. არაადამიანური ძალით ეძგერა კარს და საკეტი გაამსხვრია, მაგრამ კონდახის დარტყმამ მოცელა. ერთბაშად თვალთ დაუბნელდა. გულის წასვლამდე ისღა იგრძნო, რომ გუგუნი შეწყდა, საშინელმა სიჩუმემ დაისადგურა. თამაზი უგონოდ ეგდო მიწაზე. გივიმ მოუარა, სისხლი მოსწმინდა შუბლიდან. ნელ-ნელა მოვიდა გონს — დამშრალ წყაროსავით ივსებოდა თანდათან. საკუთარ სიცოცხლეს, საერთოდ სიცოცხლეს წყევლიდა. და მაინც ბჟუტავდა სუსტი იმედი, რომ ის სხვა, შესაძლოა, ლევანი არ ყოფილიყო.

რამდენიმე დღის შემდეგ თამაზი და გივი გაათავისუფლეს.

## XVIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გზა VITA NUOVA-სკენ

თამაზი ისე გამოვიდა გპუ-დან, როგორც ლაზარე სამარიდან. მზეს უცქეროდა, სიხარული ელვრებოდა მთელს სხეულში. მაგრამ დარდსაც ატარებდა გულში, თითქოს რცხვენოდა, რომ სხვები იქ დარჩნენ, თვითონ კი თავისუფალი იყო. ფეხით მიწას ეხებოდა, ნეტარებას განიცდიდა. მაგრამ მიწა გადასხვაფერებულიყო, თუ თავად შეიცვალა? ნეტარება სულის სიღრმეში არ ატანდა. შინისკენ გაემართა. პირველად მოახლე გოგომ დაინახა. დერეფანს გვიდა, ცოცხი ხელიდან გაუვარდა და ყვირილით გაექანა მისკენ, მკერდში ჩაეკრა: „თამაზ, თამაზ!“ თამაზს უცნაური სიხარული დაეუფლა, ალერსიანად გადაუსვა ხელი მხრებზე. ოთახში შევიდა, ყველაფერი თავის ადგილზე დახვდა, ცოტა დამტვერილი. ახლაღა შეამჩნია, რომ ყოველ ნივთს თავისი საკუთარი სული ჰქონია: ავეჯი ისე გამოიყურებოდა, თითქოს პატრონის დანახვაზე გამოფხიზლდაო. თამაზი ტახტზე ჩამოჯდა, მაგრამ ერთ საათს ძლივს გაჩერდა შინ: წამოხტა, ჭიშკრიდან ქუჩაში გავიდა, აჩქარებით გაეშურა ლევანის სახლისკენ. როცა მიუახლოვდა, დაინახა, ამ უბანში ყველაფერი ძაძებში გახვეულიყო. გოგომ აცნობა, ლევანის საქმე ცუდად უნდა იყოსო. თამაზს ფერი წაუვიდა.

„აი, მეზობელი, რომელსაც საჭმელი დაჰქონდა ლევანისთვის, იმას ეცოდინება ყველაფერი“, დაუმატა გოგომ.

თამაზი ბაღში შევიდა, ის კაცი ნახა და ამბავი გამოჰკითხა. მეზობელმა მოკლედ აცნობა:

„ციხეში საჭმლის მიღებაზე უარს ამბობენ — შეიძლება დახვრიტეს!“

თამაზი ხეს მიეყრდნო, გული მისდიოდა. წამით ტკივილმა დაუარა. თვალებზე ცრემლი მოადგა. ამ დროს საიდანღაც ლევანის ძაღლი ეძგერა, ნატიფი, მაღალფეხება, შავი, ლაპლაპა,

მოქნილი დობერმანი. ძაღლი შეახტა, თათებით მკერდამდე სწვდებოდა. თამაზმა ბავშვივით აიყვანა ძაღლი. ცხოველი ყეფდა, ყმუოდა, თვალები დაუწყლიანდა, თათებს მხრებზე უტყაპუნებდა თამაზს. ეს იყო უკიდურესი სიხარული პირუტყვისა, ამან უფრო დაალონა თამაზი. მეზობელსაც ცრემლი ჩაუდგა თვალებში.

„რა კაცი იყო ლევანი! მზეს ეთამაშებოდა“, რბილად წარმოთქვა.

„ლევანის დედა ხომ არ ჩამოსულა სოფლიდან?“ ჰკითხა თამაზმა.

„კი, სამი დღის წინ ჩამოვიდა, აქ იყო“, უპასუხა მეზობელმა, „საბრალოს ჰგონია, რომ ლევანი სპარსეთში გაიქცა“.

თამაზმა ძლივს გადადგა ნაბიჯი. ახლა ნატასთან მიდიოდა, ძაღლი მიაცილებდა. უკვე მოსაღამოებულიყო. თამაზმა ზარი დარეკა, კარი გაიღო და ნატა გამოჩნდა. ერთმანეთს გადაეხვივნენ. მხოლოდ ორი სიტყვა გაისმა ყრუდ: „თამაზ!“ „ნატა!“ ძაღლი განზე იდგა, ტანი უთრთოდა, ყმუოდა; ნატა ჯერ არ ენახა.

„მე კი გადავრჩი, მაგრამ ლევანი?“ ამოიოხრა თამაზმა.

„ვაი, საბრალო! ამბობენ, დახვრიტესო“.

ოთახში შევიდნენ და ტახტზე ჩამოსხდნენ.

თამაზს სურდა გაეგო, რისთვის დახვრიტეს ლევანი.

„ამბობენ, ევროპიდან წარმოგზავნილთან ჰქონდა კავშირიო“, უთხრა ნატამ.

თამაზი დაჭრილივით მოიკრუნჩხა. ნუთუ მის ნათქვამს შეეძლო გადაეწყვიტა ლევანის ბედი? მაგრამ როგორ შეიძლებოდა ვინმეს დახვრეტა უბრალო შეხვედრის გამო? თამაზი იტანჯებოდა, უფრო დაწვრილებით გამოკითხა ნატა.

„ჰო, შეთქმული უნდა ყოფილიყო იმ ევროპელთან ერთად“, უპასუხა ქალმა.

თამაზის ტვინი აგზნებული მუშაობდა: ჩანს, მისმა გამონათქვამმა გამოააშკარავა საიდუმლო კავშირი. ნუთუ შესაძლებელი იყო, რომ ლევანს მისთვის ეს შეთქმულება დაემალა? წამოხტა და აწრიალებული ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში. ნუთუ მხოლოდ ეს იყო ლევანის დახვრეტის მიზეზი? მაგრამ უეცრად ერთმა აზრმა გაუელვა: იქნებ ლევანი თამაზის განცხადებამდე დახვრიტეს? როგორ ამოისუნთქავდა მაშინ!

„ახლავე დავბრუნდები!“ წამოხტა და გავარდა.

ნატა გახევდა. თამაზი კვლავ ლევანის ბინაში მივიდა, ის მეზობელი მოძებნა და გიჟივით ჰკითხა:

„რომელი დღიდან აღარ იღებენ საჭმელს?“

„თუ არ ვცდები, ათი დღე უნდა იყოს“, ჩუმად მიუგო მეზობელმა, თითქოს რაღაცას ანგარიშობდა გონებაში; „ოთხშაბათიდან“, დაუმატა მან.

თამაზს ტვინი ეწვოდა, თავისი განცხადების გარდა არაფერზე ფიქრობდა. როდის შედგა ის დაკითხვა? აჰ, ცამეტი დღის წინ, კვირას. თამაზი უკან დაბრუნდა სულის სიღრმემდე შეძრული. ახლა ნათელი იყო მისთვის: მისმა გამონათქვამმა გადაწყვიტა ლევანის ბედი; ამ განცხადებამ ან შეთქმულება დაადასტურა, ან ის იყო გასაღები შეთქმულების აღმოსაჩენად. თამაზი გატეხილი დაბრუნდა ნატასთან. ცდილობდა გაეხსენებინა, რა დღე იყო, როცა იმ საშინელ ღამეს ის ხმა გაიგონა, ლევანისას რომ მიამსგავსა. ტვინი კიდევ უფრო მკვეთრად ამუშავდა: სამშაბათი ღამე იყო, მოაგონდა ალმოდებულს. „მოღალატევ, მოღალატევ!“ წყევლიდა თავს.

ჩამწარდა თავისუფლება. უღონოდ დაემხო ნატას ტახტზე. დუმდა თავგზააბნეული. ცრემლების შეჩერებას ლამობდა. ნატამ ვერაფერი გაიგო. ძაღლი ყმუოდა: გაკვირვებული იყურებოდა.

შიშმორეული ნატა ბუნდოვნად გრძნობდა: რაღაც ჩამკვდარიყო თამაზში. თამაზს მზიური მხიარულება აღარ ჰქონდა, ნატა მასთან ერთად დაღონდა და ამ დაღონებისა შეეშინდა. თამაზი ერთადერთი ძვირფასი არსება იყო მის-

თვის. ამ წუთს კიდევ უფრო ძვირფასი გახდა. მაგრამ რაღაც დაკარგულიყო, აღარსად იყო კოჯრის ატმოსფერო, გაზაფხულის სიხალისე, კვირტების შლა. ადამიანური უფრო გაღრმავდა მათ შორის, მაგრამ სიყვარულის წმინდა ბედნიერება აიმღვრა. ორი მეგობარი რამდენიმე წელიწადს დაშორიშორებულია, მუდმივად სწერენ წერილებს ერთმანეთს, უცვლელი ურთიერთობა აქვთ, და მაინც, როცა ერთმანეთს შეხვდებიან, თითოეული მათგანი, გუნებაწამხდარი და უმწეო, გრძნობს, რომ დღევანდელი დღე ის აღარ არის, რაც ადრე იყო. ნატა აკვირდებოდა თამაზს, მაგრამ თავის თამაზს ვეღარ პოულობდა. თავის დასამშვიდებლად თამაზის ცვლილებას ლევანის ბედით ხსნიდა, თუმცა ამჩნევდა, რომ ეს ნუგეში ნაღდი არ იყო. ცდილობდა გადამეტებით გამოეხატა თამაზის სიყვარული, მაგრამ სწორედ ეს გამოხატულება ჩანდა ნაძალადევი, ყალბი. ეს იქნებ თამაზსაც არ გამოეპარა. ნატამ შუბლზე აკოცა სატრფოს, დაძმურ კოცნას უფრო ჰგავდა. ქალმა იგრძნო ეს და გაახსენდა: რა ხშირად ალუქვამს თამაზს იგი არა მარტო სატრფოდ, არამედ დადაც. ნატა თავს იმტვრევდა. უეცრად თამაზს მიუბრუნდა და თავის მუცელზე მიუთითა: „ყური დაუგდე!“

თამაზი მუხლებზე დაეცა, ჯერ ხელით შეეხო ქალის მუცელს, შემდეგ ყური მიუგდო.

„მეექვსე თვეა; გესმის, როგორ ინძრევა?“

„ნატა, საყვარელო ნატა!“ დაიძახა კაცმა.

თამაზი გრძნობდა, რომ მამა იყო ახლა, იმ მამის ნაწილი და გაგრძელება, რომელსაც მუდამ თაყვანს სცემდა. მუხლებზე მოეხვია ქალს, თეძოები დაუკოცნა, შემდეგ ის ადგილი, სადაც ქალი ნაყოფის მოძრაობას გრძნობდა. ნატა დალბა, დამშვიდდა. თამაზის სიყვარული ნაყოფის სიყვარულში გადაუვიდა. თვითონ ნაყოფში იყო ჩაძირული. თვალები გაჰფართოებოდა და განათებოდა, მთელი სხეული მომავალი დედობის სასიხარულო მოლოდინით სუნთქავდა. სიყვარული მისთვის აღარ იყო ავხორცობა და ვნება, თუნდაც ღვთიური; ეს იყო დავალება, ეს იყო საიდუმლო, რომელიც ღვთიურ ნაყოფს ატარებს თავის თავში. თამაზი დიდ სიხარულს აღევსო. ამდენი არასოდეს უკოცნია სატრფოსთვის. მაგრამ ადრინდელთან შედარებით სხვანაირი იყო მისი კოცნა: ტუჩებს არ უკოცნიდა, არამედ ხელებს, მხრებს. ქალი ნისლში გაეხვია.

„ლევანი უნდა დავარქვათ“, უეცრად წარმოთქვა ნატამ.

„ნატა, ძვირფასო, უთუოდ ლევანი უნდა ერქვას! რა კარგად მოიფიქრე!“, მადლიერებით უპასუხა თამაზმა, მაგრამ მაშინვე „ლევანის ტკივილი“ იგრძნო— ასე ეძახდა იმ ტკივილს, რომელსაც ლევანის დახვრეტის შემდეგ ატარებდა. ლევანის გახსენება ეკალივით მოხვდა გულზე. ეს ღამე დალოცვა და წყალობა იყო თამაზისთვის. როგორც კი ლევანი გაახსენდებოდა, ჟრჟოლით ეკვროდა ნატას, თითქოს პატიებას სთხოვდა. ნატას სიახლოვე ამშვიდებდა; ქალის საიდუმლოს ლოცავდა.

მეორე დღეს ლევანის დედა ეწვია — ნინო: მაღალი მშვიდი ქალი ნელი ნაბიჯებით. დიდი მუქი თვალები მქრქალად ელვარებდნენ, შიგნიდან ანათებდნენ სევდიან სახეს. თამაზი მხარზე ემთხვია ქალს. ნინომ ქოჩორზე აკოცა. რამდენიმე დამთრგუნველმა წამმა გაიარა, თამაზმა ძალა მოიკრიბა. ქალმა იცოდა ლევანისა და თამაზის მეგობრობა და სჯეროდა თამაზს ყველაზე უკეთ ეცოდინებოდა მისი ვაჟის ბედი. ფრთხილად გამოჰკითხა შვილის ამბავი. ფერწასულმა თამაზმა აცნობა, ლევანი ნამდვილად სპარსეთშიაო.

„გუშინ ერთი მეგობარი ვნახე, რომელსაც ლევანის წერილი მიუღია“, დაუმატა გულისფანცქალით.

„ღმერთმა დაგლოცოს, შვილო. ვიცი შენი სიყვარული. ვიცი, როგორ გიყვარს ლევანი. როცა გიყურებ, ასე მგონია, იმას ვხედავ. გაუმარჯოს ჩემს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინოს!“ ქალს თვალები აუცრემლდა. თამაზს გული უტიროდა.

თეფშზე ყურძნის ორი მტევანი იდო, ქარვისფერი.

„იმ მხარეშიც არის ყურძენი?“ იკითხა ქალმა. „როგორ უყვარდა ყურძენი! რამდენჯერ მოუტანია ჩემთვის ყურძნის მძიმე აკიდო!“

თამაზმა ამცნო, სპარსეთში უხვი ზვრებიაო. შემდეგ ქალმა იკითხა, ცხენებიც თუ ჰყავთო.

„როგორ იჯდა ცხენზე!“ ქალს სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა. თამაზმა მიუგო, სპარსეთში საუცხოო ცხენები ჰყავთო — არაბული ფაშატებიც კი. შემდეგ ნადირობის, მიმინოებისა და სხვა ამბები გამოიკითხა ქალმა. ყველა კითხვაზე ჰოს პასუხობდა თამაზი. ბოლოს ესეც ჰკითხა, იქ რა ხალხი ცხოვრობს, ადამიანები მეგობრულად თუ არიან ერთმანეთშიო.

„ძალიან“, თრთოლვით უპასუხა თამაზმა.

„მაგრამ შენნაირ მეგობარს მაინც ვერ იპოვის ჩემი ლევანი!“ ამოიოხრა დაღონებულმა ქალმა.

ეს კი ვეღარ აიტანა თამაზმა. იგრძნო, ცრემლები აწვებოდა, და ერთბაშად აივანზე გავარდა. ქალი აუჩქარებლად გაჰყვა.

„რა მოგივიდა, შვილო?“ დედაშვილურად ჰკითხა.

„არაფერი. ტირილი გპუ-ში ვისწავლე“. ძლივს იპოვა სიტყვები.

„წყეულმც იყოს ეგ ხალხი“.

ძაღლი აქ იყო, ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს, თითქოს მათ გვერდით მესამეს ეძებდა, რომლის სახელიც ესმოდა. ქალი დინჯად გამოემშვიდობა, კარში წაიჩურჩულა:

„მე მჯერა შენი, რომ ლევანი სპარსეთშია, მაგრამ გული რად მეუბნება სხვას?“

ამ შეხვედრის შემდეგ კი სრულიად მოტყდა თამაზი. ნატა ვეღარ ცნობდა. დაღონებული თამაზი თავად გრძნობდა ცვლილებას. გული დაუშაიდა ნაყოფს. ძაღლი ეფერებოდა, თითქოს სურდა დაემშვიდებინა. ერთხელ ვაკეში წავიდნენ, სადაც, როგორც ამბობდნენ, ხევის ახლოს ხალხს ხვრეტდნენ. უეცრად, თითქოს სუნი იკრაო, ბალანაშლილი და კუდაბზეკილი განზე გაიქცა. თამაზი გაედევნა და დაინახა, გაცოფებული როგორ თხრიდა ბრჭყალებით მიწას ძაღლი. თამაზმა ხელში აიტაცა ძაღლი და თან წაიყვანა. ღრენით დაუძვრა ძაღლი და უნდობლად შეაცქერდა. თამაზს ტვინი აეწვა. „ო, ღმერთო, ეს შეუძლებელია“, ფიქრობდა იგი. შემდეგ ხეცისკენ აიშვირა შუბლი, იქ ჩამავალი მზის გვერდით სისხლისფრად ანათებდნენ ღრუბლები. იქნებ სისხლის აურაა ეს? ტვინი კვლავ ეწვოდა. რამდენი სისხლი იყო დაღვრილი აქ? რა გაამართლებდა ამას ოდესმე? მომავალი ბედნიერებისათვის გაღებულ მსხვერპლად ჩათვლიდნენ? კი, მაგრამ მსხვერპლი ხომ მუდამ ნებაყოფლობით უნდა იქნას მიტანილი! თამაზს ალმური ედებოდა. ჟრჟოლამ დაუარა მთელ სხეულში და მწველი ყინულივით გაეხირა შიგ. ძაღლს ამ ადგილის მიტოვება არ სურდა. თამაზმა მუჯლუგუნი წაჰკრა; საბრალო ძაღლმა წყენით შეხედა, არ დაუყეფია; თამაზმა ხელი გადაუსვა, ძაღლს სველი თვალები ჰქონდა. ქალაქში დაბრუნდნენ.

ძილი აღარ არსებობდა მისთვის, არც სიმშვიდე. ნატაღა იყო მისი ერთადერთი ნუგეში, მაგრამ ამჩნევდა: მათ შორისაც შეიცვალა რაღაც. თამაზი შიშობდა, რომ მას, სამარიდან აღმდგარ ლაზარეს, სიყვარული აღარ შეეძლო. სიკვდილმა გაიარა თამაზში და ხრწნის კვალი დატოვა. მისი სხეული ჯერ კიდევ გვამის სუნით იყო გარემოცული. ნატამ პირველი შეხვედრისთანავე იგრძნო ეს. კიდევ ერთი წვრილმანი იყო აქ, რომელსაც ხანდახან ძალუძს მისტიური მიმართულება მისცეს ცხოვრებას: გათავისუფლების პირველ დღეს თამაზი, ჩანს, არ დაფიქრებულა ამაზე. იქნებ სულიერმა გადაღლილობამ უფრო მკვეთრად საგრძნობი გახადა ეს წვრილმანი. თამაზი ხედავდა: მასში აღარ იყო მზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარული, ნორჩი ცხოველის ნეტარება, ველური მუხის ფოთლების შრიალი, წყაროს სიანკარე. ახლა უკვე იცოდა, რა იყო სიკვდილი.

მთვარეულივით წამოდგა ერთ საღამოს. ძაღლი თვლემდა. ჩუმად გააღო კარი და უეცრად უთავბოლოდ იწყო ბორიალი. ნატასთან მივიდა. გიჟივით იჯდა და დუმდა. ამ დუმილმა დაამძიმა ნატა. შემდეგ თამაზმა ჩუმად თქვა:

„როგორ მიყვარხარ, ნატა! რაღაცის მეშინია. თუ მოვკვდე, გახსოვდეს, რომ მუდამ შენთან ვარ“.

ნატა შიშით მიაჩერდა.

„და ესეც გახსოვდეს!“ დაუმატა თამაზმა, მიუახლოვდა ქალს და მუცელზე მიადო ხელი.

ნატა კანკალებდა, თამაზის თვალებს ვეღარ ცნობდა, რაღაც უცხო საბურველი გადაჰფარებოდათ. ამ თვალებს რაღაც ენახათ, რისი ნახვის უფლებაც დაუსჯელად ცოცხალ არსებას არა აქვს. ნატა შიშმა შეიპყრო და კაცს ტანზე მიეკრა. თამაზმა გვერდზე გაიხედა, არ განძრეულა, თითქოს სურდა ნატას სხეული მისაში გადმოსულიყო. თვითონ შორეულსა და იდუმალში ჩაიძირა. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოემშვიდობა. ქალმა მის თვალებში ცრემლი შენიშნა.

„რა გემართება?“ ჰკითხა ნატამ შიშით.

„არაფერი, გპუ-ში გული სათუთი და მგრძნობიარე გამიხდა“, ალერსიანად გაეღიმა თამაზს.

ის აღარ იყო ადამიანური არსება. ნელ-ნელა ნატას სახე ხელებში მოიქცია, დიდხანს უყურა გაკვირვებულ თვალებში, შემდეგ სწრაფად აკოცა შუბლზე, თვალებზე, ლოყაზე, ტუჩებში, მაგრად დაუკოცნა მხრები და მკლავები.

„რა მოგივიდა?“ ჰკითხა აკანკალებულმა ქალმა.

„ასე მგონია, უკანასკნელად გხედავ“.

„რას ამბობ, თამაზ?“

„არაფერს, ახლა ხშირად მომდის ასე: შევხვდები ვინმე ნაცნობს და მგონია, უკანასკნელად ვხედავ“.

„მეც?“

„არა, რადგან, როცა შენ ვეღარ დამინახავ, მაშინ ცოცხალიც აღარ ვიქნები“, უცნაური ღიმილით წარმოთქვა თამაზმა. მშვიდი იყო, მაგრამ ეს სიმშვიდე არ იყო მიწიერი.

თამაზი გამოემშვიდობა და წავიდა. უეცრად იგრძნო, რაღაც ჩასწყდა შიგნით. ერთ წამს შედგა, მობრუნება დააპირა. იმავე წამს შორეულმა იდუმალებამ გაიტაცა, ნაბიჯი წადგა და უკან მოუხედავად წავიდა. ის ნელა მიდიოდა და საკუთარ სხეულს არ გრძნობდა, არც მიწას. ბუნდოვან ინსტინქტს დაემორჩილა, კოჯრისკენ გასწია. სამ საათში იქ იყო. თენდებოდა. იმ კაკლის ხეს მიაკითხა, რომლის ბარაქიან ჩრდილში გასულ წელს უბედნიერესი წამები გაატარა ნატასთან. ხეს მიუახლოვდა, მის დამსკდარ კანს მიეყრდნო: წუთით მოეჩვენა, რომ მისი საკუთარი ცხოვრება საუკუნეების იქით მიედინებოდა. მიდამოს დააცქერდა. მზე ამოსულიყო, აღარ იწვოდა, შემოდგომის პირი იყო უკვე. ხის ქვეშ გამხმარი ფოთლები ეყარა; მოყვითალო-მოყავისფრო ფოთლები ახლა იმ კაცის ფეხებს ეხებოდნენ, რომელიც თვითონ იდგა განძარცული. ცხელი ტუჩებით აკოცა ხის უხეშ ქერქს. — უეცრად გულისტკივილით გაახსენდა ნატა. თამაზი მანგლისისკენ დაიძრა. სული დასცარიელებოდა, ყველაფერს მოსწყვეტოდა. კლდეები გამოჩნდა, საკუთარი ხორცის მგლეჯელი ურჩხულები. თამაზმა გზა განაგრძო, ქვეყანას გაურბოდა, ხელმარცხნივ დაბლა უკიდეგანო ველები გადაჭიმულიყო დამრეცად. საღამოვდებოდა, დიდი გრძელი, მუქ-ლურჯი ლანდები იწელებოდნენ და შორეთში იკარგებოდნენ. შეუჩერებლად მიმავალი თამაზი ჰორიზონტს იქით იყურებოდა.

ჰაერი თანდათან დაიწმინდა და გაცივდა, გათხელდა და გამჭვირვალდა. უკვე დაღამდა. თამაზი დაიღალა, მოიქანცა, ძალა წაერთვა. უეცრად ხმოვანება გაიგონა — ორკესტრის ჟღერასავით. თამაზს გაუკვირდა: ვინ აჟღერებდა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიონობით ინსტრუმენტიან ორკესტრს? კოსმიური სიმფონია მოესმოდა, მაგრამ ახლოდან არა, შორიდან, ძალიან შორიდან. ეს მთების ატმოსფერული ხმაური იყო, უფრო დამათრობელი და იდუმალი, ვიდრე ადამიანების მოგონილი რომელიმე მუსიკა. ბგერათა ტალღები ძლიერდებოდა, ახლოს ჩაიქროლებდა და კვლავ შორს გაისმოდა. მოქცევა და უკუქცევა იყო ორკესტრის სუნთქვა, თამაზი გაბრუებული უსმენდა ამ საოცრებას. ჩელოსავით იყო მთელი მისი სხეული: ბგერათა ტალღები ნეტარებით გუგუნებდნენ მასში. იგი დარბილდა, გალღვა, დაიკარგა. იმ რაღაცას მიუახლოვდა, რომელსაც არ ჰქონდა სახელი. სიტკბოება და კრძალვა მეფობდა ირგვლივ. უეცრად კიტეჟის ლეგენდამ იელვა მასში. იმიერვოლგისპირეთმა მონგოლთა ულლის დადგმა არ ისურვა და ციურ სიშორეებში გადაიკარგა. მხოლოდ ტბა დარჩა, წმინდა ტბა. ვისაც ნალდი გული აქვს, მთვარით განათებულ ტბაში გამქრალი ქალაქის ანარეკლის დანახვა შეუძლია, მეტიც: ვისაც წრფელი გული აქვს, მძიმე სიჩუმეში გაღმიდან ღვთიური ჰანგების გაგონება შეუძლია. იქ ლეგენდა, აქ კი სინამდვილე, ფიქრობდა თამაზი. ექსტაზის ჟრჟოლამ აიტანა იგი, შორეული ორკესტრის ყურისმგდებელი. აქ უხილავი ცრემლები დიოდნენ ღვარად. ოკეანის უსაზღვრო შორი ხმაური იყო ჩაჭერილი ამ ორკესტრში. თამაზი ამ აზვირთების ერთი ტალღა იყო მხოლოდ. ის მთვრალი იყო, საკუთარ „მეს“ აღარ იცნობდა. ყველაფერი იყო სინათლე, სიმაღლე, ტკივილი და ცრემლიც. უმთვარო ღამეში შესქელდა წყვდიადი. ორკესტრის ხმები უფრო დაიწმინდა, უფრო თავბრუდამხვევად გაისმა.

თამაზი მთებისკენ დაიძრა, მზესავით ადიოდა, ვარსკვლავივით. ახლა გრძნობდა, რომ მიწასაც შორდებოდა. დარდმა შეიპყრო და უნებლიეთ მოგონება ამოტივტივდა. როცა მაცხოვარმა სული განუტევა, ერთ-ერთმა მცველმა შუბი ჩასცა მკვდარ სხეულს, ნეკნებიდან სისხლი და წყალი გადმოვიდა. იოსებ არიმათიელმა სისხლი იმ თასში შეაგროვა, რომელსაც ქრისტე თავის მოწაფეთ აწვდიდა ზიარებისას. ეს თასი საუკუნეების შემდეგ გახდა გრაალი, რაინდთა მიერ დაცული და შენახული. თამაზს მოაგონდა ეს ამბავი და გაიფიქრა: რამდენიმე წვეთი ხომ მიწაშიც უნდა მოხვედრილიყო! დიახ, მთელი დედამიწა მას შემდეგ ამ სისხლით არის მორწყული. თამაზის ცრემლი ცივ ქვას დაეცა. შემდეგ თვალწინ დაუდგა: დედამიწის მთელი მშვენიერება, კვირტები, ფოთლები — მზის ამბორისგან ალმურმოდებული, ფოთლები კაკლის ხისა, მუხისა, რომლებშიც სიმშვიდე იმალება; მუქი წითელი ვაზი, სავსე მტევნებით დამძიმებული; წინ დაუდგა: ბუნების სტიქიათა სიდიადე, მათი ბანგი და ვნება — და უეცრად ერთმა ფიქრმა დასერა: ეს ყველაფერი დაჭკნება, გაქრება! თამაზი აღსასრულის მოახლოებას გრძნობდა. ისიც ფერფლად იქცეოდა. ღრმა მწუხარებამ გამსჭვალა; მაგრამ მწუხარება მშფოთვარე არ იყო, უმწეობის დარდს არ ჰგავდა, — და მან მიდამოს მიმართა: „შენშიც ტკივილია. ამ ტკივილის დასაამებლად დაიღვარა ღვთიური სისხლი გოლგოთაზე. შენ შენს თავში ატარებ ყოველგვარ სიამეს, ყველა ბრწყინვალებას, მაგრამ ყველა დარდსაც. შორიდან, ძალიან შორიდან მობრწყინავს ხსნა. ო სიმარტოვევ! ო, შენ, ქრისტეს სისხლო, დაჭრილი ნეკნებიდან გადმოღვრილო, შენს ერთ წვეთს მაზიარე, მხოლოდ ერთ პატარა წვეთს, რათა განვახლდე, გავნათლდე, ვითარცა ბავშვი, როგორც ქალწული“.

თამაზი ქვებზე დაემხო, ცრემლები ცივ ლოდებს ეწვეთებოდა. გული თითქოს გაუჩერდა ან თვით ღამეში გადაუვიდა. დიდხანს იწვა ისე, როგორც დაეცა, ბოლოს სცადა წამომართულიყო, შორიდან კვლავ ჰარმონიათა ჟღერა მოესმა, ახლა უკვე მიწყნარებული. თამაზი თამაზი აღარ იყო. იგი ბინდბუნდში ჩაიძირა. ამ დროს წკრიალა ხმა მოესმა,

რომელიც შორეული სივრციდან მოდიოდა მასთან:

„თამაზ“.

თამაზმა სიხარულისგან იყვირა:

„ლევან!“

ლევანის ხმა იყო.

„ჩუმად იყავი“, დაიჩურჩულა ხმამ.

მაგრამ თამაზი ისევ ყვიროდა:

„ლევან, ლევან! მაპატიე!“

„დამშვიდდი!“ გაიგონა მან.

„ცოცხალი ხარ, ლევან?“

„ცოცხალი ვარ“, იყო პასუხი.

თამაზმა შუბლზე სიოს შეხება იგრძნო. ის თამაზი აღარ იყო, იგი სხვა იყო, იქნებ აღარც იყო ადამიანი. მის წინ დიდი ძლიერი სინათლე გამოჩნდა, თვალები დაუბრმავდა, ცრემლით აევსო. შეძრული, გონებადაკარგული, კვლავ ქვებზე დაეცა. დიდხანს იწვა უგონოდ, მთელი ღამე. მზე იმ დილითაც წითლად და ყმაწვილურად ამოვიდა, როგორც ათასწლეულების წინ. მან მწველი სხივები მოახვედრა თამაზს, თამაზმა თავი ასწია, ჯერ ისევ ბინდუბინდის ტყვე იყო. მზემ აიყოლია. მაგრამ ეს რა იყო? თვალები ფრთხილად მოიფშვნიტა და უეცრად იგრძნო: რაც ნაზად და ნოტიოდ ეხებოდა, ძაღლი იყო — ლევანის ძაღლი, რომელიც მას — გახევებულს — ლოკავდა, წკმუტუნით ეფერებოდა. თამაზმა ხელში აიყვანა ძაღლი, წამოიმართა, თვალებში ჩახედა... უეცრად აკანკალებულმა, შეშინებულმა ღმერთი იხილა იქ. თამაზი წამოხტა, უნაპირო სივრცეებს გადახედა და მთელი ხმით იყვირა:

„შენ ხარ, შენ ხარ, შენ ხარ“.

თამაზი უსახელოს უყვიროდა.

ძაღლს წყლიანი თვალები მისკენ მიეპყრო.

გერმანულიდან თარგმნა
**ალექსანდრე კარტოზიამ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

* * *

გიყურებ, ცავ და ხმელეთო,
აკაკის ნაფერებო,
წელში რამდენი მოხარე,
ახლა მე მაბერებო.

არ ვიცი — გულში რა გიდევს,
ვისთან რას მაბარებო...
მკერდმოგლეჯილო ქედებო,
თქვე მიუსაფარებო.

ქართლო, მზით გადახრუკულო,
გაშლილო კალოსავით,
შენა ხარ ჩემი საძვალე
და ჩემი სალოცავი.

ბედს გმობენ ბედაურები,
ულირსებს ალზევებენ...
დილაც ნუ გასთენებია
შენს ავად მახსენებელს.

ყმად გავჩნდი, რაც ვარ, შენი ვარ,
ჩემო სუნთქვავ და აზრო,
არ გაგაგონებ სამდურავს,
გინდ სული ამომძრო.

## მიწისქვეშა გადასასვლელთან

(შაოსანი დედაბერი)

აბაზიანს მაგ ჯამში
კი ჩაგიგდებ, დედი,
მაგრამ, თქვი, რა მოვიგე
ჩემი სიკეთეთი.

ბოროტს უნდა — დასაჯდომი
გადამიჭრას ტოტი,
რისი მქონდა იმედი
ან რას მიველტვოდი.

გრძლად მოუჩანთ სიცოცხლე,
თუმცა წამი კია...
დასათმობი, რაც მქონდა,
დავთმე, წამიგია.

ღმერთი ბევრჯერ ვახსენე,
შავ ბედს ვერ დავეხსენ,
მიკორტნიან სვავები
გულს და... ვდგავარ ფეხზე.

გამვლელს თვალი აყოლო —
დაგრჩენია ისლა...
დავიწყებულ, დამიწებულ
დედაჩემის ხნის ხარ.

რეკავ, მესმის რაკუნი,
მათხოვარის ჯამო...
ამ დაცვეთილ კბილებით
მიწა უნდა ვჭამო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მე ვარ პეპელა. იგივე მწერი.
საკმაოდ ძნელი მისაგნებია —
ჩემი სამყოფელი ანუ სადგომი.
სად ვათევ ღამეს -- თვითონაც არ ვიცი.
არც ის, რომელ კედელთან დამალამდება.
ჩამოვიფარებ გალახულ ქუთუთოებზე
ჩემივე სახისფერ ფარდას, მტვერმოყრილს...
მიბრწყინავს ძილმორეული თვალები,
როგორც იმ ოქროსფერ პეპელას,
ფარდის ნაოჭში რომ ჩაჯდა, —
ჭიის მუცლიდან გამოწელილ ბრჭყვიალა,
შიგნეულივით მიკეცილ აბრეშუმს ჩაებღაუჭა.
დაღალა ფრთები ჩემი ფართხალმა, ფართხუნმა.
გამოხუნებულ გუგებს ველარ გათანგავს გათენება.
მე ვარ პეპელა. უმწეო მწერი;
გამწირა გამჩენმა. ძირშივე გამამწარა,
გამომწურა. აქ ყოფნა მეტად აღარ მიწერია.
მეც ხელის ერთი აქნევა მყოფნის, იმ საწყალივით, —
მოვწყდე ქვის კედლებს,
ტანი დავიქნიო უქნარა, გადავიკარგო,
მივაწყდე ზღვარს, როცა აღარსაით ვიქნები.

## ოჯახის უფროსი

ლობიო ძვირი ჯდება, კირკაყი, —
უნდა საკმაზი სხვანი და სხვანი...
დავალ, ვყიდულობ „დეზერტირკაში“—
სომხისგან — ჭარხალს,
თათრისგან — მწვანილს.

ალმური ასდის კედელს ნასიცხარს,
კიდია ცხვარი, დილით რომ დაკლეს...
მიწონის ოსი ვაშლს მამასისხლად,
კიტრს ყიდის — ხელს არც ქართველი
მაკლებს.

არი ქოთქოთი,
შეხლა, ჯიკავი...
ქათქათებს ბოძზე გალები ნივრის...
გრძელდება ამა სოფლის იგავი,
ვნახოთ, წვრილ თოკზე სანამდე ვივლი.

## სადღაა...

მქონდა სურვილი და მქონდა „ვიზაც“...
ვიგრძენ თვალები, ბნელში რომ ელავს.
არ მავიწყდება ის ქალი, ვისაც
ვესიყვარულე ფეხზედგომელა.
არ მავიწყდება ზაფხულის ღამე.
სადგურის ახლოს — გვირაბი, ხიდი...
მე აკრძალული ნაყოფი ვჭამე,
ძირს ვიხრებოდი და მასაც ვხრიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწ მონას თქვენსას გული მოღლია,
სადღაა იგი წელი და მუხლი;
მივდევ საწუთროს — ურცხვს და
ბოღმიანს,
მე მომკლა თრევამ უაზრო უღლის.

ვგავდი სიმწიფით შემღვრეულ თავთავს,
თურმე ვიდექი გადახსნილ ხრამთან...

საკუთარ ხორხის მესმის ხრიალი,
რას ვიფიქრებდი, თუ ჟამი მხრავდა.

საფქვავი შენი ფსკერზე დავიდა...
ძუნწია ჟამი,
არც არას გაცლის.
თავს ნუ იტყუებ. ახლა, თავიდან,
ვინღა აავსებს ძველ ჰურჰელს,
დაცლილს.

* * *

დაჯერება არ მინდა —
დგება ჩემი ჯერი...
გაყვითლებულ თალარზე
ვიცან ნოემბერი.

ოქრო ამოანათებს,
სადაც დაჰკრა ბარი...
ვიყავი და დავრჩები
მისი მამკობარი.

მიმქრალს, ქარვით გაწყობილს,
მეც გავყვები ბარემ.
ბოლმა გადმომიშალა
ბალმა მგლოვიარემ.

ცა რომ გამოაჩინა,
ხეა უფოთლებო.
საით ჩაიმარხენით,
დარხეულო წლებო.

თუთაც მალე მოიხსნის,
ძირს დააფენს ჯავშანს;
სურო თვალებს შემალავს —
შეშინებულს, შავ-შავს.

გული შეგეკუმშება —
ელავს კომში, ხურმა...
გადიარა,
გამთელა
შენმა ნაფეხურმა.

ამ თვეს წესად მოჰყვება —
ხის, ყოველის, ძირას —
სილამაზემ თავი თვისი
დაფლას, დაიტიროს.

მდინარემაც ბონდის ხიდი
უნდა შეატოკოს;
ფშატის ტოტზე ამ დროს ბიჭი
შემოისვამს გოგოს.

ზენა ქარი დაბერავს,
უხმოდ დავირწევით,
ჩვენ, ცოდვილნი, დაბლა ვართ,
ვარსკვლავები — ზევით.

მალე ვიტყვი: ზამთარო,
რა საამოდ ბარდნი,
შენ გიცდიდა, არ დნება
სული გასავარდნი.

## შეგონება საკუთარ თავს

ხომ იბეჭდება, ჩვენც ვხედავთ —
სვეტებად დარაზმული,
უმაღლეს ჰონორარისთვის,
ლექსები მარაზმული.

არადა, თავი არა აქვთ —
არ ჭამის, არა სმისა;
უძარღვო შუბლზე ატყვიათ
ნიშანი მარაზმისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ფახა-ფუხი, ფეხბურდღლებს,
ბურდღუნით მონაჩმახი,
თავზე რომ გადაახიო,
დიახაც არის ახი.

შორს შენგან ბილწთა ც[illegible]
თამაში სახიფათო;
ის ჰუჰყი, მოლანდებული,
ეშმაკის საზებადო.

## კვიპაროსი ვერის უბანში

ხე, დახვეული, წერწეტა,
მზეს ეგებება ოდეს,
მიწაში ჩაწნულ-ჩაგრეხილ
შავ ფესვებს უმადლოდეს.

რა გასაოცრად მშვიდია
კენწერო კვიპაროსის;

მშვიდია ჩიტი ნაცარაც,
იმ კენწეროზე რო ზის.

ათასჯერ ისარნაკრავი,
ისევ ხტი, წამებულო,
შენ არ წყნარდები, სიმშვიდე
არც გეღირსება, გულო.

* * *

პეპელა რომ გდევდეს, ისეთს
შეგიკერავ კაბას.
ფრთას შეგვახლის ნიავი,
წავალთ ახალდაბას.

იქ, მდინარის პირას,
მოგვიჩრდილებს თხმელა,
წყალი იყოს ცივი,
პური იყოს ხმელა.

ტყვეს, თვინიერს, მეტყვი,
მოლზე წამოვწვეთო, —
სამყურაზე ნამის
დაკიდულო წვეთო...

ყველაფერი ირგვლივ
სუფთა და უბრალო.
მკლავზე გატრუნულო,
ჩემი ნატვრის ქალო...

ხმა ვისმინოთ მჭახე
იმ ხეობის, შუის;
დაბორკილი წამით,
სად მდინარე ქშუის.

ერთ ქროლვაში ვიხდი
მთლად სიცოცხლის საფასს.
მწიფს მაყვალი მზეზე, —
წავალთ ახალდაბას.

## ლტოლვილი

გამიგია მე ამბავი
ერთი ბიჭის, ინგილოსი,
დაჰყოლოდა მადლი უცხო,
მხარზე ეჯდა ანგელოსი.

მისსავე ლექსს ამღერებდა,
მისგან გამოჩორკნილ საკრავს,

იჯდა სოფლის მოედანზე,
ამოსთქვამდა, ვინც დაჩაგრა.

მამა-პაპის კერიიდან
აგლეჯილი, გააქციეს,
დაედევნენ მარბიელნი,
მისძახოდნენ: როგორ თქვი ეს?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ შესვა წყარო, მწყურვალს
ხელთ დაემსხვრა ბროლის სურა...
მიშველეო,
მიშვილეო, —
დედა — თბილისს მოაშურა.

არ მიკითხავს, თვალბრიალას
ერქვა აბრია თუ ღვთისო.

ვინც კი ნახა, მითხრა ასე:
იქნებოდა თხუთმეტისო.

ვაჰთუ დაფრთხა, ჩიტად იქცა,
რომ ისტვინოს და იკვნესოს;
სადმე, ობლად მიტოვებულს,
დაფრთხიალებს ქართულ ეზოს...

## ჭირისუფალი

დატოვე და ჩემზე იყოს
შენი გადარჩევა;
ლექსი იტყვის — თუ დარჩები,
თუ რამ გადარჩება.

ვსინჯავ გემოს, გამოზოგილს,
თითქოს ნექტარს ვისხამ...
ხელით ავრწყავ, გადავაწყობ —
ფრთხილად, მისხალ-მისხალ.

ჩვენც ჩავუდგათ ფაცერი
დროს ყოველის მომრევს;
გაცრილია წმინდა თვალში,
რაც რომ გადავნომრე.

სხვებმაც იგრძნონ სურნელი
დატყვევებულ წამთა, —
ვნება, ცეცხლზე, დაბალზე,
ის, რაც დაბალზამდა.

მამსახურე, უფალო,
ვინმეს თუ დავჭირდი,
მაზიდვინე ბოლომდე
ჭირისუფლის ტვირთი.

ნუ გაწირავ, ტანჯვაში
ვინც ღამეებს ათევს,
ამოაგდებს თევზივით
სტრიქონს ნაუცბათევს.

## გზის მიწურულს

(ავტოპორტრეტი)

სიმწრისგან სახე გეწოდა,
რაიც გეწადა, ის ქენ...
ასე იტყოდა საპყარი,
ხელაპყრობილი ცისკენ:

ჩამოდით თითო აბაზი,
ყელზე მკიდია ქისა,
გაიღეთ მცირე წყალობა,
შვილი ვარ დავითისა.

არა მშურს სხვათა მე ხვავი,
მოიმკოს, ვინც რა თესა;
მეხვევა ჭირი ათასი,
არც ველი სიკეთესა.

ვიხილე რისხვა უფალის,
თავს დატეხილო მეხო,
ვერ გამოვდექი მემკვიდრედ,
კაცობა აღარ მეყო.

მივყევი სოფლის დინებას,
რაც მიყო, თავმა მიყო;
გავხმები, შენი ჯიშის ვარ,
ყლორტებაყრილო დიყო.

ნურავინ დაიტრაბახებს —
გავძელი ბოლომდისო...
რამდენის ბედი მაბოდებს,
რამდენის ცრემლი მდისო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ᲭᲕᲚᲘᲙᲘ

მზეზე გაწოლილ ხვლიკის
იცოდეთ, როგორ მშურს,
ფოთლების შრიალს რომ უშვერს
გაფაციცებულ ყურს, —
ის შენგან მოვლას არ ითხოვს,
საჭმელს — წყალსა და პურს.

არც არაფერში ეთვლება,
თავისთვის, ჩუმად თვლემს,
ფართხალს და ჯაჯგურს მე მისას
როგორ შევადრი ჩემს,
უგულო წუთისოფელი
თავ-პირში უროს მცემს.

წინ არვის გადაუდგება,
არვის შეაკლავს თავს,
ლოცვას არავინ უგზავნის,
არც მომდურავი ჰყავს,
ერთი მტკაველა ძლივსაა,
არვინ გააძრობს ტყავს.

მე ისიც მომწონს, ტანტალას,
კუდი რომ დასთრევს გრძლად,
არ გამიყოლებს საფარში,
იცის — არა ვარ მზად,
თან, ძველი მუხლი არ მომდევს,
წავა, მივდიო სად?

დაეკიდება მზე თავქვე,
მონახავს ქვებში ხვრელს,
არის თუ არა ამ ქვეყნად,
არაფრით გაამხელს,
დილაზე გამოცოცდება,
მაღლა აზიდავს ყელს.

## ᲪᲮᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

ახლა რა ჯობს — წამოწვე
და ბუზები იქშიო,
თუ — გახვიდე ვერაზე
კარტოფილის რიგშიო.

თქმა არ უნდა, ცხოვრება
დღეს ფერებში მუქშია,
აღარც უნდა ინაღვლო —
თუ გწყურია, თუ გშია.

სულ იოლად მოხდება —
ქვაც არ დარჩეს აქ შენი,
არ გელევა, სანამ ხარ,
საკვნესი და საქშენი.

## ᲬᲐᲛᲔᲠᲗᲛᲔᲕᲐ...

ლულას მე ვერ მივიბჯენ,
ვერც გავიტან ლელოს;
დარდი თითონ მომნახავს —
დამიმარტოხელოს.

ბოლმა, ნაცვლად ხალისის,
გულზე დამახალოს,
წყალი გადაუწუროს
ჩემს მიწურვილ ალოს.

ჰირი ვერ ამაშორა, —
შაირია თუ ზმა,
რამდენს უნდა გაუძლოს
ამ ბებერმა კუზმა.

წამერთმევა (მზეა მოწმე,
წითლად მოჩახჩახე),
რაც ამ ყურით გავიგონე,
რაც ამ თვალით ვნახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განშორება

ვეღარ შეძლო მეტის დაცდა,
სისხლი დაწდა ღარში,
მიწას დაწვდა, შემომაცვდა
დედა — ჩემი გარსი.

დაუბრუნა ცას და მიწას,
ჰქონდა რაც ვალები,
გაქრა, ქვის ორმოში ჩაწვა
ულვთოდ ნაწვალები.

ნაწამებმა საწამებლად
ღამეს მიმცა მელა,
დამკრა მეხი და კარავი
თავზე ჩამომეხა.

მე მწირავდა კუშტი, მკაცრი,
თვით ებადა რაც რა...
დავებედე, დავებადე —
ცრემლში ჩაინაცრა.

გავერიდე (ვერც გავბედე,
შიშით, დამეხედა)
სასიკვდილოდ აბარგებულ,
აბორგებულ დედას.

არ მენახა ნეტა ჟამი
სულის ამოხდისა;
უფრო არ გაწამებულა
თვითონ დედა ღვთისა.

## ხილვა

დამესიზმრა არწივი —
საქართველოს რუქა;
ფრთები თითქო ჩაბღუჯულ
მზეზე დაეხრუკა.

შებოჭილი ბეჭები.
დრო-ჟამს დაეჟანგა;
სისხლით დამბალ ბუმბულზე
შეატყობდი კანკალს.

მკერდში, დასაკორტნელში,
გაჯდომოდა ჭვალი,

დასეოდა, უჭამდა
გულ-ღვიძლს ჭიანჭველი.

გადახსნოდა ნისკარტი,
ზიდვა ულლის, ღლიდა,
თითონ ქვაში ნაკვეთი,
შავ კლდეს თავს ახლიდა.

ნუთუ გავიწირენით
და იმედი არ ჩანს;
კაცი რაღას უშველის
უფლის გადასარჩენს...

## შენზე მითქვამს...

რა მიხვედრა უნდა ამას —
შენ ხარ ერთი ქალი.
მზე ზენიტზე შემართული,
ჩემი ვერტიკალი.

რაღა შენ შეგეყარე,
განმაიარაღე.
გაუძლებდა მაგ თვალებს
რა რკინა და რა ხე.

მონასხლეტი, მონუსხული,
დარჩენილი მარტო,
მონა შენი შენს ნებაზე
შეგიძლია მართო.

სულს რომ მართმევ, დამემართოს,
რაც მაქვს დასამართი:
გულო, ვეღარ იძვრი მარდად,
ბარემ დასამარდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენკენ მოღრეცილი კისრის
მიჯირს გატოკება,
ასე შევრჩით მუნჯ კედლებს,
რა ვქნათ მარტოკებმა.

ივლებ თავზე ოქროს გვირგვინს,
ისეც კაი ხარო;

გლოცავ ქვესკნელ გახეთქილს
ნეტამც გაიხარო.

ვერას გადრი. უხმოდ დნები
სახებადრი ქალი...
შენზე მითქვამს ყველა ქება,
ზმა და მადრიგალი.

## ვერის დაღმართთან

დავცქერ ქვაფენილს, მანქანას გადუვლია კუზე...
თუნუქი გაბრტყელებული... სადღაა ვიწრო კუზი.

მისგან არც ქნარი გამოვა, აღარც თასი და კათხა,
სადღაა კოშკი მცოცავი, სიპად ქცეულა ქვადღა.

ამაოდ ხეხა მუცელი; წამწარდა, რაც იხოხა,
უკანასკნელად შეეხო რიყრაყის ცივი ლოყა.

დამასწრო, არ შევსწრებივარ მოკლე თათების სავსავს;
საბრალომ სურო გალავნის გადმოიარა ნავსად.

შავი ბორბლების გრიალში, ვერც მერე იყო ფხიზლად...
სული გამსხლტარი ჯავშნიდან — ნეტა ვის შეეხიზნა.

დავყურებ მიწას — ამდენი საშინელების დამტევს,
გავწამდი, ლანდი ტანჯულთა ამდევნებია, დამდევს.

## თვითმკვლელობა

გოგომ დაიბარა:
მე — ქცეული ხედო,
მე — საწამლავდალეული,
ჩუმად დამმარხეთო.

ძილის ფარდა ეფარა,
სანთლის ფერი, ედო:
შავი მიწა დაბარეთ,
მას მიმაბარეთო.

დახრილები უვლიდნენ
და აყრიდნენ იებს...

ცოდვას რა ეშველება
და გულს ანატკიებს.

ჩალურჯებულ ბაგეზე
ნაკვალევი შხამის...
იჯდა, ხმა წართმეოდა
მოთქმით ბებიამისს.

მეხი დაცემულია,
ვერც ვერაფერს იზამ...
შვება მომცეს რისი, მე,
ღამემ სამძიმრისამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართანო

ღმერთმა არ გამოლიოს
თქვენ ოჯახში აკვანი;
ქალი — გასათხოვარი,
ვაჟი — ცოლმოსაყვანი.

გაჭექილი ბეღელი,
გატენილი ნალია,
გამჩენელმა შეგარგოთ,
რაც წლის მოსავალია.

თქვენი ნაწვავ-ნადაგის
ყოფილიყოთ ყაბული,
არ მენახოს მარანში
ჭური ამოხაპული.

თქვენ გამრავლდით, არ დარჩეს —
ეს ქვეყანა მოცილეთ;
მამა-პაპა, საქართველო,
სტუმარს დაალოცინეთ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელგუჯა მერაბიშვილი

# ზ Ე Დ Ა Შ Ე Ნ Ი

## მოთხრობა

* * *

ციხის კარიბჭეს ჯიქურ მოადგნენ ხელშუბიანი მხედრები უაბჯრონი იყვნენ, ტყავის კაბები ემოსათ.

კოშკის ბანიდან მეთვალყურე მზირებმა ისიც შენიშნეს, ორს ბერის კუნკული ეცვა და ორივე ჯორზე იყო ამხედრებული, მერე წინ წამომდგარი მეფის შათირი იცნეს და მსწრაფლ ჩაეგებნენ.

მცხეთელ გოლიათს შუბის წვერზე გაეკიდა ფირმანი, ფირმანსაც და მხრებზე მოგდებულ მეწამულ მოსასხამს ქარი უფრიალებდა, ეტყობოდა კარის დარაჯად მდგარმა მეციხოვნეებმაც იცნეს, რაკი ფართოდ გახსნეს ბჭე.

უწინ მეფის მიერ გამოგზავნილი გრაგნილი მიართვეს ციხისთავს, მერე კი უცხო მხედრები შეუშვეს ციხეში. მხოლოდ ერთი დარჩა გარეთ: დაბალ ცხენზე იჯდა, მხარილლივ გადაკიდებული ხალთა-გუდის თასმა ყელში უჭერდა, მაგრამ ვერ გრძნობდა, სულ სხვა ფიქრს ასდევნებოდა მისი თვალი და გონი — გოდოლის თავზე წამომდგარ იასამნისფერ ღრუბელს მისჩერებოდა.

ციხეში მყოფთაგან ცოტამ თუ იცოდა მისი ვინაობა, მხოლოდ ამბად გაეგონა, რომ იყო ძველ მცხეთაში ბერი ვინმე სამეფო სამოთხისა კამარათა მწერელი. მეციხოვნენი მოთმინებით ელოდნენ, თუ როდის ინებებდა უცხო სტუმარი კარიბჭეში შემოსვლას.

ციხისთავ თორღუულს ისევ ხელში ეჭირა მეფის მიერ გამოგზავნილი გრაგნილი და მჭმუნვარე სახით დაჰყურებდა სინგურით ნაწერს.

მერე უმრწემესი ძმა ამოუდგა მხარში და უმალ შვება იგრძნო თორღუულმა, მას გაუწოდა გრაგნილი.

თვითონ წინ წადგა ციხისთავი და ეზოსმოძღვარ ბინაქარს ანიშნა, სტუმრებს წასძღოლოდა. მეფის შათირი კი არც ჩამოქვეითებულა, უკან გაბრუნებას აპირებდა, ფარეში იქვე დაატარებდა მარქაფა ცხენებს.

ბინაქარი ქვის ტალანით მიუძღვოდა სტუმრებს, მერე შიდა ციხის ეზოში აიყვანა და უცხოთა მისალები ფუნდუკისაკენ ქნა პირი.

თორღუული კარიბჭის გოდოლის ზედა დარბაზში განმარტოვდა და იქ უხმო ძმას. კარის ღიობში ძლივს შემოიმართა ჭაბუკი, სახეზე ფერი აღარ ედო კახას და აბისფერ თვალთა შუქიც ჩაჰქრობოდა. შემოვიდა და მძიმედ დაეშვა ტახტის კიდეზე, ზედ არ შეუხედავს უფროსი ძმისათვის.

თორღუული დაფიქრებული მიმოდიოდა დარბაზში, ფიქალით დაგებულ იატაკს დაჰყურებდა თითქოს. იქ ეძებდა პასუხს მეფის უსტარზე, მერე სქელ კედელში დატანებულ ვიწრო სარკმელთან მიდგა და ხევს გაღმა ნისლიან ჭიუხებს გაჰხედა.

რა მოუთმენლად ელოდა ამ გაზაფხულს თორღუული... გავიდოდა არეას თვე და დათქმული როგორც ჰქონდა, ძაძას გაიხდიდა გულდუ. დედის სიკვდილიდან სამი წლის თავზე გაიხდიდა შავებს და საგანგებოდ ნემსული ლალანა კაბებით შემოსილი ივლიდა ციხის ეზოში.

კიდევ ორი კვირაც და ჩათავდებოდა არეას თვე. დარჩენილ დღეებს თითებზე ითვლიდა თორღუული და აი... უცაბედად მოადგა კაცის ციხეს ავბედითი მაცნე...

გულდუ... გულდუ... გულდუ...

ესმოდა საკუთარი გულისფეთქვა სარკმელთან მდგომს.

სუროსფერი კაბა ეცვა თორღუულს, თარგზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქრილი და გულდაგულ ნაკერი მძიმე ქსოვილი მკაფიოდ წარმოაჩენდა მის ახოვანებას. კაბისამარას, უჩაბალახოს, მხრებამდე უწევდა ხშირი შავი თმა. ულვაშას, ნარბშეკრულსა და მრისხანედ მომზირალს მარჯვენა თვალი ოდნავ დიდი მოუჩანდა, რამეთუ ყვრიმალზე დაჩნეულ ღრმა ნაჭრილობევს მცირედ მოეხმუჭნა ლოყის თავი და დაჭიმულ უპეს ქვედა ქუთუთო დაბლა დაეწია.

თორღული მიბრუნდა და ძმის დადარაჯებულ მზერას წააწყდა. კახა ტახტიდან წამომდგარიყო, ნარინჯისფერი ჩოხის კალთები აეკეცა, სახელოები დაეკაპიწებინა და ორლესულივით ფხიანი ტანშემართული იდგა.

ახლა ორივეს გონება ერთ საფიქრალს მისწვდა — რა პასუხი გაეცათ მეფისათვის, ორივეს ისევ ყურებში ედგა გრაგნილიდან ამოკითხული სიტყვები, რასაც ბრძანების ძალა ჰქონდა და ერთგული ყმისაგან გვერდი არ აევლებოდა...

„...მოინება კეისარმან ცოლად კეთილბუნებოვანი და კეთილსახე ქალწული გვაროვანი, რჯულისა ქრისტესითა, უმეტესად ქართული...“

— მოვკლავ! — კახამ გველისპირულზე იტაცა ხელი.

ამ შეძახილმა რალაცას მიახვედრა თორღული, უფრო ირწმუნა ის, რაც აქამდე ეჭვით, გუმანით იცოდა, ერთი შუბლისქვემოდან გახედა ძმას, გაბრუნდა და კარისაკენ წავიდა.

ციხის ქონგურებს ზემოთ, მზიანი ღრუბლებით აფერადებულ ცაში, ორბები ეტანებოდნენ ფრიალოებს და, როგორც საბრძოლო ყიჟინა, ისმოდა მათი გაავებული ყაშყაში.

დილიდანვე თვალს ადევნებდა თორღული ციხის თავზე მოყაშყაშე ფრთოსნებს და ავი წინათგრძნობით აფორიაქებული ადგილს ვერ პოულობდა შემოგარენში... მაგრამ ამდენს მაინც როგორ წარმოიდგენდა...

გულდუხტარი...

ზღვისფერთვალება გულდუს, ტანადსა და ანგელოზივით სახიერს, ამ ციხის ერთადერთ სამკაულს, ელტვიან თურმე მტაცებლები, მის წართმევას ლამობენ...

„...მოინება კეისარმან ცოლად კეთილბუნებოვანი და კეთილსახე...“

ძალა აღარ ეყო, ფიქრი განეგრძო, შლეგად ჩაირბინა ქვის კიბე და შიდა ციხის ეზოში გავიდა.

დერვიშთა სავანესთან დაყურსულ ჭალარათმიან კაცს წაადგა: უცხო იყო, შუბლზე ხელი მოეჩრდილებინა და თვალმიშტერებით უმზერდა ციხის განაპირა კოშკს. კოშკი თეთრი ქვით იყო ნაგები, ოთხივე წახნაგი კაჟქვით ჰქონდა აფერადებული და ასე აუდევდა მაღლამდე და თვით ქონგურებიც კაჟისავე ედგა მაღლით. მზე შემოსდგომოდა კოშკს და სადაფივით უბზინავდა ქარსიანი სარკმელები.

თორღული მიხვდა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს თაფლანვერა ბერი, რადგან მისმა დანახვამ უმალ გაახსენა გრაგნილის ქვედა კიდეში მინაწერი:

„...ჩვენის მეფურის ნებით წარმოვავლინეთ კაჟციხეს სამეფოის სამოთხისა კამარათა მწერელი, მონაი ღვთისა თეთაი“.

ჩანდა, თეთაის დერვიშთა სავანეში დაედო ბინა, ალბათ აქედან უნდა ევლო ყოველ დილით სადედაწულო უბანში, რათა მეფის ბრძანებით გადაეასლებინა სახე გულდუხტარისა შორეულ ბიზანტიონს წასაღებად.

და თუ შეძლებდა თეთაი გულდუს ხატად გადაასლებას, ინებებდა კეისარი მის ნახვას, მოიწონებდა, ეტრფიალებოდა და მაშინვე ვეზირთ აახლებდა საქართველოს მეფეს კაჟის ციხიდან გულდუს წასაყვანად...

და მაშინ ველარავინ აღუდგებოდა წინ მრისხანე კეისრის ნებას.

გულდუხტარი... ბიზანტიის დედოფალი...

მეფისაგან გამდგარ ხევისთავს საკუთარი ციხის ქონგურებიდან მოუწია გადაფრენამ, რამეთუ თვალებდავსილმა და ცოლწაგვრილმა აღარ ინდომა მოძულებული სიცოცხლე. ხევისთავის ერთადერთი მემკვიდრე ზენონი მამის წამოწყებულ ამბოხს შეეწირა, ხოლო უმრწემესი ასული გულდუხტარი დედამძუძემ გადამალა მთებში.

იავარქმნილ კაჟის ციხეს ათ წელზე მეტს არავინ ჰყავდა პატრონი, სანამ მომდევნო მეფემ რისხვა წყალობით არ შეუცვალა ხევს და საკუთარი მკლავით, სიჩაუქით აღზევებული თორღული არ მოუვლინა ციხეს პატრონად.

ესმა ეს ემბავი დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეთილ ციხისთავის მეუღლეს თევალს, უმალ გაიძრო მონაზონის საბეჭური, მოყმედ შეიმოსა და ღამით იდუმალ შემოვიდა კაჟის ციხეში. ვითარ ხატის წინ, მუხლმოყრილი ევედრებოდა თევალი თორღულს, გადაერჩინა ხევისთავის საძეო ასული გულდუხტარ...

ცოლად უნდა შეერთო თორღულს გულდუხტარი, ხოლო პირმშოსათვის ზენონი დაერქმია. მათი შვილი ზენონ ხევისთავად უნდა მოვლენოდა ხევს.

მეფის უკითხავად დათანხმდა თორღულ და მესამე ლამეს ბინაქარმა ციხის განაპირა კოშკში შემოიყვანა მთვარესავით სახენათელი ქალწული...

და რომ ეგონათ ხევისთავის ასულის არსებობა აღარც ახსოვთო სამეფო კარზე, ეს გრაგნილი აახლა მეფემ კაჟის ციხის პატრონს...

— რაზე ფიქრობ, ჩვენო პატრონო? — ბინაქარი იდგა მის წინ, მოუსვენრად აცეცებდა თვალებს და ისედაც შეთხელებულ წვერს იწიწკნიდა.

— საფიქრალი რა მაქვს... უთუოდ დაშვენდება ბიზანტიის დედოფლობა ხევისთავის ასულს. წიგნიერება არ აკლია, კეთილგონიერება მით უფრო...

ბინაქარმა განზე გაიხედა და ხმა დაიდაბლა.

— იქნებ მცხეთას ვხლებოდი მეფეს... მუხლი მომეყარა...

— შესავედრებელი რა გაქვს?

— ეგების შეიწყნაროს გულდუ...

თორღულმა თავი ჩაჰკიდა, მხარი იბრუნა და ძლივს ამოღერღა:

— რისთვის?.. ან ვისთვის?

ამას რაღა კითხვა უნდაო, თავისთვის გაიკვირვა ბინაქარმა, მაგრამ წელან ნანახი პირგამეხებული კახა გაახსენდა და ტუჩზე იკბინა, რაღაცა ენიშნა.

— ჩვენი ერთმორწმუნე, საქართველოს მფარველი ბიზანტიის დედოფალი გახდება გულდუ და უთუოდ ბედნიერი იქნება, რაკი შეეძლება, შემწედ ჰყავდეს თავის გამზრდელ ხალხს... და ჩვენც სხვა რაღა გვინდა, — დასძინა დაღვრემილმა.

ფრიად შეწუხდა ეზოსმოძღვარი. მიხვდა, რომ ძმებმა იცოდნენ ერთმანეთის ხვაშიადი, ორივეს თავდავიწყებით უყვარდა ხევისთავის ასული.

გაზაფხულის ის შფოთიანი ღამე გაახსენდა ბინაქარს, წისლად რომ ანვა ციხეს ამ სამი წლის წინ. სამხრეთის გოდოლის ვიწრო სენაკში სულთმობრძავი თევალ დიოფალი სულ ბოლო წამსაც ამას ევედრებოდა თორღულს, გულდუს უპატრონე, ოღონდ საძეო დიაცის უფლებებს ნუ წაართმევო. მაშინ სიტყვა მისცა მომაკვდავ დიოფალს თორღულმა, ბოლომდე ვუერთგულებო ხევისთავის ასულს.

— ფიცი დაგავიწყდა? — თავი ასწია ბინაქარმა.

— დიახ, გვერდით ვეყოლები გულდუს, თან გავყვები შორეულ ბიზანტიონს... კახას დავუტოვებ ციხეს.

ბინაქარს აღარაფერი უთქვამს, გაბრუნდა და ტორტმანით შეუყვა აღმართს.

თორღული თითქოს ქვად იქცა, უძრავად იდგა იმავე ადგილას. ის უკვე ხედავდა ფერად ჯუბაჩაში გამოწყობილ გულდუს, ჯორზე გაკიდულ საქუმელში მჯდარს, შორს მიმავალს... იქნებ სულაც არაფერზე დასწყვეტოდა გული ხევისთავის გულზვიად ასულს?

თორღული ნელა აუყვა საცალფეხო კიბის ქვის საფეხურებს. გალავნის კედლის სულ განაპირა სამზერთან ორი ლანდი შენიშნა და მათკენ წავიდა.

ლანდები ხევს გადაჰყურებდნენ და რაღაცაზე ბჭობდნენ, თითქოს ისინიც რაღაცა ხიფათს შეეშფოთებინა და ციხის გამაგრებას ლამობდნენ.

ახლოს რომ მივიდა, ბინაქარი და კახა იცნო.

* * *

ვიდრე ბინაქარი მივიდოდა მასთან, კახა მარტო იყო, სამზერთან იდგა და გალავნის მილმა ამზევებულ ფერდობებს გაჰყურებდა.

კლდისძირა მყუდროებში უფრო თამამად ბიბინებდა ბალახი, ცივი ქარის სანავარდო ველიანები კი ოდნავ მწვანობდა. ქონგურზე შემომსხდარ შოშიებსაც სციოდათ, მაგრამ გაზაფხულის დადგომა ახარებდა, და მხიარულად სტვენდნენ.

ოცნების თვალით გაჰყურებდა კახა მზით გამთბარ ველიანებს და თხელი კაბისამარა გულდუს ხედავდა, მინდვრის ყვავილების დასაკრეფად გასულს. ხევისთავის ასულს გამორჩევით უყვარდა ნამიკრეფია თეთრი ყვავილები...

— ყველაზე ძალიან ვინ გიყვარს ამ ქვეყნად, კახავ ბატონო, — ჰკითხა თავს წამომდგარმა ბინაქარმა.

კახამ გაკვირვებით შეხედა, ამის კითხვა რაში დასჭირდა ხომ არ მცდისო.

— მე კი არა, ამაზე გამი ითხოვს პასუხს, — მოძღვარს ხმა ჩაეხრინწა მღელვარებისაგან.

— თორღულია ჩემთვის ყველაფერი... მაგრამ უბედური ვარ იმით, რომ მას უფრო მეტად ვუყვარვარ.

— თორღული ბიზანტიონს აპირებს წასვლას... გულდუს მიჰყვება, — ბინაქარს თვალთა უპეები მოეცრემლა.

— მეც წავალ ბიზანტიონს. — კახას თვალებმა ცეცხლი დაჰკვესეს.

— მერე ციხე?

— ციხეს გამოუჩნდება პატრონი.

დუმილი ჩამოვარდა. ახლა უკვე მკაფიოდ ისმოდა ახლად გაღვიძებული ჩანჩქერების შორეული ჩქამი.

— ეგების დაგვეტოვებინა გულდუ? — ჩაიხითხინა ეზოსმოძღვარმა.

— როგორ? — კახა თვალებად იქცა.

— მცხეთას ვეახლებოდი მეფეს. თორღულმა ბრძოლებში დაღვრილი სისხლით დაიმსახურა ციხისთავობა, ეგებ მეფის კარმა სხვა წყალობაც არ დაიშუროს მისთვის... უფრორე დედოფლის იმედი მაქვს... ის არ ინდომებს ხევისთავის ასულის ალზევებას. სილამაზით მას ისედაც აღემატება გულდუ...

კახა დუმდა.

ბინაქარი ახლოს მივიდა, მხარზე ხელი მოხვია და განდობილად უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაკი ასეა, გულდუს გამგზავრება აჯობებს.

კახა დუმილს განაგრძობდა, მაგრამ უკვე თანხმობისა იყო ეს დუმილი.

— ამას რას ვხედავ.. მოძღვარო, ნუთუ სიმაღლემ მუხლი მოგკვეთა და სხვის კისერს ჩამოეყრდენი? — მოესმათ უკანიდან თორღულის ხმა.

ორივემ ერთდროულად მიიხედა.

— სიმაღლემ კი არა, წლებმა მიყო, ჩემო პატრონო, წლებმა და სიდუხჭირემ ბედისამ.

— ბედზე ჩივილი დიაცთა წესია, მოძღვარო.

— და არც მერმისი მეხატება უკეთესი, — არ დაუთმო ბინაქარმა და უკვე უმზეო ცის კიდურს დაუწყო ჭვრეტა.

ქედის თხემთან იასამნისფერი ღრუბლები ელაგა, მწუხრი ეშვებოდა ხეობებში, ბინაქარი ბინდდაკრულ ცას მისჩერებოდა.

— ავი სიზმარი ვიხილე კვირაძალს... ჭავლის ქვაბი განძით იყო სავსე, მაგრამ სპეკალთა მაგიერ ოქროს ჭურჭელში სისხლი იდგა... არეას შევუთქვი, ჩვენს მოწყალე მარიხს, გათენდა თუ არა მის სახელზე გამოვაცხობინე ბედის პური... ახლა მისგან მოველი პასუხს.

— ცთომილი ქვეყნის მაშუქად გაუჩენია ღმერთს და არა სამისნოდ, — ჩაიცინა კახამ.

— ცთომილნი მრავლად იპოვების, რომელიმე მაშუქად დაუდგენია უფალს, რომელიმე ნვიმათა და დართა სასნაულად, რომელიმე მემარგედ ანუ ბედისა მჩხრეკელად, — წარბშეკრული ბინაქარი თვალს არ აშორებდა ცას.

ძმები მოთმინებით ელოდნენ, ციდან რა პასუხს მიიღებდა ეზოსმოძღვარი.

— უქმური შემოდის კაცის ციხეში და განძის ხელში ჩაგდებას ლამობს... უნდა ვიჩქაროთ, დავასწროთ უქმურს.. სხვაგან გადავმალოთ განძი... ჭავლის ქვაბს შევაფაროთ გულდუ ,— ბინაქარმა თორღულის წინ მოიყარა მუხლი, — მომეცი ნება, ჩემო პატრონო, ვეახლო მეფეს.

— წამოდექი, — ცივად უბრძანა თორღულმა, — ამ საღამოსვე შეამზადე ხევისთავის ასული, რომ ხვალ დილითვე გაიძროს ძაძა. მთავარი კოშკის თავზე დაელოდება მას კამარათა და ხატთა მწერელი. — ეს თქვა, გაბრუნდა და ბნელს შეერია.

* * *

გულდუხტარს ჯერ ისევ რთავდნენ სანთიობოში, თავს დასტრიალებდნენ და მისი ცქერით ვერ ძღებოდნენ სეფექალნი.

ის იყო, კოშკის ბანს მზე შემოადგა და ისიც გამოჩნდა.

სელი მოართვეს მხევლებმა, ხირაულის ყვავილით მოქარგული თხელი [illegible] მოურბენინეს ქვეშსაგებლად და [illegible] მხოლოდ ერთი დარჩა და ფეხთით მიუჯდა.

ბანზე მცირე კილიკი დაეგო თეთაის — ბეწვეულის ფლასი, რბილი რამ, ყალამი სამისნო იარაღივით შეემართა და ხელებით ფიქრობდა — ჰაერში ძერწავდა ქალწულის ხატებას.

გულდუმ უკვე იცოდა, ვინ იყო თეთაი და რისთვის იყო მოსული კაცის ციხეში. შიშნეულ სიხარულს ჰგვრიდა სამეფო კარის ასეთი ყურადღება... თუნდაც ის, რომ სილამაზითა და კეთილგონიერებით მთელ საქართველოში გამოარჩიეს ნეტარებით ალავსებდა მის გულს. თუმცა მშობლიური სანახები, გარს შემოჯარული გოროზი მთები არ ემეტებოდა დასათმობად. ენით გამოუთქმელ ნაღველს ალუძრავდნენ. გრძნობდა, რომ მათთან განშორება გაუძნელდებოდა. უცხო მხარეს მიმავალს მხოლოდ თორღულის იმედი ჰქონდა, სჯეროდა, რომ მხოლოდ ის არ მიატოვებდა, ბოლომდე გვერდით ეყოლებოდა, როგორც დედას შეფიცა. მხედართმთავრის სახელოს უწყალობებდა მას ბიზანტიის დედოფალი...

იცოდა, რომ ახლა კაცის ციხეში ყველაფერი თორღულის ბრძანებით ხდებოდა და გულის სიღრმეში სნყინდა კიდეც, ასე იოლად როგორ გამიმეტაო. ამ მკლავღონიერ და ლომგულ ჭაბუკს ძალიან მიეჩვია გულდუ, მის გვერდით არაფრისა ეშინოდა და ეს სულიერი სიმშვიდე უდიდეს ბედნიერებად მიაჩნდა.

უყვარდა?.. ალბათ უყვარდა კიდეც თავისი ძლიერი მფარველი და მომავალი მეუღლე ხევისთავის დაობლებულ ასულს...

ახლა კი სხვა უფრო დიდი მფარველი, ქვეყნიერების მპყრობელი მოევლინა პატრონად... თუმცა თორღული მაინც არ ემეტებოდა...

ნაბლისფერი თმა იისფერ მანდილში ჰქონდა აკრეფილი გულდუს, თუმცა მწყაზარ შუბლზე მაინც დასცურებოდა და ნამახულ მკერდზე ჩქერალივით ეყარა ხუშხუშელა თმის კონლები... ღიმილში გაპობილი სიფრიფანა ტუჩები იაგუნდის მძივად უჩენდა უზადო კბილებს, მაგრამ სევდა დაჰკრავდა ამ ღიმილს და კილოებში ოდნავ განზიდულ ზღვისფერ თვალებსაც თითქოს ჩაჰქრობოდათ ხალისიანი შუქი... ალბათ გამოუცნობის მოლოდინში კრთოდა ქალწულის გული...

ხელზე ოდნავ მინოლილი ღრუბლებში შეცურებულს ჰგავდა გულდუ, ნისლის თხელი მაქმანივით ემოსა მიმქრალი იისფერი მოსასხამი.

ციხის თავზე ისევ ყაშყაშებდნენ ორბები, მაგრამ მხატვარი ვერაფერს ამჩნევდა, სადაფისფერი ღრუბლის ნიმბი ადგა მის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯდარ ანგელოსს და მისი ხილვით იყო დატყვევებული.

ქვეყანით რანი იყო თეთაი, უცხოდ განსნავლული, მარტოსული, მცხეთას დაყუდებული და მერე კამარათა მწერლად შერაცხული ვაზირთა უპირველესის მიერ. და მით უფრო გამოუცნობ ძრწოლვას გვრიდა ბერს მიწიერი ქალის ნადილისმომგვრელი ქორფა სხეულისა და ცეცხლოვანი თვალების ასე ახლოს ხილვა...

ლაზლით ნაქსოვი უნდო მაზარა ეცვა თეთაის, სამხატვრო წამლების ნალვენთებით ფერამლვრეული და ნახევრად სველი, ხალთა გუდისათვის პირი მოეხსნა და კუს ბაკნებში გახსნილი ყველა სალებავისათვის აეხადა თავი.

მუხლმოყრილი, ვითა მლოცველი, მისჩერებოდა თეთაი ჰაეროვან გულდუხტარს, მოწყალებასავით შესთხოვდა ღიმილს, მოფამფალებულ ღოჯებს პირის მომუწვით ძლივს მალავდა, სასწაულთან მიახლოებით გაშოწვეული განმწმენდი ფიქრი მირონივით ეცხო შუბლზე და ნათელს ფენდა მის ჭკვიან სახეს.

ციხეს მოსული უცხო ქეშიკნი უმეტესად ელინნი იყვნენ, წარმოგზევნილნი კეისრისა მიერ, რათა წარეღოთ იბერთა ქვეყნიდან არმაღანი ძვირფასი — სახება პირმშვენიერი ასულისა.

მცირე ლუსკუმა თან ახლდათ ქეშიკთ — თავახდილი იდო მუნ.

და მჭვრეტელი იბერთა და კოლხთა მინის საოცრებისა ბერი თეთაი აღარ ამთავრებდა ხატთან ლაციცს, ლაღი ფიქრით მეშვიდე ცაზე იყო ასული.

მიწიერი სილამაზით გათანგულ კამარათა მწერელს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ სახიფათო იყო მისთვის სასწაულთან ასე მიახლოება, რომ მახლობელი კოშკის სამზერიდან მის შუბლს ფრთოსანი ისარივით ესობოდა კახას გაავებული მზერა. ჭაბუკს მთელი არსებით სძულდა ეს ყვითელლოჯება ბერი, ასე რომ ცდილობდა გულდუს უბადლო სახის გადაასლებას და სხვაგან წაღებას. მშვილდისაკენ თავისით მიუძღოდა ხელი...

ვაითუ გულს ველარ მოვერიოო და მართლა ვტყორცნოო ისარი, სამზერს განერიდა არეული ნაბიჯით ჩაიარა კიბე.

* * *

ბინაქარი მთვარეულივით დაბორიალობდა ცარიელ პალატებში, თალოვან ტალანში მემაშხალეს შეეფეთა და ახლა მას ჰკითხა, ციხის პატრონი ხომ არ გინახავსო.

არავინ იცოდა თორღუღის ასავალ-დასავალი.

სამ დღეს კიდევ ელოდა ციხის სახლეული პატრონის გამოჩენას. ვიეთნი ამბობდნენ, მცხეთას ჩასულა და მეფეს შეეწირება და ახლა უკან მოიქცევა გახარებულიო.

კვირის ბოლოს მართლა გამოჩნდა თორღული ციხის კარიბჭესთან, მცირე ამალა ახლდა გულოვან ჭაბუკს. კახა დაბლა ჩაეგება ძმას.

ციხეში შემოსვლისთანავე, სწრაფად ჩამოქვეითდა თორღული, სადავე შემოგებებულ ყმას შეატოვა და ძმას გადაეხვია, მოესიყვარულა.

მერე ბინაქარიც გამოეგება პატრონს, ალერსიანი საყვედურებით აიკლო, სად დაგვეკარგე, გზისკენ დაგვაწყდა თვალებიო.

— ბიზანტიის კეისრის რჩეულს მზითვიც ღირსეული უნდა ახლდეს, — ეს თქვა მხოლოდ.

ბინაქარი ახლოს მივიდა და მხარზე აკოცა ბეჭბრტყელ გოლიათს.

— მამულს, შვილო, როგორც გორდა ხმალს, ფხიანი პირი და გამძლე ყუა სჭირია, პირი სჭრის და ყუა უკან მიჰყვება, ზურგს უმაგრებს... შენ საპირე ხარ წინ გამძღოლი და გამკვეთი, დანარჩენები კაცის ციხეში საყუედ თუ ივარგებენ... დაე, ნუ მიწყენს კახაი.

კახამ თავი გადააქნია, ანიშნა, სრულებით არ მწყინსო.

— ზედაზენის ეკლესიაში ცხრა წელს ვიყავი დაყუდებული და იქ ვპოვე ეს სიბრძნე... იმ წმინდა ადგილს ადრე კერპი ყოფილა აღმართული, ზადენი რქმევია, მერე ასურელ მამას იოანეს ქრისტიანული სალოცავი აუგია... ადრეც, როცა ქართველები წარმართები იყვნენ, და მერეც, როცა მათ თავის რჯულად ქრისტიანობა მიიღეს, ეს ადგილი მაღალი ფიქრის საბრძანებლად შეურაცხიათ... აქ მოსულს, ბერად დაყუდებულს თუ ღვთის წინაშე მუხლმოყრილს თუნდაც ერთი ღამით ზეგარდმო ნათელით უნდა ავსებოდა სული — მამულზე ფიქრი მირონივით უნდა მოსცხებოდა შუბლზე... სახელადაც იმად ენოდა ზედაზენი... თავიდან ზენა ძენი ყოფილა, ძერე უთქვამთ ზედაზენად, ზადენიც ამასავე გულისხმობდა თურმე... ზენა ძენი მამულს არასოდეს დალევია, აზნაურნიც ყოფილან და უაზრონიც აღზევებულან, გვაროვანნიც და უგვაროვნონიც თანაბრად წარმოუჩენია ქვეყნის სიყვარულს... შენც ზენა ძე ხარ შენი ფიქრით, შვილო... დამილოცნიხარ...

ჯორებს საპალნე მოხსნეს ყმებმა და პალატაში ეზიდებოდნენ დიბას, სტავრას და ოქსინოს. მერე დედანი მოდგნენ და ხელთ აიღეს ნელსაცხებელი მცირე რამ ჭურჭელნი ოქროცურვილნი.

სპეკალით შემკული ზარდახში მიართვეს გულდუს თორღულის სახელით. სეფექალთ ხელი ნაუცდათ, გახსნეს და გაჰკვირდნენ, რა იხილეს უცხოდ ნახელავი ყელსაკიდი ჯვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიანობამდე ისმოდა დიაცთა ტკარცალი და მხიარული შეძახილები ჩრდილო კოშკში. საჯალაბოში თორღულის ბრძანებით ირთვებოდა ოქრომკედი, იქარგებოდა კაბები, ჯუბაჩები, მოსასხამები, ჰაეროვანი ნაყშებით იქარგებოდა ფერადი აბრეშუმის გულისპირები და თავსაბურავები.

ერთ დროს პატარძეულის, ციხეზე ნათქვამ ლექსს უმღეროდნენ გულდუს. ხმადაბლა, სევდიანად გალობდნენ შიმუნვარნი:

„პატარძეულის ციხესა გამოუთხრიან
ძირსაო,
გამოიყვანენ ლამაზსა, ცრემლით
დაპბანენ პირსაო".

თორღული მშვიდად უსმენდა სიმღერას, ერთი ძარღვიც არ შეტოკებია სახეზე. ბინაქარმა მოწონებით შეხედა ციხისთავს, მერე კახას მოკიდა ხელი და თან წაიყვანა.

სენაკში გვიან დაბრუნდა, გაუხდელი მიწვა, რადგან ძილს არ აპირებდა, თვითონაც არ იცოდა, სად დაატარებდა ეშმაკის ცთუნებას აყოლილი ფიქრი.

გამთენიისას მაინც ჩაეძინა და ეზმანა ვითომ სამხრეთის გოდოლს კედელი მორღვეოდა, უჟმური შემოსულიყო ციხეში და ტალანში დააბოტებდა. ბანჯგელიანი გრძელი ხელები ჰქონდა უჟმურს, მოქანდული მოკლე ფეხები და მწვირიანი კუდი. ვითომ იღიმებოდა — ყურებამდე გახეოდა ლაშებგადმობრუნებული პირი, თოხებივით კბილებს ჰყრიდა და ცეცხლოვანი თვალებით ჩხრეკდა უკაცრიელ ციხეს...

— ჰოი, განვედ ჩემგან, უსახურო... — ძლივს გახსნა კრიჭა ბინაქარმა და ჯვარი შეაგება უწმინდურს.

უჟმურმა ხარხარი მორთო ჯვრის დანახვაზე, ზანტად გაიარა ტალანი, გულდუს სავანესთან მივიდა და კოშკის კედელში გარჩენილ ძელში კაუჭა კუდით ჩამოეკიდა.

მუხლწართმეულმა ბინაქარმა ძლივს აიდგა ფეხი, სამოსახლო გოდოლები შემოიარა და სენაკებშიც შეიხედა. ვერავინ ნახა, რომ ეუწყებინა ავი ამბავი.

ბედად კარიბჭესთან ქვის ლოჯზე ალვირით გამობმული ცხენი დალანდა, მიირბინა, ზედ მოევლო და მცხეთისაკენ აფრინა...

საფურცლესთან მეფის მარეკები შემოეყარნენ — სანადიროდ ენებებინა გამოსვლა მზეჭაბუკ გვირგვინოსანს, ქვემოთ ორი უტევანის მანძილზე გაშლილიყო მისი ამალა. ბინაქარი ჩამოქვეითდა და მდაბალი თაყვანი სცა მოახლოებულ გვირგვინოსანს.

— წამოდექ და მთხოვე რაც გინდა, — მეფემ ფრთხილად შეახო ზურგზე ტაჯგანალი.

ბინაქარი წამოდგა და სულმოუთქმელად უამბო მეფეს, რაც ნახა კაჟის ციხეში.

— რას ითხოვ ჩემგან? — წარბი შეიკრა სრულიად საქართველოს მეფემ.

— კაჟციხე უჟმურისაგან დაიხსენ, მეფეო... გულდუ დაიფარე, ნუ გაატან უწმინდურს.

— უწმინდური რად იქნება საქრისტიანოს პატრონი?.. და კიდევ რომც დავიფარო, ხომ დაჭკნების ეულად შთენილი ტურფა ასული?

— ეული რად იქნება, მეფეო, თუ შენი მეფურის ნებით თორღულს უწყალობებ მის თავს, მაშინ გულდუც გადარჩება და კაჟციხეც.

— გულდუ რომ თორღულს მივცე, მაშინ თორღულსაც დავკარგავ და კაჟციხესაც, ზენონ ხევისთავი გაჩნდება და ხელმეორედ ამიჯანყებს ხევს, — მეფემ უარის ნიშნად გადააქნია თავი.

— წინასწარ საიდან იცი, მეფეო, ჯერ ხომ არ დაბადებულა ზენონი?

— ვიცი. გულდუ საძეო დიაცია, ჩემი მოსისხლე ხევისთავის ნაშიერი, ამბოხიანი სისხლი უჩქეფს ძარღვებში, მეფის საბრძანებელს არას არგებს მისი ჯილაგის გამგრძელებელი... უნდა მოიკვეთოს! — მეფემ ჯალათის ნაჯახივით შემართა ტაჯგანალი და ორად გააპო ცა...

ბინაქარს გამოელვიძა და ზარდაცემული პირჯვრის წერასა და ლოცვა-პუტპუნს მოჰყვა, მერე წამოდგა, საგებელი შეასწორა და სენაკიდან გავიდა. კაჟის ციხე ნისლში იყო გახვეული, მიმკრთალ ლანდებად მოჩანდნენ ცადაწვდილი გოდოლები.

„ეგ არი და შემოპარულა უჟმური კაჟის ციხეში... ის მაინც რად არ ვუთხარი მეფეს, რომ გულდუ კეთილგონიერებითა და სხეულის სილამაზით ფასდაუდებელი უნჯია ჩვენი პატარა ქვეყნისათვის, ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის თაობიდან თაობაში წამლები... და თუ მას შინ დავტოვებთ, დასაკარგავად ვერ გავიმეტებთ, ვიდრე საქართველო იარსებებს, გულდუს ჯავარიან თვალთა სხივიც ინათებს მასთან ერთად..."

უცხო ენაზე შეძახილმა შეაკრთო მოძღვარი, ფიქრები ჩიტებივით დაუფრთხო: შონაზონის კუნკულში გამოწყობილი, თმა-წვერდავარცხნილი მხცოვანი კაცი შემოსცინოდა ეზოსმოძღვარს, ბერძნულად უბნობდა.

„ეს ხომ არ არის ის უჟმური... ეგების სახეშეცვლილი მიდგას წინ და რადგან ცთუნება სნადია ჩემი, ტკბილბერძნულით მესათუთება".

ეჭვით შეხედა და იმავ წუთს სტუმართაგან ყველაზე ენაწყლიანი ქეშიკი — პრისკე იცნო.

— ქვეშაგებიდან უთენია რამ წამოგაგდო, ქრისტიანო? — ჰკითხა ბინაქარმა.

— სიბერით განელებული სისხლი ტანს ველარ მითბობს, მოძღვარო! სამხერიდან შემოსულმა ნისლმა გამთოშა, — პრისკე ხელებს იფშვნეტდა.

მიხვდა ბინაქარი, რა სენიც შეპყრობოდა სტუმარს, ტინის ქვით ნაგები მარნისაკენ წარუძღვა. სახაბაზოდან თბილი პური მოატანინა მოყმეს, დაბალ ტაბლაზე ხმელი თევზი და გუდის ყველის ნაჭრები დაყარა, დერგს კუპრიელი ჭოკი ძრო და მარანში მაშინვე ძველი ღვინის სასმო სურნელი დატრიალდა.

ეს კამკამა თავკვერის ღვინო ბინაქარმა ამ სამი წლის წინ ქართლიდან ამოატანინა და მცირე დერგებში ინახავდა დაკოდილთა და ჯანნაკლულთა სამკურნალოდ.

თიხის სანდეებში საამოდ იბუშტებოდა სისხლისფერი ღვინო, წითლად ქაფდებოდა, ზვირთს ისროდა.

ღმერთისა თქვეს, მამა ღმერთისა ძე ღვთისა და სული წმინდა მოიხსენიეს. პრისკემ სანდე დაცალა, მუცელზე დაისვა ხელი, სასმელი დაიგემოვნა და მირონიაო, ჩაიღიმილა.

ბინაქარმა მეორედაც პირთამდე შეავსო სანდეები. ჩქარობდა ეზოსმოძღვარი პრისკეს არავინ მოაკითხოსო, კარგად იცოდა, ქეშიკთა შორის უთუოდ იქნებოდა კეისრის მსტოვარი. გულით ენადა, რამე დაეცდენინებინა სტუმრისათვის, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ გულითად საუბარს შორი და მაღალი სათავე სჭირდებოდა.

მესამე წდეც რომ გამოცალეს, ეზოსმოძღვარმა მეთოდიოს პატარელის შრომები შეახსენა ბიზანტიელს; ჯერ თავისუფალი ნებისყოფის ირგვლივ ისაუბრეს, მერე ბინაქარმა სადღეგრძელო თქვა, ალავერდს გადავიდა სტუმართან და მეთოდიოსის ჰიმნი გაიხსენა.

პრისკე აცმუკდა ამის გამგონე. ესეც არ აკმარა ბინაქარმა გაოცებულ სტუმარს, ზეპირად თქვა ქალწულთა გუნდის მისამღერი:

„შენთვის, ჰოი საქმროვ, ვინახავ ჩემს ქალწულობას და მანათობელი ჩირაღდნებით გეგებები შენ".

ისევ შეავსო წდეები შფოთიანი თავკვერით და ამოიოხრა.

— სწორედ რომ ასე წავა ბიზანტიონს თავისი ბედის შესახვედრად ხევისთავის ასული გულდუ.

ცრემლმორეულ მასპინძელს რომ შეხედა, სტუმარს თაფლისფერი წვრილი თვალები აუჟუჟუნდა, დამჭკნარი ხელი გულზე მიიდო და მარნის ჭერს მიაპყრო მზერა.

— მაგ ჰიმნში ქალწულები თავიანთ საქმროდ ქრისტეს გულისხმობენ, ქრისტეს, რომელიც არასოდეს იხრწნება, არის უკვდავი, უბიწო და უბერებელი... კეისარი კი... —

პრისკემ შიშნეულად მიმოიხედა, [illegible] გადაიწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, რაო კეისარი? — ვითომც აქ არაფერიო, ისე იკითხა ბინაქარმა.

პრისკემ ისევ მიმოიხედა.

— ბოროტმსახურად ჰრომაელთა სკიპტრასა ჰმართებს, — დაიჩურჩულა და იქვე შეშინდა ეს რა წამომცდაო, კბილებჩაცვენილ პირზე აიფარა გამხდარი ხელი.

გაგონილმა გულზე უკბინა ეზოსმოძღვარს, მაგრამ თმენა არჩია ისევ შეავსო სანდეები და აცალა თავკვერის ღვინოს, კიდევ რას წამოაცდენინებსო სტუმარს. სიტყვა მოუნაცვლა, ხმა დაითაფლა.

პრისკე კვლავ ჩურჩულს მოჰყვა.

— გულუნდოა კეისარი... არა მოშიში ღვთისა... რამეთუ, სტანჯვის ქალაქს... მოიყვანს თვისად ქალწულთა და ქმრიანთა... ძალყოფითა დახრწნის მათ...

გუნება მოეშხამა ეზოსმოძღვარს ამის გამგონეს, მაგრამ არა თქვა რა, სტუმარს ჯვარი გაუწოდა საამბოროდ.

* * *

სალამოხანს ეზოსმოძღვარი მოიკითხა თორღულმა, მემაშხალე გაგზავნა მის მოსაძებნად. მოახსენეს, მარანში შესულა, ბლომად ღვინო უსვამს და უთუოდ ამის გამო ძოუარა სამთვარიო სენმა, დაბნედილს წასწყდომიან შინაყმანი და თავის სენაკში წაუყვანიათო.

ეუცნაურა თორღულს გაგონილი და თვითონ წავიდა მოძღვრის სანახავად.

ბინაქარმა ტალანში დარხეული ნაბიჯების ჩქამით იცნო პატრონი, ქვეშაგებიდან წამოიწია და სასთუმალი შეიმაღლა.

— სად დამეკარგე, მოძღვარო, ოდეს შენი თანადგომა მჭირია, — უსაყვედურა.

— ჯვარი ალვილე და ღვთის შეწევნით საფურცლეს ვეახელ მეფეს.

— მერე? — თორღულმა გაკვირვებით შეათვალიერა, ხომ არ აბოდებსო, გაიფიქრა.

— მეფემ არ დაგითმო გულდუხტარი. ქვეგამხედვარე ციხისთავის სისხლი უდგასო, ის რომ საქართველოში ვამყოფო, კაცციხესაც დავკარგავო თორღულთან ერთად.

— თავად გულდუს თუ სწადია ბიზანტიონს გამგზავრება, შენ როგორ ეურჩები მის ნებას? შენგანვე მსმენია, მოძღვარო, ზენა ძენი არასოდეს დალევია საქართველოს და თუ აქამდე მოვაღწიეთ მათი ნიჭისა და ძარჯვენის მადლიაო. გულდუც საძეო დიაცია და ძესავით ირჯება მამულისათვის. მზადაა უცხოებაში გალიოს თავისი დღენი, ოღონდაც კი სამშობლოს გამოადგეს... და თუ კახაც თან ეახლება და არ დაიშლის, მე დავრჩები კაცის ციხეში.

— მამულს ვერაფერში წაადგება გულდუ... მეტის სათქმელად ენა ველარ მიბრუნდება... მანდ მოვინიშნე ტიბიკონის ყდაზე, — ბინაქარმა თვალები მილულა.

თორლული მიბრუნდა და ტახტის ძგიდეზე ჩამოდებულ საგალობელთა კრებულს მისწვდა... ძლივს ამოიკითხა სუსტი ხელით ხაჩხაპნი და გულს ელდა ეცა, პირგამეხებულმა შეხედა მოძღვარს.

— ასე უზომოდ იმად ვსვი ღვინო... რომ პრისკესთვის რამე დამეცთენინებინა... ტიბიკონის ყდაზეც იმად მივჩხაპნე ანდერძივით, რომ არ მეგონა თუ ცოცხალი დავრჩებოდი ღვინისა და ელდისაგან ერთად დაზაფრული.

თორლულმა ტიბიკონი იღლიაში ამოიდო, მოძღვარს ორიოდე სიტყვა უთხრა სანუგეშოდ და სენაკიდან გავიდა.

* * *

თეთაიმ მეოთხე დღეს განასრულა ხატი და მეტრფედ იქმნა ნახელავს თვისას. ბეწვა ყალამი მიაგდო და ქალწულის ხატი დიდ ჩეროში დაავანა ჯერ ისევ სველ ლაწვთა შესაშრობად, სალებავთა ფერის დასაწმენდად.

სამფეხა სკამზე იჯდა თეთაი და სუფრულს მღეროდა, სისხლით შელებილს მიუგავდა სურინჯით მოთხვრილი ხელები.

„მინდოდა მქონოდა სამი თვითმდინარი წყარო თაფლისა, ხუთი კიდევ რძისმდინარი წყარო, ათი ღვინისა, თორმეტი ნელსაცხებლისა... ორი ანკარა წყაროს წყლისა და სამიც თოვლიანისა. მინდოდა წყაროსთან მყოლოდა ბიჭი და გოგო“.

ბერძნულად მღეროდა თეთაი, რომ უცხო ქეშიკთათვის მოეგო გული. ბინაქარი ნამოადგა თავს.

— რასაც ნატრობ, ყველაფერი გექნება, ოღონდ მოისურვე, — უთხრა ქართულად.

— ვინ მპირდება მაგ წყალობას? — ქართულზე გადავიდა თეთაიც.

— ზედაზნის უწმინდესი ხატი იოანე ნათლისმცემლისა მეტყველებს ჩემი ბაგეებით. ითხოვე და გექნება, რაიც გნადია.

— სანაცვლოდ რას ითხოვს ზედაზენი?

— უმეტესად ტურფად წარმოგიჩენია დედოფლად სახელდებული, — ჩაილაპარაკა ეზოსმოძღვარმა და კრძალვით შეხედა გულდუს ხატებას, — ეგების დაგეგონჯებინა... ავსულისათვის... ავი თვალისათვის აგერიდებინა.

კამარათა მწერლის გონებამდე გვიან მიაღწია ამ სიტყვების აზრმა, შეკრთა თეთაი, ერთიან შეიძრა მთელი ტანით, სამფეხა სკამიდან წინ წავარდა და პირქვე დაემხო თავისი ნახელავის წინაშე. შეშლილსავით ატრიალებდა თვალებს და თან ჰგოდებდა:

— ...მე ავამაღლე ჩემივე ღვთაება, უმანკოების გზის მაუწყებელი... თვით ზენაარიც ვერ მიბრძანებს დამცრობას მისას, ის ყოვლად წმინდა ხატია, ცით მოვლენილი ჩემ ფიქრთა ტყვევნად...

ბინაქარი მიხვდა, თეთაის არსება უძლური იყო მისივე ხელთქმნილი ციური მადლის წინაშე. ხანხალით გამობრუნდა უკან. თორლულთან შევიდა სამთავრო პალატაში და ყოველივე აუწყა.

— დაე, გაემგზავროს ხატი ბიზანტიონს, სათათბიროდ კიდევ დაგვრჩება დრო, ვიდრემდის თავად გულდუს წასაყვანად მოადგება კაეცრიხეს მეფის ამალა.

— არა, არ ეგების გულდუს წასვლა უცხო ქვეყანაში. აქამდე მხოლოდ სიზმარში ვეახლე საჭურცლესთან სანადიროდ გამოსულ მეფეს... ახლა ცხადში ვაპირებ მცხეთას წასვლას.

— იყოს ნება შენი, — ამოიოხრა თორლულმა, — ოღონდ თუ მეფემ უარის თქმა ინება, მაშინ ველარაფერი გადაარჩენს ხევისთავის ასულს. უთუოდ დაიღუპება.

— რად დაიღუპება?.. განა არ შეგწევს ძალი, წინ აღუდგე მეფეს სიყვარულის გადასარჩენად?

— მეფის ურჩობა ზენა ძეს ვით ეკადრება... ზედაზნის ხატიც გვიწყენს ამას, არ შეისმენს ჩვენს ვედრებას.

— გულდუს სილამაზე ერის განძია... მისი უცხოეთში გადაკარგვა, თუ ამას ქვეყნისათვის სხვა რამ, თანაც უფრო მეტი, სარგებლობა არ მოაქვს, მტერობაა მამულისა, თუნდაც ამას თავად გვირგვინოსანი სჩადიოდეს... ამის მზრახველი მეფე ვერ იქნების ზენა ძედ... ჩვენ მხარეს იქნება ზედაზნის ხატი ძლიერი.

თორლულს აღარაფერი უთქვამს, ეზოსმოძღვარი დაითხოვა და საკუთარ თავთან ბჭობდა.

და აი, დადგა გულდუხტარის ხატის გაცილების ჟამი. თეთაიმ ციმციმ ჩამოასვენა იგი კოშკის ბანიდან, მცირე კიდობანში დაავანა.

ციხის სახლეულმა მის შორიახლო მოიყარა თავი, თვალებით ესიყვარულებოდნენ მდგნალის ფიცარზე ფერთა თამაშით გადაასლებულ გულდუს და ალტაცებას ველარ იოკებდნენ. ასე თავლია კიდობანში ჩაყუდებულს უნდა ემგზავრა ხატს, სანამ სალებავები არ შეაშრებოდა. ჩქარობდნენ ქეშიკნი.

მეციხოვნეებმა კარიბჭე გახსნეს და აქეთ-იქით გამწკრივდნენ გზისპირს, თორლულიც გამოვიდა კოშკის ზედა სართულიდან და მძიმე ნაბიჯით ჩამოიარა კიბე, მხოლოდ კახა არ ჩანდა.

ქარსის გატეხილ სარკმელთან მალულად იდგა გულდუ და თვალს ადევნებდა, თუ რა ხდებოდა ციხის ეზოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდობნით დასაპალნებული ჯორი ვიღაცა ხელშუბიან მხედარს მიჰყავდა, თავისი ცხენის უნაგირის ტახტზე გამობმული, მის უკან თეთაი მიაჩაქჩაქებდა ტანმორჩილ ცხენს.

აი ისინი უკვე გასცდნენ ციხის გალავანს, ცოტას ნადგნენ და კაპნებზე თეთრი თოკივით გადაკიდულ ბილიკს დაუყვნენ. მალე ხმაურით ჩაიკეტა ციხის კარიბჭე და ყველაფერი მინყნარდა.

სტუმრები უკვე შორს იყვნენ კაჟის ციხიდან, რომ ანაზდად ფრთიანმა ისარმა გაკვეთა ჰაერი და ხატს განეწონა...

თეთაიმ ხელი წაატანა გადასარჩენად, იმავ წამს მეორე ისარი დაესო მდგნალის ფიცარს და, ვითა სამსჭვალმა, ზედ მიაკრა თეთაის ხელი ხატს.

განწირულად აყვირდა თეთაი, მაგრამ არავინ იყო მშველელი, რადგან ყველას აშინებდა უჩინარი დამხვდური... კარგი მოისარი ჩანდა და იმად უფრთხოდა ყველა. მერე თვალი შეასწრეს ქეშიკთ, თუ როგორ მიხტოდა ციცაბოზე დაჭდეულ სანრიაპოზე უცხო მოყმე, მშვილდები მოიმარჯვეს, მაგრამ ვერცერთმა ვერ დააწია ისარი.

თორღულის ბრძანებით ციხიდან ჩაეშველნენ, ჭრილობიდან ისარი ამოუღეს თეთაის, გაგლეჯილ ხელისგულზე სალბუნი დაადეს და შეუხვიეს. ამბავი შემოიტანეს ციხეში უკან მოსულებმა, გულდუს ხატებას ორივე თვალი დათხრილი აქვსო, მის აღდგენას ამაოდ ეცდებაო ხელგაგლეჯილი თეთაი...

თორღულმა გარეგნულად მშვიდად მოისმინა ამბავი, გულში კი არ ესიამოვნა, აბა რა დიდი ფიქრი უნდოდა, რომ მეფის რისხვა მოჰყვებოდა კახას ანამოქმედარს.

ეზოსმოძღვარი შემოვიდა, ისიც შეშფოთებული ჩანდა.

— ნუთუ შენ ეს იცოდი და არ დაუმალე, ჩვენო ჭკვიანო პატრონო? — ჰკითხა.

თორღულმა მხრები ჩამოყარა.

— მაგ უჭკუო მოისარმა მეფეს ნაგვკიდა, — თქვა ხმადახშულად.

— თან დროც ნაგვართვა მოსამზადებლად, — დასძინა ეზოსმოძღვარმა.

— შენ რა, მეფესთან შებრძოლებას აპირებ? — შეუბღვირა თორღულმა.

— შებრძოლებას არა, მაგრამ გაცლასაც ხომ უნდა დრო.

— ახლა ეს ტიბიკონი ნაუღე გულდუს და ნააკითხე, რაც მის ყდაზე გიწერია, ყოველივე აუწყე, რაც მოხდა... მცხეთასაც ახლავე უნდა ვაფრინოთ მსტოვარი, შევიტყოთ, რას გადაწყვეტს მეფე.

— უამბოდაც ვიცი, კაჟციხესა და გულდუს ერთად ვერ იტანს მირონცხებული... ციხისთავობა რომ დასთმო და გულდუ შეირთო... ამას როგორმე შეეგუებოდა მეფე...

— მე დავთმობდი, მაგრამ გულდუ არ ინდომებს... ვერ იგუებს მდაბიოდ ყოფნას... თავს მოიკლავს. — თორღულმა თავი ჩაუქნდრა.

— დრო არ ითმენს, ნავალ, ვეტყვი სიძართლეს, დაე, თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი, — ეზოსმოძღვარმა ფეხი აითრია, ეგების კიდევ მითხრას რამეო, მაგრამ ციხისთავი ქვადქცეულივით უძრავად იდგა.

გულდუმ ბოლომდე ჩაიკითხა ტიბიკონის ყდაზე მინაწერი და გულზე იტაცა ხელი.

— უწინამც დღე დამელევა, — დაიკვნესა.

— თორღული პასუხს ელოდება, რას გადაწყვეტ? — ეზოსმოძღვარი პირჯვარს იწერდა.

გულდუ დიდხანს ფიქრობდა და ბოლოს ეს თქვა მხოლოდ:

— კაჟის ციხეში დაველოდები სიკვდილს.

სხვაგვარ პასუხს არც ელოდა ბინაქარი, ჯვარი გადასახა პირმშვენიერ ასულს და პალატიდან ფეხაკრეფით გავიდა.

თორღულზე ფიქრობდა მარტოდ დარჩენილი ხევისთავის ასული. თორღულ იმედი იყო კაჟციხისა, იმად უყვარდა იგი გულდუხტარს....

„თუ ყველა იმედი გადაიწურა და პატრონიც მომიკლეს, მაშინ სპეკალში ჩაყურული ასპიტის გესლი დამიხსნის შერცხვენისაგან"...

გულდუმ ყელზე შემოიტარა ხელი, წმინდა ძენკვი ამოხსნია და გულქანდა ამოაყოლა. მსხვილი გიშრის თვალი ამშვენებდა გულქანდას, გესლისფრად კამკამებდა, თრთოდა, სხივს ისროდა.

ასულმა ხელის უნებური მოძრაობით დაასრულა ფიქრი, ბაგესთან მიიტანა გულქანდა და უკან გადააგდო თავი...

სწორედ ამ დროს პირისფარეში ხათუთა შემოდიოდა პალატში, სანამლავით ხელში კისერგადაგდებული გულდუ რომ დაინახა, სახეში შემოიკრა ხელი და იკივლა...

გულდუ გონს მოეგო, ხელიდან გააგდო ყელსამკაული და მოწყალედ გაუღიმა შეშინებულ შიმუნვარს.

ხათუთა კაბის კალთებს უკოცნიდა, ეშუდარებოდა, შენს გვერდით მამყოფე, ნუ მიმატოვებო.

გულდუმ თმაზე ხელი გადაუსვა, მიესათუთა და ასე დაჰყო ერთხანს.

* * *

ნადირობიდან დაბრუნებულ, კარავში ლამენათევ და შეცივნულ მეფეს ძველი იარა გაუმიზეზდა და ლოგინს მიაჯაჭვა. კარის დასტაქრები ეჭვობდნენ მის ფეხზე დადგომას მოახლოებული აღდგომის დღეებში.

შეჭირვებული ინვა მეფე, მაგრამ მაინც მიიღო კეისრისაგან გამოგზავნილი მალემს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რბოლი. თეთაი იხმო თარჯიმნად, სხვა არავინ გაიკარა.

მხოლოდ სამნი იყვნენ სამეფო პალატში.

თეთაი ზეპირად აქართულებდა უცხოდ ნაწერ გრაგნილს.

— ...კეისრის არმაღანი — კიდობანს დებული უცხო ასულის ხატი განზრახ დაუგონჯებიათ ქართველთა მეფის ყმებს, ისრების წვიმით გამოურეკიათ კაჟის ციხიდან ქეშიკნი...

— მართალია, თეთაი, რაც მანდ სწერია? — ჩაეძია მეფე.

— უფრო მეტს გეტყვი, ჩვენო მეუფევ და პატრონო... ფუნჯით დაგონჯებას მთხოვდნენ კაჟციხელნი უკვე გასრულებული ხატისასა, ოქროთი დამიწყეს ცთუნება, ზედაზნის ძლიერი ხატი შემისახელეს თავმდებად...

მეფეს ენიშნა თეთაის ნათქვამი, გრაგნილი წარსტაცა ხელიდან, გადაიკითხა ერთხელ, მეორედ.. სულში მორიელებივით აუფუთფუთდნენ ეჭვები.

„მართალი მომახსენეს აეშაგთა... თევალდიოფალს თორღულის საცოლედ შეუსახელებია ასული თვისი... ვიდრე მოკვდებოდა, მაინც მოუსწრია — ერის ერთიანობისათვის გაუკრავს კლანჭი... ამაოდ არ შეურქმევიათ ძუ ავაზა“, — გაიფიქრა

ერთხელ კიდევ დახედა კეისრის გამოგზავნილ გრაგნილს და ახლალა ჩაუკვირდა ბოლო მინაწერს:

„...და რა ჟამსაცა ჰპოვო ხევისთავის ასული გულდუხტარ, მაახლე ჩემად... და უკეთუ გთნდეს, შეირთე იგი და შეიდობითამც ხარ“.

კეისარმა კარგად იცოდა, რომ სჯულიერი მეუღლე ჰყავდა ქართველთა მეფეს, მაშ რად უწერდა ასე?

უეცარმა მიხვედრამ ავი ღიმილი მოჰგვარა.

„სიძვის დიაცად ვერ დავისვამ... კათალიკოზისა და დედოფლის რისხვას ერთად დავიტეხ თავზე... უნდა ხარჭად გავაჩუქო ხევისთავის ასული, ხოლო კაჟის ციხეს ახალი პატრონი მივუჩინო, რამეთუ გულდუს ბოლომდე უერთგულებს თორღული. იქნებ ჩემთან მეხმო თორღულის უმრწემესი ძმა კახა და მას ერთად შევპირებოდი გულდუს და კაჟციხეს?.. მხოლოდ ასე შემიძლია გავყარო ძმები, დავაცალცალკევო და მით უფრო იოლად მოვაშთო ორივე“.

ეს აზრი ძალიან მოეწონა იმითაც, რომ ყველა თავსატეხი ერთი ხელის მოსმით ქრებოდა და არც ბევრ გულმოდგინებას მოითხოვდა მეფისაგან.

* * *

მოდარბაზენი დაითხოვა და ვაზირთ[illegible]ველესს უხმო.

— ისევ დილეგში გყავს ქონდაქარყოფილი? — ჰკითხა.

— უკვე მეოთხე წელია მზე არ უნახავს, მეფეო.

— ვაკმაროთ მზის შიმშილი... ახლავე აქ მომგვარეთ.

უწინ ხელარგნიანი მანდატურთუხუცესი შემოვიდა, მერე მანდატურნი გამოჩნდნენ და წინ უბიძგეს წვერულვაშაჯაგრულ გოლიათს.

— ვინ უნდა იყოს, ვერ მიცვნია, — განგებ წარბები შეჰყარა მეფემ.

— თარჩი ვარ, დიდო მეფეო, აბუსერიძე... თქვენმა რისხვამ მიყო, — დაიხიხინა მუხლმოყრილმა.

— ცაზე ვარსკვლავი მონყვიტე-მეთქი, რომ გიბრძანო, რას იზამ?

— მოვწყვეტ, მეფეო.

— გულში შიში არ შეგეპარება? — გვირგვინოსანი გამჭოლ უმზერდა ყმას.

თარჩმა მძიმედ გადააქნია თმააწეწილი თავი.

— მაშინ გეტყვი, კაჟციხის კოშკის სულ ზედა სართულიდან ანათებს ეგ ვარსკვლავი. თუ მოწყვეტ, მიჩუქნია შენთვის და კაჟის ციხისთაობაც მიბოძებია.

— მე სჯულიერი მეუღლე მყავს, მწყალობელო...

— ხარჭად მიჩუქნია ხევისთავის ასული, — კბილებში გამოსცრა მეფემ და იყვირა, ხმალიო.

ვადამემკული, ოდნავ გალუნული გველისპირული მოართვეს, ქარქაშიდან ოდნავ ამოსწია მეფემ და ისევ ჩააგო — თარჩს გადაუგდო.

თარჩმა ორივე ხელი შეაგება, ხმალს აკოცა და მდაბალი თაყვანი სცა მეფეს.

— შენზე უწინ ციხისთავობა და გულდუს ცოლობა კახამ ინდომა, თორღულის ძმამ, — მეფემ თვალი თვალში გაუყარა თარჩს და კვლავ კბილებში გამოსცრა: — ვერ ვენდე... ის ხომ თორღულის ძმაა.

თარჩი კვლავ მუხლებზე დაეცა მბრძანებლის წინაშე. მეფემ ანიშნა, რომ ყველანი გასულიყვნენ დარბაზიდან და როგორც კი მათი ფეხის ხმა მიწყნარდა, ზეწამოაყენა ქონდაქარყოფილი.

— რაც გაუწყე, შენთვის რა სარგებელს იპოვი იქიდან? — ჰკითხა.

— კახას მაახლეთ მეფეო, როგორც ჯარის წინამძღოლი... თორღული არ შეებრძოლება ძმას, როგორც კი ციხეს შემოვეწყობით და მეფის ნებას ვაუწყებთ, მაშინვე გამოგვიგზავნის ციხის გასაღებს... შევალთ შიგნით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმლის ერთი მოქნევით თავს გავაგდებინებ კახას.

მეფემ მოწონებით შეხედა, აგრძნობინა, სწორედ ამას მოველოდი შენგანო და კვლავ ვაზირთუპირველესს უხმო.

— აწვიეთ კახა, კაჟციხის პატრონის ძმაი, ხოლო თარჩს უბოძეთ საჭურველი და მცირე ლაშქარი სამეფო სპიდან... კაჟის ციხის ახალ პატრონს კახას აახლეთ... ახლა კი გააცილე ჯალათ-ყასაბი, — ავად ჩაიცინა და თარჩზე ანიშნა.

ვაზირთაუპირველესი ყველაფერს მიხვდა, წინ გაუძღვა თარჩს და იქვე სინანულით გაიხსენა თორღულის თავდადება მამულისათვის.

* * *

ბინაქარის სენაკში თორღული შემოვიდა და ზღურბლთანვე შედგა.

— მცხეთიდან რა ისმის? — ჰკითხა მოძღვარმა, — კვირაზე მეტია აღარ ჩანს კახაი, მაინც რაისთვის იხმო მეფემ?

— ამ დილით დაბრუნდა მსტოვარი, — როდის-როდის ჩაილაპარაკა თორღულმა.

მერე? — ბინაქარმა ტახტიდან წამოიწია და სახეში მიაშტერდა პატრონს, მაგრამ ვერაფერი შეატყო, ვიწრო სენაკში ნახევრად ბნელოდა, სპილენძის შანდალში კი უკვე იბჟუტებოდა ჩამწვარი სანთელი.

— მოძღვარო, დამლოცე, — ჩაილაპარაკა თორღულმა, — კაჟციხიდან მივდივარ.

— რა გადაგიწყვეტია? — მოძღვარი სულ ახლოს მივიდა მასთან.

— ქალაბანას მონასტერში მივდივარ... — ძლივს ამოღერღა თორღულმა...

— მერე გულდუ?

— გულდუც და კაჟის ციხეც კახასათვის უბოძებია მეფეს... ახლა აქეთ მოიწევს სამეფო სპით კახა ციხისთავი... თუ არ დავუთმე, ციხეს შემოეწყობა და სისხლს დაღვრის... დროზე უნდა გავეცალო... ციხის გასაღებებს შენ ჩაგაბარებ.

ეზოსმოძღვარმა აკანკალებული ხელით ძლივს ასწია გულსაკიდი მძიმე ჯვარი, გულით დალოცა, ღმერთს შეავედრა, ჯვარი გადასწერა და უკუდგა.

თორღული ხელზე ეამბორა მოძღვარს, თავი დახარა დამშვიდობების ნიშნად, გაბრუნდა, სენაკიდან გავიდა და მძიმე ნაბიჯებით შეერია ტალანში დაგუბებულ სიბნელეს.

ბინაქარი ერთხანს ასე იდგა გახევებული, მერე გონს მოეგო და მოქანდული ფეხის ჩლახუნით დაეშვა კიბეზე.

ბნელდებოდა. ციხის თავზე მაჩქათელები დაფრენდნენ და ღამის ფრინველი გადასძახოდა ჭიუხებს.

* * *

უთენია საყდარში მისულ ბინაქარს შიგ დახვდა ალსარების სათქმელად მოსული გულდუ, ხატის წინ მუხლი მოეყარა და თვალცრემლიანი ევედრებოდა. მხოლოდ მთრთოლვარე ჩურჩული ესმოდა შორიახლო გაყურსულ ბერს.

— დრო აღარა გვაქვს, შვილო, წესს ვერ აგიგებ... მითხარ პირდაპირ, თუ შეგიცოდავს... თუნდაც ფიქრში თუ დაგიგმია უფალი...

— გულში ეჭვი არასოდეს შემიშვია... სამშობლო ერთი მინთია ხატად და მაღალი ღმერთი მეგულვის მფარველად მისად, — სასოებით წარმოთქვა და ხელები ალაპყრო.

— გულისთქმისათვის ვის გაუღე კარი პირველად?

— ალბათ თვით ღმერთმა ასე განსაჯა... თორღულზე ფიქრი შემომეჩვია.

— ავი ამბავი უნდა გაუწყო, შვილო ჩემო... თორღული აღარსად არის და არც იქნება ან და მარადის... ქალაბანას საყდარს დაყუდებულს თევდორე ჰქვია...

ამის გამგონემ შეჰკივლა გულდუმ, სახე ხელებით დაიფარა, აქვითინდა.

— ციხისთავობა კახას უბოძა მეფემ...

გულდუ ხატის წინ დაემხო და უარესად აქვითინდა.

ბინაქარი უთავბოლოდ დაბორიალობდა საყდარში. ახლა მისი უპირველესი საზრუნავი იყო, როგორმე გადაერჩინა გულდუ, დაეტოვებინა იგი კაჟის ციხეში, მაგრამ ვერ იქნა და სათქმელს ვერ მოუყარა თავი.

გულდუ გულამოსკვნით ქვითინებდა.

— კახასთან ერთად კაჟციხისაკენ მოეშურება ყასაბ-ჯალათი თარჩი, მას აბარია ლაშქარი... მე ეჭვი მაქვს, რომ მეფეს მისთვის შენი ტყვევნა აქვს დავალებული... და იქნებ კახას ლალატიც... კახა ჩვენია... მას თავდავიწყებით უყვარხარ... გაგიფრთხილდება...

საყდარში გულხეთქებით შემოვარდა ხათუთა.

— სამეფო ლაშქარი მოიწევს კაჟციხისაკენ... წინ კახა და კიდევ ყასაბ-ჯალათი მოუძღვიან იარაღიან მხედრებს.

გულდუ წამოდგა, დღის შუქზე გამოვიდა და მისი შემხედვარე შეკრთა ბინაქარ... მონაზონის სამოსი — ხავსისფერი ფარანგა ეცვა გულდუს, სამკაულებშემოძარცვული და ფერმიხდილი იდგა მის წინ.

— ეგ რა გიფიქრია, შვილო... — აღმოხდა მოძღვარს.

— მე მხოლოდ მონასტერში წავალ... სხვაგან არსად, — თქვა სლუკუნით გულდუმ და სასოებით შეხედა ხატს.

ბინაქარი ახლოს მივიდა, ჯვარი გადასახა და ფრთხილად შენიშნა::

— დედათა მონასტრისაკენ მიმავალი ყველა გზა მოჭრილია, შვილო. კაჯის ციხისაკენ გამონწვერილ ყოველ ბილიკს მეფის მოლაშქრენი ადგანან... იქნებ ჭავლის ქვაბში დამალვა გეფიქრა... მიუვალ ქვაბში უფალი გადაგაფარებს თავის მწყალობელ კალთას... ჟამი გამოხდება, ქვეყანა დაშოშმინდება და მერე, სადაც გინდა, იქ ეძიე ბედი შენი.

გულდუ არ განრძეულა, იდგა და საკუთარ თავთან ბჭობდა.

* * *

დედანულიანად სამზერებთან იყო გაკრეფილი ციხის სახლეული, გალავნის ქონგურებთან კი ზარადიანი მეციხოვნენი იდგნენ.

ყველანი ლაშქრის მოძრაობას ადევნებდნენ თვალს, მეწინავე აბჯროსნები უკვე უახლოვდებოდნენ ციხის კარიბჭეს.

თეთრ ღრუბლებში გაცრილ მზის შუქზე ჯაჭვის პერანგებს შავად გაუდიოდა სხივილი.

გოდოლის სამზერთან მდგარ ბინაქარს ჩრდილმა გადაუარა თავზე, მაღლა აახედა... თორღული იდგა მის წინ.

— გულდუ გააცილე? — ჰკითხა და პირქუშად გახედა პიტალო კლდეებზე დანალიკებით მომავალ მხედრებს.

გალავანს შიგნით უკვე მკაფიოდ ისმოდა მათი გადაძახილი.

— საიმედო ყმები ვაახლე. ისინი კი გავისტუმრე მაგრამ ამათ ვინ დახვდება, ეგ არის საკითხავი... შენ აქ საიდან გაჩნდი?

— მე ფეხიც არ მომიცვლია კაჯის სანახებიდან... — გულდუს და კახას ბოლომდე დავაცლი, რომ არჩევანი მოახდინონ... უფრო თარჩის გამოჩენამ დამაბრუნა. მოვკვდები და გულდუს არავის დავაჩაგვრინებ.

ბინაქარი თვალებით მიეალერსა შვილის მაგიერს, მერე ველარ მოითმინა და მხარზე ეამბორა.

— შენი ნახდენა, შვილო, უფალსაც კი ცოდვად მოეკითხება, — დაიჩურჩულა.

თორღული კვლავ ლაშქრის მოძრაობას ადევნებდა თვალს.

— კახა აღარ ჩანს ლაშქრის სათავეში... ღმერთო, რა მეშველება! — დაიკვნესა თორღულმა და ვადაზე გაივლო ხელი... — რაკი თარჩი მოუძლვის ლაშქარს, ჩანს გაუწირავს კაჯციხე მეფეს.

კარიბჭის თავხეს სეფქა ისარი დაესო. მის ფრთის ძირზე შემოხვეული გრაგნილი თორღულს მოართვეს ყმებმა.

„სრულიად საქართველოს მეფის სახელით გიბრძანათ, ჩაგვაბაროთ კაჯის ციხის კლიტენი და შეავედროთ ყმანი ახალ ც[illegible] ხას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე თორღული პასუხს შეადგენდა, თვითონ კახა შემოვიდეს და ჩაიბაროსო ციხის კლიტენი, საიდუმლო ხვრელით გასულმა მსტოვრებმა ამბავი შემოიტანეს, აღარც თარჩი და აღარც კახა აღარ ჩანანო ლაშქარში, ორივე გულდუს გზას გაჰკიდებიაო ცალკცალკე.

თორღულმა სარწმუნოდ მიიჩნია ნათქვამი. მიხვდა, რომ კახას შინაურებმა მიაწვდინეს ხმა და გაანდეს ციხის მთავარი ხვაშიადი, თარჩას კი შინაგამცემებმა აუწყეს, რომ კაჯციხელებმა ჭავლის ქვაბისაკენ გაისტუმრეს ხევისთავის ასული და მხოლოდ მცირე ამალა აახლესო.

თორღული მიხვდა, რომ ახლა გულდუზე უწინ კახას ელოდა ხიფათი. უნდა სწრაფად გადაეწყვიტა, თუ როგორ ემოქმედა.

* * *

გულდუს და ხათუთას ერთად ეძინათ, თექის ნაბდებიდან წითელქოშიანი ფეხები მოუჩანდათ მხოლოდ

იქვე ცეცხლთან მოყმენი ისხდნენ და ხმადაბლა ბჭობდნენ.

— გალმა უნდა გავიდეთ, კაჟისფერი პიტალოები მზის მხარესაა მიქცეული და იქ სულ არ იქნება თოვლი.

— გულდუ ივლის?

— სხვა გზა არა გვაქვს... არა და წამოგვეწევა მდევარი.

ცხენები ჯერ კიდევ გუშინ დატოვეს დაბლა, საწრიაპო ბილიკებზე გასულებს გაუძნელდათ სიარული, ახლა ეს ნაბდებიც უნდა დაეტოვებინათ .წინ კახას ერთგული ყმა ზალია მიაბიჯებდა, გულდუსთვის ხელი ჩაეკიდა და ნელა მიჰყვებოდა ციცაბო აღმართზე, უკან ხათუთა და სამი მოყმე სხვა მიჰყვებოდა.

— მდევარი! იკივლა ხათუნამ და იმავ წამს მათ თავზე ისარმა გაიშხუილა.

— ეგ მდევარი კი არა, კახაა. — ალტაცებით წამოიძახა ზალიამ და იქვე შეშინდა: — მას თარჩი მოსდევს, ყასაბ-ჯალათი... უნდა ვუშველო.

ზალიამ ხელი უშვა გულდუს და კახასკენ გაექანა. მხლებლები აღარ ჰყავდა გვერდით კახას, ჯაჭვის პერანგში ისრებგახვრილს სისხლით ჰქონდა მოსვრილი ხმალი და მარჯვენა.

ზალიამ ისარი სტყორცნა ქარაფს გამომცდარ ხელშუბიანს, კახას რომ უმიზნებდა სატყორცნად, შუბი ხელიდან გაუვარდა და უფსკრულში გადაიხვეწა...

— გულდუს მიხედე! — შესძახა ზალიამ კახას, მხარზე ალერსით მოუთათუნა და ზურ-

გიდან აუფარა — მდევარს საკუთარი მკერდი შეაგება.

ჩაბალახახდილი თარჩი მარდად მოხტოდა კლდეებზე, სულ პანია შვერილებზე იკიდებდა ფეხს. ზალიას დანახვაზე ერთიც ისკუპა და შეეცადა ხმლით მისწვდომოდა მარჯვე მოისარს.

და რაკი ვერ მისწვდა, კახა თავის მხლებელ შ ბოსანს შეატოვა და თვითონ სახიერი ქალწ ლისაკენ ისკუპა, იქვე ახლოს კლდეს რომ ეკვროდა.

ხათუთას კლდის ნაშალზე დაუცურდა ფეხი და ციცაბო ბილიკზე დაქანებული მკლავებში ჩაუვარდა ახმახს. ამის დამნახავს თვალთ დაუბნელდა ზალიას, შუბოსანს ისარი ჰკრა, გზიდან ჩამოიშორა და მშვილდი მოზიდა, მზად იყო, ისარი ეკრა და უფსკრულში გაესტუმრებინა ორივე, რადგან თარჩი იცნო, მაგრამ იქვე იმასაც მიხვდა, რომ ყასაბ-ჯალათს ხევისთავის ასული ეგონა ხათუთა, იფიქრა ეგების ამან გადაარჩინოსო გულდუ, ტყვეობისათვის გაწირა გულისსწორი.

თარჩს ერთგული ყმა მიეახლა და ძოახსენა.

— თეთაის ნახელავი ხატი რომ მინახავს, გონჯად მეჩვენება ყველა დიაცი, ეგ არ არის გულდუხტარ!

ზალიამ ისარი განუწონა მოყმეს, ქარაფს მოსწყვიტა, მაგრამ გვიანღა იყო, თარჩმა ხათუთა მომდევნო მხლებელს დაუტოვა და ვიდრე ზალია მეორედ მოზიდავდა მშვილდს, ხმალი უწვდინა, ზალიამ მშვილდი გააგდო და ხმლით გაეკენწლავა მომხდურს. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, წინ არ უნდა გაეშვა მოძალადე, ზურგს უკან კახა და გულდუ ეგულვოდნენ, კახა მხარდაკოდილი, გულდუ დაღლილი, მათ იოლად მოიხელთებდა ყასაბ-ჯალათი.

— კერპო, შემეწიე ულმერთოსა! — ურჩხულივით ჩამოფოფრილ კლდეს გასძახა თარჩმა, ისკუპა კლდის კორტოხზე მოიკიდა ფეხი და მაღლიდან დაუქნია ხმალი, ზალიამ იმარჯვა, კლდის ლოჯს შეაფარა თავი, მსწრაფლ წამოიწია, გვერდიდან მოექცა მოძალადეს და მახვილი აძგერა ილლიასთან, მაგრამ ძალა არ ეყო, რადგან ფეხი დაუცურდა და დაბლა გაექანა და თან გაიხვეტა კლდის ჩამონაშალი.

— შემინდე კახაა! — უფსკრულში თან გაიყოლა ძახილი.

ალბათ იმის თქმაც უნდოდა, მაპატიე, რომ ვერ დაგიცავიო, მაგრამ ველარ მოასწრო.

გაავებული თარჩი წინ გაექანა.

* * *

კახას უკვე გვერდით ჰყავდა გულდუ, მისი გრძელთითება თეთრი ხელი ედო მუჭში და ჭავლის ქვაბისაკენ მიარბენინებდა.

ეროვნული

გზამ და გადატანილმა შიშმა დაქანცა გულდუ, მაგრამ მაინც მხნედ ეჭირა თავი, ღიმილი დასთამაშებდა ქარ-მზით ატკრეცილ სახეზე. ამ ღიმილით ამხნევებდა კახას.

ჭავლის ქვაბი სულ ახლოს იყო; მოჩანდა კიდეც ის მთა, სადაც იგი იყო საგულვებელი, მაგრამ მაინც მიუწვდომელი რჩებოდა იგი ლტოლვილთათვის.

ორივემ იცოდა, რომ უფსკერო ხევი ედოთ გზად, ზედ გადებული ურთხელის გალოპრილი ლატანი, გაბედულ, ბედთან მოჯუფთე მონადირეებს ედოთ ხიდად და კიდევ სალაღობოდ გამოსულ ჯიხვებს.

ამ გალოპრილ, უფსკრულის თავზე მოქანავე გრძელ ლატანს ბეწვის ხიდს ეძახდნენ კაცისციხელნი, მასზე გავლა-გაფრენა სალექსოდ იყო ქცეული.

სწორედ ამ ბეწვის ხიდთან იყვნენ მისული, როცა ზალიას განწირული შეძახილი მოესმათ. მიხვდნენ, რომ თარჩმა ყველა ჩამოიშორა გზიდან და სულ მალე წამოეწეოდა. კახა მკლავებს ასვენებდა, დასახვედრად ემზადებოდა, ნიადაგ გზისკენ ეჭირა თვალი.

ანაზდად კიდევ მოესმათ ნაცნობი, ძალიან ახლობელი ხმა:

— გამაგრდი, კახაა!.. ნუ გეშინია, ახლავე შენთან გავჩნდები!..

თორღულის მოძახილს ექოდ იმეორებდნენ ხევები და ისე მოჰქონდათ ქვემოდან ზემოთ. გული მოეცათ კახას და გულდუს, თუმცა ისიც იცოდნენ, რომ სანამ მათ წამოეწეოდა, თორღულს მდევართა რაზმი უნდა გამოერღვია, ხმლით უნდა გამოეკაფა გზა... იმედი კი მაინც იშვა... განსაცდელიდან თავის დახსნის იმედი.

„არ უნდა წავსულიყავი მცხეთას, არ უნდა ვხლებოდი მეფეს... თორღული მეყოლებოდა გვერდით და ორივენი კარგად გავუმკლავდებოდით მომხვდურთ... გულდუს სიყვარულმა მიყო, თორემ ძმის ღალატი არასოდეს მიფიქრია..."

კახა სინანულით აქნევდა თავს.

ნაისრალმა კუნთები შეუბორკა ილლიასთან, ხელგაქნევით რაიმეს გაღმა გატყორცნა არ შეეძლო. თეთრი ტყავისაგან წმინდად ნაკერი მხარზე საკიდი შულდაკი, რომელშიც გულდუს სამკაულები და სამემკვიდრეო ძვირფასეულობა ეწყო, ქალწულის ზედა სამოსში გაახვია, შეკრა და გაღმა გატანა დაუპირა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზრახვად ჰქონდა, ჯერ თვითონ გაირბენდა ბარგაკიდებული, ხიდის საიმედოობაში დარწმუნდებოდა, მერე კი...

სიჩაუქე არცერთს აკლდა, მაგრამ ახლა ეს არ იყო საკმარისი.. კიდევ. კიდევ ფრთები იყო საჭირო... ეს ფრთები კი სიყვარულს უნდა ეჩუქებინა.

ისინი მარტონი იყვნენ... თორღულის ხმაც იმად მოეყურადათ, რაკი არსაიდან აღარ ელოდნენ ხსნას... თორღული აღარ იყო ამ ქვეყნად, ბერი თევდორე ქალაბანას მონასტერში იყო დაყუდებული და მას ალარავისი შველა აღარ შეეძლო.

კახას და გულდუს სხვა აღარავინ ჰყავდათ გვერდით, მეტი განა რა დარჩენოდათ, თუ არა ერთმანეთისადმი თავდავიწყებით სიყვარული... კახას ეს სიყვარული გადააფრენდა უფსკრულზე, მხოლოდ გულდუ აფიქრებდა... უყვარდა თუ არა ხევისთავის ასულს თვითმარქვია ციხისთავი?.. იქნებ იმის გამო უყვარდა, რაკი მის მეტი აღარავინ ჰყავდა.. განა ეყოფოდა ეს სახმილი უფსკრულზე გადასაფრენად?

ჭაბუკს საგულეში აღარ ეტეოდა გული. ბეწვის ხიდს უნდა გაეცა პასუხი ყველაფერზე.

კახამ ერთხელ კიდევ მიიხედა უკან და რა დარწმუნდა, მდევარი არ ჩანდა, ხელები ფრთებივით გაშალა, ურთხელის ლატანზე შედგა ფეხი და გაღმა კლდეს გაუსწორა თვალი...

წინ ნადგა, თვალებად იქცა ხევისთავის ასული და სუნთქვაშეკრული მიაჩერდა მოქანავე ლატნის გასწვრივ გაფრენილ კახას...

ჭაბუკმა გაღმა კლდეზე მოიკიდა ფეხი, ბარგი მოიხსნა მხრიდან და წინა დღით ზალიას მიერ გამოტყორცნილ ვაშკარანებთან მივიდა, მიწაში ჩარჭობილ შუბს დასწვდა.

„ღმერთო, შემინდე, უნდა მოვატყუო გულდუ... ძმა უნდა მოვიხმარო".

— თორღულის ჰოროლია, ქალაბანას მონასტერში მიმავალს აქ დაუტოვებია უკანასკნელი იარაღი, რაკი იცოდა, რომ შენ ნახავდი. — გასძახა ასულს, — აი აქ დავარჭობ, ზედ შენს შულდაკს გავკიდებ და ეს იქნება შენი სამიზნე და მშველელი. სულ მას უყურე, ისე წამოდი... წვეთით გავლებული ხაზივით სწორია ურთხელის ლატანი... წამოხვალ?

— წამოვალ! — შესძახა რაღაცით გახარებულმა გულდუმ და ხელები გაშალა.

* * *

თარჩმა პიტალოებზე გადაივაკა თუ არა, მაშინვე თვალი მოჰკრა უფსკრულის პირას ხელგაშლით მდგარ სახიერ ქალწულს და გაღმით მის მომლოდინე კახას.

ალტაცების ყივილი დაიოკა და მყის შეაფასა ნახული:

„ქალწული აქეთ, მოყმე იქით", — გაიფიქრა და მსწრაფლ მოზიდა მშვილდი.

კახა კი იდგა და გულდუს მეტს ვერაფერს ხედავდა, მხოლოდ ის აფიქრებდა, როგორ გამოფრინდებაო. სხვა ყველაფერი დავიწყებოდა.

ანაზდად ისარმა გაიშხუილა, კახა შექანდა, ჰოროლი ხელიდან გაუვარდა, დატორტმანებულმა იმდენი მაინც შეძლო, რომ უფსკრულში არ გადაქანებულიყო, შებრუნდა, ცალი ხელით ჰაერს წაეპოტინა და გაშხმარ ბალახებში ჩაიკეცა...

კლდეზე დაცემული ჰოროლის ელრიალმა შეაკრთო გულდუ, გაღმა გაახედა...

დიაცის შემზარავმა კივილმა ექოდ გადაუარა ჭიუხებს და ჭავლის ქვაბს შეაკვდა.

არც მკლავები გაუშლია, არც რამე ამოუღია თვალში, საიდანღაც მოვარდნილმა უეცრმა ძალამ მიწას მოწყვიტა გულდუ და უფსკრულის თავზე გააფრინა.

მდევრები ჯიქურ მოადგნენ ბეწვის საქანელს, ცოტანილა ჩანდნენ, გეშზე მოწაწწალე ტყიურებს ჰგავდნენ, ავად ატრიალებდნენ თვალებს... უწინ თარჩმა სცადა გაღმა გარბენა, მაგრამ ხახადაღებულ ხრიანცელს რომ დახედა, ნირწამხდარმა დაიწია უკან...

არა და სულ ახლოს ხელმისაწვდომად ტოკავდა პირიმზის ყვავილივით სახიერი ასული.

ჯალათ-ყასაბმა უბეზე იტაცა ხელი, ოქროთი სავსე ქისა მიუგდო მხლებელთ, აქ მომგვარეთო ქალწული.

არავინ განძრეულა.

გულდუმ სასთუმალი შეუმაღლა სულთმობრძავს, წამოდგა და კენარი ტანით აისვეტა ფრიალოს თავზე... ფერმიხდილი, სასოწარკვეთილი და მით უფრო მშვენიერი ხრიანცელში აპირებდა გადაქანებას...

შეძრწუნდნენ გამოლმა მყოფნი, გძინვა აღმოხდათ ,პირი იბრუნეს, რომ არ დაენახათ.

ანაზდად მრისხანე დაძახილმა ქუხილივით გადაუარა მთებს:

— დამრჩით, ჯაბნებო! — თორღული იყო.

ქვის ლოჯზე მთელი ტანით შემართულმა ისკუპა და ხელხმლიანებს დაერია, გაავებულმა მუსრი გაავლო დამხვდურთ, აქეთ-იქით მიყარ-მოყარა და თარჩისაკენ გამოექანა. ხმალივე შეაგება ყასაბ-ჯალათმა, განზე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხტა, ციცაბოს გაეცალა, ზემოდან დაუარა გულოვან მეტოქეს და თვითონ მიიტანა იერიში. დაღლა ეტყობოდა თორღუჯს, მაგრამ მაინც ეყო სიჩაუქე — შინას განერთხო და ისე აიცდინა გვერდულად მოქნეული მახვილი, მყისიერად წამოდგა, უკანიდან მოექცა თარჩს, მობრუნდიო, უყივლა და სიბრტყივ უთავაზა ხმალი. საჯდომი აენვა თარჩს, მსწრაფლ შემობრუნდა, მაგრამ ხმლის მოქნევა აღარ დასცალდა, თორღუჯმა ყელში აძგერა თავისი გორდა და უკუდგა... ახრიალებული მოძალადე უკან-უკან წავიდა, ხევში გადაქანდა და თან სისხლის ნაშხეფი და კლდის ნაშალი წაიყოლა...

თორღუჯმა ხმალი შორს მოისროლა და ბეწვის საქანელაზე გაფრინდა, თვალდახუჭულ ძმასთან ჩაიმუხლა და ზედ დაეკონა. მერე რა შეატყო, ცოცხალი აღარ იყო, ელდანაცემი წამოდგა და თვალცრემლიანმა ირგვლივ მოატარა მზერა.

იქვე გულდუ დაინახა, თავდახრილი იდგა სახიერი ქალწული და გულამოსკვნით ტიროდა.

თორღუჯმა ერთი შეხედა გულდუს, თითქოს მიესათუთა, მერე ისევ მიბრუნდა და ძმის ცხედართან დაიჩოქა, ხელები გულზე დაუკრიფა, შუბლზე ეამბორა და დიდხანს მჭმუნვარედ დაჰყურებდა, უხმოდ იცრემლებოდა.

როდისროდის წამოდგა, ბარბაცით წავიდა ბუჩქთან მიყრილი ვაშკარანებისაკენ, ერთი გახსნა, იქიდან მწვანე მოსასხამი ამოიღო და შიგ ფრთხილად გაახვია ძმის ცხედარი...

მუხლმოყრილი იდგა და ფიქრით ეთხოვებოდა.

ტიროდა თმაგაწეწილი გულდუ, ლაწვს იხოკავდა.

ჭირისუფლებივით დუმდნენ გარს მოჯარული მთებიც.

ჭავლის ქვაბის ორსავე მხარეს მრავლად მოჩანდნენ კლდეებში მცირე დარნები. თორღუჯმა ყველაზე მშრალი და მყუდრო ამოარჩია, შიგ დაასვენა უმრწემესი ძმის ცხედარი, ლოდებით ამოქოლა დარანი და სამარხისათვის წესად თქმული დიდი კოცონი დაანთო.

„ახლა კი მართლა წავალ ქალაბანას მონასტერს... მაგრამ გულდუ?" — გაიფიქრა და გვერდით უმწეოდ მდგარ ასულს შეხედა.

ხელი მოჰკიდა და ჭავლის ქვაბისაკენ წაიყვანა. ვაშკარანებს შეზიდა ქვაბში, სადგომად განამზადა. მღვიმე, ტახტით, საგებლითა და შუა ცეცხლით მოაწყო და წასვლა დაპირა.

— მე ვის ანაბრად მტოვებ? — დაიჩურჩულა ასულმა.

— უფლის... და კიდევ მეც სადღაც ახლოს ვიქნები...

— მე შენმა სიყვარულმა გამომაფრინა ბეწვის ხიდზე, შენგან დატოვებულ ჰოროლზე შულდაკი გამიკიდა კახამ, ამას უყურეო, დამარიგა.

— მე ჰოროლი არ დამიტოვებია...

— სულ ერთია, მე ასე მეგონა... მე შენს იქით არავინ მდომია პატრონად... ღმერთია მოწმე.

— ვიცი... და სწორედ ამიტომ მივდივარ... მაგ სიყვარულის ღირსი არა ვარ. მე ხომ მას ძმა ვანაცვალე.

გულდუ უმწეოდ მხრებჩამოყრილი უმზერდა გულის რჩეულს.

თორღუჯი მძიმე ნაბიჯით დაიძრა, თავჩაღუნული მიდიოდა ბეწვის საქანელისაკენ...

— თორღუჯ! — მოესმა უკანიდან გაწნირული ძახილი.

ამ ხმამ შეაკრთო, უკან მიახედა.

თვალებმორღვეული, იმედწართმეული გულდუ მისკენ იწვდიდა ხელებს, მის კვალს ადგა... ნელა მოდიოდა, თანდაყოლილი კდემა უბორკავდა ფეხებს.

— უშენობა ჩემთვის სიკვდილია!.. აქვე კლდიდან თავს გადავიქცევ!...

თორღუჯი შედრკა... მისთვის დღენიადაგ საოცნებო გულდუ სთხოვდა შველას, მის უბეში აპირებდა თავის შეფარებას, როგორც ავდარში მოხვედრილი უმწეო ბარტყი, განა მას ქვის გული ჰქონდა, რომ ზურგი შეექცია?..

დაელოდა. ქალწული მოუახლოვდა, მხრებზე მოეპოტინა თეთრი ხელებით და მკერდზე მიადო გაწეწილთმიანი თავი, მთელი სხეულით თრთოდა...

ეს იყო რაღაცა დიდი და უნაპირო ბედნიერება, ასეთი ნეტარება არასოდეს განუცდია კაჟისციხელს, მაგრამ ძმის აჩრდილი იდგა შორიახლო და გულდაღირსებული შემოჰყურებდა...

ხელის მოხვევნაც ვერ გაუბედა, ოღონდ ეს კი უთხრა, ვიდრე გაეცლებოდა:

— მე წელან ძმის სიყვარულმა გადმომაფრინა ბეწვის ხიდზე, ახლა საკუთარი თავისადმი სიძულვილს მივყავარ შენგან... ის გამატარებს უკან... თუ ბეწვის ხიდი გადამატარა, ეს მიმახვედრებს, რომ განგებ არ დამიგვიანია, როცა ძმის საშველად მოვეშურებოდი, გზადაგზა ხმლის ქნევაში დავკარგე ძვირადღირებული რამდენიმე მყისი... გავალ და თუ შენი სიყვარულის ღირსი ვარ... უკან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე გამოვფრინდები, ფეხსაც არ დავაკარებ ბეწვის ხიდს.

— დამილოცნიხარ, — დაიჩურჩულა გულდუმ.

თორღულმა ერთი შეხედა ქალწულს, მერე მოშორდა, უფსკრულისაკენ შემობრუნდა, ხელები ფრთებივით გაშალა და ქარივით გადაევლო მოქანავე ლატანს.

ყრუდ დაიგმინა მის უკან უფსკრულმა და როცა თორღულმა მიიხედა, გულდაწყვეტილმა დაინახა, როგორ მიექანებოდა ხრიანცელში დასაკარგავად ნამსხვრევებად ქცეული ურთხელის ლატანი, სიგრძით ერთადერთი მთელ იმ ტყეებში...

მის წინ უფსკრულს დაელო ხახა და ალარსად იყო ორი ნაპირის მაერთებელი ბეწვის ხიდი...

ნუთუ სადმე შესცოდა მათმა სიყვარულმა?.. თუ უბრალოდ ბეწვის ხიდს გაუვიდა ყავლი?

— მშვიდობით, გულდუ! — აღმოხდა თორღულს და მისკენ ხელებგამოწვდილ ქალწულს მიაპყრო უსასოო მზერა.

მერე ცას შეხედა, შველა სთხოვა ზეციერს.

ღრუბლიანი ლაწვი ჩამოიხოკა სატირლად დამზადებულმა ცამ, დაიგმინა და ცივ პიტალოს ცრემლებად დააპკურა მსხვილი წვეთები.

მერე ხუროებივით მოადგნენ უფსკრულს თეთრი ღრუბლები, შემოჰკრეს ეჩო ქარით გაწელილ ნისლის ფარფატებს და გამოთალეს სახელდახელოდ ცისარტყელას შვიდფერი ხიდი.

ამბობენ თორღულმა პირველმა გაიარაო ამ უჩვეულო ლამაზი ხიდით.

იმასაც ამბობენ, სიყვარულის ერთგული ჰაეროვანი გულდუც გაბედულად შემოგებებიაო გულის რჩეულს, ხელი გამოუწვდია და ისე გაუყვანიაო სამშვიდობოს.

კიდევ ბევრ რამეს ამბობენ, მაგრამ მას შემდეგ ისინი აღარავის უნახავს არც ჭავლის ქვაბთან და არც კაცციხის სანახებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელდარ კერძევაძე

## ქართველნო, მოდით, ვიყოთ ქართველნი

ქართველი
ქართულს აღარ ჭამს ხარჩოს,
ქართველი
ქართულს აღარ სვამს ღვინოს,
ბოლმას სიმთვრალის მორევში ახრჩობს,
წყალწყალა ლუდით
და არყით ლხინობს.
მიწა არ ჰყოფნით
მინდვრებს და ბაღებს,
სხვა ფერო სჭარბობს
ხასხასა მწვანეს,
ჩაიხანებში სუნი დგას მძაღე,
ბაზარში ცეცხლი ედება მწვანილს.
ბუქნავს ხორხოცი,
ცეკვავს ყაყანი,
მამულში გლეხი ძლივას ღანტალებს,
სავენახე და მიწა საყანე
სავსეა
ყვავთა ჩხავილ-ყრანტალით.
ასე სანამდე ვალამ-ვათენოთ,
გვიტევს და გვიტევს
ჟამი ვერანი...
ქართველნო,
მოდით, ვიყოთ ქართველნი
და ნუ გავხდებით
ნ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ა რ ნ ი.

## რწმენა

ღმერთმა ნუ ჰქნას,
ჩემო ძმებო,
რაც მტერს უნდა
იგი ახდეს, —
მზემ ჩვენს მამულს გადმოხედოს
და ქართველი
აღარ დახვდეს.
დროა, ვუთხრა ყველა ულირსს,
თუ არ სჯერა
დავაჯერო:
რომ ღმერთს
ჩირადაც არ ულირს
საქართველო —
უქართველოდ!
ხოლო ამა სიბრძნის თავდებს,
რუსთაველის ვიტყვი მცნებას:
„რაცა ღმერთსა არა სწადდეს
არა საქმე არ იქმნების“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისტორიის ჭეშმარიტება

განსაცდელს უნდა შეეგებოს
არწივის მზერით,
დაიცვას იგი,
რისი დაცვაც მას ავალია,
გასაჭირსა და ჭირვარამში
იზრდება ერი,
თუ პატარაა
ანუ მცირერიცხოვანია.
მაგრამ თუ ერმა
მტერ-მოყვარე
ვერ გაარჩია,
მაგრამ თუ ერი
არ შეება
განსაცდელს რისხვით,
მაშინ რა იხსნის,
რა უშველის,
რა გადაარჩენს?
ასეთი ერი
გადარჩენის არცაა ღირსი!

## ზოგჯერ

ზოგჯერ ძილშიაც მექცევა მხარი
და სიზმარს გამიელეთმელეთებს:
მომგვარე ცხენი,
მომეცით ხმალი, —
ახლა სჭირდება შველა ერეკლეს...
გამოვილვიძებ და სიზმრით მთვრალი
ვფხიზლდები უმალ და მწარედ
ვფიქრობ:
რად მინდა ცხენი,
რად მინდა ხმალი, —
როს არ ვარ იგი —
ვინც უნდა ვიყო...

## ჩონგურზე ტირილით ჩამოსამღერი

თუ არ გიყვარდა სამშობლო,
მისთვის ვერ მოიცალეო,
მაშინ რამ დაგაწერინა
ყმაწვილს ამგვარი რამეო:
„აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
ილხინე ივერთ მხარეო
და შენც ქართველო სწავლითა
სამშობლო გაახარეო“
ახლა, საფლავში მწოლარეს
იქნებ, ცრემლი გდის ცხარეო,
რომ შენი ნიჭი სამშობლოს
შენსას, არ მოახმარეო...
ასე ყოფილა ოდითგან,
ასე იქნება ხვალეო, —
ვინც განუდგება სამშობლოს
ბოლო ექნება მწარეო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვაითუ?..

იქით ხრუშჩოვმა,
აქეთ ბრეჟნევმა,
იქით და იქით ქამმა ტირანის...
ვაითუ...
კვლავაც რამე გვეშლება —
ხვალ-ზეგ საფიქრი და სატირალი.
კი, აწი ამ გზით უნდა ვიაროთ
(რამეთუ სხვა გზა არ სჩანს საერთოდ)
მაგრამ რა ვუყო ამ სატიალე,
ბებერ და ნაცად კითხვას:
ვაითუ?...

* * *

ამ კაცს ვერა გავუგე რა,
ვაჟკაცობას ჩემობს, მარა
სითაც ქარმა დაუბერა
სწორედ იქით წაიხარა.
წაიხარა, წაიხარა,
კაცი ისე წაიხარა, —
წელსქვემოთ და
მუხლებზემოთ —
სამუდამოდ გაიხარა...
არ სწყინდება ასე ყოფნა,
ანდა აღარ დაიღალა?

* * *

ზოგჯერ უნდა დაუჯერო
იმას, ვისიც არა გჯერა,
ნეტარება გაუგრძელო
ვინც სიცოცხლე გაგიძნელა.
ზოგჯერ შენი სისულელით
თავი შენი თუ არ მართე, —
ვერ გაიტან ისე ლელოს
და ვერც წყვდიადს გაინათებ.
მაშინაც კი არ შეშინდე,
როცა მოგატყუებს ჭკუა, —
ცხოვრებაა ბეწვის ხიდი
სიბრძნე-სისულელეს შუა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**რენე კალანდია**

## ვედრების უშავეს ნაპირთან

(ვერტიკალური ლექსი)

უკვე ვიღვრები დამსხვრეული საწყაულიდან —
ჰორიზონტალურ გუბედ თუ „დონედ“..
შუბლზე ფათურობს ნერვიული ალსასრული და
ბრმა აქერონტზეც არ არსებობს პოეტის ფონი...

— ქარონ, სადა ხარ? — სად დალეწე ბებერი ნავი?!.
— ქარონ, აქ მაინც ამაშორე — დავიცვა წესი:
ახალ ხუთწლედის „უკვდავების“ ვუყურო გავებს,
და რიგგარეშე წამიყვანე, ვითარცა კვნესა...

## ზოდიაქოს ნიშანი

(მონოლოგი)

ვიხარშები კიბო-მწირი
ქვაბში წითელ მომავალთან;
ხორცი ითმენს, სული ყვირის,
თუმც არ ჩამოიხევს კალთას

აქ — უჩემოდ პოეზია,
ვერ აღვდგები უკვე მკვდრეთით...

სხივი — უსათნოესია
გზის — სიგიჟის გადამკვეთი...

ლუდის ბარი. ბრმა დახლს მიღმა —
თემიდით თუ თვალზე ნამით,
დინჯად მასამართლებს თიხა —
სატანის და უფლის ღამით..

## ნოემბრის პეიზაჟთან შერიგება

ვხედავ: ცხოვრება აღარ აპირებს
ლხინით, ვერცხლით თუ ბედნიერებით
დასაჩუქრებას... მწარე ნაპირებს
ვაწყდები მწირი — ბრმა სიმღერებით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხივი — ხორციდან გასული ალი —
თრთის, ქანგისფერი ბარდი ედება:
შუბლზე დუღს დაღლა — ბეჭედი
მრგვალი,
წუხს შარავანდი — შემოქმედება...

## კენტავრის წუწილი

ოჩამჩირეში ვყიდულობ რილკეს,
აჩიგვარაში — ბრეტონს:
— თუმცა საწუთრო ძაღლივით კი
მკბენს,
მაოცებ, შემოქმედო!

მე სად გამყიდი? — თუ სასაკლაოს
აპირებ ჩამაბარო?..
როს გენანება თვით სასაფლაოც,
რად არ მაღირსებ წყაროს —

უკვდავთა?.. მელის ქროლა თუ მძიმე
სუნთქვა — ბებერი ჰაკის?..
კიდევ კარგი, რომ აღარ მამძიმებს, —
ვინმე ნობელის ფრაკი...

ბრეტონს ვყიდულობ აჩიგვარაში,
ოჩამჩირეში — რილკეს...
ქრის შემოდგომა — ყვითელი რაში,
ვატყობ — წონაში ვიკლებ...

## „კოლიმურ მოთხრობებზე“ მინაწერი

მგლურად ვყმუი: „ვაი, დედა!“
თანაც, ვცხოვრობ ისეთ დროში, —
კოშმარში თუ ცხადში ვხედავ,
არ გადამდის ყელში ბორში —
დროშისფერი... ვუსმენ: უფხოს
მიყვებიან ზღაპრის ზღაპარს...
ვდუმვარ, რომ არ შევუკურთხო
შობელძაღლთა პაპისპაპას...

## საღამოს ციდან

წვიმს. ვემზადები სიკვდილისთვის, ვით როსინანტი,
ან თვით მეაბჯრე —
ასე ცისფერი კაცის, მაგრამ კვიმატი მარტი
ჩალეწავს ფანჯრებს —
თვალსაწიერის... გულზე — სისხლით და ყელში — ძვლებით,
აჰა, მოვიდა! —
ამბოხებულის აღსასრული: ბეჭებში — ხმლებით —
ვადამდე! — ციდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დამშვიდობება დრაკონის წელიწადთან

დრო, დრო ილნაშნე...

გალაკტიონი

უკან: წარსული — ბეჰემოტივით
წევს... ცხვირში — სუნი — დავლა
მცემს... ვერ გაწმინდეს ნიჩბის
მოტივით —
ენთუზიაზმით — თავლა...

აწმყო: წითური სპილო — დაღლილი
სიზმრის ვულკანზე ხვრინავს...
აქ — სული მძვრება, ის იქ — ამ
დილით
ჩემთვის ამზადებს იმ ნავს...

წუხს მომავალი — ლევიათანი:
ჰა, სივრცემ ხმალი იშიშვლა,
და სისხლში ცურავს ანი-დან ტანი —
ჰაე-მდე — უფლის სიშიშვლე...

## პოეტის „ტრაგედია“

სიმივით თრთოდა: ეუბნებოდნენ,
რომ ეგ ცხოვრება არის მარტივი,
პატიოსანი მხოლოდ ბოძია...
იდგა ფერმკრთალი, სივრცის ხატივით
უმზერდა დედას... და არ სჯეროდა,

რომ მხოლოდ ბოძი — პატიოსანი —
არის ამქვეყნად... რადგან მღეროდა
(ყრმობისყრუანტელცისნახატივით)
გულში თვით უფლის სიტყვა —
მგოსანი...

## სარდაფული წელიწადი

ალესრულა შემოდგომა —
ქამიერი ელდორადო:
— სამძიმარზე გვიწევს დგომა,
ჩემო სარდაფულო დარდო!..

ზამთრის ვარდი მოაბიჯებს
სუდარით და სუსხის ცელით —
ინკვიზიციის მძლე ნიჰით...
„ამოიყვანს გველსა ხვრელით“ —

ანგელოზთა გაზაფხული;
„ხეში — წყალი“ — მწვანე წვიმა...
წუხს, ასკდება ნეკნებს გული —
ვეება და პაწაწინა...

წევს ზაფხული — მშვიდი სპილო —
ლოდად — ცოდვა-მადლის გზაზე:
— დარდო სარდაფულო, ვცდილობ,
შევსვა ბგერა — სილამაზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შხარასთან

„საბრალო გული დაიღალა ტანჯვა-წვალებით“ —
ამბობს მარია ლუიზა კაშნიც...
იღლება ლექსიც — პოეზიის ცით, მწვერვალებით
და მთის კალთასთან პოეტი — ბავშვიც

თუ ანგელოსიც — ზვარაკია: ცვილსიფერ ფრთებზე
თანდათან უფრო აწვება მური
თუ ფერფლი, მაგრამ, გული მაინც ტანჯვის გზას ეძებს,
ანუ შეხვედრას ლიტერატურის

ისტორიასთან, — რათა ჰპოვოს „აღიარება“
(ბავშვმა, პოეტმა თუ ზეციერმა) —
მწირის უფლებით; რადგან ჟამი ავმა ქარებმა
მომავლის ფრინველს დაუტოვეს მარტოდენ გერმა...

## ჭადრაკული სისტემა

შეშფოთებული თვალების შიშით
შეკრთა შუადღე... უკვე სრულია —
მარადიულის მარადი ქიში,
სამანი — ნათლის აღსასრულია...

სიცოცხლის — ძმარი, სამოთხის —
ღვინო,
ყეფს — ჯოჯოხეთის მცველი ცერბერი,
გაწვდის ფიალას, რომ მოგალხინოს,
ან დაგილეწოს სული — ბებერი...

შემდეგ კი... შემდგომ — შალამისას, —
სტრიქონის ზვარაკს — ჰრილობა
ძველი —
გადაგეხსნება; ცის თვალებს ნისლავს
ანგელოსის ფრთა თუ უფლის ხელი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლადო სულაბერიძე

ცნობილ ქართველ მწერალს ლადო სულაბერიძეს 70 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის თანამშრომლები და სარედაქციო კოლეგია ვულოცავთ მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ ბედნიერებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

# ბუდუ ბედია

რომანი

## წიგნი მეორე

### ჩანართი — წინამძღვარი

რომანის პირველი წიგნი „ზღვისკენ მიმავალი გზები“ ჟურნალში დაიბეჭდა და ბევრმა წაიკითხა კიდეც. რამდენიმემ მომიბოდიშა, ჟურნალში რომანებს ვერ ვკითხულობ, არ გეწყინოს, წიგნად რომ გამოვა, მაშინ წავიკითხავო. საწყენი რა არის, მართალი გითხრათ, ჟურნალში მეც ვერ ვკითხულობ ვრცელ ნაწარმოებებს, განსაკუთრებით რომანებს, ნომრიდან ნომრამდე ლოდინი ძნელია, მით უფრო, თუ ნაწარმოებმა დაგაინტერესა. გარდა ამისა, წინა ნომერში დაბეჭდილის გაგრძელება ჭირს მომდევნო ნომრიდან, მოვლენების ვითარებას ცხოვლად რომ მისდევდი, შეჩერების შემდეგ რაღაც-რაღაცის დაკავშირება გიძნელდება. ამიტომაც ხშირად ჩემთვის საინტერესო ნაწარმოების ცალკე წიგნად გამოსვლას დაველოდებივარ, ანდა ჟურნალში რომ დამთავრდება ბეჭდვა, მერე ერთად დავიდებ ყველა ნომერს და ასე ჩავიკითხავ მთლიანად.

ასეა თუ ისე, რომანი ბევრს წაუკითხავს. ზოგი ტელეფონით მელაპარაკა, ზოგი შემხვდა და გულახდილად გამიზიარა შთაბეჭდილება, ზოგთა შეხედულება სხვებმა გადმომცეს. შენიშვნებიც შემომაშველეს. რა თქმა უნდა, წიგნად გამოსაცემად როცა მოვამზადე ხელნაწერი, ნაწილი ამ შენიშვნებისა გავითვალისწინე.

ვერ გავიზიარე ერთი ჩემი მეგობარი ჩინებული ბელეტრისტის შენიშვნა, ავტორისეული ჩანართები ზედმეტია, ანელებს მოვლენათა მდინარებასო. გულწრფელად მირჩია ეს, მე მის გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება, შეიძლება მართალიც იყოს, ცხადია, ნაწარმოების სიუჟეტურ ვითარებას აფერხებს, აჩერებს და ამის გამო შეიძლება ფერმკრთალდება მხატვრული ნართი, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ვერ შეველიე და მომდევნო წიგნებშიც ალბათ ვერ შეველევი ავტორისეულ ჩანართებს. ერთგან მოგახსენეთ კიდეც, ჩემი და ბუდუ ბედიას ფრონტული ცხოვრება ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ამიტომ ვინმემ იქნება გაიფიქროს, ავტორმა ბუდუ ბედიაში თავისი თავი გამოხატაო. კაცმა რომ თქვას, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ მაინც მირჩევნია, ბუდუ ბედიას მონათხრობი ბუდუ ბედიას თავგადასავლად მიიღოთ და ჩემი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი ცალკე ჩანართებით გაგაცნოთ.

ომიდან საკმაოდ დიდი ხანი გავიდა. ყმაწვილობის წლებს რამდენიმე ათეული წლით გამოვშორდი. ახლა, ხანდაზმულობაში როცა გადავხედავ ჩემს სიჭაბუკეს, ყველა იმდროინდელი მოვლენა სხვაგვარად მეჩვენება... არა, სხვაგვარად კი არ მეჩვენება, — ისევ ისეთივე წარმომიდგება თვალწინ, მაგრამ სხვაგვარად ვაფასებ, სხვაგვარი მნიშვნელობისა მგონია, უფრო გააზრებულად ვხედავ, უფრო აწონ-დაწონილად. ყველა მცდარი და ყველა შეუმცდარი ნაბიჯი ერთ მთლიან გზას მიჰყვება და ამდენად უამნაბიჯებოდ იმ გზის წარმოდგენა შეუძლებელია. ეს გზა კი ცხოვრების გზაა და ცხოვრებას თავიდან ბოლომდე, მით უფრო ყმაწვილობაში, შეუმცდარად ვერაკაცი ვერ წარმართავს.

მეც ბუდუ ბედიასავით ქერჩში გადასაყვა-

ნად ნოვორასიაში მიმიყვანეს. მეორე დღეს გემში ჩასხდომამდე აბანოში წაგვიყვანეს. სალამო ხანი იყო. გზად ერთმა გოგონამ ჩამოიარა, მე რაღაცა გადავულაპარაკე, შეჩერდა და გამომეპასუხა. გამოვხტი თავისუფალი მწყობრიდან და გოგონასთან შევჩერდი. რაკი საუბრის ძაფი წამოვდე, მივყევი და მივყევი. თანაგრძნობით გამომესაუბრა. გადამავიწყდა აბანო და ჩემი ნაწილი. გავყევი გოგონას, იმანაც ალბათ იფიქრა, ამის უფლება აქვსო და მატარა ქუჩა-ქუჩა, სკვერდასკვერ. შემოგვალამდა. ისე მომენდო გოგონა, აღარც მე მოვრიდებივარ, წელზე ხელი მოვხვიე, არ მოიშორა ჩემი ხელი. ბნელ კუთხეში მივდექით და ბუდუ ბედიასავით გაუბედავი კი ვიყავი, მაგრამ აქ რა ცეცხლი წამენთო, არ ვიცი, იქნება თვითონ გოგონამ მომცა ამის საბაბი, კარგა გვიანამდე ვიყავით ერთმანეთთან ჩახუტებულები.

როცა აბანო და გემი გამახსენდა, უკვე გვიანი იყო. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, გოგონაც არ მომშორებია და ბოლოს პორტს მივადექით. აქ კი გვითხრეს, ის ნაწილი, რომელიც მე მოვიკითხე, კატერში ჩამსხდარა და ზღვაში შეცურებულა. თავზარი დამეცა. რაღა მექნა, ველარ მოვისაზრე. უცებ გოგონამ მითხრა, ეგერ შავულვაშებიანი მაიორი რომ დგას, ჩვენებურს არა ჰგავს, თქვენებური ხომ არ იქნება, მიდი და ჰკითხე, როგორ მოიქცეო. სინათლის შუქი ეცემოდა მაიორს და შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, ქართველი იყო, მაგრამ გოგონას ვუთხარი, ვერა, ვერ მივალ-მეთქი. გოგონამ არც აცია, არც აცხელა, ადგილს მოწყდა და მაიორთან მიიჭრა, გულზე ხელებმიკრეფილმა რაღაც უთხრა. მაიორმა მოუსმინა. მერე გოგონა ჩემთან მოვიდა და მაიორთან მიმათრია, ეს როგორ მოგივიდა, ხო შეიძლება ტრიბუნალს გადაგცენ, დეზერტირობა დაგწამონო, აი, იმ კატერზე ადი, — ხელით მაჩვენა, — ჩემი ნაწილი გადამყავს, მალე შევცურდებით ზღვაშიო.

მაიორი მიხვდა, რომ ეს არ იყო დეზერტირობა, ეს იყო ყმაწვილური შეცდომა, ამგვარ შეცდომას შეიძლება სავალალო შედეგიც მოჰყვეს, განსაკუთრებით ომში, მაგრამ რას იზამ, ჭაბუკობა მაინც ჭაბუკობაა, ასე გაიფიქრა ალბათ მაიორმა, და შემინდო, დახმარების ხელი გამომიწოდა, არა მარტო იმიტომ, რომ ქართველი ვიყავი, თანამემამულე იხსნა, არამედ იმიტომ, რომ ყმაწვილი ვიყავი, ადამიანური გული უცემდა მაიორს. დარწმუნებული ვარ, თუ გადარჩა და ცოცხალია მაიორი, ახლა საცა არ უნდა იყოს, ხშირად მოაგონდება, როგორ გადამეხვია გოგონა, თითქოს აკვნიდანვე შეყვარებულები ვყოფილიყავით, დიდხანს ვყავდი მკლავებში მომარწუხებული სულ რამდენიმე საათის გაცნობილ გოგონას, მკოცნიდა, მეფერებოდა, არავის ერიდებოდა, ალბათ ის უფრო უხაროდა, რომ არ დავისაჯე მისი გულისთვის, რომ რაღაც საშველი გამოჩნდა, ეს საშველი ერთმანეთს გვაშორებს, მაგრამ ჯანდაბას, ოღონდ კატერზე ავიდე და ჩემს ნაწილს წამოვეწიო, ოღონდ დანაშაულად არ ჩამეთვალოს მასთან ყოფნა, მასთან ალერსი. არ შეიძლება მაიორს ეს სურათი არ მოაგონდეს, ეს რომ დავიწყებოდეს, არაფრით არ შეიძლება.

ამათზე ვწერ და ბეწვის ხიდზე გავდივარ.

ერთგვარი გულგრილობა შეინიშნება უკვე ომის თემაზე დაწერილი ნაწარმოებების მიმართ. მაგრამ აქ სრულებითაც არაფერ შუაშია აქა-იქ გამოთქმული აზრი, თითქოს მკითხველს მოწყინდა ამგვარი ლიტერატურა. არამც და არამც. აბა, მითხარით, მოწყინდა მკითხველს ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა?" მაშასადამე ომის თემა არაფერ შუაშია, აქ საქმე სხვა რამეშია და მკითხველმა ეს ძალიან კარგად იცის.

ომი ომია, შენია იგი თუ სხვისი. სულ უფრო მეტად და მეტად ვართ დაინტერესებული დღეს მამლუქების ბედითაც. თუ სისხლი დაგინთხევია, თუ თოვლსა და წვიმაში წოლილხარ, თუ დაჭრილი ამხანაგი ზურგით გითრევია, თუ სიკვდილს კლანჭებიდან დასხლტომიხარ, ყველაფერი ეს შენი ცხოვრების ნაწილია, შენი ბიოგრაფიაა და რაკი მარტო შენ არა ყოფილხარ იქ, რაკი შენი თანატოლებიც შენს გვერდით იდგნენ, ამდენად მათი ბიოგრაფიაც არის, მთელი თაობის ბიოგრაფიაა. თაობათა ბიოგრაფიებით კი ერის ცხოვრება შედგება.

შეუძლებელია იმ ქართველი მაიორისა და პატარა გოგონას დავიწყება. ომი მარტო საომარ პოზიციებზე ურთიერთ შეხლა-შემოხლა არ არის. ომში მოულოდნელი შეხვედრებიც ხდება, ომის კანონებს რომ არაფრით არ ეგუება, ისეთი შეხვედრები, ადამიანური შეხვედრები.

ჩემი საქმე არ არის იმხელა ომის აწონდაწონვა, როგორიც მეორე მსოფლიო ომი იყო. არც არავის განსჯა განმიზრახავს, არც არავის ცოდვა-მადლის განკითხვა.

მე მხოლოდ ორი ყმაწვილის ბედზე გიამბობთ, — ბუდუ ბედიასა და არჩილ მღებრიშვილის ბედზე, იმ ყმაწვილებისა, რომელთაც ჯერ არც საკმაო ცოდნა გააჩნდათ, არც რიგიანი წვრთნა გაევლოთ, მოკლედ, ჯერ კიდევ დედის რძე არ შეშრობოდათ ტუჩებზე და რთულ ვითარებაში რამდენი რამის გაძლება და ატანა შეძლებიათ.

ბუდუ ბედიასაც წაუკითხავს რომანის პირველი წიგნი და ამას წინათ წერილიც მომ-

წერა, ასე დაწვრილებით რამ დაგამახსოვრა ჩემი ნაამბობიო, ჯანდაბას, რომ დაგიწერია და გამოგიქვეყნებია, მაგრამ ნეტავი თუ დაგიჯერებენო, მეკითხება, თან დასძენს, აქაც წაიკითხეს ჩემმა ნათესავებმა, მეზობლებმა, ნაცნობებმა და სული ამომართვეს, მართლა გადაგხდა ყველაფერი ესო? თუ მართლა გადაგხდა, ამდენხანს ჩვენ რატომ არ გვიამბე, ენა რამ ჩაგიგდო მუცელშიო? შენი ჩანართები რომ არ ახლდეს, ვეტყოდი ამათ, ბევრი რამე თავისი თავგადასავლისა მომაწერათქო. მოკლედ ჩემს არემარეზე ყველას ბუდუ ბედია აკერია ენაზე და რაღა მეშველება, არ ვიციო.

რაკი ბუდუ ბედიამ საყვედური არ შემომითვალა, საქვეყნოდ რატომ გამომაჭენეო, სული მოვითქვი, გავთამამდი და მეორე ნიგნის წერაც ხალისიანად დავიწყე.

### შეხვედრა

გატყდა ჯარისკაცი, გული გაუტყდა.

ჯარისკაცი მაშინ არის ჯარისკაცი, როცა მწყობრშია, სულერთია სამარშო მწყობრში თუ საიერიშო მწყობრში, ოღონდ ბრძანება ესმოდეს მეთაურისა — ერთი, ორი, სამი! ან „წინ!“ — მაშინ მოძრაობს, მაშინ არის ძლიერი, არ ეპუება არაფერს — არც შიმშილსა და დაქანცულობას, არც ტყვიებსა და ნაღმებს, მოძრაობს, მოქმედებს, მოვალეობას იხდის, ბრძანებას ასრულებს.

ახლა, როცა აზოვის ზღვასთან შეჯგუფდა უკანდახეული ჯარი, ჯარისკაცი ჯარისკაცს აღარ ჰგავდა. ამ ბოლო ორ დღეს მთლად ხელჩაქნეული მოლასლასებდა, თოფს ძლივს მოათრევდა, ტყვია-წამალი გამოლეოდა, ზოგ-ზოგს თუ შერჩენოდა რამდენიმე ცალი ტყვია. უტყვიაწამლოდ თოფი რაღა თოფია, ვის კომბალივით ჰქონდა გადებული მხარზე, სხვებს თასმებით ჩამოკიდებული. მწყობრი დაშლილიყო, თავჩაქინდრული მეთაურები პირში წყალჩაგუბებულნი მოდიოდნენ, კი არ მოუძღვებოდნენ, ჯარისკაცებში შერეულიყვნენ და ისე მოდიოდნენ. არც ჯარისკაცი ჰგავდა ჯარისკაცს და არც მეთაური ჰგავდა მეთაურს.

ამჯერად ერთადერთი იმედიღა დარჩენოდა ჯარისკაცს — ზღვას მიადგებოდა თუ არა, კატერებით და გემებით გაღმა ნაპირზე გადაიყვანდნენ, იქ სულს მოითქვამდა და ისევ წელში გასწორდებოდა.

არ მოხდა ასე.

ზღვას კი მოადგა, მაგრამ ამ ნაპირთან გემი და კატერი კი არა, ნიჩბიანი ნავი ძლივს მოცურდება. გადასაყვანი ნავმისადგომი ქერჩში, აზოვის ზღვის ყელთან ყოფილა და იქ მისასვლელი გზა გერმანელებს გადაუჭრიათ. მაღალი კლდე აზოვის ზღვას მიუყუდებია, რომ დააკვირდები, კაცის ვეებერთელა პროფილსა ჰგავს ზღვას მიყუდებული კლდე — შუბლი, ცხვირი, ნიკაპი ისეა გამოკვეთილი, მართლა კაცისა გეგონება. ცამდე მიწვდენილ ამ კლდის შიშველი ფერდობები ისეა აქნილ-ჩამოქნილი, ვერანაირი კლდეზე მცოცავი ფეხს ვერ მოიკიდებს. კლდე კუნძულის სიღრმისკენ წაგრძელებულია ტყიანი გორათი, რომელსაც წინ ტალღებივით მიკვრია ერთი ჯაგებიანი და ორი ხრიოკი გორაკი. იმ ჯაგებიან გორაკზე ჩასანგრებულან გერმანელები.

ნაპირის გასწვრივ მაღალი და გრძელი კლდოვანი ქანებია აღმართული, აღაგ-ალაგ ქვაბულებია ამ მაღალი, ცამდე ასვეტილი შიშველი ფერდობების ძირთან, ზოგი ქარის, ზოგი კაცის გამოთხრილი.

ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად, ცალ-ცალკე მიყრილან ზღვის ნაპირზე, ზოგნი გამოქვაბულებში მოკალათებულიყვნენ, აქა-იქ ცეცხლი ენთოთ, მიფიცხებოდნენ ან წყალს ადუღებდნენ.

აღარაფერი არ უნდოდათ, გული გალეოდათ, ჩამტვერილ-ჩაწვირიანებულები მიყრილიყვნენ ზღვისპირას, იმედგალეულები, ჯანღონეგამოცლილები ზოგი იწვა და უკვე მისძინებოდა, ზოგი ცეცხლთან მიმუხლული ართქლილ ქვაბურაში კოვზს ურევდა. ზოგს ჯერ კიდევ შერჩენოდა ადამიანური ძალა, მაინც შერჩენოდა ზოგ-ზოგსა და ყველა საზრუნავი რო გამოლეოდა, ერთადერთი საზრუნავისთვის უკანასკნელი ღონე მოეკრიბა და დაჭრილ მეგობრებს უვლიდნენ, წყალს ასმევდნენ, პერანგებს ხევდნენ, ჭრილობებს უხვევდნენ, უფრო მყუდროსა და რბილ ადგილს ურჩევდნენ, რათა იქ წამოეწვინათ, ისინიც დაესვენებინათ და თვითონაც სული მოეთქვათ, რადგან რამდენიმე დღეა მხარში შედგომოდნენ, მინდორ-მინდორ არ მიეტოვებინათ, მოჰყავდათ, მათი თოფებიც მოჰქონდათ, თან გასამხნევებელ სიტყვებსაც არ აკლიდნენ, ცოტაც კიდევ გასძელ, მალე სამშვიდობოზე გაგიყვანთო. ამათ კი ეუბნებოდნენ, სამშვიდობოზე გაგიყვანთო, მაგრამ თვითონვე აღარ სჯეროდათ, აჰა, აგერ ზღვაც ხოა? მერე რა, ზღვა როა? გადაცურავ? ჯერ შუა მაისია, წყალი ცივია, რო შეცურო, გაგყინავს, ხელ-ფეხს გაგიშეშებს, კარგი მოცურავეც რომ იყო, გაღმა ნაპირამდე შორია, გაგთოშაავს წყალი და ვერ გაალწევ.

ვთქვათ წყალი თბილია, ცურვაც იცი და გადასცურავ კიდეც ამ ზღვას. უმრავლესი ამასაც ვერ გაბედავს იმიტომ, რომ ბრძანება არავის გაუცია, ვისაც შეგიძლიათ, გასცურეთო. ჰოდა, რო გადასცუროს, იქ, გაღმა ნა-

პირზე ვინ იცის რას ეტყვიან, ბრძანების გარეშე გამოექეცი შენს ნაწილს, ეს დეზერტირობააო და ვირის აბანოში გიკრავენ თავს, ვირის აბანო თუ გაკმარეს, ღმერთს მადლობა უნდა შესწირო.

მიმოყრილიყვნენ უწესრიგოდ კენჭებიან ნაპირზე. დაეკარგვოდათ ერთი საერთო საფიქრალი — ჯარმა რო იცის, ოცეულმა რო იცის, ასეულმა რო იცის, როცა მის მწყობრში დგეხარ, როცა მის „ვაშას" მისდევ, როცა მეთაური გაქეზებს, გიხმობს, გილრენს და თვითონვე მიგიძღვება თუნდაც ცეცხლის ლავაში, ტყვიების თავსხმაში, ბომბების გრიალგრიალში. ამნაირი საერთო საფიქრალი დაეკარგვოდათ და ყველანი თავთავიანთი საფიქრალით იყვნენ შეპყრობილნი — როგორ გაეღწიათ აქედან, როგორ გადაერჩინათ თავი. ეგაც საერთო საფიქრალი იყო, მაგრამ ამაზე ერთად კი არ ფიქრობდნენ, არამედ ცალ-ცალკე, ასე ეგონათ, უკვე აღარც მეთაურები ფიქრობდნენ ამ საერთო საფიქრალს.

ის არ იცოდნენ, რა თქმა უნდა, თუ მაიორ კლიმოვს როგორ აკვიატებოდა ეს საფიქრალი, ისინი იქ ეყარნენ ჩამოლამებულში, მაიორი კლიმოვი კი გარღვევის გეგმას ადგენდა და აზუსტებდა, ქერჩის ნავმისადგომთან მისასვლეელად გარემოცვიდან გაჭრის გეგმას, ალყაში მომწყვდეული ჯარის გადარჩენის გეგმას. არავის არ უბრძანებია მაიორისთვის ეს, შეიძლება ამგვარი ბრძანება უკვე გაცემულია, მაგრამ მაიორ კლიმოვამდე არ მოულწევია. თვითონ უნდა იმოქმედოს. ერთადერთი მიზანი ალყის გარღვევა და ქერჩისაკენ გაჭრა იყო. ეს იკისრა მაიორმა კლიმოვმა. ამის შესახებ არაქათგამოცლილმა ჯარისკაცებმა არა იცოდნენ რა.

ახლა ჩვენ უნდა გვეთქვა მათთვის, ნუ გეშინიათ, ბიჭებო. არის მეთაური, ის გაგვიძღვება, ის გვიბრძანებს, დილამდე სული მოითქვით, დილა-ადრიან, გათენებამდე, ჩასანგრებულ გერმანელებს ვეკვეთოთ, გავარღვიოთ რკალი, რას იზამ, ყველანი ვერ გავაღწევთ, გემები და კატერები გველოდება, მთლად განწირულნი არა ვართ და რაღაც გვეშველება, ამაზე ფიქრობს ახლა მაიორი კლიმოვი, ამის გეგმას ადგენს, მრავალჭირნახული და გამოცდილი მეთაური, ვენდოთ, გვერდში ამოვუდგეთ და ალყა გავარღვიოთო. ასე უნდა დაგვერწმუნებინა ისინი და მოიერიშე ნაწილები შეგვედგინა ამ მილნავებულ და გულგატეხილ ჯარისკაცებისაგან.

ასე რო ვუთხარი რიყეზე მჯდარ ერთ უფროს ლეიტენანტს, რომელსაც გარშემო ჯარისკაცები შემოსხდომოდნენ, არც განძრეულა, ისე შემომძახა:

„ციგანია ეგ თქვენი მაიორიო".

„რას ამბობ-მეთქი!" — მივუგე ტოლცეკიპულმა.

„ჰო, ჰო, რაც გაიგონე, იმას ვამბობ, ციგანია და თვითმარქვია სარდალიო". — სარდალიო, დამარცვლით თქვა.

„ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო-მეთქი", — წამოვიწყე, მაგრამ მყისვე შემაწყვეტინა სიტყვა.

„უფროსი ლეიტენანტი ორლოვი ვარ მე, სერგეი სერგეევიჩი, წადი და მოახსენე მაგ შენს მაიორს, სერგეი სერგეევიჩმა ასე თქვა, დამთხვეული ხარ შენთქო".

ერთი ჯარისკაცი წამოდგა და შემომიტია:

„ხო გაიგონე, რა გითხრა სერგეი სერგეევიჩმა, წადი და მოახსენე შენს მართლაცდა დამთხვეულ მაიორს, ისიც დაუმატე, რომ ჩვენც ამ აზრისანი ვართო".

„მართლაც რო გიჟიაო". — დაუმატა უფროსმა ლეიტენანტმა და გარს შემომსხდარ ჯარისკაცებს მიმართა:

„ტყვიები გაქვთო?"

„არაო". — ერთხმად უპასუხეს.

„ხელყუმბარებიო?"

„არაო".

„ტყვიამფრქვევი რო არა გაქვთ, ეგ მეც კარგად ვიციო".

„ზარბაზნები და ტანკები თუ აქვს მაგ შენს მაიორსო? — მკითხა ფეხზე მდგარმა ჯარისკაცმა.

„ზარბაზნები და ტანკები, სანამ ეს უბედურება თავს დაგვატყდებოდა, მთელ პოლკშიაც არა გვქონდა, თუ რამე გაგვაჩნდა, გერმანელებს დავუტოვეთ, ახლა საიდან იქნებაო?!"

საუბარი ახლა ერთმანეთს შორის გააჩაღეს, მე აღარც კი მაქცევდნენ ყურადღებას. სხვა ჯარისკაცებმაც ამოიღეს ხმა.

„ახლა ხმლისა და მახვილის ომი კი არ არიო".

„მარტო ხიშტითა და მუშტით როგორ გავარღვიოთ ალყაო".

„აქამდე ხო მოვაღწიეთ, ა, ზღვის ნაპირი, თუ შველა უნდათ, მოაყენონ აქ ნავები და კატერებიო".

„ახლა მოუნდომებია გმირობის გამოჩენა მაიორს, აქამდე სად იყოო?!"

„მატრაკვეცა ვინმეა ეგ მაიორიო".

„მატრაკვეცაც არის და მატრაბაზიცაო".

„თაღლითიცა და მკვეხარაცაო".

„თუ ჩვენი დახვრეტა უნდა, მოვიდეს და ბარემ თავისი ხელით დაგვხვრიტოს, რაღა გერმანელებს ახვრეტინებს ჩვენს თავსო!"

უფროსი ლეიტენანტი შემომაჩერდა და მე მომმართა:

„არ გვეყოფა, რაც შეცდომა დავუშვით, რა დოყლაპიობაც გამოვიჩინეთ და დავლუპეთ ამდენი ხალხი, კიდევ ერთი საბედისწე-

რო შეცდომაც დავუშვათ და მთლად გავნყვიტოთ ეგ საცოდავები?! ვინ უბრძანა მაიორს, ეგ გააკეთეო?! ცოტა თუ მაინც შერჩა ჭკუა, ვერ უნდა მიხვდეს, ამ ალყიდან გასვლა შეუძლებელი როა?! იმასაც ვერ უნდა მიხვდეს, ეგ შტერი, ეგა, გერმანელები ახლა ქერჩში იქნებიან შესულნი. რა ძნელი მისახვედრია ეს?! მარტო ჩვენ კი არ მოგვდევდნენ, რათა აქ მოვერეკეთ. მათი მთავარი მიზანი ქერჩის დაპყრობა იყო, ჰოდა, რაკი აქამდე მოგვრეკეს, ქერჩშიც შნაპს სვაძენ უკვე. გავარღვიოთ ახლა ეს ალყა და იმ ალყაში მოვექცეთ?! ვაი, მაგის პატრონს უბედურს! დაუკარგავს ჭკუა და ეგ არისო".

მე ენა მუცელში ჩამივარდა. ვუსმენდი მათ და ასე მეგონა, თითქოს ჩემს აზრებს გამოთქვამდნენ. ველარც კვერი დავუკარი. მართალნი იყვნენ, მაგრამ მაინც ვერ დავუკარი კვერი. ტყუილა რატომ უნდა გაიჟუჟოს ამდენი ხალხი?! ძლივს ცოცხლები დარჩენილან, გადარჩენილან, გამოულწევიათ უთანასწორო ბრძოლებიდან, ძალა გამოლევიათ და რა ალყა უნდა გაარღვიონ, რით გაარღვიონ?! იარალი არა აქვთ, ტყვია-წამალი ალარა აქვთ, რით, რით შეუტიონ?! ანკი რატომ უნდა გაარღვიონ?! იქ, ქერჩთან არის კი რამე საშველი?! მაიორმა მართლაც არაფერი იცის ამის შესახებ, თავის თავს მიენდო, თავის ალლოს და ეს უდანაშაულო ხალხი სასაკლაოზე უნდა გაიყვანოს. ამათმა საუბარმა მეც ეს საფიქრალი მომახვია თავს, მაგრამ ვერ ჩავერიე მათ საუბარში, მხარი ვერ ავუბი. კვერი რო დამეკრა, ხო მეტყოდნენ, აბა, რად მოიტანე მაიორის დანაბარებიო?! ისიც გავიფიქრე, ვინმე მაბეზღარა არ ერიოს-მეთქი ამათ შორის. ამიტომაც გაჩუმება ვარჩიე და საუბარში რო გვარიანად გაფიცხდნენ, შეუმჩნევლად გავეცალე იქაურობას.

უცებ სიმღერა შემომესმა, სიმღერა კი არა, ღუღუნი, ტალღების ტყლაშუნი, ქარში შეტოკებულ ხეთა რტოების შრიალი, ნაღველგარეული, კვნესაგარეული, ოხვრაგარეული. ჩაგუდული ხმები თვინიერად შეწყობოდა ერთმანეთს — პირველი, მეორე, ბანი. ამ ქოთქოთში, ამ ჟრიამულში, ახლო-მახლო ზოგ-ზოგი გაუყუჩდა, გაურინდდა სიმღერას, გაიტრუნა, მიაყურადა, მელოდიისა და გულში ჩამწვდომი სიტყვების ჰარმონიულ მდინარებას აჰყვა, აჰყვა, ზღვის კენჭებიან ნაპირზე მწოლარეს თითქოს ფრთები შეესხა, თითქოს კენჭებიან ნაპირს აშორდა, ფაფუკ ღრუბლებზე შემოჯდა და აღარც კი იცის, საითკენ მიცურავს. ეს დაავიწყდა, აქაური ქოთქოთი და ალიაქოთი დაავიწყდა, დაქანცულობა და შიმშილი დაავიწყდა, ტკივილი და გულგატეხილობა დაავიწყდა. ამათ არ დაავიწყდათ, ამათ ვერ შეხებია სიმღერის ფრთები, ამათ რაღაც მოუქექიათ, უპოვიათ, წყლით სავსე საველე ქვაბში ჩაუყრიათ, ცეცხლზე შემოუდგამთ, ჩაცუცქულან იქვე და ხარშავენ, რაღაცას ხარშავენ. ესენი ვერ ელევიან, ვერ გასცილებიან ქვაბს. ვერც ისინი, თავიანთ საქოთქოთოს რომ ვერ გაქცევიან, ბოლმით გული ამოვსებიათ, ადუღებულ რძესავით აფოფრილა ეს ბოლმა. ყელს მოსწოლია და გადმონთხეულა, იგინებიან და ილანძღებიან, თავიანთი გაჩენის დღეს გმობენ, თუ ამ დღეში ჩავვარდებოდით, რატომ გამაჩინა დედამო.

ორად გაყოფილიყო ამ გრძელ, კენჭებიან ნაპირზე მიყრილი ჯარი. ამ წუთს გაყოფილიყო ორად, სიმღერა რომ არხევდა თავის მომაჯადოებელ ფრთებს — ერთნი გაჰყუჩებოდნენ, სხვანი ვერა და ვერ მოენუსხა, ვერ შეეტყუებინა თავის იდუმალ სამფლობელოში.

შავ ცხენებს უხმობდა სიმღერა, სადა ხართო, შავო ცხენებო, რომელი ქარი წეწს თქვენს ფაფრებს, რომელ მთვარიან ლამეს მიარღვევს თქვენი გაოფლილი მკერდები, სად, სად არის ის მინდორი, რომელსაც ჟრუანტლად მოსდებია თქვენი აზარტული ჭიხვინი, რა ქვა-ღორღს ეხლება თქვენი ფლოქვები, რომელ ციცინათელებს წაჰკიდებიათ თქვენი ნალებიდან ასხლეტილი ნაპერწკლები, სად, სად ხართ, შავო ცხენებო, შავაფრიანო, შავო ცხენებოო... ასე უხმობდა სიმღერა შავ ცხენებს.

მღეროდნენ ჯარისკაცები, მაინც მღეროდნენ გულგატეხილნი, ხელჩაქნეულნი, იმედგადაწურულნი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალნი, და რაკი ცოცხალნი იყვნენ, სიმღერამ სადინარი იპოვა მათ მოლლილ გულში, სევდა და ნაღველი ამოიყოლა გულიდან და ერთი წამით თავის ფრთებზე შეისვა ლონეგამოლეული ჯარისკაცები.

მარტო მე კი არ მივყურადებივარ სიმღერას, არჩილი და გენადიც გარინდულან, ჩემს გვერდით შეჩერებულან, განაბულან და სახეები იქეთ მიუშვერიათ, საიდანაც სიმღერის მომნუსხველი ხმა მოისმის. აქა-იქ ცეცხლი კი ანთია, მაგრამ ლამეში ისინი არა ჩანდნენ, რომელნიც მღეროდნენ. გუმანით ვგრძნობდით, საიდან მოარხევდა ფრთებს სიმღერა, ნაკადულივით მოჩხრიალებდა ბნელში და თითქოს ვხედავდი კიდეც მის მდინარებას.

თოფზე ნიკაპით ჩამოყრდნობილმა გენადიმ მისდაუნებურად ჩუმად ხმაააყოლა სიმღერას, კაზაკური დიალექტით შეფერილი სიტყვით ნელ-ნელა მიადევნა ჰანგს. ამ რამდენიმე დღის ორომტრიალში გენადი გალიმებულიც კი არ დამინახავს, უფრო ხშირად კუშტად გამოიყურებოდა, ვერც კი წარმოიდგენდი, ამ კაცს სიმღერა თუ შეეძლო.

„რომელ ციცინათელებს ნაჭკიდებიათ თქვეხი ნალებიდან ახხლეტილი ნაპერწკლები, სად, სადა ხართ, შავო ცხენებო, შავფაფრიახო, შავო ცხენებოო..." იქ, საცა მღეროდნენ, ვინც კრინს გამოსცემდა, ამ ადგილას ხმას უფრო აუწია, აწკრიალდა მისი ცახცახა კრინი. გენადი კი ბარიტონის მსგავს მეორე ხმას გამოსცემდა, მაღალშემართულ კრინის მიმოხვრას ჩუმჩუმად, ჩაგუდულად აყოლებდა თავის მეორე ხმას, თითქოს იმ საერთო სიმღერას კი არ შეერთებოდეს, არამედ თავისთვის ჩურჩულებდეს, ღუღუნებდეს, კვნესდეს და ოხრავდეს.

როცა სიმღერა მიწყდა, მიინავლა, ღამის სიბნელეს შეადნა, გენადიმ ეგაც თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეგ სიმღერა, დონის ნაპირებთან რომ კუნაპეტი ღამე ჩამოწვება, მაშინ უნდა გაიგონოს კაცმა. იქ გასაგონი და სამღერია ეგ სიმღერა.. ჩემი სიჭაბუკის სიმღერაა დონელი კაზაკების სიმღერა... ცხენის ზურგზე რომ დაბადებულან და გაზრდილან, იმათი სიმღერაა.

თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა გენადიმ ეს სიტყვები, მაგრამ არ იყო ძნელი მისახვედრი, ჩვენს გასაგონად რომ თქვა. ეგ სიმღერა იქ უნდა მოისმინოთ, დონის ნაპირზეო, განსაკუთრებით ეს სიტყვები თქვა ჩვენს გასაგონად და ჩვენც, რა თქმა უნდა, გულზე მოგვხვდა მისი ნათქვამი, მაგრამ ხმის ამოღება, შეპასუხება ვერ გავბედეთ მე და არჩილმა, სულგანაბულნი ვიდექით მის ახლოს.

კაცს სიმღერამ კლანჭები ჩაჰკიდა, მშობლიური არემარე გაახსენა, დონის ნაპირები გაახსენა, საცა პირველად ფეხშიშველმა გაიარა, საცა პირველად ცხენს მოახტა და გააჭენა, ჭენებისა და ქროლვის ჟინი საცა პირველად წაეკიდა და მერე არასოდეს განელებია ეს ჟინი. აბა, კაზაკი რა კაზაკია, ჭენებისა და ქროლვის ჟინი, ხმლის მოქნევის ჟინი თუ გაუნელდა.

პატარა კოცონის გარშემო შეჯგუფული ჯარისკაცებიდან ერთი ჯარისკაცი წამოდგა და გენადის მიაძახა:

— ნამდვილი კაზაკი ყოფილხარ, ძმობილო, ნამდვილი.

კოცონის მოციაგე შუქზე ალანდული ჯარისკაცი ვერა, ვერ იცნო გენადიმ, ანკი რა მნიშვნელობა ჰქონდა, იცნო თუ ვერ იცნო, გამოეხმაურა, გამოელაპარაკა, გენადიც გამოერკვა, პატარა კოცონის ალმა თვალი მოჭრა და მიხვდა, მიხვდა, რომ გაილია, გაილია მშობლიური ჰანგის ღუღუნ-ბუბუნი. აგერ, ამ ჯარისკაცსაც გულზე წანთებია, განამებულს და განიწმატებულს მოსალბუნებია. ვერა, ვერ იცნო გენადიმ, მიაჩერდა, მაგრამ ვერ იცნო. ნამდვილი კაზაკი ყოფილხარო, ეს რომ უთხრა, მაშინ [illegible] რომ ყოფილა ისიც, კაზაკობა [illegible] და ამიტომ რომ გახარებია კაზაკური სიმღერის გაგონება.

— ვიყავი, ძმაო, ერთ დროს კაზაკი ვიყავი.

ვიყავიო, ხელი ჩაიქნია და ასე უპასუხა გენადიმ კოცონის ალზე ალანდულ ჯარისკაცს, გაუკვირდა ჯარისკაცს, რა თქმა უნდა, გაუკვირდებოდა, — რას ჰქვია, ვიყავიო, ცოცხალი ხარ, ჯერ ტყვიას არ გაუმეტებიხარ, სული არ გაგცხებია და რა სათქმელია ეს?!

— რად ამბობ, ვიყავიო?! — ჯარისკაცი მიუახლოვდა გენადის და ჰკითხა.

— ვიყავი და იმიტომ ვამბობ, — უპასუხა გენადიმ.

— ახლაც ხო ხარ? — ჩააცივდა ჯარისკაცი.

— ვარ და კაზაკი აღარა ვარ.

— აბა, რო იმღერე?

— მომაგონდა.

— რა მოგაგონდა?

— ბავშვობა მომაგონდა, სტეპი მომაგონდა, დონში შეცურებული შავი ცხენები მომაგონდა.

— სიმღერამ ამდენი რამის მოგონება იცის?

— იცის.

— კიდევ რა მოგაგონა სიმღერამ?

— ჩემი სტანიცა მომაგონდა.

— რომელია შენი სტანიცა?

— ზედ დონის პირზეა, მაღალ ბორცვზე, სტეპიდან არყის ხეები ჟირაფის ზოლებივით აჩნია იმ ბორცვს, მარჯვნივ დონია, მარცხნივ თვალუწვდენი სტეპები.

— რა ქვია, რა?

— ბერიოზოვკა.

— ბერიოზოვკა?

— ჰო, ბერიოზოვკა.

— გამარჯობა, მეზობელო! — შესძახა ჯარისკაცმა და ხელი გაუწოდა გენადის, — მე სასნოვკადან ვარ. ხო იცი სასნოვკა? გეცოდინება, აბა, არ გეცოდინება! იქვეა, ცხენის ერთ გაჭენებაზე, ბერიოზოვკასთან რომ ერთი ჩვენებურად შეძახო ცხენს, — ჰაიტ, — მხოლოდ ერთხელ ამოიკრავს ქარს ფლოქვებზე და უმალ სასნოვკაში გაჩნდება. ხომ იცი სასნოვკა? როგორ არ გეცოდინება, შე ძველო, გეცოდინება, აბა, რა!

გენადი თვინიერად გაუყურა უცხო ჯარისკაცს, უცებ ასე ბარაქიანად ენაგაკრეფილს, სწორედ ისეთი აზარტით, ჭაბუკობის დროს რომ გაუგონია მშობლიურ სტანიცაში, მის გამოწვდილ ხელს ხელი შეაგება, მეორე ხელიც მიაშველა და ორივე ხელისგულში მოიქცია ჯარისკაცის გამოწვდილი ხელი.

— ვიცი, ვიცი... როგორ არ ვიცი... სასნოვკა იქვეა... იქვე იყო, ბერიოზოვკასთან.

— ჰო, ძმობილო, ჰო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სტანიცის არყის ხეზე რომ ავცოცდებოდი, იქიდან კარგად ჩანდა სასნოვკა... კარგი სტანიცა იყო სასნოვკა.

— იყო და არის კიდეცა, ძმობილო.

— კარგია, რომ არის, რომ ისევ არის.

— შენ რა, მეზობელო?! ვითომდა რატომ არ უნდა იყოს?!. რა ალმაცერად ლაპარაკობ?! გლახა ამბავი ხომ არაფერი გაგიგია?

— არა, ისე... კარგა ხანია არ მინახავს და იმას ვამბობ... იმას ვამბობ, კარგია, რომ ისევ არის... ბერიოზოვკაც რომ არის და სასნოვკაც რომ ისევ არის.

— ეშმაკმა დალახვროს... დამაფეთე კია, შე ძველო... ომია, რას არ გაიფიქრებ კაცი...

ვუსმენდი მათ საუბარს. ცეცხლის პატარ-პატარა ალის ლაპლაპი ხანდახან გადაირბენდა გენადის სახეზე და მაშინ ვამჩნევდი, როგორი სხვანაირი შუქი ჩადგომოდა თვალებში, თამაშ-თამაშა ალის წყვეტილ-წყვეტილ შუქზე სხვანაირი ჩანდა გენადის სახეც, კამფეტის ფოჩებივით ჩამოკიდებული ულვაშებიც სხვანაირი ჩანდა, სიცილს არა მგვრიდა, პირიქით, თითქოს სწორედ ამგვარი ულვაშები უნდა ჰქონდეს ნამდვილ კაზაკს, იმ კაზაკს, რომელიც ასე გატაცებით ესაუბრებოდა უეცრად შეხვედრილ მეზობელ კაზაკს.

ასე მეგონა, წელან რომ შავ ცხენებზე მღეროდა გენადი, თითქოს იმ სიმღერას აგრძელებდა, კი არ საუბრობდა, სიმღერას განაგრძობდა, მშობლიურ სტანიცაზე მღეროდა, ნაპერწკლიანსა და ნაღვლიან სიტყვებს არჩევდა, მეზობელი კაზაკიც აგრე იქცეოდა და მათი გატაცებული ლაპარაკი ლექსს გავდა, გულში ჩამწვდომ ლექსს

## ჯადოქარი თაისია

გენადის ჩვენთვის არ უამბნია თავის თავზე — ვინ იყო, საიდან იყო, ცხოვრების როგორი გზა გაიარა ომში წამოსვლამდე. შვილის ამბავი წამოცდა ერთხელ, ისიც შემთხვევით, ომშია და ალარაფერი ვიცი მისიო და მორჩა. არც არჩილს უკითხავს რამე და არც მე. ამისი სურვილი, რა თქმა უნდა, კი მქონდა, ალბათ არჩილსაც აინტერესებდა, ხიფათიან გზაზე თანდათან ვეგუებოდით და ვეთვისებოდით. ასაკით ჩვენზე უფროს კაცს, მას შემდეგ მაინც, როცა გავიგეთ, შვილიც რომ ომში ჰყოლია. სხვა რამ მისი ბიოგრაფიისა არა ვიცოდით რა. არც გვქონდა ამის დრო, არც ისეთი შემთხვევა მოგვეცა, რომ ეს გვეკითხა და მას რამე ეამბნა. რამდენიმე დღე მიხლართულ-მოხლართული, სისხლიანი და სიკვდილი რომ მხარდამხარ მოგვყვებოდა მუდამჟამს, ამნაირი ბილიკებით მოვდივართ. ველარ მოვიხელთეთ დრო და შემთხვევა, გვეკითხა გენადისათვის, ცოტაოდენი რამ მაინც ეამბნა თავის ცხოვრებაზე.

ახლა, თანასოფლელს რომ შეხვდა მოულოდნელად და გაესაუბრა, ეტყობა ძალუმად მოენთო სიჭაბუკის დროინდელი ცეცხლი მშობლიური არემარის სიყვარულისა, მისდაუნებურად გაახსენდა ყრმობის დროინდელი ამბები, ზოგი რამ თანამოსაუბრემაც მოაგონა და მათი საუბრიდან გენადის ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდიც ნათლად გამოიკვეთა.

ნათლად გამოიკვეთა ის სევდაც, რომელიც აგრე შეფარვით თან ახლდა მის აღფრთოვანებულ შეძახილს, ბერიოზოვკაო... ეს მონატრებაა, ეს სოფელი მოსურვებია, ამ სოფელში დარჩენია ყრმობის დღეები, მარად გაუხუნარი და ფერადოვანი, ფერადოვანიცა და მისთვის, გენადისთვის, ღრუბლიანიც, ჭექა-ქუხილიანიც, მწარედ მოსაგონარიც. მეზობელთან საუბარში რომ სევდამ გამოჟონა, იმ მწარე მოსაგონარით გამოწვეული სევდაა, რა თქმა უნდა, ფერადოვანი ბავშვობის დღეები რომ აღარ განმეორდება, იმისიცაა ეს სევდა, მაგრამ უფრო იმ სიმწრისაა, რომელიც მაშინვე, იქვე, იმ საყვარელ ორღობეებსა და სტეპებზე, დონის ნაპირებთან უგემნია ყრმა გენადის.

საუბარში, მეზობელთან დიალოგში, თავი ამოჰყო, გაცოცხლდა საყვარელი ადამიანების სახეები, იმ ადამიანებისა, რომელთაც თვალდაჭყეტილი უყურებ ბავშვობისას, ბევრი რამ გაოცებს მათი ცხოვრებისა, მათი ქცევისა, ნამოქმედარისა, ნაუბარისა, გაოცებს, მიუზიდნიხარ, ვერ მოშორებიხარ, მათ არც კი იციან, როგორ მიუზიდნიხარ, როგორ მიშტერებიხარ, როგორ დაჭდევებია შენს გულსა და მეხსიერებას მათი უბრალო და უცნაური სახეები.

ბავშვობის ფერადოვანი დღეებიც კი წაუღრუბლიანდა, მაგრამ ბავშვობა მაინც ბავშვობაა, ღრუბლებიდან გამოსხლეტილი თითო-ოროლა სხივიც ჰყოფნის გასალაღებლად.

თხუთმეტი წლისა იყო გენადი, პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. სოფელი კი მიარბმოარბია ომის ქარმა, მაგრამ გენადის და მის თანატოლ გოგო-ბიჭებს მაინცდამაინც მწვავედ არ უგრძვნიათ ეს. თავიანთ ყმაწვილურ ქარს მიდევნებულნი, ხშირად სოფლის ჭირ-ვარამს გვერდს უქცევდნენ და მღეროდნენ, ცეკვავდნენ, თამაშობდნენ, ერთმანეთს დასდევდნენ.

გენადი სხვებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა — მამა, ბოგდან ბეზრუჩკო ჯარში არ წაუყვანიათ, შინ დარჩა და ჩვეულებრივად თავის უსაყვარლეს ცხენებს თავს ევლებოდა. ექვსი ერთი-ერთმანეთზე უკეთესი ცხენი ჰყავდა ბოგდანს და მისი ეტლი არა მარტო ბერიოზოვკაში, ამ სო-

ფელთან მოსაზღვრე მრავალ სტანიცაშიც განთქმული იყო.

სხვა სოფლებიდან წამოყვანილი და ბერიოზოვკადან სხვა სოფლებში წაყვანილი პატარძლები ამ ეტლით მიუქროლ-მოუქროლებია ბოგდანს. ჩვეულებრივად ეტლში სამ ცხენს აბამდა მხოლოდ, სამს კი ასვენებდა. საქორწილო ზეიმისათვის ექვსივე ცხენს შეაბამდა ეტლში, თვითონაც მხოლოდ ამ დღეებისათვის საგანგებოდ შეკერილ ტანსაცმელს ჩაიცვამდა. პატარძალი რომ მოჰყავდა, ნეფე-დედოფალს რომ მოაქროლებდა ბერიოზოვკისაკენ, ცხენების მოსართავებზე ჩამოკიდებული ზანზალაკები სადღესასწაულო მუსიკასავით წკრიალებდნენ, შორიდანვე, ტყიდან სტეპზე გამოჭრილ გზიდანვე შემოესმებოდა საქორწილო ფეხზე შემდგარ სოფელს ეს მუსიკა, ცხენების ფლოქვების ცემა და ზანზალაკების ჟრიალ-ჟრიალი თანდათან ძლიერდებოდა და ბერიოზოვკელები სულგანაბულნი უსმენდნენ. როგორც კი შემოესმებოდათ ამ მუსიკის გულისშემძვრელი ხმები, გაიტრუნებოდნენ, ყველა მეგარმონე გარმონს მყის შეკეცავდა, გოგო-ბიჭების სიმღერები და სიცილ-ხარხარი შეწყდებოდა, ყმაწვილები და ბავშვები სოფლის განაპირა ორღობეს, საიდანაც ეტლი უნდა შემოჭრილიყო, მიაწყდებოდნენ და ელოდნენ, ელოდნენ და უსმენდნენ ექვსი ცხენის ფლოქვების ცემასა და თითქოს მათი შეწყობილი ნაბიჯებისათვის საგანგებოდ აჟღერებულ ზანზალაკების წკრიალ-წკრიალს, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა და ძლიერდებოდა.

ბოგდანი ამ დროს არასოდეს შეუძახებდა ცხენებს, ერთნაირი, აწყობილი, თითქოს საგანგებოდ გაწვრთნილი ნაბიჯებით რომ მიილტვოდნენ წინ-წინ, არ შეუძახებდა იმიტომ რომ იცოდა, მისი ხმა გაბზარავდა ზანზალაკების საზეიმო მუსიკას, სულგანაბული და გაშტრინკული იჯდა კოფოზე და ორივე ხელში ისე მომხიბლავად ეჭირა ალვირები, არ შეიძლება თვალი არ გაგეყოლებინა. ქვეყანაზე ალბათ არცერთ მეეტლეს ალვირების ასე ოსტატურად მომარჯვება და მართვა არ შეეძლო. ბოგდანს საამისოდ თავისებური წესი ჰქონდა. მათრახი ხელთ არასოდეს სჭერია, მის გახედნილ ცხენებს მათრახი არ სჭირდებოდათ. ეტლის კოფოზე მჯდარს ორივე ხელით მხოლოდ ალვირები ეჭირა, ექვსი ცხენის ალვირები ორივე ხელის თითებში ჰქონდა განაწილებული და ისე ჰქონდა მოზომილი თითების მოძრაობა, ცხენები მაშინვე გრძნობდნენ, ყველანი ერთბაშად, ერთად იგრძნობდნენ ხოლმე, ჩორთით თუ თოხარიკით ევლოთ, უფრო სწრაფად გაჭენებულიყვნენ თუ შეენელებინათ ჯირითი. ვინც კი თვალს მოატანდა ეტლის შეჩერებას, გაოცდებოდა, წინ გახლეტილი ექვსივე ცხენი ერთბაშად რომ შეჩერდებოდა, ყველანი ერთდროულად რომ მიაცივდებოდნენ მიწას. ყველანი თავშეკავებულნი შეჩერდებოდნენ, ლაგმებს გალეჭავდნენ და ამ დროს ბოგდანს თუ დააკვირდებოდი, ისე კოხტად იჯდა კოფოზე, თვალს ვერ მოაშორებდი, წელგამართული იჯდა, არც დაწრუპუნება იცოდა, არც შეყვირება, იდაყვში მოხრილ მკლავს ოდნავ წინ წაწევდა და თითებშუა გაჩრილ ალვირებს ისე მოზიდავდა, ვერც შეამჩნევდი. რას მიქვია, უკან გადახრა და ალვირების ძლიერად მოზიდვა! თითებშუა შერხეული ალვირებით რალაცნაირ ჟრუანტელს გადადებდა ცხენებს, გახურებული და გახვითქული ცხენები კი გრძნობდნენ ამ ჟრუანტელს და ერთბაშად შეჩერდებოდნენ.

როცა ეტლს მიაქანებდა, გეგონებოდა, ბოგდანს ხელთ ალვირები მხოლოდ ცხენების სამართავად კი არ ეჭირა, არამედ ამ ალვირებზე იყო თითქოს მიბმული ზანზალაკებიც და მათ წკარუნ-წკარუნსაც ამავე ალვირებით მართავდა ისე, როგორც გამოცდილი და თავის ხელობაში უზენაესად დაოსტატებული მნათე თითებში განაწილებულ თოკებით აწკრიალებს და აგუგუნებს სამრეკლოზე წვრილ-წვრილსა და დიდ ზარებს.

ბერიოზოვკასა და მის ახლო-მახლო სტანიცებში ქორწილებს ერთსა და იმავე დღეს არასოდეს დაამთხვევდნენ, ყველას სურდა პატარძალი მხოლოდ ბოგდანის ეტლით შემოგრიალებულიყო. ამიტომაც ერთმანეთს უთანხმებდნენ ქორწილის დღეებს. თუ ვინიცობაა ორი სტანიცის საქორწილო დღე ერთმანეთს დაემთხვეოდა, ადრიანადვე ნეფეთა ოჯახების წარმომადგენლები მოკრძალებულად შეხვდებოდნენ, მობოდიშებითა და ურთიერთპატივისცემით გადაწყვეტდნენ, რომელი ოჯახის ქორწილი რომელ დღეს გამართულიყო.

რა თქმა უნდა, ბოგდანი არასოდეს ჩარეულა ამგვარ საკითხებში, ეს თვით სტანიცელებს უნდა მოეგვარებინათ. ვთქვათ და ვერ მოეგვარებინათ, ერთ დღეს დანიშნულიყო ორი ქორწილი. ვერავინ გაბედავდა და შეჰკადრებდა ბოგდან ბეზრუჩკოს, იმათთან ნუ წახვალ, ჩვენი ქორწილი დაგვიმშვენეო. ეს ყველა ოჯახმა კარგად იცოდა და ამიტომაც სულგრძელად უთმობდნენ ერთმანეთს, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ორი ოჯახის ქორწილი ერთმანეთს არ დამთხვეოდა.

ბოგდანის ეტლით პატარძლის შემოყვანა სტანიცაში სტანიცელების ცხოვრების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად იქცა, ნიშნად კი არა, კანონის, წესის სახე მიიღო, უფრო მეტიც, რალაცნაირი რელიგიური რიტუალის სამოსელით შეიმოსა, ეკლესიაში ჯვრისწერის

რიტუალის ბუნებრივ გაგრძელებად დამკვიდრდა.

ერთხელ ერთმა ბერიოზოვკელმა ჭაბუკმა თხოვა ბოგდანს, ამა და ამ სტანიციდან გოგოს ცოლად არ მატანენ, ნამომყევი ერთ ლამეს, ბიძია ბოგდან, გოგოს მე გამოვიყოლიებ, ოღონდ შენ ეტლით აქამდე გამომატაცებინეო.

ბიჭი მეგობრის შვილი რომ არ ყოფილიყო, ცხვირს დაუნაყავდა, ისე გაბრაზდა ბოგდანი. ამასთან კი სიბრაზე ჩაიცხრო და ასე უთხრა, მაგდაგვარად გოგო რომ გამოგატაცებინო, ჩემს ცხენებს ფლოქვებზე ქეჩები უნდა ამოვაკრა და ზანზალაკები უნდა შევხსნა. ეს რომ გავაკეთო, მერე თავი სად გამოვყო, ჩემი ეტლი სადღა გამოვაჩინო, ჩემს კაზაკურ ბედაურებს თვალებში როგორღა ჩავხედო, შენთვის მიპატიებია, სხვამ არავინ გამიბედოს მასეთი რამეო.

პირველი მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ბოგდან ბეზრუჩკო უკვე მთელს დონისპირეთში განთქმული კაზაკი იყო თავისი ეტლითა და ცხენებით, არა მარტო ამათი წყალობით, თავისივე ხასიათისა და კაიკაცობის წყალობითაც. ეტლითა და ცხენებით მხოლოდ კეთილი საქმეებისთვის ემსახურებოდა ნაცნობ-უცნობებს, თანასოფლელებს და მეზობელ სტანიცელებს. ორმოცდაათი წელიწადი ისე იცოცხლა და იცხოვრა, მისი მომდურავი კაცი არ მოიძევებოდა ახლო-მახლო.

ეტლში ნათამაშევი ცხენი ასაკში რომ შევიდოდა, არამცდაარამც გუთანში ან დროგში არ შეაბამდა, გაუშვებდა სტეპზე ან ტყელრე საძოვრებზე და იყო ცხენი ასე სიკვდილამდე. ტყის განაპირას ერთი ბორცვი ჰქონდა ამორჩეული ბოგდანს, როცა ცხენი თავისი სიკვდილით მოკვდებოდა, იმ ბორცვზე მარხავდა. საჯინიბოს შესასვლელ კართან, კარის ჩარჩოზე თვითონვე ბატიფეხური ასოებით მიაწერდა მკვდარი ცხენის სახელს. თავისებურ მემორიალურ დაფას ჰგავდა ეს ჩარჩო, ზემოდან ქვემოთ ჩამომწკრივებული ცხენების სახელებით.

გენადიმ ბავშვობიდანვე სულ ზეპირად იცოდა ეს სახელები.

თვითონ ბოგდანისათვის რომ გეკითხათ, თვითეულ მათგანს ისე მოიგონებდა, როგორც რომელიმე ახლობელ ადამიანს, თავისი საინტერესო ბიოგრაფიითა და ხასიათით, ჩვევებითა და ალნაგობით, ფერითა და კანჭების მოყვანილობით.

რაკი საჯინიბოს კარს მივადექით, ბარემ ახლავე ვთქვათ საჯინიბოს შესახებაც.

ბოგდანს მამამისმაც დაუტოვა, მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ ძველი ფარლალალა საჯინიბო დაანგრია და ფიჭვის ძელებით თავისი ხელით ამართა ახალი. დიდი არ იყო, მაგრამ ექვსივე ცხენი ნაშენიანად [illegible] ეტლის მოწყობილობა ისე ეტეოდა [illegible] გდანი და მისი დამხმარე ერთადერთი ვაჟი გენადი თავისუფლად მოძრაობდნენ. (ბოგდანი ცოლს — მარიამს, რა რომ შეირთო, მას შერე საჯინიბოს არ აკარებდა, მარიამს თავისი ქალური საქმეები ჰქონდა თავზესაყრელად ოჯახში და ორი ძროხაც თითქმის მასზე იყო მინდობილი). პატარა იყო საჯინიბო, მაგრამ ყოველთვის გულდაგულ მოვლილი, გარედანაც და შიგაც. ნაკელსა და ნაგავს შიგ არ აჩერებდა, გენადი ბავშვობიდანვე ისე შეეჩვია საჯინიბოს გასუფთავებასა და ცხენების დაურვებას, არასოდეს გახსენება არ სჭირდებოდა. ფუნა ფლოქვზეც არ უნდა ცხებოდა ცხენს. სტანიცაში ზოგი იმასაც კი ნატრობდა, ნეტავი ბოგდანის საჯინიბოსნაირი ხატა მედგასო. მაგრამ შურითა და ღვარძლით არავინ გასიებულა, არავინ დაბოლმილა და მტრად არავინ გადაკიდებია ბოგდანს, პირიქით, ცდილობდნენ მისთვის მიებაძათ, ხედავდნენ, როგორ მუხლჩაუხრელად მოქმედებდნენ, მოძრაობდნენ, ხელსაქმობდნენ ბოგდანი, მარია და გენადი.

საჯინიბოს კარის ჩარჩოზე გახურებული ლურსმნის წვერით ამოტვიფრული იყო ცხენების სახელები:

ჩორთა
ლამაზა
დონაურა
ლოტე
ცისკარა
ნიავა
ზანარა
უკარება
ქარულა
იანვარა
ცეცხლა
მთვარიანი
მცინარა
საყვარელა
ფრთიანა
ფიცხელა
დარდისა
ფოთოლა
ვარსკვლავა

სახელებს ბოგდანის მამა ან თვით ბოგდანი, — მამის ჩვეულების თანახმად, — ცხენებს იმის მიხედვით არქმევდნენ, რა თვისებასაც უფრო მეტად გამოამჟღავნებდა ცხენი ან რა ნიშანი აჩნდა ტანზე. მაგალითად, უკარება მიტომ შეარქვა ბოგდანის მამამ, რომ გახედნის დროს გააწამა, დიდხანს ახლოს არ მიიკარა ცხენმა. მამამ რომ ვერაფერი მოუხერხა, მერე ჯერ კიდევ ყმაწვილი ბოგდანი მიეჭრა გაავებულ ცხენს, თვალისდახამხამებაში ზურგზე მოექცა, გააჭენა კიდეც ერთ

ამოსუნთქვა მინდორზე, მაგრამ კვიცი უცებ შეჩერდა, უკანა ტლინკები შეჰყარა, დაბზრიალდა, ყალყზე შედგა, კიდევ შემობზრიალდა, ნამს ისე შეიქნია მაღლა უკანა ფეხები და გავაჲ, ბოგდანმა თავი ველარ შეიმაგრა და მინდორზე მოადინა ზღართანი.

შე უკარება, შენაო, შეუძახა კვიცს ბოგდანის მამამ, ფაფარში ხელები ჩაავლო, ელვასავით ზურგზე მოექცა და, აბა, უკარება, დამნებდი, თორემ ღორივით ყელს გამოგჭრიო, შეჰკივლა კვიცს და ადგილიდან მოსხლტა უკარება, თითქოს მხედრის მუქარამ შეაშინაო, დაემორჩილა მის ნებას. გახვითქულს ეს სახელი შერჩა, მაგრამ მიწაზე დახეთქებულ ბოგდანს მუხლის კვირისტავი ჩამსხვრეოდა. დიდხანს უმკურნალეს, მორჩა, ფეხი დაუმოკლდა და მას მერე კოჭლი დარჩა.

მაინც ყველაზე მეტად შეუყვარდა ბოგდახს უკარება.

მთვარიანი იმიტომ შეარქვეს ერთ-ერთ კვიცს, შუბლზე გამოკვეთილად აჩნდა ნახევარმთვარისნაირი ლაქა. იანვარა — იანვარში დაიბადა და იმიტომ. ცისკარა — ცისკრისას მოევლინა ამ ქვეყანას და ამის გამო. საყვარელა — ახლადშობილი ფეხზე წამოდგა თუ არა, ყრმა ბოგდანი ყელზე მოეხვია და საყვარელო, საყვარელოო, მიეალერსა, ბოგდანის დედას შემოესმა ეს და მერე სულ ამას ეუბნებოდა ბოგდანს, შენი საყვარელა წაიყვანე და გაბანეო, შენი საყვარელა მოაშორე დედამისის ძუძუს თუ არა, გავლახაო, იმთავითვე ასე შერჩა საყვარელას ეს სახელი.

იმ დროს რომ ცხენები ჰყავდა ბოგდანს, რომელზეც წელან ყურადღება გავამახვილეთ, ესეიგი, პირველი მსოფლიო ომის დროს რომ ექვსი ცხენი ჰყავდა, იმ ცხენებსაც ასე ჰქონდათ შერქმეული სახელები.

ნაჩუქარა — თითქმის მკვდარი დაიბადა, ნახევრად მკვდარი გამოათრიეს დედის საშოდან. ღამე იყო და თავლაში მიატოვეს დედა-ცხენი დარდისა და ახლადშობილი კვიცი, რომელიც ბოგდანს მკვდარი ეგონა, რადგან ვერავითარი ნიშანწყალი სიცოცხლისა ვერ შეამჩნია. დილით სასწაულს წააწყდა ბოგდანი: — კვიცი წინა ფეხებზე წამომართულიყო და წელის წამოთრევას ლამობდა, დარდისა ენით ზურგს ულოკავდა, კვიცი უკანა ფეხებს ძალას ატანდა, როგორმე წამოდგომა უნდოდა. ბოგდანმა პირჯვარი გადაიწერა, მივარდა და მუცელზე ხელები მიაშველა წინა ფეხებზე წამოწეულ კვიცს, წამოსწია და კვიცმა უკანა ფეხებიც შემართა, შემართა და წამოდგა, შექანდა, დაბანცალდა, ერთგზობა ნაზნიქა კიდეც წელი, მუხლებიც ჩახარა უკანა ფეხებისა, მაგრამ არ დაეცა, არ ჩავჯდა, ცოტა ხანს იდგა ოთხივე ფეხზე შემდგრი, დარდისა ზურგის ლოკვას განაგრძობდა. ბოგდანმა ხელები გაუშვა, [illegible] ბანცალით გაუბედავი ნაბიჯიც გადადგა კვიცმა, წუხელ გამოტირებულმა კვიცმა, რომლის დასამარხავადაც შევიდა ამ ადრიან დილით ბოგდანი. დიდება შენდა, ღმერთოო, თქვა გუნებაში ბოგდანმა, ეს ნამდვილად ღვთის ნაჩუქარიაო და გენადი როცა შევიდა თავლაში, მამამ კვიცის სახელიც შეაგება, ნაჩუქარა გაცოცხლდა და, აბა, ანი შენ მოუარეო.

რაც მამის ადგილი ეტლის კოფოზე ბოგდანმა დაიკავა, ნაჩუქარა ეტლში წინა ცხენი იყო, განა სხვებზე უკეთესი და ლამაზი იყო, შეიძლება სხვები სჯობდნენ კიდეც, მაგრამ ღვთის ნაჩუქარი რომ იყო და სანამ გახედნიდა, სულ სხვანაირი სითბოთი და გულმანით რომ ეფერებოდა, ამიტომ დააწინაურა, ამიტომ ამოუყენა გვერდით, — ბოგდანის აზრით, — მთელ საქრისტიანოში ულამაზეს ფაშატს სიზმრისას.

სიზმრისას ეს სახელი თვითონ დაარქვა ბოგდანმა.

სიზმრისას დედა დონაურა მაკედ იყო, მაგრამ ჯერჯერობით არ ელოდნენ, კვიცს რომ მოიგებდა. სტეპზე ჰყავდათ გაშვებული ცხენები საბალახოდ. იმ ღამეს ბოგდანს ესიზმრა, დონაურას თითქოს კვიცი მოეგოს და უპატრონოდ ეგდოს სტეპზე. ნაშუაღამეს შეშფოთებულს გამოეღვიძა, სიზმარი აჰყვა, სწრაფად გადაიცვა და სტეპისაკენ გაიჭრა. საცა ეგულებოდა ცხენები, იქ მიირბინა გულმოგლეჯილმა. დონაურას მართლაც მოეგო კვიცი, ახლადშობილი იქვე მიწაზე ეგდო. წამოწოლილ დონაურას თავი წამოემართა, სიბნელეში ნაღვლიან თვალებს აფახულებდა. კვიცს სიზმრისა დაარქვა ბოგდანმა. ისეთი კვიცი დადგა, მნახველი თვალს ველარ აშორებდა. მთელს დუნიაზე ამაზე ლამაზი ფაშატი არ მოიძევებაო, ამბობდა ბოგდანი და ეს შეიძლება მართლაც ასე იყო.

ქერა — სულერთიანად ქერა ბეწვით იყო შემოსილი.

ყორანა — შავი, სლიპინა და ელვარე ბეწვით.

ბოგდანს „ბოგდან პეტროვიჩის“ ნაცვლად მეტწილად მხოლოდ მამის სახელით მიმართავდნენ — „პეტროვიჩ“. ახალგაცნობილები მიმართავდნენ მხოლოდ სახელითა და მამის სახელით. სტანიცელები და შინაურები კი პეტრე ბეზრუჩკოს სიცოცხლეშიაც და სიკვდილის მერეც — იმდენად კარგი სახელისა იყო სიცოცლეშიაც და სიკვდილის შემდეგაც ისეთის პატივისცემით მოიხსენიებდნენ — მის ერთადერთ ვაჟს ბოგდანს ყველა პეტროვიჩს ეძახდა. ბოგდანმაც ერთ-ერთ საყვარელ კვიცს პეტრო შეარქვა, მამის პატივსაცემად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, და ეს არც არავის მიუღია უხერხულად და არც არავის გაჰკვირვებია. საერთოდ არ უჯავრდებოდა ცხენებს ბოგდანი, ამას კი, პეტროს, რაც არ უნდა დაეშავებია, ხმამაღალ სიტყვას არ ჰკადრებდა, არც უკადრებია არასოდეს, ეტლს რომ მიაქანებდა, პეტროს ლაგამი მთლად მიშვებული ჰქონდა, თუ ალსაფრთოვანებელ ბგერებს — ჰა!, ჰო!, გამგამ! — ან სიტყვებს — წინ! წინ!, ფრთები! ფრთები! — შესძახებდა გზას გაკრულ ბედაურებს, გულში გავლებული ფიქრით ეს პეტროს არ ეხებოდა, ვერ შეჰკადრებდა პეტროს ვერაფერს, იმან თვითონ იცოდა, როგორ და რანაირად მოქცეულიყო, როგორ აეწყო გუნება-განწყობილება მეგობარი ცხენებისთვის, არც არასოდეს შეუმჩნევია ბოგდანს — (ღვთის წყალობით, ცხენის ხასიათის გამოცნობა მისთვის არც ისე ძნელი იყო) — პეტროს ოდესმე, ეტლში შებმულსაც და ისე, სტეპზე გაშვებულს თუ თავლაში მყოფს, მეგობარი ცხენების — ნაჩუქარას, სიზმრისას, ქერას, ყორანასა და ტყიურას გუნება-განწყობილების საწინააღმდეგო რამ გაეკეთებინოს.

ტყიურას ამბავი კი მართლაც საოცარი იყო.

ერთ საღამოს ულრანი ტყის განაპირა სტეპზე ბოგდანი უბელო სიზმრისაზე ამხედრებული საძოვარზე გამოყვანილ ცხენებს დაუტრიალდა, შინ წამოყვანას აპირებდა, შორი-შორ ბალახს მიტანებულ ცხენებს წამოუქროლა და ის იყო გზისკენ მიდენა ერთად შექუჩებული, რომ მოულოდნელად ტყიდან თეთრი, თოვლივით თეთრი კვიცი გამოვარდა ოთხახმით გამოჭენდა და შველივით შეხტუნ-შეხტუნავებით გაიჭრა სტეპზე, ცოტა ხანში მგელიც გამოშლიგინდა ტყიდან და კვიცს გამოენთო. ბოგდანმა დაინახა თუ არა კვიცი და მგელი, მაშინვე მიხვდა, კვიცი რომ განსაცდელში იყო, არ დაუყოვნებია, მყისვე შეჰკივლა სიზმრისას, ფაფარზე ჩააფრინდა და საშინელი კივილ-კივილით მგლისკენ გააჭენა, სიზმრისამაც თითქოს განგებ, ჭიხვინი მორთო და აგრე შეეფეთნენ მგელს. მგელი შედრკა, შეჩერდა, ბოგდანის კივილი, ცხენის ჭიხვინი და ფლოქვების ცემა ელდასავით მიაწყდა, შებრუნდა და კისრისტეხით ტყისკენ გაქუსლა, ბოგდანმა მისდია, სანამ მგელი ტყეში არ გაუჩინარდა. როცა ერთად შექუჩებულ ცხენებთან შემობრუნდა, ოფლში გახვითქული თეთრი კვიცი რემასთან იდგა, ნაჩუქარა თავს წადგომოდა და გულგახეთქილ კვიცს ქედს ულოკავდა. ცხენიდან ჩამოხტა ბოგდანი, კვიცი არ დაფეთებულა, მიეფერა, მიუალერსა. კვიცი თვინიერად გაჰყვა ბოგდანის ცხენების რემას სტანიცისაკენ.

შეძრეს ბერიოზოვკას გარეშემო მდებარე სტანიცები, ვერსად მისწვდნენ კვიცის პატრონს, დიდხანს იძიეს, იკვლიეს, ვის არა ჰკითხეს, სად არ იყვნენ, არა და არა, კვიცის პატრონი არ ჩანდა. გაოცებულნი იყვნენ ბოგდანი და სტანიცელები, ამ ულრან ტყეში საიდან მოხვდა თეთრი კვიცი, ვერაფერს მიმხვდარიყვნენ, ველარაფერი მოეფიქრებინათ. ამასობაში კვიცი ბოგდანის ცხენებს მიეჩვია, მარია კი ისე ეფერებოდა, სულში იძვრენდა, ალბათ ქალის გუმანი უფრო გრძნობდა უპატრონო, ობოლი კვიცის ბედს და ჩემი საბრალო ტყიურა, ჩემი საბრალო ტყიურაო, ენამოჩლექით მიმართავდა ხოლმე კვიცს, თითქოს ესაუბრებოდა. ტყიურა, ტყიურაო, — და შერჩა კიდევაც კვიცს ეს სახელი.

სტანიცაში ახალგაზრდებმა რამდენიმე ლეგენდაც შექმნეს ტყიურას უცნაური გამოცხადების გამო. ენაკვიმატებმა რელიგიური ფრთაც შეასხეს ერთ ლეგენდას—ალბათ ანგელოზს გამოექცა ზეციდან, ულრან ტყეში ჩამოხტა და მგელს კი გადაეყარაო.

ნაჩუქარა,
სიზმრისა,
ქერა,
ყორანა,
პეტრო,
ტყიურა...

ბოგდანის სახელთან ერთად ეს სახელებიც მეზობელ სტანიცებშიც თითქმის ყველამ იცოდა. საჯინიბოს კარის ჩარჩოზე ბოგდანს ჯერ არ მიეწერა გახურებული ლურსმნის წვერით ეს სახელები. სხვა ცხენებიც იყვნენ სტანიცაში, მაგრამ ბერიოზოვკელები სოფლის მშვენებად ნაჩუქარას, სიზმრისას, ქერას, ყორანას, პეტროსა და ტყიურას თვლიდნენ, სულერთი იყო, ისინი საქორწილო ეტლში იყვნენ ჩამწკრივებულნი, სტეპზე ბალახსა სძოვდნენ თუ სტანიცის ორლობეში ნებიერად მიაქნევდნენ თავიანთ გავებს.

პირველ მსოფლიო ომში ამიტომ უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა გენადი, სხვა ბავშვებთან შედარებით, მას ისე მძიმედ არ დასწოლია მხრებზე ომის მძიმე დღეები. ბევრი სტანიცელი ომში იყო, ბოგდანი კი, გენადის მამა, დაკოჭლდა იმის შემდეგ, რაც უკარებამ ზურგიდან მოისროლა და ძინაზე დახეთქებულს მუხლის კვირისტავი დაემსხვრა, ფეხი დაუშავდა. ამის გამო, რალა თქმა უნდა, ჯარში აღარ გაიწვიეს.

ომი გრძელდებოდა, სიკვდილის ცნობაც ბევრისა მოვიდა, ხეიბარიც ბევრი დაბრუნდა, ცრემლებიც აგორდა ქალების თვალებში, მაგრამ ცხოვრებაც თავისი გზით მიემართებოდა, სტანიცის ახალგაზრდებს წლები ემატებოდათ, ქალ-ვაჟები მწიფდებოდნენ, მომწიფებულ ქალ-ვაჟებს კი ერთმანეთისკენ ლტოლვა არ შენელებიათ. ვერაფერი შეანელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ლტოლვას, ვერც ომი, ვერც ცრემლი, ვერც ღრუბელი, ვერც სოფლის ჭირ-ვარამი. გარმონისტმა უნდა გაწელოს თავისი გარმონი, გოგო-ბიჭებმა, ორღობეში გარმონის დაჰკვრელის გარშემო თავმოყრილებმა, ერთმანეთი უნდა შეარჩიონ, ჩაჰკიდონ ერთმანეთს ხელი, გაიტაცონ, გაინავარდონ, მეგარმონეს მოჯადოებულ წრესაც გაექცნენ ხანდახან, უკიდეგანო სტეპებზე გაიჭრნენ ღამით, მთვარიანში, უმთვარო ღამეშიც, ვარსკვლავიანი ცის ქვეშაც და უვარსკვლავო ცის ქვეშაც, უნდა ილაღონ, იქროლონ, წაჰკიდონ ერთმანეთს ასაკის მიერ მონიჭებული მადლი ცეცხლისა და, აბა, რა მათი საქმეა, სადღაც რომ ომია, სადღაც რომ ადამიანები კვდებიან, სახიჩრდებიან, ბღავიან, კვნესიან, კივიან, ძაგძაგებენ, ერთმანეთს ყელში რომ წანვდომიან და აღრჩობენ ერთმანეთს.

და დაჰქროდა ბოგდანის ეტლიც აღმა-დაღმა, მიჰყავდა და მოჰყავდა ნეფე-დედოფლები, მიაქროლებდა და მოაქროლებდა სტეპდასტეპ, ტყედატყე, სოფელ-სოფელ საქორწილო სიმღერებსა და შეძახილებს, ჟღარუნობდა და ჟღარუნობდა ნაჩუქარას, სიზმრისას, ქერას, ყორანას, პეტროსა და ტყიურას ყელზე შებმული ეჟვნები, პაწაწკინტელა ზანზალაკები.

ერთხელ კი დროგშიაც შეაბა ბოგდანმა თავისი ბედაურები. ის ის იყო, ომი დამთავრდა, მოულოდნელად მარიას რაღაც სენი შეეყარა, ლოგინად ჩავარდა, ცნობილი ექიმბაშები თავს დაასია ბოგდანმა ერთგულ მეუღლეს, მაგრამ ველარაფერი უშველა და მარია გარდაიცვალა. დროგი ნოხებითა და შავი ფარდაგებით შემოსა, ნაჩუქარას, სიზმრისას, ქერას, ყორანას, პეტროსა და ტყიურას ეჟვნები ჩამოხსნა, მათაც შავი ფარდაგები გადააფარა ზურგზე და დროგში შეაბა. მარიას კუბო სამგლოვიაროთ მორთულ დროგზე დაასვენეს. ნიავი ოდნავ არხევდა მარიას ქათქათა ჭაღარა თმასა და ტანზე წაფარებულ თეთრ აბრეშუმის სუდარას. ბოგდანი და მისი ერადერთი ვაჟი გენადი წინა ცხენებს ნაჩუქარასა და სიზმრისას ამოუდგნენ იქით-აქეთ გვერდით, ლაგამზე ხელი ნაატანეს და ხელი ნაბიჯით სასაფლაოსაკენ გზას გაუყენეს მარიას ცხედარი.

არცერთ მიცვალებულს ასეთი პატივი არ ღირსებია არც ბერიოზოვკაში და არც მის მომიჯნავე სტანიცებში.

ერთ წელიწადს ეტლი არ გაუმართავს ბოგდანს, ერთი წელიწადი არ აჟღარუნებულა მისი ბედაურების ყელზე ეჟვნები. იმ წელიწადს არც არავინ დაქორწინებულა ბერიოზოვკაში, მეზობელი სტანიცებიდან მოსულ ძთხოვნელებს კი უარით ისტუმრებდა ბოგდანი.

წლისთავზე კი პირველი ქორწილი ბოგდანმა თავის ოჯახში გამართა — გენადი დააქორწინა, ის მშვენიერი თაისია [illegible] თექვსმეტი წლისა გამხდარიყო, შეუმჩნევლად შეპპარვოდა სიმწიფის ფეროვანება, უკვე შესამჩნევად გამოჰკვეთოდა წელგამოყვანილ კაბაში თეძოები და ძუძუები. ორი წელი ხარბად აკვირდებოდა გენადი თაისიას დაქალებას, მარიამ ადრევე შეამჩნია ეს და ხშირხშირად თავისთან უხმობდა ხოლმე ატკარცალებულ გოგონას. არავის დახმარებას არ საჭიროებდა მარია, არც არასოდეს შეუწუხებია ვინმე, მაგრამ თაისიას განგებ მოიხმობდა, მოიმიზეზებდა რაღაცას და მოიხმობდა, ამჩნევდა, რომ გენადი ვერაფერს უბედავდა ტანშეღერებულ გოგონას, გენადის ეამება, აქ ახლოს რომ მეყოლებაო, იქნება უფრო შეეჩვიოს, უფრო გაუთამამდეს, გულისნადები გაუმხილოსო. ხანაც შინ შეიპატიჟებდა გოგონას, ახლად გამომცხვარ კარტოფილის ცხელ-ცხელ ღვეზელებს — (ამის უბადლო ოსტატი იყო მარია) — შესთავაზებდა, გენადი კი მაშინ ან თავლაში შეყოფდა თავს ან სადღაც გაქრებოდა.

თაისია ისე შეეჩვია მარიას, ხანდახან, ხანი რომ გამოხდებოდა და არ დაუძახებდა, თაისია თვითონ მიირბენდა, ხომ არ გჭირდებიო. მჭირდები და მერე როგორ, სულზე მომისწარი, ისე მომენატრეო, მიეხალისებოდა მარია გოგონას.

თაისიას დარდი საფლავში თან ჩაიტანა მარიამ, სიკვდილის წინ ამოინიავა კიდეც გული, თაისიაო და სული ისე დალია.

ბოგდანს კარგად დაამახსოვრდა მარიას უკანასკნელი ნაჩურჩულარი. არც „ბოგდანიო“, არც „გენადიო“, არც „ტყიურაო“, არც „რა გეშველებათო“. არავითარი ამდაგვარი რამ, მისი მთრთოლვარე ბაგეებიდან ნიავივით მხოლოდ ერთი სიტყვა დაირხა „თაისია“. მიხვდა მაშინვე მეუღლის თავთით მდგარი ბოგდანი, რას ნიშნავდა ეს. ამიტომაც კარგად დაამახსოვრდა.

მარიას გარდაცვალების წლისთავზე ბოგდანმა უკვე ოცდაერთი წლის გენადის განუცხადა, დედაშენის ხსოვნას ისე ვერაფერი დაამშვენებს, როგორც შენი და თაისიას ქორწილი, წინააღმდეგი თუ არა ხარ, მის მშობლებს ვეახლები და გოგოს სარძლოდ გამოვთხოვო. გენადიმ დაირცხვინა მამის წინაშე და „ჰო“ არ უთქვამს, მაგრამ არც „არა“ უკადრებია, ვერც შეამჩნევდი, გულგახარებულმა რომ ამოღერღა „თქვენი ნებააო“. შვილს კარგად მიუხვდა ბოგდანი და მეორე დღესვე ეახლა თაისიას მშობლებს.

ისევ შეესხა ფრთები ნაჩუქარას, სიზმრისას, ქერას, ყორანას, პეტროსა და ტყიურას. ბოგდანმა გენადი ახლოს არ გააკარა ეტლსა და ცხენებს, თავისი ხელით კვლავ შეაბა ეჟვნები, წესითა და რიგით გამართა ეტლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც კოფოზე დასვა სხვა ვინმე, საზეიმო ტანსაცმელში გამოეწყო და ამაყად შეხტა კოფოზე, ოსტატურად მოირგო ალვირები თითებშუა.

გაოცებულნი შესცქეროდნენ სტანიცელები, ასეთი ბოგდანი არასოდეს ენახათ — ასე კოხტად ალბათ არასოდეს სჭერია ხელთ ალვირები, წელში მაღლა აზნექილი მარჯვენა ვი ღიმილი შეეყინვოდა მის ჩვეულებრივ იერაძლევდა მის მოგრძო სახეს, ახლა წარბი ისევ მაღლა აზნექილი ჰქონდა, მაგრამ კუშტი და მსუსხავი იერი გაქრობოდა, ცისფერ თვალებიდან გამომკრთალი ოდნავ შესამჩნევი ღიმილი შეეფონვოდა მის ჩვეულებრივ იერსახეს. ასეთი მომხიბლავი შესახედავი ახალგაზრდობის დროსაც არ ყოფილა ბოგდანი.

ქალებმა ღიმილიანი ქილიკი გააპარეს ერთმანეთში, ნეტავი იმ ცხონებულ მარიას დაენახა ახლა ეგ უბედური, ეგაო.

და მარიას სიკვდილის ერთი წლის თავზე პირველად აჟღარუნდა ბოგდანის ეტლის ეჟვნები, მუხლებში ერთი წლის ქარჩამდგარმა ცხენებმა კვლავ შეწყობილად დასცეს სტანიცის შარას და მერე სტეპზე გაჭრილ გზას ფლოქვები და ზიმზიმებდა მზეზე საქორწილოდ მორთული ეტლი.

პატარძალი ჯერ მარიას საფლავთან მიაბრძანა ბოგდანმა. სასაფლაოს რომ მიუხლოვდა, ეტლი შეაჩერა, ალვირები კოფოს შეაბა, თვითონ ქვე ჩამოხდა, ნაჩუქარას ლაგამზე ხელი ჩაავლო და ნელი ნაბიჯებით წაიყვანა ცხენები.

ზედ საფლავთან მიაყენა ეტლი.

თაისია და გენადი საფლავის ჯვართან დადგნენ.

არ მოსწრებია სტანიცას, არც სხვა სტანიცებს მოსწრებია ისეთი ქორწილი, როგორც ბოგდანმა გადაუხადა თაისიასა და გენადის.

იმ წელს მარიას საყვარელ ცხენს, ტყიურას, ცისფერი კვიცი შეეძინა და ბოგდანმა კვიცს თაისია დაარქვა. თვითონ თაისიამ გახედნა კვიცი, მერე იგი მხოლოდ მისი იყო, პირადად თაისიასი, საცა წასვლა დასჭირდებოდ, თაისია მოექცეოდა ზურგზე და მიაჭენებდა. ბოგდანს ეგ ცხენი ეტლში არ გაუბამს, არც სხვა რამე საქმე დაუკისრებია ოჯახში მისთვის, იგი მხოლოდ თაისიას ემსახურებოდა.

რაკი კვლავ ქალის სუნთქვა გაისმა ოჯახში, — თაისია მეტად მარჯვე დიასახლისი გამოდგა, — ბოგდანის კარ-მიდამო ისევ აფუსფუსდა, აფორიაქდა, დავაჟკაცებული გენადიც ღირსეულად ამოუდგა გვერდით მარად გამრჯე და მოუსვენარ მამას.

მალე ბიჭიც გაჩნდა ოჯახში დაა ახლი აკვანიც დაირწა.

ამასობაში რევოლუციაც მოხდა და მერე რევოლუციას სამოქალაქო ომიც მოჰყვა. რევოლუციას ისე არ შეუწრიალებია [illegible]კა, როგორც სამოქალაქო ომმა [illegible]. ბერიოზოვკა საკმაოდ განზე იდგა დონისპირეთის სტანიცებიდნ, რაიონულ ცენტრს კარგა მანძილით იყო მოშორებული, განაპირა ერთი მხრით ტყით მოზღუდულ ბორცვზე იყო შეყუჟული ოციოდე ხატა და მთელი სტანიცაც ეგ იყო. ცენტრიდან ძალიან იშვიათად მოაკითხავდა ხოლმე ვინმე და იყვნენ ასე ბერიოზოვკელები, თვითონ თუ ჩაალწევდნენ ცენტრში მეტწილად ნავთისა და მარილისათვის, თორემ აქეთ არავინ მოედინებოდა. ახალი ამბებიც ძალიან იშვიათად აღწევდა ბერიოზოვკამდე და არც თვითონ იმტვრევდნენ თავს ქვეყნის ამბების გასაგებად.

აგრე ჩაიარა ბერიოზოვკასთან რევოლუციამაც და სამოქალაქო ომის ქარმაც თითქმის აგრე ჩაიქროლა, მაგრამ ამ ქარმა უფრო საგრძნობლად გაჰკრა ფრთები განაპირებულ სტანიცას. რამდენჯერმე წითლების ნაწილებმაც გაიარეს გზად და რამდენჯერმე — თეთრებმაც. სტანიცაში არ შეჩერებულან, არც შეუსვენებიათ, ჩაიარეს და წავიდნენ. სტანიცელები მაინც დაფეთდნენ, რალაც-რალაცეები მიმალ-მომალეს, თადარიგს შეუდგნენ, ვაითუ გაგვტაცონ სარჩო-საბადებელიო.

ბოგდანმა დროზე აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას. ომი ომია, ომს ცხენები და ახალგაზრდები სჭირდება, ბევრი ილუპება და შეთხელებულ ჯარს შევსება უნდა. ერთიც ვნახოთ, ან წითელი ან თეთრი მეთაური მოადგეს, გენადი და ცხენები მოსთხოვოს. გენადი და ცხენები რომ წაართვან, თავი ცოცხალი რალად უნდა, ომის დამთავრებამდეც რომ შეირჩინოს სული, ცხენებს ვინლა დაუბრუნებს, ან გენადის რა მოუვა, ვინ რა იცის.

ერთ ღამეს ბოგდანმა და გენადიმ ნაჩუქარა, სიზმრისა, ქერა, ყორანა, პეტრო, ტყიურა და სულ ახლახან გახედნილი თაისია ჩუმად, შეუმჩნევლად გააპარეს სტანიციდან. ნაჩუქარაზე ამხედრებულმა გენადიმ დონში შეცურა და ალვირებით ქერა და სიზმრისა წაიზიდა, ბოგდანი ყორანას მოაჯდა და აგრეთვე ალვირებით პეტრო, ტყიურა და თაისია წაიყოლია. შუა დონში შეცურეს და დონის დინებას მიენდვნენ.

გათენებისას დონის მარჯვენა ნაპირთან მიცურდნენ და ულრანი ტყით დაფარულ გორაკს შეჰყვნენ. დონის ორივე მხარეს ალმართულ ტყიან გორაკებზე კაცის ჭაჭანება არ იყო. ეს ადგილები კარგად იცოდა ბოგდანმა, ალმა-დალმა ფეხით ჰქონდა დავლილი ეს გორაკები, ადამიანისშვილი არ ბოგინობდა ახლომახლო.

ტყე მაღლა ასდევდა გორებს, ზემოთ კი ალპიური ფერდობები იწყებოდა, კაცის თვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი რომ ვერ მიწვდება, ისეთი ფერდობები.

აქ გადახიზნა ბოგდანმა გენადი და ცხენები, ცხენებს მშვენიერი საძოვრები ჰქონდათ, გენადი კი ერთ პატარა კლდოვან გამოქვაბულში დააბინავა და დროდადრო აჰქონდა მისთვის საჭმელ-სასმელი.

სტანიცელებს ხმა არ ამოუღიათ, გუმანით კი მიხვდნენ, რომ ბოგდანმა სადღაც მიმალ-მომალა შვილი და ცხენები, მაგრამ არავის არსად წამოცდენია ეს იმის შიშით, თეთრების ყურამდე არ მისულიყო, უყვარდათ ბოგდანი, იმდენი კარგი რამ ახსოვდათ იმისგან, ვერ გაიმეტებდნენ, ისე გამოდიოდა, თითქოს ბოგდანის ცხენები საერთო საკუთრება იყო, ყველასი იყო, ყველა სტანიცელი თითქოს თავისად თვლიდა კაცმა რომ თქვას, ასეც იყო, აბა, რა, ყველა მათგანის საჭიროებისათვის მიაქროლ-მოაქროლებდა თავის ეტლს ბოგდანი, უამეტლოდ, უამცხენებოდ, უბოგდანოდ ბევრი რამ მიაკლდებოდათ, გაუჭირდებოდათ ქვეყნის განაპირა მიგდებულ სტანიცაში.

ამიტომაც სდუმდნენ, არაფერს ამბობდნენ, არც ჩურჩულით, არც შინაურულად, არც შურით და მტრობით, არც ქილიკითა და ყბადაგდებულად. არაფერს არ ამბობდნენ, გუმანით გრძნობდნენ მხოლოდ, ფიქრობდნენ არც ბოგდანს ეკითხებოდა ვინმე, გენადი სად არისო, ცხენების ამბავს ხომ ვერავინ შეაკადრებდა.

ვერაფერი გაეგო ბოგდანს, რა ხდებოდა ქვეყანაზე — სტანიცასთან ხან წითლები ჩაიქროლებდნენ, ხან — თეთრები. როდის ვისი ხელისუფლება იყო, სტანიცაში არავინ იცოდა. სტანიციდან შორს არავინ გადიოდა, არც შორიდან შემოდიოდა ვინმე, რომ ქვეყნის ამბავი შემოეტანა. უცდიდა ბოგდანი, როგორც კი დადგინდებოდა ქვეყანაზე ერთ-ერთის ხელისუფლება, მერე გამოიყვანდა გენადისა და ცხენებს.

ბოლოსდაბოლოს ესეც გამოირკვა და როგორც კი წითლებმა მყარად მოიკიდეს ფეხი დონის ნაპირებზე, ბოგდანმა გახიზნული შვილი და ცხენებიც სტანიცაში ჩამოალალა.

შეუდგა ისევ ბოგდანი თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას.

ამასობაში სიბერეც მოეძალა და ეტლის კოფოზე თავისი ადგილი გენადის დაუთმო.

ახალი ცხოვრების ტალღები საგრძნობლად შემოიჭრა სტანიცაში, სტანიცელები ნელნელა ამასაც ეგუებოდნენ. გენადის ეტლი კი კვლავ დააქროლებდა ახალ და ახალ ნეფე-დედოფლებს, კვლავ ჟღარუნობდნენ ნაჩუქარას, სიზმრისას, ქერას, ყორანას, პეტროსა და ტყიურას ეჟვნები. თაისია მარიას საქმეებს აგრძელებდა ოჯახში, შვილსაც ბეზრუჩკოთა წეს-ჩვეულებით ზრდიდა და მტერ-მოყვარესაც ისე ხვდებოდა, როგორც ძველთაგანვე მიღებული იყო ამ ოჯახში.

გენადიზე კი სტანიცაში ხმა დაირხა, პაპამისზე და მამამისზე უფრო დაშვენდა ეტლის კოფოს, ალვირებსაც ისე ოსტატურად არხევს, როგორც რომელიმე დიდი ბალალაიკის სიმებს, ამიტომაც უფრო ზეიმურად და ანყობილად ჟღერენ ნაჩუქარას, სიზმრისას, ქერას, ყორანას, პეტროსა და ტყიურას ეჟვნებიო.

და უცებ, მოულოდნელად კვლავ შეწყდა ამ ეჟვნების ჟღარუნი.

ერთ დღეს მეგობრის შვილმა ნიკანორ გრეჩკომ, რომელიც ახლა სტანიცის თავკაცი იყო და რომელსაც ერთხელ სიყმაწვილეში უარი უთხრა მეზობელი სტანიციდან გოგოს გამოტაცებაზე, ბოგდანს განუცხადა, კოლექტივში უნდა შემოხვიდეთ და შენი ცხენებიც უნდა შემოიყვანოო. გენადის, რა თქმა უნდა, არ გაჰკვირვებია ეს, კარგად მიხვდა ახალი ცხოვრების მოთხოვნებსა და დღე-დღეზე ელოდა, როდის განუცხადებდა ამას ნიკანორი, ბოგდანმა კი ამჯერად წარბი მრისხანედ აქაჩა. ჩემ ცხენებს გუთანში შებმას ხომ არ უპირებთო, მაშინვე ჰკითხა ნიკანორს. რაშიაც დაგვჭირდება, იმაში შევაბამთო, უპასუხა ნიკანორმა და ამ პასუხმა გააცეცხლა სიბერე მოძალებული ბოგდანი, მიახალა ნიკანორს, შე ულმერთო, დროგში და გუთანში შესაბმელია ნაჩუქარა, სიზმრისა, ქერა, ყორანა, პეტრო და ტყიურაო? ეს კი ალარ უთხრა, წყენად დაგრჩა გულში, გოგო რომ არ გამოგატაცებინე, ყაჩაღურ საქმეში რომ არ აგყევიო, არ იკადრა ეს, ალარ უთხრა, გულში კი გაიფიქრა, სამაგიეროს მიხდისო.

ერთი წელი ებრძოდა ნიკანორი ბოგდანსა და გენადის. გენადი, რა თქმა უნდა, მამის მხარეზე იყო, ნიკანორის ტოლა კი იყო, ერთად გაიზარდნენ, მაგრამ გენადი ცხენებთან ერთად გახიზნული რომ იმალებოდა, მაშინ ნიკანორი წითლების ჯარში შევიდა, ხმალი და მაუზერი თან ჩამოიტანა შინ ჩამობრუნებულმა, ხმალი კედელზე ჩამოკიდა, მაგრამ მაუზერი და წითელვარსკვლავიანი ბუდიონოვკა არ მოუშორებია. ნიკანორმა ვერაფერი ვერ გააგებინა გენადის, დაემუქრა კიდეც, მაგრამ მაინც არაფერი გაუვიდა. ის კი არა და, ერთხელ თაისიამ მიაძახა მაუზერჩამოკიდებულ ნიკანორს, შენმა თავის გახეთქამ, შე ვირის ზურგზე დაბადებულო, ჩემს ცისფერ თაისიას მოგართმევ ახლა შენი ჩასვრილი უკანალის დასადებადო.

ამან კი მართლა გააცეცხლა ნიკანორი, იმავე დღეს ბოგდან ბეზრუჩკო და მთელი მისი ოჯახი შავ სიაში შეიტანა.

ბოგდანი ლოგინად ჩავარდა და ერთ დღეს შვილს განუცხადა, წავიდეთ სადმე, აქ ალარ

დაგვედგომება, ეგ ძაღლის გაგდებული თავისას არ დაიშლის, წავიდეთ, ქვეყანა ვრცელია, ურალი გადავლახოთ, თუნდაც ციმბირს მივაღწიოთ, ნარუქარა, სიზმრისა, ქერა, ყორანა, პეტრო და ტყიურა იმდენს კი შესძლებენ, სადმე მიგვიყვანონ, მე ველარც მივაღწევ იქამდე, მაგრამ ამას მაინც შევხედო ჩემი თვალით, შენ, თაისია და ეგ ცხენები აქაურობას რომ გაეცალეთო.

ჭკუაში დაუჯდა გენადის მამის რჩევა. ნიკანორი ჯიუტი კაცი იყო, შავ სიას აღარ მოაშორებდა, გენადი ცხენებს ცოცხალი თავით ვერ შეელეოდა, ნიკანორმა ეს ახალი ცხოვრება თავისი სისხლით მოიპოვა, ახლა ახალ წეს-ჩვეულებას ამყარებდა სტანიცაში და არასგზით უკან არ დაიხევდა. ეს კარგად გაეგებოდა გენადის.

და ერთ საღამოს აიკრეს გუდა-ნაბადი და შეუმჩნევლად, ჩუმად სტანიციდან გაეიდნენ. ცხენებს ეჟვნები ჩამოხსნეს, ეტლში სურსათ-სანოვაგის მარაგი გვარიანად ჩაატიეს, უკან საბარგულივით რაღაც სახელდახელოდ გაუკეთეს ეტლს დ ზედ ქვეშაგები, ჯამ-ჭურჭელი და აუცილებელი რამე-რუმეები მოათავსეს, გენადიმ და თაისიამ ავადმყოფი ბოგდანი ეტლში ჩასვეს, სახლისა და თავლის კარფანჯრები ლურსმნებით ჩაჭედეს — (ვინ იცის, ეგებ დრო შებრუნდეს და კვლავ შეძლონ შინ მობრუნება) — თაისიამ თავისი ცხენი ეტლს უკან გამოაბა, ბავშვიანად ბოგდანის გვერდით მოკალათდა და კოფოზე მჯდარმა გენადიმ ეტლი უხმაუროდ დასძრა. თითქოს ცხენებიც მიუხვდნენო, სტანიციდან გასვლისას ერთხელაც არ დაუფრუტუნებია რომელიმეს.

კაციშვილს არ გაუგია სტანიციდან მათი გაპარვა.

გათენებისას რომელიღაც ტყეს მიაღწიეს. გენადიმ ეტლი შეაჩერა, მთელ ღამეს დაოსებული ცხენები ეტლიდან გამოხსნა, ტყის გასწვრივ მწვანედ აბალახებულ მინდორზე მიუშვა. თაისია საუზმის თადარიგს შეუდგა. ტყეში ფიჩხები მიიძ-მოიძია გენადიმ, ცეცხლი გააჩაღა, თაისიამ ქვაბურა მიუდგა ცეცხლს.

ბოგდანი როგორც ჩააჯინეს ეტლში, ისევე იჯდა, ახლა უკვე უძრავად იჯდა და აღარც სუნთქავდა. ძილში გაპარულიყო. ვინ იცის როდის. ჯერ კიდევ სტანიცის ორღობეში თუ მერე, სადმე გზაში. თაისიას გააჟრჟოლა, მამამთილის გვერდით იჯდა, ისე როგორ ამოძვრა სული, ვერაფერი გაიგო, ერთხელ მაინც არ შეირხა, სუნთქვაშეკრულს ოხვრა მაინც ამოხდომოდა.

ის იყო, მზეც ამოიწვერა, ორივე ცოლ-ქმარი ეტლში ამ სურათს რომ წააწყდნენ, თვალები დახუჭული ჰქონდა ბოგდანს, მოგრძო სახეზე იქით-აქეთ სიბერის ორი ნაოჭი აჩნდა, ამომავალი მზის შუქი მი[illegible] ხეზე და ცოცხალს თუ მძინარეს [illegible] ნექილი წარბი ამსგავსებდა მხოლოდ — ასე აქაჩავდა ხოლმე წარბს, როცა რაიმე ძალიან გაუკვირდებოდა ანდა როცა ზომაზე მეტად განიწმატდებოდა. ამომავალი მზის შუქი რომ გადაევლო სახეზე, სწორედ ამგვარი იერი ჰქონდა და ამიტომ გეგონებოდა თითქოს ცოცხალია, თითქოს ძინავსო.

ტყის კიდეზე, ტყიდან ოდნავ წინ გამოწეული ერთი არყის ხის ძირთან გაჭრეს საშარე გენადიმ და თაისიამ, იქ დამარხეს ბოგდანი. არყის ხე ნაჯახით ჩამოთალა გენადიმ და გახურებული ლურსმნის წვერით ამოტვიფრა „ბოგდან ბეზრუჩკო“.

ძნელ გზას რომ დაადგა მშობლიური სახლკარის მიტოვების შემდეგ, ეს კარგად იცოდა გენადიმ, იცოდა, რომ ბოგდანის წუთისოფელი მიწურვილიყო, ისიც იცოდა, რა ჭირ-ვარამს შეეყრებოდა ამ საალალბედო გზაზე, მაგრამ მამა, ცხოვრებით გამოჯეგილი ბოგდან ბეზრუჩკო, თუნდაც მოხუცი და დასნეულებული, გვერდით რომ ეგულვებოდა, ეტლში რომ ეჯდა, უფრო გაბედულად მიჰყვებოდა ბურუსით მოცულ გზას.

ჩაჩოქილმა არყის ხეს „ბოგდან ბეზრუჩკო“ რომ მიაწერა, ბოლო ასო ამოტვიფრა თუ არა, ლურსმანი ხელიდან გაუვარდა და ისე ზანტად წამოდგა, წელი ძლივს წამოიზიდა, თითქოს რაღაც უსაშველო ტვირთი ჰქონდა ბეჭებზე წამოკიდებული. გული რაღაცამ მტკივნეულად გაუსერა, „აწი რაღა ვქნაო“, კინაღამ წამოიძახა, მაგრამ ზედ შეჩერებულ ცოლისა და შვილის მოერიდა, გულშივე ჩაიბრუნა ეს ფიქრი.

ცხენებს რომ აბამდა ეტლში, ერთი გაფიქრება ისიც გაიფიქრა, ჯანდაბას, რაც მომივა, მომივიდეს, ისევ შინ მივბრუნდებიო, მაგრამ ეს რომ გაიფიქრა, მაშინვე ხეზე შავად ამოტვიფრულ მამის სახელსა და გვარს მოჰკრა თვალი, მამის არჩევანი ველარ შეცვალა, ცხენები წინ დასძრა და თვითონ ფეხით მიჰყვა.

გზას გაჰყვა და სად მიდიოდა არ იცოდა, ამდენხანს ამაზე არც უფიქრია. გზა ტყის გასწვრივ იყო გაჭიმული. ამ გზის ასავალ-დასავალი თავისი ხუთი თითივით იცოდა ბოგდანმა, ამაში გენადის ეჭვი არასოდეს შეჰპარვია. ამიტომაც აქამდე არც უფიქრია გენადის, სად მიიყვანდათ ეს გზა. მამამ რომ უთხრა, ურალამდე მივაღწიოთო, გენადის ეგონა, ახლობელი, ნათესავი ან მეგობარი ჰყავდა იქ და იმათკენ მიეშურებოდა, მაგრამ ახლა, როცა ბოგდანი აღარ იყო, გენადი დაიბნა, ურალამდე რომ მიაღწიოს, ვისთან მივიდეს, ვის მიადგეს ცოლ-შვილით?!

სამი თვე იარა ურალამდე. ბედად გზაზე თავისივე ბედში მყოფ ლტოლვილ კაზაკს ნა-

მოეწია, ისიც ცოლ-შვილით აბარგებულიყო, ორთვალაზე რაც დატეოდა, ის წამოელო და ოთხი ცხენით მიეშურებოდა გაურკვეველი მიმართულებით. სწრაფად გაუგეს ერთმანეთს, ღამით ნავახშმევს გვარიანად არაყგადაკრულებმა უფრო გაბედულად გადაწყვიტეს, როგორმე ურალამდე მიეღწიათ.

სამი თვე იარეს.

თაისია რომ არა, გენადი ალბათ ვერ გადაიტანდა იმ ორომტრიალს, რაც ამ გზაზე თავს გადახდა. ამ გზაზე მიხვდა, რომ თაისია ქალი კი არა, ალქაჯი ყოფილა. არა, ალქაჯი კი არა, უსათნოესი, უსაყვარლესი, სული და გული გენადისა, უიმისოდ უსათუოდ გატყდებოდა, დაეცემოდა გენადი, ვერ გაუძლებდა უცხო გზებზე უგზო-უკვლოდ ხეტიალს. მარტო ცხენების საცოდაობას ვერ გაუძლებდა გენადი.

ნაჩუქარა, სიზმრისა, ქერა, ყორანა, პეტრო, ტყიურა და თაისია აღარ ჰგავდნენ იმ ცხენებს, მშობლიური სტანიცის გზებზე რომ დაჰქროდნენ, — თითქოს ფრთები შეეკვეცათ, დაიმშნენ, დაუძლურდნენ, დაიქანცნენ, თავჩაქინდრულნი მიუყვებოდნენ გზას, გენადის გული ეწვოდა, ეტლში შებმულნი ისინი თავჩაქინდრულნი არასოდეს უნახავს, ეტლში შებმულნი კიარადა, ფეხზე მდგომთ ან თავლაში ან საძოვარზე როცა წასთვლემდათ, მაშინაც კი არ ჩაქინდრავდნენ თავს.

წყვილ-წყვილად აბამდა ეტლში, დანარჩენები მარაქაფად მიჰყავდა.

ველარ გაუძლეს ცხენებმა ძნელ გზას.

ერთ დილას ნაჩუქარა და სიზმრისა მინდორზე მკვდრები ნახა გენადიმ, ეყარნენ მინდორზე უძრავად, თავები მიწაზე დაეგდოთ და ცალი თვალი ცისკენ მიეშტერებინათ.

საფლავი გათხარეს და მიწა მიაყარეს თაისიამ და გენადიმ ნაჩუქარასა და სიზმრისას.

მთელი დღე რეტდასხმული მიჰყვებოდა გზას გენადი. თაისია ცდილობდა კაცის გულიდან ჯავრი გადაეყარა, გამოელაპარაკებოდა ხოლმე, მაგრამ გენადის მისი არაფერი გაეგებოდა.

იმ ღამით ნავახშმევს ტრიალ მინდორზე ცოლ-შვილიდან მოშორებით გულაღმა წამოწვა გენადი და ვარსკვლავიან ცას მიაჩერდა. ბიჭმა ჩაიძინა თუ არა, თაისია გვერდით მიუწვა ქმარს, ხმა არ ამოუღია, გენადი რომ ვერავითარ ჯადოსნურ სიტყვასაც კი ვერ გაიგებდა ახლა, მიხვდა ამას გულთამხილავი თაისია, არადა კაცს გული გასიებული ჰქონდა. ამ დღეში ჩავარდნილს გასიებული ექნებოდა გული, აბა, რა ექნებოდა! თბილი თითებით ნელა შეაპარა ფერება თაისიამ, ფერების ჯადოქარი იყო თაისია, ყველაფერი ბუნებრივად გამოუდიოდა, გულითა და სულით ეფერებოდა ქმარს და იმიტომ გამოუდიოდა ბუნებრივად, გადამდები მოფერება იცოდა, ქოჩრიდან ისე ჩამოაცოცებდა თითებს, მკერდზე რომ შეახებდა, გენადის უკვე ჟრუანტელი ჰქონდა მოდებული მთელ სხეულზე. იმ ღამესაც ასე მოიქცა და, ნარძოიდგინეთ, გაოგნებული და გაქვავებული გენადი სიყვარულით გაალღვო და გააფიცხა, გენადიმ ვერც კი შეამჩნია, როგორ მოწყვიტა თვალები მაღალ ცაზე გაყრილ ვარსკვლავებს, როგორ გამოეთიშა გულ-ღვიძლზე შემოწოლილ ბოღმასა და ნაღველს. ალიონზე თაისიას გაღეღილ მკერდზე თავმიდებულს გამოეღვიძა.

ბოლოს ორი ცხენიღა შემორჩა — პეტრო და თაისია.

ქერა ერთ ღამეს მინდორზე მგლებს დაეფლითათ, ყორანა ისე დავარდა, წამოწვა და ველარ წამოაყენა, ზახლობელი სოფლიდან ერთი გლეხი გამოიხმო გენადიმ, ა, ძმაო, ეს ცხენი აქ იყოს, თუ მოსულიერდა, შენ დაგრჩეს, ღმერთმა მოგახმაროს, ტყიურა ერთ დილით უგზო-უკვლოდ გაქრა, ტყის პირს გადაილამეს, დილით პეტრო და თაისია მინდორზე ბალახობდნენ, ტყიურა არსად სჩანდა, ახლომახლო გარემო შემოიარეს გენადიმ და თაისიამ, ტყიურას ნაკვალევს ვერსად მიაგნეს, ისევე, როგორც მოულოდნელად ტყიდან მოევლინათ კვიცობაში, ასევე მოულოდნელად გაქრა ულრან ტყეში ტყიურა.

პეტრო და თაისია შემორჩათ უკვე დანჯღრეულ ეტლში შებმული, გენადის და თაისიას.

ასე მიაღწიეს სამი თვის შემდეგ ურალში ტყიანი მთების ერთ პატარა სოფელს, სადაც კეთილი ტყისმჭრელები შეხვდნენ, ჯერ ფარღალალა კარვებში დააბინავეს გაწამებული ლტოლვილები, მერე ტყეშიც სამუშაო გამოუნახეს და ნელნელა გენადიმ და თაისიამ ფეხი მოიკიდეს ურალის უცხო სოფელში.

თაისია რომ არა, ასე ღვთისნაბარა დარჩენილი გენადი უცხო მიწაზე ფეხს ვერ მოიკიდებდა, ოჯახს ვერ გამართავდა, ძელურ სახლს ვერ ააშენებდა, მტერ-მოყვარეს ურალის მიყრუებულ ტყიან სოფელში ვერ გაიჩენდა.

იქიდან წამოვიდა გენადი ომში, იქ ელოდება ახლა ჯადოქარი თაისია.

## ალიონა

გენადიმ გული იჯერა მოულოდნელად შეხვედრილ მეზობელ თანასოფლელთან საუბრით, მწარე მოგონებებმა ოდნავ დაამძიმა მათი საუბარი, მაგრამ რაკი ყრმობა და ახალგაზრდობა გაიხსენა, რაკი მშობლიური სტანიცა ბერიოზოვკა გაიხსენა, რაკი ისევ ისე დგას თავის ადგილას, დონისპირეთის ყველაზე უფრო მომხიბლავ ადგილას, შემაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებულ ბორცვზე ბერიოზოვკა, გულზე საამო სალბუნი მოედო.

მე და არჩილი ამას კარგად ვგრძნობდით და ამიტომ ხელი არ შევუშალეთ, გულისყურით მოვუსმინეთ მათ საუბარს. როცა გული იჯერა და თვითონ გაახსენდა ჩვენი თავი, მერე გამოემშვიდობა თანასოფლელ კაზაკს.

შევუდექით მაიორ კლიმოვის ბრძანების შესრულებას.

რამდენიმე უფროს მეთაურს გადავეცით მაიორის ბრძანება, მივუთითეთ, სად იმყოფებოდა შტაბი და ისინიც შტაბისაკენ გაემართნენ. თუმცა მაიორის ქოხს გვარიანად მოვშორებივართ, სიბნელეში იქა-აქ გაფანტულ პატარ-პატარა ცეცხლის შუქი, რა თქმა უნდა, იქამდე ვერ აღწევს, მაგრამ მისაგნებად ძნელი არ არის, ზღვის ნაპირზე ის ერთადერთი ქოხი დგას მხოლოდ.

იმ ქოხში ახლა მაიორი კლიმოვი ელოდება მეთაურებს, რომლებიც ისე არიან დაბნეულნი, შეიძლება გულგატეხილნიც, როგორც მათი ჯარისკაცები. ამ ზღვისპირს შეჭუჩებული და ამჟამად ღამის სიბნელეს შეფარებული დაშლილი ნაწილები აღარ ჰგავს არმიის ნაწილებს. მეთაურთაგან ზოგს სულ აღარ შემორჩა თავისი ნაწილი, ზოგს თუღა შემორჩა, ნაწილობრივ, და ეს ნაწილობრივ შემორჩენილი ჯარისკაცებიც აღარ ჰგავხან მათი ბრძანებების მომლოდინე, არმიული წეს-რიგით შეკრულ ჯარისკაცებს. ეს ჯარისკაცები ახლა მხოლოდ თავიანთ თავზე ფიქრობენ. მეთაურებიც ველარ ფიქრობენ ჯარისკაცებზე, დანაწევრებულნი არიან, დაქსაქსულნი. ერთი საერთო მიზანი აღარ ჩანს, ერთი საერთო ბრძანება არ ისმის, რა იფიქრონ, საითკენ გაუძღვენ შემორჩენილ ჯარისკაცებს, დაღლილები, დაქანცულები, არაქათგამოცლილნი და, რაც მთავარია, იმედგადაწურულნი, დაიჯერებენ კია?! ანდა ცალცალკე ხომ არ დაიწყებენ მოქმედებას?! ცალცალკეც რომ იმოქმედონ, რა უნდა იმოქმედონ?! მდგომარეობამ ერთბაშად შეაგნებინა ყველას, — მეთაურსაც და ჯარისკაცსაც, — ეს ზღვაა გადასალახი, გადასაცური და იქით, გაღმა ნაპირზე გადასვლაა ერთადერთი ხსნა. მეტი არაფერი. კონტრშეტევა და გერმანელების უკან გაბრუნება შეუძლებელია. ახლა მხოლოდ გაღმა ნაპირზე გადასვლაა საჭირო.

მაგრამ როგორ?!

ყველანი ამაზე ფიქრობენ ახლა და ვერავის მოუაზრებია, როგორ და რანაირად.

ერთადერთი კაცი, რომელიც ამაზე ფიქრობს ახლა, ქოხში მყოფი მაიორი კლიმოვია. აქ შექმნილი მდგომარეობა გვარიანად გაარკვია. მზვერავთა ცნობები შესაფერისად აწონ-დაწონა. გადაწყვეტილებაც მიიღო, მტკიცე გადაწყვეტილება. ახლა მხოლოდ ისლაა საჭირო, ბრიგადის შტაბის უფროსმა აქ თავმოყრილი არმიის სხვადასხვა ნაწილები, დარბეული და ბრძოლისუნარგამოცლილი ნაწილები ერთ მთლიან სამხედრო ძალად შეკრას, როგორმე უნდა მოხერხდეს ეს, უნდა მოხერხდეს და რაც შეიძლება სწრაფად, ყველანაირი მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული ამისთვის.

ყოველი ჯარისკაცი ცალცალკე იმაზე ფიქრობს, როგორმე თავი დააღწიოს ამ ღვთის რისხვას, როგორმე ტყვედ არ ჩავარდეს და ცოცხალი გადარჩეს. ცოცხალმა გააღწიოს მეორე ნაპირამდე.

მაიორი კლიმოვი კი ყველა მათგანზე ფიქრობს, იმაზე ფიქრობს, ალყა როგორ გაარღვიოს. რა თქმა უნდა, ალყის გარღვევისას ამ ჯარისკაცთაგან ბევრი დაიღუპება, მაგრამ ბევრი გაუსხლტება სიკვდილის ცეცხლოვან რკალს. იქ კი, ქერჩში, გემებია, კატერებია, მაშველი ძალები მოქმედებენ. მაიორი იმაზე ფიქრობს, ნაწილი მაინც გადაარჩინოს დარბეული ჯარისკაცებისა.

ვისაც რა იარაღი აქვს შემორჩენილი, ის უნდა ამოქმედდეს მაქსიმალურად, ვისაც რა ტყვია-წამალი შემოუნახავს, ის უნდა დაიხარჯოს. რასაკვირველია, იმის იმედი არ აქვს მაიორ კლიმოვს, ვინმე იარაღს ან ტყვია-წამალს მოაშველებს. ჯერ ერთი, სად არის აქ ტყვია-წამალი და იარაღი, მერედა, ის სად არის, ვინც უნდა მოაშველოს?

არა, არავისი და არაფრის იმედი აღარ აქვს მაიორ კლიმოვს. შტაბის გამოცდილი ოფიცერია მაიორი და კარგად იცის, სადმე მოქმედი შტაბი რომ არსებობდეს, რომელიც აქ შექმნილ მდგომარეობას მართავდეს, აქამდე მოაღწევდა მისი ხმა, მისი ბრძანება.

აღარსად არსებობს ამგვარი შტაბი.

ახლა ვინმემ თვითონ უნდა ითაოს, რა მოიმოქმედოს, რა საშველი გამოუნახოს ზღვისპირას მორეკილ დარბეულ ნაწილებს, არაქათგამოცლილ ჯარისკაცებს.

მაიორმა კლიმოვმა იკისრა ეს მძიმე საქმე, რაღაც უნდა ილონოს, რაც შეუძლია, რა ძალა და გონებაც აქვს, უნდა გამოამჟღავნოს ამ რთულ ვითარებაში. დღეს ნაშუადღევს ეს რომ იგრძნო, მოვალეობის გრძნობამ რომ უბიძგა და ეს გადაწყვეტილება მიიღო, მაშინვე მოქმედებას შეუდგა, მზვერავები დაგზავნა და მათი ცნობებიდან ზოგი რამ ნათლად გამოირკვა, — ქერჩიდან ჯერ კიდევ ჯარების გაყვანა გრძელდება, გადასაყვანი ადგილი ზღვისპირას ჯერ კიდევ ჩვენების ხელთ არის, გემები და კატერები განუწყვეტლივ მოეშურებიან გაღმა ნაპირიდან. ჰოდა, აზოვის ზღვის ამ ნაპირიდან, საცა ახლა ჩვენა ვართ შეჭუჩებულნი, ცოტაღა დარჩა, მაგრამ გასასვლელი გზები გერმანელებმა ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერგეს, მაგარი თავდაცვითი ზღუდე აღმართეს და ამ რკალში ვიმყოფებით ახლა.

სხვა გზა არ არსებობს, ეს რკალი უნდა გაირღვეს და ვინც გააღწევს, მხოლოდ იმას შეიძლება ეშველოს.

მართალია — (მზვერავებმა ეს ცნობებიც გვარიანად მოაწოდეს მაიორ კლიმოვს, ელვისებურად გაძვრნენ-გამოძვრნენ აზიმზიმებულ ბრბოში და საკუთარი თვალით ნახეს ყველაფერი), — ავტომატი და თოფი ბევრს აღარც კი აქვს, ტყვია-წამალიც თითზე ჩამოსათვლელი შემორჩენიათ, ხელყუმბარები ხომ აქა-იქ აქვს ზოგიერთს ქამარზე ჩამოკიდებული. ტყვიამფრქვევები კი მზვერავებმა ვერსად შეამჩნიეს, არტილერიის ნაკვალევიც ვერსად ნახეს.

ამ ვითარებაში სიგიჟესაც ჰგავდა გერმანელების ყველანაირი იარაღით გამაგრებული ალყის გარღვევა. შიშველი მკერდით? ეს ხომ აშკარა დაღუპვა იყო. ტყვედ ჩავარდნას ეს ჯობდა? ან თვითონვე ეკრათ შუბლში ტყვია ყოვლადუცოდველ ჯარისკაცებს!? არა, არც ამ აზრის არის მაიორი კლიმოვი. არც უაზროდ დაღუპვა სურს მათი, არც ის, რომ ტყვია იკრან შუბლში. ბოლო ტყვიის დახიძნულება კარგად იცის მაიორმა კლიმოვმა, იგი მაშინ უნდა იკრას საფეთქელთან ჯარისკაცმა, როცა მისი ტყვედ ჩავარდნით თავისიანები საფრთხეში ჩავარდებიან, როცა მისი ცოცხალი თავი მტერს გამოადგება, როცა მისი მტრის ხელთ ჩავარდნა არასგზით არ შეიძლება ამ შემთხვევისათვის უნდა შემოინახოს ჯარის კაცმა ბოლო ტყვია. თუ არ შეკრთება და არ წახდება, თუ ლაჩარი არ არის, თუ ნამდვილი ჯარისკაცია, მაშინ უნდა დაიხალოს მკერდზე ის ბოლო ტყვია.

აბა, ისე რა აზრი აქვს ბოლო ტყვიით თავის მოკვლას? ტყვეობა? მართალია ტყვეობა უმძიმესი გასაჭირია, მაგრამ ტყვეობაშიც ხომ იგივე ხარ, სული ხომ შეგრჩება და თუ სული გიდგას, თუ იგივე ხარ, თუნდაც მშიერი და გაძვალტყავებული, კვლავ შეგიძლია წინააღმდეგობა, აბა, რატომ ეშინია შენი მტერს, — თოფით დაგდევს, მავთულხლართებით შემოგზღუდავს, გითვალთვალებს, დღე და ღამე გითვალთვალებს, ესეიგი ეშინია, კიდევ საშიში ძალა ხარ მტრისთვის, შენ ისევ ჯარისკაცი ხარ, კვლავ შეიძლება გამოინახოს ბრძოლის გზებიც.

რაღაც მოხდა, ან ძალიან ძლიერი შეტევა შეამზადეს გერმანელებმა, ან რაღაც დაირღვა ჩვენი სამხედრო მექანიზმისა, ახლა ამაში გარკვევა უჭირს მაიორ კლიმოვს, უჭირს იმიტომ, რომ არავითარი კავშირი არმიაში აღარ არსებობს. ეს კი ესმის მაიორს, ამას კი ხვდება შტაბის დიდი ხნის მეთაური, ჯარისკაცებს ბრალი არ მიუძღვით ამ უკახდახევაში. სანამ შეეძლოთ, მტერს წინ ეღობებოდნენ, აგრე იოლად პირველ დღეებში ვერ მოიწევდნენ წინ გერმანელები. ათი დღეა, მშიერ-მწყურვალნი, მოდიან უკან-უკან, ხელები არ აუწევიათ, თეთრი ბაირაღები არ აუფრიალებიათ და ტყვედ არ ჩაბარებიან მტერს. მოიწევენ უკან და აზოვის ზღვა რომ არ გადაღობებოდათ, ასე წვალებით ივლიდნენ, სანამ იმ გაღმა ნაპირზე ორგანიზებული არმიები მტერს არ შეაჩერებდნენ. ახლა რაღა ჰქნან? ზღვას ვერ გადასცურავენ. ქერჩისკენ გასასვლელი გერმანელებმა ჩახერგეს, ჩაგმანეს. რა ქნან? დავუშვათ, ყველამ ერთბაშად, აქ შექუჩებულმა განამებულმა ჯარისკაცმა შემონახული ბოლო ტყვია შუბლზე დაიხალოს. მერედა ამ ნახევარკუნძულის უბედურებას ეს უშველის?

იქნება ეს გმირობა?

იქნება ეს თავგანწირვა?

ამ მძიმე და ანენილ ვითარებაში ეს კითხვები თავისთავად მოეძალნენ მაიორ კლიმოვს. მხოლოდ ერთი პასუხით იგერიებს ამ ფიქრებს მაიორი: „სანამ სული უდგათ ჯარისკაცებს, ისინი მტრისთვის საშიში ძალაა. ამჯერად ალყის გარღვევაა საჭირო. ეს არის ახლა ერთადერთი მიზანი. ამ მიზანმა უნდა შეკრას და შეაკავშიროს ერთი სულით ეს დაშლილი საჯარისო ნაწილები. ბევრი მათგანი დაიღუპება, მაგრამ ჯობს მტერს შეაკვდეს, ვიდრე თვითონ იკრა ტყვია შუბლში, ჯობს იმიტომ, რომ ვიღაც სხვა გააღწევს, გააღწევს და შეუერთდება მებრძოლ არმიებს, მერე შემოუბრუნდება გაზულუქებულ მტერს და აქ დაღვრილი სისხლისათვის შურს იძიებს.

ეს უნდა შეიგნოს ახლა ამ ბრბომ. სასწრაფოდ უნდა შეიგნოს. მეთაურებმა უნდა შეაგნებინონ ეს მათ".

ამიტომაც გაგვგზავნა ჩვენ მაიორმა კლიმოვმა მეთაურების საძებნელად და შესაკრებად. ეს ყველაფერი სასწრაფოდ უნდა მოხდეს; გათენებამდე, მეტი დრო აღარ არის.

ვინც კი მოვიძიეთ, ქოხისაკენ გავგზავნეთ, რომელშიც ახლა ამნაირი ფიქრებით არის გაბრუებული მაიორი კლიმოვი. ზოგი ჩინით მაიორზე უფროსიც შეგვხვდა, ისინიც გაეშართნენ მაიორისკენ.

მოულოდნელად ჯარისკაცების ჩოჩქოლს გადავაწყდით, მათ ყიჟინსა და ყაყანში ქალის მკვეთრი ხმა გამოვარჩიე. ფეხზე წამოშლილ ბრბოსთან მივედით, რკალად შემოჯარვოდნენ ქალს და შუაში მოემწყვდიათ. მივწი-მოვწიეთ და წრეში შევრგეთ თავი.

ანოწილი ჯარისკაცი, რომელსაც გერმანული მოლისფერი შინელი აცვია, ცალი ხელით ხელზე ჩაფრენია ქალს, შე კახპა, მე შენ გი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებ სეირს, შენი ასე და ისეო, მაგარი რუსული გინებაც მიახალა და იმ დროს, როცა შეკუმშული მუშტი მაღლა შემართა, შევძახე, პეტკა-ფრიც, შეჩერდი, არ გაარტყა, მაგ გოგოს ვიცნობ-მეთქი.

პეტკა-ფრიცს შემართული მარჯვენა ჰაერში გაუშეშდა და ჩემსკენ გამოიხედა, იმასა და ქალს შუა ჩავდექი. ცეცხლის შუქზე ქალს როგორც კი შევავლე თვალი, ვიცანი — ჰილდაზე გაალმასებული ჩვენი მასპინძელი გოგო, რომელსაც ძლივს გამოვგლიჯეთ ხელიდან შიშველი ჰილდა და იმ ღამეს გაძოვაპარეთ. მაშინ პეტკა თუმცა რამდენიმე წუთით შეჩერდა ჩვენთან, მაგრამ ჰილდათი გაოცებულმა ისეთი ალალი და ჯარისკაცური საუბარი გაგვიმართა, აბა, რა დამავიწყებდა. ანოწილ მხრებზე ჩამოკონწიალებულმა გერმანულმა შინელმა მაშინვე გამახსენა მასთან შეხვედრა. ახლა, უცებ რომ დავინახე, ის კი არ გამკვირვებია, ამ ქალს მუშტით რატომ ემუქრება-მეთქი, ის უფრო გამიკვირდა, ამ ორ ნაცნობს აქ, ასე მოულოდნელად რომ შევხვდი.

პეტკა-ფრიცსა და ქალს შუა ჩამდგარს, პეტკა ზემოდან დამაჩერდა, გაოცებულს ისიც ვერ მოეაზრებინა, შემართული ხელი ძირს რომ დაეშვა.

ისევ შევძახე:

— პეტკა-ფრიც, გამარჯობა! გახსოვს?

— რომელი ხარ? — როგორც იქნა, ხელი ძირს დაუშვა და მკითხა.

— ამას წინათ არ შევხვდით! — გავახსენე მე, — გერმანელი გოგო მოგვყავდა, ტყვე გოგო.

— დალახვროს ეშმაკმა! ხო გითხარი კიდევ შევხვდებით-მეთქი, — ჩემს უკან მდგარი გოგო გადაავიწყდა პეტკა-ფრიცს და გულიანად გამესაუბრა, — ტყვეს რა უყავი? ხო არ გაასალე ამ ალიაქოთში?

— არა, მერე გეტყვი, — ვუთხარი მე და გოგოს მივუბრუნდი, — ამ გოგოს ვიცნობ, რას ერჩი, ასე რომ გაგიმეტებია?

— კახპაა და იმიტომ, — თქვა ბრაზიანად პეტკა-ფრიცმა.

გოგო გაოცებული შემომცქეროდა, ვერ მიცნო. გვერდით აბოლებული ცეცხლის მკრთალ შუქზე მე კი ვიცანი იგი, მის თვალებს რა დამავიწყებდა, იმ ღამეს, შიშველი ჰილდა რომ შემოათრია ოთახში, გავარვარებული და გაფართოებული ჰქონდა, ახლა ის ბრიალი აღარ ეტყობოდა, მაგრამ მაინც ის თვალები იყო, ფართო, წამწამებაპრეხილი. ზემოდან ოდნავ ბოლოებაზნექილი წარბები. ბამბის კურტაკი ეცვა ისევ და თავზე ჭრელი თავსაფარი ჰქონდა შემოხვეული, ყელზე უკან განასკვული.

— არაა კახპა ეს გოგო, — ვუთხარი პეტკა-ფრიცს, — რამდენიმე დღის წინ, ამასთან შევიარეთ ქოხში, ვიცნობ.

— ვერ დაეტია მერე თავის ხატაში, აქ რაღა უნდოდა? — ჩაიბუზღუნა პეტკა-ფრიცმა.

— ვერ დაეტეოდა, ახლა უკვე ველარ დარჩებოდა გერმანელებთან, ამას გერმანელები ჭირივით სძულს.

— ჩვენ კი ჭკუა-გონებას გვირევდა აქ.

— რა ჭკუა-გონებას?

— წამოდითო, სული ამოგვართვა, წამომყევითო, ამ ლამეში მე გადაგიყვანთ ქერჩშიო, ბილიკები ვიცი, გერმანელები იმ ბილიკებს ვერ მიწვდებოდნენ, იმ ბილიკებით გადაგიყვანთო.

— მერე ამისთვის კლავდი?!

— რა ვიცი, ვინ არის.

— ვერა ხედავ, რა გოგოა!

— მერედა თავის ლოგინთან კი არ მიძიყვანდა, — ჯარისკაცურმა იუმორმა მაინც სძლია პეტკა-ფრიცს და იქვე მდგომ ჯარისკაცებს ღიმილი გაუკრთათ სახეზე.

— შე მურტალო, — ხმა ამოიღო უცებ გოგომ, — ჩემს ლოგინთან შენ რა გესაქმება?! ისე დაგილპება გვერდები, მაგას ვერ ეღირსები.

— მიდი, მიდი, ალიონა, მიაყარე მაგ ანოწილს, — აჩოჩქოლდნენ ჯარისკაცები, თითქოს ამდენხანსაც გოგოს თანაუგრძნობდნენ, მაგრამ ვერ ესარჩლებოდნენ, ახლა ერთბაშად გამოფხიზლდნენ და ხუმრობის კილო რომ გამოერია პეტკა-ფრიცისა და ამ გოგოს პაექრობაში, თვითონაც ხმა ამოიღეს.

გოგოს ალიონა რომ რქმევია, ახლა გავიგე. როგორც სჩანს, ჩვენ რომ გამოვეპარეთ, იმ ღამით თვითონაც გამოჰყოლია ჯარისკაცებს. რაკი გერმანელები მოაწყდებოდნენ იმ არემარეს, შინ ველარ დარჩებოდა ალიონა, ცოცხალი თავით გერმანელებთან ველარ დარჩებოდა, ადევნებია საბრალო გოგო უკახდახეულ ჯარისკაცებს და აი, აქ, ამ მდგომარეობაში ჩვენც გადავაწყდით.

## უცნობი ბილიკით

ალიონა და პეტკა-ფრიცი თან გამოვიყოლიეთ და მაიორისკენ გამოვეშურეთ. არჩილმა თქვა, საინტერესოა, ამ გოგომ ქერჩისაკენ გადასასვლელი რომელი საიდუმლო ბილიკები იცის, ეგებ მაგ ბილიკების ამბავმა მაიორი კლიმოვი დააინტერესოსო. ალიონასთვის არაფერი გვიკითხავს, რა ბილიკებია ეს ბილიკები, გამოვიყოლიეთ და გამოგვყვა კიდეც უსიტყვოდ, უთქმელად. ეგებ ისიც კი გაიფიქრა, ამ ანოწილ პეტკა-ფრიცს მოეშორდე ოღონდაცო. თუმცა ამას ველარ გაი-

ფიქრებდა, რაკი დაინახა, პეტკა-ფრიციც თან წამოვიყვანეთ. ეს კი ჩემი სურვილით მოხდა, რატომღაც ძმური თანაგრძნობით განვიმსჭვალე პეტკა-ფრიცის მიმართ იმ დღიდანვე, პირველად რომ შეგვხვდა აწეწილ-დაწეწილ მინდორზე, რამდენიმე წუთში თავიც რომ გაგვაცნო, ისიც რომ გვიამბო, კალათბურთელი როგორ გახდა. მაშინვე განვეწყვე მისადმი ასე ძმურად და მეგობრულად. მას მერე რამდენიმეჯერ გამახსენდა კიდეც, ჩამელიმა კიდეც რამდენიმეჯერ, მისი გერმანული შინელის ისტორია რომ მომაგონდა. ახლა კი, რაკი ასე მოულოდნელად შევხვდი, აღარ მინდოდა დავშორებოდი, ჩვენთან წამოდი, ერთად ვიყოთ-მეთქი, ვუთხარი და ისიც მყისვე დამყვა ნებას. ასე იოლად მიტომ დამყვა, ალბათ მისი ნაწილიც დაშლილი და დაფანტული იყო, აღარავინ შემორჩენოდა თავისი ნაწილიდან. წავიდეთ, ერთად ვიყოთ-მეთქი, რო ვუთხარი, იმასაც არაფერი უპასუხნია, უსიტყვოდ გამოგვყვა. ალიონამ ერთი-ორჯერ კი აჰხედა დაბღვერილმა, მაგრამ ხმა არ გაუცია.

სანამ მაიორ კლიმოვის ქოხს მივადგებოდით, პეტკა-ფრიცს ისიც ვუთხარი, ჰილდა გალმა ნაპირისკენ რომ გავაცურეთ და მერე ალიონას თავგადასავალი ვუამბე. იმ ღამინდელი ამბავიც ვუამბე, რაც მის ხატაში თავს გადაგვხდა. ალიონას, რა თქმა უნდა, ესმოდა, რასაც პეტკა-ფრიცს ვუამბობდი, მაგრამ სრულებითაც არ ემჩნეოდა, რომ ესმოდა. ერთრიგად ჩამწკრივებულნი მივდიოდით, — გენადი წინ მიაბოტებდა, მერე არჩილი, არჩილს ალიონა მისდევდა, მე და პეტკა-ფრიცი უკან, გვერდიგვერდ, ერთად მივდიოდით. სიბნელეში და ისიც ზურგიდან, აბა, რას მივხვდებოდი, როგორ მოქმედებდა მასზე ჩემი ნაამბობი, მაგრამ რაკი ერთხელაც არ გამოგვხედა, მივხვდი, თავს ისე გვაჩვენებდა, თითქოს ჩვენი ნალაპარაკევი არ ესმოდა.

ვინ იცის, იქნებ ძლივს იკავებდა თავს, ერთი სული ჰქონდა, შემობრუნებულიყო და დაეყვირა ჩემთვის, რატომ უამბობ მაგ აჰონილ ბრიყვს ჩემს თავგადასავალსო, მაგრამ რაღაი სდუმდა და არ მიშლიდა მეამბნა პეტკა-ფრიცისთვის მისი თავგადასავალი, შეიძლება იმიტომ, ბარემ მაგ ბრიყვმაც იცოდეს, გერმანელებთან მისაყვან ბილიკებს რომ არ ვთავაზობდით. ბრიყვმაცო, ალბათ გამოსაჯავრებლად იტყოდა, თორემ პეტკა-ფრიცი ბრიყვი რომ არ ყოფილა, ალიონასთვის ეს ცხადი და ნათელი იყო, არ გაბრიყვდა და უცბად არ დაჰყვა მის ნებას. აჰონილსაო, ამასაც გამოსაჯავრებლად ეტყოდა, თუმცა პეტკა-ფრიცი მართლაც აჰონილია, ხმელი, უცნაურად მაღალი და მხრებწამოხრილი.

ამას მე ვვარაუდობდი, ალიონა კი, ვინ იცის, შეიძლება სულაც არ ფიქრობდა ასე, მდუმარედ მოჰყვებოდა ჩვენს მწკრივს და შეიძლება აზრადაც არ მოსვლია ასეთი რამ, შეიძლება სულაც არ ესმოდა ჩემი ლაპარაკი.

არჩილის ვარაუდი გამართლდა, როგორც კი მოახსენა მაიორ კლიმოვს ალიონას ამბავი, იმ წუთსავე მიატოვა ქოხში თავმოყრილი მეთაურები, გარეთ გამოვიდა, ალიონას ხელი ჩამოართვა და განზე გაიხმო. ცოტა ხანს ეჩურჩულა, ყოველ შემთხვევაში, ისე ელაპარაკა, ჩვენ არ გაგვიგონია.

მერე შემოგვიბრუნდა, მოგვიახლოვდა და ალიონას მიმართა:

— ამ არწივებიდან რომელს გაიყოლიებ?

ალიონამ არც აცია, არც აცხელა, პეტკა-ფრიცს ერთი კი აჰხედა, მერე, ამას გავიყოლიებო, ანიშნა მაიორს ჩემზე. მე, რა თქმა უნდა, იმ წუთს ვერც გავიფიქრე, რას ნიშნავდა ეს, ამის აწონ-დაწონა ვერც მოვასწარი, მაიორმა კლიმოვმა მიბრძანა, ამ გოგოს გაყვებიო, ცოცხალი თავით არავის დაანებო, გათენებამდე უკანვე შემობრუნდით, გახსოვდეს, სანამ არ მობრუნდებით, ხელფეხშეკრულივით ვიქნებითო. არჩილს, გენადის, პეტკა-ფრიცს კი დაავალა, არწივებო, გეტყობათ, მაგარი ბიჭები ყოფილხართ, მეთაურები რიგიანად შემიკრიბეთ, ახლა გაიხედ-გამოიხედეთ, გაძვერ-გამოძვერით, ათ-ათი თვალი გამოისხით და თუ სადმე ტყვიამფრქვევები შენიშნოთ ,მეტყვიამფრქვევეებთან ერთად აქ მომგვარეთ, ისიც გაიკითხ-გამოიკითხეთ, სადმე ახლომახლოს ტყვია-წამლის საწყობები ხომ არ არისო.

ერთი სული მქონდა, როდის ჩამოათავებდა მაიორი ბრძანებებს, რათა მაშინვე მეთხოვა, მე უარჩილოდ ვერსად ფეხს ვერ გავდგამ, ეგება ამ გოგოს პეტკა-ფრიცი გააყოლოთ-მეთქი, მაგრამ მაიორმა ჩამოათავა თუ არა ბრძანება, ცქვიტად შებრუნდა და ქოხში შერგო თავი.

მაიორს ალიონასთვის დაუვალებია, ახლავე შეჰყევი იმ ბილიკებს, უჩინმაჩინის ქუდი დაიხურე და კარგად მიიხედ-მოიხედე გარშემო, ახლომახლო გერმანელები არიან თუ არა, თუ თავისუფალია შენი ნაცნობი ბილიკები და ქერჩში გადასვლა მოხერხდება, უჩინმაჩინის ქუდი მოიხადე და არწივის ფრთები შეისხი, არწივის ფრთები კი არა, ქარად იქეცი და ჩემთან გაჩნდი, მაგ ბილიკებით ეგებ ჯარი გადავიყვანოო.

— მერე მე რაში გჭირდებოდი?! — შივახალე ალიონას.

— აბა, მარტო წავსულიყავი?! — თქვა ალიონამ.

— აქამდეც ხომ მარტო დადიოდი შენს დასთან და სიძესთან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქამდე სხვა იყო.

— რა სხვა იყო?! — აზრს ველარ ვიკრეფდი, ისე ვეკამათებოდი.

— სხვა დრო იყო.

— სხვა დრო! სხვა დრო! — გავიმეორე გაღიზიანებულმა.

— სხვა დრო იყო, აბა, რა იყო?! ომი არ იყო მაშინ, — ალიონას სულ არ აღიზიანებდა ჩემი ნერვიული ლაპარაკი, მშვიდად და წყნარად მპასუხობდა.

— როგორც მაშინ დაძვრებოდი მაგ ბილიკებზე უჩემოდ, ისე გაძვრებოდი და გამოძვრებოდი ახლაც.

— გავძვრებოდი თუ არ გავძვრებოდი, ეგ არ არის შენი საქმე, — ახლა კი გაგულისდა ალიონა, — მე რას გადამეკიდე, მაიორმა გიბრძანა და შეასრულე ბრძანება.

— რაღა ჩემზე მოათითე?

— მინდოდა და მოვათითე.

— მინდოდა!

— ზედმეტი ლაპარაკის დრო აღარ არის. წავიდეთ. გათენებამდი დიდი დრო აღარ რჩება. გათენებამდე ამბავი მომიტანეთო, გვიბრძანა მაიორმა. არ გაიგონე?

— ეგ შენ გითხრა.

— მე რაც მითხრა, ის შენც გეხება.

არჩილს, გენადის და პეტკა-ფრიცს გამოვემშვიდობე. არჩილს გამოველაპარაკე, აქედან ფეხი არ მოიცვალო, შორს არსად გადაძეკარგო, დავბრუნდები, აბა, რა ჯანდაბა მომივა, აქ დამხვდი, თორემ უშენოდ გამიჭირდება-მეთქი.

და გავედევნე უკვე წინ წასულ ჩემს მეგზურს.

ალიონა არც დამშვიდობებია ამათ, შერგო თავი სიბნელეში, ქოხის სარკმლიდან გამოყოფილი სინათლის მკრთალი ზოლი გადაკვეთა და მეც მივყევი.

სწრაფად გავშორდით აქა-იქ მიყრილ-მოყრილ ჯარისკაცებსა და ალაგ-ალაგ მინავლულ კოცონებს. მთის ხრიოკ ფერდობს ავყევით. კარგა ხანს ისე ვიარეთ, არც ალიონასა და არც მე ხმა არ გაგვიღია.

რა ხმა უნდა ამომეღო? გასიებული გული ყელზე მაქვს მობჯენილი, ისე მაქვს მობჯენილი, მაღრჩობს, — ამან რა ბილიკი უხდა მონახოს ახლა ისეთი, რომ ეს არეულ-დარეული ჯარი ქერჩში გადაიყვანოს?! იმაზე კი არ ვფიქრობდი, ამგვარი ბილიკი საჭიროა თუ არა, ის მკლავს, არჩილი რომ დამეკარგოს, მერე რაღა მეშველება, ჯოჯოხეთშიაც რომ ვცვიოდეთ, მე ის მირჩევნია, არჩილთან ვიდგე, უცებ ფეხი რომ წამოვკრა რამეს და ვეცემოდე, არჩილს წავავლო ხელი, ან არჩილმა წამავლოს თავისი დათვის თათი. ისე დამღალა ამ რამდენიმე დღის დავიდარაბამ, მეტს ველარას ვფიქრობ, ველარაფრის მოაზრებას ვახერხებ, ამ დავიდარაბაში ერთი ნათელი აზრი გამომიკვეთა — რა გასაჭირშიც უნდა ჩავვარდე, თუ არჩილი ახლოს მეყოლება, არაფერიც არ გამიჭირდება, იქნება გამიჭირდეს, მაგრამ მჯერა, არჩილთან ყოველგვარი ხიფათიდან საღსალამათი გამოვალ. აზრის მეტი არაფერი გამაჩნია ახლა და ამიტომაც ვარ გულზე გასიებული, ხმაჩავარდნილი. ასე მივყვები ამ ალქაჯს. ბილიკი!.. რა ბილიკის მომნახავია ეს?!

თუმცა, — (წამით ასეთმა აზრმა გამიელვა თავში), — ვინ იცის, იქნება მართლა არსებობს ბილიკი, ეგება მართლაც მიაკვლიოს ამ გოგომ ამნაირ ბილიკს, თავადაც ხომ გულგახეთქილი და გულგასიებულია, მერედა როგორი გულგახეთქილი და გულგასიებული, ეს ხომ კარგად ვიცი, ჰოდა, იქნება ზღვის ნაპირთან რომ მიყრილ-მოყრილი დავტოვეთ, იმ ჯარზე უფრო მეტად თავად ილტვის ქერჩში გადასასვლელი ბილიკისაკენ, იმ ნაპირისაკენ, იმ ნავმისადგომისაკენ, საიდანაც გაღმა ნაპირზე გადასცურავს, გადასცურავს და ასე დაუსხლტება ხელიდან თავხედ, შეუბრალებელ, მისი ქალიშვილობის ფეხქვეშ გამთელავ, მის გამამწარებელ გერმანელ ჯარისკაცებს.

ეს რომ გავიფიქრე, ალიონაზე გული მომილბა და ალბათ ამიტომაც მის მოულოდნელ კითხვას, ზურგს უკნიდან რომ გადმომიგდო, შენ რა გქვიაო, მე დაუფიქრებლად და მშვიდად ვუპასუხე, ბუდუ-მეთქი.

— ბუდუ!.. — გაიმეორა მან, — რუსულად რას ნიშნავს?

— არაფერსაც არ ნიშნავს. რუსულადაც ბუდუ მქვია.

— ჩემი სახელი თუ იცი?

— ვიცი.

— ვიცი, ვიცი!.. მერედა თქვი, რა მქვია?

— ალიონა.

— ვისთვის ალიონა პეტროვნა ვარ, ვისთვის — ალიონა. უფრო სწორი იქნება ლენა პეტროვნას თუ დამიძახებ. ალიონას შინ მეძახიან, შინაურები, ჩვენები, სოფელშიც ასე მეძახიან, გადაავიწყდათ კიდეც, ლენა რომ მქვია, მხოლოდ პასპორტში მიწერია ლენა პეტროვნა. თუ გნებავს გვარსაც გეტყვი — მარკინა. შენ რა გვარი ხარ.

— ბედია.

— თუ გინდა მამის სახელით მოგმართავ ხოლმე? რა თქმა უნდა, თუ მეტყვი, რა ჰქვია მამაშენს.

— მამაჩემს ბართლომე ჰქვია, მაგრამ ნუ შეწუხდებით, ჩვენში მამის სახელით არ მიმართავენ, არა გვაქვს ასეთი ჩვეულება.

— ჩემი სახელი საიდან იცი?!

— პეტკა-ფრიცს რომ შევუტიე, მაშინ დაგიძახეს ჯარისკაცებმა.

— მოგიკრავს რა შენც ყური... ხო გითხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, ვისთვის ალიონა ვარ და ვისთვის ლენა პეტროვნა.

— არა ხარ შენ ჯერ იმ ასაკისა, რომ მამის სახელით მოგმართონ.

— ასაკი რა შუაშია?

— რა ვიცი, მე ასე მგონია.

— შენ რომ გგონია, ესეც არაფერს ნიშნავს.

— ეც ხო გითხარი, არა გვაქვს ასეთი ჩვეულება.

— იცი რა, ნუ გეწყინება, მე ალიონას დაგიძახებ, ალიონა მირჩევნია.

— ჯანდაბას, რაც გინდა, ის დამიძახე.

— არა, რაც მინდა. ის როგორ დაგიძახო, მოსანათლად კი არ მიმყევხარ ამ ყიაძეთში, — ისე გულიანად და თავისთავად წარიმართა ჩვენი საუბარი, ხუმრობის გუნებაზეც დავდექი ჩემდაუნებურად, — აი, შენი სახელი კი რაღაცას ნიშნავს, ქართულად ნიშნავს რაღაცას.

— რას?

— ალიონი ქართულად, ჰა და ჰა, მზე რო საცაა ყურს ამოყოფს, იმას ჰქვია, მზე ჯერ კიდევ ამოსული არ არის, მაგრამ მისი სხივები ცის კიდეს მტრედისფრად თუ ალისფრად შეაფერადებს. ამნაირ ცილას ჰქვია ქართულად ალიონი.

აილონა უცებ შეჩერდა, შემობრუნდა, მკრთალი ნათელი მიეფინა სახეზე. რაც ამ ფერდობს შემოვყევით, მაღლა-მაღლა მივდიოდით და სულ ძირს ვიყურები, ფეხის დასადგმელ ადგილს ძლივს ვარჩევ სიბნელეში. ალაგ-ალაგ ფერდობზე დაბალი ჯაგნარებია, ვერიდები ჯაგნარებს, კარგა გვარიანად ამოგვივლია ფერდობი. გამიკვირდა, გავიფიქრე, ამ უკუნში სახეზე რა ნათელი მიენათათქო.

— შეხედე! — ჩემსკენ შემობრუნებულმა თქვა და ზღვისკენ მიაშვირა ნათელმიფენილი სახე.

შორს ცადაქნილზე მთვარის გულზე ღრუბლები გაცრეცილიყო, შეთხელებულიყო, ალაგ-ალაგ გარღვეულიყო კიდეც ღრუბლები, მთვარის დისკო მკვეთრად კი არ ჩანდა, ისე, როგორც კრიალა ცაზე იცის, არამედ ბუნდოვნად, თხელ ბანდებში გამოხვეული გავარვარებული კეცივით. ღრუბლების ნარღვევებში გამოსხლეტილი შუქი ზღვაზე ზოლივით გართხმულიყო და თითქმის ზღვის ნაპირს მოწვდენოდა ეს ციმციმა ზოლი, იმ ნაპირს, რომელიც სულ ახალახანს მივატოვეთ. წელან ცისქვეშეთში ჩამოსქელებულ უკუნ სიბნელეს მთვარის სუსტი შუქი მოდებოდა და ეს ჩვენ მხოლოდ ახლა შევამჩნიეთ. ამ ნათელს მოეღწია ალიონას სახემდეც და აქაიქ ცის თავანზე მთების კონტურებიც გამოიკვეთა.

— მთვარის ბილიკი! — მთვარეზე მიშტერებულმა თქვა ალიონკამ.

— რა თქვი?! — გავიკვირვე მე.

— მთვარის ბილიკი-მეთქი. არ ხედავ მთვარის ბილიკს?

— ის გიჯობს იმ ბილიკს მიაკვლიო, რომელიც დაგავალეს, — ვთქვი, მაგრამ იმას ჩემი ნათქვამი თითქოს არც გაეგონოს, განაგრძო:

— იმ ზღვაზე გაშოლტილ ნათლის ბილიკს რომ გაყვე, იცი, სად მიგიყვანს? — მკითხა და თვითონვე უპასუხა: — მთვარესთან მიგიყვანს, უეჭველად მთვარესთან მიგიყვანს.

რა დროს მთვარე და მისი ბილიკია-მეთქი, გავიფიქრე, ეგ გოგო ჭკუიდან შემშლის, ხან ისე გაავდება, მტრისას, ხან ისე გაუყვავილდება გული, თუ ოდესმე ეკალს უჩხვლეტია, ვერ მიხვდები. ჩვენ გადარჩენის ბილიკის მისაგნებად გამოგვგზავნა მაიორმა კლიმოვმა, დროც ძალიან მცირე გვაქვს საამისოდ, ეს კი აგერ, მთის ფერდობზე შეჩერდა და მთვარის ბილიკზე გასეირნება მოისურვა.

— აივაზოვსკის ნახატები გინახავს? — მკითხა ალიონამ მოულოდნელად.

ეს მართლაც მოულოდნელი იყო, ამ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, რას ვიფიქრებდი, თუ ამ გოგოს რომელიმე მხატვარი გაახსენდებოდა. დაბამბულ კურტაკსა და კერზეს ჩექმებში, ლაპარაკის კილოსა და მიხრა-მოხრაში, — რაზე დაკვირვებაც კი მოვასწარი, — მან უფრო სოფლელი გოგოს ნირი და იერსახე გამოამჟღავნა. ამგვარად რომ მყავდა წარმოდგენილი, ალბათ ამიტომაც უფრო მოულოდნელი იყო ჩემთვის, მთვარის ბილიკი და განსაკუთრებით, აივაზოვსკი რომ ახსენა.

მართალი გითხრათ, აივაზოვსკის შესახებ არც მე ვიცოდი ბევრი რამ, რამდენიმე რეპროდუქცია მინახავს მის ალბომებსა და ილუსტრირებულ ჟურნალებში, გამიგონია, რომ ზღვის დიდი მხატვარია, მეტი არაფერი, მაგრამ თუ ამ გოგომაც იცოდა რამე მის შესახებ, ამას ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, ამიტომაც მის შეკითხვას, აივაზოვსკის ნახატები თუ გინახავსო, კითხვითვე ვუპასუხე:

— შენ საიდან იცი აივაზოვსკი?!

— რატომ მეკითხები?

— ისე მაინტერესებს. მე ისიც კი ვიცი, აივაზოვსკი თქვენებურია.

— ალიონა, შენ რაღაც გეშლება, აივაზოვსკი სომეხია.

— მერე რა, სულერთი არ არის? — გაიოცა ალიონამ.

— არ არის სულერთი, სომეხი სომეხია და ქართველი — ქართველი.

— კარგი, მაგრე იყოს... სომეხია თუ ქართველი, აქაური კია და...

— აქაური?! — გამიკვირდა მე.

— ჰო, აქაური, — თქვა ალიონამ, — ფეოდოსიაში ცხოვრობდა, ფეოდოსიაში ხატავდა, ფეოდოსიაში გარდაიცვალა და იქვე, სუფსარქისის ეკლესიის ეზოშია დაკრძალული. ძის ყოფილ სახლში მუზეუმია მოწყობილი. იქ ვნახე მისი სურათების გამოფენა.

ეს კი მართლა არ ვიცოდი... ვიცოდი, რომ აივაზოვსკი წარმოშობით სომეხი იყო, მაგრამ თუ ფეოდოსიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ეს არ ვიცოდი.

ალიონა სხაპასხუპით განაგრძობდა:

— ომის დაწყებამდე მე ფეოდოსიაში ვცხოვრობდი და ვსწავლობდი პედაგოგიურ ტექნიკუმში, მესამე კურსზე ვიყავი, ომი რო დაიწყო, მაშინვე დავბრუნდი სოფელში დედაჩემთან. იცი, რატომ გკითხე, აივაზოვსკის სურათები თუ გინახავს-მეთქი?

— რატომ მკითხე?

— იმ მთვარემ გამახსენა, — ისევ მთვარისკენ მიაბრუნა სახე, — ჯადოსნური ფერებით იცის აივაზოვსკიმ ღამის ზღვის ცისა და მთვარის დახატვა, მთვარისა და მთვარის ბილიკის. მის სურათს რომ უყურებ, ნახატი კი არ გგონია, თითქოს მართალი მთვარეა, სწორედ ისეთი, ახლა რომ არის ეგერ, იმ ცაზე და ზღვაზე. ამბობენ, მის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ნახა ღამის მთვარე მოგვიანებით, ზღვაზე მოგზაურობის დროს, ისე ხატავდა, წარმოდგენითო. დედაააა, რა სურათია, „ტალღებს შორის" რო ნახო, გაგიჟდები. ამას თვლიან მის შედევრად. მე ყველაზე მეტად მაინც „პოსეიდონი" მომწონს: კვერთხშემართული პოსეიდონი ყალყზე შემდგარ ცხენებს ტალღებზე მოათქარუნებს, მკერდზე თავისი ლამაზმანი მიყრდნობია და უკანაც ამხედრებული ამალა მოსდევს. მთვარის ნათელი აეაც ციმციმებს ცხენების ნაფლოქვარებით ტალღებიდან აყრილ შხეფებზე.

ალიონამ ყველაფერი ეს ისე მიამბო, ისე ხატოვნად წარმომიდგინა, რომ მე გადამავიწყდა სად ვიყავი და რა დღეში ვიყავი, ძონძუსხული ვუსმენდი.

სხვა სიტუაციაში, სხვა გარემოებაში, ვთქვათ, მაგალითად, ომი რომ არ ყოფილიყო, აქ. ამ ფერდობზე კი არა, სადმე პარკში ან თუნდაც ზღვისპირას ვყოფილიყავით მე და ალიონა და მაშინ ესაუბრა ჩემთან აივაზოვსკის მთვარეზე, შეიძლება ამ გოგოს ისეთი შთაბეჭდილება არ მოეხდინა ჩემზე, როგორიც ახლა მოახდინა. რამდენიმე რეპროდუქცია კი მქონდა ნახული აივაზოვსკის სურათებისა. მაგრამ მე მისი დახატული ზღვა მახსოვდა მხოლოდ, მთვარე [illegible] ის მთვარე და მთვარის ბილიკ[illegible] ასე ცოცხლად წარმომიდგინა ალიონამ, აღარ მახსოვდა და ჩემდაუნებურად ვინატრე, ნეტავი ამ წუთს ის სურათები მანახა-მეთქი, „გიორგის ტაძარზე" რომ ყოფილა გამოსახული, ის მთვარის ბილიკი მანახა-მეთქი. გულდაწყვეტილმა ახლალა ვუპასუხე:

— რამდენიმე რეპროდუქცია მაქვს ნახული, მთვარე აღარ მახსოვს. დედნები კი არასოდეს მინახავს. შეიძლება დედნებში ნახული უფრო დამმახსოვრებოდა.

— შენ, აბა, ბუდუ, ზღვა არ გცოდნია, რა არის, — სულ არ ვცდილვარ იმაზე დავფიქრებულიყავი, რატომ მესიამოვნა, სახელი რომ დამიძახა, ისე თქვა ჩემი სახელი, თითქოს ბავშვობიდანვე ასე მეძახდეს, — ზღვას რამდენჯერაც არ უნდა შეხედო შენი თვალით, ნაპირიდან, ნავიდან თუ გემიდან, მღელვარეს თუ მშვიდს, დღითა თუ ღამით, ვერა, ვერ გაიგებ, ვერ შეიცნობ, ვერ იგრძნობ, თუ აივაზოვსკის ნახატზე არ ნახე. ზღვის სულს შენ ვერ დაინახავ, რა ასულდგმულებს ზღვას, ამას ვერ მიხვდები, რატომ სჭირდება ზღვას მთვარე და მთვარის ბილიკი, ვერა და ვერასგზით ვერ მიხვდები. ამას მხოლოდ ის ჯადოსნური ნახატები მიგახვედრებს.

ამ საუბარში ტყეს მივდგომივართ, ახლა მარჯვედ იყავი, არც ისე გაუვალი ტყეა, მაგრამ ჩვენ ამ ჯაგნარშიაც კი დავიმალებით, ჩემთან ახლოს იარე, არსად დამეკარგოო, გამაფრთხილა ალიონამ და ტყეში შერგო თავი.

ღრუბლებიდან ჩამომდნარი მთვარე აღარ ჩანდა. მე ალიონას მივუახლოვდი და ასე მივყევი ალმა-ალმა.

კარგა ხნის შემდეგ მეჩხერი ჯაგნარიდან მაღლა ცისკენ მილრეცილ-მოლრეცილად ალმართულ შიშველ ქარაფს მივადექით. ალიონა ქარაფთან შეჩერდა. მთვარეს შემოცლოდა ღრუბლების საბურველი და გარემო მისი გაცრეცილი შუქით ოდნავ განათდა. ქარაფიდან დაბლა ჩაფენილი ტყიანი უბე გამოჩნდა, ეს უბე აერთებდა იმ ზეგანს, რომელზეც ჩვენ ვიდექით და გალმა გრძლად გაჭიმულ, მრავალკუზიან მაღალ მთას. მთვარის შუქზე ჩამუქებული ჩანდა ორ მთას შორის ჩაფენილი ტყიანი უბე

— ჩამოვჯდეთ, — თქვა ალიონამ და იქვე ჩაჯდა.

— დაიღალე? — ვკითხე მე.

— არა, მიჩვეული ვარ ამ აღმართ-დაღმართს.

— აბა, რა დროს ჩამოჯდომაა, დრო არ გვეყოფა.

— ჩამოჯექი-მეთქი, გეუბნები, — დაიყინა ალიონამ, — რაკი გეუბნები, ალბათ ასეა საჭირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოვჯექი მის გვერდით.

— ცოტა ხანს მივაყურადოთ, — თქვა ალიონამ, — ღამით ამნაირ გარემოში ხმა ადვილად ვრცელდება, თუ სადმე გერმანელები არიან, იქნება ყური მოვკრათ. არა მჯერა, რომ აქ ამოსულიყვნენ, მაგრამ მაინც ვუსმინოთ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

ხანგამოშვებით გუგულების გადაძახილი ისმოდა. როცა მოვდიოდით, გუგულების გადაძახილი მაშინაც მესმოდა, მაგრამ ახლა უფრო გარკვევით გავიგონე მათი ნაღვლიანი გმინვა, ტირილით გულამომჯდარი ბავშვივით კვნესდნენ გუგულები. სხვადასხვანაირი ჩიტების ხმათა წკრიალიც შემომესმა, ხან იქ, ხან აქ, ზოგი შორს, ზოგი აქვე, ახლოს, თავიანთ ენაზე საუბრობდნენ ამ ღამეულ სიმყუდროვეში, დღით ჭიალუების ძებნაში გართულნი ალბათ ვერ ახერხებენ ერთმანეთთან საუბარს, ახლა მოუხელთებიათ დრო. ვინ იცის, ვინ ვის ესაუბრება, თავისთან ძოუხმობს, ვინ ვის თავის სევდა-ვარამზე ეჩურჩულება, არ მისძინებიათ, არ მისთვლემიათ, მთელი დღე ფრენა-ფრენით დაღლილები ჩამომსხდარან ხეების რტოებზე, ფოთლებსა და სიბნელეს ამოფარებულნი კვნესენ, გალობენ, ჩურჩულებენ თავიანთ ჯადოსნურ ენაზე ისე, რომ აზრზედაც არ არიან, აქვე, ქარაფთან მე და ალიონა რომ ვსხედვართ გატრუხულნი და, ეგება გერმანელების ფაჩუნი გავიგონოთო, ამის გამო სმენადაძაბულნი, მათ გადაძახილ-გადმოძახილს ყურს ვუგდებთ და არა გაგვეგება რა მათი.

— გიყვარს ტყე? — ნამჩურჩულა ალიონამ.

— რა ვიცი, — ჩურჩულით ვუპასუხე მეც.

— ტყეში არასოდეს ყოფილხარ?

— ერთი პატარა ტყეა ჩემი ქალაქის გარეუბანში, მუხნარია. მამაჩემი წაგვიყვანდა ხოლმე კვირაობით, იქ ვისვენებდით და ვთამაშობდით. რკოს ვაგროვებდით. მე რატომღაც რკოს ქუდებს ვაცლიდი და ამ ქუდებს ვაგროვებდი. შინაც მომქონდა. მერე დედაჩემი მიჯავრდებოდა, ხან სად ეყარა ეს ქუდები და ხან სად.

— მაგრე ტყეს ვერ შეიყვარებ. ტყეში უნდა იარო ხშირად, სოკოები კრიფო, ფიჩხები აგროვო, ტყის პანტა იგემო, ხანდახან მხარი უნდა გეცვალოს და გზა ძლივს გამოაგნო.

— მაგნაირად არასოდეს მივლია ტყეში.

— აბა, ისე ტყეს რა შეგაყვარებს. ტყემ თუ მოგხიბლა და მოგაჯადოვა, მერე უიმისოდ ველარ გაძლებ.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს ტყეში დაიბადე, თითქოს ტყის ასული იყო.

— ტყეში არ დავბადებულვარ, მაგრამ ვიცი ტყე.

— საიდან იცი ასე კარგად?

— აქ ჩემი დაა გათხოვილი. ჩემი სიძე მეტყევეა. მამამისიც მეტყევე იყო, სახლ-კარიც ტყეშივე ჩაიდგა და იქ ცხოვრობდა. ახლა ჩემი სიძე და და ცხოვრობენ იმ სახლში, აგე, გაღმა რომ მაღალი მთაა, იქ ცხოვრობენ. — ხელი გაიშვირა ალიონამ მთვარის შუქში გამოკვეთილი მრავალკუზიანი მთისკენ, — სოფელი იმ მთის გადაღმა დაბლობში მდებარეობს, ისინი კი მთაზე ცხოვრობენ. ჩემი ყმაწვილქალობა იქა მაქვს გატარებული. ეს მთები და ტყე სულ ფეხდაფეხ მაქვს შემოვლილი.

— ახლა იქ მივდივართ? — ვკითხე მე.

— ჰო, იქ მივდივართ. იქიდან ქერჩამდე ორიოდე ნაბიჯილაა.

— იმ მთაზე როგორ უნდა ავიდეთ?

— არ არის ძნელი. მე ვიცი იქ ასასვლელი ბილიკები.

— შემოგვათენდება. ვერ მოვასწრებთ.

— მოვასწრებთ. აქ ჩამიჩუმი არ ისმის. წავიდეთ.

დაღმა დავექანეთ. ნაძვნარში შევედით. ბუჩქნარი და ჯაგნარი ხელს აღარ გვიშლიდა, ხეებს შორის გაძვრა-გამოძვრა ალიონა და მეც ახლო მივყვებოდი. მთვარის ისედაც მილნავებული შუქი აღარ აღწევდა ტყის სიღრმეში, სიბნელეში ალიონას შავი სილუეტი ჩანდა მხოლოდ, თვალს არ ვაშორებდი, ფეხდაფეხ მივყვებოდი. ასე მეგონა, რამდენიმე მეტრით ჩამორჩენაც საკმარისი იქნებოდა, უგზო-უკვლოდ ჩავკარგულიყავი ულრან ტყეში. ალიონა კი არა, ეშმაკიც ველარ მომაგნებდა. ამიტომაც ვცდილობდი, ერთი ნაბიჯითაც არ გაესწრო წინ ალიონას, თითქმის ზედ მის ზურგზე ვიყავი აკრული, მესმოდა მისი სუნთქვა, თავსაფრიდან თმები გამოყროდა და მათ სურნელსაც კი ვგრძნობდი. თითქოს შეტყუპებულნი ვიყავით და ღამის არშიები გვქონდა შემოხვეული.

უცებ რაღაცას წააწყდა ალიონა, წაიფორხილა, უნებურად უკან ხელი გამოიქნია, მეც უნებურად ვნვდი ჩემს მკერდზე მობჯენილ ხელს და წინ წაზნექილი გოგო შევაკავე. არ შეჩერებულა, გზა განაგრძო, ხელი მოშანდო, მეც ჩავებლაუჭე მის ხელს და ასე განვაგრძეთ სიარული.

ბრმასავით მივენდე ალიონას. ისე სტიქიურად და მოულოდნელად ჩავკიდე ხელი, აზრად არ მომსვლია, რომ ეს მშვენიერი გოგონას ხელი იყო. სხვა აზრი, აბა, რა უნდა გამჩენოდა, გოგო კინალამ წაიქცა და მე ხელი შევაშველე. ამ ღამეში ჩვენს მდგომარეობაში სხვა რა უნდა გამეფიქრებია, არც არაფერი გამიფიქრებია, კარგა ხანს ასე მივყვებოდი ჩემს წინამძღოლს. გულში ის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხარდა მხოლოდ, რაკი ხელჩაკიდებული მივყვები, არ დამეკარგებათქო.

მივდევდი ალიონას და სხვადასხვანაირი ჩიტების წკრიალ-წკრიალა ხმები, გუგულების შორეული გადაძახილ-გადმოძახილები განუწყვეტლივ მესმოდა. ხმაამოუღებლივ განვაგრძობდით სვლას და ტყის ფრინველთა საარაკო გალობა-კრიახს ისე ყურდაცქვეტილი ვუსმენდი, ყველა საფიქრალი გადამავიწყდა. ახლა იმაზე ვფიქრობდი, ამ დალოცვილებს შუაღამისას უსიერ ტყეში რა აყეფებთ, რა აკვნესებთ, თუ მღერიან, რაზე მღერიან-მეთქი. ალბათ ჩემი ეს ფიქრი გავაგრძელე ხმამაღლა, როცა ალიონას ვკითხე:

— ჩიტებს ღამით არ სძინავთ?

ალიონა არ შეჩერებულა.

— როგორ არ სძინავთ, — თქვა წინ-წინ მიმავალმა, — ჩიტებსაც სძინავთ, აიბუზებიან რტოზე ან გაიტრუნებიან ბუდეში და თვლემენ, მაგრამ ახლა მაისია.

— მერე რა, მაისი როა? — გავიკვირვე მე.

— რა დააძინებთ მაისში...

— ვითომ რატომ? — უფრო დავინტერესდი ჩიტების ძილღვიძილით.

მე მართლაც არაფერი ვიცი, ან ძალიან ცოტა ვიცი ჩიტებზე. სოფელში ზაფხულობით ჩავდიოდი. ერთხელ ბებიამ გაღმა სოფელში ნათესავთან წამიყვანა, შარამ რომ სოფლისკენ გადაუხვია, ერთი ხიდან ჩიტის წკრიალა ხმა შემომესმა. ბებია შეჩერდა, კაი ჩიტი, კაი ჩიტიო, თქვა, ხისკენ გამახედა, ტოტზე კუდაპრეხილი პატარა, ლამაზი ჩიტი ცქმუტავდა, ამას სკვინჩა ჰქვიაო, მითხრა, როცა წინ შემოგხვდება და შემოგძახებს, რაღაც ამბავს გატყობინებს, ამიტომ უნდა შესძახო მაშინათვე, კაი ჩიტითქო, და კარგ ამბავს დაგიტოვებსო. მას მერე მეხსიერებიდან არ მომშორებია სკვინჩა, რამდენჯერაც შემოძხვდება, ყოველთვის ისე ვიქცევი, როგორც ბებიამ დამარიგა. სხვა ჩიტებთან ამგვარი რამ არ შემხვედრია და არც ვიცი მათი ავანჩავანი. ზოოპარკებში მინახავს, წიგნებშიაც წამიკითხავს ბევრი მათგანის შესახებ, სკოლაშიც მისწავლია, მაგრამ სკვინჩასავით არცერთს არ ვიცნობ. ამიტომაც უფრო დამაინტერესა ახლა ჩიტების ძილღვიძილის ამბავმა.

— იმიტომ, რომ, — განაგრძო ალიონამ, — მაისში ისინი ერთმანეთს ეძებენ, ერთმანეთს უხმობენ.

— ესეიგი არშიყობენ; — ვკითხე ალიონას.

— ჰო, თავს აწონებენ ერთმანეთს, გათენებისას თავს იკლავს ბულბული გალობით, იცი, რატომ? — და მაშინვე გასცა პასუხი თავისსავე კითხვას, — მიჯნურს გასძახის, აქა ვარ, გელოდები, ყველას მე ვჯობივარო.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს მაგათი ენა ჩაბულბულებული გქონდეს, — ნიშნისმოგებით ვუთხარი მე.

— მაგათი ენა მარტო ღმერთს ესმის.

— აბა, შენ საიდან იცი ყველაფერი ის, რაც მითხარი?

— ვიცი, ბუდუ, ვიცი, არც ისე პატარა ვარ. ხომ გითხარი ყმაწვილქალობა აქ გავატარე-მეთქი.

— მერე რა?

— რა და, ის, რომ ყურს ვუგდებდი ამ ღვთისნიერებს. ამათ თუ გულისყურით მოუსმენ, არ შეიძლება, არ გაიგო მათი ჭირვარამი. შტერი კი არ ვიყავი, შე კაცო, ყურს ვუგდებდი და მესმოდა. გარდა ამისა, ჩემი სიძე ამ ტყეში დაბადებული და გაზრდილია. მაგათი პროფესორია. ის რომ ჩიტებზე ლაპარაკს დაგიწყებს, ვერანაირი ბრძენი მასე ვერ ილაპარაკებს. იმან მართლა იცის ჩიტების ენა.

ხელჩაკიდებული მივყავდი ულრანში და ჩიტებზე მესაუბრებოდა, ისე წარმტაცად მესაუბრებოდა მოჯადოებულივით მივდევდი, თავისი პატარა თითებიდან ხელის გამონთავისუფლება სულ არ მიცდია, თითქოს ხელი ჩაკიდებული კი არ მქონდა, ჩვენი თითები რაღაც უხილავი ბანდით იყო ერთმანეთზე მიკრული.

იმ ღამეს, შიშველი ჰილდა რომ შემოიყვანა და აფთარივით გაალმასებული იყო ვერასგზით ვერ გავიფიქრებდი, თუ ამ გოგოს თითებს ასეთი საამო სითბო ჰქონდათ. ეს სითბო ახლა მისი თითებიდან ჩემში გადმოდიოდა და მე ამას ვგრძნობდი. როგორ უნდა წარმომედგინა მაშინ, იმ ღამეს, ამას რომ მომხიბლავი საუბარი სცოდნია, ამდენი რამე უნახავს და გაუგონია, ჩიტებისათვის უსმენია და მათი ენაც იცის.

„საბრალო გოგო“, უცებ გამიელვა თავში და ერთი წამით გერმანელებთან ალიონას თავგადასავალი წარმომიდგა თვალწინ. ალბათ ამის გამო შემებრალა, ახლა ამ წუთს შემებრალა, შემეცოდა. იმ ღამესაც შემებრალა, რა თქმა უნდა, გერმანელების მხეცობის შემზარავი ამბავი რომ თქვა, თავზარი დამეცა, შემებრალა, მაგრამ მაშინ ეს სიბრალული ჰილდას გადარჩენის სურვილმა გამინელა, როგორმე შიშველი და შიშისაგან აცახცახებული ჰილდა გამომეგლიჯა ხელიდან, ამაზე ვფიქრობდი და ალბათ ასე მწვავედ არ მომედო მაშინ მისი სიბრალულის გრძნობა.

რაც ამ ულრანს შემოვყევით, რაც უცნობი ბილიკის საძებნელად გამომიყოლია, მასთან საუბარში, რასაკვირველია, ჰილდა აღარ გამხსენებია, კუნაპეტ ლამეში, ტყე-ღრეში ალიონას სახესა და სხეულს კარგად ვერ ვხედავ, ხანდახან მთვარის მკრთალ შუქზე აციმციმებულ თვალებს შევავლებ მზერას და მი-

ვყვები საიდუმლო ბილიკის მოსაძებნად. საიდუმლოა ეს ბილიკი იმიტომ, რომ მხოლოდ მან იცის, მე კი ბრმასავით მივყვები და ღმერთმა იცის, მივაგნებთ თუ არა ბილიკს.

საუბარში ისიც გადამავიწყდა, რომ ბილიკის საძებნელად მივდივართ.

იმ ღამეს სულ სხვა გოგო იყო ალიონა და ახლა სულ სხვა გოგოა, სულ სხვა გოგო ყოფილა. საბრალო გოგო-მეთქი, ამიტომაც გამიელვა თავში ამ ფიქრმა. მთვარემ და მთვარის ბილიკმა, ტყემ და ჩიტების ღამეულმა გალობამ სული მოუბრუნეს, ისევ ისეთი გახადეს, როგორიც იყო ომამდე, იქამდე, სანამ უმანკო სულს გაუთელავდნენ ულმერთოდ და უსაშველოდ, ასეთი ყოფილა, ამნაირი მომხიბლავი ყოფილა. ერთი წუთით გადაავიწყდა თავს დატეხილი უბედურება და ეს საკმარისი აღმოჩნდა უშუალოდ შეერთებოდა მთვარიანი ცისა, ტყისა და მთების ღამეულ სიმშვიდესა და სიმყუდროვეს. მე კი მისი უბედურება გამახსენდა ახლა და შემებრალა, შემეცოდა. გავიფიქრე, ნეტავი რამე შემეძლოს, ამ გოგოს გული მოვუფონო, თუ ღვთის რისხვა, რაც თავს დაატყდა ასე უდროოდ, გადაავიწყდება, აღარ გაახსენდება, ნეტავი აღარც გათენდებოდეს, ამ ღამეში ტყეში და ღვთიურ ფრინველებთან დარჩეს-მეთქი.

ასე ვფიქრობდი და საამოდ მედებოდა სხეულზე მისი თითებიდან გადმოსული სითბო.

კიდევ კარგა ხანს ვიარეთ. ხელს არ მიშვებდა, მითხრა კიდეც, ხელი მაგრად ჩამკიდე, აქ რომ დამეკარგო, მერე სადღა მოგძებნო ამ ულრანშიო. მეჟღურტულება რაღაცრაღაცეებს. ხანდახან შეჩერდება, ტყეს მიაყურადებს, ისევ მიდის და მეც მივყვები. რამდენიმე ზეგანი გადავიარეთ, ხან აღმა მივიკვლევთ გზას, ხან — დაღმა. ერთხელ ვკითხე, ამ საუბარში გზა ხომ არ აგებნა-მეთქი. არაო, გულდაჯერებულმა მითხრა, საცაა მალე მივალთო.

და მართლაც მივაღწიეთ, მივედით.

მთის თავზე პატარა ველობს წავადექით, მთვარის მკრთალ შუქზე შუა ველობზე ჩაბნელებული სახლი გამოჩნდა. ველობს როგორც კი მივადექით, ალიონა ტყეშივე შეჩერდა, მითხრა, შენ აქ დამელოდეო და ხელი გამიშვა, ნელი ნაბიჯით სახლისკენ გაემართა.

ისე მოულოდნელად წავაწყდით მთის თავზე თითქოს საგანგებოდ გაბრტყელებულ ველობსა და მასზე მდგარ სახლს, რომ სახტად დავრჩი, ვერასგზით ვერ წარმოვიდგენდი, რომ აქ სახლი იდგა. მთვარის მიმქრალ ნათელზე მიმავალ ალიონას თვალს არ ვაშორებდი, აჩრდილივით უხლოვდება ალიონა სახლს და მე გაოცებული შევყურებ ველობს, სახლსა და ალიონას.

რაც ჯარში ვარ, მოულოდნელ შემთხვევებს, სასიამოვნო თუ არასასიამოვნო, — რა თქმა უნდა, მეტწილად არასასიამოვნო, — შეხვედრებს შევეჩვიე, ისე შევეჩვიე, რომ ამ ბოლო დღეებში თითქმის აღარც მიკვირს. მიკვირს კიარადა, ჩვეულებრივ მოვლენებად მიმაჩნია, თითქოს ასედაც უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა, უფრო ის გამიკვირდებოდა ალბათ, ასე რომ არ მომხდარიყო, როგორც მოხდა.

ხანდახან თუ სადმე ცოტა ხნით გავხაპირდებოდი და ჩემ თავთან მარტო დავრჩებოდი, გავიფიქრებდი, ნეტავი ჩემი საწყალი წინაპრებიც თუ ჩავარდნილან იმ დღეში, როგორშიც ახლა მე ვარ-მეთქი. ახლა, რა თქმა უნდა, სხვა ომია და მაშინ, იმათი ომი სხვა ომი იყო. მაგრამ ბრძოლა ბრძოლაა, ომი საერთოდ ყოველ დროში იმისი იყო, რომ მოსისხლე მტერს მისდევ ან მოგდევს, შეეხლები ან შეგეხლება. ქუდზე კაციო, დაიძახებდნენ, ამხედრდებოდა ჩემი წინაპარი გლეხი მეფის დაძახილზე, აიკიდებდა საგზალს, შეუერთდებოდა ჯარს და ხმალამოღებული მეფესთან ერთად დახვდებოდა მომხვდურ მტერს, ან დაარბევდა მტრის ურდოს, ან მტრის ურდო მოეძალებოდა და იწყებოდა ტყე-ტყე, ღრე-ღრე, მინდორ-მინდორ, მთამთა ხეტიალი, წონიალი, ღონწიალი, ძალის მოსაკრებად, სულის მოსათქმელად მიმალვა და დროებით მიყუჩება. რამდენი მოულოდნელი შეხვედრა, ხიფათი დახვდებოდა წინ, მოულოდნელი, სრულიად გაუთვალისწინებელი, სწორედ ისეთი, როგორიც მე შემხვდა ამ ომში, განსაკუთრებით ბოლო ათ დღეში.

თუნდაც ამგვარი, როგორსაც აქ, უკაცურ მთასა და ტყეში ნავაწყდი, აგერ, მთის თავზე ტყით შემოზღუდულ პატარა მდელოზე მთვარის უსიცოცხლო ნათელში ალანდულ სახლთან.

ის კი, რაც მერე მოხდა ამ ადამიანისშვილთაგან განაპირებულ ქოხში, რაც მის ჭერქვეშ თავს დამატეხა ალიონამ, ამას კი მართლაც ვერ გავითვალისწინებდი, ამისთანა რამეს ვერ მოვიაზრებდი, ვერ გავიფიქრებდი. მე საბრძოლო ბრძანებას ვასრულებდი, თუ ქერჩში გადასასვლელი საიდუმლო ბილიკი აღმოჩნდებოდა, სულმოუთქმელად უკან უნდა გავბრუნებულიყავი, გავბრუნებულიყავი რას მიქვია, კისრისტეხით უნდა ჩაგვერბინა ძლივს გამოვლილი კლდე-ღრე და რაც შეიძლება მალე გვეცნობებია ეს მაიორ კლიმოვისათვის. ყოველი წუთი ძვირფასი იყო, ყოველი წუთი გადარჩენის, აზოვის ზღვასთან უიმედოდ მიყრილი ჯარისკაცების ხსნისა და გადარჩენის ტოლფასი იყო და ოდნავი შეყოვნება ჩვენი მხრივ შეიძლება საბედისწერო ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ჯადოქარმა ალიონამ მაცდუნა და შემაყოვნა.

სახლს გარშემო შემოუარა. სახლი ჩაბნელებული იყო, არსაიდან სინათლე არ გამოსჭვიოდა. ალიონა აჩრდილივით მიადგა კარს, ღამის სიმშვიდეში მკაფიოდ გავიგონე კარზე კაკუნი. რამდენჯერმე განმეორდა კაკუნი. მერე ალიონა ტყის ნაპირისკენ გაემართა, ტყეში შეიმალა. მალე ისევ გამოვიდა ტყიდან, კართან მივიდა. ცოტა ხანში კარი შეაღო, ხელი დამიქნია, მოდიო. რამდენიმე ნახტომით მასთან გავჩნდი და სახლში შევეედით. ალიოხამ კარი მიხურა, შინ არ არიან, გასაღები კი დაუტოვებიათ, იქ, ერთი ხის ფუღუროში ვინახავთ ხოლმე, ახლაც იქ დამხვდაო.

ოთახში შევედით, ხელების ფათურით ასანთს მიაგნო, გაჰკრა, ასანთის ღერზე აციმციმებული ალის ულიმღამო შუქი სახეზე მიეფინა. ლამპა აანთო და მაგიდაზე დადო კართან ატუზულს მითხრა, დაჯექიო. მაგიდასთან სკამზე დავჯექი. ტყე-ღრეში სიარულით გასავათებულს მეამა ჩამოჯდომა, სული მოვითქვი, ოთახი მივათვალ-მოვათვალიერე.

ალიონამ ლამპა აიღო და მეორე ოთახში გავიდა, სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში შეიხედა. მალე ლამპა კვლავ მაგიდაზე დადო, ჩამოჯდა.

— შინ არ არიან, — თქვა ალიონამ.

— ვხედავ, რომ არ არიან, — ამოვიღე ხმა მეც.

— ამ დროს ყოველთვის შინ იყვნენ.

— იქნებ...

— არა, არა, — მიხვდა რაც უნდა მეთქვა და სიტყვა შემაწყვეტინა, შინ ყველაფერი რიგზეა, გერმანელების დარბეულს არა ჰგავს. კარიც ჩაკეტილი იყო ჩვეულებრივად.

— იქნებ საშიშროება იგრძნეს და გაერიდნენ აქაურობას?

— აქ რა საშიშროება უნდა ეგრძნოთ?

— როგორ თუ რა საშიშროება, — გავიოცე მე, — ჩვენ ამოვაღწიეთ ამ ღამეში და გერმანელები ვერ ამოაღწევენ?

— რა უნდათ აქ გერმანელებს, — ისე გულდაჯერებით თქვა, თითქოს მართლაც არაფერი ესაქმებოდეთ აქ გერმანელებს.

— შენს სოფელში რა უნდოდათ?

— ჩემი სოფელი სხვაა.

— მარტო სოფლებს და ქალაქებს კი არ იპყრობენ გერმანელები.

— ვიცი, ვიცი... მერე აქაც ამოვლენ. ეგ ვიცი, ბუდუ, მაგრამ ახლა, ჯერჯერობით ამ ულრანში ჩვენი ჯარის ნაწილები არ ეგულებათ და რატომ გაიჭირვებენ, ტყუილა აქ რატომ უნდა ამოვიდნენ?!

— რა ვქნათ ახლა? — ვკითხე მე.

— ცოტა ხანს შევიცადოთ.

— არა, არა აქ მოცდა აღარ ივარგებს. გველოდებიან. ხომ გახსოვს, მაიორმა რა გვიბრძანა?

ჯერ აქაურობას ჩვენ თვითონ მოვავლოთ თვალიო, მითხრა და გარეთ გავედით. ველობის ოთხივე მხარეს გადავადექით. ეტყობა აქედან გარშემო ჩინებული გადასახედია, მაგრამ ახლა სიბნელეში გათქვეფილი მთების კონტურები ძლივს გასარჩევად ჩანან მთვარის სიფრიფანა შუქზე, მთებს შორის უბეები კი მხოლოდ სიბნელითაა ამოვსებული და, რა თქმა უნდა, არაფერი ჩანს.

ალიონამ ველარ გაიხსენა, რომელ მხარეს არის ქერჩი. ერთხელ კი გაჰყოლია აქედან დას ფეხით, აქედან მიმავალი ბილიკებით გადასულან, მაგრამ ახლა ველარ მოიმხრო. მთხოვა, გათენებამდე დიდი-დიდი ორი საათიღა დარჩა, შევჩერდეთ, ან ჩემი სიძე გამოჩნდება, ანდა ჩვენ თვითონ რომ გადავხედავთ შეთენებულში, ძნელი არ იქნება იმაში გარკვევა, ამ გზით შეიძლება თუ არა ქერჩამდე გაღწევა, ქერჩამდე კი ორიოდე კილომეტრიაო. ამას კიდევ ის ვარაუდიც მოაყოლა, ეგებ ჩემი და და სიძე აქვე სადმე ახლომახლო არიან გასულნი, შეთენებისას შემობრუნდებიან, აბა, რა იქნებაო.

აღარ გავძალიანებივარ, ჭკუაში დამიჯდა ეს აზრი, ამხელა გზა ამოვიარეთ, გერმანელების ჭაჭანება არ არის, გათენებამდე მართლაც ბევრი აღარ დარჩენილა, ბარემ ბოლომდე გავარკვიოთ, რა მდგომარეობაა ამ გზაზე, ისე ამოვბობღდით, კაციშვილი არ გადაგვყრია, იქნებ აქედან თავისუფალია ქერჩში შესაღწევი ბილიკები. ასე რომ დავბრუნდეთ, ხომ მთლად პირში ჩალაგამოვლებულები მივუვალთ მაიორს. დღის სინათლეზე ყველაფერი გარკვევით გამოჩნდება.

კარგი-მეთქი, დავეთანხმე ალიონას და ქოხში დავბრუნდით.

კვლავ ჩემს სკამზე მოვკალათდი.

— ძალლივით მომშივდა, — თქვა ალიონამ და მაგიდაზე დააწყო თავსაფარში გამოხვეული საგზალი,, რაც მაიორმა გამოგვატანა — რამდენიმე ცალი ორცხობილა, — სამზარეულოშიაც შევიხედავ, უეჭველად ექნება ჩემ დას რამე გადანახული.

სამზარეულოში გავიდა.

ბევრი არ დაუყოვნებია, კარი შემოაღო, შედგა, ბოთლიანი ხელი მაღლა შემართა და შესძახა:

— ჩემი და თადარიგიანი ქალია, ხომ გითხარი!

არყით სავსე ბოთლი მაგიდაზე დადო. მალევე გაბრუნდა და თეფშით ჩამწნილებული ტყის ვაშლი შემოიტანა, თეფშითვე მომაწოდა, გასინჯეო. ავიღე პანტა ვაშლი და ჩავკბიჩე. პირველად ვიგემე ჩამწნილებული ვაშ-

ლი, მეგემრიელა, რა კარგი ყოფილა-მეთქი, ვუთხარი.

— ჩემმა დამ მიაგნო მაგის საიდუმლოებას, ასე გემრიელად ჩამწნილებული იმიტომ გამოუდის. მეც ყველაფერს ისე ვაზავებ, როგორც მასწავლა, მაგრამ ჩემი მაინც სხვანაირი გამოდის, ასე გემრიელი არ არის.

ერთი ჭიქა ჩემს წინ დადო, ერთიც თვითონ დაიდო, დაასხა არაყი, ეგაც ჩემი სიძის გამოხდილიაო.

— პანტასა და კვიჭიჭა მსხალს დაკრეფს, დიდ კასრში ჰყრის, აამძაღებს და მერე ხდის, გამოსახდელი ქვაბიც აქვს თავისი. როცა დალევ, ვაშლიც მიაყოლე, ამაზე უკეთესს ვერაფერს იგემებ, — თქვა ალიონამ და ჭიქა შემართა, — ვის გაუმარჯოს? — მომაჩერდა და მკითხა.

მეც შევმართე ჭიქა, ისე გულუბრყვილოდ მკითხა, თითქოს ჯერ მის სიცოცხლეში სადღეგრძელო არ ეთქვას, არც მე ვიყავი მაინცდამაინც დახელოვნებული სადღეგრძელოებში და ესღა მოვახერხე:

— შენ გაგიმარჯოს, შენ ძალიან კარგი გოგო ყოფილხარ!

მივიყუდე ჭიქა და სულმოუთქმელად გადავკარი, პანტა მივაყოლე და არყის მყრალი სუნი მაშინვე მომაშორა ნესტოებიდან.

ალიონას არაფერი უთქვამს, ჭიქა პირთან მიიტანა, თვალებიც ჭიქაში ჩაუბრუნდა და ნელნელა გამოსცალა, პანტა მოკბიჩა იმანაც, ჩამოჯდა, სული მოითქვა და ჩემთვის არ შეუხედავს, ცარიელ ჭიქას დაშტერებულმა თქვა:

— იმ დღეს რომ ჩამასხეს ძალით ხახაში, ის იყო და ის, არც მანამდე და არც მერე არაყი არ დამილევია. პირველად დავლიე ახლა. შენ არ ცდები, მე მართლა კარგი გოგო ვიყავი. იმიტომ კი არ ვიყავი კარგი გოგო, არაყს რომ არ ვსვამდი. უამისოდაც კარგი გოგო ვიყავი.

— ყოველთვის კარგი გოგო იქნებოდი შენ, ალიონა, — დავუდასტურე მე და, მართალი გითხრათ, არც დავკვირვებივარ, ვიყავიო, რომ თქვა, არაყი თანდათან მომედო ჯანზე და მერეღა მივხვდი, რატომ თქვა ასე, — ვიყავიო, ნუ ამბობ.

— აბა, რა?

— ახლა...

— ახლა რაღა გოგო ვარ, — შემაწყვეტინა სიტყვა.

— ნუ ამბობ მაგრე.

— მაშ, როგორ ვთქვა?

— შენ ალბათ არ იცი შენი ფასი.

— რაღა ფასი მაქვს ანი.

— შენ ლამაზი გოგო ხარ, ალიონა.

— მარტოდენ სილამაზე ვის რა ნაცრად მივაყარო?!

— შენ სულიც ლამაზი გაქვს, აივაზოვსკის ზღვა გიყვარს და ჩიტების [illegible].

— კარგი ერთი!

— ყველას კი არ შეუძლია აივაზოვსკის ზღვის შეგრძნება და ჩიტების ენის გაგება.

— მერედა ვის რად უნდა ეს?

— არიან ბიჭები, რომლებიც ეძებენ ამისთანა გოგოს.

— მე ვინღა მომძებნის?

— მოგძებნის.

— ვინ?

— ვინც გადარჩება ამ ომში. დაბრუნდებიან და მოგძებნიან.

— მერე მე...

— რაც შენ თავს გადაგხდა, — შევაწყვეტინე სიტყვა, — მაგი ომის ბრალია, ტრაგედიაა შენი.

ალიონამ ჭიქები შეავსო, აიღო თავისი ჭიქა, ძროთი ჩემს ჭიქას მიუჯახუნა, ეგაც უხმოდ გადაჰკრა, მეც არაფერი მითქვამს, ისე დავლიე.

ნიდაყვში მოხრილი მკლავები მაგიდაზე ჩამოაყრდნო, შემომაჩერდა და თქვა:

— მითხარი, ბუდუ, ოღონდ მართალი მითხარი, ვაჟკაცურად, პირდაპირ, ჩემს გამხნევებას ნუ ეცდები. ვთქვათ შენ შეგხვედროდი, შეგყვარებოდი და მერე მეამბნა ჩემი თავგადასავალი. შეგეზიზღებოდი? — უცებ წამოდგა და აჩქარებული ნაბიჯით კარისაკენ გაემართა, თან ლაპარაკს განაგრძობდა: — არა, არა! რა სისულელეს ვროშავ... აბა, ეგ რა შეკითხვაა... ნუ, ნუ მიპასუხებ... ჩერჩეტი ვარ, ჩერჩეტი.

კარი გაალო და გავარდა.

მე ერთხანს გაოგნებული ვიჯექი. არაყმა თავისი ფრთები საკმაოდ ლაღად გაშალა ჩემს სხეულში, მაღლა-მაღლა მეზიდებოდა და მეც სიამოვნებით მივნებდი. სიტყვა ყელში მომებჯინა, თითქოს გამიხარდა კიდეც, რომ ალიონა გარეთ გავარდა, მაშინვე პასუხის გაცემა არ დამჭირდა. როგორც კი გაეიდა ალიონა, არაყი მე თვითონ დავისხი, ხელი ვტაცე ჭიქას და სულმოუთქმელად გადავკარი.

— არ შეგიზიზღებდი, ალიონა, არა! — გავძახე კარს მიღმა მიმალულ ალიონას, — დედას გეფიცები, არ შეგიზიზღებდი!

მომეჩვენა, კარს მიღმა იდგა კედელზე შუბლმიბჯენილი და გულამოსკვნილი ტიროდა. ცოტახანს ველოდე. მესამე ჭიქა არაყმა გულის ძირამდე ჩაალწია, რაც რამე კარგი და ადამიანური მქონდა შიგ დაგროვილი, გულის ძირზე დალექილი, სიკეთე და მოყვასთა სიყვარული, თანაგრძნობა და თანადგომა, სხვათათვის გასანდობი და გასანაწილებელი, რაც ჯერ კიდევ ვერ გამომეყენებინა, ყველაფერი ეს მესამე ჭიქა არყის ცეცხლმა გულის გულზე ამოატივტივა, თავზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგა გულის გულს და თავი ველარ შევიკავე, წამოვდექი, ლამფა ხელით წინ წავიმძღვარე, კართან მივედი, მივაყურადე, კარს მიღმა ჩამიჩუმი არ ისმის, რომ მეგონა, ალიონას ტირილსა და ზლუქუნს გავიგონებდი, არაფერი ამისდაგვარი არ გამიგონია. კვლავაც მივაყურადე, მერე კარი შევალე და ლამფიანი ხელი მეორე ოთახში შევყავი, მაგრამ ელდანაცემი კარის ზღურბლზე გავქვავდი.

რაც ვიხილე, ეს უკვე სიზმარს გავდა:

ალიონა კარადასთან მთლად შიშველი დგას, მის ფერხთით ბამბის კურტაკი და რაც ზედ ეცვა, ის ტანისამოსი ყრია, ვარდისფერი კაბის სახელოებში მკლავები გაეყარა, კაბის საყელო თავზე ჩამოეცვა, ცდილობდა თავის გაყოფას და ტანზე კაბის ჩამოცურებას, თავი ჯერ გაყოფილი არ ჰქონდა და ხელებში შეჭმუჭვნილი კაბა მხოლოდ ყელთან ჰქონდა შექუჩებული. პატარა ძუძუები ამობურცვოდა მკერდზე, ყვითელი გულაბი მსხლებივით აჯდა, ძუძუსთავები ამობზეკოდა. წინ გაშვერილი ლამფიანი ხელი თითქოს შემახმა, მეც გავშეშდი, ასე ვდგავარ კარის ზღურბლზე და თვალები ძუძუებიდან ალიონას შიშველ ტანს ქვემოდ ჩავაყოლე, ვიწრო წელსა და თითქოს სანთლისგან ჩამოთლილ სწორ ფეხებს ორივე მხარეს ოდნავ გამოფართოებული თეძოები აერთებს და ასე მგონია, რომელიღაც გამოჩენილი მხატვრის სურათს ვუყურებ.

ამის მსგავსი გოგონას სხეულის წარმოდგენა მე, რაღა თქმა უნდა, არ შემეძლო, ნამით თვალი რომ შევავლე, მართლა ნახატი მეგონა.

მაგრამ, აჰა, ალიონა შეირხა, ვარდისფერი კაბის საყელოში თავი გაჰყო და კაბის კალთები ნელნელა ჩამოაცურა, ჯერ ძუძუების ბორცვები შემალა კაბის უბეში და ოდნავ წამოხრილმა ტანზე შემოსალტული კაბა მუხლისთავამდე ჩამოაცურა. გასწორდა, შემომხედა, არ შეუცხადებია, გაოგნებული რომ მივშტერებოდი, მიმოშლილი თმები უკან გადაიკრიფა, მე ერთხელ კიდევ ჩავაყოლე თვალი ფეხებამდე, ვარდისფერი კაბა ვარდისფერ ნისლივით მოტმასნოდა, ლამფის შუქი მხოლოდ კაბამდე წვდებოდა, უკნიდან ოთახის ბინდბუნდი მოსწოლოდა და ეს მართლა სიზმარი იყო. ალიონა ნაღვლიანი თვალებით შემომაჩერდა, არ გამიჯავრდა, არ დამტუქსა, ოდნავ გასაგონად ესლა თქვა:

— გავიგონე, ბუდუ, რაც მიპასუხე, გავიგონე... მადლობთ!.. წადი და დამელოდე.

მე მილურსმული ვიდექი კარის ზღურბლთან, ვერც ალიონასაკენ გადადგი ფეხი და ვერც უკან შემოვბრუნდი. წადიო რომ თქვა, კი გავიგონე, მაგრამ ვერ შევბრუნდი და ვერ წავედი, გალენჩებული შევცქეროდი ოთახის სიბნელეზე მიხატულ ალიონას ვარდისფერ კაბაში გამოკვეთილ ტანს.

რა პატარა და თხელი გოგო ყოფილა, რა დიდი ჩანდა ბამბის კურტაკსა და კერზეს ჩექმებში!

ერთი წუთით შევავლე თვალი მის შიშველ სხეულს, პატარა, თითქოს ახლახან აკოკრებულ ძუძუებს და მისმა სინორჩემ დამატყვევა. კარი რომ შევალე, თუმცა თვალებზე ჩასაცმელად შემართული კაბა ეფარა და ვერ დამინახა, მაგრამ ხომ გაიგონებდა კარის ღრჭიალს, რა თქმა უნდა, იგრძნო, რომ კარი შევალე და არ დაფეთებულა, არ ცდილა სასწრაფოდ დაეფარა სიშიშვლე, გულდაგულ, ნელნელა ჩამოიწია თავზე ჩამოცმული კაბა, მშვიდად შემომხედა კარში გაჩხერილს და ასევე მშვიდად თქვა, წადიო.

მე ვერ მივდიოდი, ვერ ვაცილებდი თვალს, ლამფიან ხელს ვერ ვანძრევდი, მეშინოდა, ლამფის შუქი არ ასხლტენოდა ალიონას და ეს ზმანება თუ მოლანდება არ დამკარგვოდა.

არც ალიონა იძროდა ადგილიდან, რაღა თქმა უნდა, მიხვდებოდა, რა დღეშიაც ვიყავი და ისევ ნაღვლიანად თქვა:

— წადი, ბუდუ... დამელოდე... მე მოვალ...

ალიონას იმლამინდელი კაბა რომ მაგონდება, მაგონდება კიარა, თვალწინ მიდგას ცხადად კაბა კიარა, ქსოვილი კიარა, თითქოს მისი ნორჩი, ჩამოქნილი და საკმაოდ მკვრივი სხეულის ნაწილი იყო, უფრო სწორად, ამ სხეულზე გადაჭიმული ბაცი ვარდისფერი ტყავი, რომელსაც ცისფერი წერტილები უამრავ, დაუთვლელ ხალივით აჩნდა. მხრებთან ორი თითის დადებაზე მოკლე სახელოები შემოტმასნოდა მკლავებზე და მკლავების სითეთრე ისე შესამჩნევი იყო, თვალს რო ჩააყოლებდი, გეფანტებოდა ის ილუზია, თითქოს კაბა მისივე სხეულზე გადატმასნილი კანიაო.

კაბა და გოგო ასე ერთმანეთისაგან განუყოფელი და გაუთიშველი არ მინახავს. თუმცა ჩემი ასაკის ბიჭს ჯერ რა კაბები და შეიდიშები უნდა ქონოდა ნახული, მე მაინც ასე წარმოვიდგინე, ზოგი რამ ნახულის მიხედვით, ზოგიც ვივარაუდე და ამიტომაც ასე დავასკვენი — ამ კაბის აძრობა ალბათ აღარ შეიძლებოდა ამ გოგოს ტანიდან, იგი ისე შესისხლხორცებოდა და შეთვისებოდა მის სხეულს.

ამაში მერე უფრო დავრწმუნდი, როცა ალიონას ძლივძლივობით თვალი მოვწყვიტე, რაკი მითხრა, წადი, ბუდუ, დამელოდე, მე მოვალო და ოთახში შემოვბრუნდი, მაგიდასთან მივედი, რატომღაც არყის ბოთლს დავაშტერდი. არყის განახევრებულ ბოთლს კი

ვუყურებდი, მაგრამ თვალწინ ახალ კაბაში გამოკვანწული ალიონა მედგა.

უცებ შემომესმა:

— ბუდუ!

შემოვბრუნდი.

ალიონა კარში იდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადმოედგა ჩემკენ, შეჩერდა, კოპწიად შემოტრიალდა. კვლავ შემომაჩერდა და მკითხა:

— მიხდება?

რა-მეთქი მივაგებე.

— რა და, კაბა.

— ჰო, კაბა. ძალიან გიხდება. ასე მგონია, ღმერთმა მაგ კაბიანად გაგაჩინა.

— მართლა ასე გგონია?! — ბავშვივით გულუბრყვილოდ შემომძახა ალიონამ.

— ჰო, ასე მგონია.

— ამ კაბას მხოლოდ აქ ვიცმევ. შარშანწინ ჩემმა დამ შემიკერა. აქ, ჩემ დასთან მაქვს დატოვებული, როცა ამოვდიოდი, მაშინ ვიცმევდი მხოლოდ. ჯერ არავის არ უთქვამს, გიხდებაო. პირველად შენ მეუბნები, გიხდებაო, შენ მოგეწონა.

— ძალიან გიხდება. — გავიმეორე მე.

— ასე მეგონა, აღარ მომიხდებოდა.

— რატომ გეგონა ასე? — კი მივხვდი, რატომ ეგონა ასე, მაგრამ მაინც გავიოცე. — ეს რამ გაფიქრებინა?!

— რა ვიცი. — თქვა ძლივს გასაგონად. — შენ რომ არ ამომყოლოდი აქ, ამ კაბას აღარც ჩავიცვამდი.

— რას ამბობ?! ამ კაბას შეელეოდი?!

— შევეელეოდი. ამ კაბაში თავი ბავშვი მგონია.

— ბავშვი ხარ, აბა, რა ხარ?!

— მე რაღა ბავშვი ვარ, ბუდუ.

კარგად გავიგე, რაც უნდოდა ეთქვა. მეტი აღარც არაფერი ამომცდენია პირიდან, აღარ მოჰყოლია იმის მტკიცებას, რატომ აღარ არის ბავშვი, მაგრამ ეს ისეთი სევდიანი კილოთი თქვა, ჩემთვის გასაგები იყო, რას გულისხმობდა. მეც აღარ ჩავძიებივარ, ახლა იგი ბედნიერი მიმაჩნდა, რაკი ეს კაბა გადაიცვა, რაკი მთელი მისი ქალიშვილური მშვენიერება გამომიჩინა, მაშასადამე თავს გადამხდარი უბედურება აღარ სურდა გაეხსენებია. ჩემს მეტი ახლა მასთან არავინ იყო და, რასაკვირველია, ყველაფერი ეს იმიტომ გააკეთა, ჩემი ყურადღება მიექცია, ჩემთვის მოეწონებია თავი. შესძლო კიდეც ეს. მონუსხული ვუცქეროდი. თუმცა აღტაცებული კი არ ვიყავი ამ მოულოდნელი ელდით, არამედ გაკვირვებული ვათვალიერებდი, ნუთუ ეს ის გაავებული გოგოა, რომელიც წუხელი გავიცანი, რომლის თავგადასავალიც ვიცოდი. არყით შეხურებულს მართლაც მეჩვენებოდა, ამაზე ლამაზი გოგო ალბათ შეუძლებელია დედამიწაზე მეორეც არსებობდეს, მაგრამ ვნებიანად კი არ შევყურებდი, [illegible] სიბრალულით მივჩერებოდი, [illegible] სიბრალულით ავყევი, მინდოდა დავიწყნოდა ყველაფერი და ახლა, ამჟამად, აქ, ამწუთას ისე ეგრძნო თავი, თითქოს დასთან საზაფხულო არდადეგების დროს ამოსულიყოს და მოულოდნელად აქ მე გადავყროდე.

მაგიდისკენ შევბრუნდი, არყიან ბოთლს ხელი ჩავავლე.

— არ გინდა, ბუდუ, მეტს ნულა დავლევთ, — შემევედრა ალიონა.

— ნულა დავლევთ?!

— ჰო, თორემ დავთვრებით.

— მერე რა! რა მოხდება?!

— არაფერიც არ მოხდება. არ მინდა ახლა ზომაზე მეტად დავითვრეთ. განსაკუთრებით შენ.

— მე?!

— ჰო.

— რატომ?!

— რა ვიცი. ახლა ასე მინდა.

— მე კი შენი სადღეგრძელო მინდოდა მეთქვა.

— ჩემი?! — ისე შემომხედა, თითქოს ჯერ საერთოდ არავის ედღეგრძელებინოს და გაუკვირდა.

— კი, შენი.

— რა უნდა მითხრა?

— ამას, ჭიქას რო შევმართავ, მაშინ გეტყვი.

— მაინც რას მეტყვი?

— ლამაზი გოგო რო ხარ, იმას გეტყვი, დედამიწაზე ყველაზე კოხტა კაბა რო გაცვია, იმას გეტყვი, კიდევ გეტყვი, რომ... — ენა შემებორკა და სიტყვა ველარ გავაგრძელე. — დალახვროს ეშმაკმა. ხო გითხარი, ჭიქას რო შევმართავ, სიტყვებსაც მაშინ მოვძებნი-მეთქი.

ალიონა მომიახლოვდა, ხელში შერჩენილი ბოთლი გამომართვა, მაგიდაზე დადო, ჩემ წინ ისე ახლო დადგა, თითქმის ზედ ამეკრა, თხელ კაბაში ამობურცული ძუძუსთავების შეხება ვიგრძენი, მკერდზე თითქოს ცხელი შანთები მომებჯინა. თვალებში ისეთი ბინდბუნდი ჩაუდგა, გეგონებოდა, მთელი ქვეყნის დარდ-ვარამის ნისლი ყოფილიყოს.

— რაც მითხარი, ისიც კმარა, ბუდუ, მეტი რაღა უნდა მითხრა?! ასეთი სადღეგრძელო ჯერ ჩემთვის არავის უთქვამს. რაღად გინდა ჭიქა, რაც კიდევ უნდა გეთქვა და არ გითქვამს, იმასაც მივხვდი, გავიგონე, შემომესმა. ჩუ... ჩუ... მეტი აღარაფერი მითხრა... არაყი აღარ გინდა... მოდი, ვიცეკვოთ.

ყელზე მკლავები შემომჭიდა, ლამის ჩამომეკიდა. არა, სიმძიმე არ მიგრძვნია, ჩამოკიდებულს არ ჰგავდა, ისკიარადა, მეც ავმჩატდი, თითქოს იატაკზე არც მედგა ფეხი, ნია-

ვივით წამიზიდა, იმ დროს გავრცელებული ტანგო ჩაიღიღინა და მონუსხულივით მეც მივყევი.

მკერდზე ამეკრა, ისე მჭიდროდ ამეკრა, პატარა, მკვრივი ძუძუები გულისფიცარზე ოდნავ შემესრისა, თავი ოდნავ უკან გადასწია, ტანგოს ღიღინი შესწყვიტა, ისევ და ისევ ხელნელა თავისკენ მიმეზიდებოდა, თვალებში შემომაჩერდა და ამომჩურჩულა:

— ბუდუ, მაკოცე.

## ჩანართი

ენა დაებორკა ბუდუ ბედიას. ენაწყლიანი არასოდეს ყოფილა, სულ ვთათხავდი, ბუსავით რომ შემოგვეკედლები, პირში წყალს ჩაიგუბებ და თვალებს აბრიალებ, ხანდახან ხმაც ამოიღე, წამოგვეშველე მტყუან-მართლის განსჯისას მაინც, მოგზავნილივით ნუ გვისმენთქო.

რა თქმა უნდა, მოგზავნილი და ჯაშუში რომ არ იყო, ეს კარგად ვიცოდით, — მაშინ ძალზე მომრავლდნენ მოგზავნილები და ჯაშუშები, იშვიათად იქნებოდა, სამ კაცში ერთი ასეთი არ ყოფილიყო, სულ რომ აზრად არ გაგიელვებდა, ისეთებიც კი იყვნენ ამ საქმეში გადაბირებულნი, ხანდახან შვილსაც კი გაჰქონდა ამბავი ოჯახიდან, ერთ ამნაირ შვილს ძეგლიც კი აუგეს, — ბუდუ ბედიაზე ამას როგორ გავიფიქრებდით, მაგრამ იმიტომ, რომ საუბარში ჩაგვეთრია, მოგზავნილივით ნუ გვისმენო, ასეც შევძახებდით. შენც არ მომიკვდე, სანამდე თვითონ არ ისურვებდა და არ ამოღერღავდა ორიოდე სიტყვას, ხმას ვერ ამოაღებინებდი.

რაც აქამდე გიამბეთ, ეს კი სულ მისივე სიტყვებით გადმოგეცით. ის კი არ გამკვირვებია, დალაგებულად რომ ჩამოფქვა ყველაფერი, ლიტერატორი კაცია, ჩუმად ლექსებსაც რომ წერს, ესეც ვიცი, არავისთვის გაუმხელია ეს ჯერჯერობით, მე მაკითხებს ხოლმე და კეტს ვუჩაჩქუნებ თავში, ამ ლექსებს ვის უნახავ, — ერთხელ ისიც კი ვუთხარი, ბარათაშვილი არა ხარ, იმის იმედი რომ გქონდეს, სადმე ილია ჭავჭავაძე მოიხელთებს შენს ლექსებს და ის გადაარჩენსთქო, — მაგრამ დღეს ეს ლექსები ბევრს დააინტერესებს და ვის უნახავ, გამოაქვეყნე-მეთქი. არა და არაო, ქვა შეისროლა და შუბლი შეუშვირა.

ჰოდა, ის კი არ გამკვირვებია, დალაგებულად რომ ჩამოფქვა ყველაფერი, ის გამიკვირდა, ხმა რო ამოიღო და თავისი თავგადასავალი ასე ენაწყლიანად გამაცნო. რა თქმა უნდა, არც სტილისტურად შემლია რამე, მე თვითონ გამექცა ხანდახან კალამი წერის პროცესში და ჩემებურად გადამესხვაფერებინა მისი ნათქვამი ფრაზა და შეიძლება ვავნო კიდეც მის გულწრფელად წარმოთქმულს.

აქ კი ენა დაებორკა. „ამომჩურჩულა, ბუდუ მაკოცეო“, თქვა და ამის შემდეგ რაც მოხდა, კი მითხრა, მაგრამ თუ ჩემი წარმოდგენებით არ შევავსე მისი ბუნდოვნად ნათქვამი, ეს სურათი გაფერმკრთალდება. ეს სურათი კი არ უნდა გაფერმკრთალდეს, რადგან თვით ბუდუ ბედიას ცხოვრებაში ეს მომენტი საეტაპო მომენტია, იმდენად მოულოდნელი და იმდენად მნიშვნელოვანი, რომელმაც მისი ალალი და ჯერ კიდევ შეურყვნელი კაცური არსება მიწისძვრასავით შეარყია. მისი ბუნდოვანი ნათქვამიდანაც კი გამოვიტანე მე ეს დასკვნა და ამიტომაც ვთვლი აუცილებლად ჩემი ნაგუმანევით შევავსო მისი ნაამბობი.

ჰილდასთან რომ მომხდარიყო ის, რაც ალიონასთან მოხდა, ბუდუ ბედია ამას იმ მდგომარეობის ბუნებრივ შედეგად ჩათვლიდა, რაც ქარცეცხლიან ორომტრიალში თავისთავად მასსა და ჰილდას შორის დამყარდა. რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ სიყვარული არ იყო, — ასე ფიქრობს ბუდუ ბედია, — მაშინ, იმ დღეებში ჯერ კიდევ არ ყოფილა სიყვარული, შეიძლება ამის მსგავსი რამ კი იყო, იქნებოდა ალბათ, რაკი განშორების შემდეგ, ნავში მჯდარი ჰილდას ზღვის სიბნელეში გაუჩინარების მერე ბუდუ ბედიას ისეთი გულისშემკუმშავი და ცრემლის მომწურავი სევდა დაეუფლა, არასოდეს რომ არ განუცდია. მომდევნო დღეებში, — (მომდევნო წლებშიაც), — ეს სევდა უფრო საგრძნობი გახდა. სულ მუდამ აგონდებოდა ჰილდა, ნეტავი არ დავშორებოდიო, სინანულით ფიქრობდა, ნეტავი ახლა, ამ წუთს ერთხელ კიდევ შემახვედრაო, გაიფიქრებდა ხოლმე და, წარმოიდგინეთ, ხვდებოდა, ხედავდა ხან სიზმარში, ხან ცხადში მოელანდებოდა, ჯარისკაცის მუნდირში კი არა, ხან ცისფერ და ხან ვარდისფერ კაბაში, ხან ქარწაფრენილ და ხან ნიავმიპოტინებულ კაბაში, ხან გაზაფხულისპირზე და ხან ზაფხულის გაგანია სიცხეში ახლადდაკვირტულ ხეებთან და ჭათი მოცახცახე ფოთლების ჩრდილებში. სულ მისკენ მიილტვოდა და ვერ ეწეოდა. ჰა და ჰა, უნდა ხელი წაავლოს... და გამოელვიძებოდა. თვალგახელილს სევდის ფრთები უფრო ძლიერად მიეტყლაშუნებოდა გულზე.

სხვანაირი იქნებოდა ჰილდას „მოდი მაკოცე“ და სხვანაირი იყო ალიონას ნათქვამი. ალიონა შეიძლება უფრო ლამაზიც იყო, ყოველშემთხვევაში ბუდუ ბედიას ასე მოეჩვენა, სიფრიფანა კაბაში გამოწყობილი რომ დაინახა, ქალის სურვილი და ნდომაც წაეგზნო გულზე, მაგრამ ეს მაინც არ იყო ის სურვილი და ნდომა, რასაც ჰილდა გამოიწვევდა.

ამგვარ ცეცხლისკიდებაში გამოუცდელი იყო მაშინ ბუდუ ბედია, თუმცა ბევრჯერ მოსწონებია გოგო, ფიქრში და სიზმარში ბევრ მათგანთან უნებივრია კიდეც ერთ სარეცელზე, მაგრამ ამგვარი რამ მხოლოდ ფიქრსა და სიზმარში. ბუნდოვანი წარმოდგენა კი ჰქონდა ამ ურთიერთობისა, მაგრამ სინამდვილეში ქალთან ჯერ არ წოლილა ბუდუ ბედია. ეს ჯერჯერობით მეტად რთული და მიუწვდომელი ეჩვენებოდა.

მაგრამ არყით ოდნავ შეხურებული მაინც მიუხვდა ალიონას გულისნადებს, იმ წუთიდანვე მიუხვდა, როცა მოულოდნელად კარი შეაღო და თავზე კაბაჩამოფხატულ შიშველ ალიონას შეანთო თვალი, ალიონამ არ შეჰკივლა, არ დაფაცურდა და არ შეეცადა რამეს მოფარებოდა, ბიჭს გამომწვევად გაუჩერდა და, თითქოს საგანგებოდ იქცევაო, ნელნელა ჩაიკეცა მუხლამდე კაბა.

აქ სიყვარულზე ლაპარაკი ზედმეტია. არც ალიონას ავხორცობას უნდა მივაწეროთ უცხო ყმაწვილთან მისი ამგვარი თამამი ქცევა.

საუბარშიაც გამოჟონა ალიონას გულისხადებმა.

ეს კარგად შეამჩნია ბუდუ ბედიამ.

არაადამიანურად შეურაცხყოფილი, გათელილი, მიწასთან გასწორებული უმანკო გოგონა ცდილობდა გაეაზრებია, მართლა ულმერთოდ მიწასთან გასწორებული და სამუდამოდ განადგურებულია, თუ ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის, საზიზღარია თუ ჯერ კიდევ შეუძლია ვინმეს, დაინახოს მისი სულიერი უმანკოება, მთლად გაისრისა მისი ქალწულური სინორჩე თუ კვლავ შერჩა მის შიშველ სხეულს ადრეული სიქათქათე და მიმზიდველობა.

აი, ამის გაგება სურდა უბედურ გოგონას და ამას მიუხვდა კიდეც ბუდუ ბედია.

ამიტომაც „მოდი მაკოცეო“ როცა უთხრა მის ყელზე ჩამოკიდებულმა ალიონამ, ბუდუს, რა თქმა უნდა, უკვე სურვილიცა და ნდომაც ცეცხლის ალივით შემოფენოდა მთელ სხეულზე, მაგრამ უფრო იმიტომ შეაწება თავისი ცხელი ბაგეები ალიონას მთრთოლვარე ბაგეებს, რომ გოგონასთვის შეეხსენებია, შენ კვლავ ისეთი მომხიბლავი და მიმზიდველი ხარ, როგორიც ადრე იქნებოდიო.

ეს თითქმის იმდაგვარივე თავგანწირვაა, როგორიც ბრძოლის ველზე ავ ქარ-ცეცხლში დაჭრილთან რომ ჩაიმუხლებ, ჭრილობას გადაუხვევ და იმ ქარ-ცეცხლიდან სამშვიდობოს გამოიყვან, სულერთია ვინ არის ის, ნაცნობი თუ უცნობი, მოგწონს თუ არ მოგწონს.

ერთხანს ცეკვა შეაჩერეს, ადგილზე გაქვავდნენ, ერთ სხეულად შენივთდნენ, აღარაფერი ესმოდათ ამქვეყნიური, თავგადაზნექილი ალიონა ბიჭს გაუყუჩდა, მკერდითა და სხეულით ზედ აეწება ბუდუს, რომელმაც მის ბეჭედში გასაძვრენ წელს მაგრად შემოხვია მკლავი და ისე მიიკრა, თითქოს მისივე სხეულზე გოგონას სხეული სამუდამოდ მიხორცებას ლამობსო.

კვლავ წაგოგმანდა უკან-უკან სულშეხუთული გოგო და მკერდზე აკრულს ნელ-ხელა მიჰყვა ბუდუ. ახლა თავი მხარზე ჩამოადო ალიონამ და ცეკვა-ცეკვით მეორე ოთახში შეიყოლია ბიჭი, რომელსაც აღარაფერი გაეგებოდა, ცეკვავდა თუ ფრენდა, ფეხით მიჰყვებოდა გოგონას თუ ღრუბელზე მკლავშემოჭდობილი ზეცის სიღრმისკენ მიექანებოდა.

იმ საწოლთან შეჩერდნენ, რომელთანაც ბუდუმ თავზე კაბაჩამოფხატული ალიონა დაინახა. იქვე იატაკზე ეყარა უწესრიგოდ ალიონას ჩექმები და ქვედა წელის კაბა, ლაზლის სვიტრი და ბამბის კურტაკი.

ალიონამ კიდევ შეუშვირა გონმიბნედილ ბუდუ ბედიას ნაკვერჩხლებივით გავარვარებული ტუჩები და, როგორც კი ბიჭი ზედ დააცხრა, ალიონა გადაიზნიქა და საწოლზე ზედ მკერდზე გადაიმხო ათრთოლებული ბიჭი, კაბა გამხადეო, წასჩურჩულა ყურის ბიბილოსთან და ბუდუმ ისე წამოუწია წვივებიდან ტანზე შემოტმასნილი კაბა, თითქოს მართლა ტყავს აძრობდა და ცდილობდა, არ ვატკინოო, მაღლა ხელებშემართულ ალიონას კაბა თავიდან წააცალა და იქვე სასთუმალთან მიაგდო. ამასობაში ალიონამ გიმნასტურის საკინძეებიც შეუხსნა და ელვის უსწრაფესად ბუდუს გიმნასტურა და პერანგი იატაკზე მოისროლა.

. . . . . . . .

თვალი რომ გაახილა, ბუდუ ბედია გულალმა იწვა, შიშველი ალიონა გვერდულად მოპოტინებოდა, მუხლში მოხრილი ფეხი მუცელზე შემოედო და პატარა თითებით გულისფიცარზე წამოზრდილ ბალანს ნელ-ნელა უთელავდა, ნაზად და ალერსიანად, თავიც იქვე მიედო, ბუდუს ნიკაპთან და ბიჭის მკერდზე წამობიბინებულ თხელ ბუსუსებს მიჩერებოდა.

თვალი კი გაახილა, მაგრამ ერთხანს კვლავ საამო ბურუსში გახვეული დარჩა, ალიონას მიშლილ-მოშლილი თმა ცხვირის ნესტოებთან ულიტინებდა.

ალიონას ეგონა ისევ თვლემსო და ხმას არ იღებდა.

ბუდუს გულისფიცარზე გოგონას თითების საამო ფათური ჟრუანტლად უვლიდა მთელ სხეულში და გატრუნული იყო, თითქოს არც სუნთქავდა.

გუშინ და გუშინწინ ბუდუ ბედია ვერც წარმოიდგენდა, იმ განამაწიაში თუ სადმე არსებობდა მშვიდი და წყნარი ღამე, თუნდაც ამ ტყესა და ღრეში. თვალგახელილი არც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილა, თავიდან მოეშორებია საამო ბურუსი. საქორწინო ღამე იყო, აბა, რა იყო?! ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საქორწინო ღამის წინა ცერემონიალები არ ჩატარებულა — მმაჩის ბიუროში ხელი არ მოუწერიათ, ბეჭდები არ წამოუგიათ თითებზე (თუმცა ეს ამჟამად მოდაში აღარ იყო), მაყარი არ ხლებიათ, საქორწინო სუფრა არ გაშლილა, ნეფე-დედოფალი, ნეფე-დედოფალიო, არავის დაუძახნია.

ასე ახლა ბუდუ ბედიამ გაიფიქრა წამიერად, ალიონა კი არაფერზედაც არ ფიქრობდა, არც ის გაუფიქრებია ალიონას, ეს ყველაფერი ცოლ-ქმრობას რომ ჰგავდა.

ცოლ-ქმრობა, აბა, მეტი რა არიო, ამ აზრმა მხოლოდ ბუდუს თავში გაიელვა და, როგორც კი ეს კითხვა ამოტივტივდა ვარდისფერი ბურუსის ზედაპირზე, ვაჟი გამოფხიზლდა. სწორედ ამ დროს სარკმელთან აცრიატებულ ნათელს მოჰკრა თვალი და წამოიძახა:

— გათენებულა!

ალიონას არც გაუგონია ბუდუს წამოძახილი, არც ის შეუცხადებია, ვაჟმა რომ მის თავქვეშ მოქცეული მკერდი გამოაცალა და სასწრაფოდ წამოიჭრა ლოგინიდან.

მშვიდად წამოჯდა ალიონა, შიშველ მხრებზე უწესრიგოდ მიშლილ-მოშლილი თმა ჩამოეშალა. სასთუმალთან მიჭმუჭნილი კაბა აიღო, დაკეცა და ბალიშზე დადო. ზანტად მიწვდა იატაკზე მიმოყრილ პერანგს, ქვედაწელ კაბას, ჩექმებსა და ბამბის კურტაკს.

ალიონა აღარ გავდა გააავებულ, გაჭინწმატებულ, შეურცხყოფილ, მიწასთან გასწორებულ ქალს.

ლოგინზე მჯდარმა წინდა ჩამოიცვა ფეხზე და ბუდუსკენ არც გაუხედია, ისე თქვა:

— მე რომ შვილი გამიჩნდეს?!.

ფეხზე მდგარი ბუდუ ჩექმაში ყოფდა ფეხს, ეს რომ გაიგონა, ელდა ეცა, წაბორძიკდა, კინაღამ ზღართანი მოადინა იატაკზე.

— რას ამბობ, ალიონა?! — წამოიძახა ხელში ჩექმაშერჩენილმა ბუდუმ, გაოცებული მიაჩერდა ალიონას, სახტად დარჩა, შემოესმა თუ მართლა თქვა ალიონამ, ანკი რამ ათქმევინა, რა დროს ეგ არის?!

— რას ვამბობ, — თავი მოიღრიცა ალიონამ და ბუდუს შეჰლიმა, — ხომ შეიძლება შვილი გამჩენოდა ამაღამ?!

— ჰო, — დაიბნა ბუდუ, — კი მაგრამ ახლა რა დროსია ეს?!

— დრო რა შუაშია?!

— ომია!... — ბუდუ სკამზე ჩამოჯდა და ისე წაჰყო ფეხი ჩექმაში. — მერედა, ჩვენ რომ ცოლ-ქმარი არა ვართ?!

— მერე რა?!

— ბავშვი კანონიერი არ იქნება.

— მოგცლია ერთი... ბავშვის გაჩენას ერთი კანონი აქვს მხოლოდ — სურვილი.

— რაო?!

— სურვილი-მეთქი, გსურს — გააჩენ, არ გსურს — არ გააჩენ.

— მერე?!

— მე მსურს, ბუდუ, მსურს და თუ გამიჩნდა, ჩემზე ბედნიერი გოგო არ იქნება არსად.

— გიჟი!

— ნუ გაგიკვირდება ჩემი ამნაირი სიგიჟე.

ბუდუ ცოტა ხანს დუმდა, ისე იცმევდა ტანსაცმელს.

— არა, კი არ მიკვირს, — გიმნასტურაზე ქამარი შემოირტყა და თქვა: — გიჟითქო, ისე გითხარი. მართლა გიჟი კი არა ხარ... მე არ მიფიქრია ამაზე, იმაზე არ მიფიქრია, რომ შენ შვილი გაგიჩნდება.

— შენ არ გინდა, შვილი რომ გყავდეს?

— რა ვიცი, მე ჯერ ამნაირ რამეზე არ მიფიქრია-მეთქი, ხომ გითხარი.

— მაინც, მაინც? — ჩააცივდა ალიონა.

— შვილი ალბათ ყველა ნორმალურ კაცს ენდომება, მაგრამ...

— რა მაგრამ? — შეაწყვეტინა ალიონამ.

— ამ ვითარებაში, ჩვენ რომ ვიმყოფებით, რა დროს შვილზე ლაპარაკია?!

— გააჭირე საქმე, აიჩემე, დრო და დრო... რა ასეთი შავი ჭირის დრო და ვითარებაა?!

— შავი ჭირის დროა, აბა, რა არის ახლა?

— წუხანდელი ღამე ხო არ იყო შავი ჭირის დრო?

— მერე რა, რომ არ იყო?!

— რა იყო და, არავინ იცის, ბედნიერება სად შემოგეყრება. საცა შემოგეყრება, იქ უნდა მიიღო, ჭირიანობის დროსაც შეიძლება შემოგეყაროს ბედნიერება. ჭირიანობის დროს ყველა კი არ იხოცება.

— ბავშვს გაზრდა ხომ უნდა?

— გაჩნდეს და გაზრდაც მოხერხდება როგორმე.

— შენ რა, ამ ტყე-ღრეში დარჩენას ხომ არ აპირებ?!

— რა შეწრიალ-შემოწრიალდი, ბუდუ! — ბამბის კურტაკის სახელურებში მკლავები გაუყარა ალიონამ და ბუდუს წინ დაუდგა: — აქ რატომ უნდა დავრჩე! შენ საცა იქნები, იქ უნდა ვიქნე ანი მეც. შენ პირველი კაცი ხარ ჩემთვის. შენ აღმომაჩინე მე. ხო არ შეგეშინდა?! ვივარაუდე, რო გამიჩნდეს-მეთქი, თორემ რა ვიცი, გამიჩნდება თუ არა. ცოლ-ქმარი არა ვართო... არა ვართ და ნუ ვართ. კი არაფერს გავალდებულებ... ცოლ-ქმარი არა ვართო...

ბუდუ ბედია უცებ გონს მოეგო.

წინ მდგარ და მასზე შეჩერებულ ალიონას

თვალებში ჩააშტერდა, მიხვდა, რომ საუბარში რაღაც ვერ მოზომა, გამოუცდელობის გამო მართლაც ვერ მოზომა, ელდანაცემს წამოცდა, შეშფოთდა, დაუფიქრებლად მიახალა, რა დროს შვილიაო და მყისვე იგრძნო, რომ გოგოს გული ატკინა. კი არაფერს გავალდებულებო, რო უთხრა, მაშინ მიხვდა ამას, იგრძნო, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა ალიონას და აღარ თქვა, იქნებ უნდოდა ეთქვა, შენი იმისიც მადლობელი ვარ, რომ არ შეგეზიზღეო.

საოცრად ლამაზი და საბრალო მოეჩვენა ამ წუთს. მკერდზე მიიკრა მორჩილად მდგარი გოგო, ცუდს ნურაფერს გაიფიქრებ, შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, თუ გინდა, გააჩინე კიდეცაო, წასჩურჩულა ყურთან.

ანაზდად ალიონა გაუსხლტა, კართან მიირბინა, აქ დამელოდე, მე გარეთ თვალს ჩავავლებო, უთხრა ბუდუს და კარს მიეფარა.

ბუდუ ბედია აღარ დალოდებია, კვალდაკვალ გამოუდგა ფრთაშესხმულ ალიონას.

დილა მომძლავრებულიყო.

რო არ ჩავრეულიყავი ბუდუ ბედიას თხრობაში, რო არ წავშველებოდი ჩემი ჩანართით, შეუძლებელი იყო, რადგან ეს, რაც გიამბეთ, — იმ ღამინდელ ამბავზე მოგახსენებთ, — ბუდუმ გაკვრით მითხრა, ზედაპირულად, კი უნდოდა ალბათ დაწვრილებით ეამბნა, შეიძლება ჩემზე უკეთესად გამოეთქვა ყველაფერი, — რა თქმა უნდა, თავის თავზე თვითონ უფრო საინტერესოდ იტყოდა, — მაგრამ მოერიდა, ჩემთანაც კი მოერიდა და გაკვრით მითხრა, იმ ღამეს ჩვენ ერთად ვიწექითო. მე კი მივუხვდი, რაც უნდოდა ეთქვა და ამიტომ შევაჩერე თქვენი ყურადღება ჩემი ჩანართით.

ახლა კვლავ ბუდუ ბედიას მოვუსმინოთ:

## ამას ვერ მოვშორდები

მაიორი კლიმოვი ქოხში დაგვხვდა.

არ შეუცხადებია, სად ჯანდაბაში დაიკარგეთ, ამდენხანს სადა ხართო. რა ამბავია შენს ბილიკებზე, აბა, ერთი მიამბეო, უთხრა მაიორმა ალიონას და იქვე მდგომ კაპიტანს უბრძანა, დააჩქარეთ პოზიციაზე განლაგება, ერთ საათში მე ამოვალო.

ალიონამ მოახსენა, ჩემი ნაცნობი ბილიკებიც გადაკვეთილია, ყველგან გერმანელები დგანანო.

აგრეც იყო მოსალოდნელი, მეტი რაღა ჩარაა, გარემოცვა უნდა გავარღვიოთო, არც ჩემთვის და არც ალიონასთვის არ უთქვამს მაიორს ეს, ზურგი შეგვაქცია და თავისთვის ჩაილაპარაკა.

— დენის პეტროვიჩ! — უეცრად მიმართა მას ალიონამ.

მაიორი ისევ შემობრუნდა, გეგონებოდა, მოთმინებიდან გამოვიდა, თავის ფიქრსა და საზრუნავში ჩაძირულს სხვა რამე ახლა არაფერი აინტერესებდა და ალიონას ჯიქურ მიახლიდა, რა გინდა, თავი დამანებე, წადი და შენს საქმეს მიხედეო.

არ გაჯავრებულა, ლმობიერად მიუგო:

— რა გინდა, შვილო?! — გაიფიქრა, კვლავ ბილიკების ძებნის ამბავი სურს მიამბოსო:

— მჯერა, არ არის საჭირო ახსნა-განმარტება, მჯერა, რომ შენი ნაცნობი ბილიკებიც გადაჭრილია. ახლა ჩვენთვის იქეთ გასასვლელი ყველა გზა გადაჭრილია. ვიცი.

— არა, დენის პეტროვიჩ, მაგისთვის არ განწუხებთ. — არ მოეშვა ალიონა.

— აბა, რისთვის გინდა შემაწუხო?!

— მეც თან უნდა გამოგყვეთ.

— სად უნდა გამოგვყვე, ჩემო პატარა არნივო! — გაოცდა მაიორი.

— ალყის გასარღვევად.

— წადი, შვილო, შინ წადი, — რატომღაც მე შემომხედა მაიორმა, — ამ ჯოჯოხეთში შენ რა გინდა, შენი სისხლი აქ არ უნდა დაიღვაროს.

— მე შინ აღარ დავბრუნდები, იქ გერმანელები არიან უკვე.

— გავდევნით, გავდევნით... მაგათაც გავრეკავთ... მოვა დრო...

საერთოდ მაიორმა გულითადი, შინაურული, ძალმიუტანებელი საუბარი იცოდა, ეს სიტყვები კი ისე თქვა, თითქოს არ უნდოდა მათი წარმოთქმა, მაგრამ ალიონა რომ დაერწმუნებია, ნუ გეშინია, შინ დაბრუნდიო, იმიტომ ამოღერღა, სწორედ რომ ამოღერღა, სვენებ-სვენებით, სულშეხუთულივით ამოცდა ყელიდან ყოველი სიტყვა.

— მე აქ, თქვენთან მინდა, — გაჯიუტდა ალიონა.

მაიორი ერთხანს მიაჩერდა, მერე ზურგი შეაქცია, მხრები აიჩეჩა და ძლივს გასაგონად თქვა:

— კარგი, აბა, რაკი არ იშლი, დარჩი, იყავი აქ.

— იარაღი მომეცით, დენის პეტროვიჩ, ჯარისკაცის ფორმა ჩამაცვით, — არ მოეშვა ალიონა მაიორს.

— რა ვქნა, შვილო, სად გიშოვნო ახლა იარაღი და ფორმა?! ვერა ხედავ, რა დღეში ვართ?! — ისევ მე შემომხედა მაიორმა, გეგონებოდა, მემუდარებოდა, ღმერთი არა გწამს, წაიყვანე ეს გოგო, მომაშორეო, მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, ალიონას მიმართა: — დაიცა, დაიცა, იცი რა გითხრა, ჩემო პატარა არწივო, გეტყობა, შენ ყოჩაღი გოგონა ხარ, დღეს აქ კიდევ ბევრი სისხლი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილვრება, აი, თუ დაჭრილებს მიმიხედავ, დარჩი და იყავი ჩვენთან.

ალიონამ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, არც აცია, არც აცხელა, სხარტად მიუგო მაიორს:

— მე ამას ვერ მოვშორდები. — და თავი ჩემსკენ გადმოაქნია.

გავშეშდი, გავქვავდი, გავიტრუნე, ქვესკნელს პირი რო დაელო და ჩავეყლაპე, ის მერჩია. შემეშინდა, ამ ალქაჯმა არ ჩამოფქვასმეთქი, რაც ჩვენს შორის მოხდა და რატომაც ვერ მომშორდებოდა, ისე იქცეოდა მაიორის წინაშე, ეგაც შეეძლო წამოეროშა, რატომღაც ასე გავიფიქრე და შემეშინდა, რო წამორროშოს, სად გავიქცე, მაიორს თვალებში როგორ შევხედო-მეთქი.

მაიორმა კვლავ შემომხედა, ალიონას ისევ ზურგი შეაქცია და პატარა მაგიდისაკენ წავიდა, თან ჩაილაპარაკა:

— აქ საბავშვო ბაღი არ არის, ვისაც ვინ მოესურვება, იმას ჩაჰკიდოს ხელი და ასე ითამაშოს.

## 1 მიხდება?

რაც იმ დღეს მოხდა, ძნელი გადმოსაცემია, შეუძლებელია მისი აღწერა, დახატვა. კაცს ორი თვალი აქვს და თავისი მოკლე თვალსაწიერს იქით რა ხდება, ვერ ხედავს, გუმანით უნდა მიხვდეს მხოლოდ, უნდა ივარაუდოს, გონების თვალით უნდა წარმოიდგინოს.

მეც ორი თვალი მაქვს, თუმცა წარმოსახვისა და წარმოდგენის უნარი მადლიანად მოუნიჭებია ღმერთს, მაგრამ მაინც ვერ შევძლებ იმის სრულად გადმოცემას, რაც იმ დღეს იქ მოხდა.

ბევრი შემაზრზენი სურათი ვნახე ქარცეცხლიან გზებზე, მაგრამ იმ დღელამისნაირი — არაფერი.

მაიორის ქოხიდან გამოვედით თუ არა, თამაშს ვაჩვენებ მაგასო, თქვა ალიონამ, იმ ლოდთან დადექი — (ზღვისპირის ლოდისკენ გაიშვირა თითი) — ფეხი არ მოიცვალო, ძალე დავბრუნდებიო, მომაძახა და გაიქცა.

მონუსხულივით მივაშურე ლოდს.

ვინ იცის, ზღვამ მოაგდო თუ ციდან ჩამოვარდა აქ ეს ლოდი. არც ის ეცოდინება ვინმეს, როდის აქეთია დევს აქ. გარშემო ზღვის მიერ მოყრილი სხვადასხვა ზომის კენჭები მოფანტულა. ფეხს რო ვადგამ, ჩხრიალებენ კენჭები.

ალიონას რომ არ შემოეძახებია, იმ ლოდთან დადექიო, მე აქედან მაინც არ მოვიცვლიდი ფეხს, სანამ არჩილი არ გამოჩნდებოდა. სად უნდა წავსულიყავი?! რომ წავსულიყავი, ამ აურზაურში სად ვნახავდი არჩილს და გენადის?! ისინი კი უეჭველად შემობრუნდებოდნენ ამ ქოხისაკენ, მაიორისაკენ, შტაბისაკენ. ახლა რომ მაიორი გამოს[illegible] რეთ და რაიმე ებრძანებია ჩემთვის, [illegible] პებოდი, წავიდოდი ბრძანების შესასრულებლად, — აბა, ხო არ ვეტყოდი, აქ არჩილსა და გენადის ველოდები, რა დროს ბრძანებაა, შე კაცო, ვერა ხედავ რა დღეშია შენი არმია, მაგ ბრძანებით ვერაფერს უშველი, მე კი არჩილი შეიძლება დამეკარგოს და მერე რა მეშველება-მეთქი. — წავიდოდი ბრძანების შესასრულებლად და, ვინ იცის, მერე მთლად ამრეოდა გზა-კვალი, სადღა მეძებნა არჩილი, გენადი, ალიონა?! ვგრძნობდი, უდიდესი განსაცდელი გველოდა და, აბა, უარჩილოდ რა მეშველებოდა?!

ზღვის გრძელი ნაპირი სავსეა ჯარისკაცებით. სხედან, დაბორიალობენ, იქით-აქეთ მიმოდიან. ამ ბრბოში შიგადაშიგ, ალაგ-ალაგ ცეცხლი დაუნთიათ, ბოლი შორდება თუ არა ცეცხლის ალებს, მაშინვე იფანტება, ქრება.

ალიონას დიდხანს ერ შეგვიანებია.

ლოდზე ვიჯექი და თვალდაქაჩული ბრბოს შევცქეროდი. ერთი გზობა ქოხიდან მაიორიც გამოვიდა, გარშემო მიიხედ-მოიხედა, ჩემსკენ არ გამოუხედია, გული გადამიქანდა, ვაი, თუ დამინახოს და სადმე მიკრას-მეთქი თავი. ისევ შებრუნდა ქოხში.

ცოტა ხნის შემდეგ ალიონა მოვარდა აქოშინებული. აიო, თქვა და ლოდთან, ჩემს ფეხებთან დაგრაგნილი ტანისამოსი დააგდო. ადექი, ამომეფარეო, მითხრა, წამოვდექი, ზურგში მომექცა, კაბა წამოიძრო და ხელუკუღმა ხელებში მომაჩეჩა, ცოტაც და, აბა, შემომხედეო, შემაბრუნა თავისკენ.

ხაკისფერი გიმნასტურა და შარვალი კოხტად მოერგო ტანზე, ქამარი მოერტყა და ისე იყო გამოკვანწული გიმნასტურაში საგანგებოდ მისთვის შეკერილი გეგონებოდა. ეგ იყო მხოლოდ, უბე გამოიყურებოდა ვიწროდ, ძუძუებს ამოევსო და ამობურცულ მკერდზე გიმნასტურა გადატკიცინებოდა. მივაჩერდი და ვერ მომეაზრებინა, ხელში შემოჩეჩებულ კაბისთვის რა მექნა, ორივე ხელით მეჭირა კაბა და სამხედრო ფორმაში გამოჯგიმულ ალიონას თვალს ვერ ვაშორებ. ის კი ციბრუტივით შემოტრიალდა და მკითხა:

— მიხდება?

თავი დავუქნიე.

— მკერდზე ცოტათი მიჭერს, მაგრამ არა უშავს.

— ჰო, არა უშავს.

— აბა, ახლა მთლად ჩემს ტანზე შეკერილს ვინ მომცემდა.

— ეს ვინ მოგცა?! — ვკითხე გაკვირვებულმა.

არც არავინ მომცა და არც არსად მიპოვნიაო, ენა აატარტალა ალიონამ და სხაპასხუპით მიამბო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქ არაქათგამოცლილი ჯარისკაცები ყრიან, ცეცხლს უბერავენ და ვერ აჩაღებენ, ნედლი რტოები მიუყრიათ, ფუტით თვალები ამოცრემლებიათ, ხან ერთი უბერავს, ხან მეორე. ვილაცამ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, ქაღალდის ნაგლეჯი ღადარში შეაგდო. ის, ვინც ღადარს უბერავდა, დასწვდა ქაღალდს, მიმწვარი კიდე შეაფშვნა, რას შვრები, შე ოჯახდაქცეულო, მახორკის გასახვევი ქაღალდი არსად მოიძევა, შენ ცეცხლში შეაგდეო?! კი მარა, მახორკა სად არიო, კითხა შერისხულმა, ქაღალდი იყოს და მახორკა გაჩნდებაო, აბა, უქაღალდოდ ცარიელი მახორკა რის მაქნისიაო. სანამ ისინი ერთმანეთს ესიტყვებოდნენ, მე ჩავიმუხლე, ფიჩხებს ქვემოთ ღადარი მიმოვჩხრიკე, შევუბერე და შევუბერე, იფეთქა ცეცხლმა, ნედლ რტოებს წაეპოტინა ალი და, ჰაიდა, აბრიალდა. ცეცხლს ქალის სული უდგას, მისივე სუნთქვა აცოცხლებს, ბევრჯერ განმიცხადებია მე და, აი, ამის ერთი მაგალითიცო, თქვა ქაღალდიანმა ჯარისკაცმა, ქაღალდი დაკეცა და გულისჯიბეში ჩაიდო. ვინა ხარ და საიდან მოფრენილხარ, ცეცხლისსულა პატარა ქალოო, შემომაჩერდა, მიყრილ-მოყრილ ჯარისკაცებს მიხედმოხედა, თითქოს ეკითხებოდა მათ, ამისთანა ვინმე თუ სადმე გინახიათო, ჰო, ჰო, ამ დასაქცევში რა გინდა, შე ანგელოზოო, მე კი არც ვაციე, არც ვაცხელე და ტკარცალ-ტკარცალა ცეცხლთან ჩამუხლულმა მივუგე, არანაირი ანგელოზიც არა ვარ, ერთი უხეირო და ბედჩამქრალი გოგო ვარ, შტაბის მაიორი ჩამჩიჩინებს, შინ მიბრუნდი, აქ, ჩვენთან რა გინდაო. შინ კი როგორღა მივბრუნდე, იქ უკვე გერმანელებია, დასამიწებელი, არა, არა, დასამიწებელი არა, — მიწასაც წაბილწავენ ეგენი, — დასაბუგავი, დასახრუკავი, დასაწვავი გერმანელებია-მეთქი, მე იმათთან რაღა მიმაბრუნებს, თქვენთან უნდა დავრჩე, თქვენთან მინდა სიკვდილიცა და, თუ სიცოცხლე გიწერიათ, სიცოცხლეც თქვენთან მინდა, იწამეთ ღმერთი, ჯარისკაცის ფორმა მაშოვნინეთ, გიმნასტურა და შარვალი გეგულვებათ იქნება სადმე, ჩავიცვამ და მეც გვერდით დაგიდგებით ამ გაგანიაში. ბუდეს ვერ მოვშორდები, ამ სასაკლაოზე ვერ მოვცილდები, არ მომიკლან, არ დავიღუპო, მაიორიც ველარ გამაგდებს, ფორმა რომ მეცმევა-მეთქი. საიდან მოფრენილხარო, რო მითხრა, ის ჯარისკაცი წამოიჭრა, მოშორებით ერთი მარტო იყო გაწოლილი, თავი გამობერილ და თავჩაკვანძულ ზურგჩანთაზე მიედო, ფეხები მუხლებში მოეხარა და ასე გვერდულად გაწოლილს ეძინა. მივარდა იმას, თავქვემოდან ზურგჩანთა გამოაცალა, გახსნა, გადმოაპირქვავა და გადმობერტყა. ელდანაცემი, უეცრად გამოფხიზლებული ჯარისკაცი წამოვარდა, რა გინდა, რას მერჩიო, შეჰყვირა და ძირს დაცვენილ ნივთებს მიეტანა, მაგრამ ჩემი ქომაგი ჯარისკაცი მკლავში წასწვდა, მძლავრად მოიქნია და მიაძახა, შე რეგვენო და მურტალო, დღეს რა მოგველის, ვინ იცის, ეს ზედმეტი ტანისამოსი რომ ჩაჩურთე ჩანთაში რა ეშმაკად გინდაო?! მინდაო, შენ ვინა გკითხავს, ბალი ორი შაურიაო, კვლავ ძიეძალა ზურგჩანთის პატრონი, გაწლიკვული, ნიკაპჩამოგრძელებული, წვრილ, ბლისკურკისოდენა თვალებიანი ჯარისკაცი ჩემს ქომაგს, იმან ისევ მუჯლუგუნი ჰკრა, ბიჭებოო, მიმართა იქვე თავმოყრილ სალდათებს, საწყობთან რო ჩამოვიარეთ, აილო ეს გიმნასტურა და შარვალი, ჩანთაში მოაყუჩა და თან მოაქვს, ერთხელაც კი ვკითხე, კაცო, რა დროს ეგ არის, ვერა ხედავ, რა დღეში ვართ-მეთქი, ჯერ ხო ცოცხლები ვართო, სანამ ცოცხლები ვართ, რაც რამ გაგაჩნია, ყველაფერი გამოსადეგია, ბოლო-ბოლო ვინმე ტანისამოსშემოძარცვული ერთ ბუხანკა პურს ხომ მაინც მომცემს ამაშიო. ფუი, შენს კაცობას-მეთქი, მივაფურთხე და მერე ხმა არ გამიცია. ხო ნახეთ, რა მშვიდად მიედო თავი და ეძინაო. უცებ ჩემი ქომაგი ჯარისკაცი მიმოყრილ ნივთებში რაღაცას დასწვდა, აილო, ქისა აღმოჩნდა, გახსნა, მახორკით იყო გამოტენილი, ვინა თქვა, გადაძახა ჯარისკაცმა ჩემ გაჩაღებულ ცეცხლთან მდგომ თანაპოლკელებს, ვინა თქვა, მახორკა არა გვაქვს და ქაღალდი რად გინდაო, აი, თუ არ მინდა, ეს ოჯახქორი, თუთუნს არ ეწევა და ქისა სავსე ჰქონია მახორკით. ჩვენ სული გვიჭკნება, ერთი ბოლის ჩახვავება ახლა ყველაფერს გვირჩევნია, ამ უხეიროს კი თავქვეშ ამოუდვია სავსე ქისაო. აბა, ჰეი, შესძახა, ვისაც ქაღალდი გეშოვებათ, გაშალეთო. ამოაძრეს ჯიბეებიდან ქაღალდის ნახევები, ჩამოუარა ქისიანმა ჯარისკაცმა სათითაოდ, სამი თითით მახორკა დაუყარა ყველას ქაღალდზე, ერთი ჯიგრიანად გავაბოლოთ, გული მოვიფხანოთო, თქვა, მერე გიმნასტურასა და შარვალს დასწვდა, ზურგჩანთა იქვე მიყრილ დანარჩენ ნივთებზე მიაგდო, აჰა, დანარჩენი ჯანდაბაშიც წაგილიაო, მიაძახა ზურგჩანთის პატრონს, მაგრამ ის მიწას ჩაეყლაპა, აღარსად სჩანდა. ცეცხლისსულა ქალოო, მომიტანა გიმნასტურა და შარვალი, მომცა, ჩაიცვი, შენისთანა გოგოს ვარდისფერ კოპლებიანი, თეთრი, წელში გამოყვანილი, ოდნავ მუხლებსქვემოთ ჩამოგრძელებული კაბა უფრო მოუხდება, მაგრამ შენ ამ ხაკსაც დაამშვენებ, გამოეჯგიმე შენს მაიორს და ღმერთმა ხელი მოგიმართოსო, მითხრა ჯარისკაცმა. სხვები, — იმდენი, იმდენი, რომ ვერც კი დაითვლიდი, — ისე მომჩერებოდნენ, თითქოს ჩემს მეტი საზრუნავი არა ჰქონდათ რა. მე შარვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლსა და გიმნასტურას ხელები დავჭტაცე და კისრისტეხით აქეთ გამოვეშურე.

## ალქაჯი გოგო

ეს ყველაფერი ისე სხაპასხუპით მითხრა ალიონამ, სულს ძლივს ითქვამდა. მე მორჩილად ვუსმენდი, მისი ტიკტიკით მონუსხული, თან იმაზე ვფიქრობდი, ეს ალბათ ალქაჯი გოგოათქო. იმ ღამეს მე რომ არ გამომეშორებია იქაურობას ჰილდა, გაკაპასებული ალიონა, დარწმუნებული ვარ, ხელებით მისწვდებოდა ყელში გაოგნებულ გოგოს, წაახრჩობდა, ისე წაახრჩობდა, წარბი არ შეუკრთებოდა.

ახლა სულ არ ჰგავს იმლამინდელ ალიონას.

შარვალი და გიმნასტურა ჩაიცვა, თავისივე კერზეს ჩექმებში ფეხები წაჰყო, ქამარი წელზე შემოიჭირა, ამბის მოყოლას მორჩა და სულიც არ მოუთქვამს, ისე, მკითხა:

— ხომ მიხდება?!

ხან ზურგი მაჩვენა, ხან წინ ამეტუზა და დაჟინებით ჩამჩიჩინებს, ხო მიხდებაო.

კი-მეთქი, გავუმეორე ათჯერ ნათქვამი.

— ვგევარ თუ არა ჯარისკაცს?!

„ჰო, გავხარ, მაგრამ ჯარისკაცი მაინც არა ხარ.—გაოგნებისაგან არც კი გამოვსულვარ, ისე ვპასუხობ.

— რატომ არა ვარ?! თოფი რო არა მაქვს, იმიტომ?! მაგასაც ვიშოვი.

— არა, მაგიტომ არა.

— აბა, რატომ?!

— ფიცი არა გაქვს მიღებული.

მინდა გავუწელო ჩვენთან დარჩენის ხუშტური. წინათგრძნობა მაქვს ისეთი, აქ მალე ღვთით აუწონავი ცოდო-მადლი დატრიალდება. წინათგრძნობა კი მე ძალიან იშვიათად თუ გამცრუებია. ამას თავისი უბედურება ეყოფა, აქაური ცოდო-მადლი რაღად უნდა დაანვეს კიდევ პატარა მხრებზე. მართალია თვითონ ჩვენთან ყოფნა ურჩევნია, იმასაც ვგრძნობ, რომ ჩემგან განშორებაც ეძნელება, ჩემდაუნებურად მეც რაღაც უხილავი ძაფები მეზიდებიან მისკენ, გამოკვეთილად ვერა ვხედავ ამ ძაფებს, მათ იდუმალ თრთოლას კი ვგრძნობ და ვერ მივმხდარვარ, რარიგია ეს თრთოლა. ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ მაინც მგონია, ჯობს ჩამოგვშორდეს, ჩვენს ცოდომადლში ნუღა ჩაეფლობა, თავის სოფელში დაბრუნდეს, ბავშვია, ყმაწვილია, იცოცხლოს, იცხოვროს, სულ ომი ხომ არ იქნება, დრო ჭრილობებს მოუშუშებს, მზე გაუთბება, ყვავილი გაეშლება, ვინ იცის, რა მზე და რა ყვავილი ელოდება წინ! ამიტომ მივუკიბ-მოვუკიბე, ფიცი არა გაქვს მიღებული და ჩვენთან არ დაგტოვებენ-მეთქი.

— რა ფიცი?! — მკითხა ალიონამ.

— სამხედრო ფიცი.

— ახლავე მივიღებ ფიცს.

— ახლავე როგორ?!

— შენ ხო იცი ზეპირად?

— ვიცი.

— მიკარნახე და მე გავიმეორებ.

— ასე არ შეიძლება, მწყობრისა და დროშის წინაშე უნდა მიიღო.

— სად ვიშოვო ეხლა მე მწყობრი და დროშა? აგერ, შენს წინაშე დავდებ ფიცს, რომ არასოდეს გიღალატებ. — ეს ისე თქვა, წაკეკლუცებით, არც ხუმრობას გავდა და არც იმდენად ბავშვი იყო, რომ სერიოზულად ეთქვა. მეც ასეთივე ტონით ვუპასუხე:

— ეს ხო ის ფიცი არ იქნება.

— ფიცი ფიცია, შენ ხო გაიგონებ.

— მერე რა, მე რო გავიგონებ. მე ვისი ტიკიტომარა ვარ.

— ჩემი ტიკიტომარა ხარ, ჩემი მწყობრი ხარ. ჩემი მოწმე იქნები, რომ ნამდვილად შემოგფიცე.

არ ვიცი რამდენხანს გასტანდა ჩვენი ამგვარი ძიძგილაობა, არჩილის ხმა რომ არ გამეგონა, ბუდუ, წამოდიო. მთელი ლაშე დაკარგული ვიყავი, დამინახა და კი არ მომვარდა, კი არ გადამეხვია, მადლობა ღმერთს, ცოცხალი რო დაბრუნდი, შე ღმერთძაღლოო, ვიცი, გულში კი იტყოდა ასე, გაუხარდებოდა კიდეც, რაკი დამინახა, მაგრამ ასეთი რა გულ-ღვიძლი აქვს, რომ არც სიხარულისაგან და არც ტკივილისაგან ერთი ნერვიც არ შეუთრთოლდება. მე კი ალიონას კოპწიაობას იმწამსვე ვაქციე ზურგი, როგორც კი არჩილის ხმა გავიგონე, მოვწყდი ადგილიდან და მისკენ გავექანე.

ის, გენადი და რამდენიმე სხვა ოფიცერი წინ გაჭრილ მაიორ კლიმოვს მიჰყვებიან შორიახლოს არც მას უკითხავს რამე და არც გენადის. გენადიმ რო არაფერი მკითხა, არ გამკვირვებია, რაში ვეპიტნავები ახლა მე ამ ურალელ კაზაკს. არჩილის გულგრილობამ კი გამკენწლა, გვერდით ავედევნე და მივახალე, მომკლა ამ გოგომ, სად არ მათრია მთელ ღამეს, ტყე-ღრე შემომატარა, გავთავდი კაცი, არაქათი აღარა მაქვს-მეთქი, ნამდვილი ალქაჯია-მეთქი.

ეს რომ ვთქვი, გონს მოვეგე, გამახსენდა, ალიონა რო მარტოკა მივატოვე, უკან მივიხედე. ის ისევ დგას იმავ ადგილას, მდუმარედ შემოგვჩერებია, არ გამომდევნებია, მე როცა არჩილისაკენ გამოვიქეცი, ის იქვე დარჩენილა, არც არაფერი შემოუძახნია, დგას ლოდთან და წამით ისე მომეჩვენა, არც დაიძვრებოდა ადგილიდან, მე რომ მისკენ არ გავქცეულიყავი, მარტოდ, უძრავად მდგარი რო დავინახე, მართლაც რო გონს მოვეგე. ეს რა

მომივიდა, აგრე როგორ მივატოვე-შეთქი, გავიფიქრე და მაშინვე მისკენ გავიქეცი. დამინახა თუ არა, მისკენ რო მივრბოდი, ისიც მაშინვე გამოექანა, მომეჭრა, ყელზე ჩამომეკიდა, არაფერს მოერიდა, დამიწყო კოცნა, თან მებუტბუტებოდა, ვიცოდი, არ მიმატოვებდი, მობრუნდებოდიო. ძლივს მოვიშორე ყელზე შემოჭდობილი მისი მკლავები, ხელი ჩავკიდე და წავიზიდე, სირბილითვე წამოვეწიეთ არჩილსა და გენადის.

— ბიჭოს, — შემომძახა არჩილმა, — გადეგირევია ეს გოგო და ეგ არის!

— კაი ღამე გქონია, ეტყობა, — წაეშველა გენადი, ალიონას გადაჰხედა და გაიოცა: — მე შენ ვილაცა სხვა მეგონე, ალიონა ხარ?!

— ალიონა ვარ, აბა, ვინ ვიქნები!

— უყურე ერთი ამ კოკროჭინა გოგოს, ჯარისკაცს არ დამგვანებია?! — თავისებურად გალაღდა გენადი: — გერმანელები რომ დაგინახავენ, ბნედა მოუვათ, ძირს დაეყრებიან და გავარღვევთ ალყას, აბა, რას ვიზამთ!

— გენადი ბიძია, დამცინი?! — გაღიმებულ გენადის ღიმილითვე მიუგო ალიონამ,

— თოფიც მომეცით და ნახავთ მერე, ვინცა ვარ.

ბიბლიოთეკა

— არა, შვილო, არა, დასაცინი გოგო არა ხარ შენ, გეთაყვანე, გეხუმრები. — დაუყვავა გენადიმ, — თოფის მეტი რა ეყრება დღეს მინდორზე, მარა შენ რად გინდა თოფი და დამბაჩა, რა შენი საქმეა კაცის კვლა, ძენ ჩვენ ნუ მოგვშორდები, დიდი ცოდვა-მადლი დატრიალდება მალე, სხვებსაც თვალს ნუ მოაშორებ, თუ გაუჭირდეს ვისმეს, მიეშველე, მადლია.

— ნუ გეშინია, გენადი ბიძია, სულ თქვენთან ვიქნები, — იგრძნო ალიონამ გენადის სიტყვებში მიმალული მოსალოდნელი ხიფათი და ხელი მხარზე ჩამოუსვა გენადის.

— მე რისა უნდა მეშინოდეს, გოგო, იმის მეშინია, შენ არაფერი მოგივიდეს, უკან მოგვდიე სამივეს, წინ არ გაგვასწრო, ზურგში ამომედევნე, შენსკენ გამონთებულ ტყვიას რომ შევაჩერებდე, ჩემო კუდრაჭავ, ე, მაშინ ვიტყვი, ერთი სამადლო საქმე მაინც ხომ გავაკეთე ამ დასაქცევშითქო.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დარეჯან ბატიაშვილი

* * *

შარშანდელივით წლებმა ჩუმად განზე გამიხმეს,
ისევ ნელ ცეცხლზე იწვის ახლა ცის მყუდროება,
ყოველ ახალ წელს მრთავდნენ ისე, როგორც ნაძვის ხეს,
თუმც სუროსავით მომეხვია მაინც დროება.

გაჩნდება ღამე ათას ფერთა ფერიჭამია
და შეუმჩნევლად შეისრუტავს სიზმარი სურნელს,
ასე მგონია, რომ სიბნელე ფერის ჭავლია
და შიშნარევი ღიმილივით ბაგეზე სუფევს.

ქარმა კისრულით გადმოიღო სიდარბაისლე
და ღმერთმა უწყის, ვისკენ იწვდის ტოტს ალუბლების,
თითქოს ბავშვობის ჩვენებებმა შემბორკეს ისევ
და უნებართვოდ ჩამოხადეს სულს საბურველი.

### ვერხვები

ერთი წუთის წინ ვერხვს გულით ვენდე,
ნავს მიჰქონდა ბეწვი ბუერის,
ცეცხლის ყელიდან ჰანგები ქღერდნენ,
როგორც ოცნება ხოდაბუნების.

ცხელი მზის ხვატი ფოთლებში ჩაწვა
და გზნების ალი აანთო თითქოს,
დავხრი თუ არა ფიქრების წამწამს,
ნახევრად ცხადი სიზმარი მიპყრობს.

* * *

შუბლს აღარა ხსნის ჩემი ბედი ბერად შემდგარი,
ჰგავს სამარიდან ამოღებულს ჯავარი სიტყვის,
ეს ღამე მაინც სად აღმოჩნდა ჩემთვის მედგარი,
რატომ არ ჰგავდა თავაწყვეტილ მერანის ჭიხვინს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ბნელ ღამეებს ჩემი ფიქრი ფეხზე ათენებს,
გარშემო უვლის ქარისაგან დამსხვრეულ გემბანს,
ბოლმას დავმალავ, თუ თვალები არ გამამხელენ,
რადგან მომიწევს უსათუოდ ურჩხულთან შებმა.

თუმც ღრმა ძილშიც კი ჩემი ფიქრი მე არ მეკუთვნის,
როგორ არ მინდა,ცა მიცქერდეს თვალებით ჰიქის,
ჩუმ ანარეკლში აღარ ვჩანვარ ისე კეკლუცი,
ღამის სარკეში რადგან წამით ჩახედვაც მიჭირს.

* * *

მაწიოკებენ ქვაფენილზე ხანახ სიზმრებით,
რისთვის ბრუნდება გაფანტული უკან ბურუსი,
ადრეც მიკვირდა ჩამოყრილი წვიმის სინსლები,
კალაპოტიდან ამოვარდა ადრეც დურუჯი.

რა მიჭირს, ცრემლის ნაწვიმარზე მზე თუ გამოვა
და არ დარჩება ყურწაჭრილი მონა ღრუბლების,
ყურში ჩამიდგა ეკლესიის ერთი გალობა
და გაოცების დღე თბილისის ძველი უბნების.

გულს ვით შეეძლო, აეცდინა ავი ქარები,
როდის ვიტაცე შუბლზე ხელი მომავლის ელდით,
გულში შეიჭრა ქუხილივით ტაძრის ზარები,
ცამ ქსენონებში მომიშუშა ნახმლევი ელვის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გელა კიკოლაშვილი

* * *

საკუთარი ხერხემალი — ერთადერთი რაც მუდამ ხმაურობს
და არ იხრება მოხეტიალე ქარების მხარეს.
თოვლის მხრებიდან ილვრება წყალი —
დღენაკლული იების სისხლი...
ამოდის მთვარე ქალაქების ტაკიმასხარა
რადგან ქალაქებს დაეკარგათ ჩრდილების შიში.
ნუ მიეჩვევი ჩემს სიყვარულს ის ამაყია
მარტოობის ოთხ კედელში გამომწყვდეულიც.
ის იმახსოვრებს შენს დედალ ვნებას
გუბეებივით მოცახცახეს ჩემი სიზმრებით.
უკვე იმდენჯერ გითხრეს მიყვარხარ
რამდენჯერაც ჩავიდა მთვარე
და იმდენჯერ გააშრეს თოვლი
გაყვითლებულმა ზამთრის მზეებმა
რომ შენს მოლოდინს შეუჩნდა შიში
არ დაეკარგოს სიყვარული —
მარტოობის ოთხ კედელში გამომწყვდეული.
ჩვენ ერთმანეთში აღარ ვბრუნდებით
რადგან ჩვენს მზერას მიაჩვიეს თეთრი და შავი
და არაფერი აღარ იწყება ჩვენი სიზმრების გაყოლებაზე
და არაფერი აღარ თავდება.
და ახლა როცა მოგონება მიდის თავქვეზე
როგორც მდინარე რომელიც არ ბრუნდება უკან
რაღაცას უნდა ნიშნავდეს ალბათ
გათენებული რომ არ არის და გაზაფხული მაინც შრიალებს...
რაღაცას უნდა ნიშნავდეს ალბათ
რომ აპრილი აღარ იხრება
ამომავალი მზეების მხარეს
და ქარები ხეების ჩრდილებს
საითაც უნდათ ერეკებიან.
რომ ხეები რტოთა ნაცვლად გველებს ისხავენ
და სიყვარული მდინარეებს შემორჩათ მხოლოდ.
რომ შენი მზერა ჩემს მზერასთან აღარ თავდება
და არც იწყება... ისე როგორც ხდებოდა ხოლმე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოდის მთვარე... ისე როგორც ამოდის მთვარე
შენი ხეკნივით ტბილი და თეთრი
და ჩვენ ქარები აღარ გვარხევენ
და აღარ გვხრიან ამომავალ მზეების მხარეს
(თუ ხეტიალი გინდა ისწავლო
ქარებს უნდა დაუგდო ყური)
ჩვენ კი ქარები აღარ გვარხევენ
ამომავალი მზეების მხარეს.
ეს ხეები ყავარჯნებია დიდი ქარების
და კიდევ ჩემი არაზუსტი მეტაფორების.
ზამთრის ღამეებს თავისი აქვთ წილი და ხვედრი
მათში ყმუიან ხოლმე მგლები მზის გადახრისას
და ჩამოღვრილ მთვარის შუქში იბანენ ფეხებს
ვერ აბრუნებენ მგლები კისრებს ალბათ იმიტომ
რომ სიკვდილს არ ჩახედონ თვალში
რომელიც უკან დაჰყვებათ ხოლმე
და როცა თოვლი ეცემა მიწას ყმუიან მგლები
და ჩამოღვრილ მთვარის შუქში იბანენ ფეხებს.
მე შენ ისეთი დაგიმახსოვრე
როგორიც შენ არასოდეს არა ყოფილხარ
მე შენ ისეთი დაგიმახსოვრე
როგორიც უნდა ახსოვდეთ თოვლი
რადგან ხეები რტოთა ნაცვლად გვლებს ისხავენ
და სიყვარული მდინარეებს შემორჩათ მხოლოდ.
და მე შემრჩა ხერხემალი —
ერთადერთი რაც მუდამ ხმაურობს
და არ იხრება მოხეტიალე ქარების მხარეს.

* * *

ჩვენ გამოვედით ერთმანეთიდან
და ერთმანეთში აღარ შევბრუნდით
როგორც ჩრდილები საგნებიდან
და იები გაზაფხულიდან...
შენ შეგიძლია აღარ გახსოვდე —
უერთმანეთოდ
არ შრებიან მდინარეები...

* * *

მახსოვხარ, თუმცა ის დღე შორია.
და ქარი ქუჩას კვიცივით ხედნის.
მხოლოდ შენ უწყი თუ როგორია
ჩემი სიზმრების წილი და ხვედრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვხარ, რადგან შენი საყურე
თოვლზე დაქცეულ სისხლივით ჰყვავის
და შენს მოსასვლელ ბილიკს გაჰყურებს
ჩემი დღეები თეთრი და შავი.

* * *

მხრები — ღმერთების ციხის ფასადი,
გავლა ბალახზე — შენ რომ ინებე...
საღამოები ისე უზადო
და უცოდველი ფერით ბრწყინავენ,

რომ არ დაგტოვებ, გტოვებდი
როგორც —,
დღეებმა დღეებს ბევრჯერ უგანეს.
შენ... სექტემბერი... კოცონი მტკვარზე,
მთვარე — შიშველი იატაგანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სეით დევდარიანი

სეით დევდარიანი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტია. 1936 წელს დასაბეჭდად ჰქონდა გამზადებული ნაშრომი — „საქართველოს აზროვნების ისტორია“ სამ ტომად, რომლის გადარჩენილ ერთ-ერთ თავსაც ამჟამად გთავაზობთ.

რეპრესირებული იყო 1937 წელს.

(წინამდებარე წერილი მოგვაწოდა მწერალმა კლავდია დევდარიანმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ).

# ანტონ კათალიკოსი

საქართველოს სახელმწიფოებრივ აზრის განვითარებაში ანტონ კათალიკოსის ხვედრითი წონა, მნიშვნელობა ისეთივეა, როგორც ერეკლე მეფის. რასაც ერეკლე აკეთებდა საერო ასპარეზზე, ის კეთდებოდა ანტონ კათალიკოსის ხელით სასულიერო წოდების ეკლესიის სფეროში. ეკლესია ჩართული იყო საუფლისწულო კუთხობრივ ბრძოლებში. საუფლისწულო მთავარ ბატონები ცდილობდენ, რომ მათი საბრძანებელო ეკლესიაც ყოფილიყო დამოუკიდებელი, გამოცალკევებული და მხოლოდ მათი ნების ამსრულებელი. ერეკლე, როგორც ვიცით, ებრძოდა ამ სისტემას, მისი თანამებრძოლი იყო ანტონ კათალიკოსი. საქართველოს გაერთიანების ისტორიაში ერთნაირი ადგილი უჭირავს ორთავეს, ერთ ფურცელზეა ჩაწერილი ორივეს სახელი.

ანტონ კათალიკოსი ეკუთვნოდა სამეფო გვარეულობას. ის იყო იესე მეფის შვილი, ვახტანგ VI-ის ძმის წული და დედის მხრივ ირაკლი I-ის შვილის შვილი. მამა მისი ებრძოდა თავის ძმას ვახტანგ VI-ეს ტახტის გულისთვის, არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას ამ ბრძოლაში. ტახტისთვის იბრძოდა ანტონის ძმა აბდულბეგიც. დედაც იმ იმედით ზრდიდა თავის შვილს, რომ ის ტახტზე ავიდოდა როდისმე. ანტონი კი ამაზე სულ არ ფიქრობდა, დედისავე გავლენით, ეტანებოდა უფრო ეკლესიას, მონასტერს. დედას არ ესიამოვნა მისი ბერად წასვლა. „შვილო ჩემო, — სწერდა, — რაისთვის განგმირე გული ჩემი მახვილითა... ძმა შენი აღარ იყო, და რათ წარიკვეთე სასო მეფობის მიღებაზედ. შენ უნდა გეფიქრნა ტახტზე, რომელიც ჩვენ დავკარგეთ, შენ უნდა ყოფილიყავი ერთად ერთი მემკვიდრე უბედურის მამის შენისა, რომელიც დაკარგული იყო ამა და იმ ქვეყნისათვის. (თ. ჟორდანიას წერილი, ანტონ II კათალიკოსი, „მოგზაური“, 1901 წ.).

საუფლისწულო გარემოცვა, დაუსრულებელი ბრძოლები სამეფო მემკვიდრეობის გარშემო ვერ იზიდავდა მომავალი კათალიკოსის გულს. მისი სული მიისწრაფებოდა ღვთისადმი და ეძებდა ბერულს ნავთსაყუდსა, მას სწყუროდა აზრით მიეღწია ღვთის განგებულებისადმიო“ — სწერს მთავარ ეპისკოპოსი ტიმოთე. (იქვე). ამ მისწრაფებით უპასუხებდა მისი შეგნება მაშინდელ სინამდვილეს. ის ეტანებოდა მყუდრო ცხოვრებას, როცა გარეშემო ირღვეოდა ყოველივე მყუდროება, ეძებდა „ღვთის განგებლობას“, როცა მთელ სინამდვილეში არაფერს არ ეტყობოდა კანონზომიერება, როცა არც ერთ საქმეს, არც ერთ მოვლენას არ უჩანდა თავი და ბოლო. ამ მისწრაფებას ხელს უწყობდა აგრეთვე აღზრდა დედის ხელმძღვანელობით. დედა ამზადებდა შვილს სამეფოდ, მეფეებს კი უნდა სცოდნოდათ საღვთო წერილი, ღვთისმეტყველება. უმაღლეს სასულიერო განათლების სკოლას წარმოადგენდა მაშინ დავით გარეჯის მონასტერი. იქიდან გამოდიოდნენ საეკლესიო და საერო წოდების რჩეული პირები. იქ მიაბარა დედამ ანტონი. დედის გავლენითვე გაღვივდა მის გულში, როგორც თითონ ამბობს, „ზეციური ცეცხლი. სარწმუნოებრივი სულის კვეთება, დედის გავლენით შექმნილი, ვერ ეგუებოდა და, ეწინააღმდეგებოდა იმას, რისთვისაც ამზადებდა იგივე დედა, სამეფო ტახტისთვის მამა შვილს არ ზოგავდა, და ძმა ძმის სისხლს არ ერიდებოდა. ანტონის გულს არ ეკარებოდა ეს ბრძოლა, რომელშიაც გადაფასებული და უარყოფილი იყო ყოველგვარი ზნეობრივი ღირებულება, მისი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სულისკვეთება ვერ შეუთანხმდებოდა, კერძოთ, იმ საშინელ უზნეობას, რომლითაც შესულია ისტორიაში მისი მამა იესე. დავით გურამიშ-

ვილი მოგვითხრობს, სხვათა შორის, როგორ ცდილობენ ქართლის და კახეთის მეფეები შეთანხმებას, დაახლოვებას...

და ეს ისე მეფის გულსა ვით ლახვარი
ხვდა დალრიჯა.

**იესე მეფემ, პოეტის გადმოცემით, ჩამოაგდო მათში ისევ მტრობა და გახვია ომის ცეცხლში ქართლ-კახეთი:**

იესემ თქვა გულსა შინა
„ჩემი ძმა არს ჩემი მტერი.
პატიმრობით დამაბერა
გამითეთრა თმა და წვერი,
აგრე როგორ დავბრმავდები,
შევიქნები გიჟი-სტერი
და მე იგ ორნი შევათვისო
მე კი დავრჩე ვით ოხერი“.

**იესემ განიზრახა თავის ძმის ვახტანგის წინაალმდეგ აემხედრებინა „კახბატონი“ კონსტანტინე და ამ მიზნით...**

გაგზავნა მან ეპიფანე ბერია
მისწერა კახსა ბატონსა
„ჰქვა თუ არ გარდაგერია,
რომ მოხვალ როდის დაგინდომს,
მოგკლავს ეს შენი მტერია,
და შენ სისხლსა ვილა მოკითხავს
კაცი ხარ ერთი ლერია“. („დავითიანი“).

**იესეს მოხერხებული ინტრიგების შედეგი იყო, რომ კახეთმა გაილაშქრა ქართლზე.**

„და თეთრსა მტკვარსა წითლად ლებდა,
რაც მათ სისხლი დააქციეს.

**იესემ შექმნა ისეთი მდგომარეობა, როცა**

კახთ იხმეს ლეკნი საშველათ
ქართველთ ოსმალოს ჯარნია.

**იესემ გაიუკვდავა თავი იმით, რომ...**

შეიყარა ოსმალო
იქმნა თბილისით შარები
მოხვდენ ერთმანეთს; დაიქცა
რაც მაშინ სისხლის ღვარები,
და ალაბრუნებდა ბევრ წისქვილს,
თუმცა სდებოდა ლარები.

**იესე იყო მთავარი მოქმედი პირი იმ ისტორიის, რომლის ფურცლებზედაც სამუდამოთ ჩაიწერა:**

—, ვაი იმ დღეს. ოსმალონი
ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ
საცა შევხვდისთ მუშაკაცი,
გლახა მწირსა თავსა სჭრიდეს;
გოდორს თავი აკლიაო
ცხრის ურმისა ზარში ყრიდენ
და ტანთ მარხველი არა ყვანდა,
მელა ტურა გამოხვრიდენ.

იესეს არ ჩამოუვარდებოდა მისი [illegible] დულბეგი, ანტონის ძმა აბდულბეგი [illegible] საშუალებებით იბრძოდა ტახტისთვის და ებრძოდა მეფეს თეიმურაზ II-ეს. თეიმურაზმა დროებით გადასცა სამეფო, როცა თითონ სპარსეთში მოუხდა წასვლა, ისარგებლა მერე იმ ხმებით, რომ თეიმურაზი იქ გარდაიცვალაო, შექმნა ქართლში და კახეთში საშინელი არევდარევა, აამხედრა ერეკლე II-ის წინააღმდეგ სპარსეთის შახი და ქართლის მთავრები.

იესე და აბდულბეგის, ამ ორი მამაშვილის „საგმირო“ საქმიანობა, ეს იყო ერთერთი საფეხური იმ სოციალური ბრძოლის, რომელშიაც ერთ მხარეზე იდგა საუფლისწულო კუთხობრივი მეფე-მთავრიანობა და მეორეზე შემაკავშირებელი ერთმეფიანობა. ანტონ კათალიკოსი თავიდანვე ამოუდგა გვერდით მეორე მხარეს, თუმცა პირველ მხარეზე იყო მთელი მისი ნათესაობა. მისი ნათესავი იყო ქართლის საუფლისწულო თავადი გივი ამილახვარი, რომელიც აბდულბეგთან ერთად აწყობდა აჯანყებებს თეიმურაზ II-ის წინააღმდეგ. ანტონ კათალიკოსი მოურიდებლათ ებრძოდა თავის ნათესავებს და მათ საქმიანობას, ეკლესიის ავტორიტეტით ამტკიცებდა ხალხის თვალში გაშაერთიანებელ მეფობის პრინციპს, იცავდა ერთმეფობას, რომელიც აკეთებდა იმ დროისათვის პროგრესიულ საქმეს. როგორც ღვთის მოშიში და მორწმუნე, ბავშვობიდანვე ღვთისმეტყველურათ აღზრდილი, ბერული სულისკვეთებით გამსჭვალული, ის გამოდიოდა ეკლესიის ინტერესებიდან. უნდოდა ეკლესია გამოეყვანა კუთხობრივი თავად-მთავრების მორჩილებიდან, უნდოდა შეექმნა ერთი წესი ეკლესიისთვის, უნდოდა გაერთიანებული ეკლესია დაეკავშირებია გაერთიანებულ სახელმწიფოსთან. საუფლისწულო წრეებიდან გამოსულმა ზურგი შეაქცია ამ ნათესაურ გარემოცვას, ხელში აილო მისი საწინააღმდეგო დროშა, რომელიც მთელ სიცოცხლეში არ გაუშვია ხელიდან.

ანტონ კათალიკოსი იყო ერეკლე მეფის მედროშე, თანამოაზრე და თანამებრძოლი თავიდან ბოლომდის. მისი საზოგადოებრივი იდეალი ,როგორც ერეკლესი, იყო აბსოლიუტური მონარქია. ახლანდელ სმენას, რა თქმა უნდა, ეუცხოება ამის გაგონება, მაგრამ მაშინდელ საქართველოსთვის აბსოლიუტური მონარქია იქნებოდა ხსნა, გამოსავალი იმ არევ-დარევიდან, ანარქიიდან, რომელსაც ქმნიდა საუფლისწულო სისტემა. გლეხიც, ვაჭარიც, ბერიც და ერიც დაინტერესებული იყო, რომ ერთ წესს, ერთ კანონს დამორჩილებოდა ყველა. კუთხობრივი თავგასულობა, თავთავის კანონები აქაც, იქაც, ეს ანარქია ხელს ვერ შეუწყობდა მეურნეობის განვითარებას ვერც სოფელში, ვერც ქალაქში. როცა ხალხი სწერდა ერეკლეს, — ერთი ღმერთია ჩვენი პატრონი და მეორე შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო. ის ამით გამოხატავდა თავის ინტერესებს. ერთი ღმერთის და ერთი მეფის პატრონობას ხალხის თვალში წარმოადგენდნენ ერეკლე და ანტონ კათალიკოსი.

ეს უკანასკნელი სარგებლობდა მეფის უფლებებით. როგორც ერეკლე განსაკუთრებული სიგელებით ამა თუ იმ პირს აძლევდა მიწას, ყმას, ისე განაგებდა ანტონ კათალიკოსი საეკლესიო უძრავ და მოძრავ საკუთრებას. საუფლისწულო თავადებისგან შევიწროებული ყმები ეძებდნენ მფარველობას საეკლესიო-სამონასტრო ყმობაში. იყო შემთხვევები, როცა საეკლესიო მთავრისგან „ნაბოძები" გლეხები ვერ უძლებდნენ საერთო ბატონის უღელს და მიმართავდნენ ისევ ეკლესიას. ერთ სიგელში ვკითხულობთ, სხვათა შორის: ...— „წყალობითა ღვთისათა ჩვენ სრულიად საქართველოს კათალიკოსმან პატრიარქმან ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ დიდისეკლესიის სვეტიცხოვლის ყმათა მოხისელი რევაზიშვილებსა ოთხ კომლსა... ასე რომ ნეტარხსენებულ სანატრელს კათალიკოსს, პატრიარქს ანტონს, თუმცა რომელსაც მიზეზით კვალიაშვილისათვის თქვენი თავი ებოძა ამგვარათ, რომ ერთი კომლი რევაზიშვილი ეთხოვნა და კვალიაშვილს ოთხი კომლი თავისის ცოლშვილით ერთ კომლათ მიემძლავრა. ახლა ჩვენ რომ ეს ზედმიწევნით შევიტყევით თქვენი ვითარება... მეორე ეს, რომ კვალიაშვილებს აუკლიხართ და მრავლის ტანჯვით ღედაკაცებისთვისაც მრავალი უციათ, რომ ფეხის ფრჩხილები წაუყრევნებიათ... და ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და თქვენნი ყოველი სარჩელნი მოვისმინეთ და ამ საქმისთვის არა მცირედი განჯა ვყავით და მრავლის გამოძლევით და მრავლითა კაცთა მოწმობით სამღვდელოთა და საეროთ კითხვით გულსავსე ვიქნებით... ამ მიზეზით თქვენი თავი კვალიაშვილებს ჩამოვართვით და როგორც დიდის ეკლესიისა ყოფილხართ, ისევ სვეტიცხოვლის ყმათ დაგდევით..." (წყალობის წიგნი, მოცემული ანტონ II მიერ რევაზიშვილებისადმი).

ეს, რა თქმა უნდა, არ იყო წყალობა, საეკლესიო ყმობა არ იყო უფრო ადამიანური, ვიდრე საერო. პირიქით, როგორც ვთქვით, მონასტრის გლეხებს ექცეოდნენ მეტი სისასტიკით, როცა თავს იჩენდა ხოლმე მათი ურჩობა. მაგრამ ეკლესიას ეძლეოდა მიმართულება სახელმწიფოებრიობის ხაზით. ზემოთ ამონაწერი სიგელი ამ მიმართულების მაჩვენებელია. ეკლესიას ქონდა მეტი უფლება, ვიდრე საერო მებატონეს. ეკლესიის მთავარ მმართველს შეეძლო ჩამოერთმია იმისთვის ყმები. ეს მეტუფლებიანობა იყო მაშინ პროგრესული მოვლენა. საერო მებატონეობა ნიშნავდა დანაწილებას, სხვა და სხვა გვარობას. ეკლესია კი ატარებდა ერთიანობის პრინციპს. საუფლისწულო უწესობა გზას უთმობდა ერთმეფობის, ერთმბრძანებლობის წესს. ჰუმანიტური არ ყოფილა არც ერთი, არც მეორე. მაგრამ საზოგადოებრივი მოვლენა ფასდება მომავლის მიხედვით. ერთმეფობას, გაერთიანებულ სახელმწიფოს პირი ქონდა მომავლისაკენ. საუფლისწულო ხანა ეკუთვნოდა უკვე წარსულს. მხოლოდ ცენტრალურ სახელმწიფოში შეიძლებოდა ბრძოლა ახალი საზოგადოებრივი რეფორმებისთვის. არც ანტონ კათალიკოსს, და არც ერეკლე მეფეს არ სწამდათ ახალი საზოგადოებრივი რეფორმები. მათი იდეალი იყო, რომ ისტორიული პროცესი ვერ გასცილებოდა აბსოლიუტურ მონარქიას. გაერთიანებული და აბსოლიტიურ მონარქიული სახელმწიფოთი ათავებდნენ ისინი ბრძოლას საუფლისწულო დამნაწილებელ-დამრღვევ ძალების წინაალმდეგ. აქ თავდებოდა მათი პროგრესიული როლი საქართველოს ისტორიაში და აქედან ეძლეოდა სათავე მათ რეაქციონურ როლს. უნდა გამოსულიყვნენ ასპარეზზე სხვა წრეები, კლასები, რომლებიც გამოიყენებდნენ მათ მემკვიდრეობას და ბრძოლის მიზნათ გაიხდიდნენ სახელმწიფოს დემოკრატიულად გარდაქმნას.

ანტონი და ერეკლე ვერ მოესწრნენ ამ საზოგადოებრივ მემკვიდრეობას. ისინი უფრთხოდნენ კიდეც ამისთანა შესაძლებლობას. ეს შიშიც იქნება. შედიოდა ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იმ აუცილებლობაში, რომელიც ახედვინებდა მათ რუსეთისაკენ. ეძებდნენ რუსეთის მფარველობას უფრო იმისთვის, რომ უზრუნველეყოთ საქართველოში ფეოდალური აბსოლიუტიზმის ხელუხლებლობა. ეს რეაქციონური მისწრაფება სავსებით შეეფერებოდა იმ განათლებას, რომელიც ქონდა მიღებული ანტონ კათალიკოსს.

საინტერესო წყაროებში არ მოგვეპოება ცნობები იმის საერო განათლების შესახებ. თ. ჟორდანია ამბობს მხოლოდ, რომ „საერო მეცნიერებას და მწერლობას იჩენდა ანტონი, ალბათ, ფალავანდიშვილისა და ხერხეულიძისაგანო". („მოგზაური", 1901 წ. ანტონ კათალიკოსი). რა დონეზე იდგენ ამ შემთხვევაში ის მასწავლებლები, ჩვენ არ ვიცით. ანტონ კათალიკოსის ლიტერატურულ შრომებიდანაც არ სჩანს, რამდენად იცნობდა ის ევროპიულ საერო მეცნიერებას და მწერლობას. მთელი მისი ინტერესები და გონებრივი ენერგია მიმართული იყო ღვთისმეტყველებისკენ. და არსად თავის საღვთისმეტყველო მეცნიერულ შრომებში არ ეხება იმ ევროპიულ მეცნიერებას, რომელიც ილაშქრებდა იმ დროს ღვთისმეტყველების, სარწმუნოების წინაალმდეგ. ჩვენი ისტორიკოსები ამბობენ, რომ ანტონ კათალიკოსს შემოქონდა საქართველოში ევროპიული სწავლა-განათლება. პირიქით, ის ერიდებოდა იმ სწავლა-განათლების შემოტანას, რომელსაც გზა

ეძლეოდა მაშინ პროგრესიულ-რევოლუციონურ ევროპაში. ის თითქო, ვერ ამჩნევდა, კრიტიკულადაც არ იხსენიებდა, სხვათა შორის, ვოლტერიანიზმის გავლენას იმ მაღალ წოდების ინტელიგენციაში (დავით ბატონიშვილი და სხვა), რომელსაც ეკუთვნოდა თვითონ.

ღვთის მეტყველების დარგშიაც მისაღები იყო მხოლოდ წმინდა ეკლესიური, მართლმადიდებლური ცოდნა. ეს უფრო შეეგუებოდა იმას, ასე ვთქვათ, პროგრამულ დებულებას. „გზამეტყველების წინასიტყვაობაში ვკითხულობთ ...„ხოლო სწავლისა სიბრძნისა ძიებასა ორ სახეთ ვიცნობთ: პირველად, ვიდრე მე სწავლითა და მეცნიერებათა სალვმთოთა წერილთათა, ხოლო მეორეთ უმჯობეს და უაღრეს ამისა, ვითარმე სათნოებათა სიმდიდრითა განვისწავლებით ფრიად, დალათუ უსწავლელნი და უმეცარნი ვიყვენითმცა, რამეთუ უკეთუ სავსებით მოვიგოთ სათნოებათა სიმდიდრე, გარდმოვალს ჩვენზედა მადლი გონებისა ქრისტესისა და აღგვავსებს სიბრძნითა, რომელიცა ჩვენთანა დაადგრეს უკუნისამდე“. (გზამეტყველება, 1802 წ., 3). სწავლა-ცოდნა იმდენათ არ ყოფილა საჭირო სიბრძნისთვის, როგორც „სათნოება“. სარწმუნოებრივ და ზნეობრივი სიწმინდე გადმოიყვანს ადამიანზე „ზეციურ მადლს“ და ამისი შედეგი იქნება ნამდვილი სიბრძნე. მთავარია ერთგულება ეკლესიის, ღვთაების მიმართ, უამისოთ ცოდნას არავითარი ფასი არა აქვს. სწავლული და მცოდნე, ბრძენი ვერ იქნება, თუ ერთგულება და სასოება არ ახლავს, ბრძენი იქნება უცოდინარიც და უსწავლელიც, თუ ის ღვთის მოყვარეა და ერთგული. ეს ძველი, მაგრამ მოუძველებელი დებულება, რომელსაც ელფერი ეცვლება მხოლოდ სხვა და სხვა დროს და ადგილას, საფუძვლად ედო ანტონ კათალიკოსის აზროვნებას. განათლების, შემეცნების წყაროდ მიაჩნდა ზეციური შთაგონება და არა კრიტიკული გონება, რომელსაც ემყარებოდა უკვე ევროპის განათლება. ანტონ კათალიკოსი იმდენათ გაურბოდა ევროპიულ განათლებას, რომ თავისი სალვთისმეტყველო შრომებში არსად არ ეხება აქაურ კრიტიკულ მიმდინარეობებს. როგორ იცავდა თავს ღვთისმეტყველება, როგორ ხვდებოდა საერთო მეცნიერების კრიტიკას ევროპაში, როგორი იყო მისი სამაგიერო კრიტიკა, ეს, როგორც სჩანს, არ აინტერესებდა ანტონ კათალიკოსს. თითქო, ცოდვაში ჩავარდნის ეშინოდა. თავის მსოფლიო სალვთისმეტყველო განათლებაში ის არ გასცილებია მსოფლიო „მართლმადიდებლურ“ ეკლესიის „წმინდა მამებს“.

ამ მხრივაა საინტერესო ანტონ კათალიკოსის მწიგნობრული მოღვაწეობა. ის არის დამახასიათებელი თავისი ეპოქის. სხვა მნიშვნელობა არ მიეწერება იმის შრომებს. არ შეიძლება ითქვას, რომ ის თავის „გზამეტყველებით“, „გრამატიკით“, „ფილოსოფიით“, „არისტოტელის კატეგორიებით“ გავლენას ახდენდა მაშინდელ საზოგადოებრივ აზრზე საქართველოში. არც იბეჭდებოდა მის სიცოცხლეში ყველა, და დაბეჭდილიც მიუწდომელი იქნებოდა ფართო წრეებისთვის. ანტონ კათალიკოსის სქოლასტიურ აზროვნებას ქონდა სავსებით შესაფერისი სქოლასტიური და გაუგებარი ენა.

მის თეორეტიულ მუშაობას შეიძლება ამიტომ სულაც აექცეს გვერდი. უფრო ნაყოფიერი და პროგრესიულიც იყო მისი პრაქტიკული მუშაობა. პრაქტიკულათ, ეს ზემოთაც გვქონდა ნათქვამი, ის მოევლინა ქართულ ეკლესიას, როგორც დიდი რეფორმატორი, ის იყო ეკლესიის გამაერთიანებელი და აქედან საფუძვლის დამდები საქართველოს გაერთიანებისათვის. მტერი, როგორც ვიცით, სარწმუნოებას იყენებდა დაპყრობის და დანაწილების იარაღათ. ანტონ კათალიკოსი დაპყრობილ კუთხეებში ავრცელებდა და აღვიძებდა გამაერთიანებელ ქრისტიანობას. ცნობილი მკვლევარი, თ. ჟორდანია მოგვითხრობს, რომ „განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული მისგან ოსებზე და ძველ მესხებზე, რომელიც შეუერთდა თურქებს მე-18 საუკ. დასაწყისშიო“. თურქები, რასაკვირველია, ცდილობდენ დაპყრობილი ადგილების გამახმადიანებას. თ. ჟორდანიას სიტყვით, ქრისტიანობა იქ „შერყეული იყო ძლიერ“ ...„ათაბეგნი და მაღალი წოდების პირნი აღიარებენ მახმადის სარწმუნოებას, და დაბალ წოდების ხალხს კი ჯერ კიდევ არ დაეკარგა მამაპაპის სარწმუნოება, თუმცა ისინი მრავალჯერ იდევნებოდენ“. (თ. ჟორდანია, ანტონ II კათალიკოსი. „მოგზაური“, 1902 წ. № 2). ცხადია, „დაბალი“ წოდების ხალხისთვის ქრისტიანობა არ იყო განყენებული რამე. ის ამითი იცავდა თავის მიწა-წყალს, თავის სახლ-კარს და ნაჭირნახულევს, „მაღალი“ წოდების წრეებს კი უფრო ეადვილებოდათ სარწმუნოების გამოცვლა. დამახასიათებელია ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობისთვის, რომ... „მესხეთში ქრისტიანობის გასამტკიცებლად მუდმივი კავშირი ქონდა იმ კუთხის გავლენიან პირებთან, უგზავნიდა ბარათებს ათაბეგსა და მასთან მეგობრობდა. აგზავნიდა აგრეთვე საიმედო პირებს იქა და იღებდა მათგან დამორჩილების ხელწერილებსა“. (იქვე). ალბათ, არ ემორჩილებოდენ. თავისი კუთხობრივი ბატონობა უნდოდათ და ამ „დამოუკიდებლობის“ გულისთვის გარეშე ძალას ემორჩილებოდენ. ეს იყო ჩვენი ნაცნობი საუფლისწულო ტრადიციები. ანტონ კათალიკოსი ებრძოდა მათ თავის დარგში. ის ასრულებდა პროგრესიულ დანიშნულებას. მაგრამ ებრძოდა იმავე გზით,

როგორც ერეკლე მეფე, დავ. გურამიშვილი და სხვა. ისიც „მაღალი“ წოდების გაერთიანებით ფიქრობდა საქართველოს გაერთიანებას. თ. ჟორდანია შენიშნავს: „ჯერ არ ვუწყით კიდევ, რა ნაყოფი გამოიღო ანტონის შრომამ მესხეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში. ვუწყით მხოლოდ ,რომ მდაბიო ხალხში ქრისტიანობა დაცული იყო იქ მე-XVIII საუკუნის ბოლომდისინო“. ცხადია, ამ სიტყვებიდან, რომ მდაბიო ხალხზე ანტონ კათალიკოსს გავლენა არ ქონებია. მდაბიო ხალხში მინამდისაც დაცული იყო ქრისტიანობა. ცხადია, იმავე დროს, რომ მისი მოღვაწეობა „ქრისტიანობის გავრცელების საქმეში“ შეეფერებოდა ამ ხალხის ინტერესებს. ხალხი გრძნობდა, რომ თავს ვერ დაიცავს მტრისგან, სანამ საქართველო დანაწილებულია. ერთი სარწმუნოება ყველა ნაწილებში დიდი მნიშვნელობის ძალა იყო მაშინ გაერთიანების გზაზე. მტრები ამიტომ ცდილობდენ სარწმუნოების დანაწილებასაც. საუფლისწულო წესი სასულიერო წოდებაშიაც სჭირდებოდათ საქართველოს დაფანტვისა და დამორჩილებისათვის. მტერს გაუდიოდა ეს „მაღალ“ წრეებში, მდაბიო ხალხში იმდენათ არა. მაშინდელ ინტელიგენციას საქმე ქონდა „მაღალ“ წრეებთან, რომლებიც ან ატყუებენ, ან სულ არ უგონებდენ. მდაბიო ხალხი ეუცხოებოდა ანტონ კათალიკოსის სოციალურ წრეს. უშუალოთ ის არ უახლოვდებოდა ხალხს, თუმცა არ შეეძლო, არ დაენახა, რომ იქ უფრო საიმედოთ ინახებოდა ქრისტიანობა. ანტონ კათალიკოსიც მთელ ინტელიგენციასთან ერთად ხალხის სარწმუნეობრივ გრძნობას იყენებდა სხვა ინტერესებისთვის: „ანტონმა თან და თან გაამრავლა საეპარქიო სკოლები და დაავალა ეპისკოპოსთ, ესწავლებინათ ერისათვის“. ეპისკოპოსების საშუალებით უნდოდა, ჩაენერგა ხალხში ის სქოლასტიური განათლება, რომელსაც უნდა „დაემშვენებია“ ახლო მომავალში ფეოდალური საქართველო „ერთი ღვთით და ერთი მეფით“.

ასე ებმებოდა ერთიმეორეს რეაქციონური და პროგრესული ხაზები ანტონ კათალიკოსის მუშაობაშიაც. უთუოდ პროგრესიული იყო საქართველოს ყველა კუთხეებიდან დაფანტული და იშვიათი ხელთნაწერების „შეკრება, ერთი წიგნთსაცავის დაარსება, სკოლების შექმნა, სტამბების წამოწყება, მაგრამ ანტონ კათალიკოსს არ უფიქრია, რომ ხალხისთვის გაუგებარი იქნებოდა სქოლასტიური მწიგნობრობა. ის ფიქრობდა, ალბათ, რომ გაგების მაგივრათ, მორწმუნე ხალხს ექნებოდა შთაგონება, გაუგებარი ენა, მაღალი, მიუწვდომელი წიგნი უფრო საიმედო საშუალება იყო სარწმუნეობის ჩასაგონებლათ.

ეპოქისათვის საჭირო იყო ანტონ კათალიკოსის პრაქტიკული მოღვაწეობა, იმდენათ საჭირო, რომ ეპატია რასაც ქართული ეკლესია დანაშაულათ უთვლიდა, რისთვისაც თავის დროზე გაიდევნა საქართველოდან. სქოლასტიურმა განათლებამ ის ვერ ატარა სწორი გზით. სქოლასტიურმა მასწავლებლებმა გადაახრევინეს, მიალებინეს, რაც მიუღებელი იყო მართლმადიდებლური სარწმუნოებისთვის. ქართული სამღვდელოების შეკრებულებამ ის გააძევა ამისთვის, მერე კი ეს სასჯელი მოეხსნა, მოიწვიეს საქართველოში.

აქ იმავე სამღვდელოების თანამშრომლობით და მორჩილებით ანტონ კათალიკოსმა ჩაატარა ბოლომდის საეკლესიო რეფორმაციის საქმე. მისი რეფორმატორული მოღვაწეობა არ ეხებოდა არსებითად სარწმუნოებრივ საკითხებს. არაფერი საერთო არ ჰქონდა ამ მხრივ იმ რეფორმაციასთან, რომელმაც ააფორიაქა დასავლეთ ევროპის საეკლესიო ცხოვრება. ანტონ კათალიკოსს აინტერესებდა მხოლოდ საორგანიზაციო კითხვები. ქართული ეკლესია მოშლილი იყო და დანაწილებული კუთხობრივათ. დაკარგული ქონდა მთლიანი სახელმწიფოებრიობის სული, ექვემდებარებოდა საუფლისწულო თავად მთავრებს. ანტონ კათალიკოსმა შეიტანა იქ დისციპლინა, წესრიგი, მისცა ეკლესიას ცენტრალიზაციის მისამართი, ჩამოაშორა ის კუთხობრივ ბრძანებლებს და დაუმორჩილა გაერთიანებულ სახელმწიფოს. თითონ არ მოსწრებია სახელმწიფოს გაერთიანებას, მაგრამ ეს სული ედგა მის საეკლესიო რეფორმატორულ მუშაობას. თავის თავადვე გამოდიოდა, რომ ეს მუშაობა საეკლესიოც იყო და საეროც. ანტონ კათალიკოსი უშუალო მონაწილეობას იღებდა „დიდებულთა“ გამაერთიანებელ მოძრაობაში, მისი ხელი აწერია, სხვათა შორის, იმ შეთანხმების ტრაქტატს, რომელიც დაიწერა 1790 წელს.

წინააღმდეგობას არსად შეხვედრია ანტონ კათალიკოსი ამ საეკლესიო რევოლუციაში. ეპოქის საჭიროებას არ ყავდა დიდი მოწინააღმდეგე ძალები. დაფანტულ დანაწილებულ სამღვდელოებას არ შეეძლო თავისი ინიციატივა გამოეჩინა რამეში. მებრძოლი საერო ძალები იყენებდნენ ამ სამღვდელოების პირებს უსიტყვო დამხმარე იარაღად. ჩვენ ვიცით, როგორ იყენებდა დაბალ სამღვდელოებას თვით ანტონ კათალიკოსის მამა, იესე მეფე თავის გამთიშველ საქმიანობაში.

დავ. გურამიშვილი მოგვითხრობს, როგორ ურიგდებოდნენ ერთმანეთს ქართლ-კახეთის მბრძანებლები და როგორ ჩაშალა ეს ცდა იესემ:

„იხმო ბერი დიდოველი  
ვით მოწაფე მოძღვართ ინდობს,  
უბრძანა: თუ ჩემო ბერო,  
ეს ჩემი ძმა ეშმაკფლიდობს,  
არას კაცსა არ კადრულობს,  
ამპარტავნობს და გულდიდობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მე ძმა ვიყავ, არ დამინდო,
კახ-ბატონსა ვით დაინდობს
კახეთშიაც დიდათ წყინობს
იმის გაბატონებასა,
აქ თუ მოვა, ფიცხლავ მოკლავს.
მოხვეჭს იმის ქონებასა.

იესეს არ დასჭირდებოდა სარწმუნეობრივი გრძნობების ამოძრავება „ეპიფანე ბერის" გულში:

რადგან მადლის მოლვაწე ხარ
სთმობ ამ სოფლის ცხოვრებასა,
და შენ ის სიკვდილს მოარჩინე,
ღმერთი მოგცემს ცხოვნებასა...
უამისოთაც გაეგზავნებოდა, და
. . . . . . . . . გაგზავნა
მან ეპიფანე ბერია".

მადლის სახელით დაავალა ბოროტი საქმე. ბერმა შეასრულა დავალება, როცა კახეთის ბატონი კონსტანტინე მიდიოდა სამშვიდობოთ ქართლის მეფე ვახტანგთან.

მიმავალსა წინ დაუხვდა
კონსტანტინეს იგი ბერი,
გარდახდა და თაყვანი სცა,
ხელში მისცა მინაწერი,
მან გაშალა, წაიკითხა,
დაიქნივა თავკისერი,
და ფიცხლავ უკან გამობრუნდა,
განამჟღავნა არაფერი.

ბერები გამოიყენა კონსტანტინემაც, გაატანა წერილი ქართლის მეფესთან:

მიუხაროდათ დიაკვნებს
— საქართლოთ გაჩაფრულებსა:
ვიშოვნით მრავალ ფრულებსა,
საქონლით სავსეს მოვახმართ
ჯორ-აქლემთ დაყათრულებსა"...

ოცნებობდნენ გაგზავნილები, არც ერთ მათგანს არ ეთქმოდა „სთმობა ამ სოფლის ცხოვრებასა", პირიქით:

ერთმან იხუმრა, ვიბანებ
თიფლის აბანოთ ნურითა,
მეორემ, თევზით გავძღები,
ხურგიელ გულ აქნურითა,
მესამემ — მივიბრუეები
ღვინითა ალტენურითა"...

მოულოდნელი იყო მათთვის, რომ ქართლის მეფე მათ მიერ მიტანილი წერილის კითხვაზე:

გახდა ვითა ნაკვერცხალი
მეტის წყენით ექცა ფერი,
ბერებს უთხრა: რად მოგქონდათ
თქვენ ასეთი დანაწერი;
რასთვის იმას არ ურჩიეთ,
ზედ თუ გქონდათ ულვაშ-წვერი,
და თუ არა და წყალს არ სცვივდით
თუმცა გალობდეთ მწერი".
რად არ ხართ მონასტერში,
არ ილოცავთ, ღმერთს არ ესავთ.
გამოსულხართ და დასდიხართ,
ეხაობთ და ჩხუბსა სთესავთ;
ჩვენთა ხრმალთა გამასულთა
მაგით უფრო თქვენ ალლესავთ
და ღმერთი როგორ დაიდუმებს,
არა მკითხავთ მაგდენს თქვენს ავს".

ეს დახასიათება არ არის სასიქადულო მაშინდელი სასულიერო წოდებისათვის. ამ მემკვიდრეობას ებრძოდა ანტონ კათალიკოსი. „ენაობა და ჩხუბის თესვა" სჭირდებოდა საუფლისწულო ურთიერთობას. ამ რეაქციის სამსახურში იდგა სასულიერო წოდება. ანტონ კათალიკოსმა შეიტანა სინათლე ამ დიდ სიბნელეში. გამოიყვანა ეკლესია „ენაობის და ჩხუბის თესვას" მოვალეობიდან, დააყენა ის სახელმწიფოებრიობის სიმაღლეზე.

თავისით ის ვერ ჩაატარებდა იმ დიდ მუშაობას, რომელსაც მოითხოვდა საეკლესიო რეფორმა. ამას ანტონ კათალიკოსი კარგად გრძნობდა და ამიტომ თავიდანვე ამოუდგა გვერდში საერთო-სახელმწიფო ძალას. ის ერეოდა საერო საქმეებში, როცა ეს საჭირო იყო სახელმწიფო ინტერესებისთვის. როცა მრავალმთავრიანობა, კუთხობრივი და გვარეული სეპარატიზმი ებრძოდა ერთ მეფობას, ის აქტიურათ გამოდიოდა უკანასკნელის მხარეზე. როცა ქსნის და არაგვის ერისთავები ეწინაალმდეგებოდნენ ქართლის მეფეს, თეიმურაზ მე-II-ს, უნდოდათ ტახტი წაერთმიათ მისთვის და გაემეფებიათ ვახტანგის მემკვიდრე, როცა თვით ანტონ კათალიკოსის ძმა აბდულბეგი აჯანყებას უწყობდა თეიმურაზს, რომ თითონ გამეფებულიყო, ანტონ კათალიკოსმა „თეიმურაზ მე-II-ის გასაძლიერებლად და მეამბოხეთა დასამშვიდებლათ დაადგა გვირგვინი მეფეს და სცხო მირონი შუბლზე. იმ დროისთვის ეს, რასაკვირველია, დიდი სააგიტაციო საშუალება იყო ხალხზე შთაბეჭდილების მოსახდენათ. ასეთივე მომენტი იყო, როცა ერეკლე მე-II შეეჯახა აბდულბეგის თაოსნობით ამხედრებულ სპარსეთის შახს და ქართველ მთავრებს, ბარათაშვილებს... ანტონ კათალიკოსმა „მიუხედავათ იმისა, რომ აბდულბეგი მისი ძმა იყო, სასტიკი სასჯელი გადაუწყვიტა მას. გადაახდევინა პარაკლისი სამღვდელოებას, რომ მეფეს გაემარჯვა მტერზე და ომის დაწყების დროს აკურთხა ირაკლი მე-II თავისის მხედრიებით, რომელიც შედგებოდა 8000 კაცისაგან". (თ. ჟორდანია ანტონ II კათალიკოსი. „მოგზაური", 1902 წ.).

ერეკლემ დაამარცხა აბდულბეგი და ამ ხანგრძლივი ომების შემდეგ ანტონ კათალიკოსმა ისარგებლა მშვიდობიანი დროით, მოიწვია კახეთის სამღვდელოების კრება ჯერ ერთი, მერე მეორე, გაატარა ამ ორ კრებაზე საეკლესიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საორგანიზაციო რეფორმები, აღადგინა საუფლისწულო სისტემით დარღვეული წესები, მოსპო კუთხობრივი დამოუკიდებლობები სასულიერო წოდებაში. ერეკლე სწერდა რუსეთში გაძევებულ კათალიკოსს, და ამ წერილებში, იყო გრძნობა მარტოობის, სისუსტის და, თითქო უმწეობისაც.

„...— რა წახვეღ და სიახლოვესგან მიგვეფარე, ღვთისგან ჩემ სიცოცხლეში მრჩობლათ შენი საფარველი ნუ მოგვეკლოს, მას აქეთ მეცა სიცოცხლისა და გონებისა სიხარული გაამრმებია. დამიჯერე ახლოს ვერ მოგახსენებდი ამას, მაგრამ ახლა კი მოგახსენებ: მე უშენოთ ვერ ვიქნები, თორემ ბოლოს გამოჩნდება. მე უშენოთ არა მეამება რა. სწორე გითხრა ვერც ამას მართლა ვიხალისებ და თუ სიხარულში მჭირს, თუ უწინ შენ არა ხარ, როგორ იქნება ჩემთვის სრული სიხარული. შენ საქართველოს ეკლესიის მარილი და მეფეების გვირგვინი გაგვეცალე და რადგან ეს დაგვემართა, არც არა საქები რამე დაგვრჩებოდა, და თუ საქები კი აღარა დაგვრჩომია რა, არც მთელი სიხარული და გვექნება... შენი ამ ქვეყნად დაკარგვა ჩვენ უნდა დაგვემძიმოს, ვისაც ჭკუა აქვს, თორემ ღვთისგან ასეთი იმედი მაქვს, საცა იქნება შენ შენი პატივი თუ მოინდომებ, არ მოგაკლდება, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ. ...ბევრჯერ ეჭვში ჩავარდი ხოლმე, ვაიმე თუ ჩემზე ამ ავს და იმის გამოუყენებელს ერეკლეზე ანტონის ის გული აღარ ქონდეს მეთქი“... („მოამბე“, 1894, № 1. მეფე ირაკლი მე-II-ის დროის წერილები).

ეს წერილი დამახასიათებელია თავისი კილოთი და შინაარსითაც. ერეკლე, თითქო, დამნაშავეთ გრძნობდა თავს ანტონ კათალიკოსთან, თავის დროზე რომ ვერ გამოესარჩლა. უნდა ვიფიქროთ, რომ ის არ ეთანხმებოდა სამღვდელოებას ანტონ კათალიკოსის გასამართლებაში და გაძევებაში. ბრალმდებლებებს და მოსამართლეებს არ ქონდათ გათვალისწინებული მისი მნიშვნელობა საქართველოს გაერთიანების საკითხში, ან შეგნებულათ სდევნიდნენ სწორეთ ამ მნიშვნელობისათვის. შეიძლება, ანტონ კათალიკოსის გარეშე მოხდებოდა იგივე შეჯახება საუფლისწულო ცალცალკეობის და ერთმეფობის. შეიძლება, მისი მოწინაალმდეგე სამღვდელოება ეკუთვნოდა საუფლისწულო წრეებს და უნდოდა მისი მოცილება. ყოველ შემთხვევაში, ერეკლეს წერილიდან სჩანს, რომ ის უპირდაპირდება იმ წრეებს, — შენი ამ ქვეყნად დაკარგვა ჩვენ უნდა დაგვემძიმოს, ვისაც ჭკუა აქვსო. ერეკლე სწუხს, — „შენ საქართველოს ეკლესიის მარილი და მეფეების გვირგვინი გაგვეცალე და რადგან ასე დაგვემართა, არც არა საქები რამე დაგვრჩებოდა რაო“. რატომ „დაემართა“ ერეკლეს ის, რაც სამწუხარო შეიქნა მისთვის. ეს იყო, რა თქმა უნდა, მისი სისუსტე იმ სოციალურ ძალთა განწყობილებაში. ერეკლე აღიარებს თავის სისუსტეს; თითქმის უმწეობას... „მაგრამ ჩვენ რა ვქნათო“. შინაურ პოლიტიკაში, საშინაო საქმეებში ერეკლე ვერ იჩენდა შესაფერ თანმიმდევრობით სიმტკიცეს, მოუხრელობას, გამბედაობას. შეიძლება ითქვას, რომ ანტონ კათალიკოსის ხასიათში იყო მეტი ფოლადიანობა, მეტი შეუპოვრობა, მან არ იცოდა ნათესაური ხათრი, მორიდება. ამითი ის უთუოდ მაღლა იდგა ერეკლეზე, რომელიც ანგარიშს უწევდა ცოლს, შვილებს, ვერ ებრძოდა მათ ანარქიულ, სეპარატიულ მისწრაფებებს. ანტონ კათალიკოსმა შეუდრეკლათ გადალახა თავისი ნათესაური გარემოცვა, რომელიც მიიწევდა საუფლისწულო სისტემისკენ. ორივე ემსახურებოდა განსაზღვრულ სოციალური წრის ინტერესებს, მაგრამ ერეკლეს ხშირად საერთო პერსპექტივები ეზღუდებოდა დარეჯან დედოფლის სურვილებით და შვილების მემკვიდრეობითი უფლების კითხვებით. საგულისხმოა ამ მხრივ ის „თავის თავად შეიძლება, წვრილმანი გარემოება, რომ „ანტონს უნდოდა დაემორჩილებინა მეფის წინაშე თავის სიმამრი, გივი ამილახვარი“, ერეკლესთვის კი საკმაო იყო დარეჯანის საყვედური, რომ გულში აღარ გაევლო გურიის სამთავროს გაუქმება და შეეფერხებინა გაერთიანების საქმეც...

ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიის „მფარველობის“ ქვეშ, — ეს საქმე ანტონ კათალიკოსმა შეასრულა პირნათლად და ბოლომდის. მთელი ეს მოღვაწეობა არ მიიმართებოდა იმ ხაზით, რომ ქართველი საზოგადოება წაექეზებია „ევროპიული იდეების შეთვისებაზე“, მიმართულება იყო საწინააღმდეგო ხაზით. რუსეთის ეკლესიის გამეფებით უნდა შექმნილიყო საქართველოში ისეთი ძალა, რომელიც ჩამოეფარებოდა და ფართო საზოგადოებაში, ხალხში არ გაუშვებდა , ევროპიულ იდეებს. არ გვაქვს პირდაპირი ჩვენება, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ იდეების შიშით იყო ნაკარნახევი მისი საეკლესიო რეფორმაცია.

უფრო დასაბუთებულათ მიგვაჩნია ის აზრი თ. ჟორდანიას ნარკვევში, რომ ანტონ კათალიკოსმა „დასტოვა ეკლესია ყოვლისფრით სავსე და უნაკლული... საეკლესიო ქონებანი უზრუნველყო ბოროტმოქმედებისგან, დააწესა საეკლესიო სამსჯავრო, შექმნა დიკასტრია... რომელსაც ყველა ქართლკახეთის ეპისკოპოსი ემორჩილებოდენ. მაშინ კათალიკოსი გახდა სრული მბრძანებელი ყველა ეპისკოპოსებისა“. ყოველივე ამას აკეთებდა ის „უმაღლესი სასულიერო მთავრობის გასაძლიერებლად“.

გააკეთა ეს კიდეც. და გაცილებით მეტი იყო მისი შრომის ნაყოფიერება საეკლესიო ფეოდალიზმის სამსახურში, ვიდრე ის, რომელიც გამოაჩნდა ერეკლეს სამსახურს საერო ფეოდალიზმის წინაშე. ეს იყო მისი დაუწერელი საშვილისშვილო ანდერძი. იქ მკითხველი ვერაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ იპოვნის საეკლესიო და პოლიტიკური იდეოლოგების შესახებ. არის მხოლოდ იმის ნიშანი, რომ ის „პირადი შრომით და მაგალითით“ მოუწოდებდა უმაღლეს სამღვდელოებას ყოფილიყო ყოველისფრით სავსე და უნაკლული“. ანტონ კათალიკოსის „მაღალ“ წოდებრივ მდგომარეობას საფუძვლათ ედო დიდი ფეოდალური საკუთრება, დიდი მოძრავი და უძრავი ქონება, დიდი საშემოსავლო წყაროები. მისი ერთი ბუნება ერთვოდა „სალვთისმეტყველო“ ქვეყნიერებას, მეტაფიზიკურ სინამდვილეს, ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, მეორე ბუნებით კი, ის ეწაფებოდა ამ ქვეყნიურ სიმდიდრეს, ფუფუნებას. ერეკლე მეორე სწერს. — „წმინდასა და ყოვლად სანატრელს ბატონ კათალიკოსს პატრიარქს ანტონს მივართვით კურთხევით სახსენებლის ანნა დედოფლის ნიშანი“ და ჩამოთვლილია სხვა და სხვა ძვირფასი ნივთეულობა, რომელიც მეფურ გამომეტყველებას მისცემდა იმის სახლ-კარს. აქ ჩამოთვლილია

პატიოსანი პირის მარგალიტი ერთი...
ბეჭედი პატიოსანი თვალით ერთი...
ტყავბადალა ყუყუმაზე დაბეწვილი)
დიბის ქათიბი ბეწვით სავსე ერთი)
(...სარიქივოს იარაღი).
(ვერცხლის სანაყურე)
აზარფეშა, სურა ვერცხლისა...)
ნაბაქთანი ვერცხლისა)
სუფრა ფაშური ვერცხლისა!
ვერცხლის უნაგირი და სხვა.
სულ ამოწერა ზედმეტად მიგვაჩნაი

სულ ამოწერა ზედმეტად მიგვაჩნია. ეს საბუთი იძლევა საკმაო წარმოდგენას საეკლესიო ფეოდალიზმის შესახებ.

„კალმასობიდან“ ვიცით, რომ ასკეტიზმი, ხორცის უარყოფა, სულის ცხოვნება მოეთხოვებოდა დაბალ ფენების სამღვდელოებას. უმაღლესისათვის ეს არ გამოდგებოდა. „დისკატერია“ ასკეტიზმზე, უქონლობაზე ვერ დაიმყარებოდა მბრძანებლობისათვის საჭირო იყო უზრუნველყოფილი ქონებრივი საძირკველი. თავის პირად ცხოვრებაში ის იდგა იმ სიმაღლეზე, რომელიც უნდა გაეხადა იდეალად უმაღლეს სასულიერო წოდებას. არ შევჩერდებით უკვე იმაზე ,რომ საამისო შემოსავლის წყაროებში თვალსაჩინო ნაკადულებათ შედიოდა დაბალი სამღვდელოების ექსპლოატაციაც. ამაზე უნდა ამართულიყო ის შენობა, რომელსაც ამაგრებდა ანტონ კათალიკოსი ადმინისტრაციული წესებით, სასტიკი დისციპლინით „პირადი შრომით და მაგალითით“.

სიმდიდრე იყო უფლებრივი ძლევამოსილების საძირკველი. ქონებრივათ შემძლე პოლიტიკურ სახელმწიფოებრივათაც შემძლე იქნებოდა. ამ პრინციპით ქმნიდა ანტონ კათალიკოსი საეკლესიო ფეოდალიზმს, რომელიც უნდა დაპირდაპირებოდა საუფლისწულო თავად მთავრობას. ამ უკანასკნელის სუსტი მხარე იყო, სხვათა შორის, ქონებრივი დაფანტულობა, თავმოუყრელობა, თითოეული თავად მთავარი იდგა თავის საკუთარების საფუძველზე და ეს საფუძველი მუდამ ირყეოდა, — დღეს იყო, ხვალ არა. ანტონ კათალიკოსი ცდილობდა სახელმწიფოებრივი საკუთრების განმტკიცებას, შეურყევლათ დაფუძნებას და აქედან იკაფავდა გზას ერთმეფეობის, ერთ ღვთაების იდეოლოგიისკენ. ასე უკავშირდებოდა მის მსოფლმხედველობაში ფიზიკა მეტაფიზიკას. ქვედა სოციალური წრეები კულტურის განსაზღვრულ საფეხურებზე დიდი მორჩილებით, შიშით და პატივისცემით უყურებდნენ სიმდიდრეს და იმის წარმომადგენელ ზედაწრეებს. ანტონ კათალიკოსმა კარგად იცოდა ეს სულიერი განწყობილება და „პირადი მაგალითით“ მოქმედებდა ქვედა წრეებზე. ესენი ცდილობდენ თავის ყოფა ცხოვრების და ურთიერთობის მოწესრიგებას, მიმართავდენ ხოლმე წოდების და ფენების გაურჩევლათ: — „ჩვენს ოჯახსა და ყმასა და მამულში მრავალი ბოროტი საქმე და უკეთურება იყო, ტყვის სყიდვა, კაცის კვლა, კაცთა ძარცვა, მრუშება და მრავალი სჯულის გარდამავალი ბოროტი მოქმედება; თქვენც თქვენი ერის გულისათვის თავი დაგედვათ, მობრძანდით ჩვენს ოჯახში, როგორც თქვენგან მართებული იყო, ისე გვიბრძანეთ, გვასწავლეთ და დაგვმწყესევით, ჩვენც ეს პირობა მოგახსენეთ და აღთქმა დავდევით ღვთის წინაშე, დღეის ამას იქით... რაც ჩვენში უკეთურება და ბოროტების ჩვეულება იყო და ღვთის გასარისხებელი საქმე ყველაზე ხელი ავილოთ და მოვიკეთოთ და თუ დღეის ამას იქით... თქვენ ცნებას გადავიდეთ... რაც ერთ ავს კაცს და ავაზაკს გარდახედოდეს, ისე ჩვენ გარდაგვახდევინეთო“... მიმართვაში ანტონ კათალიკოსი აღიარებულია მთელი მათი ცხოვრების უზენაეს ზედამხედველათ, პირობას აძლევენ ყოველნაირი ბოროტი მოვლენების შესახებ, „მოგახსენოთ, შეგატყობინოთ, გაახლოთო“. — „და თუ ეს პირობა არ გაგიგონათ ჯერ ვიყვნეთ ღვთის შემცოდე და მერე საქართველოს ღვთივ გვირგვინოსანის მეფეთ მეფის თეიმურაზისა და კეთილ მორწმუნის მეფის ერეკლეს შემცოდე მოღალატეო“. ერთმეფობის და ერთღვთაების იდეა ზემოდან ნაქადაგევი თითქო მიმდინარეობს ქვემოდან. ეს სიმტკიცისა და მარადიულობის ქადაგება მოდიოდა ზემოდან, როცა ზემო წრეებში მოშლილი იყო საზოგადოებრივი ურთიერთობის მტკიცე კლასობრივი საფუძველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრე ჩაადაევი

# ნაწყვეტები და აფორიზმები

ცნობილმა რუსმა მოაზროვნემ და საზოგადო მოღვაწემ პეტრე იაკობის ძე ჩაადაევმა 1823-1826 წლები ევროპაში დაჰყო. იქაურმა შთაბეჭდილებებმა მას ზნეობრივი კათარზისი განაცდევინა. რამდენიმე წლის განდეგილი ცხოვრების მერე ჩაადაევი აქტიურად ჩაება მოსკოვის სალონების საქმიანობაში. მისი წერილები ხელიდან ხელში გადადიოდა და ცხარე მსჯელობის საგანი ხდებოდა. პირველი ფილოსოფიური წერილის გამოქვეყნების შემდეგ (1836 წელი, ჟურნალი „ტელესკოპი“) ჩაადაევის სახელი ყველას პირზე ეკერა; საზოგადოება აღშფოთდა: ჩაადაევი მიიჩნიეს რუსთმოძულედ, რომის ეკლესიის აპოლოგეტად, დასავლეთის თაყვანისმცემლად. რა იყო მაინც ამის მიზეზი?

თავის პირველ ფილოსოფიურ წერილში ჩაადაევმა თამამად აღიარა, ევროპული ცივილიზაციის თავი და თავი დასავლური ქრისტიანობა ანუ კათოლიციზმიაო, ხოლო რუსეთის ჩამორჩენილობის ძირეულ მიზეზად რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიცია მიიჩნია.

ქრისტიანობის პოლიტიკური იდეა კათოლიციზმში განვითარდა. დასავლური ქრისტიანობა არ შემოფარგლულა სპირტუალიზმით და ასკეტიზმით, მან პოლიტიკა რელიგიას დაუქვემდებარა და სოციალურად გარდამქმნელი ძალის როლი შეასრულა.

ამის საპირისპიროდ რუსეთში ძლიერი იყო ასკეტური ელემენტი. იქ უგულებელყოფილი იქნა საზოგადოებრივ-კულტურული აღმშენებლობის მომენტი. რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განდგომილობას შედეგად მისი თეოკრატიული შესაძლებლობების სისუსტე მოჰყვა. რუსულმა მართლმადიდებლობამ ხელი ვერ შეუწყო საზოგადოების აქტიურ, აღმავალ განვითარებას. შესაბამისად რუს ერს არ გააჩნია სოციალურ პროგრესისტული იდეალების ის მემკვიდრეობა, რომელიც ევროპაში „ამქვეყნიური სასუფევლის“ ჩანასახს აყალიბებს.

მალე ჩაადაევმა მკვეთრად შეიცვალა თვალსაზრისი და სლავიანოფილებს აჰყვა. ახლა ის კათოლიციზმის სოციალურ იდეაში „ადამიანურ ვნებებს“ და „მიწიერ ინტერესებს“ ხედავდა. პოლიტიკურმა ქრისტიანობამ უკვე მოჭამა თავისი დრო და სულიერი ქრისტიანობის დრო დადგა, ასეთი ქრისტიანობა კი რუსეთშიაო. და მაინც ჩაადაევი წამდაუწუმ უბრუნდებოდა პირველი ფილოსოფიური წერილის იდეებს. მ. ორლოვისადმი მიწერილ წერილში ის ქიმერას უწოდებს თავისსავე აზრს რუსეთის პროვიდენციალური როლის შესახებ, კიცხავდა სლავიანოფილებს და სხვა. საერთოდ კი ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები იშვიათობა არაა ჩაადაევის ნაწერებში. მკვლევარები თვლიან, რომ მისი ნაწერები ევოლუციას არ განიცდიდა, არამედ საპირისპირო პოლუსებს შორის პულსირებდაო. იქნებ ეს ფაქტი ორთავიანი არწივის სიმბოლოთი გამოხატული რუსულ-ბიზანტიური იდეოლოგიის და სულისკვეთების უნებლიე გავლენის ნაყოფიც იყოს: როგორც ცნობილია, არწივის ერთი თავი დასავლეთისკენ არის მიბრუნებული, მეორე — აღმოსავლეთისაკენ, რითაც ორი განსხვავებული და დაპირისპირებული იდეოლოგიის შეწყნარების სურვილი თუ მორიგების პრეტენზია მჟღავნდება. და მაინც, ჩაადაევის ნააზრევში ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების არსებობის ასეთი განმარტება შეიძლება სარწმუნოდ აღარ მოგვეჩვენოს, როცა გავითვალისწინებთ, როგორ შეხვდა მის პირველ წერილს რუსული საზოგადოება:

წერილი ელვის სისწრაფით გავრცელდა მოსკოვში. თითქმის არ დარჩა სახლი, სადაც ჩაადაევზე არ ლაპარაკობდნენ. საზოგადოება გაბოროტდა. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუ-

დენტები ცენზურის კომიტეტის თავმჯდომარე გრაფ ს. გ. სტროგანოვთან მიიჭრნენ და განუცხადეს, მზად ვართ იარაღით ხელში დავიცვათ შეურაცხყოფილი რუსეთიო. მითქმამოთქმის მასშტაბებით განცვიფრებულმა სტროგანოვმა სახალხო განათლების მინისტრს სთხოვა, აუცილებლად გაუქმდეს ჟურნალი „ტელესკოპი“. მოსკოვის ჟანდარმერიის გენერალმა პერფილოვმა შექმნილი აურ-ზაურის შესახებ III განყოფილების შეფს ბენკენდორფს მოახსენა. სახალხო განათლების მინისტრმა ს. ს. უვაროვმა იმპერატორს უპატაკა. ნიკოლოზ I-მა მოითხოვა დაესაჯათ ჟურნალ „ტელესკოპის“ რედაქტორიც და ცენზორიც, ხოლო ბენკენდორფს დაავალა, შეედგინა ჩაადაევისადმი დამოკიდებულების საგანგებოდ პროექტი. ტექსტი პროექტის (რომელსაც იმპერატორმა წააწერა, ძალიან კარგიაო) გვაუწყებს, რომ ჩაადაევს ჭკუა შერყევია, რის გამოც მას მოსკოვის მთელი საზოგადოება თანაუგრძნობს. იმპერატორს კი სურს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა გოლიცინმა იზრუნოს ჩაადაევის ჯანმრთელობაზე და დაუნიშნოს მედიკოსი, რომელიც ყოველდღე ეწვევა მას სახლში. გარდა ამისა გოლიცინს ყოველთვიურად უნდა მოეხსენებინა იმპერატორისათვის ჩაადაევის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ჩაადაევი შეაძრწუნა შეშლილად გამოცხადებამ. ა. ი. ტურგენევი ამის შესახებ წერდა: „ექიმი ყოველდღე დადის ჩაადაევის მოსანახულებლად, თვითონ სახლიდან არ გამოდის. შობ, მართლა არ შეირყეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ ვითარებაში ჩაადაევმა „შეშლილის აპოლოგიის“ წერა დაიწყო. ამით მას ერთგვარი თავის მართლება უნდოდა ხელისუფლების წინაშე. ა. ი. ტურგენევი, რომელმაც სხვებზე უკეთ იცოდა ჩაადაევის აზრის გამოცვლის მიზეზები, წერდა: „მას უკვე დიდი ხანია თავისი აზრები აღარ გააჩნია, ძირფესვიანად შეცვალა ისინი“.

გთავაზობთ ჩაადაევის ზოგიერთი „ნაწყვეტის“ და ფრანგულ ჟურნალ „L'Univers“-ში გამოქვეყნებული წერილის ქართულ თარგმანს, რომელიც ისტორიის მემკვიდრეობითობის წყალობით ჩვენი დღევანდელობის ფრიად საჭირბოროტო საკითხსაც ეხება. დღეს საბჭოთა ხელისუფლებამ განიზრახა ჩვენშიაც დაამკვიდროს დასავლური ცივილიზაციის მონაპოვარი სამართლებრივი სახელმწიფო. ფრიად მისასალმებელი, ოღონდ საძნელო საქმეა. ფართო საზოგადოებამ რაც შეიძლება კარგად უნდა გაიაზროს... გაისიგრძეგანოს ის ისტორიული და ეროვნულ-ფსიქოლოგიური მემკვიდრეობა, რომელიც ძნელდასაძლევ დაბრკოლებად გადაელობება ამ მიზნისაკენ მიმავალთ. ვიმედოვნებთ, დღევანდელობის პოლიტიკური ამოცანის გადაჭრისათვის ბრძოლაში ჩაადაევის ნააზრევიდან ჩვენს მიერ ამოკრეფილი თარგმანის გაცნობა ერთგვარ სამსახურს გაგვიწევს.

ა. ჯოხაძე

**107.**

**მირჩევნია გავამათრახო ჩემი სამშობლო, მირჩევნია გავანაწყენო, დავამცირო, — ვერ კი ვეცრუები.**

**123.**

სიკეთე, რომელიც ქრისტიანობამ მოიტანა, გვიმტკიცებენ ჩვენი „მოძღვრები“, თუმც თაობიდან თაობებს გადმოეცემოდა, მაგრამ მისი გავრცელება აუცილებელი მაინც არ იყო და სრულიად შემთხვევით გამოჩინდაო. ქრისტიანობა ცალკეულ პიროვნებებზე ზემოქმედების მოსახდენად არის განკუთვნილი: საზოგადოებასთან და კაცობრიობასთან მას არაფერი ესაქმებაო; კაცობრიობა, მათი აზრით, დაღუპვისაკენ მიემართება და უპრიანიცაა იქეთ მიემართებოდესო; იესო ქრისტე კაცობრიობის სახსნელად არ მოსულა და არც უნდა მოსულიყოო. ქრისტიანობა სწორედ ცალკეულ პიროვნებებს მიმართავს, და თუ მან კაცობრიობასაც არგო რაიმე, ეს გაუთვალისწინებლობით მომხდარა. ამასთან ქრისტიანობა სულაც არ ზრუნავს მიწიერ კეთილდღეობაზე, არამედ ოდენ ციური კეთილდღეობისთვის ილვწისო. ქვეყნიერება მთლიანად უნდა მოიშალოს, არამც და არამც წინ არ აღუდგეთ იმ მოძრაობას, რომელსაც ნგრევისაკენ მივყავართო! დასასრულ, მაცხოვრის ნამცნები ეს ამაღლებული ლოცვა: „მოვედინ სუფევა შენი“, რომელიც თითქოს ქრისტიანული მოძღვრების მთელ სოციალურ იდეას მოიცავს, ამ თვალსაზრისის თანახმად ოდენ გულზვიადი სურვილია, რომელსაც არასოდეს ახდომა არ უწერია. ცხადია წრეგადასული და გაუნათლებელი ასკეტიზმის ეს თვალთახედვა, არსებითად, სრულებით არ განსხვავდება ურწმუნო ადამიანთა შეხედულებებისაგან, რადგან ისინი ქრისტიანობის მოტანილ სიკეთეს ან სულ უარყოფენ, ან მას ამ რელიგიის უნებლიე შედეგად მიიჩნევენ იმ უდავო საფუძველზე, რომ ქრისტიანობას მიწიერი ინტერესებისათვის არა სცალია.

**124.**

არიან ადამიანები, რომლებიც გონების მეშვეობით იქმნიან გულებს, სხვანი გულების მეშვეობით — გონებას; ეს უკანასკნელნი პირველებზე მეტს აღწევენ, ვინაიდან გრძნობაში გა-

ეროვნული

ცილებით მეტია გონება, ვიდრე გონებაში გრძნობები.

142.

რ ე ა ლ უ რ ი, უეჭველია, არ არის მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი, რადგან ყოველი მართებული აზრი მეტად ან ნაკლებად რეალურია, იმისაგან დამოუკიდებლად განივთდა თუ არა იგი მატერიაში; მაგრამ ამასთან არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ აზრს, რაც თავისთავად სრულიად რეალურია, მატერიალურად განივთების ტვისებაც გააჩნია, რადგან ყოველი სრულყოფილი რეალობა იმ ფორმასაც შეიცავს, რომლითაც ის სამყაროს უნდა მოევლინოს. ეს ასეა ნებისმიერი მათემატიკური აქსიომის, ყოველი აბსოლუტური ჭეშმარიტების მიმართ; ასეთი იყო ვითარება ქრისტიანული ჭეშმარიტების მიმართაც, სანამ ის სამყაროში გამომჟღავნდებოდა და ბოლოს ასეთივე ვითარებაა ღვთიური სასუფევლის მიმართ, რომელიც სრულიად რეალური, ოღონდ ჯერაც არამატერიალიზირებულია.

147.

მგონი არაფერი წახდება, თუ იმედს ვიქონიებთ, რომ განგება, როცა დიადი საქმეებისაკენ მოუწოდებს ერს, იმავ დროს, ამ საქმეების აღსასრულებელ საშუალებებსაც გამოუგზავნის მას: ერის წიაღიდან მაშინ დიდგონიერი ადამიანები აღდგებიან და ხალხს გზას უჩვენებენ. მთელი ერი ცოდნის კაშკაშა შუქით განათლდება და თავს დააღწევს იმ უნიჭო წინამძღოლების ხელქვეითობას, რომლებსაც დიდ ვინმეებად კი მოაქვთ თავი, მაგრამ სალონებსა და საზოგადოებრივ წრეებში მოპოვებული წარმატებებით თავბრუდახვეული, არაფრისმაქნისი ქკუისკოლოფები არიან.

150.

მადლობა ღმერთს, არც ლექსებით და არც პროზით ხელი არ შემიწყვია ჩემი მამულის სწორი გზიდან გადაცდენისათვის.

151.

მადლობა ღმერთს, ერთი ისეთი სიტყვაც არ დამცდენია, რომელიც საზოგადოებრივ აზრს შეცდომაში შეიყვანდა.

152.

მადლობა ღმერთს, რომ მამული ყოველთვის მისი და არა ჩემი ინტერესებისათვის მიყვარდა.

153.

მადლობა ღმერთს, არასოდეს შევმცდარვარ ჩემი ქვეყნის ზნეობრივი და მატერიალური რესურსების საკითხში.

154.

მადლობა ღმერთს, სამშობლოს საკეთილდღეოდ გაუყენებული სისტემები და თეორიები არ შემიწყნარებია.

155.

მადლობა ღმერთს, სალონებში და საზოგადოებრივ წრეებში მიღწეულ წარმატებებს იმაზე მაღლა არ ვაყენებდი, რასაც ჩემი მამულის ჭეშმარიტ კეთილდღეობად ვრაცხდი.

166.

მე ვეთანხმები არქიეპისკოპოს ინოკენტის აზრს და არ მეპარება ეჭვი, რომ მსოფლიო ხელისუფლების კვერთხი რუსი იმპერატორის ხელში დარჩება: მარტო ერთი რამ გამკვირვებია: რატომ ვერ დაგვიხატა წმინდა მამამ იმ კეთილდღეობის სურათები, რომლითაც იშვებს მსოფლიო ჩვენი სამამულო ხელისუფლების ეგიდის ქვეშ.

171.

და უწინარესად ყოვლისა, როცა ის ამბობს რ წ მ ე ნ ა ო, ცხადია, მხოლოდ რელიგიურ რწმენას გულისხმობს. არადა, მე მგონი, ეს თვალსაზრისი სრულიად არაფილოსოფიურია. არის საგნები, რომლებსაც მხოლოდ რწმენის გზით შეიძლება ვწვდეთ, ე. ი. მათ შესაცნობად საჭიროა წინასწარ ვირწმუნოთ მათი არსებობა. მეორენაირი საგნებიც არის, ისინი შეიცნობა მხოლოდ რწმენის დოგმატის სახით, ეს კი ნიშნავს, რომ თუკი ისინი შეიმეცნეთ, სწორედ ამით აქციეთ თქვენს რწმენად. ფილოსოფიის ენით რომ ვთქვათ, რწმენა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანური ცოდნის მომენტი ან პერიოდი, რწმენა არ არის რაღაც ამაზე მეტი. მეცნიერების და რელიგიის ორ სრულიად განსხვავებულ სფეროსადმი მიკუთვნება და თან ამის გულწრფელად, ფარული აზრის გარეშე გაკეთება, ნიშნავს დაუბრუნდე სქოლასტიკას, ანუ იმ ეპოქას, რომელიც წინ უსწრებდა აბელარს, ეს ნიშნავს ცხრა საუკუნიან ანაქრონიზმს, არც მეტს, არც ნაკლებს. მე მშვენივრად მესმის იმ დოგმატიკოსი ღვთისმეტყველისა, რომელიც დღესდღეობითაც კი არ ამოდის ძველი სემინარიული კალაპოტიდან, რომლისთვისაც სამყაროს ალკუინის დროიდან არ გადაუდგამს წინ ნაბიჯი, რადგანაც დოგმატი თავისი ბუნებით უძრავი და მედეგია; ამიტომ დოგმატის მსახურს უფლება აქვს სამუდამოდ მიელურსმნოს თავის სავალდებულო რწმენას, მაგრამ ვაღიარებ, მე არ მესმის იმ მწერლის, რომელსაც თანამედროვე მოაზროვნის სახელიც სურს დაიგდოს და იმავე დროს, რელიგიას იმ ხელუხლებელ სფეროდ განიხილავს, სადაც გონებას მხოლოდ თავისი თავის გაუქმების პირობით შეუძლია შეღწევა. ვისთვის არის ჩვენს დროში უცნობი, რომ რწმენა აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და ნაყოფიერი ფაქტორია; რომ ზოგჯერ რწმენას მივყევართ ცოდნასთან, ზოგჯერ კი ცოდნას — რწმენასთან; რომ ამიტომ მათ შორის არ არსებობს მკვეთრად გავლებული საზღვარი; რომ ცოდნაში რწმენას მუდამ უდევს გარკვეული წილი, ასევე რწმენაში ცოდნის გარკვეული წილი იგულისხმება. რწმენის ფსკერზე აუცილებლად ცოდნაა ჩაბუდებული, სწორედ ისევე, როგორც ცოდ-

ნის ფსკერზე — რწმენა; რომ, დასასრულს, საგანს ვერ შევიცნობთ, თუ როგორღაც არა გვწამს იგი მსგავსად იმისა, როგორც არ შეგვიძლია რაიმე ისე ვირწმუნოთ, თუ გარკვეულწილად ვერ ვიმეცნებთ მას.

181.

ვფიქრობ, სადავო არაა, ციური იმპერიის ყველაზე განსწავლული მანდარინის ლოგიკური აპარატი რომ ცოტა სხვაგვარად ფუნქციონირებდეს, ვიდრე ბერლინელი პროფესორის ლოგიკური აპარატი. როგორ გინდათ, რომ მთელი იმ ხალხის გონება, რომელსაც არც ძველი სამყაროს თქმულებების გავლენა განუცდია, არც საერო ხელისუფლების წინააღმდეგ რელიგიური იერარქიის ბრძოლა უნახავს, არც სქოლასტიკური ფილოსოფია უსწავლია, არც ფეოდალიზმი და მისთვის დამახასიათებელი რაინდობა ჰქონია და არც პროტესტანტიზმი, ერთი სიტყვით, არაფერი ისეთი არ განუცდია, რაც ყველაზე მეტად ზემოქმედებდა ადამიანთა გონებაზე დასავლეთში, როგორ გინდათ, რომ ამ ხალხის გონება ზუსტად ისევე იყოს მოწყობილი, როგორც მათი გონება, ვინც მუდამ ყველა ამ ფაქტორის გავლენით ცხოვრობდა, იზრდებოდა და ახლაც ცხოვრობს? ცხადია, აზრებისა და გრძნობების ამ მემკვიდრეობისაგან დამოუკიდებლად, რამდენიმე გენიალური ადამიანი,, რამდენიმე რჩეული პიროვნება ჩვენშიც გამოჩნდა. მაგრამ ამის მიუხედავად, არ შეიძლება სინანული არ აღგვეძრას, რომ მსოფლიო ისტორიული წეს-წყობილებით ერი მთლიანობაში ყველა ამ წანამძღვარს მოკლებული და დაბეჩავებული დარჩა. უეჭველია ჩვენ ძალიან დაგვეტყო ქრისტიანობის ზნეობრივი გავლენა; რაც შეეხება მის ლოგიკურ ზემოქმედებას, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ის თითქმის ნულს უტოლდებოდა. იმასაც დავსძენ, რომ ეს იმ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხთაგანია, რომელიც ჩვენი ისტორიის ფილოსოფიის საგანი უნდა გახდეს იმ დღიდან, როცა ეს დარგი გაჩნდება.

190.

სულ რაღაც ნახევარი საუკუნე გავიდა მას მერე, რაც რუსმა მეფეებმა შეწყვიტეს სახელმწიფო მიწების ათასობით კარისკაცზე საახალწლოდ გაცემა. რანაირად დაიბადებოდა, იკითხავთ თქვენ, სამართლიანობის, სჯულიერების, რამენაირი კანონიერების თუნდაც ყველაზე ელემენტარული ცნებები იმ ხელისუფლების პირობებში, რომელსაც შეეძლო ყოველდღე მონებად ექცია თავისუფალ ადამიანთა დასახლებები? ლიბერალი მეფის წყალობით, რომელიც ჩვენში გამოჩნდა, იმ დიდსულოვანი და ძლევამოსილი ადამიანის წყალობით, რომელიც ჩვენი სიყვარულითაა მოსილი, რუსეთში უკვე აღარ მიმართავენ თვითმპყრობელური ხელისუფლების იმ საზიზღარ ბოროტმოქმედებებს, რომელსაც ხალხისათვის ყველაზე [illegible] გები მოჰქონდა, რყვნიდა მის საზ[illegible] ცნობიერებას, მაგრამ მონობის არსებობა იმ სახით, როგორც ის ჩვენთან ჩამოყალიბდა, კვლავინდებურად აბნელებს, ბილწავს და რყვნის ყველაფერს ჩვენს მამულ-დედულში. ალბათ ვერავინ დააღწევს თავს მისი ქმედების საბედისწერო შედეგებს. თვითონ ხელმწიფეს ეს, ალბათ, ყველაზე ნაკლებად მოუხერხდება. ის აკვნიდანვე ან იმ ხალხითაა გარშემორტყმული, რომლებიც თავიანთ მსგავს ადამიანებს ფლობენ, ან იმ ხალხით — რომელთა მამებიც თვითონ იყვნენ მონები და მონობის სული მათი არსების ყველა სვრეტში გასჭვივის და მით უფრო მეტ გავლენას ახდენს მის ცნობიერებაზე, რაც უფრო გამიჯნული ჰგონია თავი მისგან. ამასთან დიდი დაბნეულობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მონობის გავლენა მოსახლეობის მხოლოდ იმ დაბეჩავებულ ნაწილზე ვრცელდებოდეს, რომელსაც მონობის ეს მძიმე უღელი ადგას ქედზე. პირიქით, სწორედ ის უნდა შევისწავლოთ, თუ რა გავლენას ახდენს იგი კლასებზე რომლებიც მისგან ხეირობენ. თავიანთი ძირითადად ასკეტური რწმენის წყალობით, იმ რასის ტემპერამენტის წყალობით, რომელიც ნაკლებად ზრუნავს უკეთესი მომავლის უზრუნველყოფაზე, დასასრულ იმ მანძილის წყალობით, რომელიც ხშირად აშორებს მას მისი მებატონისაგან, რუსი გლეხი არც ისეთი სიბრალულის ღირსია, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა. მისი ახლანდელი მდგომარეობა ამასთანავე მხოლოდ მისი წარსული მდგომარეობის ბუნებრივი შედეგია. მონობაში ის დამპყრობლის ძალადობამ კი არ ჩააგდო, არამედ მოვლენათა მიმდინარეობამ, რომელიც მისი შინაგანი ცხოვრების სიღრმეში, მის რელიგიურ გრძნობაში, მის ხასიათში გამომჟღავნდა. დასაბუთებას ითხოვთ? შეხედეთ რუსეთის თავისუფალ ადამიანს მასა და ყმა გლეხს შორის არავითარი თვალშისაცემი განსხვავება არ არის, იმასაც კი ვატყობ, რომ ამ უკანასკნელის უდრტვინველ გარეგნობაში უფრო შეინიშნება რაღაც ღირსეული და თავდაჭერილი, ვიდრე პირველის შეფიქრიანებულ და ამღვრეულ გამოხედვაში. საქმე ის არის, რომ რუსული მონობასა და იმ მონობას შორის, რომელიც არსებობდა და ისევ არსებობს დედამიწის ზურგზე, საერთო არაფერია. ისეთ მონობას, როგორიც ის ძველად იყო, ანდა ისეთ მონობას, როგორსაც მას ამერიკის შეერთებულ შტატებში ვხედავთ, მხოლოდ ის შედეგი შეიძლება ჰქონოდა, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობს ამ ამაზრზენ დაწესებულებიდან: მონის სილატაკე, მფლობელის გარყვნილება; მაშინ როცა რუსეთში მონობის გავლენა განუზომლად ფართოა.

191.

წელან ვამბობდი. რუსი გლეხი მონაა ამ სი-

ტყვის სრული მნიშვნელობით-მეთქი, მაგრამ გარეგნულად მას მონობის დაღი მაინც არ აზის. არც თავისი უფლებებით, არც საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, არც რასობრივი ნიშნით ის საზოგადოების სხვა კლასებისაგან არ გამოირჩევა; თავისი მებატონის სახლში თავისუფალი ადამიანის შრომას ასრულებს, სოფელში თავისუფალი მეთემე გლეხობის წევრთაგანია; ის ყველგან იმპერიის თავისუფალ ქვეშევრდომებშია გარეული, ყოველგვარი თვალსაჩინო განსხვავების გარეშე. რუსეთში ყველაფერს მონობის ბეჭედი აზის — ზნეობას, მისწრაფებებს, განათლებას და თვით თავისუფლებასაც კი, თუ ეს უკანასკნელი ფეხს მოიკიდებს ამ გარემო-პირობებში.

192.

რაც უფრო მეტს ფიქრობ კაცი, მით უფრო რწმუნდები, რომ ჩვენში ახლა რაღაც უჩვეულო ხდება. ეს რაღაც ჯერ ვერ მივიდა უბრალო იდეის მდგომარეობამდე, რადგან მკვეთრად ჯერაც ვერ გამოიხატა. ამის მიუხედავად ის უზარმაზარი მნიშვნელობის სოციალურ საკითხს მოიცავს. საქმე წვრილმან ამბავს არ ეხება: უნდა გამოვარკვიოთ, შეუძლია თუ არა ხალხს — რაკი უკვე შეიგნო, რომ საუკუნეების განმავლობაში მცდარ გზას ადგა — ერთ მშვენიერ დღეს გაცნობიერებულ ნებისყოფის უბრალო აქტით, უკან დაბრუნდეს გაკვალულ გზაზე, შეწყვიტოს წინსვლა, ახალ გზას დაადგეს, თავისი ცხოვრების გაწყვეტილი ძაფი სწორედ იმ ადგილზე აღიდგინოს, სადაც ის — არავინ უწყის როგორ — ოდესღაც გაწყდა. არადა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ამ არაჩვეულებრივი ამოცანის გადაჭრის თუ არა გადაჭრის მცდელობის წინაშე ხანაში ვცხოვრობთ, გვიდგას იმ სოციალური ექსპერიმენტების წინა დღე, რომლებზეც ყველაზე გაბედულ უტოპისტებსაც არასოდეს უოცნებიათ თავიანთი უთამამესი ფანტაზიით. მეტისმეტი სითამამე იქნებოდა, ცხადია, ამ მოვლენის შესაძლო ვადის განსაზღვრა გვეცადა, მაგრამ რადგანაც ხალხური გრძნობები ცუდად ემორჩილება მსოფლიო დინამიკურ კანონებს და რადგანაც სოციალური მოძრაობა მეტწილად თვითონ მამოძრავებელი ძალების სიდიდეზე კი არაა დამოკიდებული, არამედ საზოგადოების უძლურების ხარისხზე, ამიტომ უნდა მოველოდეთ, რომ შორს არ არის ეროვნული გრძნობების აბობოქრების საათი, — უკიდურეს შემთხვევაში საზოგადოების განათლებულ ნაწილში. თქვენ იქნებ ფიქრობთ, რომ ჩვენ დასავლეთევროპული ყაიდის რევოლუცია გვემუქრება, — დამშვიდდით, მადლობა ღმერთს, აქეთკენ არ მიდის საქმე. დასავლეთევროპის და ჩვენი ამოსავალი წერტილები მეტისმეტად განსხვავებული იყო საიმისოდ, რომ ჩვენ ოდესმე ერთნაირ შედეგებამდე მივსულიყავით. ამასთან რუს ხალხში არის რაღაც უთუოდ უძრავი, უნუგეშოდ აღმოუფხვრელ[illegible] სახელდობრ, მისი სრული [illegible] ხელისუფლების რაგვარობისადმი, რომელიც განაგებს ამ ხალხს. მსოფლიოს ვერც ერთმა ხალხმა ჩვენზე უკეთ ვერ გაიგო სალვთო წერილის ცნობილი ტექსტი: „არა არს ხელმწიფება გარნა ღვთისა მიერ“. დამყარებული ხელისუფლება ჩვენთვის მუდამ წმინდაა. როგორც ცნობილია, ჩვენი სოციალური წყობის საფუძველი ოჯახია, ამიტომ რუსი ერი სხვას ვერაფერს ხედავს ხელისუფლებაში, მშობლიური ავტორიტეტის გარდა, რომელსაც მეტი ან ნაკლები სიმკაცრით მორჩილებს, ეგ არის და ეგ. ყოველი ხელმწიფე, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მისთვის მამა და მარჩენალია. ჩვენ არ ვამბობთ, მაგალითად, ამისა და ამის გაკეთების უფლება მაქვსო, ჩვენ ვამბობთ: ესა და ეს ნებადართულია, ეს — არ არის ნებადართული. ჩვენს წარმოსახვაში კანონი კი არ სჯის დამნაშავე მოქალაქეს, არამედ მამა უწყრება ურჩ შვილს. ჩვენი ერთგულება ოჯახური წყობისადმი ისეთია, რომ სიხარულით ვიმეტებთ მამობის უფლებას ყველა იმისადმი, ვისგანაც კი დამოკიდებულები ვართ. კანონიერების, სამართლებრიობის იდეა რუსი ერისათვის უაზრობაა, რასაც პეტრე დიდის მეფობის შემდგომ ტახტის მემკვიდრეთა უწესრიგო და უცნაური ცვლა, განსაკუთრებით კი უმეფობის ხანის შემაძრწუნებელი ეპიზოდი ადასტურებს. ცხადია, ხალხის ბუნებას ამ იდეების შეწყნარების თვისება რომ ჰქონოდა, გაიგებდა, რომ ხელმწიფეს, რომლისთვისაც ის სისხლს ღვრიდა, სულ მცირე უფლებაც არ გააჩნდა ტახტზე ასულიყო, ასეთ შემთხვევაში კი არც პირველ თვითმარქვიას და არც ყველა დანარჩენს არ აღმოაჩნდებოდა მომხრეთა ის მასები, რომლებმაც ისე ააოხრეს ქვეყანა, რომ მათ კვალდაკვალ მომავალი უცხოტომელთა ბანდებიც კი შეაძრწუნეს. ვერანაირი ძალა ქვეყნად ჩვენ ვერ გვაიძულებს იდეების იმ წრიდან გამოსვლას, რომელ იდეებზეც მთელი ჩვენი ისტორიაა აგებული, რომელიც ახლაც შეადგენს ჩვენი არსებობის მთელ პოეზიას, რომელიც მხოლოდ ზემოდან ნაბოძებ უფლებას აღიარებს და ყოველგვარ აზრს ბუნებრივი უფლების შესახებ უკუაგდებს; და რაც არ უნდა მოხდეს საზოგადოების ფენებში, მთელი ხალხი არასოდეს მასში მონაწილეობას არ მიიღებს; ხელების დამწყვდევა, — აი წმინდაწყლის რუსის საყვარელი პოზა, — ის ცქერას დაუწყებს მიმდინარე ამბებს და ჩვეულებისამებრ თავის ახალმოვლენილ მფლობელს მამას და მარჩენალს დაუძახებს — რატომ მოვიტყუოთ აქ ჩვენივე თავი, რუსის კაცს ისევ მბრძანებლები მოენატრება, ყოველ სხვაგვარ წყობას ის ზიზღით უკუაგდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

201.

რაც უფრო მეტს ფიქრობ ქრისტიანობის საზოგადოებრივი გავლენის შესახებ, მით უფრო რწმუნდები, რომ განგების ზოგად გეგმაში დასავლეთის ეკლესია კაცობრიობის სოციალური განვითარების მიზნით არის შექმნილი, რომ მთელი მისი ისტორია, ოდენ ლოგიკური შედეგია მასში ჩადებული მაორგანიზირებელი საწყისისა. შეიძლება გავკიცხოთ საშუალებები, რომლითაც ის თავისი მიზნის ხორცშესასხმელად სარგებლობდა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ რომ ეს საშუალებები არა მარტო ყველაზე ქმედითი იყო, არამედ — ერთადერთი შესაძლოც სხვადასხვა ეპოქებში, რომელთა გავლენითაც მან თავისი გზა გამოიკვლია; რომ იყო რა თავის მოწოდების ერთგული, მას არასოდეს გვერდზე არ გაუდაუხვევია მისთვის ნამცნები მიმართულებისაგან; რომ მისთვის განჩინებული როლის განსაცვიფრებელი ალღო უცვლელად ხელმძღვანელობდა მას ბრძოლის, მარცხების და საოცარი გამარჯვებების საუკუნეების განმავლობაში; დასასრულ, თუმც ვერ ვუარყოფთ, რომ ის იყო პატივმოყვარე, შეუწყნარებელი და არც მიწიერ სიკეთეს უფრთხოდა, მაგრამ მოგვიწევს ვაღიაროთ, რომ მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება წინასწარგანჩინებული ხვედრის ხორცშესხმა.

203.

აღმოსავლური ეკლესიის ამოცანა, როგორც ჩანს, სრულიად სხვაგვარი იყო, ამიტომ მას სხვა გზებით უნდაევლო. მისი როლი იყო მარტოოდენ თავისი ძალების ამარა დატოვებული ქრისტიანობის ძლიერება გამოევლინებინა. ის სრულყოფილად ახორციელებდა თავის ამ მაღალ მოწოდებას. დაიბადა რა უდაბნოს სიოს ქროლვაში, და გადავიდა რა შემდეგ სხვაგვარ უდაბნოში, სადაც განმარტოვებით ცხოვრობდა გარსმოხვეული ბარბაროსობის წიაღში, ის ბუნებრივია ასკეტური და მჭვრეტელობითი გახდა. თვით მისი წარმომავლობა უკვეცდა მას გზას რაიმენაირი პატივმოყვარეობისაკენ. და მანაც, უნდა ვაღიაროთ, მან უკიდურესობამდე მიიყვანა მორჩილება. ის ყოველნაირად ცდილობდა მოეზღუდა თავი: მუხლი მოედრიკა ყველა ხელმწიფის წინაშე, როგორებიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, მორწმუნენი თუ ურწმუნონი, მართლმადიდებლები თუ სქიზმატიკოსები, მონღოლები თუ სელჯუკები; როცა ჩაგვრა აუტანელი ხდებოდა, ანდა, როცა უცხოელთა უღელს გადაიგდებდნენ, ის იშვიათად მოახერხებდა ხოლმე სხვა საშუალებისათვისაც მიემართა, გარდა ეკლესიის კარიბჭის ცრემლით დალტობისა ანდა ზეციური შემწეობის თაყვანით და მშვიდი ვედრებით მოხმობისა. ეს ყველაფერი, [illegible]ბით სწორია, მაგრამ ისიც სწორია, რომ ის სხვას ვერას ილონებდა. და თვის მოწოდებას უღალატებდა, თუ კი სხვაგვარ სამოსში გამოწყობას შეეცდებოდა. მხოლოდ რუსული პატრიარქობის სახელოვან ხანაში გაბედა მან პატივმოყვარე ყოფილიყო და ჩვენ ვიცით, რა ფასად დაუჯდა ეს ბუნებისსაწინააღმდეგო ამპარტავნება.

ასე იყო თუ ისე, ამ ეკლესიას, ესოდენ თავმდაბალს, ესოდენ მორჩილს, ესოდენ დამცირებულს უნდა უმადლოდეს ჩვენი ქვეყანა არა მარტო თავისი ისტორიის ყველაზე მშვენიერ ფურცლებს, არამედ თავის გადარჩენასაც. აგერ ეს გაკვეთილიც: რომლის საქვეყნოდ წარმოჩენისთვისაცაა მოწოდებული ჩვენი სამშობლო: დიდი ხალხი, რომელიც მთლიანად ქრისტეს რელიგიის გავლენით ჩამოყალიბდა, ჭკუის სასწავლებელი სანახაობა, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ ჭკუადამჯდარი ადამიანებისათვის.

214.

იმის საბუთი რომ ასეთები, როგორებიც ჩვენ ვართ, ეკლესიამ შეგვქმნა, სხვათა შორის, ის გარემოებაა, რომ ჩვენს დროშიც კი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენს ქვეყანაში — ეს სექტანტების, რასკოლნიკების საკითხია.

221.

ფილოსოფიური „მე“ აქ არაფერ შუაშია. რელიგიური გრძნობები, გულუბრყვილო იმედები, ქრისტიანობის პირველი საუკუნეების ჭაბუკური რწმენა უკვე შეუძლებელია და მეტად ველარ დაეუფლებიან მასებს. ისინი მხოლოდ ზოგიერთ განდეგილს, იმ ცალკეულ პირებს თუ ანუგეშებს, რომლებიც მარად ჭაბუკებად რჩებიან. ღვთაებრივ სიბრძნეს არასოდეს განუზრახავს სამყაროს მოძრაობის დამუხრუჭება. ეს მან შთააგონა კაცობრიობას უმეტესობა იმ იდეებისა, რომლებიც მას ახლა აღელვებს. მას არ შეეძლო და არ სურდა ადამიანური სულის თავისუფლების გაუქმება. მან ჩადო ადამიანის სულში ყველა ის სასიკეთო მონაცემი, რომლის გამოყენების უფლებაც ადამიანს აქვს, ხოლო შემდგომი მოქმედების უფლება კაცობრიობას მიანდო. თუ გაბედავთ და იტყვით, რომ ეს ნერგი თანამედროვე ქარიშხალმა დააზრო ანდა უნაყოფო იქმნაო, ეს იმაზე უფრო დანაშაულებრივი ღვთისმგმობლობა იქნება, ვიდრე ყველა ის ბოროტება, რაც რევოლუციებმა მოუტანა ქვეყანას, ვინაიდან ამის თქმა, ქვეყნისთვის იმედის ანუ იმ ძალის წართმევა გამოდის, რომელმაც ქვეყანა გადაარჩინა... ქვეთას მოასწავებდა, რომელიც სახარებამ შერაცხა სათნოებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „L'UNIVERS", 15 იანვარი, 1854

რუსები გამუდმებით გვაყვედრიან ყოველივე იმისადმი უმეცრებას, რაც მათ ქვეყანას ეხება. რა გაეწყობა, მზად ვართ უყოყმანოდ ვაღიაროთ, რომ მათ ვრცელ იმპერიას სულაც ბირმის იმპერიაზე უკეთ არ ვიცნობთ, თუმცა კი პირველი ჩვენს გვერდითვეა გადაჭიმული. თუ გნებავთ, მზად გახლავართ დავეთანხმდეთ, რომ ქვეყნად არ არსებობს ხალხი, რომელიც ჩვენთვის იმაზე უფრო ნაკლებ ცნობილი იყოს, ვიდრე რუსი; მაგრამ საკითხავია, როგორ უნდა შევიცნოთ ხალხი ჯეროვნად, იმის მიუხედავად ისევ უკავია მას ადგილი მსოფლიო სცენაზე, თუ უკვე ჩამოვიდა სცენიდან. ნუთუ სხვაგვარად, თუ არა ერის ძეგლების, მისი მწერლობის შესწავლის გზით, ამ ხალხისაკენ მიმართული იმ კითხვების დასმით, რომლებიც მისი ბუნების განსაკუთრებულ თვისებებს და მსოფლიოს სხვა ხალხებისაგან მის განსხვავებას ეხება? მერედა სად არის რუსი ერის ეს ძეგლები, სად არიან მისი ის მწერლები, რომლებიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გაშლილ და, როგორც ამტკიცებენ, თავისი პატივმოყვრული ზრახვებით ერთსაც და მეორესაც დამუქრებული, ამ ხალხის განმასხვავებელ ნიშნებს წარმოგვიჩენენ? ნუთუ რუსებს ჰგონიათ, რომ საკმარისია სახელმწიფოს უზომოდ გავრცობა, რომ ის ადამიანური ცოდნის საინტერესო დარგად იქცეს და ამ სახელმწიფოს ტომთა, ენათა, სჯულის და ყოფის გაცნობის სურვილი დაგვებადოს? ეს წმინდაწყლის ეროვნული ყოყლოჩინობა და თავის მოტყუებაა. მეცნიერება უკუაგდებს მას, როგორც ოდენ ხალხების გზააბნეულობის ნიმუშს, რომელიც მხოლოდ შემდგომი თაობების ჭკუის სასწავლებელ მაგალითად თუ გამოდგება.

რა არის რუსეთი ჩვენთვის? ეს სხვა არა არის რა, თუ არა ფაქტი, ერთი შიშველი ფაქტი, რომელიც ცდილობს დღითი დღე უფრო გოლიათურად გაიშალოს დედამიწის რუკაზე, და მაშასადამე აუცილებელია შევზღუდოთ ეს გაუზომელი ზრდა და აღვკვეთოთ იმ ძირძველ ცივილიზებულ სამყაროზე მისი დაწოლა, რომელიც გახლავთ მემკვიდრე, დარაჯი და მცველი ყველა წინამორბედი ცივილიზაციებისა, მათ შორის იმისაც, რომლიდანაც რუსეთმა ოდესღაც პირველი ცოდნა, თავისი ამპარტავნული და უნაყოფო წეს-ჩვეულებანი შეიძინა და რომელშიც ის კვლავინდებურად ჩაკეტილია.

რისი შესწავლა გვმართებს აქ? ეს მხოლოდ ფურცელია გეოგრაფიისა, რომელიც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რათა განვსაზღვროთ, როგორ უნდა შევაფასოთ მოცემული ძალა, რომელიც, შესაძლოა, უფრო წარმოსახვითი იყოს, ვიდრე ნამდვილი. თანაც განა საყოველთაოდ ცნობილი არაა, რომ რუსეთი თავის ძლიერებას მნიშვნელოვანწილად ევროპულ ცივილიზაციას უნდა უმადლოდეს, ხოლო ასე გულმოდგინედ იმიტომ სარგებლობდა ამით, რომ სხვა ცივილიზაცია მას არ გააჩნდა? არადა ევროპული ცივილიზაცია, მისი ფორმები, ზემოქმედების ხერხები და შედეგები — ჩვენთვის შესანიშნავად არის ცნობილი... რაღა გვაქვს ჩვენ იქ შესასწავლი? ისიც ყველასათვის ცნობილია, რომ თუკი რუსეთს დასავლეთის განათლება მოაკლდებოდა, თავისი რომელიმე, სამხედრო ხელოვნებაში უფრო დაწინაურებული, მეზობლის ნადავლი გახდებოდა. თავის ახლანდელ მდგომარეობამდე ის რომ შინაგანი განვითარების ძალით მისულიყო, მას რომ საკუთარი არსებიდან ამოეხაპა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა, — დიახ, მაშინ სხვა იყო, მაშინ ყოველი ცალკეული ადამიანი და მთელი ცივილიზებული სამყარო, უეჭველად ისურვებდა შეეცნო მისი ნაყოფიერი და ძლიერი ბუნება, მისი შემადგენელი ელემენტები, ის ძალი, რომელიც მან თავის მრავალრიცხოვან ტომებს დააჩნია, ის თანმიმდევრული ცვლილებები, რომლებიც ამ ტომებს განაცდევინა. მაგრამ სინამდვილეში ხომ მსგავსი არაფერი მომხდარა. როგორც ცნობილია, ერთ მშვენიერ დღეს, რუსეთმა თვითონვე დაამხო ყველაფერი ის, რაც ნიშანდობლივი იყო მისთვის, რაკი აშკარად აღიარა თავისი ეროვნული არსების უკმარისობა და შემდეგ თანამედროვე ცივილიზაციის ფორმით შეიმოსა. და სწორედ ამ დღიდან გახდა ის მძლავრი, ხოლო ევროპამ მას შეშფოთებული მზერა მიაპყრო, — არა როგორც შესასწავლ და გასააზრებელ საგანს, არამედ, უბრალოდ, როგორც პოლიტიკურ მოვლენას, რომელზეც თვალი უნდა გეჭიროს, თუ არა გსურს, რომ ჩაგყლაპოს.

მე, ცხადია, კარგად ვუწყი, რომ ბევრია ისეთი რუსი, — და ასეთები თვით პარიზშიც არიან, — რომლებიც ამტკიცებენ, რომ რუსეთმა პეტრე დიდის რეფორმა თავისი ნების წინააღმდეგ განიცადა, მაგრამ ეგენი ტლანქი პატრიოტები არიან: ერთი ადამიანის ენერგიას, — თუნდაც ის ყველაზე დიდი პიროვნება ყოფილიყო მოკვდავთა შორის, — ისეთ გადატრიალებას მიაწერენ, რომელმაც, მათივე აღიარებით, თხემით ტერფამდე გარდაქმნა მათი ქვეყანა, ამით კი სრულებითაც ვერ ამართლებენ თავის ხალხს, არამედ პირიქით, სასტიკად შეურაცხყოფენ მას. და სულაც არ უყურებს ამას ასე რუსების უმრავლესობა, რომელიც არ არის ახალი ეროვნული რუსული სკოლის რეტროსპექტული უტოპიებით გატაცებული. როგორი აზრი უნდა გვქონდეს, სინამდვილეში იმ ხალხზე, რომელმაც ჯერ ერთ-ერთი თავისი ხელმწიფის ჭირვეული ფანტაზიის გამო, თავისი ისტორიის ყველა ნაყოფი დაკარგა, მერე კი, როცა თითქოს, თვითონ განგებამ იზრუნა, რათა

ეს ხალხი წინაპართა წმინდა ნაანდერძალს დაბრუნებოდა და საამისოდ ოთხგზის ზედიზედ ქალები მოუვლინა ხელმწიფედ, და მერე როგორი ქალები! ო, ღმერთო, ნამდვილი ნაძირალები დედათა სქესისა! — და რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, პრეტორიანული გადატრიალებების მთელი ასწლეული უბოძა — და ხალხი უსულგულოდ განაგრძობდა იმ დოლაბებით ფქვას, რომელთა შორისაც ის თითქოსდა თავისი საკუთარი ნების გარეშე აღმოჩნდა! არადა სწორედ ასე მსჯელობს თავისი ხალხის შესახებ ეს ჭეშმარიტად რუსული ახალი სკოლა, ასე რომ გამოუდევს თავი რუსეთის სადიდებლად. საბედნიეროდ, კაცთა მოდგმის სასახელოდ, საქმე სულ სხვაგვარად აეწყო. პეტრე დიდმა ისეთ გადატრიალებას შეუწყო ხელი, რომლის დასაწყისსაც ჩვენ რუსული ისტორიის პირველ ფურცლებზე ვაწყდებით. მან გარდაქმნა ის, რისიც მხოლოდ სახელი არსებობდა, მან მოსპო მხოლოდ ის, რაც სულ ერთია, მაინც ვერ გაძლებდა, მან შექმნა მხოლოდ ის, რაც თავისთავად მიემართებოდა თავისი შესაქმისაკენ, მან მოახდინა მხოლოდ ის, რის აღსრულებასაც მანამდე ცდილობდნენ მისი წინამორბედები. ასეთია, ჩვენის აზრით, ერთადერთი გონივრული წესი მისი ცნობილი რეფორმის და ამ რეფორმის ხალხის მიერ გააზრებისა. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ამ ხალხის მთელი ისტორია თავიანთი მმართველობის სასარგებლოდ განუწყვეტელი თვითუარყოფაა, რომ მან თავისი ისტორიული სარბიელი იმ ერთ მუშა სკანდინავიელ ავანტურისტთა ხელისუფლებისადმი დამორჩილებით დაიწყო, რომლებსაც თვითონვე მოუხმო, რომ ის ამის შემდეგ, თავისი რელიგიის საძიებლად უცხო ხალხებისაკენ გაემართა, რომ მოგვიანებით მან თავისი ქვეყნის ველურ დამპყრობელთაგან მათი ყველაზე სამარცხვინო ჩვეულებები გადმოიღო, და ბოლოს, რომ ის განუწყვეტლივ ექცეოდა ნაირ-ნაირ უცხოტომელთა გავლენაში, — თუ ყველაფერ ამას გავიხსენებთ, მორჩილების დიდი აქტი, რომელმაც ის ჩვენ ცივილიზაციას აზიარა და ჩვენი პოლიტიკური სისტემის წრეში შემოიყვანა, კიდევ უფრო ბუნებრივად წარმოგვიდგება და მაშინ აღარც გასაკვირია, რომ ამ ცივილიზაციის და ამ პოლიტიკური სისტემის ოდინდელი მფლობელებიც ასე ცოტას მეცადინეობენ რუსი ხალხის სოციალური არსების შესასწავლად.

მაგრამ დადგა დრო, როცა რუსეთის შეუცნობლობა ჩვენს უსაფრთხოებას ემუქრება. ჩვენ გვინდა, ბოლოს და ბოლოს, ის ძირეული მიზეზი გავიგოთ, რომელიც აქეზებს ამ უზარმაზარ იმპერიას თავის საზღვრებს გადასცდეს და აიძულებს ავადმყოფურად შეუტიოს დარჩენილ სამყაროს. ჩვენ მეტისმეტად დიდხანს მივაწერდით ამას პატივმოყვარულ პოლიტიკას, ღრმად გააზრებულ სისტემას, არადა, რო[illegible] გომ ვნახეთ, აქ საქმე გვაქვს [illegible] სხვა ჯურის მიზეზის ბუნებრივ შედეგთან. ასეა თუ ისე, — პოლიტიკური ხასიათის მოვლენებია ეს, ზნეობრივის თუ გეოგრაფიულის, — ჩვენ ყოველ შემთხვევაში ვეღარ ვიტყვით უარს მის უფრო ღრმა შესწავლაზე და ვერც იმის ცდაზე ავიღებთ ხელს, რომ რუსეთს ვუჩვენოთ, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია — რომ ის ყოველთვის დაღუპვას უახლოვდება, როცა ხელადებით ეწინააღმდეგება ძველ, ცივილიზებულ რასებს, რომელთა ძლიერებაც ათასწილად უფრო ემყარება ხანგრძლივ და ბეჯით გონებრივ შრომას, ვიდრე მათ მატერიალურ ძალებს და რომ სწორედ მათი ამ სულიერი საქმიანობის მიზეზითაა რუსეთი ყველაფრით დავალებული, მათ შორის საკუთარი ეროვნულობის იმ გრძნობითაც, რომელიც მას ახლა ჩვენს წინააღმდეგ მოუმართია და რომლითაც თავი მოაქვს. ამასთან არ უნდა გვეგონოს, რომ საქმის ვითარებაში გარკვევა ასე ძნელი იყოს. თუ რუსებს შორის რამდენიმე წელიწადს ვიცხოვრებთ, იოლად დავრწმუნდებით, რომ განათლებული და მიუკერძოებელი უცხოელი იმ პირობებში, რომელიც რუსულივე გარემოდან შექმნა ხელისუფლებამ, ძიებით მიკვლეული მონაცემების სიმწირის მიუხედავად, სინამდვილეში არა მარტო მეტი საშუალებების მფლობელია და მათი საზოგადოებრივი ყოფის შესაფასებლად, ვიდრე თვითონ რუსები, არამედ მას შეუძლია მეტისმეტი თვითდაჯერების გარეშე იკისროს ამოცანა, მათაც განუმარტოს ის გზები, რომლებსაც რუსები დასდგომიან.

პირველი შეხედვითვე აღმოვაჩენთ რუსეთის ისტორიაში ორ ელემენტს: გეოგრაფიული ელემენტი, ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული და რელიგიური ელემენტი. მათ მესამეც უნდა დავურთოთ — სოფლის მოსახლეობის დაყმევება. ჩვენ მეტწილად ამ უკანასკნელს გავარჩევთ, რადგან, ჩვენის აზრით, ის წინა ორის ნაყოფია და მთლიანად ასახავს მათ. მაგრამ ახლავე ავღნიშნავთ, რომ პეტრე დიდის დროინდელ გადახალისებამდე რუსებმა სხვა დამრიგებელი ეკლესიის გარდა არ იცოდნენ და მაშასადამე თვით პეტრეს რეფორმებამდე მხოლოდ მას ერთადერთს უნდა უმადლოდეს დიდი ხალხი მთელ თავის ზნეობრივ განვითარებას, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის თავისი არსით.

ყოველმა კაცმა იცის, რომ რუსეთში ბატონყმური სამართალი არსებობს, მაგრამ ძალიან ცოტამ იცის მისი ნამდვილი სოციალური ბუნება, მისი მნიშვნელობა და ხვედრითი წილი ქვეყნის საზოგადოებრივ წყობაში. ამასთან დიდი გაუგებრობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მისი ზემოქმედება მოსახლეობის იმ გაჭირვებული ფენით შემოიფარგლება, რომელსაც მისი სიმძიმე აწევს კისერზე; სინამდვილეში თუ

გვსურს გავითვალისწინოთ მისი ყველაზე დამღუპველი შედეგები, საჭიროა, უპირატესად, შევისწავლოთ ბატონყმური სამართლის იმ კლასებზე გავლენა, რომელთათვისაც ის პირველი შეხედვით ხელსაყრელია. თავისი მკვეთრად გამოხატული ასკეტური რწმენის წყალობით, იმ თანშობილი ტემპერამენტის წყალობით, რომელნიც ნაკლებად ზრუნავს გარეგან, წარმავალ კეთილდღეობაზე, დასასრულ იმ უზარმაზარი მანძილის წყალობით, რომლებიც ხშირად აშორებს მას მებატონისაგან, რუსი გლეხი — ეს უნდა ვაღიაროთ — არც ისე გასაწყალებულია, როგორც ეს შეიძლება გვეგონოს. ამასთან მისი ახლანდელი მდგომარეობა ბუნებრივად გამომდინარეობს წინამავალი ვითარებიდან. მონობაში ის გარეგანმა ძალადობამ კი არ ჩააგდო, არამედ გარემოებების იმ ლოგიკურმა თანმიმდევრობამ, რომელიც მისი შინაგანი ცხოვრებიდან, მისი რელიგიური მრწამსიდან, მთელი მისი ბუნებიდან გამომდინარეობს. თუ საბუთი გნებავთ, შეხედეთ რუსეთის თავისუფალ ადამიანებს — და თქვენ ვერავითარ შესამჩნევ განსხვავებას მასა და მონას შორის ვერ დაინახავთ. იმასაც კი ვიტყოდი, რომ ამ უკანასკნელის გარეგნობაში, ბედისწერის თაყვანისცემა რომ გამოსჭვივის, რაღაც იმაზე უფრო ღირსეულია, იმაზე უფრო გამძლეა, ვიდრე პირველის მერყევ, შიშნეულ გამოხედვაში. საქმე ის არის, რომ თავისი წარმომავლობით და თავისი განმასხვავებელი ნიშნით რუსული მონობა ერთადერთ მაგალითს წარმოადგენს ისტორიაში. ადამიანური საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობამ მსგავსი არაფერი იცის. რუსეთში მონობა რომ ისეთივე დაწესებულება იყოს, როგორიც ის ძველი მსოფლიოს ხალხებში იყო, ანდა ახლაა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ის მხოლოდ იმ შედეგებს მოიტანდა, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობს ამ ამაზრზენი ინსტიტუტიდან: მონის სისაპყრე, მონათმფლობლის ზნედაცემულობა. რუსეთში მონობის შედეგი განუზომლად უფრო ფართოა. უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსი გლეხი, არის რა მონა ამ ცნების მთელი ძალით, ამავე დროს მონობის ბეჭედი მის პიროვნებას არ ატყვია, ის საზოგადოების სხვა კლასებისაგან არ გამოირჩევა არც საზოგადოებრივი აზრით და არც ტომობრივი ნიშნით; თავისი მებატონის სახლში ის თავისუფალი ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობს, სოფლად ის თავისუფალი მეთემე გლეხების წევრთაგანია; ის ყველგან თავისუფალ ქვეშევრდომებშია გარეული ყოველგვარი თვალშისაცემი განმასხვავებელი ნიშნის გარეშე. და აი, ადამიანური ბუნების ყველაზე საპირისპირო ნიშნების ამ უცნაურ აღრეულობაში მდგომარეობს, ჩვენის აზრით, რუსი ერის [illegible] ვნილების სათავე, აი ამიტომ აზის რუსეთში ყველაფერს მონობის ბეჭედი — ზნეობას, მისწრაფებებს, განათლებას, თვით თავისუფლებასაც — რამდენადაც კი შეიძლება მასზე ლაპარაკი ამ ქვეყანაში. არა გვმართებს დავივიწყოთ, რომ რუსეთთან შედარებით ევროპაში ყველაფერი თავისუფლების სულით არის გაჟღენთილი: ხელმწიფეები, მთავრობები, ხალხები. როგორღა უნდა მოველოდეთ ამის შემდეგ, რომ მთელი ევროპა რუსეთისადმი გულწრფელი თანაგრძნობით განიმსჭვალოს? აქ ხომ ნათლისა და ბნელეთის ბუნებრივი ბრძოლაა გაჩაღებული! ხოლო ჩვენსობას ხალხების აღრენილობა რუსეთის წინააღმდეგ იმიტომაც იზრდება, რომ რუსეთი არ ჯერდება იმას, რომ ის, როგორც სახელმწიფო, ევროპულ სისტემაში შედის და ცივილიზირებული ხალხების ამ ოჯახში სხვა ცივილიზაციებთან შედარებით უფრო მაღალი ხალხის წოდებას ეპოტინება, იმაზე მითითებით, რომ მან სიმშვიდე შეინარჩუნა მაშინ, როცა ევროპამ ახლახან ძვრები განიცადა, და, დააკვირდით, ამ პრეტენზიებს ახლა მარტო მთავრობა კი არ აყენებს, არამედ მთელი სახელმწიფო. დამჯერი და მორჩილი მოწაფეების ნაცვლად, როგორებიც ჩვენ ჯერ კიდევ არც ისე დიდი ხნის წინათ ვიყავით, უცებ იმათ მასწავლებლებად ვიქეცით, ვისაც ჯერ აგერ გუშინ მასწავლებლებად ვაღიარებდით. აი რაში მდგომარეობს აღმოსავლეთის საკითხი, თუ მას თავის ყველაზე მარტივ გამოხატულებამდე დავიყვანთ. მიეცა შემთხვევა და ევროპაც ჩაეჭიდა ამ ამბავს, რათა კუთვნილი ადგილი მიგვიჩინოს. ეგ არის და ეგ.

ლაპარაკობენ რა რუსეთზე, წამდაუწუმ ფიქრობენ, თითქოს ისეთსავე სახელმწიფოზე ლაპარაკობდნენ, როგორიც სხვებია. სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე. რუსეთი მთლად განსაკუთრებული სამყაროა, ერთი ადამიანის ნების, სურვილის, ფანტაზიის მორჩილი — პეტრე ჰქვია მას თუ ივანე, ეს არ არის თავი და თავი: ის ყველა შემთხვევაში ერთნაირად განასახიერებს თვითნებობას. ადამიანური თანაცხოვრების ყველა კანონის საპირისპიროდ, რუსეთი მხოლოდ თავისი თავის და ყველა მეზობელი ხალხის დამონების გზით მიდის. ამიტომ სასარგებლო იქნებოდა, არა მარტო სხვა ხალხების, არამედ მისი საკუთარი ინტერესებისთვისაც — აიძულონ იგი ახალი გზა გაიკვლიოს.

წინა სიტყვა და თარგმანი

ავთანდილ ჯოხაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი მინდიაშვილი

# გმირი, ხალხი და სარწმუნოება

„უთვალავია დღეს ქართლის ტანჯვა,
გადმოიხილე ზეცით, უფალო!“
„ბაგრატ დიდი“

გმირის, ხალხისა და სარწმუნოების ურთიერთმიმართების პრობლემა ჩვენი ერის ცხოვრებაში განსაკუთრებულად აქტუალური ხდება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველო თავისუფლებას კარგავს.

ეს პრობლემა დღესაც უაღრესად აქტუალურია.

გმირის, ხალხისა და სარწმუნოების ურთიერთმიმართებას (ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით) აკაკი წერეთლის შეხედულებათა „დახმარებით“ განვიხილავთ.

ამთავითვე შევნიშნავთ, რომ აკაკისთან დაძლეულია დილემა, რომლის მიხედვითაც, ისტორია ან მხოლოდ გმირების მოღვაწეობით იქმნება, ანდა სპონტანურად ვითარდება თავისი კანონებით და ადამიანის შინაგან აქტივობას (ინიციატივას) მთლიანად გამორიცხავს. აკაკისათვის უცხოა აგრეთვე თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ისტორიას, ეროვნულ ცხოვრებას მხოლოდ ხალხი ქმნის და პიროვნება კი ნულს წარმოადგენს (გავიხსენოთ ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ და ნაპოლეონის ფენომენის მისეული შეფასება).

აკაკი ერის ბედსა და ისტორიაზე დიდი ადამიანების, გმირების აქტიურ ზემოქმედებას არსებით, განმსაზღვრელ როლსა და მნიშვნელობას აკუთვნებს. ასე რომ არ იყოს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა მის შემოქმედებაში უამრავი გმირის გამოყვანა, ის მაღალი შეფასება, რასაც ისეთ ისტორიულ პირებს აძლევს, როგორებიც ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ დიდი, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე, თორნიკე ერისთავი, ცოტნე დადიანი და მრავალნი სხვანი არიან. /

„ასი რომ ერთზედ მივიდეს, რასაკვირველია, დაიმორჩილებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმ ერთის სიმხდალეს. თუ ოდესმე დაუმარცხებიათ ქართველები, დაუმარცხებიათ რიცხვით და არა ვაჟკაცობით. თუ რომ ჩვენი გმირები არ ყოფილიყვნენ, ვერ გაუძლებდნენ ყოველ კუთხით-მოსულ მტრებს“ („სათეატრო შენიშვნები“, ა. წერეთელი, თხზ., ტ. 12, გვ. 189). — ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც — ყველგან ჩვენია — ა. მ.).

აკაკი წერეთლის პოემათა უმრავლესობა, არაერთი მოთხრობა ამ მოსაზრების ერთგვარ მხატვრულ კონსტატაციას წარმოადგენს. მაგრამ აკაკი არ არის გმირთა რომანტიკული კულტის დამცველი, — ის კარლეილის მსგავსად არ ფიქრობს, რომ ერის ისტორიას მხოლოდ გმირები, რჩეული პიროვნებები ქმნიან. ყოველთვის და ყველგან, — მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ თეორიულ გამონათქვამებში — აკაკი ხაზს უსვამს ქართველი ხალხის დიდ ისტორიულ როლსაც, „გმირებისა“ და „ხალხის“ „დიალექტიკურ“ ერთიანობას („უნდა გახსოვდეთ კი, რომ როგორც ტარიელი ვერას გახდება მარტო, სხვების დაუხმარებლად, ისე ვერც არას თქვენ გახდებით...

მრავალკუთხიანია საქართველო. უნდა გამონახოთ ყველგან ავთანდილ-ფრიდონები, დაიმეგობროთ და შეთანხმებული სურვილით, შეერთებული ძალით იმოქმედოთ, რომ გამოიხსნათ... ის საიდეალო ნესტან-დარეჯანი“... (მოთხრობიდან „პატარა ტარიელი“, ტ. 8, გვ. 157).

ა. წერეთლის შემოქმედებაში გამოყვანილი ისტორიული პირების — ბაგრატ დიდის (პოემა „ბაგრატ დიდი“), თორნიკე ერისთავის („თორნიკე ერისთავი“), ერეკლე მეორის („პატარა კა-

ხი“), ცოტნე დადიანისა („ნათელა“) და სხვათა გმირობა დიად, ჰეროიკულ იერს ანიჭებს იმ ერს, რომლის შვილებიც ისინი არიან. მართლაც, როგორც ჟოლი შენიშნავს — განა ერის ღირსებისა და სიდიადის ნიშანი არ არის, როდესაც ამ ერში ჩნდება რამდენიმე ადამიანისათვის შესაძლებლობა დანარჩენებზე ამაღლების და ცალკეულ, რჩეულ პიროვნებებად გამოყოფის?!...

აკაკი გმირობისათვის დამახასიათებელ უმთავრეს თვისებად თავგანწირვას, ერის საკეთილდღეოდ თავგანწირვისათვის გაცნობიერებულ მზადყოფნას მიიჩნევს: „მაგრამ ვინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვიან მამულიშვილი!“; „ქართველ მეფეთა თავგანწირულთა მითი მიინდვეს ქვეშევრდომთ გული, რომ არაოდეს არა ყოფილა ხალხი იმათგან მოტყუებული“; „ჩემი ცოლ-შვილი, ჩემი სახლკარი, ამქვეყნიური მე ნეტარება, ყველა შევწირე ტკბილ სამშობლოსა, მინდოდა მისი ბედნიერება“ (პოემა „ბაგრატ დიდი“).

როგორც ვხედავთ, აკაკის შემოქმედებაში ქართველ გმირთა თავგანწირვა ნებაყოფლობითია, ე. ი. ყოველი მათგანის მოღვაწეობა, გმირობა, მართალია, გარეგანი, ისტორიული, ობიექტური გარემოებებითაა განპირობებული, მაგრამ, იმავდროულად, შინაგანი, სუბიექტური მოტივებითაც სრულდება, ანუ უანგაროა! უანგარობა იქნება, აქ გმირთა რაიმეგვარ ანგარებაზე ვილაპარაკოთ მაშინ, როდესაც ისინი სამშობლოს, თუ ეს გარდუვალი აუცილებლობითაა გამოწვეული, საკუთარ სიცოცხლესაც კი სწირავენ. ამ ფაქტშიც ჩანს, რომ მათთვის, განსხვავებით ჩვენგან, — თანამედროვე ქართველთა უმრავლესობისაგან, — უმაღლესია არა საკუთარი „მე“, საკუთარი მიკროგარემო, არამედ — სამშობლო, რომელსაც თითოეული გმირი თავის თავზე განუზომლად მაღლა აყენებს. საერთოდ, ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ მეცხრამეტესაუკუნემდელ ქართველ ხალხს მის საუკეთესო პერიოდებში, ასევე — ინდივიდუალურად ყოველ ცალკეულ ქართველს, რომლებიც მზად არიან პიროვნულ-ინდივიდუალური უფრო დიდი ინდივიდუალობის — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს — სამსხვერპლოზე მიიტანონ, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის არსებობის ფორმა გმირულ-ჰეროიკულია. მაგრამ ჰეროიკულ, დიად, ამაღლებულ სახეს ქართველი ხალხი თანდათანობით კარგავს რუსეთის იმპერიის მიერ მისი შემოერთების შემდეგ (მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აკაკი წერეთლის შემდეგი დაკვირვება:

„ამ საუკუნის დასაწყისში იმათ (ქართველებმა — ა. მ.) გულ-დამშვიდებით მიანდვეს თავიანთი სასიქადულო დიდება უძლიერეს ქრისტიან ერს. საშველად ნებით [illegible] და თვით მიეცნენ მოსვენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველია!... რაც ამბოხებისა და მოუსვენრობის დროს შეირჩინა საქართველომ, ის მშვიდობიანობისა და მოსვენების დროს ხელიდან ეცლება („მოხსენება“, ტ. 12, გვ. 232). (გაგახსენდებათ, ალბათ, ანალოგიური მსჯელობა მოცემულ პრობლემაზე ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან „დათა თუთაშხია“).

იმ რჩეული წინაპრებისათვის, რომელთაც აკაკი მხატვრულ სახეებში აცოცხლებს, ყველაზე მაღალ რეალობას ქრისტე-ღმერთი წარმოადგენს, უმაღლეს ცნობიერებას — ქრისტიანულ-ეროვნული ცნობიერება: საქართველო ქრისტესა და ქრისტიანული სარწმუნოების უერთგულეს ქვეყნად, ხოლო ქართველი კაცის ეროვნული ცნობიერება — ქრისტიანული ცნობიერებისაგან განუყოფლად გაიაზრება: „ხორცს შევსწირავთ რჯულისათვის, მაგრამ მტკიცედ ვიპყრობთ სულსო, მივენდობით ქრისტეღმერთსა და იმისგან სასწაულსო“ — პოემა „ომი“; „მართლაც რომ ქრისტეს გულისთვის, მან ბევრი სისხლი დაღვარა“ — პოემა „მოხუცის გრძნობა“; „გმირნი ხართ, კვდებით გმირულად, საქრისტიანოს მსხვერპლადო, ამიერ საშვილიშვილოდ, სამშობლოს სადიდებლადო“ — პოემა „ნათელა“; „ღმერთზე დიდი არვინ არის, ვერ იქნება ვეროდესა!“ — პოემა „მამლის ყივილი“...

აკაკი ქართველობის სულიერ-ზნეობრივი დეგრადირების უარსებითეს მიზეზს ქრისტიანული სარწმუნოებისადმი „გაცივებაში“ ხედავს. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ქართველი ხალხი სწორედ ამ ყველაზე საიმედო, მრავალსაუკუნეობრივ ფარს—სარწმუნოებას კარგავს და ქრისტეს ერთგული მიმდევრიდან გულგრილ ქრისტიანად გადაიქცევა: შედეგად, თანდათანობით მძიმე, კატასტროფულ ფორმებს იძენს ეროვნული ცხოვრება ყველა სფეროში: იქნება ეს სულიერი, ინტელექტუალური, ზნეობრივი, სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური... ამიტომაც გადაიქცევა აკაკის მოუცილებელ ოცნებად და სურვილად, „რომ ქართველობამ მტკიცედ დაიპყრას ქრისტეს მოძღვრება და წმინდა რჯული“, „რომ საქართველომ ქვესკნელი დაჰგმოს, მოიახლოვოს ზეცა და ღმერთი“ — პოემა „ნათელა“.

რა ღირებულება და მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანულ სარწმუნოებას საქართველოსათვის, ჩვენმა ნებისმიერმა მტერმა შესანიშნავად უწყოდა, ამიტომ ქართველი ერის განადგურების პროგრამაში უპირველეს სამიზნედ ყოველთვის ქრისტიანობას იხდიდა:

„ხალხი რომ საყდარში სიარულს აღარ დაიწყებს და საქრისტიანო მოძღვრებას მოკლებული იქნება, მაშინ ნელ-ნელა დაივიწყებს

რჯულს, დაჰკარგავს სარწმუნოებას, ზნეობითად დაეცემა და, ამნაირად, სულით მკვდარი ხალხი, ადვილად მოსათოკი იქნება“, — მიმართავს მოთხრობა „წმინდა გიორგის რაზმი“-ს პერსონაჟი, მოღალატე ქუთათელი იზმაილ-ფაშას.

„სანამდი სარწმუნოება ქართველთ ექნება ხელშიო და არ მოკვდება ზნეობით, ხელს ვერ წაუჭერ ყელშიო, ჯერ უნდა რჯული წავართვათ, გავხადოთ უნამუსოო და მერე შევძლებთ ადვილად, რომ კიდეც გავათათროთო“, — პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“.

ქართველთა მტარვული ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ დაუყოვნებელ იერიშზე გადადის ათას რვაასიანი წლების დასაწყისიდანვე მეფის რუსეთის იმპერიაც:

1811 წელს სპობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, აწესებს ეგზარქოსობას და იწყებს წინასწარდაგეგმილ და თანმიმდევრულ შეტევას ქართველი ხალხის ზნეობრივად გადასაგვარებლად. სულიერად დასამონებლად („ნუ გეშინია მათი, ვინც სხეულს კლავს, მაგრამ სულის მოკვლა არ ძალუძს, უფრო მეტად მისი გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვაც შეუძლია“.... — მთ. 10, 28); პარალელურად ხელს მიჰყოფს ასეულობით ეკლესია-მონასტრის გაუქმებას, ფრესკების განადგურებას, საეკლესიო-სამონასტრო სიმდიდრის, ხატების (მათ შორის, მრავალი სასწაულთმოქმედი ხატის), განძეულობის, უძვირფასესი და უნიკალური ხელნაწერების დატაცება-დაწვას, ჩვენი სახელოვანი წინაპრებისა და წმინდანების საფლავების ძარცვას (ცნობილია, მაგალითად, რომ ეგზარქოსმა თეოფილაქტემ ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს საფლავის გაძარცვის განზრახვით თხრის დროს განუტევა ცოდვილი სული), იბრძვის ეკლესიებში წირვა-ლოცვის აკრძალვისათვის ქართულ ენაზე, რომელსაც ეგზარქოსები „ძაღლის ენად“ მოიხსენიებენ (იხ. „ნადული“, 1820 წ. ეგზარქოს თეოფილაქტეს“... ტ. 14, გვ. 401).

აკაკი გამუდმებით წუხს იმის გამო, რომ თანამედროვე ქართველ კაცს უკვე დაჩლუნგებული აქვს როგორც ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი, ისე ეროვნული გრძნობა, დავიწყებული აქვს ის მაღალი შეგნება, რისთვისაც ღმერთმა ქართველად მოავლინა, — იყოს ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული, თავდადებული დამცველი და მიმდევარი, მის მცნებათა ცხოვრებაში გამტარებელი. ამიტომ აკაკი ნაწარმოებიდან ნაწარმოებში, წერილიდან წერილში შეახსენებს თანამემამულეს, თუ ვისი სახელით იბრძოდა და ვისი სახელით იცავდა მისი წინაპარი საქართველოს: „როგორც გვირგვინსა მისი ქმნილების, მისთვის გვნიშნავდა განგება ქვეყნად, რომ მივემსხვერპლოთ, თავი შევსწიროთ მისსა დიდებას საკურთხად და ძლვნად. და ეს ძლვენია კეთილი საქმე, ქრისტიანობის სჯულ[illegible]ლი“... (პოემა — „თორნიკე ერისთავი“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის მხატვრულ თხზულებებში გამოხატული გმირი-ქართველებისათვის უცხოა მტრის შიში, რადგან შეიარაღებულნი არიან რწმენით, — ქრისტე-ღმერთი მათთანაა, ამიტომ მტერი, როგორი მრავალრიცხოვანიც უნდა იყოს, ვერ შეძლებს იმ ხალხის დამარცხებას, ვისთანაც არს ღმერთი და, ამავე დროს, ვინც თავისი ცხოვრების წესით აგრეთვე ღმერთთანაა!

ერისთვის, რომელსაც „რწმენის სარტყელი“ აქვს შემორტყმული და „უფლითაა შემოსილი“, მტრის სიმრავლე და მისი „კბილებამდე შეიარაღება“ არაფერს არ ნიშნავს:

„მტერი ბევრით ჩვენზე მეტია, მაგრამ ნუ შეშინდებით!

მარტო ჩვენ არა ვართ მეომარნი, არამედ ჩვენთან არს ძალი იესო მაცხოვრისა. დღეს ეპირვება ქრისტიანობას გამოხსნა.

შესწირეთ თავი თქვენ ქრისტეს სარწმუნოებას!

ღმერთი იქნება ჩვენი შემწე!

(„სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე“, ტ. 8, გვ. 314).

აკაკის გმირებისათვის განუყოფელია ქრისტიანულ-ეროვნული გრძნობები; ისინი ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ და ერთმანეთს უკავშირდებიან: ერთის შესუსტებას გარდუვალად მოსდევს მეორის შესუსტება, და პირიქით, ერთის გაძლიერებას — მეორე გრძნობის გაძლიერება. ქართველ ხალხში სწორედ ამ ორი გრძნობის მთლიანობა და განუყოფელობა განაპირობებს მის სიძლიერესა და ქართველობას. სწორედ ქრისტესა და სამშობლოსათვის გმირულ თავგანწირვასა და მსახურებაში ხდება ყოველი ჭეშმარიტი ქართველის პიროვნულ-ინდივიდუალური თვითდამკვიდრება, საუკეთესო ადამიანურ შესაძლებლობათა და თვისებათა რეალიზება და განოხატვა.

აკაკის მთელი შემოქმედებითი ნააზრევიდან გამომდინარე, ქართველ ხალხში ეროვნული ცნობიერება ვერ გაიღვიძებს და სასურველი მიმართულებით ვერ განვითარდება, თუ მას თან არ სდევს ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი ცნობიერების განმტკიცება-განვითარება. ქართველი ხალხი უძლეველსა და ძლევამოსილს, მშობლიური მიწა-წყლის საუკეთესო დამცველსა და მშენებელს იმ პერიოდებში წარმოადგენდა, როდესაც ნამდვილი ქრისტიანი იყო სიტყვითაც და საქმითაც. აკაკის მიხედვით, მართალია, ქართველები დღესაც ქრისტიანებად ინათლებიან, ქრისტიანებს უწოდებენ თავის თავს, მაგრამ ცხოვრობენ როგორც წარმართები, ცხოვრობენ არაქრისტიანულად. უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ისმენენ ქრისტეს სიტყვას, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ სიტყვებით არ ხელმძღვანელობენ (ხოლო ყოველი, ვინც

ქრისტეს სიტყვებს ისმენს და არ ასრულებს, იმ უგუნურ კაცს ემსგავსება, რომელმაც თავისი სახლი ქვიშაზე აიშენა, მოვიდა წვიმა, გადმოვიდნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები და ეკვეთნენ იმ სახლს, — ის დაეცა და „ფრიად დიდი იყო მისი დაცემა“ — მთ. 8, 26-27).

აკაკი წერეთლის მხატვრული შემოქმედებიდან და მისი უზარმაზარი პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან, გამომდინარე, ქართველების ქრისტიანობისაგან გაუცხოება იმითაც ვლინდება, რომ მათ ცხოვრებაში უკვე უმნიშვნელო ადგილი უკავია ლოცვას, განსხვავებით მორწმუნე წინაპრებისაგან, რომელთაც ქრისტიანული ცხოვრება ლოცვის გარეშე საერთოდ ვერ წარმოედგინათ; მათთვის ლოცვა სუნთქვასავით აუცილებელ სასიცოცხლო მოთხოვნილებას შეადგენდა, დროის მნიშვნელოვან ნაწილსა და ყურადღებას უთმობდნენ. აკაკის ნაწარმოებებში გმირები ხშირად ლოცულობენ; რადგან თანამედროვე ქართველობა აღარ ლოცულობს, ღმერთთან აღარ „ლაპარაკობს“, ამიტომ ღვთაებრივ მადლს, ენერგიასა და ძალასაც ვეღარ იღებს „ზემოდან“ სასიკეთო საქმეთა აღსასრულებლად როგორც პირადული, ისე ეროვნული ცხოვრების ასპარეზზე. ლოცვის უარყოფით იგი უარყოფს ქრისტესაც, რომელიც თავად გამუდმებით ლოცულობდა და ჩვენც გამუდმებული ლოცვისაკენ მოგვიწოდებდა („იბეჯითეთ ლოცვაში და ფხიზლად იყავით მასში მადლიერებით“ — კოლ. 4, 2).

აკაკის მიხედვით, ქართველებს ისტორიულ წარსულში მთავარ ამოცანად ღვთის ნების განხორციელება მიაჩნდათ. დღევანდელმა ქართველობამ ეს ამოცანა დაივიწყა. ის ეძებს მხოლოდ დიდებას, პირად გამორჩენასა და სარგებელს, სიმდიდრესა და კერძო ინტერესების დაკმაყოფილებას. წინაპრებს ღმერთი უყვარდათ ყოვლითა გულითა. ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა. ეს იყო მათი პირველი მცნება; გულმხურვალედ უყვარდათ საქართველო, ე. ი. ქართველობა, ანუ მოყვასი ისევე, როგორც საკუთარი თავი. ამ ორ მცნებაზე იყო დამოკიდებული მათი რწმენაც და ქრათველობაც. ეხლა კი ქართველებისათვის ღმერთის, სამშობლოს, მოყვასის სიყვარულმა მარტო საკუთარი თავისა და კერძო ინტერესების ეგოისტურ სიყვარულში „მოიყარა თავი“. მაშასადამე, ქართველები ქრისტეს არცერთ მთავარ მცნებას აღარ ასრულებენ; ამის გამო, მისი ერთგული მეგობრებიც აღარ არიან („თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ გააკეთებთ, რასაც მცნებად გიდებთ“, — მოგვმართავს უფალი. იოანე 15, 14) და ქრისტეს სიყვარულშიც აღარ რჩებიან („თუ ჩემს მცნებებს დაიცავთ. ჩემს სიყვარულში დარჩებით“ — იოანე, 15, 10).

ქრისტეს მცნებათა შესრულება და დაცვა, ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენა ქართველობაში ერთმანეთისადმი და სამშობლოსადმი თავდადებულ სიყვარულს განამტკ[illegible] სიყვარულის ნაცვლად მათ [illegible] რატესად სიძულვილი, შური, ღალატი და გაუტანლობა, ხოლო სამშობლოსთან — მისი ბედით დაუინტერესებლობა და გულგრილობაღა „აკავშირებთ“.

დამოუკიდებლობის დაკარგვასა და ქრისტიანულ-ეროვნული ცნობიერების შესუსტებას თანსდევს ქართველობაში დეჰეროიზაციის პროცესი. გმირები, რომლებითაც სავსეა წინა საუკუნეები, უკვე სანთლით საძებარნი ხდებიან ეროვნულ ასპარეზზე. ქართველი კაცის გმირულ-ჰეროიკული სიმაღლიდან ჩინოვნიკურ ვიწრო, ყოფით და პროზაულ ფუნქციებამდე დაშვება მთლიანობაში გმირულ-ჰეროიკულ შარავანდედს აცლის ქართველ ხალხს: „დღეს ტარიელობა ჩინოვნიკობით შეცვლილა და ნესტან-დარეჯანობა გამათუშკებულა?! ყოლიფერს ადგილი უნდა! გალიაში მონავარდე კაპოეტი უნებურად ფრთებს იმტვრევს და ქათამივით იფულება!“... (ტ. 12, გვ. 158).

„ძველად საქართველოში მამულის ურგებშვილობა ისეთი საარაკო შემთხვევა და მოვლინება ყოფილა, რომ თურმე ამგვარ კაცებს თითით აჩვენებდნენ ხოლმე...

მადლობა ღმერთს, რომ დღეს ეს ჩვეულება აღარ არის, თორემ თქვენი მტერი, ჩვენ თითი გაგვიშეშდებოდა.

ეჰ, სადღაა მამული, რომ მამულის შვილები ვეძიოთ?!“ („მცირე რამ შენიშვნა“, ტ. 12, გვ. 124).

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, თანდათანობით იცვლება ქართველი ხალხის ეროვნული „ფიზიონომია“; მიმდინარეობს ფასეულობათა მტკივნეული გადაფასება; წინაპრებისაგან განსხვავებით, ქართველი კაცისათვის ღირებულებათა, ფასეულობათა „სისტემაში“ ყველაზე მაღლა საკუთარი „მე“, ოჯახი დგება; მის ალტრუისტულ-ეროვნულ გრძნობებს ეგოისტურ-პირადული ენაცვლება; სამშობლოს განცდა „ვიწროვდება“, — იგი სახლის კარიბჭესთან მთავრდება. მამულისათვის თავგანწირვა, თავდადება ძირითადად ანაქრონიზმადღა აღიქმება. აკაკი მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით ცდილობს ქართველ კაცში ქრისტეს სჯულისა და სამშობლოსადმი ერთგულების, თავგანწირვის, მაღალი იდეალებისა და ფასეულობების მოთხოვნილების გამოღვიძებას.

ქართველი ხალხი, აკაკის მიხედვით, უძღები შვილის (ძე შეცდომილის) მდგომარეობაში იმყოფება. იგი გაუცხოებულია ღმერთისაგან, სარწმუნოებისაგან. ესაა უმთავრესი მიზეზი მისი ყველა სოციალური და სულიერი ავადმყოფობისა. ქართველობა დამონებულია არა მარტო რუსეთის იმპერიისაგან, არამედ საკუთარი აურაცხელი ცოდვებისგანაც (აკაკის მთელი პუბ-

ლიცისტიკა ქართველობის ცოდვათა და ნაკლოვანებათა ერთგვარ „ენციკლოპედიას“ წარმოადგენს). ეროვნული „მთვლემარებისა“ და მონობისაგან რომ განთავისუფლდეს, საჭიროა, საკუთარი ცოდვებისაგან განთავისუფლება, საჭიროა მონანიება. (მაგრამ ქართველობა გაუცხოებულია, მოწყვეტილია ეკლესიისგანაც. სადაც მორწმუნე წინაპარი საეკლესიო-ქრისტიანულ საიდუმლოებებს აღასრულებდა). მას აღარა აქვს განცდა ცოდვათა თვისთა, ე. ი. დაკარგული აქვს თვითგანჩხრეკის, თვითგანკითხვისა და, მაშასადამე, თვითშეცნობის უნარი. აღარ აწვალებს წყურვილი ხსნისა და განწმენდის, სურვილი ცოდვილი ცხოვრების მიტოვებისა და ჭეშმარიტი, „წმინდა“ ცხოვრების გზაზე შედგომისა, იმ ცხოვრების, რითაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ. მას სტანჯავს ტკივილები, სევდა და მწუხარება ამქვეყნიურ სიკეთეთა გამო, მაგრამ არა ღმერთისა და მაღალი ფასეულობების დაკარგვის გამო („ღმერთისათვის დანაღვლიანება წარმოშობს მონანიებას გადასარჩენად... ხოლო ამქვეყნიურზე ნაღვლი სიკვდილს წარმოშობს“ — 2 კორ. 7, 10). „სასიკვდილო საფრთხიდან“ ვერ გამოვა, ვერ აღორძინდება და ვერ აღსდგება ქართველი ხალხი, თუ ქრისტიანული სული, ქრისტიანული რწმენა არ აღორძინდა, თუ ცოდვები არ მოინანია, ე. ი. საკუთარი თავი თუ არ შეიცნო, თუ სულიერად არ გაჯანსაღდა და არ განიწმინდა. მხოლოდ ამის შემდეგ გაეხსნება მას კარი ქრისტესაკენ — ჭეშმარიტებისაკენ...

როგორც ვიცით, იოანე ნათლისმცემელმა თავისი მსახურება მონანიებისაკენ მოწოდებით დაიწყო („მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია სასუფეველი ცათა“ — მთ. 3, 2), მონანიებისაკენ მოგვიწოდებდა ქრისტე („მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოებულია სასუფეველი ცათა“ — მთ. 4, 17). მონანიებას ქადაგებდნენ მოციქულები („ისინი გამოვიდნენ და ქადაგებდნენ, რომ მოენანიებინათ“ — მარკ. — 6, 17). ამრიგად, აკაკის, კაცობრიობის ყველაზე დიადი, ჭეშმარიტი და წმიდა წიგნის—სახარების მიხედვით, ღრმად სწამს, რომ ერთადერთი გზა, ქართველობა სულიერ დაღუპვას რომ გადაურჩეს, არის საკუთარი ცოდვებისაგან განთავისუფლება, მონანიება („არა, გეუბნებით, თუ არ მოინანიეთ, ყველანი ისევე დაიღუპებით“).

აკაკის, ვითარცა განმანათლებლის, მთელი შემოქმედება — ესაა გრანდიოზული შრომა, ბრძოლა და ზრუნვა, რათა „დაკარგული ცხვარი“ — თანამედროვე ქართველობა — „მწყემსთან“ დააბრუნოს, უძღები შვილი — მამასთან (ღმერთთან — ჭეშმარიტებასთან) მიიყვანოს. მისაბაძ მაგალითად, გზის გამკვლევად, გზააბნეულმა, ძე-შეცდომილმა ქართველობამ ამ გზით „აღთქმულ ქვეყანამდე“ თუ როგორ უნდა იაროს, იგი არაერთ წმინდანს, არაერთ სახელგანთქმულ გმირს, ისტორიულ პირს „აცოცხლებს“ ჩვენი წარსულიდან. აკაკი მათი მეშვეობითაც ცდილობს ქართველობა „სალათას ძილიდან“ გამოაფხიზლოს, სიბნელიდან — ღვთაებრივ სინათლეში, მოსალოდნელი სრული სულიერი სიკვდილიდან, ცოდვილი მდგომარეობიდან — სიცოცხლეში გადაიყვანოს, „სულიერი ფიქრებისა“ და ღმერთის ბუნების ზიარი გახადოს და „ქვეყნიერების გულისთქმით გახრწნილებას განარიდოს“ (2 პეტრ. 1,4), მატერიალური, ხორციელი ინტერესებისა და ფიქრების ტყვეობიდან გაათავისუფლოს („ვინაიდან ხორციელი ფიქრები ღმერთის მტრობაა... სიკვდილია, ხოლო სულიერი ფიქრები — სიცოცხლე და მშვიდობა“), მაღალი იდეალები გააცნოს, „სიცოცხლისა და მშვიდობის“ დამკვიდრებაში მიეხმაროს...

აკაკის თანამედროვე ქართველი ხალხის დაუძლურების, დაკნინებისა და „მიტოვებულების“ მიუხედავად, სჯერა, რომ მომავალში მარადიულ „სიცოცხლესა და მშვიდობას“ (პავლე მოციქული) საქართველო უსათუოდ მოიპოვებს:

„დღეს... ქვეყანა დაკნინდა და ყოლიფერმა იცვალა ელ-ფერი...

ყოლიფერი, რაც არსებობს და მოძრაობს, ილალება... და დაღლილობას კი მოხდა ეჭირვება. ტყუილა კი არ უთქვამს მგოსან ბარათაშვილს:

„მზე ჩადის საღამ-საღამობით, რომ შეისვენოს და დილ-დილობით უფრო მეტის ძლიერებით ამოელვარდეს ქვეყნის გასათბობ-გასანათლებლადო.

აქაც ასეა: ჩვენ, ქართველებსაც, ქრისტიანობისა და ეროვნების გულისათვის მტერთან ბრძოლაში საუკუნეების განმავლობაში დაქანცულებს, გვეჭირვება შესვენება... დღევანდელი დროებითი ძილი და უმოქმედობა — ძალ-ღონის ხელ-ახალი შეკრებაა, რომ გამოღვიძების შემდეგ ძლიერ სახელმწიფოებთან ერთად სვლა შეგვეძლოს განათლებ-წარმატების გზით...

მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მივანდოთ მომავალს და ჩვენ მივუბრუნდეთ წარსულს“... („თამარ მეფე“, ტ. 14, გვ. 574).

ჩვენც მივუბრუნდეთ „წარსულს“, — მივუბრუნდეთ გმირისა და ხალხის ურთიერთობის პრობლემას.

როგორც აღვნიშნეთ, აკაკის მსოფლმხედველობის მიხედვით, ეროვნული ცხოვრებისა და ისტორიის შემოქმედება არც ხალხისა და არც ცალკეული გმირების პრივილეგიას არ წარმოადგენს:

ქრისტიანულ-ეროვნული მრწამსით გაერთიანებული გმირი და ხალხი, — აი, ისტორიულ მოვლენათა შემოქმედი...

აკაკის მიხედვით, გამორჩეული, დიდი პიროვნების მოღვაწეობაში ყოველთვის ვლინდება ზებუნებრივი, ღვთაებრივი ძალა, ერთგვარი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიზმატიკული მადლი. ამ თვალსაზრისით იგი ახლოს დგას ილიას თვალსაზრისთან, რომლის თანახმად, გმირი, რჩეული პიროვნება, დიდი საზოგადო მოღვაწე, განსაკუთრებით კი ის, ვინც ერს წინ მიუძღვის, მისი ცხოვრების ამა თუ იმ რთულ პერიოდში ერის თვითმყოფადობისა და თავისუფლებისათვის იბრძვის, ამ დიად საქმეთა აღსასრულებლად შთაგონებას ღმერთისაგან იღებს (ღმერთისაგან იღებს შთაგონებას პოეტიც შემოქმედებით პროცესში: „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა“ — აკაკის „პოეტი“). ა. წერეთლის გმირები, ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის დგანან, ისინი, როდესაც მშობლიურ ხალხს, თანამემამულეებს ყველაზე მეტად უჭირთ, როდესაც მათი არსებობის დომინირებული ფორმა უმოქმედობა, მომაკვდინებელი უძრაობა, სულიერი კვდომა და პასივობა ხდება, ღმერთისაგან მიღებულ ღვთაებრივ ძალებს, ენერგიასა და სამოქმედო სტიმულებს გადასცემენ, აფხიზლებენ და ააქტიურებენ, კვდომისა და უძრაობის მდგომარეობიდან გამოჰყავთ, ინტელექტუალურ, განმანათლებლურ და აღმზრდელობით ხელმძღვანელობას უწევენ მათ...

საქართველოს ისტორია სავსეა წამებულებით, გმირებით, წმინდანებით. ჰეგელი წერს: „რელიგიის სფეროში არიან მოთმინების გმირები, მაგრამ არა მოქმედებისა“. ჩვენი აგიოგრაფიული ლიტერატურიდან და ისტორიიდან გამომდინარე, ქართველი სასულიერო პირები მოთმინების, რწმენის გმირებიც არიან, და მოქმედებისაც. მონასტრებში ღმერთისათვის განმარტოებული ქართველი ბერები არა მარტო ღვთაებრივზე, არამედ საერო-ეროვნულ ინტერესებზეც ფიქრობენ და ოდითგანვე ამ ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის პრაქტიკულადაც იღვწიან...

ვამაყობთ, რომ ერისათვის ამდენი წამებული გმირი, ამდენი შეწირული მეფე თუ სასულიერო პირი არცერთ სხვა ერს არა ჰყავს. ცხადია, საამაყოა, როდესაც ერს თავის თავში პოტენციურად იმდენი გმირის დაბადების შესაძლებლობა გააჩნია, რამდენიც საჭიროა მისი სიცოცხლისა და არსებობის შესანარჩუნებლად და გადასარჩენად. მაგრამ რჩეული პიროვნების, გმირის სიკვდილი თავისთავად ხომ მაინც უბედურებაა, თავგანწირვა — ტრაგედია!

ჯერ ერთი, კვდება ადამიანი საერთოდ, მეორეც, კვდება ერის საუკეთესო ადამიანი!

ქართველი წამებულების, გმირების ასეთი თვალშეუდგამი რაოდენობა, ერთის მხრივ, მოწმობს ქართველი ხალხის ტრაგიკულ ბედს მსოფლიო ისტორიაში, მეორეს მხრივ, შესაძლოა, ეს ფაქტი აგრეთვე ჩვენივე ხალხის (ძნელად გასააზრებელ და გასაცნობიერებელ) ერთ გარკვეულ სისუსტეზეც მეტყველებს, რადგან, როგორც ჩანს, ხშირად თვითგადარჩენისათვის თავისი საუკეთესო, რჩეული პირების მსხვერპლად გაღების გარეშე (გაიხსენეთ თუნდაც „ჩვენი მეფეების ხვედრი!) სხვა გზის, სხვა საშუალებების გამოძებნას ვერ ახერხებს.

მძიმეა ქართველი ერის ისტორიული ბედი. იგი იმთავითვე ყოფნა-არყოფნის არჩევანის წინაშე დგას. მძიმე და ტრაგიკულია ყოველი ქართველის ბედიც, ვისაც კი ღრმა მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია ერისა და ღმერთის წინაშე („როგორიცაა ქვეყანა, როგორიცაა ხალხი და ადამიანი, ისეთივეა მისი ბედნიერება“ — წერდა ფოიერბახი). მშობლიური ერის მსგავსად ისიც ოდითგანვე არჩევანის წინაშე იმყოფება. მისი მუდმივი სახელმძღვანელო პრინციპია: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება!“ (აკაკი წუხს, რომ ეს პრინციპი თანდათანობით დავიწყებას ეძლევა და ახალ ცხოვრებისეულ სამოქმედო პრინციპად მკვიდრდება: ფიზიკური არსებობის შენარჩუნება ყველაფრის, თუნდაც საკუთარი ღირსების დაკარგვის ფასად!). ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის რომ გმირული ქცევა, გმირობა, საქართველოს ისტორიულ წარსულში მასობრივ ხასიათს ატარებს. ამიტომაა, რომ აკაკის ნაწარმოებებში ხალხი, მსგავსად დიდი ისტორიული პიროვნებებისა, მუდამ გამოდის, ჩანს და იხატება, როგორც პიროვნება, როგორც გმირი, როგორც ისტორიის აქტიური შემოქმედი! ამიტომაა, რომ აკაკი მკვეთრად გამიჯნავს, განასხვავებს ხალხს ბრბოსაგან, რომელსაც ეს პიროვნულ-შემოქმედებითი საწყისი არ მოეპოვება. აკაკი თავის ნაწარმოებებში ხალხს ასეთი თვისებებით ხაზგასმულად კიდევ იმიტომაც ამკობს, რომ ხედავს რეალურ საშიშროებას — თანამედროვე ქართველობა თავის მაღალ დანიშნულებას ივიწყებს, შეუმჩნევლად კარგავს იმ უმთავრეს ღირსებებს, რომელნიც მას ხალხად, ისტორიის შემოქმედად აქცევს და გმირულ-ჰეროიკულ ელფერს ანიჭებს.

როდესაც აკაკი დიდი ადამიანების სახეებს ქმნის, ერთ-ერთ მთავარ შემოქმედებით მიზნად ისახავს ვიწრო ეგოისტური ინტერესების სფეროში ჩაფლული თანამედროვის სულში „ლაქიის ფსიქოლოგიის“ ჩაკვლას, მეორე ადამიანით, მისი სულიერი, ზნეობრივი და მამულიშვილური სიმაღლით აღფრთოვანების, პატივისცემის, დაფასებისა და დანახვის უნარის გაღვივებასა და განვითარებას.

ჰეგელის მიხედვით, ლაქიისათვის გმირი არ არსებობს არა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი გმირი არ არის, არამედ იმიტომ, რომ პირველი ლაქიაა... ლაქიისათვის არ შეიძლება გმირი არსებობდეს, იმიტომ რომ მას თავისი საკუთარი წარმოდგენა აქვს „სიდიადეზე“.

აკაკიც ხედავს, რომ თანამედროვე ქართველთა მნიშვნელოვან ნაწილში სწორედ ამაღლებულობისა და სიდიადის დანახვისა და და-

ფასების უნარი ქრება, სუსტდება. ამითაც აიხსნება ის სამწუხარო გარემოება, რომ განსაკუთრებით მძიმე ხდება იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ხვედრი, რომელთაც პირადული, ეგოისტური ინტერესების სამყაროს საზღვრები გაარღვიეს, საკუთარ თავზე, გარშემომყოფ ადამიანებზე, პრაქტიკულ, „პროზაულ" ინტერესებზე ამაღლდნენ და მაღალი იდეალებისა და ფასეულობებისათვის — ჭეშმარიტებისათვის, მამულისათვის, საზოგადოებისათვის, მოყვასისათვის ერთგული, თავდადებული მსახურებისათვის გადადეს თავი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რაც უფრო დიდი და ამაღლებული, რაც უფრო თავდადებული და თავგანწირულია ესა თუ ის ქართველი მოღვაწე (რომელთა ბრწყინვალე პორტრეტებსაც გვთავაზობს აკაკი თავის წერილებში, სიტყვებსა თუ გამოსვლებში), მით უფრო დრამატული და ტრაგიკულია მისი ცხოვრება, მით უფრო მეტადაა განწირული მარტოსულობისათვის, ამა ქვეყნისგან მიყენებული ტკივილებისათვის, მით უფრო მიუღებელია იგი თანამედროვე საზოგადოებისათვის („სიცოცხლეში გატირებ, რომ მოკვდები გიტირებ", — ეს არის საერთო მცნება ქართველებისა და ამ მცნებას ვერცერთი საზოგადო მოღვაწე გვერდს ვერ აუვლის" — „შავი ფიქრები", ტ. 13, გვ. 68). „ჩვენში საზოგადო სამსახური თავის გაწირვაა და გამეტებით ზედ ხელის აღება: მაშინ კაცი ყოველ კერძო, საპირადო სიხარულს ჰკარგავს და იბღალება სხვადასხვა მითქმა-მოთქმობით და ცილისწამებით"... „პროფესორ ვ. პეტრიაშვილისადმი მიმართული", ტ. 12, გვ. 310).

აკაკისდროინდელ საქართველოში, განსხვავებით წარსული საუკუნეებისაგან, ეროვნული მოღვაწისა და ხალხის დიდი ნაწილის ურთიერთობა კონფრონტაციას ქმნის ზუსტად ისევე, როგორც ეს ჩვენი თანამედროვე სინამდვილისათვისაა დამახასიათებელი; ოღონდ ამ კონფრონტაციას ემატება რთული, დრამატული ურთიერთობა ეროვნულ მოღვაწესა და სახელმწიფოს შორის, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ერისათვის თავდადებული პიროვნების ცხოვრებას, ტრაგიკულს ხდის მის ბედს. ერთ მხარესაა — ეროვნული მოღვაწე, გმირი, მეორე მხარეს — სახელმწიფო. სახელმწიფოებრივი და ჰეროიკული ფასეულობები ერთმანეთისათვის სრულიად უცხონი არიან. სახელმწიფო ცდილობს ეროვნული მოღვაწის დათრგუნვას, მისი „სამოქმედო" ასპარეზის შეზღუდვას, რადგან ეს უკანასკნელი თანამემამულეებში იმ იდეალებს, იმ სურვილებსა და ძალებს აღვიძებს, რომელთა ნიველირებასაც სახელმწიფო თავის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნევს.

გმირული მოღვაწეობა, ჰეროიკულობა ჰეგელის აზრით, მხოლოდ „გმირთა საუკუნისთვისაა" დამახასიათებელი; როდესაც სახელმწიფოებრიობა მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს, დგება ჟამი „პროზაულად მოწესრიგებული სინამდვილისა" და ხალხიც იძულებულია ამ მტკიცე „პროზაულ წესრიგს" დაექვემდებაროს. ამის გამო ადამიანები, მოქალაქენი თავის თავში უკვე ვერავითარ „სუბსტანციალურობას" ვეღარ ფლობენ, გმირული მოღვაწეობაც თავისუფლად, ფართოდ და დაუბრკოლებლად ვეღარ ხორციელდება. რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ-კოლონიურ პირობებში მცხოვრები ქართული საზოგადოებაც მთლიანობაში, მართალია, ჰეროიკულ-გმირულ შარავანდედს კარგავს და „პროზაულდება", გმირობის მასშტაბები მცირდება და გმირული ხასიათის მოღვაწეობის ხასიათი იცვლება, მაგრამ ეროვნული ღირსებისა და ზნეობრიობის ძალა, ღვთაებრივი სული და ჰეროიკული პათოსი მაინც განაგრძობს არსებობას საზოგადო, ეროვნული საქმისათვის თავდადებულ, თავგანწირულ, პატიოსან, გაბედულ და რაინდული ბუნების მქონე ცალკეულ პიროვნებებში, რომელნიც ჩამოთვლილ თვისებათა წყალობით ეროვნულ-ნაციონალურ „სუბსტანციალურობასაც ინარჩუნებენ, არსებულ სინამდვილეზეც მაღლდებიან და ეროვნული ცხოვრებისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში დგებიან.

ასეთი ადამიანები არა მარტო ეროვნულ გმირებს, ეროვნულ მოღვაწეებს, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, მსოფლიო-ისტორიულ პიროვნებებსაც წარმოადგენენ:

„განა ცოტა ყოფილა საქართველოში გმირი, რომ მსოფლიო გმირად გამოსადეგი ყოფილიყოს და ედიდებიოს, ესახელებიოს ყოველი ხალხი, რომელსაც უნდა ჰკუთვნებოდა?!" („რამდენიმე სიტყვა ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხისტყაოსნის" გამო", ტ. 12, გვ. 349). განსაკუთრებულია აკაკის ყურადღება და პატივისცემა თანამედროვე საზოგადო მოღვაწეებისადმი, — კულტურისა და განათლების ამ პროტაგონისტებისადმი (ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, ი.. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, რ. ერისთავი და მრ. სხვ.), რომელნიც თავიანთ გმირულ-ჰეროიკულ ენერგიასა და საქმიანობას მტერთან სამხედრო ბრძოლების ასპარეზზე კი არ ავლენენ, არამედ მეცნიერების, ლიტერატურის, სწავლა-განათლების სფეროში. ეს არაჩვეულებრივი ადამიანები, მაშინ როდესაც ხალხის დიდ ნაწილს „სძინავს" და უმოქმედობაშია ჩაძირული, სრულიად უანგაროდ, რაიმეგვარი მადლობისა და ჯილდოების მოლოდინის გარეშე, გაბედულად, დაუშრეტელი ოპტიმიზმითა და ენთუზიაზმით, აქტიური, პროდუქტიული მოღვაწეობით (თუმცა გარკვეული ადამიანური ნაკლოვანებებითა და სისუსტეებით) „თავის თავში" ინახავენ, ინარჩუნებენ ქართულ სულს, ქა-

როთულ ენერგიას, ავითარებენ ნაციონალურ თვითცნობიერებას, ქმნიან ქართული კულტურის, ლიტერატურის უმაღლეს ფორმებს, ილვწიან ქართველი ხალხის „ყველაზე საშიში შინაური მტრების — უგუნურებისა და უმეცრების“ (აკაკი) ტყვეობისაგან გასათავისუფლებლად.

შესაძლოა, აკაკის შემოქმედებაში რამდენადმე მაინც გადაჭარბებულია გმირის, საზოგადო მოღვაწის როლის შეფასება ერის ისტორიაში, მაგრამ ეს გადაჭარბება, გარკვეული თვალსაზრისით, გამართლებულია, — იგი „იძულებითაც“, აუცილებლობითაც არის განპირობებული. იმ საუკუნეში დიდი პიროვნებების, თავდადებული, ჭეშმარიტი, ეროვნული მამულიშვილების რაოდენობა ძალზე მცირეა. საქართველო დამონებულია. არ ჩანან რეალური ძალები, რომლებიც საქართველოს „შიგნიდან“ გაათავისუფლებენ. ამიტომ მთელი ქართული მწერლობა გმირის, მხსნელის მოლოდინშია: გმირი ან წარსულიდან აღსდგება მკვდრეთით, ან — „გარედან“, მომავლიდან მოვა, მომავალში დაიბადება, ერს იხსნის მონობისაგან და სანუკვარ თავისუფლებას დაუბრუნებს: „აღსდეგ, გმირთგმირო! გამოახილე თვალით!“ „გორგასლანი“ ტ. 15; „მაგრამ თქმულება დაგვრჩა ხალხური, ის ერთხელ კიდევ გამოჩნდებაო და საქართველო ახალის ძალით კიდით კიდემდე გაახლდებაო!“ (იქვე, თამარ მეფის შესახებ); „რათ გავიტეხო იმედი, გმირს წინაუძღვის ყოველთვის უძლური წინამორბედი. არა, არ ვკარგავ იმედსა, ვერ შემაშინებს ჭალარა, გმირებს უძახის... უყივის ჩემი დაფი და ნალარა“ („ჭალარა“). „...ამ დიად გრძნობას შევუერთებ ჩემ ნატვრასაც, რომ მოვლინებოდეთ ის სანატრელი გმირი“ (ტ. 14, გვ. 340).

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა, მათ შორის, აკაკის შემოქმედებაც გმირის ნოსტალგიის, გმირის მონატრების გამოხატულებასაც წარმოადგენს; ელიან გმირს არა როგორც ჩვეულებრივ, არამედ როგორც ზებუნებრივი ძალით დაჯილდოებულ ადამიანს, ელიან თითქმის როგორც მესიას (ისე როგორც რომის იმპერიის მიერ დამონებული ებრაელთა ერი საუკუნეების განმავლობაში ელოდა მხსნელს — მესიას). აკაკის მიერ წარმოსახული გმირი ადამიანურისა და ღვთაებრივის (მესიანისტური) უცნაურ სინთეზურ სახეს წარმოადგენს:

მართალია, ადამიანურია მისი ჰეროიზმი, მაგრამ ღმერთისგან მომავალი!

* * *

...მართლაც, მხოლოდ უსასრულო შეიძლება გიყვარდეს უსასრულოდ, ე. ი. გიყვარდეს თვითუარყოფამდე, გიყვარდეს სიკვდილამდე!

სწორედ ასეთი სიყვარულით უყვართ აკაკი წერეთლის მხატვრულ თხზულებებსა და პუბლიცისტურ წერილებში გამოყვანილ ეროვნულ გმირებს, მოღვაწეებს,, ჭეშმარიტ მამულიშვილებს („მამულიშვილი“ აკაკის ნაწერებში ის უმაღლესი ეპითეტია, რითაც კი შეიძლება მოიხსენიოს ქართველი ადამიანი). მათი ერთი ნაწილი ქართველ ერს ამა თუ იმ გამოუვალ, კრიტიკულ სიტუაციაში მხსნელადევლინება, მაგრამ ამის გამო არცერთი მათგანი ხალხის წინაშე დიდი მისიის აღმსრულებლის ამაყ და გამომწვევ პოზაში არ დგება. ისინი უბრალოდ ფიქრობენ, რომ თავიანთი ვალი მოიხადეს, სამშობლოს წინაშე („გავაკეთეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა“ — ლკ. 17, 10).

ყოველივე, რაც საზოგადო მოღვაწეების, გმირების შესახებ ვთქვით, თანაბრად ითქმის თვით აკაკის შესახებ.

ეს გმირები, არსებითად, მათივე ავტორის სულიერი სამყაროს პროექციას წარმოადგენენ:

აკაკი წერეთლის მთელი ცხოვრება, შემოქმედებითი საქმიანობა, საზოგადოებრივ-ეროვნული მოღვაწეობაც არის არა უბრალოდ შრომა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, არამედ ბრძოლა. — თავგანწირული, ჰეროიკული ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის.

საგულისხმოა, რომ როდესაც პარიზში მყოფ აკაკის სთხოვეს, თავისი ნაწარმოებები ნობელის პრემიაზე წარედგინა, უარი მან შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

„მშვიდობის პრემია ჩემთვის?!.. ყველა ჩემი ნაწარმოები ბრძოლის სულისკვეთებით არის გამსჭვალული...

ჩვენ თავისუფლებისათვის ვიბრძვით!“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ ახუაშვილი

# ქვემო ქართლის ეთნოსი ისტორიულ ასპექტში

ქვემო ქართლის ისტორია ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი, აქ მცხოვრები ქართველი გამუდმებით იცავდა თავს უცხო მოძალადეებისაგან. მტრად თუ მოყვრად მოსული, ყველა მართლმადიდებლური ქრისტიანობისა და ძველთაგან დამკვიდრებული გეოგრაფიული სახელწოდებების ამოძირკვას ცდილობდა, თავისებურად ნათლავდა გარემოს. ქართველ ხალხში მაჰმადიანობა ძალით ინერგებოდა, ხოლო ქრისტიანობის ორი შტო — კათოლიკობა და გრიგორიანობა, ძალადობის გარეშე, მშვიდობიანი გზით ვრცელდებოდა.

ამ ბოლო ხანებში საჯაროობა და გარდაქმნა ჩვენი ქვეყნის ეთნოსსა და ტოპონიმებსაც შეეხო. დაისვა სოფლების, რაიონებისა და ქალაქების ისტორიული სახელების აღდგენის საკითხიც. ნაწილი განხორციელდა კიდეც (სენაკი, ოზურგეთი, ხონი, ხარაგოული და სხვ.). ზოგიერთებმა უმართებულო აზრიც კი წამოაყენეს. მაგალითად, ეჭვი გამოითქვა თეთრი წყაროს არსებობაზე.[1] მოითხოვეს, ამ უძველეს რეგიონს, რომელსაც ათასწლოვანი ისტორია აქვს, „ბელი-კლიუჩი“ ეწოდოს, იმ მოტივით, რომ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ამ მიდამოებში დამკვიდრდნენ რუსი ჯარისკაცები და სახელიც — „ბელი-კლიუჩი“ მათ შეარქვეს.

თეთრი წყაროს პარტიის რაიონული კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს ვ. გონგაძეს ხელში ჩაუვარდა 1855 წლის სექტემბერში შედგენილი რუკა, სადაც მინიშნებულია 1847 წლის იმავე თვეში მანანა ორბელიანის მიერ სამხედრო უწყებისათვის მიყიდული მიწები. სხვა სოფლებთან ერთად, მოიხსენიება გარისი, თხილნარა და ვანეთი. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ვ. გონგაძემ უარყო თეთრი წყაროს არსებობა, „ბელი კლიუჩის“ გაჩენა კირიან წყალს მიაწერა და აქ დასახლებულ რუს ჯარისკაცთა ფანტაზიის ნაყოფად ჩათვალა. ავტორი აღნიშნავს: „...ხსენებული წყაროს სათავეში ნიადაგი მთლიანად კირიანია. ხშირი წვიმების დროს კირქვა იხსნება და წყაროს წყალი რძესავით თეთრდება. წყაროს ამ თვისების გამო, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეერქვა „ბელიკლიუჩი“.

ეს მოსაზრება გაიზიარა ზოგიერთმა სხვამაც და შეეცადნენ დავერწმუნებინეთ, რომ დღევანდელი თეთრი წყარო იგივე გარისი და ორთაშუაა.

კარწახს, ქვემო და ზემო ანტრაფს, სამეხრეოს (იგივე წინწყაროს) საბატესა და სხვა სამოურავო სოფლებს შორის „დასტურლამალში“ ვახტანგ მეექვსე ასახელებს თეთრ წყაროსაც, რომლის მებატონედ ზურაბ თარხნიშვილი მოიხსენიება (გვ. 40). „ხელმწიფის ტყვის ჯარჯისათვს დურნუკთან, სამშვილდესთან, სამეხრეოსთან ერთად თეთრი წყაროს უნდა გამოელო ბედნიერის ყეენის საფეშქაშოს ტყვის ჯარჯი ერთი მარჩილი“. საბარათიანოსა და სომხითის აღწერაში (1721 წ.) ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ შედგენილ სოფლების სახელთა ანბანურ რიგზე გარისი (გვ. 52, 115, 117, 118, 121). გარის-ვარხუნა (91), ვარხუნა (ვერხვნალა), (გვ. 55), თეთრი წყარო (49 გვ.), ორთაშუა (გვ. 121, 200, 269) მოიხსენიება (ბატონიშვილი ვახუშტი, მასალანი საქართველოს სტატის, აღწერილობისა მე-18 ს., თბ., 1907).

აღწერის მასალების მიხედვით, გარისის მებატონეები არიან: ომან სულეიმანიშვილი, ავთანდილ სუფრაჯი, დავით, საამ და ედიშერ აბაშიშვილები, როსტომ და გუგუნა ნამანგლელი-

---

1. თეთრი წყარო ისტორიაში ცნობილია „დედოფლის წყაროს“ სახელწოდებითაც იყო დარეჯან დედოფლის სამემკვიდრეო, საგამგეო. ერქვა აგრეთვე აიაზმაც — „წმინდა წყალი“.

ვიშვილები. ყმა გლეხებად მოიხსენიებიან: პაპიაშვილი, ეჯუბაშვილი, მლებარი ზალია, სუხიაშვილი, დათუაშვილი, ამირჯანაშვილი, ამილბარაშვილი, მირუაშვილი, ეჯიაშვილი, სომხიშვილი, მირუმაშვილი, ბოგანო თეიმურაზა მოლაშქრე.

გარის-ვარხუნაში მებატონე არეშიშვილების ყმები იყვნენ: დუშია, ამისი ყმა გულუა ხარატიშვილი, ს. მარკოზა, ბოგანო გიგუა, ბოგანოები პაპუა და გიორგი, ყმა ხუციშვილი იაკოფა, ყმა ბიძინა, ბოგანოები — ჯანუა, შამშია, რამაზა მოლაშქრე, ბეჩია ალთუნაშვილი, ასლანა დიაკვნიშვილი, დავითა, პაპა, ბიძინა, ბეჟანა და სხვ. ერთი ჯეელი კომლი, ამათი ყმა ათი კომლი, შვიდი ბოგანო.

1721 წელს თეთრი წყაროს მებატონეს ბერი გარიყანიძეს ჰყავდა ყმები: მამასახლისი რამაზა ძამაშვილი, დათუნა ძამაშვილი, გოგია ფირუაშვილი, მისი განაყოფები — ნანია და ასლანა; ოქრუა მახარაშვილი, ბერია დათუნაშვილი, მისი განაყოფი გიორგი, ხოსიტა მკერვლიშვილი, ჯეელი ათი კომლი".

ორთაშუას მებატონეებად მოიხსენებიან „როსტომა და გუგუნა ნამანგლელევიშვილები, მათ ჰყავდათ ყმები: კ. ელიზბარაშვილი, ბერუა ელიზბარაშვილი, ოქრუა გოგიაშვილი, ბოგანო თეგაძე, ასლამაზა მურდახანაშვილი, ხიზანა მურდახანაშვილი, უყმო აზნაურიშვილი დავით ბაკაშვილი, აყრილი მამასახლისი ხოსიტა" (გვ. 121-200).

ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს გეოგრაფიაზე დართულ ქვემო ქართლის სოფლებს შორის, ქციქივას ხეობაში, მეექვსე და მეშვიდე ნომრით, გარისი და ორთაშუა, ხოლო თრიალეთში თეთრი წყარო მოიხსენიებიან (78). იმათ საყურადღებოდ, ვინც შიშობს, შემთხვევით დღევანდელი წალკის რაიონის თეთრ წყაროსთან ხომ არა გვაქვს საქმეო, უნდა ვთქვათ, რომ იმავე თრიალეთში თეთრი წყაროს (რაიონული ცენტრის) გვერდით გვხვდება სამადლო, ლიპი (სამი სოფელი — I, II, III), ახოტი, მოხისი, სამეხრეო (წინწყარო და კვირაცხოველი, ი. ა.).

სოფლების აღნიშვნა, ვახუშტისეული ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად, თითქმის დაცულია შემდეგი მცირე გამონაკლისის გარდა: სოფლები ბოვაძორი (ბეჟან შერმადინიშვილის კუთვნილი) და ქაპალა (სოლოლაშვილებისა) მდებარეობენ სადედოფლო საბარათაშვილოში (გვ. 13, 143-145), მეფის კუთვნილი ცოხის სოფელი მუშა მუსტაფოსი (ტაშირის მხარეში, გვ. 295), მაშინ როდესაც ისინი სომხითში შედიოდნენ.

ყაფლანიშვილების აზნაურის ზურაბ ჩაჩიკაშვილის ყმები ალგეთის პირა მარაბდაში კი არა, დბანისის (დმანისი) ხეობაშია მოქცეული (გვ. 179). მარაბდა, საყაფლანიშვილოს აღწერის ტერმინოლოგიის თანახმად, „დაბალში" უნდა მდებარეობდეს. ასევე ასლამაზ ყაფლანიშვილის ნასყიდი ყმა ალგეთის ხეობის სოფ. ჩხიკვთაში უნდა მოიხსენიებოდეს და არა „დაბალში". თეთრი წყაროც ქციქივას ხეობაში უნდა ყოფილიყო მოქცეული და არა თრიალეთში (გვ. 160).

იასე ლორთქიფანიძემ ვახუშტის გეოგრაფიის, მასზე დართული სიებისა და რუკების, მეწინავე სადროშოს 1721 წლ. აღწ. მასალების, ვახტანგ მე-6-ის სამეფო და გიორგი II-ის სადედოფლო „დასტურლამალის" (კანონთა კრებულის), სიგელ-გუჯრების საფუძველზე მოგვცა ქვემო ქართლის სოფლების მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

მკითხველს ვთავაზობთ სათანადო ფრაგმენტს: „გ ა რ ი ს ი მდებარეობდა ქციის ხეობაში, ქციქივას მარცხენა მხარეს, ეცოს სამხრეთით, უკანადალეთის ჩრდილოეთით; სიით 376 იყო. იხსენიება 1656 წელს (საქ. სიძვ. II, გვ. 57), როგორც მოსაზღვრე ო რ თ ა შ უ ა ს ი (1699 წ. სახ. გუჯრ., გვ. 24), მდ. „ალგეთის გაღმა". 1721 წ. აღწერით აქ ითვლებოდნენ მებატონეები სულეიმანიშვილი, ავთანდილ სუფრაჯი, დავით აბაშიშვილი, საამ და ედიშერ ბარათაშვილები, ნამანგლელევიშვილები), I უყმო აზნაური (სარქისაშვილი), 13 გამომლები და 2 ბოგანო. სადედოფლო დასტურლამალით ევალებოდათ წინწყაროს დედოფლის სახასოს (დღევ. წინწყაროს) მიწების დამუშავება.

ვ ა რ ხ უ ნ ა გ ა რ ი ს ი ს ა — ქციის ხეობაში, გარისის ჩრდ.-აღმ., სამების დასავლეთით; იხსენიება 1699 წლიდან (სახ. გუჯრ., გვ. 24), როგორც „ალგეთის გაღმა" მდებარე. 1718 წლ. აღწ. (სიძვ., I — 308) გოსტაშაბიშვილების ჰყავდათ აზნ. (არეშიშვილი) — ორი ყმით; 1721 წლ. აღწერით აქ ითვლებოდა 14 მებატონე (გოსტაშაბიშვილი, აზნ. არეშიშვილები), 1 მემამულე (აზნ. არეშიშვილი), 20 დამოუკიდებელი უყმო აზნ. (არეშიშვილები), 11 გამომლები და 8 ბოგანო.

თეთრი წყარო — თრიალეთში, ედვა ყეენის საფეშქაშო I მარჩილი. 1721 წლ. აღწერით, ითვლებოდა I მებატონე (გარაყანიძე) და 10 გამომლები ყმა.

ორთაშუა — ქციის ხეობაში, გარისის აღმ., მძოვრეთის დასავლეთით, აბელიას სამხრეთით, სიით მე-377-ე იყო. 1721 წლ. აღწერით ითვლებოდა I მებატონე (ნამანგლელევიშვილი), I მემამულე (უყმო აზნაური ბაკაშვილი), 4 გამომლები და I ბოგანო (ორთაშუა იყო ყარაბულაღსა და სომხითშიც — ფოლადაურის მარცხენა მხარეს, დამბლუტის დასავლეთით). (ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი მე-18 ს. პირველ მეოთხედში, ნაწ. I და II, თბ., 1985 წ. გვ. 15-17, 160).

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გარისელთა და ბარათაშვილის აზნაურებს შორის

ატეხილი დავა (1656 წ. 6 ივნისს), რომელიც შეტანილია წიგნში — „საქართველოს სიძველენი“ (ტ. 7, გვ. 57). დოკუმენტი დაცულია აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. განჩინება ეხება ბლორძელთა და ქართველი აზნაურების სარქისაშვილების მამულის გაყოფის თაობაზე აღძრულ საქმეს. იგი გვაუწყებს: ქ. ჩუენ, მეფის პატრონის როსტომის ბრძანებითა ბარათას აზნაურისშვილის ბლორძელის მამუკასა და მათ ძმათა სასამართლოდ და გარის სარქისაშვილების საქმეზედ დაუსხედით, ღმრთის შიშს ქუეშე, სარჩელი და საჩივარი ორთავესი გავიგონეთ.

სარქისაშვილები და გარისელნი მიწაზედ ესარჩლებოდეს. აქამდე შეუტყობრად ვიყუენითო; ახლა კაცმა გვიამბო: ეს მიწები საგარისო ყოფილაო და ო რ თ ა შ უ ი ს ა არ არისო:

...დღეს და დღეის უკან ბარათას მეტს სხუას ბარათაშვილთა ამასთან ჴელი არ ჰქონდეს, და არცა ვის სხუას თემის კაცსა, ალაგიც და მიწაც ორთაშუის არის და გლეხიც თავისი დაუსახლებია. დარჩა მ ა მ უ კ ა ბლოძელსა, გიორგის, ოტიასა და გულბათის ამ წესითა, რაიმე ვერავინ ესარჩლოს“ (ხელნ. ინსტ., Hd, 14657).

ეს საგულისხმო მასალა ადასტურებს, რომ გარისი და ორთაშუა ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სოფლებია, რაც შეეხება ზემო გარისს, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ გარისის ვარხუნასთან გვაქვს საქმე. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ, ქართული ტრადიციის თანახმად, ისტორიული სოფელი ზემო და ქვემო გარისადაც იწოდებოდეს. ასეთი მაგალითები იშვიათი როდია ქართულ სინამდვილეში, მაგ., ზემო და ქვემო ოძისი, ზემო და ქვემო ახალშენი, ზემო და ქვემო ახალსოფელი (გორის რაიონი), ზემო და ქვემო ბარი (ონის რაიონი), ზემო და ქვემო ბოდბე (სიღნაღის რ-ნი) და სხვ.

მეფე ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილ „დასტურლამალში“, რომელიც უძვირფასესი განძია საქართველოს შინაგანი ცხოვრების ისტორიის საკვლევად, თავში — „წინ-წყაროს გარიგებისთვის“ აღნიშნულია „...კოდაუბუნის ძნა, მომკა და ლეწვა ენაგეთმა, ახალშენმა, სალირაშენმა, ფარცხისმა, გოლთეთმა, მაწევანმა, მცხოვრეთმა, აბელიამ, კრეფამ, გორისმა, ეცომ, ორთა-შუამ... ამათ მომკონ და გალეწონ“. იქვე, 87-ე გვერდზე, ქვესათაურში „სომხითს, რომელსაც ალაგს არის ქორის ბუდე, მოიხსენიება ორთაშუა ბუდეც“ („დასტურლამალ“ მეფის ვახტანგ მეექვსისა, თბ., 1885 წ., გვ. 115).

ამრიგად, სარწმუნოა, რომ დღევანდელი თეთრი წყაროს (საქალაქო ცენტრის) ტერიტორიაზე, რომელიც 1174,4 კვ კილომეტრს შეადგენს (უწინდელი 350,000 კვ. კმ. ნაცვლად), იყო სოფლები — გარისი, გარისის ვარხუნა (ვერხვნალა), თეთრი წყარო, თხინვალა და ორთაშუა. „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ შეტანილია „ნასოფლარი თეთრიწყარო“, აღნიშნულია, რომ ნასოფლარი მიეკუთვნება ენეოლითის ბოლოსა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის დასაწყისს (ძვ. წ. 4 ათას წლ. II ნახევარს). გაითხარა 1956-58 წ. წ. (გ. გობეჯიშვილი). შემორჩენილი მასალის უმთავრესი ნაწილი მტკვარ-არაქსის კულტურის საწყისი საფეხურის ძეგლების (დიდუბე, კიკეთი, ოზნი, ბეშთაშენი, სამშვილდე, მუხათი, თამარისი და სხვ.) მსგავსია (ქსე, თბ., 1979, ტ. 4, გვ. 639).

ამგვარად, უარყოფილ უნდა იქნას დღემდე გაბატონებული კონცეფცია, თითქოს „ბელი კლიუჩი“ გაჩნდა მტრისგან დანგრეულ ქართულ სოფელ გარისის ადგილზე. დღევანდელი „პოსელენიე“ და „სლობოდკა“ სწორედ ყოფილი თეთრი წყაროს ტერიტორიაზე არიან გაშენებული. „ბელი კლიუჩი“ კი ქართულიდანაა ნათარგმნი, რუსულად და არა პირიქით. უდავოა, რომ უცხო მიწაზე დასახლებული რუსები ვერ შეეგუებოდნენ ყურისთვის მიუჩვეველ ქართულ სახელწოდებას და „იზრუნებდნენ“ მის გადასხვაფერებაზე. ცოტა როდი გვაქვს ამავე რეგიონში მაგალითები, მტრულად თუ მოყვრულად მოსული უცხო ელემენტები როგორ ძალადობდნენ და ქართულის ნაცვლად თავიანთ სახელწოდებებს ამკვიდრებდნენ. თეთრი წყაროს მიწაზე გერმანელებისა და რუსების შემდეგ მოსულ თათრებსა და ურუმ ბერძნებსაც არ მოეწონათ ეს სახელი და ალბულალი დაარქვეს (1848 წ.). მანგლისის სამხედრო ნაწილიდან განთავისუფლებული ერთი ხეიბარი რუსი ჯარისკაცი ორპეთს გადაღმა (1500-2000 მეტრის მოშორებით) დასახლდა და, რახან პეტრე I-ის ქალაქიდან იყო, მოგვიანებით გაჩენილ ამ პატარა სოფელს პეტერბურგი უწოდა.

ორბეთს დემობილიზებულმა ჯარისკაცებმა „პრიუტი“ შეარქვეს, ასურეთს გერმანელებმა — ელიზაბეტფელდი, ბოლნისს — ლიუქსემბურგი, ბერდუჯის მხარეს თურქებმა — ბორჩალუ (შდრ. თურქ. ტომი, ელი „ბორჩალუ“), ქურთკალას — ყურთ-ყალა, ხოვარას სოფელს ეწოდა ხოვარა ძორი, მანგლისის ხეობას— „მანგლა-ფორა“, ხოლო ბოლნისისას „ბოლნა ფორა“ უწოდეს, ე. ი. ქართული დასახლებებისა თუ გეოგრაფიული პუნქტების სახელები შეიცვალა იმისდა მიხედვით თუ რა ტომის ხალხი დასახლდა იქ.

ასეთი რამ მარტო ტოპონიმიკას კი არა, ეთნოსსაც შეეხო. როგორც წესი, დამხვდურს ზეგავლენა უნდა მოეხდინა ხიზანზე, თავის სჯულსა და სარწმუნოებაზე მოექცია უცხოელი, პირუკუ მოხდა. ბევრი ქართველი გამაჰმადიანდა, გაფრანგდა, გაბერძნდა, გასომხდა... უფრო

მართებული იქნებოდა გვეთქვა: მათ სარწმუნოება შეაცვლევინეს, მივმართოთ ფაქტებს:

ოსმალეთი, ჩვენი დაუძინებელი მტერი, მზად იყო ფიზიკურად გაენადგურებინა საქართველო. მან 1580-იანი წლებიდან ნაწილობრივ დაიმორჩილა სამცხე-საათაბაგო და ხარკი დაადო. მოგვიანებით დასავლეთ საქართველოსაც დაჰრია ხელი.

1740-იანი წლებიდან ლათინის პატრების შემოსვლა ძლიერ შემცირდა და აღნიშნული მხარეების ქართველ კათოლიკეთა მეურვეობა ოსმალეთში ერთ დროს გახიზნულ სომეხ კათოლიკეთა პატრიარქს გადაეცა.

თურქებისა და სპარსელების მხარდაჭერით გამხნევებულმა სომეხმა კათოლიკებმა, საქართველოში ჩამოსვლისთანავე, ეკლესიაში თავიანთი ტიბიკონი შემოიღეს და წირვა-ლოცვა „სომხურად" სრულდებოდა. ქართველი მრევლი თითქოს შეეგუა სომეხ კათოლიკე მღვდლებს; ენის უცოდინარობის გამო, ლოცვის სომხურად დასწავლა რომ არ გასძნელებოდათ, ქართული ასოებით იწერდნენ და იზეპირებდნენ ტექსტს. სომეხმა კათოლიკეებმა, როგორც კი მრევლში ნდობა მოიპოვეს, გადაწყვიტეს ყოველმხრივ დაპატრონებოდნენ აქაურობას და დაიწყეს სომხური წერა-კითხვის გავრცელება.

სომეხ კათოლიკე მღვდლებს (ტერტერებს) ერთგულ მოკავშირეებად მოევლინნენ რუსები. „უკვე 1828 წლიდან მოყოლებული, როდესაც ქართველ მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო — რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველ მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამოსახლოს აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს. გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთიდან იქ გადასახლების ნება არ დართო და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოხვეწილ სომეხთაგან 8000 მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველი მოსახლეობა 90 პროცენტს აღემატებოდა, 1832 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობა სომხები იყვნენ" (ა. კიკვაძე საქართველოს ისტორია, თბ., 1952, გვ. 209).

მეფის მთავრობა მიხვდა, რომ კავკასიის დასაპყრობად საჭირო იყო კოლონიური ზომების შეფარდება მთელი კავკასიის მხარის თავისებურებებთან. ამ მიმართულებით გადაიდგა გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯები. დაიწყო რუსულ სამხედრო დასახლებათა დაარსება. ახალშენები ძირითადად დაოჯახებული რუსი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. მეფის მთავრობამ იკისრა მათი უზრუნველყოფა მიწის ნაკვეთებითა და სამეურნეო იარაღებით. 1837 წლისთვის უკვე შექმნილი იყო 10 სამხედრო კოლონია (პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, მე-19-20 სს. თბ., 1949, გვ. 682-684).

გენერალ ა. პ. ერმოლოვის თაოსნობით, რუსული ახალშენები შეიქმნა გორში, ბაშკიჩეთში (დღევ. დმანისის რაიონი), მანგლისში, თეთრ წყაროში, გომბორსა და მუხრანში.

სამხედრო დასახლებათა მოწყობით მეფის მთავრობა ცდილობდა საქართველოში საიმედო დასაყრდენი შეექმნა რუსიფიკატორული პოლიტიკის განსახორციელებლად.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და მეფის რუსეთის კოლონიად იქცა, რუსეთის მთავრობა ქართველ ხალხს ანგარიშს აღარ უწევდა. თავისი ნებასურვილის აღმსრულებლად ეგულებოდა ა. პ. ერმოლოვი, რომლის მთავარი მიზანი იყო საქართველო ექცია რუსეთის განუყოფელ ნაწილად — ადგილობრივი მოსახლეობა „ენით, გონებითა და გრძნობით რუსი გამხდარიყო".

მე-19 საუკუნის 20-იანი წლების მიწურულში, თურქეთისა და სხვა მტრების თარეშისა და დაპყრობითი გეგმების აღსაკვეთად, მეფის მთავრობას საქართველოში დიდი რაოდენობით ჰყავდა ჯარი. 1820 წელს დღევანდელი თეთრი წყაროს მიწაზე გადაყვანილ იქნა მეგრელთა ეგერის პოლკი, შტაბითურთ. ათასეული მხოლოდ სახელს ატარებდა ქართულს, სინამდვილეში შიგ ქართველი არავინ იყო. შენაერთში ცხოვრება მოეწყო ბარონ როზენის მიერ შედგენილი და 1836 წელს იმპერატორის მიერ დამტკიცებული კავკასიის კოლონიზაციის პროექტით. გენერალმა ა. პ. ერმოლოვმა, დემობილიზებულ, ბეგარამოხდილ ჯარისკაცთა და ავადმყოფობის გამო დათხოვნილთა გარდა, რიგით ჯარისკაცებსაც მისცა უფლება რუსეთიდან სახელმწიფო ხარჯით ოჯახები ჩამოეყვანათ. 1847 წელს აღნიშნული პოლკი გაიწვიეს და მის ადგილზე გორიდან, მუდმივ დასაბანაკებლად, აქ გადმოვიდა მე-14 გრენადერთა „ქართული" პოლკი. პოლკში, გენერალ გრიგოლ ორბელიანის გარდა, ქართველი თითქმის არავინ იყო. 1824 წ. აქვე გადმოჰყავთ გრენადერთა ერევნის პოლკი და თეთრი წყაროს, თხინვალას, გარისის, ორთაშუას მიდამოებში ჩნდება რუსული დასახლებები, რომლებსაც „პოსელენიე" და „სლობოდკა" (კონსტანტინოვკა) უწოდეს. დასახლებულთა შორის უმეტესობა ჩამოსული იყო პენზის, ტამბოვის, სარატოვის გუბერნიებიდან და დონის ოლქიდან. იყვნენ უკრაინელებიც.

1878 წლისთვის აღნიშნულ დასახლებებში, მცირერიცხოვან ქართველებთან ერთად, მოიხსენიებიან: პეტროვი, ზოტოვი, ანდრეევი, ზამბურდცკი, კლევეტოვი, ლავრენტიევი, პირავინი, პოლიზიევი, პერეუშკინი, გორბუნოვი, ნიკიტინი, ასეხოროვი, კოზლოვი, ზავისნოვი, რიაზანცევი, ლიანუშკინი, მაკაროვი, ლეონოვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტინი, იგნატოვი, ზავისნოვი, პონომარევი, ნანიევი, სკვარცოვი, ბალადინი, შევჩენკო, სიზომოვი, ზაიცევი, სიგიუსნოვი, ლავრენტიევი, ეფრემენკო, ბობჩიევი, ავასკოვი, სამსაევი, სემენოვი, ეგოროვი, ბარტშინი, პოპოვი, იაკოვლევი და სხვ. 1873 წლ. აღწერით სულ 616 სული; აქედან მამაკაცი — 321, ქალი — 295 (ცსსა. ფ. 254, № 3, 111, ფურ. 480-523, 1873 წ., 12 გვ.).

სამი წლით ადრე, 1817 წელს, იმავე ერმოლოვის ინიციატივით ასურეთში ჩაასახლეს გერმანელები. ერმოლოვმა, რომელიც ამ მხარის შიდა საკითხებითაც დაინტერესდა, გერმანელთა ჩამოსახლების აუცილებლობა დაასაბუთა ასეთნაირად: „ქართველებს მეურნეობის გაძღოლის უნარი არ შესწევთ და, არიქა, „ოცდაათი გვარისგან" შემდგარი გერმანული ოჯახი ჩამომისახლეთო". სწორედ ამას აუწყებდა იმპერატორის ქვეშევრდომი რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მრჩეველ კოზოდავლოვს, მის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში (№ 24, 1816 წლის 31 დეკემბერი).

ა. პ. ერმოლოვმა აქაც ნაცად ხრიკებს მიმართა და ამ გზით მოახერხა ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა. გერმანელთა ერთი ჯგუფი (65 ოჯახი, 307 სული) მდინარე ასურეთის ნაპირას დაასახლა. დასახლებას ელისაბედტალი ეწოდა. კოლონია ადგილზე იყო 19 ნოემბერს, ამ დღეს კი კალენდარი ელისაბედის სახელს მოიხსენიებს.

ასურეთში ჩამოსახლებულები განსაკუთრებული პატივით მიიღეს. თითოეულ ოჯახს 60 ჰექტარი საუკეთესო მიწა გამოუყვეს. მეურნეობის მოსაწყობად მიეცათ სამშენებლო მასალა, მარცვლეული, ფული და სხვ. ბინების მშენებლობაზე ჯარისკაცები დაასაქმეს, ხოლო საშენი მასალის მოზიდვა, უფასოდ მიწების მოხვნა, მეზობელი სოფლების მკვიდრთ დაევალათ. მათ დასასახლებლად მთავრობამ დიდი ხარჯი გაიღო: საკვები პროდუქტებით მოსამარაგებლად 4.179 მანეთი და 4 კაპიკი, ოდესიდან თბილისამდე გზის ხარჯები და კვება — 56.608 მან. და 56 კაპიკი, პირველ თვეებში — ასურეთში კვებისათვის 30.560 მან. 15 კაპ., სამეურნეო საჭიროებისათვის 26,000 მან. მედიკამენტების შესაძენად 486 მან. და 47 კაპ., წისქვილის ასაგებად 600 მან. ხოლო სესხად — 117,834 მან. და 77 კაპიკი.

მეფის მთავრობამ უხვად მოხსნა ქისას პირი. თითოეულ ოჯახზე დახმარების სახით გაიცა 2800 მანეთი. სპარსეთიდან გადმოსახლებულ სომხებს კი მისცეს 25-85 მან., ხოლო ოსმალეთიდან მოსულ ბერძნებს — 10-10 მან. უფრო მეტიც, ამ უკანასკნელთ სესხი მთლიანად დააფარვინეს, გერმანელებს კი აპატიეს.

შეღავათებითა და ყურადღებით განებივრებული გერმანელები სწრაფად გამრავლდნენ. 1886 წლისათვის მათმა კომლთა რაოდენობამ 650, ხოლო სულადობამ 2,440 კაცს მიაღწია.

ბერძნებისა და სომხების (ისევე, როგორც ოსებისა და მთიელების) ჩასახლება 1850-იანი წლებით თარიღდება, რასაც საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული კამერალური აღწერის მასალები და საოჯახო სიები, მეფისნაცვალ მ. ს. ვორონცოვის მითითებით 1854 წ. დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონში შემავალი სოფლების აღწერა (მასალა შესულია „კავკასიის კალენდარში", 1855 წ.) ადასტურებს. ჟურნალ „მნათობის" (1988 წ. № 6) ფურცლებზე მკითხველს ვაუწყეთ, რომ გიუმიშ-ხანიდან და ანატოლიიდან გადმოსახლებულ ბერძენთა გვერდით მცხოვრები არა ერთი ქართველი გააბერძნეს და გვარებიც შეუცვალეს. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ წინწყაროში გავრცელებული ჭორები, თითქოს აქ ბერძნებთან ერთად ათი სომხური ოჯახიც მოსულიყოს, რომ სოფელში მეორე ეკლესიაც მათ ეკუთვნოდათ და სომხურია, სინამდვილეს არ შეეფერება. სომხად დასახელებული არუდოვი ქართველი არდიშვილია, ხოლო პატარა ცალნავიანი ქართული ეკლესია სოფელ კვირაცხოველს ეკუთვნოდა. აღწერის უწყისში (1854 წ. მონაცემებით) სოფლების წინწყაროს, დურნუკის, სამშვილდის... გასწვრივ კითხვაზე „მცხოვრებლები რომელ ტომს" მიეკუთვნებიან — წერია „ქართველები", „რომელი სარწმუნოების მიმდევრები" არიან, მართლმადიდებლური; „მშობლიური, სალაპარაკო ენა" — ქართული. დღევანდელ სომხურ სოფელ სამღრეთში (უნდა იყოს სამღერეთში) 1878 წ. აღწ. 15 კომლი ცხოვრობდა, აქედან 11 სომხური და 5 ქართული. სომხებიდან მოიხსენებიან: გასპაროვები, ბოგდასოვები, სურუმოვები და ქანანოვები.

1855 წელს დაღეთში ბოლნის-ხაჩინიდან გადმოდიან სომხები და დიდ დაღეთს დაღეთ-ხაჩინად ნათლავენ. ამ სომხების გვარები შემდეგია: ასანჯიანი (შემდგომში ასანჯანოვი), გაპრიელიანი (გაპრიელოვი), ტერ-ანდრიასოვი, სარუხანიანი, ცაკანოვი, იგითოვი, ჯაგინოვი, ქოსმანოვი, ალექსაიდეროვი, გრიგორიანი და სხვ.

აღწერის სიებში ქართული ოჯახების სომხურ ოჯახებად მონათვლისა და გვარების შეცვლის მაგალითები არაერთია. „სტუმართა" მოსვლამდე ეს ადგილები ქართველებით იყო დასახლებული. მამაჯანაშვილი (შდრ. მამისულაშვილი, ამისულაშვილი) მამაჯანოვად და სომხად ჩაწერეს, თეიმურაზაშვილი თეიმურაზოვი გახდა, ხარატიშვილი ხარატოვად იქცა, ადამაშვილი — ადამოვად, სარქისაშვილი — სარქისოვად (სოფ. თონეთიდან გადასულან დურნუკში 1864 წ.). მახარაშვილი — მახაროვად (იგივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯირაშვილი), დღესაც სომხად იწერება (სცსსა, ფ. 254, № 144, სია № 109, ფურც. 179-199).

რუსიფიკატორული პოლიტიკა ამიერკავკასიის სხვა ხალხებსაც შეეხო. ამ საქმეში რუსებს სომხებიც მხარში ამოუდგნენ: „სომხები ჩვენი ერთგული მომხრენიც იქნებიან და ვითარცა ვაჭარი ხალხი, ფულსაც მოგვიტანენო". (ივ. ჯავახიშვილი, ; გაზ. „ლიტ. საქართველო", 1988 წ., 23 სექტემბერი). ქართველები რუსეთის მეფის მთავრობას პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად ჰყავდა მიჩნეული და ქართული მოსახლეობის ასპარეზის გაფართოებას სახიფათოდ თვლიდა. „სომეხთა პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობაც კი რუსეთს ფიქრადაც არ მოსდიოდა, ამიტომ სომეხ ახალშენთა ჩასახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რადგან სამაგიეროდ ქართული მოსახლეობის პროცენტი მცირდებოდა და საქართველოში რუსეთის განუყოფლობის, როგორც ეგონათ, უერთგულეს ქვეშევრდომთა რიცხვი უმრავლდებოდა" (ივ. ჯავახიშვილი, გაზ. „ლიტ. საქართველო", 1988 წ., 23 სექტემბერი).

ცარიზმის ულმობელ მგმინავი ქართველობა საკუთარ მიწაზე უცხო ელემენტებთან შედარებით დამცირებულად და შეურაცხყოფილად გამოიყურებოდა. ) გლეხკაცთა სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესები ფეხქვეშ ითელებოდა, მას მიგრაციის გზა თავის სამშობლოში, საქართველოშიც კი შეკრული ჰქონდა, უცხოეთიდან მოყვანილებს კი მიწაც ეძლეოდათ და ყოველგვარი დახმარებაც. სომეხი მეცნიერები ხმებს ავრცელებდნენ, რომ არსებობდა დიდი და პატარა სომხეთი. ამ აკვიატებული აზრის გვირგვინი იყო 1918 წელს სტამბოლში დაბეჭდილი სომხეთის რუკა, სადაც საქართველოს დიდი ნაწილი სომხეთის შემადგენლობაშია შეტანილი. ტერტერები ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არ უშვებდნენ, რომ ქართველები (კათოლიკები) სომხურ-გრიგორიანულ სჯულზე მოექციათ, შემდეგ კი მალულად აღწერის დავთარში სომხებად „მოენათლათ". აქაც მათ უერთგულეს მოკავშირეებად და ხელშემწყობებად ერმოლოვ-კატკოვები აღმოჩნდნენ.

1783 წელს ერეკლე მეორის მიერ იმპერატორთან გაგზავნილ საბუთში იმ თავად-აზნაურებს, რომლებიც რუსეთთან შეერთების შემდეგ არ კარგავდნენ პრივილეგიებს, გვარები რუსულ ყაიდაზე გადაუკეთდათ. ბარათაშვილი — ბარათოვად, ფალავანდიშვილი — ფალავანდოვად, თუმანიშვილი — თუმანოვად. 200 წელზე მეტი ხნის შემდეგ წინწყაროში მცხოვრებმა ბარათაშვილებმა (ბარათოვებმა) განცხადებით მიმართეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტს დაუდასტურონ, რომ ისინი ბარათაშვილები არიან.

„ისტორიულად ჩვენი წინაპრები იყვნენ ბარათაშვილები. რუსეთის ცარიზმის პოლიტიკის გამო გავხდით ბარათოვები. წინწყაროში (ჩვენ საცხოვრებელ ადგილას) გადმოასახლეს თურქეთიდან ურუმი ბერძნები. აღმწერლებმა მათზე მიგვათვალეს და ბერძნებად მოგვნათლეს. გვაქვს მამა-პაპურად ქართული ტრადიციის მქონე ოჯახი, ვიცავთ ყველა ქართულ წესჩვეულებას.

გთხოვთ მოგვცეთ დასკვნა ჩვენი ვინაობის შესახებ" (წერს გიორგი ლევანის ძე ბარათოვი, 5. 09. 1988 წ.).

ვინ არ იცის, რომ ბარათაშვილები საქართველოში ფეოდალური საგვარეულოა მე-15-16 საუკუნეებიდან მოყოლებული და ქვემო ქართლიც საბარათიანოს წარმოადგენდა. მათ გარდა, მე-19 ს-ში, რუსული რეჟიმის გავლენით, ბევრმა ქართულმა გვარმა განიცადა ცვლილება. ქართული გვარის დაბოლოება „შვილი", „ОВ"-ით შეიცვალა, რაც წინწყაროში მცხოვრებთა ბევრ ქართულ გვარსაც შეეხო. გვარების — ბარათაშვილის, ფალავანდიშვილის, ანანიაშვილის, თუმანიშვილის, სეფიაშვილის, თევდორაშვილის, არდიშვილის, კალაძის, პეტრიაშვილის, ქართველიშვილის, ფერიაშვილის ნაცვლად გაჩნდა ბარათოვი, ფალავანდოვი (პავლევანოვი), ანანიევი, თუმანოვი, სეფიანოვი, ფეოდოროვი, კალიჩევი, დიმოევი (პეტრიაშვილი), გურჯიევი, ფერიოლლი (იგივე კარაქლიევი), რომლებიც ბერძნებად მონათლეს. 1886 წლის აღწერის მასალებში მხოლოდ ოთხი გვარილა მოიხსენიება ქართველად. ესენია: საკალიძე, კექელაშვილი, თოფურიძე, ბარათოვი (ბარათაშვილი), რომლებიც შემდგომში ასევე ბერძნულ ეთნოსს მიაწერეს (საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, 1, 2, 3, საქმე 2048).

1803 წელს, ანგარებითი მიზნით ჩატარებულ აღწერაში (აინტერესებდათ გადასახადის ოდენობის დადგენა), სახელმწიფო გლეხების გვარები მსგავსი წესით გააფორმეს, რის შედეგადაც მივიღეთ: დავით სალამანოვი (სალამაძე), ბერო ივანოვი (ივანიშვილი), ბერო პავლიევი (პავლიაშვილი), იოვანე ეგოროვი (იაგორაშვილი), თემურა ხახოვი (ხახვიაშვილი), ივანე შიოვი (შიოშვილი), მახეა ბოგველინსკი (ბოგველაშვილი), გოგია სულიოვი (სულიაშვილი), აბრამ დალაქოვი (დალაქიშვილი), ივანე დარჩიევი (დარჩიაშვილი), დათია პატიევი (პატიაშვილი), გლახა პატარკაცოვი (პატარკაციშვილი), ნინია თომოვი (თომაშვილი), იაკობ გოგიევი (გოგიაშვილი), თათო ზურაბოვი (ზურაბიშვილი), ბეცია კალატოზოვი (კალატოზიშვილი), ოთარ კაცოვი (კაციაშვილი), ბესო მეურმოვი (მეურმიშვილი), გიორგი ლუარსაბოვი (ლუარსაბიშვილი), დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბანოვი (გაბაშვილი), გოგია ტატუნოვი (ტატუნაშვილი), იაკობ ხუციევი (ხუციშვილი), მამულა როსტომოვი (როსტომაშვილი) და ა. შ.

მკითხველი თუ ჩაუკვირდება, შენიშნავს, რომ გასომხება, ხშირად უცხო ძირებზე დაშენებულ და „ოვ“-ით დაბოლოებულ გვარებზე ვრცელდება. საქართველოში „მოლვაწე“ ტერტერების მიერ სწორედ ეს მომენტია გამიზნულად გამოყენებული. ალექსანდრე ფრონელი ამ პროცესს ასე აგვიწერს: „ბევრ ქართველ-კათოლიკეთა სამრევლოს მოძღვრად სომხები ჰყავდათ, რომელთაც ქართულ მრევლში ჩიქორთული ქართული შეჰქონდათ. წირვა-ლოცვა და ღვთის მსახურება მშობლიურ ენაზე სრულდებოდა. ოფიციალურად სომეხ-კათოლიკედ იწერებოდნენ, რასაც შეესაბამებოდა „ქართველი კათოლიკე“. საუბედუროდ რელიგიური ტერმინი ეროვნების აღმნიშვნელად იქცა. „მდაბიო ქართველ-კათოლიკეს რომ ჰკითხავ, ვინა ხარო, გიპასუხებს — სომეხ-კათოლიკეო. თუ წყრომით, ან გაჯავრებით ეტყვი, რას მიედ-მოედები, მამა-პაპით ქართველი იყავ და სომეხი როგორ გახდიო, მორცხვი პატარძალივით თავს ჩაღუნავს და მოკრძალებით მოგიგებს: დიახ ამბობენ, რომ წინათ ჩვენი მამა-პაპანი ქართველები ყოფილანო. სომეხ-კათოლიკე მოძღვართა სახელებს ერქვა „ტერ“ (მამა-ო) და მათი სახელები ასე ჟღერს: ტერ-პოლოსა, ტერ-პეტროსა, ტერ-არაქელა, და სხვ.“ (ალექსანდრე ფრონელი, დიდებული მესხეთი, ქ. გორი, 1914 წ., გვ. 38).

მეცხრამეტე საუკუნის მემატიანე ზაქარია ჭიჭინაძე გვიმოწმებს, რომ სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანი მართლმადიდებელნი ხილულად აღარ მოიძებნებოდნენ. „აქა-იქ ძლივსღა ბოგინობდა თითო-ოროლა, რომელნიც მალულად წმინდა ზიარებას ღამღამობით ღებულობდნენ ერის კაცის ტანისამოსში გამოწყობილ მღვდელთან, ან კიდევ ქრისტეს შობას დღესასწაულობდნენ ღორის ხორცის მიღებით, რომელიც იმავე ერის მღვდლებს სოფელ-სოფელ ხურჯინებით დაჰქონდათ მრევლისთვის. ვინ იფიქრებდა, რომ ქართველი სულ რაღაც 180 წლის წინათ ასე იჩაგრებოდა: ბევრს ზლაპრად მოეჩვენება, 2 მილიონი ქართველის გამაჰმადიანება, 400 ათასის გასომხება, მაგრამ სრული ჭეშმარიტება და სინამდვილე კია“ (ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები, 1900 წ., გვ. 27-28).

ქართველი კათოლიკენი მე-18 ს. დასაწყისში წირვა-ლოცვას ლათინურ ენაზე ასრულებდნენ. შემდგომში, გარკვეულ მიზეზთა გამო, ქართველი კათოლიკე მღვდელი იძულებული გახდა წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე შეესრულებინა, ამ საქმეში ტერტერა გამოეყენებინა და დაუძინებელი მტრისთვის ეთქვა, რა გინდა, დაწყნარდი, ხომ ხედავ აღარც ლათინი ვარ და აღარც ქართველიო. ამ ხერხმა ნაწილობრივ გასჭრა, ქრისტიანობა შეინარჩუნეს, ეროვნულობას კი გამოუსწორებელი დაღი დღემდე შემორჩა. ერთმა არლელმა (სოფელი ადიგენის რ-ში), ქართველმა კათოლიკემ, „ტეტია“ შალვენ თათეოზოვმა (ყოფ. თომაშვილი) ეს ისტორიული აქტი მარილიანი ქართულით დაასურათხატა. „თათარი სომეხს არ ერჩოდა და მამაპაპათ ამისთვის მიიღეს სომეხ-კათოლიკეთა ალსარებაო“. (იქვე, გვ. 28).

ბორბალოელმა (თეთრი წყაროს რ-ნი) პედაგოგმა რევაზ ასლანიშვილმა მიამბო: „ერთ დღეს 90 წელს მიღწეულ პაპას გვერდით მივუჯექი და ვკითხე. პაპა, ეროვნებით ვინა ვართ და რაიცი ჩვენს წარმომავლობაზე-მეთქი. მომიბრუნდა და მითხრა. რა, შე მამაძაღლო, ეჭვი გეპარება რომ ქართველი ხარ, აბა სხვა ვინ უნდა იყო? კი, მაგრამ, თუ ასეა, მაშ ერთის გარდა, შენს ხუთ ვაჟს რატომ დაარქვი სხვა ტომის სახელები? ცხრა შვილი მყავდა. მომიგო მან, 6 ვაჟი და სამი ქალი. უფროსი მამიდაშენი მარიამი იყო. ძალზე პატარა (14 წლისა) ერთმა თბილისელმა სომეხმა ვაჭრის შვილმა ითხოვა. სიძეც ამ ხელობას მისდევდა. ეკონომიურად ოჯახს უჭირდა. სიძე მეხმარებოდა, ჩემს შვილებსაც ის მეურვეობდა და სომხურ ეკლესიაში ნათლავდა, სახელებსაც ის არქმევდა. გადმოცემით, ჩვენი წინაპრები თავადები ყოფილან. ბარათაშვილების ჩამომავლები ვყოფილვართ“ (ბორბალო, რ. ასლანიშვილი, 64 წლისა, ჩაწ. 1986 წ. აგვისტოში).

მეცნიერულ გამოკვლევებში ბევრ ადგილას ფიგურირებს ქალაქის ხელოსან-ვაჭრებისადმი მიმართული მეფე ერეკლეს ერთ-ერთი ბრძანება, რომელშიც ნათქვამია: „ვინც ქართლისა და კახეთის ალებ-მიცემის კაცნი არიან დუქნის პატრონი, ქართველი, სომეხი, ფრანგი, თათარი, ჰურია, თუ რაც მილეთის კაცი იყოს, მათს ბაჟალს ვიყაბულებთ“. (გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა მე-13, მე-17 საუკუნეებში, თბ., 1982 წ. გვ. 301). საქმე ეხება სამხედრო ბეგარაში გაწვევისას სანაცვლო დაქირავებული კაცის გაგზავნას (ასეთი შეღავათი ერეკლეს დროს გუთნისდედებსაც ეძლეოდათ). ეს შეღავათი და კიდევ ბევრი სხვაც (მაგ., რომ მაჰმადიანური სამყარო სომხურ ეკლესიას ნაკლებად ავიწროებდა) ქართველთათვის ერთგვარ სატყუარას წარმოადგენდა, რასაც ღარიბი გლეხობა თუ ღარიბი ქართველი მოქალაქენი ხშირად ეტანებოდნენ. ამ ნიადაგზე ბევრმა ქართველმა მიიღო გრიგორიანობა და სომხად მოგვევლინა. გასომხება მიმდინარეობდა არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც.

მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, მრავალი ქართველი მებატონის მამული უვარდებოდა ხოლმე ხელში სომეხ დიდვაჭრებს. „ზოგჯერ ამ მამულებზე გლეხები ახალი მებატონის სარწმუნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებსაც ლებულობდნენ“ (გ. ჯიბლაძე, შიდა ქართლი, თბ., 1987, გვ. 16).

იყო შემთხვევები, როცა ქართველი ვაჭრობისა და ხელოსნების გარდა, მეფეები, მთავრები და თავადიშვილებიც კი საზიარებლად სომხურ ეკლესიაში დადიოდნენ, ჯვარს იწერდნენ და ბავშვებსაც ნათლავდნენ. მაგ., ალექსანდრე ბატონიშვილმა, ერეკლე II-ის ძემ ეჩმიაძინში დაიწერა ჯვარი და იქვე, ეკლესიის ეზოშია დასაფლავებული.

ისტორიაში შემონახული ცნობებით, ყეენის მიერ სპარსეთში ჩარეკილ ტყვეთა ნაწილი ერეკლე მეფეს ფულით დაუხსნია, ხოლო ნაწილი შეუსყიდია ეჩმიაძინის ეკლესიას, რომელსაც ტყვეებისათვის პირობა ჩამოურთმევიათ, რომ გრიგორიანულ სარწმუნოებას მიიღებდნენ.

ქართველისთვის სხვა ტომთა ეკლესიაში სიარული, ასე თუ ისე, ასატანი იყო, მაგრამ, რაც მთავარია, გრიგორიანული სამღვდელოება მათ გვარს უცვლიდა, სახელს უსხვაფერებდა.

1795 წლის ამბების შემდეგ, სომხებად მოინათლნენ ზოგიერთი ლოლაძე, გორგაძე, გოგიძე, სიხარულიძე, შიოშვილი, გაბაშვილი, მენაბდე, მეწალიშვილი, ჩერქეზიშვილი, ეპიტაშვილი, მაისაშვილი, ზუბაშვილი, ალიხანაშვილი, ლაზარეშვილი, მოსეშვილი, გოგიაშვილი, წერეთელი, ავალიშვილი, მალალაშვილი, მამულაშვილი, მდივნიშვილი, გალეგაშვილი, ბაქრაძე და სხვ.

ამ გზით მომრავლდნენ ქართლ-კახეთში „ქართველი“ სომხები.

თბილისში, ტაბახმელასა და მარტყოფში მცხოვრებმა ფარსადანაშვილებმა (მოგვიანებით ფარსადანოვები) 1795 წელს სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება მიიღეს, ხოლო რამდენიმე ოჯახი სომხად ჩაიწერა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით როლანდ თოფჩიშვილი წერს: „1886 წლის აღწერისას თბილისში მოსახლე... ფარსადანოვები სომხური ეთნოსისადმი არიან მიკუთვნებული, მათი გრიგორიანული რწმენის გამო. XIX ს-ის საარქივო მასალებით, უფრო სწორად, 1820 და 1860 წლების მონაცემებით ფარსადანოვებმა (ფარსადანაშვილად არიან ჩაწერილი) თბილისის საგარეუბნო სოფლების მარტყოფისა და ტაბახმელის მკვიდრები არიან და ყველა მათგანი მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევარი და ეროვნებით ქართველია. შესაბამისად — ამ გვარის წარმომადგენლები ქართულ-ქრისტიანულ სახელებს ატარებენ. ფარსადანაშვილები 1801 წელს თიანეთსა და ახმეტაშიც ყოფილან განსახლებულნი. იმასაც აღვნიშნავთ, რომ მამაკაცის სპარსული სახელი ფარსადანი უაღრესად გავრცელებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში“ (ლიტ. საქ-ო“, 22 ივლისი, 1988).

ფარსადანაშვილები მოიხსენიებოდნენ ქალაქ თბილისშიც.

ისტორიულ წყაროებში გვარი რევაზიშვილი 1469 წელს გვხვდება.

რევაზისშვილები ისტორიულად ამილახორთა (არაბ. ამირ. ახურ — „საჯინიბოს უფროსი“, ამირსპასალარის თანაშემწე, ცხენოსანი ჯარის უფროსი“), შთამომავალნი არიან, „რომელნიც განიყოფებიან სხუა და სხუა სახლად.

1) რევაზისშვილებად, 2) ქაიხოსროშვილებად, 3) ბეჟანისშვილებად, 4) ერასტისშვილებად და იმის ძმისწულებად, 5) გივისშვილებად, ხოლო პირველი თავადობისა ადგილი და ამილახრობა-სპასპეტობა იყო რევაზისშვილთა, რომელნიც უფროსნი იქნებოდნენ სახლში, ხოლო სხუათა აქუნდათ მეორისა და მესამისა თავადისა ხარისხნი და პატივი“ (საქ. სახ. მუზ. 5, ხელ-თა განყ., ფ. 5, საქმე 550).

„თავადი გურჯი რევაზის შვილი. ესენი არიან ბარათაანთ გვარისანი, გარნა გაუგვარდათ სახელი, სიმხნისა გამო, რომელ გურჯი რევაზად სახელდვეს თათართა, ოდეს ბრძოდნენ მათ და რომელიც ითარგმნების (გურჯი რევაზ) ქართველი რევაზ და ესე გვარი მიიღო რევაზმან დროსა მეფისა ვახტანგისასა, წელს 1708-სა და მუნიდგან იწოდებიან გურჯი რევაზის შვილებად მისნი შთამომავლობისანი და არიან რამდენსამე სახლად სომხითსა შინა“ (საანდაზო ლექსები...30). „დასტურლამალით“ გურჯი რევაზ რევაზიშვილი ლიპარიტ ციციშვილთან, ზურაბ შალიკაშვილთან, შიოშ ფალავანდიშვილთან და სხვ. ერთად ბოქაულთ-უხუცესი (ბოქაულების უფროსი) იყო (იქვე, გვ. 14).

გარისის ვარხუნა (ვერხვნალა) 1878 და 1886 წლების აღწერებში არეშოვკად იხსენიება. სახელი ეწოდა იმის გამო, რომ ამ დასახლებული ადგილის აზნაურები არეშიშვილები იყვნენ. ვახუშტის აღწერით, არეშიშვილებს გარისის „ვარხუნაში“ ჰყავდათ ყმები — „დუშია და გულუა ხარატიშვილები, მარკოზა ხარატიშვილი, ყმა აკოფა ხუციშვილი, ბოგანოები გიუა და პაპუა; გიორგი, ბიძინა და ასლანა დიაკვნიშვილები, ბერია ალთუნაშვილი, ბოგანო ბერუა... ჯეელი კომლი ყმა ათი, ბოგანო შვიდი“ (გვ. 91-98). ვარხუნას გარდა, არეშიშვილები ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ სოფლებში: დურნუკში, ენაგეთში, დვალთაში, იფნარში, ეცოში, ლიპში, ახალშენში, ბანაურში, ჩხიკვთაში, შავსაყდარში. არეშიშვილები იყვნენ აგრეთვე ხატის თელეთის (დღევ. გარდაბნის რაიონი) მემამულეები. მათი მთავარი სალოცავი დიდი ენაგეთის წმინდა გიორგის ეკლესია იყო. 1888 წელს დიდი ენაგეთის სახაზინო ყმას ივანე იოსების ძე ჯოიაშვილს (ჯორჯიაშვილი) და მის მეუღლეს სოფიო ზურაბის ასულს ქალიშვილი ანა მოუნათლეს აზნაურმა ალექსანდრე არეშიშვილმა და სიმონ ჯოიაშვილის ასულმა ქეთევანმა (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ, № 1, 1883 წ.).

პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე წიგნში „დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაენა ქართული" (1987 წ.) წერს: „ადამიანის ხასიათს, თვისებას გამოხატავენ გვარები: ამყოლაძე, კეთილაძე, ბაინდურაშვილი... ლოხიშვილი (ლოხი დაახლოებით იგივეა, რაც ლაფაჩი: „ზარმაცი, ზანტი, დონდლო")... უჭმაჭურიძე (უჭმაჭური), რომლის ვარიანტებია უწმაწური, უკმაკური, ნიშნავს „მოუსვენარს, უკუღმართს").

ბაინდურაშვილი (რუსული გაფორმებით ბაინდუროვი) საეკლესიო ჩანაწერებით სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მქონედაა ჩათვლილი. გვარის ძირია ბაინდურა, რაც გვარის წინაპართა ნაკლზე მიგვანიშნებს, აგაშენაშვილი, ავბეწიშვილი, ავქაფაშვილი (ავქოფაშვილი), აზალაშვილი, აზრუმელაშვილი, აიწურაძე, ამბარდანაშვილი, ამოთაშვილი, ამყოლაძე, ამურველაშვილი, ანდრიბუჩა (მეტსახელი, შემონახულია მჭედლიშვილის გვარის სახინჯარში), აპრილაშვილი, არათანაშვილი, არახველაშვილი, არდემანაშვილი,ართმელაძე, აროშიძე, ალამონაშვილი, ალსაბაძე, აწკარუნაშვილი, ახალკაცი, ახალკაციშვილი, ახრახაძე და სხვ." (შდრ. ალ. ღლონტი, ქიზიყის ტოპონიმია, 1982, ქართველური საკუთარი სახელები, 1986; ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, 1981 წ.).

საკუთარი სახელი ბაინდურა და მისგან ნაწარმოები გვარი ბაინდურაშვილი ხნოვანებით ერთ-ერთი უძველესი გვარსახელია ქართულ სინამდვილეში. ბაინდურ/ბანდურ პატრონი მოიხსენიება რუისის ეკლესიის წარწერაში — „პატრონსა ბანდურს შ′ სლ′ ნ. (—1474) და მათსა იმასა პატრონსა ქაიხოსროს მ′ სლ′ ნ (1500)"

მე-13-ე საუკუნეში ქართლში იქმნება არაგვისა და ქსნის საერისთავოები. ისინი იყვნენ ფეოდალური საქართველოს სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთაც მეფის მიერ დანიშნული მოხელე-ერისთავი (ზოგი წყაროთი ერისთავთ-ერისთავი) მართავდა.

არაგვის პირველ ერისთავებად მოიხსენიებიან შაბურისძენი. რიგით მესამე ერისთავად იხსენიება ბაინდურ-ა. ერისთავებად ცნობილი არიან ბაინდურ პირველი, ბაინდურ მეორე და ბაინდურ მესამე. თედო ჟორდანიას მიხედვით, ბაინდურ I-ლი ის პიროვნება უნდა ყოფილიყო, რომელმაც 1527 წლის ახლოს ცოლად შეირთო დავით მეფის ასული და 1560 წლებში ამოხოცა ძმები (თ. ჟორდანია, გუჯარის წიგნი, II, გვ. 189). 1527 წლით დათარიღებულ მცხეთის ერთ-ერთ სიგელში აღნიშნულია: „ქ.... ესე წიგნი ვკადრეთ (მცხეთას)... და აზ-ს ბასილს ჩ′ წ ერისთავმან ბაინდურ და ჩ′ნთა ძმათა ზურაბ, გოდერძი, ბარძიმ, გოსტასაბ და როსტომ... მას ჟამსა, ოდენ (ოდეს) მეფის დავითის ქალი შევირთეთ: საკანონო იყო თქუენ გამოგუცნახენით და ჩ′ნ მისთჳს დაგიდევით ჩუმნი ნასყიდი დილუამს ვენაჴი თავქალასეული მიხითა წყლითა". (ქრონიკ", II, 371).

არაგვის ერისთავ „ნუგზარ დიდს" (1616 წ.) ცხრა შვილიდან (6 ვაჟი, 3 ქალიშვილი) ერთ-ერთს ერქვა „ბაინდურ დიდი" (1616-1619) წ.).

„...1617 წ. ქ. კს: ტე: ქ. ესე წიგნი მოგაჴსენე... სუეტსა ცხოველსა.,. მე ერისთავმან, პატრონმან ნუგზარ (და ძეთა ბაინდურ და გ′ იმ")... (იქვე, 441-442).

1697 წ. ერისთავად დაჯდა ბაინდურ II. მის მიერ შეკერილი ლარი (მღვდლის ყელ-საკიდი, ქამარი) ინახება ეკ. მუზეუმში (იქვე, 422).

ბ ა ი ნ დ უ რ ა ბატონი არის მოწმე ნასყიდობის წიგნში (1689) წ.), რომლითაც „ბასილა ქუბასშვილი და მისი ძმები თავიანთ განაყოფ ქიტიას და მის შვილს ასყიდებენ წისქვლსა და მიწის ნაკვეთს" (საქ. სიძვ. I, გვ. 118). იქვეა მოხსენიებული ბაინდურა ყორღანაშვილი.

ბაინდურა III ერისთავად დამჯდარა 1696 წ. „ნაზარ-ალიხანმა გიორგი ერისთავი ყაენს გაუგზავნა და არაგვის ერისთავად ბაინდური დასვა" (ვახუშტი, საქ. ცხ., 66-67).

მე-17 საუკუნიდან მოყოლებული ბაინდურაშვილები იყვნენ მემამულეებიც და ყმა გლეხებიც. მაგ., ქაფანავაანთ ფარსადანა ხოსიტა ბაინდურაშვილისგან ყიდულობდა ორ ქულბაქს" (საქ. სიძვ., ტ. II, გვ. 425). „ნასყიდა და ნაზარა დოლმაზაშვილების (იგივე შანშიაშვილები, პაპიაშვილები, გოგიბაშვილები), გაყრის საქმესთან შედგენილ განჩინებაში (1696 წლის 25 მარტს) აღნიშნულია: სოფ. „შინდი (ს)ბაინდურაშვილს მიწაში ნალობი ჰქონდა, ნაზარას დავალებით" (ხელნაწ. ინსტ. Hd, 935).

ზერი ბაინდურაშვილი, აზნაური, 1721 წლის აღწერით არის პატარა ზურაბ ზაალიშვილის მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა დმანისში (ის. ლორთქ.; ქვემო ქართლი, გვ. 330).

ბაინდურაშვილებს უცხოვრიათ სოფლებში: ანდრიაში (ახლანდელი დრე), პატარა თონეთში, წყლულეთში, ამჟამად ცხოვრობენ გარდაბნის, კასპის... და სხვ. რეგიონებში.

XVII საუკუნეში კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ქართველების ამ მოძრაობას შეუერთდნენ თვით მეფე, საეკლესიო პირები და ეპისკოპოსებიც კი. მისიონერთა წერილები მოწმობენ, რომ პატრმა ჯუსტინომ კათოლიკობაზე გადაიყვანა საქართველოს მეფე გიორგი, მისი ძმა ლევანი, ასევე საქართველოს არქიეპისკოპოსი ექვთიმე, რამდენიმე მღვდლითურთ.

პატრი ჯუსტინო 1687 წ. რომსა წერს აქაური მისიონის ამბავს და აუწყებს ახლად გაკათოლიკებული ქართველების რიცხვსა და სახელებს: „...ბატონი თამაზა, სამხედროს გენერალი და ბიძა მეფისა, რომელიც არის უკეთილშობილესი ქართველი ყაფლანიანთი, ამან მიიღო კათოლიკობა 15 ივნისსს. 1687 წ. ბატონი სულხან შვილი დიდი მინსტრისა (სულხანსაბა ორბელიანი). ბიძაშვილი მეფისა, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც არის უკეთილშობილესი ქართველი ყაფლანიანთი. ამან მიიღო კათოლიკობა 15 აგვისტოს 1687 წ., აგრეთვე არიან სხვა სახლები და ოჯახები ლათინის წესისა, რომლებიც მარტო მისიონერებს ექვემდებარებიან; ამ მისიონის სხვა პირველი კათოლიკები არიან აგრეთვე ბ ა ი ნ დ უ რ ა ს შ ვ ი ლ ე ბ ი სტეფანე, იოსები, ფრანჩისკე და ნინო... ტფილისი, 7 ნოემბერს 1687 წ. პატრი იოსები ლივორნელი" (მ. თამარაშვილი, ისტორია ქართული კათოლიკოსობისა, თბ., 1903 წ., გვ. 262-263).

ბაინდურაშვილთა ნაწილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სომხურ ეთნოსს მიეკუთვნა და ალწერის დავთარში გრაფის გასწვრივ — ტომი, ჩამომავლობა — სომეხი დაფიქსირდა. ასეთივე ბედი ეწია გვარებს: მღებრიშვილს (მღებროვი), მებალიშვილს (მებალოვი), ლალიძეს (ლალიევი) მერაბიშვილს (მერაბოვი), სააკაძეს (სააკოვი), ოლქიაშვილს (ოლქიევი), აფრიამაშვილს (აპრიამოვი), პავლიაშვილს(პალიანცი), ზაალიშვილს (მემამულეები — ზაალოვი, ზალიანცი), ქობულაშვილს (შდრ. უძველესი თავადები ქობულისძენი), იყვნენ მემამულეებიც და გლეხებიც (ქობულოვი), მალალაშვილს (მალალოვი), მამულაშვილს (მამულოვი), ლაშქარაშვილს (ლაშქაროვი), დედალამაზიშვილს (დედალამაზოვი), ასლამაზიშვილს (ასლამაზოვი), ალხაზიშვილს (ალხაზოვი, იგივე ლამაზაშვილი), ქოჩორაშვილს (ქოჩოროვი) და სხვ. მრავალს.

ზემოაღნიშნულ გვარსახელებს კომენტარი არ ესაჭიროება. არცერთი გვარის ძირს არაფერი აქვს საერთო სომხურთან. პირველი ორი გვარი ხელობას აღნიშნავს. გავიხსენოთ ამ სახის გვარებიდან რა პატივი რგებია მჭედელს, დალაქს, დურგალს, ხარატს, ხარაზს, ხუროს, ზეინკალს, მეხრეს, მენაბდეს, მეტივეს, მეცხვარეს, მზარეულს, ფეიქარს, ხაბაზს, მესარკეს, მესაბლეს, მკერვალს, ჭონს, მეუნაგირეს, მესტვირეს, მეგუთნეს, მეთევზეს, მეპურეს, მენალარეს, მეფარეს, მექანარეს, მექვევრეს, მეყანწეს, მემშვილდეს, მეხაშეს და სხვ. ამ გზით გაჩნდა მჭედლიშვილი, მჭედლიძე, მჭედლური, დალაქიშვილი (შდრ. ვარსიმაშვილი), დურგლიშვილი, ხარატიშვილი, ხარაზიშვილი, ხუროშვილი, ხუროძე, ზეინკლიშვილი, მეხრიშვილი, მეხრაძე, მენაბდე, მენაბდიშვილი, მეტივიშვილი, მეცხვარიშვილი, მზარეულიშვილი, ფეიქრიშვილი, ხაბაზაშვილი, მესარკიშვილი, მესაბლიშვილი, მკერვალიშვილი, ჭონიაშვილი, მეუნარგია, მესტვირიშვილი, მეგუთნიშვილი, მენალარიშვილი, მეფარიშვილი, მექანარიშვილი (შდრ. არუთინაშვილი), მექვევრიშვილი, მეყანწიშვილი, მეშვილდიშვილი, მშვილდაძე (ძვ. ფორმით მემშუილდიშვილი), მეხაშიშვილი და სხვ.

მერაბიშვილების გვარიდან 1795 წელს რამდენიმე კაცი სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას მიკედლებია და მერაბოვი (მერაბიანცი) „გამხდარა". სახელი მერაბ სპარსულია და „მზესავით ელვარეს", სიტყვა-სიტყვით „მზის წყალს", ან „მზის ელვარებას", ან „წყლის პატრონს" აღნიშნავს. მერაბი ერქვა წყლის გამანაწილებელ მოხელეს, წყლის უფროსს. მერაბი ერქვა „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთ პერსონაჟს, როსტომის პაპას, რომელიც ზაბულისტანში მეფობდა (ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 367).

სააკაძეთა ერთმა ნაწილმა ძველად კათოლიკობა მიიღო, ორი კათოლიკე სააკაძე გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოიქცა და სააკოვად მოინათლა (მანგლისი); ამავე პერიოდში ედილაშვილები (ედილიანცი), დარჩიაშვილი (დარჩიანცი), სოსიაშვილი (სოსიანცი), ელბაქიძე (ელბაქიანცი), მამუკაშვილი (მამუკიანცი), ტატიშვილი (ტატინიანი, ტატინიანცი), იტრიაშვილი (კავშირი აქვს სოფ. იტრიასთან, იტრიანცი, (მარკოზაშვილი (მარკოზოვი) „სომხები გამხდარან".

ზემოთ აღნიშნულის დასტურად მოვიხმოთ თვითმხილველ ბატონიშვილთა, მღვდელ მელითაურის, სარდლიანთ მწიგნობრის, დავით ამირეჯიბისა და მსახიობ იოსებ ელიაზაშვილის (ელიაზოვი) ნაამბობი: „1795 წ. ომის შემდეგ თფილისი დაცარიელდა. მტერმა დასწვა სამი ხიდი და მასთან მთელი ქალაქი, დააქცია და დასწვა ისეთი საყდრებიც კი, რომლებიც თლილი ქვით იყო აშენებული. ამ დროს ქართველთა ოცზე მეტი საყდარი დაუნგრევიათ. გადარჩა მხოლოდ მეტეხი, ჯვრის მამა, სიონი, ანჩხატი (ანჩისხატი) და ქაშვეთი. სომეხთა საყდრები უვნებლად გადარჩა. მხოლოდ შიგ დამალულნი კი ამოსწყვიტეს. ასე გაგრძელდა საათნახევარს. დამალულები ეუბნებოდნენ სომხები ვართო. მაგრამ სპარსელებმა არ შეიწყნარეს მათი განცხადება.

— სომხები თუ იყავ, რაღათ იმალებოდი აქაო? ამ დროს გადარჩა მხოლოდ საიათნოვას ცოლი, მარიამი.

სიკვდილის შიშით ბევრი ქართველიც ამბობდა, სომეხი ვარო. მტრის წასვლის შემდეგ ქართველთა ეკლესიები უპატრონოდ იყო. ხუცები არსად იყვნენ, ყველა გასული იყო შიშით, ვინც თბილისში დარჩა, ზოგნი ტყვეთ წაიყვანეს სპარსეთში და ზოგნიც ომში დაიხოცნენ. ქართველთაგან ვინც კი გადარჩა, სომხის ეკლესიაში იწყო სიარული.

დოსითეოს ფიცხელაურის გადმოცემით ჩუღურეთში, კუკიაში, შავსოფელში, ვერაზე და ავლაბარში ძალიან ბევრმა ქართველმა მიიღო სომეხთა რჯული. ყველა ქართველი ამას ამბობდა, ოღონდ ქრისტიანები ვიყოთ და სჯული, რომელიც უნდა ის იყოსო.

რაც შეეხება სოფლებს, იქაც თითქმის მთელმა სოფლებმა იწყეს გადასვლა. ამ დროს მო-

ქცეულან სომეხ-გრიგორიანელებად სოფ. თელეთის მცხოვრებლები, გაქართველება აღარ ხერხდებოდა, რადგანაც მათ მტრისათვის ფიცი ჰქონდათ მიცემული, რომ ჩვენ სომხები ვართო. თანაც მტრის კვლავ უკან მობრუნების შიშიც ძლიერი იყო. ხმა იყო დარხეული, რომ მტერი (ალა-მაჰმად-ხანი) მეორედ აპირებს მოსვლას თფილისზე, ქართველებს ყველას დახოცავს და აბა რა ძალა გვადგა, რომ ჩვენც მტერს თავი მივცეთ ხელშიო. ამ დროს არიან გასომხებული მაისურაძეები, ლაზარეშვილები, მერაბიშვილები, რამილიკულაშვილები და მრავალნიც სხვანი“.

მოურავების — დავითისა და ბაქარის ნაამბობიდან: „სამშვილდეს მთლად ქართველი სოფლები იყო, ამ სოფელთა მებატონენიც ორბელიანები იყვნენ, ზოგის ბარათოვები და მასთან სხვანიც. ყველა ამ სოფლის ქართველნი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ, მტერი მუსრს ჰკლებდა, შველა არსიდამ იყო. გლეხკაცობა უპატრონოდ დარჩა. მტერი გურჯებს სიკვდილით ემუქრებოდა. ეს ყველამ კარგად იცოდა, ამიტომ ზოგ სოფელში ქართველთ თავი სომხათ აცნობეს და ამით გადარჩნენ სიკვდილს. თუ ეს გარემოება არა უთუოდ მტერი სულ გასწყვეტდა მათ. ზოგიც ტყვეთ წაუყვანიათ, ზოგიც დაუხოცავთ, ვინც კი გადარჩა, ეს იმის წყალობით, რომ თავი სომხათ აღიარესო. ბოლნისის სიონი და ბევრი სხვა საყდარი მტერს სომხების კუთვნილებად გააცნეს, რის გამოც ისინი დაწვას გადაურჩნენ. როგორც ბოლნისის სიონი, ისე რიგი სხვა საყდარი სომხების საკუთრებად იყო მიჩნეული, რომელთა მრევლთაგან ნაწილი უფრო ადრე გასომხდა, ხოლო ალა მაჰმად ხანის დროსაც ბევრი გადასულა ამ რჯულზე“ (გაზ. „სამშობლო“, 1915 წ., № 178).

გაზეთი „სამშობლო“ (1915 წ.) იმოწმებს ამ მხარის ერთ-ერთ ბატონს, რომელსაც უთქვამს, რომ მისი „ყმების სამი მეოთხედი სომხად დაეწერა და ამ გზით გადაირჩინა თავი სიკვდილისგანო“. ოსმალ-სპარსელების გარდა, ქართველები სძულდათ ლეკებსაც. როგორც ტყვე-ქართველები, ისე მოსახლეობა ლეკებს თავს სომხად აცნობდა და ამ გზით იცდენდნენ თავიდან ფიზიკურ მოსპობას. ამ მიზეზით მრავალმა კახელმა სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიაში დაიწყო სიარული და იმდენად ძლიერი იყო შიშის გრძნობა, რომ ბევრმა აღარ დაიბრუნა ქართველობა. ამითაა გაპირობებული ის გარემოება, რომ არაიშვიათად ერთი შტოს გვარში, თვით ოჯახშიც კი, ერთი ქართველია, მეორე — სომეხი.

ავტორი (ვფიქრობ, მკითხველიც) სავსებით ეთანხმება დიდ აკაკის, რომელიც წერდა: „ზოგიერთები „სომხიყლაპიას“ მეძახიან და ეს უსამართლობა რომ შევიფერო, შეუძლებელია... მრწამს ქრისტეს მოძღვრება და არავინ მიმაჩნია სამარიტელად; თანასწორად ვუყურებ ელინსა და იუდიანს, როგორც ადამიანებს. ყოველი ერი, რა ტომისაც უნდა იყოს, მიყვარს და თანამგრძნობი ვარ, თუ ის თავის ქერქში ეტევა და საკუთარი ეროვნული სწორი გზით მიდის!... მაგრამ როცა რომელიმე ერი მარტო თავისას აღარ სჯერდება და მოინდომებს სხვა ერების დაჩაგვრით ამაღლებას, სხვების უბედურებით საკუთარ ბედნიერებას და სხვების ჩაყლაპვით გასუქებას, მე იმ ტომის თანაგრძნობა აღარ შემიძლია. ამ შეგნებით გამოვედი მე იმთავით ცხოვრების სარბიელზე და ამ ბარგითვე მივდივარ სამარისკენ. და რაღა გასაკვირველია, რომ სომხებიც, ეს ჩვენი ქრისტიანი მეზობლებიც, ჩვენგან ერთად ერთ ისტორიულ ტაფაში ნაწვავ-ნადაგი, მიყვარდეს და თანაუგრძნობდე? — და მაშ რაღა უფლება, ან სიმართლე აქვს ვისმეს, რომ მე „სომხიყლაპია“ დამიძახოს? ნათქვამია, „კვამლი უცეცხლოდ არ იქნებაო“. მაგრამ კვამლიც არის და კვამლიც. სახლს, რომ ბოროტ-განზრახვით ცეცხლს წაუკიდებენ, ბოლი ავარდება... კვამლი ადის!... საცეცხლურში რომ საკმეველს ჩაჰყრიან და უკმევენ, ან ხატს რომ წმინდა სანთელს აუნთებენ, კვამლი მაშინაც ადის, მაგრამ დიდი განსხვავებაა ამ ორ კვამლს შუა! პირველი უკუღმართობითაა გამოწვეული და მეორე კი სიყვარულითა და სასოებით! ჩემი „სომხიყლაპიობის“ კვამლიც ეგება ამ უკანასკნელ კვამლის გვარი იყოს?! გავსინჯოთ გულდამშვიდებით!...

თუ დავუჯერებთ ისტორიას (და რომ არ დავუჯეროთ რა უფლება გვაქვს) ჩვენ წინაპრებს ყოველთვის ძმური განწყობილება ჰქონიათ სომხებთან და საუკუღმართო რამ არა მიუძღვით რა მათდამი. არა ერთეზის მორწყულა სომხეთის მიდამოები მათ მომხრე და მათთვის თავდადებული ქართველებისაგან მოწამეთა სისხლით. სიტყვა რომ არ გავაჭიანუროთ, ისიც კმარა, რომ გავიხსენოთ, მარტო დავით აღმაშენებლის დრო მეათე საუკუნეში და გიორგი მესამის მეთორმეტეში, როცა ოცდახუთმეტი ათასმა მეომარ-ქართველმა თავი დასდო ანის ქალაქში. ჭირვეულები მეტყვიან: რა ვუყოთ მერე, ეგ პოლიტიკური მოსაზრება იყოო?! სასომხეთში შემოსული მტერი, როცა სომხებს დაამარცხებდა, მერე ხომ საქართველოსაკენ წამოვიდოდა და ამ მოსაზრებამ შეაკავშირა ქართველები სომხებთანო!.. შეიძლება ეს ასეც იყოს. უმიზეზოდ ქვეყანაზე არა ხდება რა. მაგრამ რაო მერე? ფაქტი ხომ მაინც ფაქტად რჩება და ძმური კავშირი მაინც არსებობს? და ეს კავშირი, ასე თუ ისე, ამტკიცებდა სომეხ-ქართველების ერთობას.

საქართველომ თავისი მეფობა, სარწმუნოება, ეროვნული ელფერი და დედაენა მე-19 საუკუნის კარებამდე მოიტანა შეუბღალავად და უმწიკვლოდ ჩააბარა რუსეთს. სასომხეთი კი

ეროვნული

წინათ... ბევრად ადრე დაემხო, როგორც სამეფო და სომხებიც აქეთ-იქით გარბოდნენ ქვეყნის პირად. მაშინ ერთი გუნდი მოადგა საქართველოსაც, მაგრამ ცეცხლითა და მახვილით კი არა ძალ-მომრევად, მხოლოდ ქრისტიანულის სიმდაბლით. ქართველები მიეგებნენ ძმური სიყვარულით. გაუღეს წიაღი და მიიღეს, შეიყვარეს საქართველოში, როგორც მკვიდრი შვილები. მიანიჭეს ყოველგვარი სამოქალაქო უფლება, რაც თვითონ ჰქონდათ: მიწა-წყალი, ადგილ-მამული, ხარისხი და მზამზარეული ეკლესიებიც კი. უთხრეს, აქ მოისვენეთ! შეგვეტკბით ძმურად! ამიერიდან თქვენ საქართველოს შვილები იქნებით. ჩვენ ხმლით ხელში საზღვარზე დავდგებით მტრების მოსაგერიებლად და თქვენც უშიშრად მიჰყავით ხელი სასწორ-საზომს, რადგანაც მაგგვარი შრომა და სამსახურიც სამეფოს ერთგულებაა და მისივე საჭიროებაო — ორივე მხარე დათანხმდა. ვისაც რა ემარჯვებოდა, იმას მოჰკიდა ხელი და მართლაც, თუ დაფარული რამე ედგათ გულში, ეს ვინ იცის? მაგრამ მესამოცე წლებამდე კი სიამტკბილობით იყვნენ ერთმანეთთან, ასე გასინჯეთ, რომ რჯულის სხვადასხვაობაც ვერას უშლიდა; ბევრი ქართველის ჩამომავალი აღიარებდა გრიგორიანელობას თავისუფლად და კანონი ხელს არ უშლიდა" (გაზ. „თემი", 1911 წ. № 8, აკაკი წერეთელი, „ჩემი ალსარება").

ათეული საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლილ მეზობელ, მოძმე სომხებსა და ქართველებს შუა ჩადგა ცარიზმი. რუსეთის ცარიზმის ბიუროკრატიულმა ხელისუფლებამ შეუტია იმპერიის განაპირა მხარეების მოსახლეობას. მას სურდა ფეხქვეშ გაეთელა არარუსი ხალხების ეროვნული ინტერესები, გაეტეხა მათი ძალები, ხელი შეეშალა ეროვნული კონსოლიდაციისათვის და გამოეთიშა ამ ქვეყნების მშრომელი მოსახლეობა იმ საერთო ბრძოლიდან, რომელსაც ეწეოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის გამოღვიძებული მუშათა კლასი. ამ ვერაგულ ბრძოლაში ცარიზმი ხშირად მეზობელი ხალხების ერთიმეორეზე წასისინების პოლიტიკას მიმართავდა და მათ თანდათან აშორებდა ბრძოლის მთავარ გზას, ცარიზმის ამ პოლიტიკას, სადაც კი ფეხი მოიკიდა და გაღვივდა, არასასურველი და ზოგჯერ შემზარავი შედეგები მოჰყვა.

„ბრძოლის ასპარეზზე გამოჩნდნენ ხუდაბაშოვები, ქიშმიშოვები, ნახაპეტიანები, იეზოვები, პატკანოვები, არწრუნები და სხვები, რომლებმაც მიზნად დაისახეს სომხური და ქართული ეროვნული ისტორიული ცხოვრების გაყალბებითა და გაბიაბრუებით მკვიდრი ნიადაგი შეექმნათ სომხური ბურჟუაზიისათვის საქართველოში და ხელი შეეწყოთ კლასობრივი ბრძოლის შენელებისა და ეროვნული შუღლის გაღვივებისათვის. ილია ჭავჭავაძე ამ პირებს სომხების „ერთ გუნდს" უწოდებდა, რომლებიც აშკარად სომეხი ხალხის წინააღმდეგ მიდიოდა და მათ ნამდვილ სურვილს ანგარიშს არ უწევდა... (იქვე).

ისტორიას საკუთარი კანონზომიერება აქვს და ადრე თუ გვიან სიმართლე იმარჯვებს. ცხოვრებამ სააშკარაოზე გამოიყვანა ისტორიული სინამდვილის გამყალბებლები და პოხიერი ნიადაგი შექმნა ჭეშმარიტების აღსადგენად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან ტომარაძე

# ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗᲔᲑᲨᲘ

ახლო აღმოსავლეთში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს „მევლევიელთა“ ცნობილი ორდენის დამაარსებელი, XIII ს. მისტიკოსი პოეტი, ჯელალედინ რუმი. ხალხმა „არსთა მოძღვარი“ უწოდა რუმის იმ ღრმა და საინტერესო ეთიკურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა გამო, რითაც პოეტის მხატვრული აზროვნება, საუკუნეების მანძილზე მძლავრ მასაზრდოებელ იმპულსს ანიჭებდა აღმოსავლეთის შემოქმედებით ფანტაზიას.

გამოჩენილი ინგლისელი ორიენტალისტი, რ. ნიკოლსონი ასე ახასიათებს წმინდანის შარავანდედით მოსილი მისტიკოსი პოეტის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა საზღვრებს: „რუმი შესანიშნავად ერკვეოდა ფიზიკურ და სულიერ მოვლენათა დანიშნულებასა და არსში, თავისუფლად მსჯელობდა მათზე. შესწევდა უნარი გადაეხსნა პირბადე და დაენახა მიღმა არსებული ჭეშმარიტება“.

„მე ვარ უფლის თეთრი ქორი,
სხვას ვის ხედავთ ჩემსა ტოლსა!“ —

ამბობს ერთ ლექსში პოეტი. ეს სტრიქონები გარკვეულ ასოციაციებს აღძრავს მკითხველში და ათას საფიქრს აუშლის რუმის შემოქმედებით დაინტერესებულ მკვლევარებს. მევლანას მხატვრული მემკვიდრეობის რთულ ლაბირინთებში ადვილი როდია ამოიცნო, რა ძალამ ათქმევინა ლეგენდად ქცეულ პიროვნებას დიდი შინაგანი რწმენით გახსივოსნებული სიტყვები:

„არ იცი, რომ მე მეფე ვარ
და დიდების ბაკმი მმოსავს!“...

(თარგმანი მ. თოდუასი).

„ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს საფლავს მიწაში ნუ დაუწყებთ ძებნას, განათლებული ხალხის გულებში მოიძიეთ იგი“. — უანდერძებია მომავალი თაობებისათვის პოეტს. წინასწარმეტყველური გამოდგა რუმის სიტყვები. საუკუნეების შემდეგ ევროპისთვისაც მახლობელი აღმოჩნდა მევლანას პოეტური ფენომენი. XIX ს. გერმანელები რიუკერტის მშვენიერი თარგმანებით გაეცნენ მისტიკოსის შემოქმედებას. ესთეტიკის საკითხებზე მსჯელობისას ჰეგელმა ჯელალედინ რუმის პოეტური ნიმუშები მოიშველია და გაოცება ვერ დაფარა მხატვრული სიტყვის ფლობის მისეულ უნარზე.

გოეთემ სპარსული კლასიკური პოეზიის წარმომადგენელთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედში მოიხსენია რუმი და საპატიო ადგილი მიუჩინა თავის „დასავლურ-აღმოსავლურ დივანში“. ფართოდ გაიშალა მევლანას პოეტური მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევაც. საბედნიეროდ, XIX ს-ში პოლიტიკურ-ეკონომიკურ დაინტერესებას ევროპელების მიერ აღმოსავლეთის კულტურის ინტენსიური შესწავლაც მოჰყვა, რამაც დადებითი ნაყოფი გამოიღო...

ქართველი მკითხველისათვის მრავალმხრივ არის საყურადღებო ჯელალედინ რუმი. მევლანად (ჩვენი ღმერთი) წოდებული პოეტი, შეუძლებელია არ გვაღელვებდეს თუნდაც იმ დიდი სიმპათიებისათვის, მის მიმართ რომ განიცდიდა თამარ მეფის შვილიშვილი, სახელად თამარი, „გურჯი ხათუნად“ წოდებული, რუმის სასულთანოს მშვენებად მიჩნეული პირადი მომხიბვლელობისა და მიმზიდველობის გამო. ატმოსფერო, რამაც განაპირობა ამ ორი არაორდინარული პიროვნების ურთიერთობა, საგანგებოდ გამოიკვლია და შეისწავლა პროფ. ე. ჯაველიძემ წერილში: „გურჯი ხათუნისა (დედოფალი თამარის) და ჯელალ-ედ-დინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან“. მან დამატებითი ინფორმაციით გაამდიდრა ცნობები, რომლებიც ცოტა ხნით ადრე ა. გაწერელიამ გააცნო მკითხველ საზოგადოებას. ე. ჯაველიძემ წინა პლანზე წამოწია მევლევიელთა ორდენის სულისჩამდგმელისა და იდეოლოგის, ჯელალ-ედ-დინ რუმის მსოფლმხედველობის კარდინალური საკითხები, გვიჩვენა, რომ გურჯი ხათუნისა და პოეტის მეგობრობის საფუძ-

ველს, უმთავრესად, რელიგიური თანამოაზრეობა წარმოადგენდა. ეს იდეა შემდგომი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის საუკეთესო პერსპექტივას ქმნიდა...

ე. ჯაველიძე შესანიშნავად იყო მომზადებული იმ დილემის დასაძლევად, რომლის წინაშეც მევლანას პოეზიით დაინტერესებული არა ერთი მკვლევარი აღმოჩენილა. მას უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული მონოგრაფია შუა საუკუნეების თურქი პოეტის რუჰი ბაღდადის შესახებ, საყურადღებო გამოკვლევა დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ფიზულის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, წერილების სერია, რომელშიც მეცნიერის ინტერესთა სფერო და მიზანდასახულობა სრულად გამოიკვეთა.

თურქული ლიტერატურის პრობლემების გაცნობისას ნათლად გამოჩნდა, რომ ჯელალედდინ რუმის შემოქმედების გამოწვლილვითი ანალიზის გარეშე, შეუძლებელია ამ ქვეყნის ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა. ეს უაღრესად საინტერესო ფიგურა, მართალია, მშობლიურ სპარსულ ენაზე ქმნიდა პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშს, მაგრამ მთელი ცხოვრება ანატოლიაში გაატარა და საუკუნეთა მანძილზე მისი მხატვრული ნააზრევი თურქეთის ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების, ხელოსნური ცხოვრების „მასაზრდოებელი წყარო და მამოძრავებელი ღერძი იყო". თავის შემოქმედებაში პოეტი აერთიანებდა ეპოქის ინტელექტუალური ცხოვრების უმთავრეს მომენტებს, მის ყველა საუკეთესო ნიშან-თვისებას და ახალი შინაარსით ამდიდრებდა მას.

მონოგრაფიაში „თურქული ლიტერატურის სათავეებთან" (ნაწილი I, „მეცნიერება", 1979), ე. ჯაველიძე საგულდაგულოდ იკვლევს რუმის ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების მრავალფეროვან პლასტებს. ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, მკვლევარი წარმართავს საინტერესო და უაღრესად საჭირო „დიალოგს წარსულთან". იგი ცდილობს, სრულად გადაუშალოს რუმის შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს მევლანას პოეტური სამყარო, იქცეს მის ერთგულ მეგზურად და მეკავშირედ. მონოგრაფიის პირველივე გვერდებიდან იგრძნობს მკითხველი იმ ფილოლოგიური სკოლის კეთილ ზეგავლენას, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში არსებობდა პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობით ცენტრში და რომლის ბრწყინვალე ტრადიციებს ეზიარენ ე. ჯაველიძის მასწავლებლები, ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა რამდენიმე თაობის აღმზრდელები, თვალსაჩინო მეცნიერები: აკად. გ. წერეთელი და ს. ჯიქია. ამ დიდი მეცნიერული სკოლის საუკეთესო ღირსებების ერთგულებამ ე. ჯაველიძეს საშუალება მისცა მწყობრ სისტემად ჩამოეყალიბებინა მრავალი წლის კვლევის შედეგები, გაეანალიზებინა და ზუსტი კვალიფიკაცია მიეცა ჯელალედდინ რუმის შესახებ არსებული მრავალი, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისისათვის.

მკვლევარმა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გაამახვილა მევლანას პოეტური აზროვნების სტილზე, რომელიც მან განსაზღვრა როგორც „მარადიული ძიება, გადასვლა ერთი მეთოდიდან მეორეზე". გვიჩვენა, რომ რუმის მსოფლმხედველობაზე აირეკლა პრაქტიკული და რაციონალური მისტიციზმის უმთავრესი მომენტები. პოეტმა შექმნა გარკვეული ესთეტიკური ატმოსფერო, გარემო, რომლის იდეურ საყრდენს ყურანი წარმოადგენდა. ისტორიზმის პრინციპის მოშველიებით ე. ჯაველიძემ სრულიად ახალი რაკურსით დაგვანახა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც აზრთა სხვადასხვაობასა და მეცნიერული კამათის საგანს წარმოადგენდნენ. კვლევის მეთოდი, რომელსაც ე. ჯაველიძე მიმართავს, განპირობებულია რუმის რთული მხატვრული ფენომენის მკითხველამდე უკეთ მიტანის სურვილით. მევლანას შემოქმედებისადმი ასეთმა ორიგინალურმა მიდგომამ განაპირობა ის უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნებიც, რომელსაც ე. ჯაველიძე გვთავაზობს.

თითოეულ მათგანზე ვრცელი მსჯელობა ცხადია, ძალზე რთულია და შეუძლებელიც ერთი წერილის ფარგლებში. შევეხები მხოლოდ ზოგიერთ საკითხს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლური ლიტერატურის შემდგომი კვლევისათვის.

საინტერესოდ გვეჩვენება თეზა, რომ მევლანას ღმერთი, წინააღმდეგ არაერთგზის მტკიცებისა, არა ჰგავს ჰეგელის ღმერთს. პოეტის შეხედულება ერთარსება ერთისა და მარადიულის შესახებ იმ კონცეფციის იდენტურია, რომელიც ძველთაგანვე არსებობდა სხვადასხვა რელიგიურ სისტემებში, განსაკუთრებით კი ქრისტიანულ და მუსლიმურ ეზოტერიზმში და შემუშავებულია კატაფატიკურ-აპოფატიკური ღვთისმეტყველების მიერ. ასეთი დასკვნის გამოტანა საკმაოდ რთულია და მეცნიერისაგან მოითხოვს ანტიკური სამყაროს, შუა საუკუნეების სქოლასტიკის, აღმოსავლეთის ქრისტიანულ და მუსლიმურ თეოსოფიურ მოძღვრებათა ზედმიწევნით ცოდნას, დიდ მეცნიერულ ერუდიციასა და გამოცდილებას.

მონოგრაფიაში გამოთქმულ შეხედულებათაგან მნიშვნელოვანია აგრეთვე იდეა, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების მოაზრებისას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ადამიანის პრობლემას, რუმი არღვევს ორთოდოქსული ისლამის მიერ შემუშავებულ დოგმებს, რადგან პოეტის მსჯელობა სულის მარადიულ წრებრუნვაზე წარიმართება დიალექტიკური დაპირისპირების გზით.

მონოგრაფიაში ძალზე მოხერხებული ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაა შერჩეული რუმის მხატვრული აზროვნების ცალკეული შრეების წარმოსაჩენად. ე. ჯაველიძე სულის წრებრუნვაზე მეცნიერული მსჯელობისას, ჩერდება პოეტის შემოქმედების უმთავრეს საკითხებზე და გულდასმით იკვლევს თითოეულ მათგანს. მკითხველს, ერთი მხრივ, საშუალება ეძლევა გაერკვეს რუმის აზროვნების ცალკეული პლასტების ურთიერთმიმართებაში, ხოლო მეორე მხრივ, ნათელი წარმოდგენა ექმნება იმ ინტელექტუალურ გარემოზე, რომელიც XIII ს. არსებობდა ახლო აღმოსავლეთში. არკვევს, აგრეთვე, თანამედროვე მეცნიერების დამოკიდებულებას ამ პრობლემათა მიმართ. „საიდუმლო და ემანაცია“, „ჭეშმარიტება და არეკვლა“, „ბნელი და ნათელი“, „ჭეშმარიტებისაკენ ლტოლვა“, „გამოღვიძება“, „ღამეში მზის ხილვა და მზედ გარდაქმნა“, — ეს არის მონოგრაფიის ის ძირითადი თავები, რომელთა გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ ჯელალედინ რუმის, თავისი ეპოქის უმნიშვნელოვანესი ეთიკურ-ფილოსოფიური პრობლემების წინა პლანზე წამოწევით და ამ პრობლემათა ინტერპრეტაციის საკუთარი გზების ძიებით, ისლამის სამყარო შუა საუკუნეების მოწინავე აზროვნების ორბიტაზე გაჰყავს.

მონოგრაფიაში გაშუქებულ საკითხთა წრე ხშირად სცილდება ერთი, თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი პოეტის შემოქმედებას, როგორიც ჯელალედინ რუმია. ამ მხრივ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია შრომის ის ნაწილი, სადაც ე. ჯაველიძე ლაპარაკობს ერთისა და სიმრავლის მიმართების პრობლემებზე. მკვლევარი მიმოიხილავს თითქმის ყველა ძირითად, დღემდე მიღებულ დებულებას და მკითხველის ყურადღებას შეაჩერებს იმ გარემოებაზე, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი, შუა საუკუნეების მისტიკურ მიმდინარეობაზე მსჯელობისას, არც თუ იშვიათად, პანთეიზმს მოიშველიებენ ხოლმე, როგორც აღნიშნული ეპოქის აზროვნების ერთერთ მთავარ ნიშან-თვისებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კვლევის ასეთ მიმართულებას, ჰეგელმა მისცა დასაბამი. ნეოპლატონიზმის პრობლემების შესწავლის პროცესში, ბუნებრივია, ვერც ჩვენი მეცნიერები აუვლიან გვერდს პანთეიზმის პრობლემას. ე. ჯაველიძეს, მონოგრაფიაზე მუშაობისას, როგორც ჩანს, დიდ დახმარებას უწევდა ქართული მასალა. ქართველ ნეოპლატონიკოსთა შრომები, ნეოპლატონიზმის შესახებ არსებული მეცნიერული პრობლემების კრიტიკული ანალიზი მკვლევარისათვის კარგ ორიენტირს წარმოადგენდა აღმოსავლეთის თეოსოფიურ მიმდინარეობათა დახასიათებისას. ე. ჯაველიძემ საკუთარი კვლევის შედეგად მიღებული თეორიული მონაცემები შეუჯერა ამერიკისა და ევროპის ორიენტალისტური სკოლების თვალსაჩინო მიღწევებს და საერთოდ უარყო პანთეიზმის ისეთი გაგება, რომელიც საბჭოთა მედიევისტიკაშია ძირითადად მიღებული. მკვლევარი მკითხველს შეახსენებს პანთეიზმის განსაზღვრებას და მიუთითებს მის არასრულყოფილებასა და უზუსტობაზე. ე. ჯაველიძე იზიარებს შუა საუკუნეების ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარის ვ. სოკოლოვის შეხედულებას, რომ ამა თუ იმ პანთეისტური კონცეფციის შეფასება მატერიალისტურად ან იდეალისტურად, უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ ანალიზს, რომლის დროსაც აუცილებელია გავითვალისწინოთ მოცემულ ისტორიულ კონტექსტში ფილოსოფიური აზროვნების ბრძოლის მთავარი მიმართულება. ამასთანავე, საჭიროა გავარკვიოთ, როგორ ესმოდათ ამა თუ იმ ეპოქაში ღმერთი და როგორ განიხილავდნენ ბუნებას, რამდენადაც, ამ ცნებათა ურთიერთიმიმართება ქმნის სწორედ პანთეიზმის არსს.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა, ე. ჯაველიძის აზრით, როდი ნიშნავს იმას, რომ პანთეიზმის გაგება იცვლებოდა დროთა ვითარებაში. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ეს ფილოსოფიური მიმდინარეობა იძენდა, მეტნაკლებად, ხან იდეალისტურ, და ხან მატერიალისტურ ელფერს. ამიტომ პანთეიზმის დახასიათებისას მკვლევარისათვის ამოსავალი უნდა იყოს ის, რომ პანთეიზმის ძირითადი სპეციფიკა დავინახოთ სამყაროსა და ღმერთის, თუ შეიძლება ითქვას, თანაფარდობაში. მთავარია, რომ მიუხედავად ერთ სუბსტანციად შერწყმისა, ამ მოძღვრების მიხედვით სამყარო და ღმერთი ინარჩუნებენ როგორც ღვთიურ, ასევე მატერიალისტურ თვისებებს. პანთეიზმი, როგორც ცნობილია, ონტოლოგიურად აღიარებს ღმერთსაც და ბუნებასაც, რაც გამოიხატება ფორმულით: „ღმერთი არის ბუნება და ბუნება არის ღმერთი“. ე. ჯაველიძე თანმიმდევრულად ავითარებს ამ აზრს და გვიჩვენებს, თუ რომელი რითია განპირობებული — ღმერთი ბუნებით, თუ ბუნება ღმერთით. ასეთი მსჯელობით, მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ: „ეს არის ერთი სუბსტანცია, რომლის არსებობის მიზეზი თვით მასშია მოცემული, არსებობს თავისთავად და თავისით გამოვლინდება. ამიტომ პანთეიზმი უარყოფს ღმერთის ტრანსცენდენტულობას, მის ანტროპომორფულობას და სამყაროს მეორადობასა და თავისთავადობას. ამით განსხვავდება იგი, როგორც მატერიალიზმისაგან, ისე იდეალიზმისაგან. იდეალიზმისაგან განსხვავებით, ის აღიარებს მატერიალურისა და ბუნების ონტოლოგიურ არსებობას, ხოლო მატერიალიზმისაგან განსხვავებით ღმერთის რეალობას“. ამგვარი მსჯელობის საფუძველზე, ცხადია, დღის წესრიგში დგება საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია შუა საუკუნეების აღმოსავლური მისტიციზმი პანთეისტურ მიმდინარეობად მოვნათლოთ. გა-

რდა ამისა, იგი სრულიად ახლებურად წარმოგვიდგენს ერთისა და სიმრავლის მიმართების სუფიურ გაგებასაც.

სუფიების თეოსოფიურ მსოფლმხედველობაში, როგორც ვიცით, ამოსავალი უმთავრესად არის ყურანი, სადაც ღმერთი წარმოადგენს აბსოლუტურად მარადიულ, ტრანსცენდენტურად არსებულ ჭეშმარიტებას. იგი მთლიანად გადატანილია ირეალურ სამყაროში და რაციონალური გზით მისი შეცნობა შეუძლებელია. საბჭოთა მეცნიერების ცალკეულ შრომებში გაბატონებული შეხედულებები, რომელიც ვერ აცდა წლების მანძილზე დაკანონებულ შტამპებსა და ზედაპირული აზროვნების ცდუნებას, სუფიზმის პანთეისტურ მიმდინარეობად გამოცხადება დაკავშირებული იყო შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ამ უმნიშვნელოვანეს მისტიკურ მოძღვრებაში პროგრესული მომენტების ძიების ცდებთან. მაგრამ სუფიზმი თავისთავად შეიცავს რამდენიმე ისეთ ნიშანთვისებას, რომელიც სრულებითაც არ არის ცოტა იმისთვის, რომ მან გარკვეული ადგილი დაიკავოს აზროვნების ისტორიაში. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ სუფიზმი იქცა საზოგადოების ცალკეული ფენების შინაგანი პროტესტის მძლავრ იარაღად, რითაც მისი მიმდევრები დაუპირისპირდნენ ორთოდოქსული ისლამის დამცველებს...

ე. ჯაველიძემ ახალი, ძალზე მნიშვნელოვანი შტრიხებით შეავსო ე. წ. „ნონპანთეიზმის“ თეორია და შესანიშნავად მიუსადაგა იგი რუმის შემოქმედებას. მან გვიჩვენა, რომ მევლანას მსოფლმხედველობის სწორი ინტერპრეტაცია, პრობლემის მასშტაბური და მიუკერძოებელი გაშუქების საფუძველზე გახდება მხოლოდ შესაძლებელი. მკვლევარის მიერ წინა პლანზე წამოწეულმა თეზამ, უკვე შეიძინა პრაქტიკული ღირებულება და მრავალი მეცნიერის ერთ-ერთ პოპულარულ სამუშაო თეორიად იქცა. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ცნობილი საბჭოთა ორიენტალისტის ო. აკიმუშკინის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება („იხ. Дж. С. Тримингэм, «Суфийские ордены в Исламе, «Наука», 1989 г., с. 209).

მონოგრაფია „თურქული ლიტერატურის სათავეებთან“ ვრცელ და საინტერესო ინფორმაციას იძლევა ჯელალედდინ რუმის მსოფლმხედველობის სხვა საკითხებზეც. მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია გამოკვლევის ის ნაწილი, სადაც ნაჩვენებია იდეის მხატვრული ტრანსფორმირების გზა. ამ საკითხის გაშუქებისას მკითხველისათვის გარკვეულ ესთეტიკურ სტატუსს იძენს ის მხატვრული ხერხები და გამოხატვის საშუალებები, რომელთა საფუძველზეც რუმის ლექსი გარკვეული იდეის მატარებელი ხდება.

იდეის სტრუქტურის, ტექსტის სტრუქტურასთან მიმართების საკითხი, მონოგრაფიის მართალია ძირითადი არა, მაგრამ მნიშვნელოვანი მხარეა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სხივისა და ღამის მხატვრული სიმბოლოს გახსნა, რომელიც რუმის შემოქმედებაში ერთ-ერთ უმთავრეს ტროპს წარმოადგენს. ქრისტიანულ და ისლამურ თეოსოფიურ აზროვნებაში ძალზე პოპულარული შედარება, რუმის პოეზიაში, როგორც ე. ჯაველიძე მიუთითებს, ალ-ღაზალის თეოსოფიური სისტემის გავლენით არის ნაკარნახევი. ძალზე მნიშვნელოვანია, რუმის მხატვრული მემკვიდრეობის ამ კუთხით შესწავლა. მომავალში ასეთი სახის მუშაობა, ალბათ კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და ფართოდ გაიშალოს...

კარგი იქნება, თუ ე. ჯაველიძე კვლავ მიუბრუნდება რუმის შემოქმედებას და საზოგადოებას, ქართულად, პოპულარული ენით მოუთხრობს მევლანას უაღრესად საინტერესო პიროვნების შესახებ, მისი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებზე, რთულ მხატვრულ-ფილოსოფიურ სამყაროზე. იგი უთუოდ მიიზიდავს ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც ბოლო დროს, აღმოსავლური სულიერი კულტურით დიდად არის გატაცებული.

მონოგრაფია „თურქული ლიტერატურის სათავეებთან“, ნაწ. I, უკვე იქცა სპეციალისტების სამაგიდო წიგნად. იგი შეისყიდა მრავალმა ქვეყანამ, რაც იმის უტყუარი საბუთია, რომ თანამედროვე მეცნიერება მომავალშიც გვერდს ვერ აუვლის შრომაში დასმულ და ახალი კუთხით დანახულ პრობლემებს.

„თურქული ლიტერატურის სათავეებთან“, ნაწ. II (იუნუს ემრე, „მეცნიერება“, 1985 წ.), ასე ეწოდება შრომას, სადაც ე. ჯაველიძე აგრძელებს თურქული ლიტერატურის ძირეული საკითხების კვლევას.

მეცნიერი მიზნად ისახავს ცნობილი პოეტის, იუნუს ემრეს შემოქმედების კომპლექსურ შესწავლას. ემრეს პოეზიის სპეციფიკამ და მკვლევარის წინაშე დასმულმა ამოცანამ განაპირობა შრომის სტრუქტურა, რაც სერიოზული სირთულეების წინაშე აყენებდა მას. დივანის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი სალექსო ფორმები და ზეპირსიტყვიერების გავლენით შექმნილი პოეზიის ცალკეული ნიმუშები, რასაც ერთვის იუნუს ემრეს ცხოვრების ძირითადი ეტაპების დადგენის აუცილებლობა და ტექსტოლოგიური სახის ბარიერები, დიდ მეცნიერულ სიფრთხილესა და ალღოს მოითხოვს. ე. ჯაველიძე თავად განუმარტავს მკითხველს შრომის თავისებურებას, მის არსსა და დანიშნულებას.

„დღეს საყოველთაოდ ცნობილია, — წერს ავტორი, — რომ ლექსი — რთული მოდელირებული სისტემაა, ესთეტიკური ფენომენია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც გამოხატვისა და შინაარსის პლანების დიალექტიკური ერთიანობით საზრდოობს. მიღებული სისტემა გულისხმობს მრავალ ელემენტთა ურთიერთობას სინტაგმატიკურ და პარადიგმატიკურ ღერძებზე. მხოლოდ ამ ელემენტთა თანმიმდევრული ანალიზითა და სინთეზით ხდება შესაძლებელი, თუ შეიძლება ითქვას, მაკროსისტემის სწორი გაგება". აქედან გამომდინარე, აუცილებელია იუნუს ემრეს პოეზიის როგორც ტროპიკულ, ასევე ფონოლოგიურ დონეზე კვლევა. აღსანიშნავია, რომ თურქული ლიტერატურა, ამ კუთხით, თითქმის არ არის შესწავლილი. არსებობს რამდენიმე ცდა, რომელიც დაზღვეული არ არის უზუსტობისა და არაკომპეტენტურობისაგან. მოსკოველი მეცნიერი ვ. კუდელინი, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა იუნუს ემრეს შემოქმედების კვლევის საქმეში, სამწუხაროდ, ვერ აცდა სერიოზულ შეცდომებს.

მაგ. მკვლევარის მტკიცებით, იუნუს ემრეს შესახებ არსებული ცნობების სიმწირე განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მისი ერესი ეწინააღმდეგებოდა ორთოდოქსული ისლამის დოგმებს. ჯაველიძე უარყოფს ამ თვალსაზრისს და დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ პოეტის შემოქმედებაში ერესი არ არის ისეთი დოზით წარმოდგენილი, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ბედი რომ განესაზღვრა. შესაბამისად, იგი ვერ გახდებოდა პოეტის შემოქმედების იგნორირების მიზეზი. ე. ჯაველიძე საინტერესოდ ხსნის ვ. კუდელინის მიერ წინა პლანზე წამოწეულ დებულებას. საქმეში ჩახედული მკითხველი შეუძლებელია არ დაეთანხმოს მკვლევარს, როდესაც ის მიუთითებს, რომ შუა საუკუნეებში იყო შემთხვევები, ესა თუ ის პოეტი თუ მოღვაწე, ერეტიკულ იდეებს რომ ემსხვერპლა, მაგრამ ამის გამო, მათი სახელი არ მისცემია დავიწყებას, პირიქით, ისინი დიდების შარავანდედითაც კი იყვნენ მოსილი. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჰალაჯა მანსური და ნესიმი, რომლებიც სასტიკად აწამეს და წმინდანებად არიან შერაცხული.

ე. ჯაველიძე ვრცლად მიმოიხილავს აღნიშნულ საკითხს და გამოაქვს ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ შუა საუკუნეების ესთეტიკური მოდუსი და იმდროინდელ თურქეთში გაბატონებული ლიტერატურული ეტიკეტი განსაზღვრავს იმ გარემოებას, რომ აშუღური და დერვიშული ლიტერატურა თეზქერეს (ბიოგრაფიების) ავტორთა მხედველობის არეში ვერ მოექცა. თანზიმათის ეპოქაში კი (XX ს.-ის დასაწყისი), როდესაც ლიტერატურულ და ესთეტიკურ შეხედულებათა გადაფასება მოხდა, თავი იჩინა ამ მიმდინარეობით სერიოზულმა დაინტერესებამ. ანგარიშგასაწევია ე. ჯაველიძის მეორე შენიშვნაც. წინააღმდეგ ვ. კუდელინის მიერ გამოთქმული მოსაზრებისა, რომ ხალხური სიმღერის ტრადიცია იუნუს ემრეს მხატვრულ სისტემაში არ წარმოადგენს მთავარ კომპონენტს, მკვლევარი უპირისპირებს ტექსტის უმარტივეს შემადგენელ ნაწილებად დაშლით მიღებულ შედეგებს და ასკვნის, რომ ემრეს პოეტურ სამყაროში ხან ტრადიციული ტროპებია გაბატონებული, ხან მუდმივი ინვარიანტული ელემენტები, რომელიც დივანის ლიტერატურასა და აშუღურ-დერვიშულ პოეზიაში იყო დამკვიდრებული.

იუნუს ემრეს ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაში არსებულ ხარვეზებს ავსებს მონოგრაფიის ის ნაწილი, სადაც ე. ჯაველიძე აღადგენს პოეტის ცხოვრების გზას ლეგენდებისა და მხატვრული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების საფუძველზე. ავტორი დაწვრილებით მოუთხრობს მკითხველს იმ ძირითადი ვერსიების შესახებ, რომელიც ემრეს ცხოვრების ამა თუ იმ მომენტს ჰფენს შუქს. მკვლევარი ერთმანეთისაგან მიჯნავს კოლექტიური აზროვნების ნაყოფს იმ ამბებისაგან, რომლებიც შეიძლება რეალურად მომხდარიყო. სავსებით დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რამდენად მისაღები ან უკუსაგდებია ესა თუ ის ვერსია.

იუნუს ემრეს კულტს დღესაც არ დაუკარგავს თურქეთში ცხოველმყოფელი ძალა. ბევრსა აქვს პრეტენზია იყოს პოეტის შემოქმედების პირუთვნელი მსაჯული, ამიტომ ე. ჯაველიძე მაქსიმალურად ცდილობს, რომ მისი მსჯელობა ზედმიწევნით არგუმენტირებული იყოს და ცალკეულ მკვლევართა შეხედულებების გათვალისწინებით აგებს ახალ მეცნიერულ მოდელს.

თურქული ლიტერატურითა და ზოგადად, ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებული მკითხველი მონოგრაფიაში იპოვის მდიდარ მასალას. იგი მშვენიერ გზამკვლევს წარმოადგენს, აგრეთვე XVIII-XIX სს-ის ქართული ლიტერატურის, კერძოდ, ქალაქური პოეზიის შესასწავლად. ამ პერიოდის ამქრული და სუფიურ-დერვიშული ორგანიზაციების სტრუქტურაში, ქალაქური პოეზიის რთულ ნიუანსებში წვდომისას, ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ნაშრომს, რომელშიც ვრცლად არის წარმოდგენილი და გაანალიზებული იუნუს ემრეს შემოქმედების ეს მხარეც.

ლექსის სტრუქტურის საკითხები, მეტრი და რიტმი, ევფონია და რითმა, მხატვრულ სახეთა სისტემა, რომელიც ე. ჯაველიძის მიერ მონოგრაფიულად არის შესწავლილი, ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის იმ ლიტერატურულ ტენდენციებზეც, რომელიც XIII ს. დასასრულსა და XIV ს. დასაწყისის თურქულ მწერლობაში შეინიშნება. იგი კარგ სამსახურს გაუწევს

აგრეთვე ტექსტოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს. საშუალებას მისცემს სპეციალისტებს ახალი მონაცემების გათვალისწინებით გადაიკითხონ ამ ეპოქის თურქული ლიტერატურა.

მკითხველი დიდი სიამოვნებით გაეცნობა შრომაში წარმოდგენილ იმ თავებს, სადაც ემრეს შემოქმედების მხატვრულ სახეთა სისტემაზეა ლაპარაკი. მკვლევარი მხოლოდ ცალკეული სიდიდეების გამოვლენითა და ზოგადი აღწერით როდი შემოიფარგლა. საკვლევი ობიექტის სრულყოფილმა წარმოჩენამ მოითხოვა მხატვრულ სახეთა მოქმედების, ფუნქციის, არეალისა და შედეგების დადგენა. მისი ადგილის გარკვევა ლექსის მთლიან მაკროსისტემაში. ექსტრატექსტთან მისი მოქმედების ხარისხის განსაზღვრა.

უაღრესად თანამიმდევრული, ლოგიკური და ზუსტი მსჯელობა, უხვი საილუსტრაციო მასალა, რომელიც ავსებს ამა თუ იმ იდეას, აფართოვებს წარმოდგენას იუნუს ემრეს შემოქმედებით მეთოდზე, ესთეტიკური ტკბობის განცდას ბადებს მკითხველში და აზრის დინამიურობისა და საკითხის მიმართ უაღრესად სათუთი დამოკიდებულებით, შემოქმედებითი პროცესის თანაგანცდასაც აზიარებს მას.

აღმოსავლური ლიტერატურის პრობლემებზე მუშაობის დანიშნულებასა და პერსპექტივებზე, ასეთი სახის კვლევის აუცილებლობაზე ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებისათვის ე. ჯაველიძე ვრცლად მსჯელობს შრომაში „თურქული პოეტიკა“ („განათლება“, 1988 წ.) — „მახლობელი აღმოსავლეთის პოეტური სამყარო ჩვენთვის, სულ მცირე, ორი თვალსაზრისით არის საყურადღებო, — წერს იგი, —, ერთი, ის როგორც ესთეტიკური ფენომენი, თავისთავად ძალზე საინტერესოა და მას დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა აქვს, მეორეც, რაც მთავარია, ჩვენი ერის სულიერი ცხოვრება ისე ვითარდებოდა, რომ საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო კონტაქტი და შეხების წერტილები ჰქონდა მასთან. ამ ფაქტმა, ბუნებრივია გამოიწვია ის, რომ არც თუ იშვიათად, ესთეტიკური თუ ლიტერატურული აზრის განვითარებაში თავს იჩენს მსგავსი მოვლენები თუ მოდელები, აზრობრივი პოსტულატები თუ გამოსახვის საშუალებათა დამთხვევა, რასაც, სხვა მნიშვნელოვან მიზეზთან ერთად, ურთიერთგავლენაც უნდა აპირობებდეს“.

„თურქული პოეტიკა“ სტუდენტი-ახალგაზრდობისა და სპეციალისტებისათვის მშვენიერი სახელმძღვანელო ` წიგნია. იგი ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში. თურქული ლექსის სტრუქტურის მრავალი საჭირბოროტო საკითხი მასში ორიგინალურად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი. მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურული მასალა, პოეტური სიტყვის საუკეთესო ნიმუშები ზოგად წარმოდგენას უქმნის დაინტერესებულ მკითხველს თურქული ლექსის სტრუქტურის თავისებურებასა და გენეზისზე.

აღმოსავლური ლიტერატურის პრობლემები და საკითხთა ის წრე, რომელიც ე. ჯაველიძის მეცნიერული ინტერესების ორბიტაშია მოქცეული, ბუნებრივია, მას აღუძრავს სურვილსა და მოთხოვნილებას, საკუთარი დამოკიდებულება გამოხატოს ქართულ მწერლობასა და თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში მიმდინარე პროცესების მიმართ. ახლო აღმოსავლეთის კულტურასა და მხატვრული აზროვნების სპეციფიკაში გათვითცნობიერებულ მკვლევარს, მრავალი წლის მუშაობის გამოცდილება და ფართო თვალსაწიერი, საშუალებას აძლევს, ქართული ლიტერატურის მტკივნეული პრობლემების საკუთარი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზოს.

თუ გადავხედავთ წერილების კრებულს, სადაც თავი მოიყარა წლების მანძილზე დაგროვილმა საინტერესო დაკვირვებებმა, დავინახავთ, რომ ე. ჯაველიძე სისხლხორცეულად განიცდის იმ მოვლენებს, ბოლო პერიოდის ქართულ მწერლობაში რომ შეინიშნება (შტუდიები, „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ.) და ამკვიდრებს აკადემიზმის პრინციპებს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში. აზრთა ინვარიანტულ სისტემაში, მკვლევარი ეძებს და ხშირად პოულობს კიდეც საკვლევი ობიექტის ადეკვატური ასახვის საშუალებებს და ოსტატურად გადაუშლის მკითხველს ამა თუ იმ მწერლის სულიერ სამყაროს.

გავიხსენოთ, თუნდაც, რუსთველოლოგიის საკითხებზე უკანასკნელ წლებში გამართული საგულისხმო კამათი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ახლებურად წაკითხვის ცდას შეეხებოდა.

ე. ჯაველიძე ლიტერატურის თეორიის ზოგადი პრინციპების მოშველიებით, განმარტავს ზოგიერთ დებულებას, რომლის უგულებელყოფას, მისი აზრით, სავალალო შეცდომებამდე მივყავართ. ამის შემდეგ, მკვლევარი მსჯელობს ტექსტისა და ექსტრატექსტის სტრუქტურების ურთიერთმიმართების შესახებ და მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი დიალექტიკური პრინციპით არის გამთლიანებული და ქმნის მხატვრულ ფენომენს. ამიტომ „რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებზე სერიოზული მსჯელობისას, — აღნიშნავს იგი, ავტორის ჩანაფიქრის მხოლოდ ინტუიციური „გრძნობით“ აღქმა, ცხადია, საქმეს ვერ უშველის“. გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ორად, „მეცნიერულად“ და „პოეტურად“ გამიჯვნამ და შესაბამისად მკითხველის დაყოფამ სხვადასხვა კატეგორიებად და რაც მთავარია, მხატვრული ნაწარმოების დაშლამ და გათიშვამ, ურთიერთისგან დამოუკიდებელ ცნებებად ტექსტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და მისი წაკითხვის წარმოდგენამ, გამოიწვია კვლევის არასრულყოფილება და რუსთველოლოგების მხრივ მწირალ თ. ჭილაძის მიერ წამოყენებულ დებულებათა მკაცრი კრიტიკა“.

ე. ჭაველიძე არ შემოიფარგლება ტექსტის მეცნიერული ანალიზის ზოგად პრინციპებზე მსჯელობით. იგი გულდასმით მიჰყვება „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპრეტაციის თ. ჭილაძისეულ გზას და გამოყოფს წერილის ძირითად პათოსს. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სუბიექტური აღქმა, რაც ხშირად თანამედროვე პოეტის მდიდარი ფანტაზიით არის ნასაზრდოები, შოთა რუსთაველის მხატვრული ძეგლის ობიექტურ სტრუქტურად არის გამოცხადებული, რის უფლებაც მკვლევარს არა აქვს. ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე მსჯელობა იმის შესახებ რომ: „თამაზ ჭილაძეს არა თუ ტიპოლოგიური შესწავლის შედეგად გამოაქვს ესოდენ თამამი დასკვნები, არამედ ის, უმეტეს შემთხვევაში, არც ისტორიულ კონტექსტს ითვალისწინებს და შუა საუკუნეების ფილოსოფიურ კატეგორიებსა თუ მორალურ და ესთეტიკურ მოდუსებზე დღევანდელი პოზიციებიდან მსჯელობს. უფრო სწორად, გარკვეულ მოდუსებზე მსჯელობის დროს მკვლევარი ივიწყებს ამ ცნებების ისტორიულ ასპექტს და მასში დღევანდელ გაგებას ანივთებს“.

ქართული ლიტერატურის საკითხების შესწავლისას, რელიეფურად გამოიკვეთა ე. ჭაველიძის მეცნიერული პრინციპულობა, უკომპრომისობა, მიზანდასახულობა, რაზეც თავისთავად მეტყველებს სტატიები: „გალაკტიონის ერთი ლექსის ინტერპრეტაციისათვის“, „პოეზიისა და პროზის მიჯნაზე“, „ქართული ლიტერატურის ახალი ეტაპის საწყისთან“ და სხვა. ეს წერილები, მაშინაც კი, როდესაც მათში გამოთქმული მოსაზრებები მკითხველის შეხედულებებს ემიჯნება, ან კამათს იწვევს, შეიცავენ ახალ, მეცნიერულად ღირებულ და საგულისხმო დეტალებს.

ე. ჭაველიძემ დაასრულა მუშაობა XIV ს. ცნობილი პოეტის აშიკ ფაშას შემოქმედებაზე. დამთავრდა ძველი თურქული ლიტერატურის ერთი მნიშვნელოვანი საფეხურის შესწავლა, ვფიქრობთ, მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა შემდგომი ეტაპების კვლევას.

აშიკ ფაშას პოეზიის ე. ჭაველიძისეული ინტერპრეტაცია, უთუოდ საყურადღებო მოვლენად იქცევა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, საიმედოდ გაუკაფავს გზას აღმოსავლური პოეზიის ლაბირინთებში, ყველას, ვისაც ამ უაღრესად რთული ფენომენის შესწავლა დაუსახავს მიზნად, ან ერთხელ მაინც წვევია ის საკრალური განცდა, პოეზიის ჭეშმარიტ ნიმუშებთან ზიარებისას რომ იბადება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ბათიაშვილი

# მზე ღრუბლებში

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული ენის შენარჩუნების საქმეში, მაგრამ...

ცხოვრება ულმობელია. დრო მუდამ წინ მიიწევს. თვალსა და ხელს შუა ილევა დრო. აგერ, გუშინ დაბადებული ბავშვები, დღეს უკვე ჭაბუკები და ქალიშვილები არიან. ისინი სრულიად სხვა საზოგადოებრივ ფორმაციაში იზრდებიან, სრულიად სხვაგვარია მათი ურთიერთობის ნორმები, სხვა არის წრე მეგობრებისა. ქართული ენა მათთვის მშობლების ენაა, უფროსების ენაა... ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარსულის ენაა. დღეს ისინი ჩინებულად ტიკტიკებენ ივრითზე, ინგლისურად, შესანიშნავად ცეკვავენ ქართულს, მაგრამ ქართულად ლაპარაკი, წერა-კითხვა უჭირთ.

ყველაფერმა ამან ისრაელში ყოფნის პირველ დღეებში ერთობ დამთრგუნველი შთაბეჭდილება დასტოვა ე. ი. რაღაც ერთ თაობაში ქრება, კვდება ის, რაც 26 საუკუნის განმავლობაში აერთიანებდა ებრაელობასა და ქართველობას. ქართველი ებრაელობა ბიბლიის ენას ფლობდა— იდიშს, აგერ შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპაში შექმნილ ენას კი არა, ნამდვილ ებრაულს, ჭეშმარიტ ივრითს და მიუხედავად ამისა, მისთვის მშობლიური ენის რანგში ავიდა ქართული ენა. თუ სიმღერა იცოდა, ამ ენაზე მღეროდა. ჭირში ამ ენაზე მოთქვამდა, სიყვარულსა თუ სიძულვილს ამ ენაზე გამოხატავდა და არ მსურდა დამეჯერებინა, რომ სულ რაღაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ყველაფერი წარსულის ბინდმა უნდა მოიცვას.

არადა, სახელმწიფო მანქანასაც ვერაფერში დაემდურები. არსებობს ბევრი ქართული ბეჭდვითი ორგანო. ყოველ მსურველს ნებისმიერ დროს შეუძლია კიდევ შექმნას ნებისმიერი მიმართულების ჟურნალი თუ გაზეთი ქართულ ენაზე.

მოგვიანებით, როცა ოჯახურ ცხოვრებაში ჩავიხედე, ბევრი რამ გასაგები გახდა. ყველაფერი ამ ადამიანების ცხოვრების წესში იღებს სათავეს. მოგეხსენებათ, ბავშვი ოჯახურ გარემოცვაში სწავლობს ენას. აქ კი ოჯახის ყოველი წევრი შრომის ფერხულშია ჩაბმული. ყველა შრომობს, ამიტომ პატარა ბავშვი ან მარტო რჩება, ან ეზოსა თუ სკოლის მეგობრების ამარა. იქ კი ერთადერთი სალაპარაკო ენა არსებობს — ივრითი, ამ ენაზე მეტყველებენ ბავშვები. საღამოს ჯაფით დაღლილ მშობლებს კი არა აქვთ არავითარი სურვილი და უნარიც პედაგოგობა გაუწიონ შვილებს. არა, აქ ბევრ რამეს ცხოვრების წესი განაგებს! და იგივე ცხოვრების წესი აბრუნებს უკვე წამოზრდილ ყმაწვილსა, თუ გოგონას მშობლებთან — როცა ის წამოიზრდება, დედ-მამის გვერდით დგება, მათთან ერთად შრომობს. სწორედ ერთობლივი შრომის პროცესში იწყება მობრუნება ქართულ ენასთან. ამიტომ 17-18 წლისა უფრო კარგად დაგელაპარაკებათ ქართულ ენაზე, ვიდრე 7-8 წლისა. რასაკვირველია, ყველა არა. ბევრისთვის ყველაფერი დამთავრებულია. ვერ ვიტყვი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ტენდენცია, ვერ ვიტყვი, რამდენი თაობა იტრიალებს ქართული ენის წიაღში — ბოლოს და ბოლოს ამ სახელმწიფოს ინტერესებში სრულიადაც არ შედის საწყისის გაძლიერება — იგი ზრუნავს აღზარდოს ისრაელის მოქალაქე, ადამიანი, რომელიც ყოველმხრივ იქნება დაუფლებული ივრითს, ეყვარება თავისი სამშობლო (ეს სიყვარული დღევანდელ ახალგაზრდობას ძვალრბილში აქვს გამჯდარი) და ემსახურება მის ინტერესებს. თავისთავად ის ფაქტი, რომ იგი ხელს არ უშლის ქართული თემის წარსულისაკენ მიბრუნებას, ბევრ რამეს ნიშნავს. ასე რომ, ყველაფერი ეს ინდივიდის საქმეა და ყოველმა მოქალაქემ პირადად უნდა გადაწყვიტოს, ქართული სულისკვეთების რა დოზა იქნება მის შთამომავლობაში.

ვარაუდი?

ვარაუდის გამოთქმა კი შეიძლება და ამ ვარაუდის უფლებას ქართველი ებრაელობის ცხოვრების წესი იძლევა.

რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ ქართველი ებრაელები, ისინი ჯერ კიდევ კარგა ხანს იტრიალებენ ქართულ გარემოცვაში. ქართულია მათი ურთიერთობები, ისინი ისევ დასტირიან მიცვალებულს, როგორც აქ დასტიროდნენ, ოჯახებში ისევე ილხენენ, როგორც აქ მოილხენდნენ. პროვინციალიზმის დაღითაც ისევე არიან დაშანთულები, როგორც აქ იყვნენ და სწავლით, ინტელექტუალური შრომით სახელის მოპოვების სურვილითაც. ოჯახში, სუფრებზე ისევე ხშირად ახსენებენ ამ ქვეყნიდან წასულთ, როგორც ჩვენში და ამ სულისკვეთებით იზრდება მომავალი თაობა. უფროს-უმცროსობა, უფროსის პატივისცემა აქ წმინდათაწმინდა გრძნობაა, ხოლო სტუმარი რომ მართლა ღვთისაა, ამაში დავრწმუნებთ არა მხოლოდ გულუხვად გაშლილი სუფრა, არამედ ის ძვირფასი დრო, რომელსაც მასპინძელი უქმად მყოფ სტუმარს სწირავს. დრო აქ ძალიან ძვირი ღირს, ამიტომ განსაკუთრებით დასაფასებელია, მასპინძელი რომ ცდილობს არ მიგატოვოს, შენს გვერდით იყოს.

ულამებში 400-600 კაციანი სუფრები იშლება — ქორწილები, ნიშნობები, ბარმიცვები. აქ ებრაულადაც ლაპარაკობენ და ქართულ-ებრაულ სიმღერებს მღერიან, ქართულ ჩოხაში მორთული იცკა ათანელოვი, გურამ მიხელაშვილი და სოსო სეფიაშვილი სხვა ელფერს აძლევენ პურის ჭამას, ქართულ ელფერს, ჩინებული კვარტეტი „კოლანი“ ქართულ სიმღერებს მღერის.

ასე ხვდებიან ერთმანეთს ენა ბიბლიისა და ენა, რომლის წიაღშიც „მრავალი საიდუმლო დამარხულ არს“.

და ელვრება წმინდა მიწის ქუჩა-შუკებს ქართული ჰანგები...

* * *

იერუშალაიმი, სახლი უფლისა, სახლი დავითისა და სოლომონისა... აოხრებული ოცდაექვსი საუკუნის წინათ, იქ, სადაც დავითიან-სოლომონიანთა სრა-სასახლე იდგა, უცხოთა სალოცავი თავმომწონედ წამოჭიმულა, სწორედ მის ეზოში დგას. აქ, სადაც დღეს ომერის მეჩეთის შესასვლელია, ალბათ, „სიმღერათა სიმღერის“ დამწერის მოსასვენებელი ოთახი იყო, ექნებ, სწორედ იქ, სადაც ახლა ოთხად ფეხმორთხმული ჩალმიანი ყურანს ჩაჰკირკიტებს, ებირა დავითს თავისი ქნარი... ალბათ, აქ ეკიდა, შუაღამისას აქ ამღერდებოდა ხოლმე იგი, სადაც ახლა წუღები, ჩექმები, ფეხსაცმელებია, რადგან მეჩეთში ფეხშიშველი უნდა შეხვიდე... ამდენი მტრული თვალი არცერთ წმინდა ადგილს არ შემოგყურებს — არც ეკლესიაში, არც ბეითკნესეთში (ასე ეტყვიან ებრაელები სალოცავს, სინაგოგას — [illegible]რებისა, საკრებულო). ალბათ, ამ[illegible] ყოლეს ძველ იერუშალაიმში ჯარისკაცებით სავსე ორი „ჯიპი“. მასპინძლები სტუმრებს უფრთხილდებიან, გვერდიდან არ გვცილდებიან ჯარისკაცები, რომელილაც მაღაზიაში შევყოვნდით... მოხატულ დოქებს, სათუთად ნაქარგ კაბებს, ორნამენტებიან სარტყელებს ვათვალიერებთ და ლამის ავტომატმომარჯვებული შემოვარდა ორი ჯარისკაცი — მაღაზია თურმე არაბებს ეკუთვნით და ჩვენმა შეყოვნებამ დააფრთხო ჯარისკაცები, ხიფათს ხომ არაფერს სწიესო.

არადა, იერუშალაიმის გულში ხდება ეს ამბავი, ღვთის ქალაქის გულში, გოდების კედლიდან, ე. ი. დავითიან-სოლომონიანის სახლიდან სულ ორიოდ ნაბიჯზე.

ძნელია, ძალიან ძნელი ებრაელმა კაცმა დასთმოს იერუშალაიმი.

„დამიწდეს მარჯვენა ჩემი, თუ დაგივიწყო, შენ, იერუშალაიმ! ენა ჩემი მიახმეს სასას ჩემსას“... ძნელია, ძალიან ძნელია!

ომერის მეჩეთის ეზოდან, იქიდან, სადაც დავითის სახლი იდგა, დიდ რკინის კარს გაალებენ და ვიწრო ქუჩების ლაბირინთში ჩაიკარგებიან. რა ვიწროა ეს ქუჩები და სხვადასხვანაირი! გგონია, უცებ იპოვი გასასვლელს, უცებ დააღწევ თავს ლაბირინთს, მაგრამ არა!

ამ გზით მოჰყავდათ იესო ნაზარეთელი, ანუ როგორც ებრაელები ამბობენ ნაცარეთელი იოსები. სწორედ მისი მარშრუტით ვივლით გოლგოთისაკენ. თავისი დრამატურგიული ფორმით კიდევ უფრო მხიბლავს რომაელთა მიერ დახლართული ინტრიგის ბადე! გარდასული დრო დრამატურგიას დღესაც ბევრ რამეს ასწავლის: სხვებს გააკეთებინო ის, რაც გწადია და ეცადო, რომ ხელთათმანებზე სისხლის წვეთიც არ დაგეცეს!

რომაელთა პროკურატორებმა ინტრიგის ჩინებული ბადე მოქსოვეს „ახალი ღმერთის“ წინააღმდეგ.

გოლგოთა!

გოლგოთა გვირგვინი ტანჯვისა, მე იგი მართლა მთა მეგონა, ბექობიც არ არის... გოლგოთა საბოლოო ნავსაყუდარი წამებულობისა, რომანტიული მუზა პოეტთა... თითქოს მიწიდან ამოზრდილა მონასტერი, გოლგოთის თავზედ... აქ თითქოს ხელსაც შეახებ ქრისტეს ტანიდან გადმოსულ სისხლის წვეთს... აი, აქ შეაჩერეს იგი, აი, აქ იდგა ჯვარი, რომელზეც გააკრეს, აი, აქ დაასვენეს. ჩვენ შევჩერდებით ყველა იმ ადგილას, სადაც იგი შედგა მარადიულობისაკენ მიმავალ გზაზე და თითქოს კვლავ უბრუნდები ოცი საუკუნის წინათ მომხდარ ამბებს, კვლავ განიცდი დასასრულის ყოველ წუთს, რომელიც სინამდვილეში დასაწყისი ალ-

მოჩნდა და კიდევ ერთხელ ემსჭვალები პატივისცემით იმ ერის მიმართ, რომელიც ინახავს განმდგარი, მისი ადათ-წესების წინააღმდეგ ამხედრებული, მაგრამ მაინც თავის წიაღში შობილი შვილის სახელს.

გონებაში რეფრენივით გაიელვებს სტრიქონი „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო"...

აგერაა ბეთლემი, სულ აგერ — ორიოდე ნაბიჯზე. სადაცაა ოცდაოთხი დეკემბერიც დადგება და, როცა გათენდა ეს დღეც — წვიმიანი, ქარიანი ჩვენ ასორმოცდაათი კილომეტრი მაინც გვაშორებდა ბეთლემს. საღამოს ხუთ საათზე ჯერ კიდევ აქოში ვართ და რომაულ თეატრალურ ნაგებობას ვათვალიერებთ (რა დიდებული, ადგილია შექსპირული ფესტივალის ჩასატარებლად, ალბათ, არანაკლებ დიდებული, ვიდრე გუშინ ნანახი კეისარიის თეატრონი, ზედ ზღვისპირას რომ აუგიათ). რვა საათსა და ორმოცდახუთ წუთზე დამთავრდება სოფიკოსა და კოტეს შემოქმედებითი საღამო, ქარსა და წვიმაში გავუყვებით ამ გრძელ გზას, რომ თორმეტი საათისათვის ბეთლემში ვიყოთ. სული წინ გარბის, სული უფრო ჩქარა გარბის ბეთლემისაკენ, ვიდრე მანქანა ამ წკვარამ ღამეში, რადგან ქრისტეშობის ღამის რიტუალის სწორედ ბეთლემში ნახვა ძალიან, ძალიან იშვიათია. და არ გვინდა ხელიდან გავუშვათ ეს შემთხვევა, მითუმეტეს, რომ ეფრაიმ გურის ასეთი მაღალი მდგომარეობა გვაძლევს ბეთლემში შესასვლელ საშვს მთავრობისას, თორემ იქ მოხვედრა კათოლიკური სახელმწიფოებიდან დაძრული ძალიან მაღალი რანგის ჩინოსან მოღვაწეთა ხვედრია მხოლოდ.

ეს უზარმაზარი გზაც გამოვიარეთ, იერუშალაიმში მუხლიც გავმართეთ, ეფრაიმის მიერ მოპოვებული საშვებიც დაგვახვედრეს... ბეთლემი აქედან სულ ათი-თხუთმეტი წუთის სავალზეა, ერთი სიტყვით, თორმეტი ხდებოდა ეკლესიაში რომ შევედით.

კათოლიკური ეკლესია ყოველთვის მხიბლავდა თავისი კულტურით. პიროვნებისადმი მეტი პატივისცემით. იმ საღამოს იმ სადღესასწაულო ცერემონიალზე განსაკუთრებით შეიგრძნობოდა ეს კულტურა. წირვა ვატიკანიდან ჩამოსულმა კარდინალმა დაიწყო. ერთმანეთს სცვლიდნენ ესპანურ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე მწირველნი.

სინათლითა და ღვთაებასთან მიახლოებით გაცისკროვნებული სულებით იყო ასე ლამაზი ეს დარბაზი.

რწმენით მოპოვებული საკუთარი ღირსების შეგრძნება ალამაზებდა მოხუცსა თუ ახალგაზრდას. ამ დიდებული სამყაროს წიაღში რომ ჩარგავ თავს, ადამიანთა ბედნიერ სახეებს რომ შესცქერი, კიდევ ერთხელ დარწმუნდები, თუ რაოდენი სულიერი შვებაა რწმენა. რწმენა გახლავთ მშობელი პატიოსნებისა, ზნეობრივი გმირობისაც კი. რწმენით ძლიერი [illegible] წინაშე არა დგას ალტერნატივა [illegible] პატიოსანი. ზნეობრივი ადამიანებთან, ქვეყანასთან, სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში. მას სწამს და ეს ყველაფერს ნიშნავს. ეს ყველაფერს მოიცავს. რელიგიას, იქნებოდა იგი იუდაიზმი, ქრისტიანობა, მაჰმადიანობა თუ სხვა, სწორედ არარელიგიურნი, ღვთისნათელ დაკარგულნი იყენებდნენ ბოროტად, თორემ ისინი, ვისთვისაც რწმენა ღვთაებისა იყო რწმენა სიკეთისა, მუდამ კაცთმოყვარეობით, რჯულთშემწყნარებლობით ხასიათდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„ქართველსა გულმა როგორ გაუძლოს, ოდეს მშვენება შენი იხილოს". შეუძლებელია ეს სტრიქონები არ წამოგცდეს იერუშალაიმის მუზეუმიდან რომ გადახედავ ჯვრის მონასტერს.

იგი დგას როგორც ოაზისი.

რადგან სულის ოაზისი იქ გეგულება შიგნით — ნათელი ოაზისი ნათელ სვეტზე. და ასე გგონია, მისი მეწამული ფერის მოსასხამიც აძლევს ასეთ ფერს ქალაქს.

მაგრამ დიდი ხალისით არ ხვდებიან აქ ქართველებს.

მონასტრის წინამძღვარმა ერთხელ უარითაც კი გამოისტუმრა მიხ. კრიხელი და იცქა ათანელოვი, მაგრამ...

ორი სვეტი ელვარებს დღეს იქ, ქართველი ერის ორი დიდი წინაპარი — შოთა და ილია. ერთი თავად მიბრძანდა, იქ ალესვენა. მეორეს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს ილია მეორის ხელით ხალხმა მიუჩინა ბინა მარადიულ განსასვენებელში.

წარმოსახვა მუდამ ძლიერია რეალობაზე. ალბათ, ამიტომაა ასეთი ფეხაკრეფით თავდახრილი რომ შედიხარ მის კარებში და შემდეგ ისე მონუსხული დააბიჯებ შიგ, შესცქერი სულმნათ პოეტს, გადიხარ მეორე დარბაზში, ილიას ხატისაკენ, რომ ალბათ, ვერც აცნობიერებ ყველაფერს.

„ლიტერატურნაია გრუზიას" ადრინდელი პასუხისმგებელი მდივანი, დღეს კი ისრაელის მკვიდრი ბორის გასი გვეუბნება, რომ იმ სვეტის მოპირდაპირე მხარეს, რომელზეც დიდი შოთაა გამოსახული, ქართული ფრესკები იყო და ამ ბოლო ხანს წაშალეს. იქ იმ სვეტზე მართლაც, არაფერია.

შესაძლოა, იქნებ, ამ მიზეზითაც იყოს, რომ დღეს ჯვრის მონასტერში არც ისეთის სიხარულით ხვდებიან ქართველებს?

* * *

— არ არი, გურამ ასე საქმე! თქვენში ზოგჯერ იბეჭდება წერილები, რომელთა მიხედვით ჩვენ აქ დღედაღამე მოვთქვამთ და ვტირით.

არა! ჩვენ გვიყვარს საქართველო. ძალიან გვიყვარს, მადლიერების გრძნობით ვართ გამსჭვალული იმ 26 საუკუნოვანი ძმობის გამო, რომელიც ქართველმა ხალხმა გაგვიწია, მაგრამ არ მიმაჩნია სწორად, როცა ცოტა ტენდენციურად წარმოადგენენ ჩვენს ცხოვრებას — ამას დათო შიმშილაშვილი მეუბნება. კარგა ხნის ნაცნობი, წიგნის კაცი, ხალხთა ურთიერთობაშიც კარგად ჩახედული.

— რას გულისხმობ?

— ჩვენ აქ ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს ველაპარაკეთ ამის თაობაზე, ყველაფერი სწორად გაიგო, რადგან ის არ ცდილობს კუთხური პატრიოტიზმით შეხედოს მოვლენებს, ფაქტებს. იმას ვგულისხმობ, რომ ჩვენ ძალიან გვიყვარს ისრაელი, ვართ პატრიოტები ამ ქვეყნისა, თქვენი ზოგიერთი პუბლიკაციების მიხედვით კი ისე გამოდის, თითქოს ვნანობთ კიდეც აქეთ წამოსვლას და უკან დაბრუნებაც გვეწადოს. ეს ტყუილია! ზედმეტი არაფერი ვარგა.

ეს ტყუილია! ზედმეტი მართლა არაფერი ვარგა!

ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელობა, მართლაც, სიყვარულით და პატივისცემითაა გამსჭვალული საქართველოს მიმართ. სიყვარულითა და პატივისცემით!

რაში გამოიხატება ეს სიყვარული და პატივისცემა?

სადღეგრძელოებში? ყოველ სუფრაზე, იქნება ეს აქ, საქართველოში, თუ იქ, ისრაელში რომ ისმება?

ნაწილობრივ!

ნაწილობრივ, რადგან საქართველოს სადღეგრძელოს უმეტესწილად ისინი უფრო ლამაზად და გატაცებით სვამენ, ვინც გაჭირვების შემთხვევაშიც კი თითს თითზე არ დააკარებს, მაგრამ ის, ვინც საქართველოსთვის სიცოცხლესაც არ დაზოგავს, ეგერ, იქ, უხმოდ ზის კუთხეში. ასეა აქაც და იქაც!

საქმეში!

ამის დასტურად მე მიმაჩნია ქართული ენის შემსწავლელი წრეები (რომელიც ასე სჭირდება ახალ თაობას!), ქართულენოვანი პრესა. სიყვარულითა და რუდუნებით შექმნილი პრესა.

ქართული ცეკვის ანსამბლები! მართლაც, გულს ახარებს შეღერებული გოგონებისა და ვაჟების ცეკვა. როგორ უხდებათ მათ ქართული კაბანი, ჩოხები!

ქართული წიგნები.

გერშონ (ორენის) წიწუაშვილისა თუ ისხაკ დავითის (დავითაშვილის) თავაულებელი შრომა ქართულ-ებრაული ურთიერთობების საკვლევად.

სამი ქართული თეატრი.

ლექსები, რომლებიც ძალიან ბევრი იბეჭდება საქართველოზე.

ქართველი მეგობრების, მეზობლების ხშირი გახსენება — სიყვარულით, ალერსით გახსენება.

ზემოთ ნახსენები საზოგადოებების [illegible] — საზოგადოებებისა, რომელთა მთავარი არსი ქართველობასთან კავშირის გაძლიერებაა.

ყოფის ქართული წესი — ცხოვრებას ყველაფერი თან ახლავს: სიხარულიც და ტკივილიც. სიკვდილიც და ქორწილიც. დაბადების დღეებში, ნიშნობებში, ქორწილებში, ბარმიცვებში (ვაჟი რომ 13 წლისა შესრულდება, იგი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ხდება და სათანადო რიტუალითა და სუფრით აღინიშნება (ბათ-მიცვებში) გოგონას 12 წლის შესრულებასთან დაკავშირებული ანალოგიური რიტუალი), ბევრი რამ არის ქართული, ძალიან ბევრი რამ... თითქმის ყველაფერი.

ისინი ქართულ ცეკვებს ცეკვავენ.

ქართულ სიმღერებს მღერიან.

ისრაელის ტერიტორიაზე განლაგებული ულამებიდან თითქმის ყოველ საღამოს ისმის ქართული სიმღერა.

ქართული მუსიკის ხმები ედება ბიბლიურ სანახებს.

ვიდრე იქ ჩავიდოდი, ვიდრე ასე თუ ისე გავიცნობდი იმათ ცხოვრებას, ყველაფერი ეს „ქართულ აქციებად" მიმაჩნდა. მიმაჩნდა ქართველების გამოვლინების დასტურად და ამით თავსაც კი იწონებენ, ღონისძიებებს ატარებენ, ყველაფერ ამას საქართველოსთვის აკეთებენმეთქი.

მაგრამ არა! ისინი თავის მოსაწონებლად, საქართველოსთვის არაფერს აკეთებენ. ყველა იმ საქმიანობაში, რასაც ისინი ეწევიან, საკუთარ თავს უფრო გამოხატავენ. მათ სხვაგვარად ცხოვრება არ შეუძლიათ. იქნებ, საკუთარი პიროვნების დამკვიდრების ერთადერთ გზად სწორედ ეს მიაჩნდეთ. „ღონისძიებების", აქციების ჩასატარებლად მათ არ სცალიათ — საამისო არც დრო აქვთ და არც — ძალა.

ოჯახს რჩენა სჭირდება. ამისათვის კი თავგადადებული შრომაა საჭირო. ახე რომ ის, რაც მე აქამდე საქართველოსთვის გამიზნული აქცია მეგონა, ვფიქრობ, საკუთარი პიროვნების დამკვიდრების, თვითგამოხატვის ფორმა უფროა. ამით ისინი საკუთარ პიროვნებას ამკვიდრებენ მომავალ თაობაში, ისრაელში ჩამოსული სხვადასხვა თემის ებრაელობაში, იქნებიან ისინი ევროპის, აზიის თუ აფრიკის ქვეყნებიდან. ყოველივე ამაში დომინანტი ის გახლავთ, რომ ისინი თავს კვლავ ქართველ ებრაელებად იმკვიდრებენ — კვლავ ქართულ-ებრაულ საწყისს ეძლევა პრიმატი. თუმც ბევრი რამ გაუცნობიერებელიცაა, გაუანალიზებელი. ამიტომ ყველაფერი ის, რაც მე ქართული აქციად მიმაჩნდა, სინამდვილეში თვითგამოხატვის საშუალება გახლავთ — მათი „კაცური არსის" დამადასტურებელია.

ასე რომ, ისინი არაფერს არ აკეთებენ, ისინი ასე ცხოვრობენ.

და კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება.

ქართველი ებრაელობა მუდამ წარსულისაკენ იმზირებოდა, რადგან ისტორიულ წარსულში ბიბლიის სიბრძნე და მასთან დაკავშირებული ერის დიდება ეგულვებოდა. ამან ერი კონსერვატიული ბუნებისა გახადა. რა სამსახური გაუწია ერს კონსერვატიზმმა? უზარმაზარი! ჩვენს დრომდე მოჰყვა მას გრძნობა ურთიერთგატანისა, უფროსის პატივისცემა, სტუმრისადმი მოწიწება. ქართულ გარემოცვაში არც გასჭირვებია ამ თვისებებით ცხოვრება, ქართული გარემოცვა უფრო აძლიერებდა ყველაფერს ამას, რადგან ისიც ამ ზნეობრივი კოდექსით ცხოვრობდა. სტუმარი, მეზობელი, მეგობარი, მეგობრის ცოლი, ნათესავი აქ მუდამ წმიდათაწმინდა გახლავთ. ასეთი სულიერი საწყაოთი წავიდნენ ებრაელები საქართველოდან. ამ სულიერი საწყაოთი ცხოვრობენ დღესაც.

ისრაელის ქართველ ებრაელებთან სიახლოვემ ასე რატომ გამახსენა ჩემი ბავშვობა?

იმიტომ, რომ მათი კონსერვატიზმი ამ კატეგორიებთან მიმართებაში თითქმის უცვლელი დარჩა. ახალმა სინამდვილემ, ბუნებრივია, ბევრი რამ შეცვალა მათში, მაგრამ სტუმარი, ნათესავი, მეგობარი კვლავ ისეთივე ურყევ ავტორიტეტებად დარჩა. ისრაელს წასულმა ქართველმა ებრაელობამ შეინარჩუნა ბევრი რამ იმათგან, რაც ჩვენ დრომ წაგვართვა. ცხოვრების რიტმმა თუ წესმა გამოგვაცალა ხელიდან. ისინი ჯერ კიდევ ჩვენი ბავშვობისდროინდელი სულისკვეთებით ცხოვრობენ და ამ ცხოვრებას დიდი ხიბლი აქვს. გახსოვთ, როგორ სცემდნენ პატივს სტუმარს იმერეთ-სამეგრელოში? (მე იმერეთ-სამეგრელოს ვიხსენებ, რადგან სწორედ იქ გამიტარებია ბავშვობა). მაშინ ამდენი სანოვაგე არავის ჰქონდა, მაშინ პატივისცემა სხვაგვარად გამოიხატებოდა — სტუმარი ღვთის იყო და ამდენად კერპი. აი, ასეთია დღეს იქ, იმათი დამოკიდებულება სტუმრისადმი, მითუმეტეს, თუ ეს სტუმარი საქართველოდან ჩავიდა.

გაცნობიერებული, დაგეგმილი აქციების ჩატარება ალბათ, მომავალ თაობებს — იმათ მოუწევთ, ვისაც მხრებზე დააწვება მამებისა და პაპების სახელით მადლიერების გრძნობით აღიჭურვონ ქართველებისა და საქართველოს მიმართ.

შეინარჩუნებენ კი ახალი თაობები საქართველოს განცდას?

გაჰყვებათ კი მათ საქართველოს სიყვარულის გრძნობა?

ძნელი სათქმელია, ძალიან ძნელი!

ისინი სულ სხვა სინამდვილეში ცხოვრობენ, სულ სხვაა მათი ცხოვრების წესი, რიტმი, აზროვნების სისტემა, დამოკიდებულება მოვლენებისადმი. ყველაფერი ეს კი ცვლის ფსიქოლოგიას ძალიან ცოტა ადგილს სტ[illegible] ლისათვის. იქ უნდა იცხოვრო [illegible] დღეის ინტერესებით, დღევანდელი მოვლენებით, ხოლო თუ მომავლის კონტურებსაც დაინახავ, ეს უკვე განსაკუთრებული ნიჭიერების ნიშანია. წარსული აქ მოქცეულია რელიგიაში, ქვეყნის ისტორიაში.

ასე რომ... თუმცა, ვარაუდის სახით მაინც შეიძლება ითქვას:

რამდენიმე თაობისთვის საქართველო მაინც განუყრელი იქნება — მათ კვლავაც გრუზინებს(!) ქართველებს ეძახიან. დაიმკვიდრეს ეს სახელი და ეს ძალიან, ძალიან ბევრს ნიშნავს.

განუყრელი იქნება, რადგან ოჯახში ცხოვრების წესი მაინც ქართული აქვთ, ოჯახი კი ბევრ რამეს კარგად ინახავს.

განუყრელი იქნება, რადგან დიდხანს იყვავილებს ნერგი, წარსულისა და მომავლისა.

განუყრელი იქნება, რადგან ქართული საზოგადოებები, იქნება ეს რუსთაველის საზოგადოება, „გზა“ თუ „ხიდი“, ჟურნალი „დროშა“ თუ სხვადასხვა ინსტიტუტი, ამისთვის ილვწიან. მხოლოდ ეს არის, რომ მათ უნდა დავეხმაროთ, აქედან უნდა მივაწიოთ სიტყვიანი საქმეც და საქმიანი სიტყვაც.

ძალიან უნდათ, რომ მათი შვილები აქ ჩამოდიოდნენ, ქართველ თანატოლებთან იყვნენ პიონერთა ბანაკებში, სწავლობდნენ ჩვენს უნივერსიტეტსა თუ ინსტიტუტებში.

გასაგებიცაა, რატომაც უნდათ!

* * *

არადა, რამდენი რამ არის გადასაწყვეტი ქვეყანაში! ამათგან თავი და თავი ომისა და მშვიდობის საკითხია.

— ხალხი დაიღალა ომებით, გურამ, აღარ შეუძლია ხალხს მეტი! მთავრობა არაფერს არ თმობს, ტერიტორიები არ გვასვენებენ და ხალხს ეროვანტელი უვლის — მეუბნება ჩემი ბავშვობის მეგობარი რეზო არონაშვილი. ამ საკითხზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, ერთი თვის განმავლობაში ასე ვერ ჩავიხედავდი ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ რეზოს ანალიზისა ძალიან მჯერა.

იქნებ, ამ გარემოებასთანაც იყოს დაკავშირებული ის შთაბეჭდილება, რომელზეც ახლა მინდა ვისაუბრო.

ისრაელში ხშირად გაიგონებთ, რომ ეს სახელმწიფო შექმნა მეორე მსოფლიო ომმა, იმ კატასტროფამ, რომელიც ხალხმა განიცადა ამ ომში. ჰიტლერელთა საკონცენტრაციო ბანაკებში თუ ბრძოლის ველზე ექვსი მილიონი ებრაელი დაიღუპა. ძალიან ცოტამ მოახერხა თავი დაეღწია ჯოჯოხეთისაგან, მაგრამ ვინც მოახერხა, ცეცხლად ქცეულ ევროპაში არ დაედგომებოდა — თავის ისტორიულ სამშობლოსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენ ეპირა თვალი. ინგლისი (სწორედ იგი ფლობდა მაშინ პალესტინის მანდატს) ყოველნაირად ცდილობდა შეეკავებინა ისრაელისაკენ დაძრული ებრაელობის ნაკადი. ისრაელის სახელმწიფოს შექმნის მესვეურთათვის კი ყოველი ადამიანი ფასობდა. ნახევარი მილიონი ებრაელი, ასეთ გარემოცვაში, ბუნებრივია, სახელმწიფოს ვერ შექმნიდა. ფაშისტებისაგან თავდახსნილი ებრაელობა, ინგლისელთა მიერ დაგებულ ბადესაც აღწევდა თავს და მძიმედ, გაჭირვებით, მაგრამ მაინც იყრიდა თავს ალქმულ ქვეყანაში.

1948 წელს შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო და დაიწყო უმძიმესი, ურთულესი პროცესი. ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი გოლდა მეირი თავის წიგნში „ჩემი ცხოვრება" იგონებს, თუ რაოდენ რთული იყო ცხოვრების პირველი წლები, როცა სამშობლოს დიასპორიდან (უცხოეთის ქვეყნებში განფანტულებიდან) მობრუნებული ათასობით ადამიანი აწყდებოდა დღეში. ამ ათასობით ადამიანს საწოლი, კვება უნდოდა და ზოგჯერ, იგონებს გოლდა მეირი, ერთ კარავში (კარავში!) ვათავსებდით პოლონეთიდან და აფრიკიდან ჩამოსულთა ოჯახებს. პირველი ცივილიზებულ ევროპას წარმოადგენდა. მეორეს კი — ვატერ კლოზეტი არა მარტო არ ენახა, არც გაეგონა.

და თუ ვიტყვი, რომ დღეს ამ ქვეყანას შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი ამშვენებს, სავსებით გასაგები იქნება სულ რაღაც 40 წელიწადში, რა გზა გაიარა მან.

დღეს ქვეყნის უმეტესი ნაწილი წალკოტადაა ქცეული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო შექმნეს, ქვეყანა ააშენეს ფანატიკოსმა ადამიანებმა. ამ ფანატიკური სიყვარულის გარეშე შეუძლებელი გახლდათ იმ ტიტანური შრომის გაწევა, რაც ამ ხალხმა გასწია — იმ სიმაღლის მიღწევა, რასაც მიაღწია.

დღეს კი... დღეს მექმნება შთაბეჭდილება (იქნებ, ეს მხოლოდ შთაბეჭდილებაა და არა რეალური სურათი!) რომ აღმშენებელი საზოგადოება მომხმარებელმა საზოგადოებამ შეცვალა, რომ დღეს აღარ არის ისეთი ენთუზიაზმი. დღეს აშენებულით ტკბობა უფრო შეიმჩნევა, ვიდრე შენებით ტკბობა. ამიტომაც ვეკითხები არონ მოშიაშვილს, აშდოდის მერიის დეპუტატის მანდატის მფლობელს:

— აი, ისრაელი 40 წლის სახელმწიფოა უკვე. რომელი ათწლეული უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რომელმა ათწლეულმა დაატყო ხელი?

— ყოველი ათწლეული თავისებურად მნიშვნელოვანი გახლდათ, მაგრამ ქვეყანა ძირითადად ამ ბოლო ათ წელიწადში აშენდა, ბოლო ათწლეულში ქვეყანამ დიდი ნახტომი გააკეთა. უბრალოდ შეიცვალა შენების ფორმები. დღეს ენთუზიაზმით ვერაფერს ააგებ. დღეს ყველაფერს ტექნიკა წყვეტს. სულ მოკლე დროში აშდოდის ერთ ნაწილში ისეთი უბანი ააშენე, ყველას საყვარელი ადგილი გახდა, ტექნიკა.

ამასვე მეუბნება მიხეილ კრიხელი. იმის რწმენასაც გამოთქვამს, რომ არავითარი შეყოვნება არ შეინიშნება.

* * *

თითქმის გავცდით თელავივს, ქალაქის გარეუბანში ვართ. ნოდარ ჯანბერიძე, ნოდარ გურაბანიძე, ჯემალ აჯიაშვილი და მე სტუმრად მივდივართ. თან ცისანა გვახლავს, ბინიაშვილი, ერთობ ენერგიული ქალბატონი, გაზეთ „ხიდის" რედაქტორი.

— ქალაქგარეთ ცხოვრობს? — ვეკითხები ცისანას.

— ახლა ეს ყველაზე უკეთესი ადგილია — გვამშვიდებს ცისანა — მომავლისათვის, რახაკვირველია.

ამ უბანში მხოლოდ ვილები აუშენებიათ. სხვადასხვა სტილის, სრულიად სხვადასხვა ყაიდის, მაგრამ მაინც ყველა სვანურ კოშკს მაგონებს — თავისი მიუვალობით, შეუვალობით.

მოსე დანიელაშვილთან მოვედით.

ქართულ თეატრებში კარგა ხანს მუშაობდა რეჟისორი მოსე დანიელაშვილი, მერე თბილისის რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეჟისორი იყო. შემდეგ რუსული თოჯინების თეატრისა... მე მახსოვს იგი თბილისის ქუჩებში, მუდამ გაცრეცილი შავი პალტო ეცვა, ქარი თმას უწეწავდა, იღლიაში ამოჩრილი წიგნები პალტოს ჯიბეში ხელის ჩაყოფის საშუალებას არ აძლევდა...

მე მაშინ იგი ერთობ მოხუცი მეგონა...

ახლა კი... ახლა მომლიმარი, ხანდაზმული კაცი ზის სავარძელში, სუფთად წვერგაპარსული. ბატონი მოსე ახაკისა თუ ავადმყოფობის გამო ველარ დადის, როგორც ჩანს, სიარული აღარ ძალუძს, პარკინსონიც აწუხებს, მაგრამ სტუმრის მოსვლა ძლიერ ახარებს. გველოდა ოჯახი. შემდეგ ბატონი მოსე ერთ წიგნს გადმოიღებს და უმალ ვამჩნევ, რომ წიგნი დიდი ყურადღებით და სათუთად გამოუციათ.

— თქვენ არც ერთს არ გახსოვთ რობაქიძე, არც ახმეტელი. „ლამარა" ჩვენი სიჭაბუკის ლეგენდა იყო. განა შეიძლებოდა „ლამარა" ებრაულ ენაზე არ გამოეცათ?

მადლობა ღმერთს, „ლამარას" ტექსტი მექნება!

მერე ბატონ მოსეს ვაჟი მეორე სართულზე აგვიყვანს, უზარმაზარ ბიბლიოთეკაში ერთ სქელ წიგნს გადმოიღებს თაროდან. უმალ ვიცანი „ვეფხისტყაოსნის" მეორე ებრაული გამოცემა, გაპონოვისეული თარგმანი.

— აი! — იტყვის იგი და მე კიდევ ერთხელ ვგრძნობ, მეთორმეტე საუკუნის გენიოსი როგორ ეხმარება დღეს ადამიანებს პიროვნულ თვითდამკვიდრებაში.

* * *

გაზეთ „მაარივის" რედაქციაში ნოდარ გურაბანიძესა და ჩემთან შეხვედრაზე მოვიდა გამოჩენილი ებრაელი მწერლის პერეც მარკიშის ვაჟი დავითი. დავით მარკიში, ვიდრე საბჭოეთში ცხოვრობდა, ქართველ პოეტებს თარგმნიდა რუსულ ენაზე. ამ შეხვედრაზე მან ისეთი რამ მოიგონა, უზარმაზარი ეფექტი მოახდინა არა მარტო რედაქციის თანამშრომლებზე, ჩემზეც კი. სულ სხვა კაცად ვიგრძენი თავი.

— 1967 წლის ზაფხულში თბილისში ვიყავი. მარიჯანის, ალიო მირცხულავასა, კარლო კალაძის, ალექსანდრე საჯაიას ლექსებს ვთარგმნიდი. ერთ დღეს რესტორან „თბილისში" შევედი. იქ ერთ სუფრას ახალგაზრდა ქართველი პოეტი არჩილ სულაკაური უჯდა თავის მეგობრებთან ერთად. მიმიწვია და ისეთი გზნებით დალია სადღეგრძელო ებრაელი ერისა, დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისთვის ასე მედგრად რომ იბრძვის, თვალზე ცრემლი მომადგა. მაშინ 1967 წელს ისრაელის, საკუთარი მიწისათვის მებრძოლი ხალხის სადღეგრძელოს შესმა არც ისე იოლი საქმე გახლდათ. ადვილი მოსალოდნელი იყო ამას გაერთულებინა შენი ცხოვრება.

დავითის ნაამბობმა რედაქციის მუშაკები აღაფრთოვანა. კიდევ ერთხელ გამოიხატა საქართველოს რაობა.

არჩილ სულაკაურს კარგად ვიცნობ, მისგან არაფერი გამკვირვებია. მას არც ახლა აქვს ორდინალური დამოკიდებულება მოვლენებისადმი, მაგრამ ამწუთში, ამ საკრებულოში, სულ სხვაგვარად გამოიკვეთა მისი პიროვნება, თუმცა, დავით მარკიშსაც უნდა მიეზღოს თავისი — მან არაფერი არ დაივიწყა.

* * *

ამ ჯგუფის მოწვევით დიდებული საქმე გააკეთა ეფრაიმ გურიმ, სანაქებო. იმასაც დიდი ხიბლი აქვს, რომ სწორედ შემოქმედებითი საღამოები იმართება. ხალხი ხომ კარგად ხვდება სოფიკოსა და კოტეს, ჩინებულად, მაგრამ ამ საღამოს ამ მაყურებლის მეხსიერებისა და მადლიერების თვისებაც მზეურდება.

ამ საღამოებზე სოფიკო მაყურებელს აჩვენებდა ხოლმე იმ კინოფილმების ნაწყვეტებსაც, რომლებშიც თვითონ მონაწილეობს, მაგრამ ფილმი არ არსებობს ერთი მსახიობისათვის. უნდა გენახათ მაყურებლის რეაქცია, როცა ეკრანზე გამოჩნდებოდნენ ქართული თეატრის მსახიობები: აკაკი ხორავა (ტაში), ვასო გოძიაშვილი (ტაში), ვერიკო (ტაში), გოგი გეგეჭკორი (ტაში) და ასე განუწყვეტლივ.

ეფრაიმ გურის ამ აქციამ იმ ხალხს, მაყურებელს ბედნიერება მიანიჭა. მე კი რწმენა იმისა, რომ ხელოვნება ყველაზე დიდი დესპანია ქვეყნებს შორის ურთიერთობისა. იმას, რაც ძალუძს პოეტს, მსახიობს, ძნელად შესძლებს დიპლომატი.

ეს ფიქრი ისრაელის სახელმწიფოს მეთაურის მოადგილესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან შიმონ პერესთან შეხვედრისას დადასტურდა. მან ბევრი საინტერესო რამ გვითხრა, სიამოვნებით ლაპარაკობდა ე. ა. შევარდნაძესთან შეხვედრების თაობაზე, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გავიხსენო აი, რა:

— ხალხის სულს პოეზიით, ხელოვნებით უფრო შეიცნობ. ამიტომ დღემუდამ ვურჩევ ჩემს ელჩებს ნაკლები იკითხონ სააგენტოთა დეპეშები, პოლიტიკური მოხსენებები და უფრო მეტი — პოეტები, ნახონ სპექტაკლები. შემდეგ იგი საუბრობს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესზე, ერთობ დადებითად აფასებს მას და — ღიმილით დასძენს: — პერესტროიკას იმიტომაც უნდა დავუჭირო მხარი, რომ სიტყვის პირველ ნახევარში ჩემი გვარია — პერეს!

* * *

არაბული სამყარო ისრაელში. არაბები და ებრაელობა.

ზემოთ ვახსენე, რომ 1988 წელს საქართველოში ისრაელის თეატრის მოღვაწენი იყვნენ-მეთქი, ამ მოღვაწეთა ჯგუფს არაბი კაცი ხელმძღვანელობდა. ეს მაშინ ერთგვარ პროპაგანდისტულ ტრიუკად ჩავთვალე. ისრაელები დემოკრატიულობას გვიმტკიცებენ-მეთქი.

დღეს ორი ერი აცხადებს პრეტენზიას ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე. მე იმდენად შორსა ვარ ამ პრობლემებისაგან, რომ მასზე მსჯელობა დილეტანტის დონეზეც კი არ შემიძლია. ძალმიძს მხოლოდ ის გადმოვსცე, რაც ვნახე, მოვისმინე.

ვნახე კი აი რა:

ჭუჭყი და სიბინძურე იერუშალაიმის იმ რაიონებში, სადაც არაბები სახლობენ.

უძრაობა და ყაყანი ერთმანეთს ერწყმის აქ. ადამიანები დილიდან საღამომდე ქუჩაში უქმად სხედან, თითქოს დრო გაჩერებულა. ეგერ იქ, მეზობელ ქუჩაში დრო გარბის, დროს მოცლა არა აქვს, დრო ერთხელაც არ მოგხედავს, აქ კი სხედან და... მე გამაოცა ამ უძრაობამ... დამთრგუნა სიბინძურემ, სუნმა.

ქალაქ აქოში ანტიკური ხანის თეატრის დათვალიერების შემდეგ ქუჩაში რომ გამოვედით, უკვე ბნელოდა და წვიმდა კიდეც. თითქოს აქაც, ქუჩაშიც ისე გაქვავებულიყო დრო, როგორც იქ, ანტიკური ხანის ნაგებობაში—მზერაცარიელი ადამიანები უშფოთველად ისხდნენ. რომ გავსცდით, სტვენა მოგვადევნეს. საოცარია — ვიდრე მათ უახლოვდები ან შესცქერი, არაფერი არ ხდება, გასცდები თუ არა, ზურგში სტვენას მოგაყოლებენ. რატომ? რისთვის?

მთელი დღის განმავლობაში ეს ერთი საქმელა აქვთ?

ეს ჭუჭყისაგან შექმნული უბნები?

ვნახე აგრეთვე ის, რასაც ალბათ, არავის დავუჯერებდი. არ დავუჯერებდი, რადგან რაც უნდა უყურადღებოდ სტოვებდე, პროპაგანდა მაინც ახდენს ზეგავლენას ადამიანზე. ვერაფრით ვერ დავიჯერებდი, რომ ისრაელის პრესა ასე სიტყვა-სიტყვით, თავიდან ბოლომდე, ყოველგვარი კომენტარების გარეშე ბეჭდავს იასირ არაფატის გამოსვლებს. 1988 წლის დეკემბერში ჟენევაში წარმოთქმული სიტყვა სრულად დაიბეჭდა, გაზეთის მთელ გვერდზე დაბეჭდილი ტექსტის შუაგულში კი იასირ არაფატის ფოტოცაა მოთავსებული.

— მტრების გამოსვლებსაც ბეჭდავთ? თანაც სურათით? — გაოცებული ვეკითხები ეფრაიმ გურს.

— რასაკვირველია, ქვეყანამ ყველაფერი უნდა იცოდეს! — მისთვის ჩვეული სიმშვიდით მპასუხობს ეფრაიმი.

საჯაროობა აქ მართლაც უმაღლეს დონეზეა. დეკემბერში „ლიკუდსა" და „მაარახს" უნდა გადაეწყვიტა, შეექმნათ თუ არა კოალიციური მთავრობა, ე. ი. შეერთებულიყვნენ თუ არა ეს პარტიები მთავრობაში. ეს საკითხი უნდა განეხილა ორივე პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მანქანაში ვიყავი თუ ოჯახში, რადიოს ვრთავდი, ცეკას სხდომას პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ — არა დამონტაჟებულს, არა მოვლილ-გასუფთავებულს, არამედ პირდაპირ რეპორტაჟს, ამიტომ აქ ხალხს ხელისგულზე უდევს, თუ ვინ რას წარმოადგენს, ვინ რა შეძლებისა და სულის პატრიოტია, რას თხოულობს, როგორ თხოულობს.

სატელევიზიო უკანასკნელი ცნობები, რომელიც ერთ საათს გრძელდება, ჯერ არაბულ ენაზე გადაიცემა, ხოლო შემდეგ ებრაულ ენაზე.

თუ ფილმი არაბულ ენაზე არ მიდის (მე ტელევიზიას ვგულისხმობ, თორემ კინოთეატრს ნაკლებად ეტანება ხალხი, რადგან ვიდეობუმი აქაც მძლავრობს), ტიტრები მაინცა აქვს არაბულ ენაზე. ქუჩების მაჩვენებლები ტრასებზე ერთნაირადაა ებრაულ და არაბულ ენებზე.

გავიგონე კი აი, რა:

არაბმა ტერორისტებმა გაიტაცეს სკოლიდან მომავალი ბავშვებით სავსე ავტობუსი. ავტობუსი ააფეთქეს.

ლიბანის ტერიტორიიდან შემოსულმა ტერორისტებმა ქალაქის გულში მოახდინეს დივერსია და მიიმალნენ.

ამას მოსდევს ხოლმე საპასუხო აქცია ისრაელის არმიის ნაწილებისა. ისინი დაბომბავენ ლიბანის ტერიტორიაზე განლაგებულ პალესტინელთა ბანაკებს და ჩვენი, ჯერ კიდევ უძრაობის პერიოდის ტყვეობაში მოქცეული საინფორმაციო სამსახურები გადმოსცემენ არა იმ ცნობას, რომ ტერორისტებმა ბავშვებით სავსე ავტობუსი ააფეთქეს, არამედ იმას, რომ ლიბანის ტერიტორიაზე განლაგებული ბანაკები დაბომბესო. ასე იქმნება ცალმხრივი ინფორმაციის სტერეოტიპი — ასე ვქმნით ყალბ მსხვერპლს და ყალბ მოძალადეს. საბოლოოდ კი... დეზინფორმაციას.

ხოლო ის ფაქტი, რომ სახელმწიფოში არაბებს საკმაოდ მაღალი თანამდებობანი უჭირავთ?

ის, რომ მოსახლეობას არაბებთან კარგი მეზობლობა აქვს? (ცხადია, იმათთან, ვისაც მეგობრობა სურს).

ნაზარეთში (როგორც აქ ეტყვიან, ნაცარეთში) სწორედ არაბულ რესტორანში ვისადილეთ და მტრობა არაფერში გვიგრძვნია — ის, ვინც საქმეს მოეკიდა, სწავლობს ან შრომობს, ზურგში სტვენაზე არ ფიქრობს.

* * *

ქართველობით დაინტერესება დღეს არ დაწყებულა ისრაელში. ქართველობა ყოველთვის პატივდადებული ყოფილა აქ. ის, რომ ქართველები გაშლილი დროშებით შედიოდნენ იერუშალაიმში, ცნობილი ამბავია და ამაზე არაფერს ვიტყვი. უფრო გვიანდელი რამ მინდა გავიხსენო, აგერ, გუშინდელი, მაგრამ დღეს უკვე ლეგენდად ქცეული.

თანამედროვე ევროპულ სტანდარტებზე აგებული ქალაქია თელავივი.

ასეთს, მასზე უკეთესსაც ბევრს ნახავთ ევროპაში, მაგრამ მისი სანაპირო ზონის განაშენიანება ერთობ მაღალი დონით ხასიათდება. ეს უკვე ჩვენი დროის უკანასკნელი სიტყვაა არქიტექტურაში — ლამაზი, სამზერად საამო, მოხერხებული და პრაქტიკული. ასეთია მთელი სანაპირო მწკრივი თავისი სასტუმროებითა და რესტორნებით. ჩემთვის კი მნიშვნელოვანი ის იყო, რაზეც ეფრაიმ გური სიამაყით გვესაუბრებოდა:

— თელავივის განაშენიანება ამ საუკუნის დამდეგს დაიწყო — 1903 წელს. ექვსი კაცი ჩაუდგა ამ საქმეს სათავეში. ექვსი კაცის გონება და ფული აშენებდა ქალაქს და ამ ექვსიდან ერთი ქართველი იყო — მორდეხაი მიხაკაშვილი.

რას წარმოიდგენდა დღეს ის სულმაღლიანი მიხაკაშვილი, რომ ქართველნი მადლიერებით გაიხსენებდნენ მის ღვაწლს, არის კიდეც ღირსი მადლიერებისა, რადგან ისტორიას თავისი სახელიც დაუტოვა და თავის გვარში გაცხადებული საქართველოც!

მრავალ ქართველ ებრაელს შევხვდი ისრაელის მიწაზე, მრავალ საინტერესო პიროვნებას, გამორჩეულთ, მოღვაწეთ, კეთილად მოგონების სურვილს რომ აღძრავენ და ამათგან რაფი ბა-

რლევს (ბალუაშვილს) თავისი ადგილი უჭირავს, მხოლოდ მისთვის მიჩნეული ადგილი.

მაღალ-მაღალია, წლებსა და ავადმყოფობას ბეჭებში მოუხრია. ჩაცმა-დახურვას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ უნდა აქცევდეს, ყველაფერზე ეტყობა, რომ შინაგანად ესთეტია. ეს ჩანს მის ყოველ მოძრაობაში, სიტყვა-პასუხში, ღიმილიან საუბარში. ავადმყოფობის კვალი სახეზევე ეტყობა. საქართველო არასოდეს უნახავს, მაგრამ ძალიან უყვარს. ეს აშკარაა და თუნდაც იქიდან ჩანს, თუ როგორ ყურადღებას იჩენს საქართველოდან ჩასული ყოველი ადამიანისადმი. მამის ანდერძს, — საქართველოდან ვინც არ უნდა შეგხვდეს, განსაკუთრებული პატივი ეცი, თუ არაფერი არ გქონდეს, პერანგი გაიხადე და მაინც პატივი ეციო. პირნათლად ასრულებს.

— აბა, როგორ, აბა, როგორ! — იტყვის და იმ განუყრელ „ხინკალა" ქუდს მოიხდის, ისევ დაიხურავს.

ქართულად ლაპარაკი უჭირს, უჭირს და სწორედ ამის გამო წუხს, რცხვენია კიდეც, მაგრამ რა ქნას, ვერ დაემდურები — იქ დაბადებულა, იერუშალაიმში.

არასოდეს არ იტყვის ჯვრის მონასტერიო. „რუსთაველის მონასტერი" — იტყვის და ამას რაღაც სხვა სითბო ახლავს, თითქოს მეტ სიახლოვეს გრძნობს მასთან.

მამამისი 1924 წელს გასცლია საქართველოს. ალბათ, იმ ოჯახებთან ერთად, დავით ბააზოვმა რომ გაიყვანა საქართველოდან. რაფი იქ დაბადებულა, იქ გაზრდილა, მაშინ, როცა ქართველობა არც ისე ბევრი ყოფილა და მაინც შეინარჩუნა საქართველოს სიყვარული, ენაც, ასე თუ ისე.

ახლა, როცა ამდენნი არიან, ერთად არიან (პარტიული უთანხმოებანი და ამ უთანხმოებათა ნიადაგზე წარმოშობილი განხეთქილება მე მაინც დროებით, გარდამავალ ეტაპად მიმაჩნია. მალე მოვა ახალი თაობა და იგი პარტიული ცხოვრების დახვეწილ ფორმებს მოიტანს თან), უფრო ხანგრძლივი არ უნდა იყოს მათი ქართველობა?

ალბათ!

— ეს სასაფლაო ზუსტად ერთი საუკუნის წინათ შეიქმნა. 1888 წელს — დღეს ყველამ იცის, რომ ეს ქართველ ებრაელთა სასაფლაოა — ამბობს რაფი ბარლევი. ჩვენს წინ სახლი უფლისა და ომერის მიზგითი დგას, ხელმარჯვნივ გეთსამანიის ბაღი, ცოტა ქვემოთ — მარიამ მაგდალინელის მონასტერი, ეგერ, ძველი იერუშალაიმის ის კუთხე, რომელიც გოლგოთამდე გაიარა ქრისტემ. გოდების კედელთან ხალხი ირევა — მლოცველნი, ტურისტები, ჯარისკაცები — შემყურებ ყველაფერ ამას და არ გჯერა, რომ სწორედ ამ ქალაქში იმყოფები. — ჩვენ აქა, მანამ, სანამ ახალი, ეს ბოლო ემიგრაცია დაიწყებოდა, გურჯებს გვეძახდნენ, მთელ ქალაქს ეშინოდა არაბების, ებრაელებსაც ქრისტიანებსაც, არაბებს... ისა... ისა.. — სიტყვა ვერ გაიხსენა ბატონმა რაფიმ, ქართული სიტყვა და რაფიელ შოშიაშვილს მიუბრუნდა, კულაშიდან წასულ კაცს, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულს, ხშირად სიყვარულით რომ იხსენებს ხოლმე მხატვარ რობერტ სტურუას, ებრაულად ეუბნება რაღაცას.

არაბებს კი გურჯების შიში ჰქონდათო. თავად ბატონი რაფი ლეგიონერი ყოფილა და ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა არაბებს ქართველ ებრაელთა სასაფლაო აუოხრებიათ, თავად ჩაბმულა ბრძოლაში.

— აბა როგორ, აბა როგორ! მამაჩემის საფლავიც კაცო, მამაჩემის საფლავიც!

შემდეგ იგი სწორედ ლეგიონერივით შეგვიძღვება ჯვრის მონასტერში, ნავსაყუდარში, რომელშიც ჩვენი სტუმრობა ძლიერ არ ეპიტნავებოდა წინამძღვარს, მაგრამ ახლა წინ რაფი ბარლევი — ბალუაშვილი მიგვიძღვის. ეს კი ბევრს ნიშნავს.

* * *

რახელ არბელი, ლილი მაგალი (მაღალაშვილი), დათო შიმშილაშვილი, გერშონ წიწუაშვილი. ებრაელობის დიასპორის (განფანტულობის) მუზეუმში ერთ დიდ საქმეს ეჭიდებიან ახლა. აგერ, თითქმის ერთი წელია ამზადებენ ექსპოზიციას საქართველოზე, ქართველ ხალხზე, საქართველოში ებრაელთ ყოფაზე, მის ისტორიაზე. ყველაფერი აინტერესებთ, ყველაფერს დაეძებენ. ლილი მაგალი ამ საქმისათვის საქართველოშიც კი ჩამოვიდა, ოჯახ-ოჯახ დადიოდა, რომ საჭირო ექსპონატები ეპოვნა, დიდი შეწევნა სჭირდება ამ საქმეს, ჩვენი შეწევნაც. ვინძლო, სრულად გამოჩნდეს საქართველო და ქართველ ებრაელთა ყოფა ამ ბრწყინვალე მუზეუმში.

* * *

თელავივში, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქუჩაზე, სასტუმროების რიგს რომ ჩაუვლი, ერთი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ქართული სანთელი ანთია — მართალია, ამ ბინაში ყოველთვის არ არიან, მისი კარი დროდადრო იღება, მაგრამ როცა არიან, მუდამ გულით ხვდებიან საქართველოდან ჩასულ კაცს. აქ მოთავსებულია საბჭოთა კავშირიდან ჩასულ ებრაელთა საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი. ამ გაერთიანებაში ჩინებული, კეთილისმსურველი ადამიანები შეკრებილან. პროზაიკოსი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე თამარ მამისთვალოვი კი კეთილი დიასახლისივით ხვდება ყველას.

ამ საღამოს, 28 დეკემბერს აქ ჯემალ აჯიაშვილსა და მე შეხვედრა გვაქვს. მისი მეთაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ ელიგულაშვილი, გამგეობის წევრები, უმთავრესად ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეცნიერები, ინჟინრები, ექიმები, ლიტერატორები, აი, ქალბატონი თინა შიმშილაშვილიც მობრძანდა. მან ამ საღამოს წვიმიან ამინდში დიდი გზა გამოიარა, რომ შეხვედრაზე მოსულიყო ეს ის თინა შიმშილაშვილი გახლავთ, რომელმაც ქართული ენის კურსები გახსნა, თან თავისი წიგნი მომართვა. აქვეა შალვა წიწუაშვილი, რომლის მეცნიერულ შრომებს დიდი ღირებულება აქვს. დღეს მას იწვევენ ევროპისა, თუ აზიის ქვეყნებში გამართულ სამეცნიერო სიმპოზიუმებზე. ჩვენშიც მოუწვია ჩამოსვლა. ართონ მიხელაშვილი, მიხეილ კრიხელი, აი, ქალბატონი ეთერ ფიჩხაძე — „ამერიკის ხმის" კორესპონდენტი ისრაელში. ინტერვიუს ალებისას მუდამ შენი მეგობარია, მუდამ იმას უწევს ანგარიშს, თუ როგორია შენი პოზიცია, შთაბეჭდილება. არასოდეს არაფერს გახვევს თავს, არც მომაბეზრებელ შეკითხვებს იძლევა და არც უცნაურ კომენტარს უკეთებს შენს ნათქვამს. (უცნაურ კომენტარს-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი ფაქტიც ხდება ხოლმე — ყველაფერი აქ ადამიანის პარტიული მისწრაფებებით განიზომება და ზოგჯერ ერთობ უხერხულ სიტუაციაშიც კი ვარდები) ერთი სიტყვით, საინტერესო ხალხი შეიკრიბა. ისინი თავიანთ ცხოვრებაზე გვესაუბრებიან, გვიამბობენ, თუ რა გზა უნდა გაიაროს აქ ჩამოსულმა ყოველმა ადამიანმა. ეს საზოგადოებაც ხომ იმისთვის არსებობს, რომ ახალჩამოსულ ადამიანს ყოფა გაუადვილდეს. იგი ერთგვარი შუამავალია ემიგრანტსა და მთავრობას, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს შორის. მან უნდა დააძლევინოს ყოველი სირთულე ახლადჩამოსულს. საზოგადოება სხვადასხვა პარტიის წევრებს აერთიანებს. მათ აქვს თავისი განყოფილებები ისრაელის თითქმის ყველა ქალაქში, რათა ახლადჩამოსულ ადამიანს არ გაუძნელდეს ცხოვრებაში გზის გაკაფვა. ამ ახლადჩამოსულისათვის კი ორი მთავარი პრობლემა არსებობს მუდამ: ბინა და სამსახური. საზოგადოების თავმჯდომარე რობერტ ელიგულაშვილი ამბობს, რომ სწორედ ამ ორი პრობლემის მოგვარებას ცდილობს იგი. ახლა კი საზოგადოებამ შეიმუშავა ერთობ გონივრულად მოფიქრებული კანონპროექტი, რომელიც გულისხმობს ახლადჩამოსული ემიგრანტის სამსახურით უზრუნველყოფას ბინიდან 20 კილომეტრის რადიუსში. როგორც რობერტ ელიგულაშვილი ამბობს, ამ კანონპროექტს მთავრობა მალე დაამტკიცებს.

გვიან ღამემდე გრძელდება საუბარი. კი მართალია, ისინი თავისას გვეუბნებიან, გვიამბობენ თავიანთ ყოფაზე, მაგრამ საქართველოს ამბებიც ძალიან აინტერესებთ. მართალია, „ხიდიც", „დროშაც", „ალიაც" ცალკეულ გვერდებს უთმობენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, რომელიც ძირითადად ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს ეყრდნობა, მაგრამ საზოგადოების გამგეობის წევრებს სწორედ მწერლობის თვალსაზრისი აინტერესებთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. რა არის ეს — მორიგი პროპაგანდა, თუ ძირეული გარდაქმნა? და მე ვგრძნობ: ისინი გულწრფელად ხარობენ, როცა რწმუნდებიან, რომ საბჭოეთში და კერძოდ, საქართველოში ცხოვრება უფრო დინამიური და საინტერესო ხდება, რომ გაჩნდა სარბიელი გონიერი ადამიანისათვის და ა. შ. ქართველ ებრაელთა პრობლემები კი განსაკუთრებით აინტერესებთ — ზოგიერთ ფაქტს მტკივნეულად განიცდიან, ზოგიერთს ღიმილის მომგვრელ შეფასებასაც კი აძლევენ, რადგან არა აქვთ სრული ინფორმაცია, ან ტრადიციისამებრ არ სჯერათ იმ ინფორმაციისა, რასაც ოფიციალური წყაროებიდან ღებულობენ და მეც, ჯემალ აჯიაშვილიც იქვე, ადგილზე ვრწმუნდებით, თუ რაოდენ საჭირო და იქნებ, აუცილებელიც არის ამგვარი საგულდაგულო საუბარი, რამდენი სიკეთე მოაქვს მას.

ჩვენ რეალურად უნდა შევხედოთ მოვლენებს — ემიგრანტთა უმრავლესობას თან გაჰყვა გარკვეული წილი სკეფსისის ჩვენი სინამდვილისა და პერსპექტივების მიმართ, ეჭვი იმის გამო, რომ ჩვენში ყოველთვის არ არის შესაძლებელი ადამიანმა გამოავლინოს თავისი თავი, ნიჭი, ენერგია, ის თუ რისი გაკეთება შეუძლია მას ქვეყნისათვის. არცთუ უსაფუძვლოა ეს ეჭვი. ჩვენი ახლო წარსული, ჩვენი სინამდვილე აძლევდა ამგვარი ფაქტის საბაბს. ამიტომ არცთუ ადვილია ირწმუნონ იმ პროცესებისა, რაც ახლა ჩვენში მიმდინარეობს. კი, ემიგრაციის მთავარი „მოტორი", მისი განმაპირობებელი რწმენა გახლდათ, ნატვრა ეხილათ სახლი ღვთისა, დამარხულიყვნენ წმინდა მიწაზე, მაგრამ ნურც იმაზე დავხუჭავთ თვალებს, თუ რა სინამდვილეში უხდებათ ცხოვრება ამ ადამიანებს, არც ის უნდა დავივიწყოთ, უძრაობის წლებში რა ბარიერებს ქმნიდნენ გამგზავრების მსურველებისათვის. მარჯვენა ხელით ჰელსინკის კონფერენციის დოკუმენტებს ვაწერდით ხელს, მარცხენათი კი ცირკულარებს, რომელიც თითქმის ყველაფერს კრძალავდა. აქ არც ის ავიწყდებათ, თუ რაოდენ ბეგარას ახდევინებდნენ ადამიანებს, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს, იქ, იმ სამყაროში კი ეს დიპლომი თითქმის არაფერი გახლდათ, რადგან შენ ხელახლა უნდა დაგეცვა შენი ექიმობა თუ ინჟინრობა, ფიზიკოსობა თუ ეკონომისტობა. ხოლო საბჭოთა საბაჟო სამსახურების მოგონება დღესაც ჟრუანტელს გვრის ამ ადამიანებს და შეუძლებელია, შენც არ შეძრწუნდე, როცა გაიგებ თუ როგორ ექცეოდნენ მათ ჩოპისა თუ ბრესტის მესაზღვრეები (რაღა ისინი, ვისაც სა-

მშობლის მოღალატეებს ეძახდნენ, განა ჩვენ დიდი სიხარულით ვუახლოვდებით ხოლმე ჩვენი საბჭოს მოხელეებს?)

ყველაფერი ეს დღეს უხერხულობის გრძნობას გვგვრის, და მათაც ძალიან უნდათ ირწმუნონ, რომ ყველაფერი ეს ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის გუშინდელი დღეა.

* * *

რასაკვირველია, საქართველოდან ისრაელში სანთლები არ წაგვიღია. ეს სანთლები იქ დაგვხვდა — ქართული თეატრის, ქართული სიტყვის სანთლები. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის იმ ქართული თეატრის თაობაზე, რომელიც თელავივშია და რომელსაც თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის აღზრდილი მიხეილ ნანიკაშვილი ხელმძღვანელობს. ამ თეატრს შარშან არსებობის ათი წელი შეუსრულდა. თეატრის საიუბილეო საღამოს ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწეები გიგა ლორთქიფანიძე, რამაზ ჩხიკვაძე, ქეთევან კიკნაძე, სანდრო მრევლიშვილი ესწრებოდნენ.

ახლა მინდა ქართველ მკითხველს მივაწოდო ცნობა იმის თაობაზე, რომ ისრაელში კიდევ არსებობს ქართული თეატრი, რომელსაც თურმე უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს გახლავთ ხაიფისა და ჩრდილოეთის ოლქის დრამატული თეატრი — ქართველ ებრაელთა დრამატული თეატრი ისრაელში. ეს თეატრი ჯერ კიდევ 1972 წელს შექმნილა. მაშინ მას ხელმძღვანელობდა დავით ხუბელაშვილი.

დავით ხუბელაშვილს ადრეც ვიცნობდი, სანამ ისრაელს გაემგზავრებოდა, იგი ფოთის ვ. გუნიას სახ. თეატრის მსახიობი იყო, თეატრის ადმინისტრაციულ საქმიანობაშიც ედგა ფეხი და აი, ისრაელში ჩასულს რამდენიმე ხანში თეატრი ჩამოუყალიბებია. დავით ხუბელაშვილი იხსენებს ფოთის თეატრის მეგობრებს, სპექტაკლებს, თითქმის თითო-თითოდ გამოჰკითხა ყოველი მათგანის ჯანმრთელობისა თუ შემოქმედებითი ცხოვრების დეტალები.

ამ თეატრის მთავარი რეჟისორი არკადი წიწუაშვილი გახლდათ იმთავითვე და დღესაც ის უძღვება თეატრს, დავით ხუბელაშვილი კი თელავივის სატირისა და იუმორის თეატრში გადავიდა.

არკადი წიწუაშვილი თურმე ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის მსახიობი იყო. აკაკი ვასაძის დროს ვმუშაობდი ამ თეატრში და დღესაც არ მავიწყდება იქ გატარებული წლებით.

მე იგი სცენაზეც ვნახე: ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც აშდოდში გაიმართა, ამ თეატრმა გაითამაშა სცენა აკაკი გეწაძის პიესიდან — „ყარამანი ცოლს ირთავს". არკადი წიწუაშვილი ჩინებული ხასიათის მსახიობი გახლავთ. იგი ისე ზუსტად გრძნობს და გადმოსცემს კიდეც პერსონაჟის ბუნებას, [illegible] ვალფეროვანია მისი ფერთა [illegible] შეუძლებელია მოხიბლული არ დარჩეთ.

ამ თეატრის რეპერტუარში ერთ-ერთი მთავარი ადგილი რაფიელ ერისთავის პიესას „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" უჭირავს. იგი კარგა ხანია, 1982 წელს, თეატრის საიუბილეოდ დადგეს, მაგრამ დღესაც უყვართ, დღესაც მონაპოვრად მიაჩნიათ, რადგან, მართლაც, კარგად დაუდგამს არკადი წიწუაშვილს.

ჩემს ხელთაა ქართულ და ებრაულ ენებზე დაბეჭდილი მოსაწვევი ბარათი.

„ძვირფასო მეგობრებო!

> გიწვევთ ხაიფისა და ჩრდილოეთის ოლქის ქართული დრამატული თეატრის არსებობის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, რომელიც გაიმართება 1982 წლის 19 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე კირიათ ათაში ბეით ჰისთადრუთის დიდ დარბაზში".

ეს უკვე ქართული თეატრის ბიოგრაფიის შემადგენელი ნაწილია, რადგან ქართული თეატრის ტრადიციებზე ქართულ თეატრალურ სასწავლებლებში აღზრდილმა მსახიობებმა, რეჟისორებმა, რეჟისორთა თანაშემწეებმა, ქართულ სიტყვაზე შეყვარებულმა ადამიანებმა იქაც, იმ ბიბლიურ მიწაზე ქართული სანთელი აანთეს და ეს სანთელი დღესაც ჩაუმქრალია. ამიტომ არ შემიძლია არ გავიხსენო ყოველი მათგანი: შოთა წვენიაშვილი (მსახიობი და თეატრის ქორეოგრაფი), ბორის იოსებაშვილი (მსახიობი, ფოთის ვ. გუნიას სახ. თეატრის ყოფილი მსახიობი), სონია ფიჩხაძე (თეატრის დიდი მეურვე, კაპლანის პრემიის ლაურეატი), დალი წვენიაშვილი (მსახიობი), გივი ჯანაშვილი (ხაშურის სახალხო თეატრის ყოფილი მსახიობი), ნუგზარ ეფრემაშვილი (სოხუმის სახელმწიფო თეატრის ყოფილი მსახიობი), ილო წითლიშვილი (მსახიობი), იოსებ და ვენერა კრიხელები (ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრის ყოფილი მსახიობები), იცხაკ ნანიკაშვილი, ცირა კოჟიაშვილი, ჯულიეტა დავარაშვილი, ნატრული სეფიაშვილი, ლიანა კრიხელი.

ქართული თეატრის კიდევ ერთი სანთელი ანთია ბიბლიურ მიწაზე — თელავივის სატირულ-იუმორისტული თეატრი. იგი მოგვიანებით შეიქმნა და დღეს აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევა. ამ თეატრის დამაარსებელიც იგივე დავით ხუბელაშვილი გახლავთ რეჟისორ ზური ბოთერაშვილთან ერთად. ზური ბოთერაშვილი — მსახიობი, ერთმოქმედებიანი პიესების, სკეტჩების ავტორი, ამავე დროს ისრაელის ქართულენოვანი პრესის სპორტულ მიმომხილველადაც გვევლინება. იგი ერთობ აქტიური ძალაა და დავით ხუბელაშვილთან ერთად ეწევა ქართული თეატრის ისრაელში არსებობის არცთუ მსუბუქ ჭაპანს. ამ თეატრის რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერტუარშია გერცელ ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“, ზურა ბოთერაშვილის იუმორისტული მცირე პიესები, რომელიც მოსწონს მაყურებელს, შოლომ ალეიხემის „ძნელია იყო ებრაელი“, ჩეხოვის „დავითი“, იუდა შალელაშვილის „ტუვეები“. მე ვნახე ერთი მოზრდილი სცენა ამ თეატრის მიერ დადგმული ჩემი პიესიდან „ვალი“ და დიდი მადლიერების გრძნობით განვიმსჭვალე დავით ხუბელაშვილის, ზური ბოთერაშვილის და სხვა მსახიობების მიმართ. აი, ამ თეატრის მსახიობები: ნათელა ხეფიაშვილი, ირით კაპელანი, ხაგით იარდენი, ბელა ცივი, აბტალიონ შალელაშვილი, ნოდარ პაპისმედოვი, დათო ჯანაშვილი, რუბენ ბოთერაშვილი, კობა ბათოშვილი, დორონ შემეში, გია ზოარი, ბენი ბოთერაშვილი.

რა ფუნქციას ასრულებს დღეს ქართული თეატრი ისრაელში, რა მისია აკისრია მას?

ბიბლიურ მიწაზე ქართული თეატრის არსებობა მე მიმაჩნია გამოვლინებად სიყვარულისა ქართული სიტყვის, ქართული სამყაროს მიმართ. ეს ერთი. მეორე — უცხო მიწაზე, უცხოთა შორის მოხვედრილი ადამიანებისათვის, რომელმაც არ იცოდა ივრითი, სწორედ ქართული პრესა და ქართული თეატრი გახლდათ ის ტაძარი, რომელშიც ჩვენგან წასული ადამიანები შვებას ჰპოვებდნენ, იმ წლებში თეატრი არა მხოლოდ გახართობი ფუნქციის მატარებელი გახლდათ, არამედ საზოგადოებასთან, გარემომცველ სამყაროსთან, ყოფასთან კონტაქტის დამყარების ერთადერთი გზა. ქართულ პრესასა და თეატრში იყრიდა თავს ძველი და ახალი სამშობლო.

დღეს? დღეს, როცა საქართველოდან ჩასულთა მაქსიმალურმა უმრავლესობამ კარგად შეისწავლა ენა, შეუძლია წავიდეს იერუშალაიმისა თუ თელავივის ნებისმიერ თეატრში, გაიგოს ყველაფერი, ფლობს უახლესი ტიპის ვიდეოტექნიკას!

გულახდილად რომ ვთქვა, ეს საკითხი ჩემთვის ბინდითაა მოცული. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ხვალინდელი დღე ისრაელის ქართულენოვანი თეატრებისა, იმ ფაქტმა, რომ ისრაელში არსებობს სამი ქართული თეატრი, კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რა ძალა აქვს თეატრს.

იგი ადამიანებს სჭირდებათ ადამიანობის შესანარჩუნებლად!

* * *

მზე უხვად ილვრება ისრაელის მიწაზე, მზის ძალა ყველაფერში შეიგრძნობა — ბუნებაში, ადამიანებში, მათს ურთიერთობაში, მზე აცისკროვნებს ახალ ქალაქებს, მზე დგას ისრაელი ქალწულებისა თუ ვაჟების თვალებში. მზის სხივი გამოკრთის მათს მზერაში.

მაგრამ მზე ხშირად ექცევა ხოლმე ღრუბლებში. ღრუბლები მუმლივით ახვევია მზეს, ისე ახვევია, რომ მოძრაობა უჭირს. გზაც ებურდება.

აქ, თბილისში ყოფნისას, თვითმფრინავის ფრენას ჩემში არასოდეს გამოუწვევია მღელვარება, იქ, აშდოდში, ბალფურის ქუჩაზე, ხშირად მიგრძვნია მღელვარება თვითმფრინავი წივილით რომ გადაუფრენდა ხოლმე ქალაქს.

ისრაელებს ძალიან სწადიათ შეინარჩუნონ სახელმწიფოებრიობა, სამშობლო, ენა.

ბევრი არაბული ქვეყანა ჯერაც არ სცნობს ისრაელის სახელმწიფოებრივ არსებობას. დაბეჯითებით უარს ამბობს იმაზე. ზოგმა ახლახან მიიღო მოწყალება. როგორც ყველა ცივილიზებული ერი, ისრაელიც სუსტად მრავლდება, დაბალია შობადობის პროცენტი.

— ქვეყანაში მცხოვრები არაბული მოსახლეობა ინტენსიურად იზრდება... ძალიან ინტენსიურად — ამას მრავალმნიშვნელოვნად მეუბნება ეფრაიმ გური.

და რა აზრი აქვს ამდენ ბრძოლას, ამდენ სისხლს, გარჯას, თუ ხვალ, ზეგ შენსავე მიწაზე ეროვნულ უმცირესობად გადაიქცევი. ეს ხომ დასასრულის დასაწყისია.

ასე რომ პრობლემა ბევრია, ძალიან ბევრი!

მზე ხშირად ეხვევა ღრუბლებში, დროდადრო მზე ისეთი სიცხოველით არ აბრწყინებს ისრაელის სანახებს, ისეთის სიანცით არ კიაფობს ქალთა და ვაჟთა თვალებში.

ეს საუკუნეობრივი პრობლემაა.

როდის გადაიყრება ღრუბლები, როდის მოეფინება მისი სხივები ყველას, ყველას, ყველას, ყველას, იუდეველს, მაჰმადიანს, ქრისტიანსაც. დიდსაც და მცირესაც.

როდის იქნება, რომ ქალაქის თავზე თვითმფრინავის გადაფრენა მღელვარებას არ აღძრავს?

იქნება, კი?

* * *

იერუშალაიმ...

ნიეს ვაჟს შემი ერქვა. შემმა ამ ქალაქს უწოდა „შილამ“, მამა აბრაამმა კი „ირე“ (ის, ირაც დაინახავს, განჭვრეტს, ქალაქი — ღონიერი, ძლიერი).

უზენაესმა კი სთქვა:

თუ ამ ქალაქს ვუწოდებთ „შალამ“, ისე როგორც უწოდა შემმა, აბრაამი განაწყენდება, თუ ვუწოდებთ მას „ირე“, როგორც უწოდა „შალომ“ შემი განაწყენდება. მე მას დავარქმევ „ირე შალამ — იერუშალომ“ — მშვიდობის ქალაქი.

ასეთია ლეგენდა.

თალმუდმა კი სხვა დოკუმენტი შემოგვინახა. მესამე ტრაქტატში სწერია: „ქვეყნიერებას ებოძა სილამაზის ათი განზომილება, ამათგან ცხრა

ერგო იერუშალაიმს, ხოლო ერთი მთელ დანარჩენ მსოფლიოს".

მართლაცდა, მრავალი ქალაქი აშენდება დედამიწის ზურგზე — ნატიფი, დიდებული, ლამაზი.

იერუშალაიმ კი მარად დარჩება ერთადერთ ქალაქად ჩვენს პლანეტაზე. მის აღწერას არავითარი აზრი არა აქვს, მკრეხელობა არ უნდა ჩაიდინო — ასეთი ქალაქი უნდა იყოს შენს სულში, როგორც ღვთაებრივი ქმნილება, როგორც ფიქრი მარადიულობაზე და თუ ღმერთმა ერთხელ მაინც გარგუნა წილად მის ქუჩებში სიარული, შემდეგ კვლავ და კვლავ უნდა გაიხსენო იგი როგორც უხმოდ წარმოთქმული ლოცვა.

მრავალი ქალაქი მინახავს, მრავალ ქალაქს მოვუხიბლივარ. ალბათ, არასოდეს დამავიწყდება სერვანტესის ძეგლი დიდებულსა და თითქოს ათასგზის ნაცნობ მადრიდში, დიდი მწერლების მეოხებით ბავშვობიდან გაშინაგნებული პარიზი, თბილისივით მუდამ მოფუსფუსე სტამბოლი, გამთენიის ხანის თევზის ბაზრობა ჰამბურგში ტოლედოს ხელის გაწვდენის ოდენა ქუჩებში, ბუდაპეშტის თითქოს ზეცაში გადებული ხიდები — ეს საამო და მეგობრივით ახლობელი ქალაქი. ბობოქარი, გრანდიოზული მეხიკო, მონრეალიდან მშვიდ, მუდამ კოპწია ოტავისაკენ მიმავალი ტრასა, რომელი ერთი გავიხსენო, ყოველი მათგანი დიდებული იყო თავისი განუმეორებლობით.

მაგრამ არსებობს სულჩადგმული საოცრებანიც.

ათენში გვიან ღამით ჩამოსული დილაადრიან გამოვედი ქუჩაში. ჰომონიის მოედანზე გაზეთების კიოსკს ვათვალიერებდი. უცებ თავი ავწიე და... აკროპოლი ქალაქს თავს ადგა, როგორც ცოცხალი ღვთაება, როგორც სულჩადგმული საოცრება. აკროპოლი იდგა და მესაუბრებოდა, რაღაცას დაბეჯითებით მიამბობდა და მე მომეჩვენა, რომ ამ უზარმაზარ, ახმაურებულ ქალაქში იგი მხოლოდ მე მელაპარაკებოდა, მხოლოდ ჩემთვის არსებობდა, მე მელოდა. სუნთქვა შემეკრა. კარგა ხანს ვიდექი გარინდებული, გაყუჩებული რომ არაფერი, არაფერი გამომპარვოდა აკროპოლის ნაჩურჩულარი და მე ვიგრძენი სულში როგორ ჩასახლდა რწმენა ადამიანისა, ადამიანი — შემოქმედისა.

მას შემდეგ თითქმის 15 წელი გავიდა.

იერუშალაიმი...

მიწიერიც და ზეციურიც... მასთან მიახლოება რაღაც დიადთან მიახლოებას მოასწავებს თურმე. ძნელია, ძალიან ძნელია დაიჯერო, რომ ყველაფერი ეს — არა ერთი ძეგლი, არაერთი დიადი ნაშთი ადამიანის გონების ძალისა, არამედ თეთრად ნაგები ქალაქი ადამიანის შექმნილია. ქალაქი? ეს მუსიკა უფროა, ვიდრე ქალაქი, სივრცეში დაწერილი, ჰაერში, კოსმოსში, თუ დედამიწაზე მიმოფანტული მუსიკა. და სწორედ ეს გაახლოებს მარადიულთან.

ისევ შემეკრა სუნთქვა, ისევ გარინდებული, გაყუჩებული „ვუსმენდი" ამ მუსიკის ჰანგებს... არა, ადამიანები ვერაფრით ვერ შექმნიან ამ მუსიკას, თუ ღმერთმა არ უკარნახა, თუ ღვთაებამ არ წარმართა მათი მარჯვენა.

სივრცეში ნაგები ეს ქალაქი — მუსიკაც ისევე მესაუბრებოდა, როგორც აკროპოლი.

ბევრ რამეს მიამბობდა ეს უძველესი, ათასი ჭირისა და ვარამის მნახველი ქალაქი, მაგრამ მე მაინც ერთი რამ ჩამესმოდა ყურში:

— მთავარია რწმენა, რწმენა მიწისა, რწმენა ერისა, ეს რწმენა ბადებს სასწაულებს, უკან აბრუნებს უხსოვარ დროს დაკარგულ შვილებს.

ამ სასწაულის მეტყველი ძეგლია იერუშალაიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნადირაძე

# პირველი მეცნიერული წიგნი დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ

დავით აღმაშენებლის ცხოვრება ქართველი ხალხისათვის მუდამ იყო და არის იმედით სავსე ისტორია. დიდი მეფე-მოღვაწის ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ნივთიერი და სულიერი ძალების აღორძინება, ისტორიული მოვლენების ობიექტურად შეფასებისა და გამოყენების უნარი, ის თავმდებია, რომელსაც შეუძლია აღგადგენინოს დანგრეული, გაპოვნინოს დაკარგული, გაზიაროს თავისუფლებას.

ჩვენ ვიცით, რა ღირსებათა გამო ეწოდა მეფე დავით მეოთხეს აღმშენებელი: მეფის მიერ გაწეული ყოველი „ავი" საქმე მხოლოდ საქართველოს სიცოცხლისთვის იყო გამიზნული, ამიტომ მისი ვედრება — „ნუ იხსენებთ ძვირთა ჩემთა" — მშობელი ერის მიერ მუდამ შეწყნარებული იყო.

დავით აღმაშენებლისადმი პატივისცემა და სიყვარული საქართველოში ტრადიციად ჩამოყალიბდა და ყოველ 26 იანვარს ქართველი კაცი თავის დიდ თაყვანისცემას საზეიმოდ მიაგებს ხოლმე აღმაშენებელ მეფეს.

ქართველი საზოგადოება დიდი ხნის იძულებითი დუმილის შემდეგ სიხარულით მიეგება აზრს იმის შესახებ, რომ თბილისში, აღმაშენებლის მიერ ნაამაგარ ქალაქში, რომელსაც დაკარგული სატახტოს წოდება კვლავ ებოძა სწორუპოვარი სარდლის ხელით, ამ ამბებიდან 866 წლის შემდეგ თვალსაჩინო ადგილას უნდა დაიდგას დავით აღმაშენებლის ძეგლი, რაც არ არის მხოლოდ სიმბოლო პატივისცემისა მშობელი ხალხის მიერ ღირსეული შვილისადმი. ესაა ზრუნვა ეროვნული თვითდამკვიდრებისათვის. რადგან, როგორც ილია გვმოძღვრავს, აღმაშენებლისთანა „კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა. რომელმაც იგი შვა და თავის ძუძუთი გამოზარდა".

დავით აღმაშენებლის ეპოქისადმი უდიდესმა ინტერესმა განაპირობა მრავალი შესანიშნავი მეცნიერული თუ მხატვრულ-ლიტერატურული ძეგლის შექმნა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი ეკუთვნის დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ ნ. ხიზანაშვილის პირველ მეცნიერულ წიგნს „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო", რომელიც 1894 წელს თბილისში ნ. ურბნელის ფსევდონიმით გამოიცა ქართულ ენაზე. მასში ვრცლად არის განხილული დავით აღმაშენებლის მეფობისა და შემოქმედების ყველა მხარე. ამ რთული საქმის შესასრულებლად ავტორს გამოუყენებია იმ დროისათვის მოძიებული თითქმის ყველა ქართული და უცხოური წყარო, იმ დიდი ინტერესის გათვალისწინებით, რასაც ქართველი ხალხი იჩენს თავისი ძვირფასი შვილის მოღვაწეობისადმი. ზედმეტად არ მიგვაჩნია აღნიშნული მონოგრაფიის ავ-კარგის ფართო მკითხველის წინაშე გამომზეურება.

ამთავითვე საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ აღმაშენებლის ეპოქის შესახებ შექმნილ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ნ. ხიზანაშვილის მონოგრაფიას ნაკლები ყურადღება ეთმობა. ეს გარემოება არავითარ შემთხვევაში არ უნდა აიხსნას წიგნში განვითარებული დებულებების მცირე მნიშვნელობით. მონოგრაფიის კვლევის მეცნიერული საბუთიანობა დღესაც სავსებით გასაზიარებელი და მისაღებია.

ჩვენი წერილის მიზანია შეძლებისდაგვარად მოკლედ წარმოვაჩინოთ მონოგრაფიის მნიშვნელობა დავით IV ეპოქის კვლევისათვის. დავიწყებთ იმით, რომ ნ. ხიზანაშვილს შესანიშნავად ჰქონია წარმოდგენილი თავისი მონოგრაფიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნულება. იგი წერს: „უეჭველია, საეროვნო თვითცნობიერების აღორძინება და წარსული ცხოვრების ცოდნა ნათელს მოჰფენს დავით აღმაშენებლის დიდ სახეს და ჭეროვან განჩინებას დასდებს იმის დიდებულ მოღვაწეობას, ამჟამად კი ორიოდე ამბავი თუ იცის ხალხმა თავის უდიდეს მეფეზედ“. (ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, 1894, გვ. 2-3). და მართლაც, ნ. ხიზანაშვილის წიგნი იყო პირველი სერიოზული შრომა დავით აღმაშენებლის ეპოქის შესასწავლად. ნ. ხიზანაშვილი, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ საისტორიო წყაროები ძუნწად მოგვითხრობენ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეზე, რაც აძნელებს საკითხის კვლევას. ამ მხრივ, გაჭირვებას ვერ ასცდება ვერავინ, ვინც კი, თეიმურაზ ბატონიშვილის „თქმისაებრ“, „ისტორიკოსებრ ჰყოფს ძიებასა“, გვ. 2-3). — სამართლიანად წერს ნ. ხიზანაშვილი. იგი ნათლად წარმოაჩენს იმ მძიმე მემკვიდრეობას, რომელიც დავით IV პოლიტიკურად სუსტი სამეფოს სახით მიიღო, და იქვე ხატოვნად წარმოგვიდგენს ნიჭიერი და მებრძოლი ჭაბუკი მეფის პიროვნებას.

„შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ ყველგან და ყველაფერში მოჩანს მეფის ხელმძღვანელობა, თაოსნობა, თვითეულის საქვეყნო საქმეს იმის დიდბუნებოვნების ბეჭედი ამჩნევია, მისი ძლიერი სულის გავლენა ატყვია“. (იქვე, გვ. 2). ხაზგასმულად აღნიშვნის ღირსია, რომ ნ. ხიზანაშვილს სავსებით სწორად ესმის პიროვნების როლი ისტორიაში. მას მიაჩნია, რომ ტალანტის გამოვლენისათვის, განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა პირობები. ამ პირობებს კი ისტორიული ვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათი განსაზღვრავს. მისი მართებული გაგებით, „მეფის თუ სხვა საზოგადოებრივის მოღვაწის საქმეთა განხილვა და განსჯა შესაძლოა ისტორიულ გარემოებათა მიხედვით, დროთა ვითარებას დიდი გავლენა აქვს საზოგადო ცხოვრების ბრუნვაზე“. (გვ. 20). სხვა ადგილას კი იგი წერს: „თვით ცხოვრების მსვლელობა უადვილებდა მეფეს მძიმე ტვირთს, მაგრამ მაინც დიდი გონებრივი ძალა იყო საჭირო ამის საზიდლად“ (გვ. 21).

ნ. ხიზანაშვილის აზრით, სწორედ ის პიროვნებაა დიდი, მას სცემს ისტორია პატივს, ვისაც ჰყოფნის ნიჭი და უნარი, ხელმოცარული არ დარჩეს იქ, სადაც ადვილი არაა „ძლევა და გამარჯვება, თორემ გონებრივს გამჭრიახობას მოკლებული და ხასიათით სუსტი ყოველთვის ქედს იხრის ცხოვრების ბრძოლის მოედანზე და ხელცარიელი რჩება მაშინაც კი, როცა ადვილია ძლევა და გამარჯვება“(გვ. 20). დავით აღმაშენებლის ყველა მეისტორიე ერთხმად აღნიშნავს მის დიდ განათლებასა და განსწავლულობას მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რაც მეფის მთელი მოღვაწეობითაც ნათლად დასტურდება, ხოლო დავითის ისტორიკოსი ქართლის ცხოვრებაში მეფის მწიგნობრობით საარაკო გატაცებას საგანგებოდ აღნიშნავს.

ნ. ხიზანაშვილის მართებული აზრით, განსწავლულობამ, განათლებულობამ, ისტორიის ცოდნამ და ისტორიის ანალიზის გამორჩეულმა უნარმა განაპირობა დავით აღმაშენებლის შესანიშნავი წარმატებანი პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სარბიელზე.

ნ. ხიზანაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო მოღვაწის ზნეობრივ მხარეს, მას მიაჩნია, რომ მეფე, რომელიც წინ უძღვის ერს, აუცილებლად უნდა გამოირჩეოდეს ზნეობრივი სიწმინდით: „ზნეობრივი მოძღვრების ქვაკუთხედი ერთ-ერთი სიყვარული და სათნოებაა“, მაგრამ ნ. ხიზანაშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დროს მეფე ვერ დაიცავს ზნეობრიობას. იგი ზოგჯერ იძულებულია უღალატოს ყოველდღიურ ზნეობრივ ეთიკას. „მტერთან სპასპეტს გულ-ახდილი და წრფელი დამოკიდებულება არ შეშვენის. იქნებ ასეთი საქციელი წინააღმდეგი იყოს ზნეობრივის კანონისა, მაგრამ მიუცილებლად საჭიროა სპასპეტისათვის, რომელიც ლაშქრობის დროს, უნებლიედ ემორჩილება სხვაგვარ ზნეობას“ (გვ. 56).

ნ. ხიზანაშვილს მშვენივრად ესმის, რომ მეფესაც ისევე დაუნდობლად უნდა ებრძოლა შინაური თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ, როგორც მტრები იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. პოლიტიკოსი „სპასპეტი“ აბსოლუტურად ზნეობრივი, ვერ იქნება, თუ გამარჯვებულთა შორის ყოფნა სურს.

წიგნში „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ საგანგებოდაა ხაზგასმული დავით აღმაშენებლის მიერ რჯულშემწყნარებლობის ფაქტი და სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „ამ მხრივ მეფემ დროს წინ გაუსწრო“ (გვ. 18). ამ მოვლენას ნ. ხიზანაშვილი მხოლოდ აღმაშენებლის დიდი ჰუმანიზმით ხსნის. მეფე, რომელიც თავის თავს ქრისტეს მახვილს უწოდებდა, დიდ ყურადღებას იჩენდა სხვა სარწმუნოების მიმდევართა მიმართ, მაჰმადიან პოეტებს, სუფიებს, მოღვაწეებს საცხოვრებელს აძლევდა, პატივს სცემდა, იცავდა მათ უფლებებს, ყველაფერი ეს ფაქტია, მაგრამ ამ ფაქტის ახსნა მხოლოდ „ჰუმანიზმით“ და „ზნეობრიობით“ არ შეიძლება, თუმცა თვით მოქმედება არც ერთს და არც მეორეს არ გამორიცხავს. აუცილებლად საგულისხმოა, რომ იმ მრავალეროვნულ და მრავალრელიგიურ სახელმწიფოში, რომლის განდიდება-განმტკიცებას კვლავაც ესწრაფოდა შორსმჭვრეტელი მეფე-პოლიტიკოსი, მხოლოდ „ქრისტეს მახვილობა“ სასურველ სამსახურს ვერ გაუწევდა. ნ. ხიზანაშვილი როდესაც მახლობელ აღმოსავლეთში თურქთა გაძლიერების

საკითხს ეხება, აღნიშნავს: ეს მას შემდგომ მოხდა, როცა ბიზანტიამ აღმოსავლეთის ქვეყნების უზარმაზარი ტერიტორია დათმო, რითაც საქართველოს ერთი ზღუდე მოეშალა, ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მტერსო (გვ. 25). მას რა თქმა უნდა მხედველობაში აქვს 1074 წლის თურქეთ-ბიზანტიის ხელშეკრულება, რომლის შედეგებმა საქართველოს რეალური საფრთხე შეუქმნეს. მართლაც, სწორედ აღნიშნული ზავის შემდეგ, კერძოდ, 1080 წლიდან, საქართველოში იწყება ე. წ. „დიდი თურქობა“. ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე გიორგი მეორე ზის, რომელსაც ურბნელი „უთაოსნო“ და „დაუდევარ“ კაცს უწოდებს. „საქართველო საშინელ სურათს წარმოადგენდა, მაგრამ ქართველობა მაინც სულით არ იყო დაცემული და საკმაო ზნეობრივი ძალა მოეპოვებოდა. საჭირო იყო მხოლოდ ერის გამხნევება, სასოების და იმედის აღდგენა. გარემოება თხოულობდა, უპირველეს ყოვლისა, მეფობის უფლება და ღირსება აღდგენილიყო და ჭაბუკმა გვირგვინოსანმაც წინადვე ამას მიაქცია ყურადღება“. (გვ. 26-27).

ხიზანაშვილის აზრით, ერთადერთი ხსნა საქართველოსათვის მეფის ხელისუფლების განმტკიცება, „ნამდვილი თვითმპყრობელობის“ დამყარება იყო. „გენიოსი ჭაბუკის“ სწორედ ასეთი პოლიტიკური კურსი მიაჩნია მის დიდ დამსახურებად: „დავით აღმაშენებლის უდიდესი ღვაწლიც, სხვათაშორის, ის არის, რომ თვითმპყრობელობაზე დაამყარა საქართველოს დიდება. მართალია წინადაც მეფე თვითმპყრობელად იწოდებოდა, მაგრამ ეს მარტო ცალიერს სახელს შეადგენდა“. (გვ. 27). ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ნ. ხიზანაშვილს მხედველობაში აქვს შეუზღუდველი მონარქია და სამართლიანად მიაჩნია, რომ სწორედ დავით IV დროს ჩაეყარა საფუძველი საქართველოში „ნამდვილ თვითმპყრობელობას“, რასაც თავის დროზე ყველა ფეოდალური ქვეყნის ისტორიაში პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რის საუკეთესო მაგალითსაც დავით აღმაშენებლის მეფობის მთელი ისტორიაც წარმოადგენს.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ საქართველოს სამეფოს მთლიანობას როგორ უშლიდა ხელს შინაური აშლილობა — ფეოდალური შუღლი, მტრობა და, არც თუ ისე იშვიათად, „ერის თავკაცთა“ ზნეობრივი სიწამხდრე. ამ გარემოებას ნ. ხიზანაშვილი მტრის ზემოქმედებითაც ხსნის და ამბობს, რომ „მტრის ბატონობამ ზნეობრივადაც დაარღვია საქართველოს სამეფო“ (გვ. 29). უნებლიედ გვახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის მიერ შემაძრწუნებლად დახატული უბედურება დამარცხებული ერისა: „დავრდომილის დამარცხებულის სხეულში და ტანზეც მუდამ ჩნდება ათასნაირი შხამიანი ბაცილა, მუწუკი და ჭირი. ჩვენი შინაური რღვევა და აღრევაც, მზაკვრობა და მუხანათობაც, „ყიყვი[illegible] მაკიც“ მუდამ შედეგი იყო ჩვენი [illegible]ბისა გარეშე მტერთან. იმედდაკარგული და გამწარებული ორგანიზმი იწყებს საკუთარივე თავის ღრღნას და ჭამას. ამიტომ მოსდევს ხოლმე ჩვენს დამარცხებას ანარქია, სიმშილი, ეპიდემია; ზნეობრივი გახრწნა, განდგომა“ (მიხ. ჯავახიშვილი, თხზ. სრული კრებული, ტ. VI, 1967, გვ. 72).

ნ. ხიზანაშვილის აზრით გიორგი მეფის „უუნარობამ“ და „დაუდევრობამ“ დაბადა საქართველოს სამეფო კარზე პოლიტიკური გადატრიალების იდეა, რის შედეგადაც საქართველოს სამეფო ტახტზე დაჯდა დავით IV. „გენიოს ჭაბუკს ცხადად წარმოდგენილი ჰქონდა სამეფოს მდგომარეობა, იცოდა რა იყო საჭირო და რომელ გზას უნდა დასდგომოდა“, წერს ნ. ხიზანაშვილი. ეს ჭეშმარიტება დავით IV შესახებ დღესაც ძალაშია.

წიგნში „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ მეფის მოღვაწეობა ორ პერიოდადაა გაყოფილი. პირველი პერიოდი მთავრდება 1104 წლით. ამ წელს დაიკავა მეფემ კახეთ-ჰერეთი და ერთიან საქართველოში გააერთიანა. მეორე პერიოდი იწყება 1104 წლიდან და გრძელდება 1125 წლამდე, ე. ი. დავითის გარდაცვალებამდე. მთელი რიგი გონივრული მოსაზრებების გამო, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდები სწორედ ზემოთ აღნიშნული წლების მიხედვით უნდა იყოს გაყოფილი, რის დასტურსაც თანამედროვე მკვლევართა შრომებშიც ვხვდებით.

ნ. ხიზანაშვილის აზრით, მტერზე გამარჯვებისათვის აუცილებელი პირობაა, კარგად იცოდე მტრის სურვილი, „ზნე“, „ხასიათი“. ამ ცოდნაზე უნდა იყოს დამყარებული მხედართმთავრის „სტრატეგიკოსის“ სალაშქრო წესი და ჩვეულება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ხომ აღნიშნავს, რომ ქართველობის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ისინი „თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I ,1955, გვ. 358). იყვნენო. ნ. ხიზანაშვილს დავით აღმაშენებლის დამსახურებად მიაჩნია, რომ მეფე, უპირველეს ყოვლისა, მტრის ავკარგში გაერკვიოს და „რომ მტრის სისუსტის შეგნება ძლიერი საშუალებაა ომში გასამარჯვებლად. სხვათა შორის, სწორედ ამ საშუალებით ხელმძღვანელობდა დიდებული სპასპეტი. (ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47-48).

ნ. ხიზანაშვილმა იცის, რომ დავით აღმაშენებლის საშინაო რეფორმები აუცილებელი პირობა იყო დიდი ეროვნული საქმის აღსასრულებლად. სამშობლოს გასათავისუფლებლად, თურქ-სელჩუკთა ბატონობის დასამხობად, რის დასაწყისადაც ხიზანაშვილის მიერ ერწუხის ბრძოლაა მიჩნეული. „ამ ბრძოლით იწყება და-

ვით აღმაშენებლის სამხედრო ძლევამოსილება". (გვ. 89). მართლაც, ერწების ბრძოლამ მტერსაც და მოყვარესაც თვალნათლივ დაანახვა, რომ საქართველოს უკვე შესწევდა ძალა ბრძოლისა და გამარჯვებისა. რეფორმათა შორის, რომელთა გატარებამაც დავით აღმაშენებელს სამეფო ხელისუფლების შემდგომი განმტკიცების შესაძლებლობა მისცა, ნ. ხიზანაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს 1103 წლის რუისურბნისის საეკლესიო კრების შედეგს. მან კარგად იცის, რომ საეკლესიო კრება გამიზნული იყო საქართველოს სამეფოს, როგორც ცენტრალიზებული სახელმწიფოს, გაძლიერება-განმტკიცებისათვის. იგი აკრიტიკებს იმ ავტორებს, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ ამცირებენ კრების მნიშვნელობას და მკითხველის ყურადღებას მიაქცევენ იმ უმნიშვნელო საკითხებისადმი, რომლებიც კრებაზე მართლაც განიხილეს, მაგრამ სრულიადაც არ წარმოადგენდნენ ამ კრების ძირითად მიზანს. ნ. ხიზანაშვილი „ძეგლის წერის" ტექსტსაც კი კრიტიკულად განიხილავს. მისი მტკიცებით, „მართალია, ძეგლის წერა იხსენიებს, რომ დავითმა სხვებს მიბაძა და კრება მოიწვიაო, მაგრამ ამ კრების დადგინება მიბაძვა არ იყო. კრება საკუთარი აზრით სჯიდა, თავისუფლად მოქმედებდა". (ნ. ურბნელი, ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა „ძეგლის წერა", „ივერია", № 38, 1888). ნ. ხიზანაშვილს შესანიშნავად ესმის „ძეგლის წერის" უდიდესი მნიშვნელობა მთელი ქართველი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების განკარგებისათვის. „მართალია ძეგლის წერა უფრო სასულიერო და საეკლესიო წესწყობილებას აპყრობს ყურადღებას, იგი უფრო ებრძვის ზნეობრივს სენს და უკანონობას, რომელიც სასულიერო წოდებაში იყო გავრცელებული, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძველ დროს, ეს წოდება მჭიდროდ შეკავშირებული და შეხორცებული იყო მთელს ერთან, სასულიერო წოდების წყლული და სენი მთელი ხალხის სენსა და წყლულს შეადგენდა. ამ მხრივ ძეგლის წერას საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, იგი საზოგადო კანონი და სჯული იყო მთელი ერისათვის. („იქვე, გვ. 427).

ნ. ხიზანაშვილს კარგად ესმის, რომ დავითმა, არისტოკრატიის გავლენა ეკლესიაშიც მოსპო. იგი შესანიშნავად ხედავს, რომ გალაღებული და ურჩი არისტოკრატია ჩრდილს მხოლოდ დროებით შეეფარა და ხელსაყრელ დროსა და პოლიტიკურ ამინდს ელოდა. ფეოდალების სოციალ-ეკონომიკური საფუძვლების უცვლელად დატოვება იმის სრულ გარანტიას იძლეოდა, რომ დავით აღმაშენებლის მტკიცე ხელის შემდეგ კვლავ თავს წამოჰყოფდა მუდამ მომხვეჭელი და თავნება არისტოკრატია. ნ. ხიზანაშვილი წერს: „დავით აღმაშენებელმა თუმცა ურიცხვს თავის გარეგანს მტრებს სძლია და განაძევა საქართველოდან. მაგრამ შინაური მტერი, გალაღებული და ურჩი არისტოკრატია, ისევ თავის ადგილას დარჩა, ფეოდალური [illegible]ბილება არა თუ შეირყა და დასუსტდა, შემდეგ ახალი ძალა მოიცა". (მ ი ს ი ვ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 427). ერთი სიტყვით, „ფეოდალური არისტოკრატია ვერ იქნა საბოლოოდ მოტეხილი, პირიქით, იგი დავითის მემკვიდრეების დროს იზრდება და მტკიცდება" (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, 1952 წ. გვ. 427). დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით მიღებული ეს აზრი, ნ. ხიზანაშვილმა ქართველს მკითხველს ჯერ კიდევ 1888 წელს მიაწოდა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მნიშვნელობის შესახებ არსებობდა აზრი, თითქოს კრების უპირველესი საკითხი ერეტიკოსთა დაგმობა იყო. П. Иоселиани, Краткая история грузинской церкви. СПБ., 1843, стр. 73. ხიზანაშვილმა გაილაშქრა ზემოაღნიშნული მოსაზრების წინააღმდეგ და პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანად დაამტკიცა ზემოთ მოტანილი თვალსაზრისის უსაფუძვლობა.

ნ. ხიზანაშვილის აზრით, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ მეფეს უკვე ეძლეოდა საშუალება, თვალყური ედევნებინა ეკლესიის საქმიანობისათვის და ინფორმირებული ყოფილიყო ყოველივე მნიშვნელოვანის შესახებ, რაც ეკლესიაში ხდებოდა. როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელმა ასეთ წარმატებას უფრო იმით მიაღწია, რომ შემოიღო ახალი თანამდებობა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ დარჩა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ყურადღების მიღმა ისეთ ნიჭიერ მკვლევარს, როგორიც ნ. ხიზანაშვილი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელმა ქართული ლაშქრის მეოხებით არაერთი დიდი საქმე შეასრულა, მან აღაგმა ოპოზიციონერი დიდაზნაურები და სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-ქალაქები საქართველოს სამეფო კარს დაუმორჩილა; თურქებთან მოსალოდნელი გენერალური ბრძოლის აუცილებლობა უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა, რაც საქართველოს ხელისუფალთ სამხედრო საშუალებათა გამრავლებას, ახალი ჯარის გაწვრთნასა და მეომართა რიცხვის გადიდებას ჩააგონებდა, რაც, ბუნებრივია, ქვეყანას ეკონომიური დაქვეითების საფრთხეს უქმნიდა. ამას კი მწარმოებლური ძალის არმიაში დასაქმება განაპირობებდა. დავით აღმაშენებელმა, რომელსაც კარგად ესმოდა ეს, გადაწყვიტა, საქართველოში ჩამოესახლებინა ყივჩაღები. აქ ნათლად იკვეთება ასეთი კითხვა: რა იყო მიზეზი, რომ მაინცდამაინც ყივჩაღებზე შეაჩერეს არჩევანი. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ეს არჩევანი ყივჩაღთა „უმთავრესთან" დავით აღმაშენებლის მოყვრობამ განაპირობა. ნ. ხიზანაშვილი იზიარებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აზრს აღნიშნული

საკითხის შესახებ და ყივჩაღთა გადმოსახლების ძირითად მიზეზად მიაჩნია ის გარემოება, რომ „დავით აღმაშენებელმა უწყოდა მათი სიმხნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსვლისა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამკვიდრებლობა და ყოველთურთ მომზაველობა ნებისა თვისისა. ამის გარდა მეფე სიძე იყო ყივჩაღთა მთავრის ათარქასი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თავის ხალხზე“. (ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53).

როგორც ვხედავთ, ნ. ხიზანაშვილი დავით აღმაშენებლის მოყვრობას ათარქასთან ბოლომეორეხარისხოვან როლს აკუთვნებს. ამ საკითხის შესახებ ასეთივე აზრი აქვს პროფესორ როინ მეტრეველს. (რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით აღმაშენებელი, 1965, გვ. 68). რაც სავსებით სამართლიანი უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ ყივჩაღები ძნელად „გასაწრთვნელნი“ იყვნენ, როგორც ხიზანაშვილი ამბობს, „მათ საქართველოს მაინც დიდი სარგებლობა მოუტანეს“. (ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი., გვ. 55). ნ. ხიზანაშვილი შეეხო დავით აღმაშენებლის სამხედრო ღონისძიებებს. „უმთავრესი ყურადღება მეფემ სამხედრო გამგეობას მიაქცია და ისეთი შემოქმედებითი ძალა გამოიჩინა, რომ მის მიერ დაარსებული სამხედრო გამგეობა სამაგალითო შეიქნა, მის სამხედრო სკოლაში აღიზარდნენ და გაიწვრთნენ სახელოვანი გმირნი და სპასალარნი, რომელთაც დაამშვენეს ჩვენი სამხედრო ისტორია და დიდება მოუპოვეს სამშობლოს“ (იქვე, გვ. 108). ნ. ხიზანაშვილი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც სცადა, დაესაბუთებინა ის მოსაზრება, რომ დავით აღმაშენებელმა არსებითად შეცვალა ქართულ ლაშქარში მანამდე მიღებული საომარი ტაქტიკა. ნ. ხიზანაშვილის მოსაზრება მოცემული საკითხის შესახებ უფრო ვარაუდს ემყარება, ვიდრე საბუთებს. ამ შემთხვევაში მკვლევარს სათანადო წყაროების უქონლობის გამო სხვანაირად მოქცევა არც შეეძლო. ჩვენთვის საინტერესო სხვა რამეა. ნ. ხიზანაშვილმა საგანგებო ყურადღება მიაქცია, იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებლის ძლევამოსილი გამარჯვებებით სავსე სალაშქრო მოღვაწეობის თავმდები სხვათაშორის ახალი საომარი ტაქტიკის შემომღებიც უნდა ყოფილიყო.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ხომ ამბობს: „ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით ედგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 329). ჩანს, ნ. ხიზანაშვილმა ქართლის ცხოვრებიდან ზემოთ მოხმობილ სტრიქონებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სიტყვებს: მეფე დავითი ყოველთვის წინა [illegible] იბრძოდაო. მემატიანე ამ გარემოებას [illegible] ბოდ იმიტომ აღნიშნავს, როგორც ჩანს, სხვა მეფეები ასე იქცეოდნენ.

მკვლევარი, რომელიც შეეხებია ან ოდესმე შეეხება დავით აღმაშენებლის ეპოქას, გვერდს ვერ აუვლის დიდგორის ბრძოლას, რომლის მნიშვნელობა განუზომელია საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ხალხთა ისტორიისათვის.

XIX საუკუნის ისტორიკოსთა შორის ნ. ხიზანაშვილმა ყველაზე უფრო საფუძვლიანად და მეცნიერულად გამოიკვლია დიდგორის ომის ყველა მხარე.

ნ. ხიზანაშვილმა იცის, რომ დიდგორის ბრძოლას ერთი პირველთაგანი ადგილი უჭირავს საქართველოს სამხედრო ისტორიაში. „თავის დროზე ამ ბრძოლამ აზიის ყურადღება მიიპყრო და მისი ამბავი თვით ევროპაშიც კი გაისმა, უცხოელი მეისტორიენი აღტაცებით მოგვითხრობენ დიდგორის საოცარს ლაშქრობაზეო“. (ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61). წერს ნ. ხიზანაშვილი, მაგრამ დიდგორის ომზე მსჯელობისას იგი ძირითადად მაინც დავითის ისტორიკოსს ეყრდნობა, თუმცა სათანადო კრიტიკული ანალიზის შემდეგ წარმატებით იყენებს მათე ურჰაელის, გოტიეს და მაჰმადიან ისტორიკოსთა ცნობებს.

ნ. ხიზანაშვილი ეხება დიდგორის ბრძოლის მიზეზებს და საბაბს. იძლევა დასაბუთებას, რომელიც თითქმის არ განსხვავდება ახლა უკვე თანამედროვე ისტორიკოსთა მიერ აღიარებული თვალსაზრისისგან. იგი ომის მიზეზის შესახებ წერს: „საქართველოს მეფე მეტად საშიში შეიქმნა მაჰმადიანებისათვის“. მას ესმის, რომ დიდგორის ბრძოლის ერთ-ერთი მიზეზი საგარეო ვითარებაც იყო და როცა კოალიციური ლაშქრის მეთაურის ნემჯ-ად-დინ ილღაზის შესახებ ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ მას სურდა „ანტიოქია და იერუსალიმი ჯვაროსნებისათვის წაერთმიაო“ (იქვე, გვ. 63). ამ მიზნისათვის, როგორც ხიზანაშვილი აღნიშნავს, სასურველი იყო საქართველოს გზიდან ჩამოშორება.

ნ. ხიზანაშვილი შეეხო როგორც ქართველთა, ისე თურქთა კოალიციური ლაშქრის რაოდენობასა და ნაციონალური შემადგენლობის საკითხს. აქ ძალზე საინტერესოა ერთი გარემოება. ქართული ლაშქრის რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ ყველაზე ზუსტი ცნობები ქართველ მკვლევართა შორის ადრეც და შემდეგაც მოცემულია ნ. ხიზანაშვილის წიგნში, რომელსაც დიდხანს ყურადღება არ ექცეოდა, რაც შესაძლებლობას ქმნიდა ჩვენს სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში არაზუსტი ცნობები დამკვიდრებულიყო დიდგორის ომის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე (შ. მ ე ს ხ ი ა, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 46). ქართველ

მკვლევართა შორის პირველმა ნ. ხიზანაშვილმა აღნიშნა, რომ დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობდა 500 და არა 5000 ალანი. 100 და არა 1000 ფრანგი. სათანადო წყაროზე დაყრდნობით ნ. ხიზანაშვილს მიაჩნია, რომ მეფემ დიდგორის ბრძოლაში გამოიყვანა „ორმოცი ათასი ქართველი, თხუთმეტი ათასი ყივჩაღი, ხუთასი ოსი და 100 ფრანგი". (ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65).

დღეისათვის ეს მონაცემები გაზიარებულია, მაგრამ არავის აღუნიშნავს, რომ იგი თავის დროზე შეტანილი იყო ნ. ხიზანაშვილის წიგნში „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო", რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაისტამბა. ნ. ხიზანაშვილს შესანიშნავად აქვს გაცნობიერებული დავითის ისტორიკოსის სიტყვები: „მტკიცედ იწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასავე თანა სიტყვისასა საცნაურქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა" (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 355). ან „შიში დიდი და ზარი მისი განითქუა კიდეთა ქუეყანისათა და განკრთეს ყოველნი მკვიდრნი ქუეყანისანი". (იქვე). იგი შემაძრწუნებლად ხატავს მსგავს ვითარებაში ადამიანის ბედს. „როცა აკვირდები ამ სასტიკ გამგეობას, ამ შიშსა და ზარს, თვალწინ უნებურად შემაძრწუნებელი სურათი გიდგება, გამგებლობა სულთამხუთავივით დასწოლია კაცის კერძო ცხოვრებას და თავისუფლებას ყელში უჭერდა", (ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79). წერს ნ. ხიზანაშვილი და, მიუხედავად ადამიანური ცხოვრების ასეთი ძნელბედობისა, იგი მხარს უჭერს არსებულ რეჟიმს, ამართლებს მის არსებობას. მისი აზრით, ეს იყო აუცილებელი მოვლენა, რომელსაც ისტორიული სიტუაციის ობიექტური ლოგიკა განსაზღვრავდა და რომ მეფე სხვანაირად ვერ შეძლებდა შინააშლილობით დასუსტებული საქართველოს აღდგენასა და გაძლიერებას. (იქვე). ნ. ხიზანაშვილის ეს თვალსაზრისი მხარდაჭერას იმსახურებს. მითუმეტეს, რომ „ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის სახალხოგანმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს ატარებდა, (მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963, გვ. 137).

ნ. ხიზანაშვილს კარგად ესმის, რომ „სასტიკმა გამგეობამ მეტად შეავიწროვა და შეშხუთა სასულიერო წოდება, მაგრამ მეორეს მხრივ, მეფე არც პატივს და მფარველობას აკლებდა ამ წოდებას". (ნ. ურბნელი, დასახ, ნაშრომი, გვ. 80). პატივი და წყალობა არც სხვა მეფეების დროს აკლდა ეკლესიას, მაგრამ „ასეთი მზრუნველობა უფრო ხვთის მოსაობის ნაყოფს წარმოადგენდა... მხოლოდ დავით აღმაშენებელმა იგი მზრუნველობა აღიარა საზოგადო საჭირო საგნად და ფართო მნიშვნელობა მისცა, სამეფო მეურნეობად გარდაქმნა. ამ შემთხვევაშიც მეფემ ჩვეული გამჭრიახობა გამოიჩინა და ნათლად დაინახა, თუ რა ძლიერი ზარალია „უზრუნველყოფილი ყოველთა საჭიროთაგან" სასულიერო წოდება". (ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80).

ნ. ხიზანაშვილის მიხედვით, დავით აღმაშენებლის განსაკუთრებული ყურადღება ეკლესიის მიმართ იმითაც იყო გამოწვეული, რომ ეკლესიას დიდი გავლენა ჰქონდა ერის „გონებრივ" წარმატებაზე. იგი მახვილგონივრულად შენიშნავს: „არც ლავრა-მონასტერში ისმოდა მარტო ხვთის ვედრება და დიდება. იქაც სახორციელო და საქვეყნო საქმე საკმაოდ მოიპოვებოდა... და ამიტომ მეფემ ბერმონაზონის მყუდრო სადგური სამეფო მეურნეობის სახლადაც გადააქცია და საიქიოს შემყურებელს სააქაოსათვის ზრუნვა ვალად დასდო". (იქვე, გვ. 81).

ნ. ხიზანაშვილის აზრით უცხოეთთან საქართველოს კულტურული კავშირურთიერთობა მეტად საჭირო მოვლენა იყო, დავით აღმაშენებელიც მუდამ მზად იყო უცხოური კულტურის ნერგი მიეღო და ქართულ ეროვნულ ნიადაგზე ეხარებინა. „დავით აღმაშენებლის ღვაწლი განათლების ასპარეზზედ და მისგან დაარსებული „ათინა" უნებლიედ გაგონებთ ბაღდადის დიდს აკადემიას, რომელიც „მეცნიერების თავადმა" ნიზამ ელ მულქმა ააშენა" (გვ. 82). ნ. ხიზანაშვილს ქართული ეკლესიის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნია ქრისტიანობის გავრცელება. მან იცის, რომ ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებისათვის. იგი შესანიშნავად ჩასწვდომია დავითის ისტორიკოსის აზრს. სადაო არაა ხიზანაშვილის მითითება, რომ დავითის მიერ ეკლესიისათვის დასახულ პროგრამაში დიდი ადგილი ეჭირა „ქრისტიანების გამრავლებას". ნ. ხიზანაშვილი ყურადღებას მიაქცევს ცნობას: „ყივჩაღნიცა უმრავლესნი ქრისტიან იქნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრისტეს". (ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82). აქვე აღნიშნავს, რომ სასულიერო წოდება გულმხურვალედ და ბეჯითად მოეკიდა თავის მოვალეობას. მართლაც, ვერ უარვყოფთ ეკლესიის როლს, როცა ისტორიისათვის მოკლე დროში სახელწოდება ყივჩაღი ტერმინმა ნაყივჩაღარმა შეცვალა.

ნ. ხიზანაშვილი დიდ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტსაც, რომ დავით IV ბევრი შრომა გასწია მთაში ქრისტიანობის გასავრცელებლად. მეფეს იმ „წმინდა მამის" სულის მოსახსენიებელი დღესასწაულიც კი დაუნიშნავს, ვინც პირველად იქადაგა ქრისტიანობა მთიულეთსა და არაგვის ხეობაში. ხიზანაშვილის მსჯელობიდან ძნელი არაა ასეთი დასკვნა გამოიტანოს კაცმა: დავით IV მემკვიდრეებსაც, კავკასიაში ქრისტიანობის გასავრცელებლად სისტემატური ღონისძიებები რომ გაეტარებინათ ქართული ეკლესია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდავოდ გაიმრავლებდა მრევლს კავკასიაში მცხოვრები ბევრი ტომის ხარჯზე, რაც საქართველოს სამეფო პოლიტიკაში დიდ დადებით როლს შეასრულებდა. ნ. ხიზანაშვილს კარგად აქვს დანახული ის დაუფასებელი ამაგი, რაც უცხოეთის ქართულმა სავანეებმა ქართული კულტურის და განათლების განვითარებისათვის იტვირთეს. იგი საზღვარგარეთ არსებულ ქართულ მონასტრებს ჩვენი კულტურის გადამრჩენლის როლს აკუთვნებს. ისინი, ამბობს ნ. ხიზანაშვილი, — „ექვსასი წლის განმავლობაში უხვად ფენდნენ საქართველოს განათლების სხივებს და იქაც, რომ მნათობი გამქრალიყო, იქნებ ივერია უმეცრების წყვდიადს შთაენთქა, რადგანაც ის დრო შავი და ბნელი იყო ჩვენი სამშობლოსათვის“ (გვ. 83).

„შავ და ბნელ დროში“ ნაგულისხმევია პერიოდი მტერთა ხანგრძლივი ბატონობისას XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა ჩვენს ქვეყანაში კულტურული საქმიანობა მეტნაკლებად ჩაკვდა. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ქართული კულტურის ცენტრების არსებობა საზღვარგარეთ დიდი სახოება და იმედი იყო ქართული სულიერი კულტურის დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

ნ. ხიზანაშვილს მშვენივრად ესმის, რომ დავით აღმაშენებლის დროს ქართული კულტურა ახალ საფეხურზე ავიდა, რომ „ლავრა-მონასტრების აყვავებას თან მოჰყვა გონებრივი მოძრაობა, განათლების აღორძინება, უკვე არსებულ ლიტერატურას ფრთები შეესხა, წარმატება და წინსვლა დაეტყო. საქართველომ შეითვისა და შეიძინა თითქმის მთელი იმდროინდელი მეცნიერება“ (გვ. 88). ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ „საერო პოეზიასაც დავით აღმაშენებლის დროს ჩაედგა სული“. (გვ. 101). დღეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ასეა განსაზღვრული ქართული საერო მწერლობის დასაწყისი. (ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 18).

როცა ნ. ხიზანაშვილი XI-XII საუკუნეების მოღვაწეობას აფასებს, ხაზს უსვამს მათ ფასდაუდებელ ამაგს ქართული ინტელექტუალური აზროვნების წინაშე, საგანგებოდ გამოყოფს იოანე პეტრიწს. ნ. ხიზანაშვილის აზრით, თუ არა პეტრიწის „დიდი ნიჭი და შრომა, იქნებ ქართულ სიტყვიერებას არ მიეღწია იმ სიმშვენიერებამდე, რომლითაც შოთა რუსთაველი... ხიბლავს მსმენელსა“. (ნ. ურბნელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111). დავითის ისტორიკოსის მიერ ნახსენები ქსენონის შესახებ ლ. ხიზანაშვილს გამოთქმული აქვს ფრთხილი, მაგრამ მეტად საინტერესო მოსაზრება: „წინათ მოვიხსენიეთ, რომ იმ დროს მკურნალობას, დოსტაქრობას და სხვა ამგვარ მეცნიერებას ქსენონებში ასწავლიდნენ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებლისაგან დაარსებული დიდი ქსენონი სამკურნალო აკადემიასაც შეადგენდა“. (გვ. 92). ქსენონის დაარსება შუა საუკუნეებში ახალი ამბავი არ იყო და, მიუხედავად ამისა, დავითის ისტორიკოსი, როცა ქსენონის დაარსებას ეხება, ამბობს: მეფემ „კუალად სხუა მოიგონა საქმეო“. ეს „სხუა“ იქნებ მართლაც გულისხმობდეს მინიშნებას „განსაკუთრებული“ ქსენონის დაარსების შესახებ, რომელიც, როგორც ხიზანაშვილი ვარაუდობს, იქნებ „სამკურნალო აკადემია“ იყო. ყოველ შემთხვევაში, მოსაზრება ყურადსაღებია.

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცადეთ მოკლედ წარმოგვეჩინა მონოგრაფიის „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ მნიშვნელობა დავით IV ეპოქის მეცნიერული შესწავლისათვის, მიუხედავად იმისა, რომ წიგნი დაწერილია თითქმის ერთი საუკუნის წინათ, იგი დღევანდელი კრიტერიუმებით შეფასებისასაც კი შეღავათს არ საჭიროებს. ნ. ხიზანაშვილის მეცნიერული და პუბლიცისტური მემკვიდრეობის ბედი ასეთია: 1940 წელს აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას რედაქტორობით ცალკე წიგნად გამოიცა „ეთნოგრაფიული ნაწერები“; 1988 წელს „მეცნიერებამ“ გამოსცა „რჩეული იურიდიული ნაწერები“, რომელიც დასაბეჭდად აკადემიკოსმა ისიდორე დოლიძემ მოამზადა. 1973 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ჩემი წიგნი „ნიკოლოზ ურბნელი საქართველოს ისტორიის მკვლევარი“ (ნ. ხიზანაშვილი უმეტესად ურბნელის ფსევდონიმით წერდა).

ნ. ხიზანაშვილის არაერთი საყურადღებო პუბლიცისტური ნაშრომი სრულყოფილად ეხმაურება დღევანდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ მნიშვნელოვან პრობლემას. საქართველოს ისტორიისა და სალიტერატურო ენის საკითხებისადმი მიძღვნილი წერილები, შესანიშნავი წიგნები „მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო“ (1894 წ.) და „გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი“ (1888 წ.) დღეისათვის თითქმის უცნობია საზოგადოებისათვის. ამიტომ აუცილებლ საჭიროებად მიმაჩნია „ეთნოგრაფიული ნაწერებისა“ და „იურიდიული ნაწერების“ მსგავსად ცალკე წიგნად გამოიცეს „პუბლიცისტური და ისტორიული ნაწერები“. ამას გვკარნახობს არა მხოლოდ მოვალეობა მამულიშვილური ღირსებით სავსე წინაპრის ხსოვნისადმი, არამედ ის აუცილებლობა, რომ ნიკოლოზ ხიზანაშვილის ნააზრევის სამეცნიერო და სალიტერატურო ღირებულება ჭეშმარიტად იმსახურებს ქართველ მკვლევართა და მკითხველთა ყველა თაობის დიდ ყურადღებას.

გოჩა ჯაფარიძე

# საქართველოსა და არზრუმის საამიროს ურთიერთობის ისტორიიდან

არზრუმის (არზან არ-რუმის) საამირო, სხვა მრავალრიცხოვან სათაბაგოებისა და საამიროების მსგავსად, დიდ სელჩუკთა იმპერიის დაშლის პროცესში ჩამოყალიბდა. XII საუკუნის დასაწყისში აქ დამკვიდრდა სალთუკიანთა (სალდუკიანთა) საგვარეულო, რომელმაც 1201 წლამდე იარსება. სახელწოდება ამ დინასტიისა მომდინარეობს საკუთარი სახელიდან სალთუკ ან სალდუკ (საწყისი ასოა არაბული სინი ან სადი). პირველი ფორმა დამოწმებულია XII-XIII საუკუნეების არაბულ ნარატიულ წყაროებში, კერძოდ კი იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის „მაიაფარიკინის ისტორიის" იმ პასაჟებში, რომლებიც ჰ. ამედროზმა დამატების სახით დაურთო იბნ ლა-კალანისის „დამასკოს ისტორიას" (ბეირუთი, 1908, გვ. 328) და იბნ ალ-ასირის სახელგანთქმულ „სრულყოფილ ისტორიაში" (ტ. XI, ბეირუთი, 1966. გვ. 280), მეორე კი — მონეტებსა (ე. ფონ ბერგმანი, ცურ მუჰამმედანიშენ მიუნცკუნდე. ცდმგ, გ. 23, 1869, გვ. 251 — 2) ეპიგრაფიკულ ძეგლებზე (ა. ხაჩატრიანი, სომხეთის არაბული წარწერების კორპუსი, ტ. I, ერევანი, 1987, გვ. 64, რუსულ ენაზე). წერილობით წყაროებში და, ზოგჯერ, ლიტერატურაშიც, გვხვდება ამ სახელის სხვა, არასწორი ფორმებიც — სალიკ ან სალკუკ) ა. ფონ ბერგმანი, გვ. 254), რომელთა გაჩენაც გადამწერთა უყურადღებობისა და უზუსტობის შედეგია. სალთუკ-სალდუკის იდენტურია ქართულ წერილობით ძეგლებში დამოწმებული სალდუხი (ქ. ცხ., ტ. I, გვ. 367, ტ. II, გვ. 7, 48). „კ" და „ხ"-ს მონაცვლეობა, საერთოდ დამახასიათებელია თურქული ენების, მათი დიალექტებისა და კილოკავებისათვის. ჩანს, რომ ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე ეს სახელი დამკვიდრდა ისე, როგორც მას ჩვენი მეზობელი თურქულენოვანი მოსახლეობა წარმოთქვამდა. ამდენად, შეცდომა არ იქნება, თუ არზრუმის მმართველ ამ დინასტიას სალდუხიანთა დინასტიასაც ვუწოდებთ.

XII საუკუნის შუა ხანებიდან არზრუმის საამირო — ხლათის შაჰ-არმენთა სახელწიფოსთან ერთად, გადაიქცა იმ ძალად, რომელიც უპირისპირდებოდა საქართველოს აქტიურ საგარეო პოლიტიკას სამხრეთისა და სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით. ამ პერიოდში არზრუმს განაგებდა იზზად-დინ სალთუკი (1132? — 1168), რომელსაც მჭიდრო ნათესაური კავშირები ჰქონდა მეზობელ მუსლიმ ხელმწიფეებთან. ხლათის გამგებელს შაჰ-არმენ სუქმან II-ს (1128-1185) ცოლად ჰყავდა სალთუკის და შაჰბანუვარი,, არზანის ამირას, ფახრ ად-დინ დავლათ-შაჰს კი — მისი ქალიშვილი. იზზ ად-დინ სალთუკს, არზრუმის გარდა, ემორჩილებოდნენ ისეთი ქალაქები, როგორებიც იყო ადილ-ჯავაზი (არცკე), ბაიბურთი და მიჯნაკერტი. მის ვასალად აღიარებდა თავს ყარსის გამგებელიც (ა. ხაჩატრიანი, გვ. 25). წერილობითი და ეპიგრაფიკულ წყაროებში სალთუკი მეფედ (მალიქ) და სულტნადაც კი იწოდება თავის მხრივ არზრუმის მფლობელი, ფორმალურად მაინც, აღიარებდა ერაყის სელჩუკიანი სულტნის მასუდ ბ. მუჰამმადის (1134-1152) უზენასობას.

იზზ ად-დინ სალთუკი არზრუმის პირველი გამგებელია, რომელთანაც შეტაკება მოუხდა ქართველებს. წინამდებარე წერილი ამ კონფლიქტის ზოგიერთი დეტალის დაზუსტებას ისახავს მიზნად.

XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი ზემოდასახელებულ თხზულებაში ორჯერ, სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა თარიღთან დაკავშირებით, მოგვითხრობს ქართველებთან

ბრძოლაში სალთუკის დამარცხებასა და დატყვევებას.

პირველად, ჰიჯრის 548/1153-54 წლის ამბების გადმოცემისას არაბი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ამ წელს „იქმნა ომი და ბრძოლა ძლიერი სომხეთში ქართველებსა (ალ-ქურჯი) და არზან არ-რუმის მფლობელს (საჰიბ) სალიკს შორის. იძლია სალიკ (სალთუკ, გ. ჯ.). დაატყვევეს ის ქართველებმა და შემდეგ გაათავისუფლეს" (ტ. XI, გვ. 190). მეორედ, ჰიჯრის 556/1161 წლის ამბებში იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ ამ წელს „ქართველებსა და არზან არ-ზრუმის მფლობელს ალ-მალიქ სალთუკ ბ. ალის შორის მოხდა ომი და ბრძოლა. დამარცხდა მასში სალთუკ და ტყვედ იქმნა. და მისი შაჰ-ბანუვარი ცოლად ესვა ხლათის მფლობელს, შაჰ-არმენ სუქმან ბ. იბრაჰიმ ბ. სულქმანს. მან ქართველებს დიდძალი ძღვენი გაუგზავნა და ძმის გამოსყიდვა ითხოვა. ქართველებმა გაათავისუფლეს ის.

იბნ ალ-ასირის პირველი ცნობა ქრონოლოგიურად დემეტრე I-ის (1125-1156), ხოლო მეორე — გიორგი III-ის (1156-1184) ზეობის წლებზე მოდის. ორივე მათგანს პარალელი მოეპოვება ქართულ წყაროებშიც.

ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული ერთი კვინკლოსის მიხედვით სალდუხი (სალთუკი) დემეტრეს დაუმარცხებია (ძველი საქართველო, ტ. II, ტფ. 1913, გვ. 63). იგივეს მოგვითხრობს ვახუშტიც (ქ. ცხ., ტ. IV, გვ. 165). სალდუხ ეზდინის — იგივე იზზ ად-დინ სალთუკის — დატყვევებას დემეტრეს მიაწერს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" (ქ. ცხ., ტ. II, გვ. 43). სამაგიეროდ, ლაშა გიორგისდროინდელი ისტორიკოსის თანახმად, ეს გიორგი III-მ „შეიპყრა სალდუხი, ამოსწყვიტა ყოველი ძალა მისი, მოაღებინა ძღუენი და საჭურჭლენი, რომელი არ აითუალვოდა". ამ ამბავს მემატიანე ანისის აღების შემდეგ იხსენიებს (ქ. ცხ., ტ. I, გვ. 367) და მას, ნაცვლად 1161 წლისა, 1160 წლით ათარიღებს.

ივ. ჯავახიშვილმა გაითვალისწინა იბნ-ალ-ასირის პირველი ცნობა, ხოლო მეორე მხედველობაში არ მიიღო (ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 225), თუმცა კი მ. დეფრემერის ფრანგული თარგმანის მეშვეობით უეჭველად იცნობდა მას. არაბული და ქართული წყაროების შეჯერების საფუძველზე მკვლევარმა ქართველთა მიერ იზზ ად-დინ სალთუკის დატყვევების თარიღად 1153-54 წელი მიიჩნია და ამ თარიღს ჩვეულებრივ იმოწმებდნენ სპეციალურ ლიტერატურაში (მ. ლორთქიფანიძე, ჯ. სტეფნაძე).

1966 წ. ბ. სილაგაძემ, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა იბნ-ალ-ასირის ცნობები საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით, განიხილა და შეაფასა არაბი ისტორიკოსის [illegible] მეორე ზემომოტანილი ცნობა (კრ. „[illegible] რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 109). ამის შემდეგ იბნ ალ-ასირის მითითებას სალთუკის ხელმეორედ დატყვევების თაობაზე გზა გაეხსნა ქართულ ისტორიოგრაფიაში (მ. ლორთქიფანიძე, XI-XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორია, თბ., 1974, გვ. 129-30, რუსულ ენაზე; „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. III, თბ., 1979, გვ. 269-70). ამასთან, მიჩნეულია, რომ ანისის დაკავებისა და მუსლიმთა კოალიციის დამარცხების შემდეგ, 1161 (ან 1163) წელს გიორგი III-მ საგანგებოდ ილაშქრა არზრუმზე. ამ შემთხვევაში ქართველი მკვლევარები ჩვეულებრივ ეყრდნობიან იბნ ალ-ასირს, მაგრამ ეს უკანასკნელი მოგვითხრობს მხოლოდ სალთუკთან ქართველების ბრძოლაზე და არა არზრუმზე მათ გალაშქრებაზე.

ამრიგად, დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში არზრუმის გამგებლის იზზ ად-დინ სალთუკის ორგზის დატყვევება, ჯერ დემეტრეს, მერე კი გიორგი III-ის ზეობის დროს, უეჭველ ფაქტად არის მიღებული. ამის საფუძველს, როგორც ვნახეთ, იძლევა იბნ-ალ-ასირისა და ქართულ წყაროთა ჩვენებები. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი წყარო — XII საუკუნის 50-60-იანი წლების მღელვარე ამბების მომსწრის, იზზ ად-დინ სალთუკის, დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის თანამედროვის, უაღრესად სანდო ისტორიკოსის იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის „მაიაფარიკინის ისტორიის" ინფორმაცია, რომელიც სხვაგვარად აშუქებს და აზუსტებს ამ საკითხს. ალ-ფარიკის ეს ცნობებიც ჰ. ამედროზმა 1908 წელს დამატების სახით დაურთო იბნ ალ-კალანისის „დამასკოს ისტორიას", ხოლო მოგვიანებით ისინი ინგლისურად თარგმნა ვ. მინორსკიმ (სტადიზ ინ კოკესიენ ჰისტორი, ლონდონი, 1958).

ალ-ფარიკის თანახმად, სამხედრო კონფლიქტი მოხდა მხოლოდ დემეტრესა და სალთუკს შორის და ის ანისის შადადიანი გამგებლის ფახრ ად-დინის მიერ იყო პროვოცირებული. ფახრ ად-დინი განაწყენდა იმით, რომ სალთუკმა თავისი ქალიშვილი მას კი არა, არზანის გამგებელს მიათხოვა და შურისძიება განიზრახა. 549/1154-55 წელს მან შეუთვალა სალთუკს, რომ ქართველებისგან თავის დაცვა აღარ შეეძლო და შესთავაზა ეყიდა ანისი. როცა სალთუკი ანისს მიადგა, შადადიანმა ეს ამბავი სასწრაფოდ შეატყობინა დემეტრე I-ს, რომელიც ამ დროს ქალაქიდან ერთი დღის სავალზე იყო დაბანაკებული (გვ. 328).

დათმობა ანისისა, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, და არზრუმის გამგებლის გაძლიერება, სრულიადაც არ შედიოდა საქართველოს მეფის გეგმებში. ის მოულოდნელად დაეცა ანის-

თან დაბანაკებულ სალთუკს. სასტიკად დაამარცხა მისი ლაშქარი. მოსრა ურიცხვი მუსლიმი და ასევე ურიცხვი დაატყვევა. დატყვევებულთა შორის იყო თვით იზზ ად-დინ სალთუკი, რომელიც შემდეგ დიარ-ბაქრის, დიარ-რაბიასა და სირიის მუსლიმმა გამგებელმა (მულუქ) დიდძალ ფულად — 100 ათას დინარად გამოისყიდეს (გვ. 329).

ალნიშნული კონფლიქტის თარიღი — ჰიჯრის 549 წელი, რომელსაც იძლევა ალ-ფარიკი, ახლოს დგას იბნ ალ-ასირის პირველი ცნობის თარიღთან. დასაშვებია, რომ ბრძოლა 548-549 წლების მიჯნაზე, ე. ი. 1154 წლის თებერვალ-მარტში მოხდა. სწორედ 1154 წლით ათარიღებს ალნიშნულ ბრძოლას სომეხი ისტორიკოსი სამუელ ანეცი (მინორსკი, გვ. 87, შენ. 3). ეს თარიღი მიღებული აქვს ვ. მინორსკის და ქართველ ისტორიკოსთაგან პ. თოფურიას) ალმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები IX-XII სს-ში, თბ., 1975, გვ. 100).

ალ-ფარიკის ცნობით (გვ. 361), როცა დემეტრემ გაათავისუფლა სალთუკი, დაავიცა, რომ თავის სიცოცხლეში ის „ალარ დასცემდა მახვილს დემეტრესა და მისი შვილების წინაალმდეგ და ალარც ლაშქრით შეეყრებოდა მათ". გამოსასყიდთან ერთად, ეს იყო ის ძირითადი პირობა, რომლის საფუძველზეც არზრუმის ამირამ თავისუფლება მიიღო. შესაძლებელია სხვა ფაქტორების ზემოქმედებაც, რომლებიც განხილული აქვს მ. ლორთქიფანიძეს („საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. III, გვ. 267-68).

შეასრულა თუ არა სალთუკმა დემეტრესთვის მიცემული ფიცი? ამ კითხვაზე პასუხს ისევ ალ-ფარიკი გვაძლევს. არაბი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ჰიჯრის 556 წლის ჯუმად ალ-ულას თვეში, ე. ი. 1161 წლის მაისში, ანისის სამღვდელოებამ (კუსუს) ქალაქი გიორგი III-ს გადასცა. ამან განაპირობა საქართველოს წინააღმდეგ შეშფოთებულ მეზობელ მუსლიმთა ახალი კოალიციის შექმნა. მასში გაერთიანდნენ ხლათის გამგებელი შაჰ-არმენ სუქმან ბ. იბრაჰიმი, არზანის ამირა ფახრ ად-დინ დავლათ-შაჰი, სურმარისა და ყარსის მფლობელი და იზზ ად-დინი სალთუკიც. მოკავშირეები 1161 წლის ივლისში ანისს შემოეწყვნენ. აქ უნდა შეერთებოდათ მათ, აგრეთვე, მაიაფარიკინი გამგებელი ნაჯმ ად-დინ ალბი (გვ. 360) — ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილი ნაჯმ ად-დინ ილლაზის შვილიშვილი. ამ კოალიციის შესახებ მოგვითხრობს ქართული წყაროც — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", რომელიც მის მონაწილეთა შორის ასახელებს სალდუხ სალჩუკიანს (ქ. ცხ., ტ. II, გვ. 7), ე. ი. იზზ ად-დინ სალთუკს. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახეთ, ქართველების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც [illegible] და. მას მონაწილეობა არ მიუღ[illegible]

როდესაც გიორგი III დაიძრა ალყაშემორტყმულ ანისისკენ და სალთუკმა მისი მიახლოება შეიტყო, ალ-ფარიკის ცნობით, მას გაახსენდა დემეტრესთვის მიცემული ფიცი, „ითხოვა ცხენი" და მიატოვა მოკავშირეები (გვ. 361). ძნელი სათქმელია, მისი ეს საქციელი რაინდობის გამოხატულება იყო, თუ, უბრალოდ, შიში ხელახალი დამარცხებისა. მაგრამ ერთი რამ კი ფაქტია: მან თავი აარიდა ქართველებთან ბრძოლას და მისმა ჩამოშორებამ შეასუსტა მუსლიმთა რიგები. გიორგი III-მ ანისთან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. „და როს ჩამოშორდა სალთუკ, იძლია მუსლიმთა ლაშქრები, დაეცა მათ მახვილი (მტრისა) და მოისრა მათგან მრავალი", — გულისტკივილით წერს ალ-ფარიკი (გვ. 361).

სალთუკის სიძეებმა — ხლათისა და არზანის გამგებლებმა — ბრძოლის ველიდან გაქცევით უშველეს თავს. სამაგიეროდ ქართველებს ტყვედ ჩაუვარდათ 9 ათასი მხედარი და ქვეითი, ხლათის სუქმანიანთა სახლის მრავალი დიდებული და წარჩინებული. დატყვევებულთა შორის იყო ხლათის დედოფლის კიდევ ერთი ძმა დედით — ბადრ ად-დინი, მაგრამ არა სალთუკი, რომელიც განსაცდელს გადაურჩა. შაჰ-ბანუვარს ამჯერად ბადრ ად-დინის გამოსყიდვა მოუხდა და სწორედ ეს ფაქტი, როგორც ჩანს, გახდა მცდარი ინფორმაციის წყარო, როგორც იბნ ალ-ასირისთვის, ისე ლაშა გიორგისდროინდელი ისტორიკოსისთვის, რომლებიც, ალ-ფარიკისგან განსხვავებით, ალნიშნული ამბებიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ წერდნენ.

ამრიგად, არზრუმის გამგებელი ხელმეორედ ქართველებს არ დაუტყვევებიათ. 1161 წელს იზზ ად-დინ სალთუკს არ მიუღია მონაწილეობა იმ ომში, რომელიც ანისთან მოხდა. მას არ დაურღვევია დემეტრესთვის მიცემული ფიცი და არ გამოსულა იარალით გიორგი III-ის წინააღმდეგ. ამიტომ ქართველებს უნდა ჰქონოდათ ფორმალური საბაბი ანისთან გამარჯვების შემდეგ არზრუმზე დაუყოვნებელი გალაშქრებისა. მსგავსი რამ იმ დროს არ მომხდარა.

იზზ ად-დინ სალთუკის გარდაცვალების (1168 წ.) შემდეგ საქართველოს ურთიერთობები არზრუმთან რთული იყო. მშვიდობიან წლებს (გავიხსენოთ, რომ სალთუკის „ძის ძე" მუტაფარადინი თამარზე დაქორწინებასაც კი ლამობდა. ქ. ცხ., ტ. II, გვ. 43-44) ომები ცვლიდა. საქართველოს სამეფო კარი თანამიმდევრულად ახორციელებდა არზრუმზე თავისი გავლენის განმტკიცების კურსს. ეს პოლიტიკა გაგრძელდა სალთუკიანთა დამხობისა (1201 წ.) და არზრუმში ახალი დინასტიის — რუმის სელჩუკთა შტოს გაბატონების შემდეგაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბ კოსტავა

,სიმდაბლე თავად დიდების გზით მიემართება...“ — წერს ერთგან მერაბ კოსტავა. ამ ფილოსოფიურ საზრისში ხატოვნად არის კონდენსირებული მისეული კრედო ცხოვრებისა, თავისებური ფორმულა, მოდელი ჭეშმარიტი მამულიშვილობისა, მრავალჭირნახული ადამიანის სიბრძნითა და გამოცდილებით შეჯერებული, ქრისტიანული სულით ნასაზრდოები. მისეული კონცეფცია იტევს ყველა იმ თვისებას, რომელიც ავტორს ახასიათებდა და რის დეფიციტსაც ასე მწვავედ განიცდის ჩვენი საზოგადოება — უბრალოება, ოღონდ ამაღლებული, შინაგანად განსპეტაკებული, სულიერება, სიდარბაისლე, ჭირთათმენა, ერთგულება უზენაესი იდეალებისადმი. იგი გულისხმობს უჩინო დიდოსტატ შემოქმედთა მსგავსად, მორჩილად, თავგანწირვით, უანგაროდ ღვწასა და ბრძოლას სამშობლოს ბედნიერებისათვის, თავისუფლებისათვის.

მისეული ფილოსოფიური საზრისი იტევს მრავალ განსაცდელს, ჩვენი თაობის ადამიანისათვის, და მეტადრე ,,მშვიდობიანობის ჟამს“, გაუგონარ საჭირველსა და შევიწროებას, ბეზღობას, დევნასა და თვალთვალს, წვალებას, შიშსა და შიმშილს, ციმბირის გამთოშავ სუსხში გალეულ დღეებსა და გატეხილ ღამეებს, ფერად სიზმრებს მზით გაჩახჩახებულ შორეულ სამშობლოზე, მტანჯველ ოცნებას საკუთარ პირმშოსთან შეხვედრაზე, მაგრამ ამაოდ — კატორღული სასტიკი რეჟიმი პოლიტპატიმრისათვის ტრაგიკულად დაღუპული ვაჟიშვილის ცხედართან გამოთხოვებასაც კი არ ითვალისწინებდა. ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე, მაგრამ იგი მაინც, დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში, ჯიუტად, კუშტად, ღირსების გრძნობით ,,მოემართებოდა“ — პატრიარქული სპეტაკი ჭაღარით განშვენებული კაცი, რომელსაც, ერთი პოეტის თქმისა არ იყოს, საკუთარი თმა — წვერისფერი ნამუსი დაჰქონდა.

მას ღმერთმა არგუნა უსახო და უფორმო სიბლანტეში ერთ-ერთი პირველმქვალავის ხვედრი, უძრაობაში — მოძრაობა! ბლანტი და შედედებული ერთფეროვნება — თავის ჭირსა და სიმდოვრეს მკვიდრად შეჩვეული — ველარ ჰგუობდა მოძრავსა და მოყიყინეს. მისებრ დევნილ მცირერიცხოვან თანამოაზრეებთან ერთად ფილისტიმელთა ტალახის გუნდებს ჩვეული, სულდაკეჭნილი მოდიოდა განგების ნებით მიჩენილი მისეული, გამორჩეული, უცდომელი და ურთულესი გეზით.

იგი იყო ბუნებით რაინდი და მოყვასთა თვისადმი მიმტევებელი, შემწყნარებელი. იგი ითმენდა, აღარ ჰყვებოდა სულსწრაფთა და უმწიფართა უხამსობასა და ქილიკს, სწამდა, რომ ერთ მშვენიერ დღესაც განიხვნებოდა ,,ფარისეველთა და სადუკეველათ“ თვალსაწიერი, ისინი დაჰგმობდნენ საკუთარ სულში ჩაბუდებულ მაცილს და ეშმაკს. ელოდებოდა ნანატრ ალიონს — გამარჯვების მაუწყებელს, საქართველოს იმედითა და ნუგეშინით აპურებდა, ხალხში აღძრავდა სასიცოცხლო ნიშატს.

მშვიდი იყო მუდამ, საკუთარ თავში დარწმუნებული. ეს რწმენა ძალასა

და დამაჯერებლობას სძენდა მის სიტყვას, მის მოქმედებას. სიმართლე იყო მისი მოკავშირე, სიმართლე და გამოვლილი მოწამებრივი გზა უმრ[illegible] იმედის გალეულ ჯაჭვს, სულს პოეზიის სიყვარული ისალკლდევებდა... არც ერთი კუთხითაც არ უნდა გაეჩხრიკათ მისი ცხოვრება, ყოველმხრივ სპეტაკი და წელგამართული იყო.

მერაბ კოსტავას ტრაგიკული აღსასრული ერთი შემადგენელი რგოლია ამ ბოლო დროს ქართველთა თავს დატეხილი სტიქიური თუ ბოროტი ძალისმიერი ტრაგედიების უწყვეტი ჯაჭვისა. უმანკოდ დაღვრილი წმინდა სისხლი შემზარავია, სულის შემძვრელია და ზეციურ სამართალს ითხოვს, სულიერად ამაღლებს, აერთიანებს ძლიერს და უძლურს, ერთ მუშტად კრავს ქვეყანას, ხალხს; მთელ საზოგადოებას წარმართავს საერთო მიზნისაკენ — თავისუფლებისაკენ.

ნეტარ არიან წამებულნი, რამეთუ სიცოცხლეში დაწყებულ საქმეს სიკვდილით აგრძელებენ. საცა სამართალია, მისმა სიკვდილმა საბოლოოდ უნდა დაასრულოს ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი.

ვაჟმოხდილი განეშორა საყვარელ მამულს, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება გულანთებული უმღეროდა იგი: „ჰოი, თბილისო, შენს დიდებად მთაწმინდა კმარა, იმისი მადლით ხამს სატანა შენგან განვიდეს, მთაწმინდის ზეცა თავადაა ლოცვა ანკარა, ლოცვა წართქმული წმინდა ბაგით მამა-დავითის... სად მგოსანთაგან ვინ არ იგრძნოს მადლი ციური, რაღაც ძვირფასი, იდუმალი და მისტიური... მთას შესევია ბილიკები კენტი და ლუწი, ამ ალმაფრენის სპირალებით ვის არ უვლია... ფერს შეეპარა მტრედისფერი ცისკრის სინორჩე, სიბერე დღისა, დაისების გაფერმკრთალება, მთაწმინდის მკერდზე გაზაფხულის ნედლი სიმორჩე და შემოდგომის პანაშვიდთა ფერისცვალება...“

მან თითქოს წინასწარ იანდევაო საკუთარი „სიბერე დღისა“ და „დაისების გაფერმკრთალება“, „შემოდგომის პანაშვიდთა ფერისცვალებაც“. იგი შემოდგომაზე აღესრულა.

„ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.

ჭეშმარიტად!..

„მნათობის“ რედაქცია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის—93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-13 და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 21. 08. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 10. 89 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 09451. ტირაჟი 30.000. შეკვ. 1898. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

6 83/139

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

## გამოიწერეთ ჟურნალი „მნათობი!"

ამ ბოლო დროს მკითხველები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან გვსაყვედურობენ იმის გამო, რომ სოიუზპეჩატის ჯიხურებში გაძნელდა ჟურნალის შეძენა. ამასთან დაკავშირებით „მნათობის" რედაქცია გაცნობებთ: შეზღუდულია მხოლოდ ტირაჟის ის ნაწილი, რომელიც ჯიხურებში ცალობით იყიდება, რაც შეეხება ხელმოწერას, იგი ლიმიტირებული არ არის.. ჟურნალის გამოწერა სოიუზპეჩატის ნებისმიერ სააგენტოში შეიძლება. თუ რაიმე წინააღმდეგობას წააწყდებით, აცნობეთ რედაქციას. ერთი წლის კომპლექტის ფასია 9 მანეთი

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ